

117
1961/4



მეტეხი



3

1 9 6 1

გნათობი



საქართველოს მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 38-ე

№ 3

მარტი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინა კონტენტი

ირაკლი აბაშიძე — ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“. ლექსები	3
გიორგი ლეონიძე — „სახელის მილოცვა“. მოთხრობა	6
კოლაუ ნადირაძე — სამასი სპარტანელი და სამასი არავეელი. ლექსი	14
ხარიტონ ვარდოშვილი — ზღვასთან, ლექსი	15
მურმან ლებანიძე — ციზიკის პაპა. პოემა	16
ოტია ოსელიანი — ვარსკვლავთცვენა. რომანი. გაგრძელება	31
შოთა ნიშნიანიძე — ლექსები	59
ალბერტო მორავია — საბარგო მანქანის შოფერი, რომელი და რემი. მოთხრობები. თარგმანი ნინო სამუცაშვილისა	61

შვიდწლადის უარიკატეგორია

ელაზბარ ზედგინიძე — ჩვენი სოფლის სამწყსო. მოთხრობა	70
მოსე გვახალია — გვირის ოჯახში. ნარკვევი	81

დღივი მღვანესაულის შესახებ

მიხეილ ბლაღოა — საბჭოთა აღზრდის 40 წელი	87
---	----

თბ. მეორე გვერდი

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“



კრიტიკა და კულტურული მემკვიდრეობა



გ. ჩაგვლიშვილი — ხალხთა კეთილდღეობის ამსილებების პლენუმში	102
ი. ვინაშვილი — სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის	102
დომიტრი ბენაშვილი — შენიშვნები ქართულ რომანზე	112
გიორგი ზუსაშვილი — პოეტი და რეჟისორი	120
გივი ნადარეიშვილი — ვაჟა-ფშაველა და რევოლუციური მოძრაობა ფშავ-ხევსურეთში	127
ვაქტორ ვახტანგია — „ქილია და დამანას“ გარშემო	134

უკრაინის ლიდერ კოზაჩაკი

ტარას შევჩენკო — ანდრეი. ლექსი. თარგმანი სიმონ ჩიქოვანიძისა	143
ოთარ ბაქანიძე — პოეტი — დემოკრატი	144
ბ. პარაღოვი — ნიკოლოზ გულაკი — ტარას შევჩენკოს მეგობარი	149

კულტურული ურთიერთობის ფრანგულში

შ. მეგრელიძე — ქართული და სლავი ხალხების ურთიერთობის წარსულიდან	154
ვლადიმერ ზამხაძე — ზინი — საქართველოს მეგობარი	160
იასონ ზუციშვილი — ქართული კულტურის ამავდარი მოღვაწენი	165

კულტურული მემკვიდრეობა

დორიდე უჩანეიშვილი — ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი	171
---	-----

წიგნების მიმოხილვა

ბორის შაბაძე — გიორგი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ შესახებ	173
ბ. ნანიტაშვილი — სოფლის სურათები	177
გურამ ბათიაშვილი — გერცელ ბაზოვის რჩეული პროზა	180
გ. მეგრელიშვილი, გ. გომიძე — ეგნატე ნინოშვილის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი	182

საზღვარგარეთ

კულტურული ცხოვრების კრიტიკა	186
ახალი წიგნები	192

რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ბელმოწერილია დასაბუქდად 26/111-61 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7/4×12 1/4. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პრობით ფორმათა რაოდენობა 16. უფ. 02390. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 412.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოთეკატყვემკვლავის ბეჭდვითი სიტყვის კომისიატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ირაკლი ავაშიძე

ციკლიდან „რუსთაველის ნაკვადევზებ“

შენ აქ ხარ

შენ აქ ხარ,
აქ ხარ...
მონასტრის კარებს —
ათასწლის ლოცვებს,
ლაღადებს,
ქარებს
დაგმაგით, უხმოდ შევებებთ ხელი...
გალაენის უკან
ჯახანი ხმელი,
გალაენის უკან
ათასწლის ზარი
და ჩვენს წინ
მძიმედ გაიღო კარი
მონასტრის,
არა,
კლდეკარის ხერელი.

შენ აქ ხარ,
აქ ხარ...
შენს დამწვარ მდევარს,
ამ ზღაპრულ კართან
ახლა რომ ვდგევარ,
მშობელი მიწის
ეს შედო ვალი...
მორჩა!
აქ შენი დასრულდა კვალი,
აქ შენი ჩუმი
ფეხის ხმა შეწყდა:
ვდგევარ შენს სახლთან,
შენს ჩამჭრალ ცეცხლთან
მამულის შენის
მღიღი და მკალი.

სად,
სად არ გძებნე
მესხეთს თუ სამცხეს;
მე გული ჩემი
შენს მონად ვრაცხე,



კვალდაკვალ მოგვევ
 კლდეში თუ ღრეში,
 მაგრამ ზედ მტკვართან,
 მაგრამ ზედ თმოგვთან,
 ნავალი შენი
 ბილიკიც მოკვდა
 და საზღვრის ხაზთან
 დაეკარგე გეში.

ინდთან და ვანგთან,
 ფენჯაბს და ლახორს,
 შორს, სულ შორს,
 მაგრამ
 ახლოს, სულ ახლოს
 შენი ხმა მოხვდა
 ჩემს ბალღურ გუმანს,
 მეც სმენა ჩემი
 დაეძაბე უმაღ
 და მგოსნის გზნებით,
 და მღევრის გზნებით
 ვკეცე და ვთელე
 მაშრიყის გზებში,
 მაგრამ ის გზებიც
 სღუმან და სღუმან.

სადაც არ წაველ,
 სადაც არ წაველ
 მე ნატერა ერთი
 დამღევდა მწვავე,
 ერთ უთქმელ სიზმარს
 ვწერდი და ვხევიდი,
 ერთ უქმნელ სურათს
 ვქმნიდი და ვშლიდი, —
 მე შენს თეთრ აჩრდილს
 კვალდაკვალ ვდევდი,
 მესმოდა შენი
 ფეხის ხმა მშვიდი.

შენ აქ ხარ,
 აქ ხარ...
 დასრულდა კვალი,
 მშობელი მიწის
 ეს მედო ვალი;
 აქ შენი მშვიდი
 ნაბიჯი შეწყდა,
 აქ დაწყდა ცრემლი,
 ხმელეთს რომ რეცხდა.

ვღგევარ შენ სახლთან
 შენს ჩამქრალ ცეცხლთან
 წუხილი მესხთა,
 ძახილი მესხთა.

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია

ვინ იცის, როგორ მელის
 ვარძია...
 რა დიდ ფიქრშია,
 რა მწველ დარღზეა;
 როგორ აძგერდნენ სამცხეს ქედები...
 ვინ იცის,
 როგორ მელის ვარძია.

როგორ მელიან თმოგვის კედლები, —
 უთქმელ ღალადით,
 უთქმელ ვედრებით
 როგორ ამღერდნენ მაღალ
 ღმერთისთვის...
 როგორ მელიან თმოგვის კედლები.

ვინ იცის, როგორ მელის
 ხერთვისი...
 იმ ძველ მოძღვრისთვის,
 იმ ძველ მხედრისთვის
 სიცოცხლეს მხოლოდ ერთი აზრი აჭეს...
 ვინ იცის,
 როგორ მელის ხერთვისი.

როგორ მელიან მტკვარზე მერცხლები.
 ნამი,
 რომელიც ველის ვარღზეა...
 ვინ იცის,
 როგორ მელის მესხეთი,
 ვინ იცის,
 როგორ მელის ვარძია...

გიორგი ლონია

„სახელის მიღოცვა“

„...ქართულნი... საღმწროთა შინა ახოვანი, საპურველმოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის შაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეუანასა და მეფესა თვისსა“.

ვახუშტი

„სახელიანებ“ საფლავებს ვულდიდალ გადმოვკეციროო.
ხალხური

1

ჩემი სოფლის თავში თეთრი ციხე-კოშკი დგას, თავჩამორღვეული, ნანგრევი, ხავსდასხმული ლოდებით. სახელოვანი სიმაგრე, ძველად, დიდად ნაბრძოლი. ახლაც ატყვია, ალყაში ჩამდგარ, მოიერიშე მტერს ხმლები რომ ზედ უღესია ციხის ძირითა ლოდებზე.

ერთხელ, ბრძოლა რომ გათავებულა და მტერი გაქცეულა, ჩვენები თურმე ნიჩბით ჰხვეტადნენ ტყვიას ციხის გარშემო, მტერს იმდენი უსროლია!

ჩემს ბალობაში მომისმენია, თურმე დანიშნულ ღამით, ცისკრის ამოსვლის უწინარეს თმაჭალარა მანდილოსანი გაფოთებული ჩამორბის ციხიდან თავქვე, მთვარის კიბეზე, ვიღაცას შორიდან აუქნევს ხელს და ამრიხებული მკაცრად შესძახებს:

— არ გაბედო მოსვლა, სირცხვილიანი, გამოქცეულო! არ მომეკარო!

ტანაბჯრიანი, დაჩოქილი შვილი თავში ხელს წაიშენს, შეჭლმუვლებს სიწვრით, ისევე უკან გამოვრბის ხმალოლოებული, უცბად შეჩერდება და ცედას შორიდან შეუთქვამს:

— ან შევაკვლები, ან მოგივალ იმედინი!

დედა ისევე კოშკში შევარდება, კარებს მიაჯიჭურებს. მძიმე ურდულს

აუგდებს და კოშკიდან ისევე გამოისმის გამწყარალი ხმა:

— არ დამენახვო, არ დამეკარო, გაბრუნდი, სახელის შემრცხვენო, ავსახელიანიო!

უცბად, წყვილიდში აქეთ-იქიდან ასტყდება უჩინართა ძახილი:

— თითისტარი მიეცი!

— თავს ჩიქილა დახურე!

— თმა ჩამოიწნას ქალისა!

და სხვა წყევა, შეჩვენება...

თმაჭალარა მანდილოსნის აჩრდილი მკერდში მჯიღს ჩაიკრავს:

— ვაი, რა ვქნა, რა ვუყო, წავალ და გავნიავდები!

და მართლაც, ღამის ნიავს დაეხსომება სიტყვები შუალამისა, მსუბუქი ფრთით წაიღებს, სოფლად ჩაიტანს, თვითეულ ქობს გაავონებს, ზედ კერაზე დაჰყრის ამბავს და ცისკრის საზღვარზე ისევე გაისმის ჰაერში შემონახული მწველი სიტყვები და მუქარა განრისხებული დედისა...

ღამე გაიციოცება, მამალი შეჰყვილებს და ყოველივე მიუჩრდება.

იტყვიან, ეს თმაჭალარა მანდილოსანი ლასურიძიანთ ხვარამზეა, ჩვენივე სოფელი, ერგულე მეფის დროს უცხოვრია თურმე.

გმირების დედა ყოფილა. ერთი ვაჟი გამოჰსვლია მხდალი და დღესაც იმასა



სწუხსო! მეტი არა! გამიგია რა ხვარამ-
ზეზე. მაგრამ ჩემი ბალობის დროიდან
მე მახსოვს ლასურიძიანთ ოჯახიდან —
დეიდა ჩახტაურა — მომჩინარი მანდი-
ლოსანი, მძლავრი და მკაცრი დედაკა-
ცი. ყველასაგან პატივდებული, სოფ-
ლის ქალთათავე, ნამუსი და პირის-
წყალი.

ჩვენ, ბალებს ძალიან გვიყვარდა...
ახალგაზრდობაში, თურმე, ცხენოს-
ნობას უქებდნენ. ახლა, ქერივობაში,
ოჯახის ბურჯი განმხარყო. საგლეხო
მეურნეობა უყვარდა; მესობლებს რჩე-
ვა-დარიგებით აფხიზლებდა, სოფლის
ქალებს ყაითნის საქმეს, საეერავს ას-
წავლიდა.

ჯეჯიშები, ჩახსაკრავები, მუთაქის
პირები, დიბაზე ნაცერი ყაჯრები მსი
ხელიდან გამოდიოდა. თავის ქალს ფე-
რანასაც ასწავლა.

ერთი სიტყვით, ხელწმინდა ქალა
იყო.

სხვა საქმის გარდა, ჩახტაურა განთქ-
მულა შემლოცავი იყო- ახლაც მახსოვს
მისი შელოცვიდან, მგონი, ორჯულ
ქალზე: „ბანი იძრა, ტყე იძრა, ვენახი
იძრა... ირმის მუცელში შველი იძრა,
შვლის მუცელში ნუკრი იძრა.“ და
სხვა. ეს პოეტური შელოცვა ძალიან
მომწონდა.

ამინდის გამოცნობასაც უქებდნენ
ჩახტაურას. ესეც ხომ მისგან ჩაეწერებ
მოწაფეობის დროს:

„დილა წითდა, — ღამე წვიმდა,
ღამე წვიმდა, — დილა მზითა.“

...პირველი მსოფლიო ომის დროა.
დეიდა ჩახტაურა ზის მარტოდმარტო
შემშალ, ძველებზე აივანზე. კერას არ
აციებს... ზის და წინდას ქსოვს... სამი
ვაჟიდან ვითომდა შემორჩენილ ერთად-
ერთი ვაჟიშვილ შალიასთვის, რომელიც
სულ ამას წინათ ომში დაეღუპა, მაგრამ
ჩახტაურა მაინც წინდას უქსოვს. ორჯე-
რაც მოუტანეს შავი უწყება, მაგრამ

ჩახტაურას არ სჯერა, ღრმად სწამს
შვილის უკვდავება და გასწავლად
ლიონს მკაცრი კილოთი მტყუნი

— ენამც მოგტყდება, ენამცდარო!
უკანვე წაიღე! ეს უწყება იმასვე მიუ-
ტანე, ვინც გამთგატანა! შალია როდი
მყავს მკვდარი! არ გაბედო კიდეც
თქმა! — და ისევე განაგრძობს წინდის
ქსოვას კიბის თავზე... წუთის შემდეგ,
ჩახტაურა ისევე მრისხანე ხმას დააწევს
შარაზე მიმავალ, განცვიფრებულ გუბუ-
ნას:

— აღარ გაბედო მაგნაირ ქალადით
აქ მოსვლა, თორემ ძალებს დაგაგლე-
ჯინებ! სამახარობლოდ მოდი, მარტო!..

— დამაცადე, თუ არ უთხრა ჩემ
შვილს, რომ დამიბრუნდება! დამაცადე
მაშინ განვენებ, ყია-ყრიავე! შენზედ
ერთი კოკა მირონი ტყუილად დაგვი-
ხარჯია!

2

ვორგასალ გმირის დაეჯეკაცებას ისე
არ ელოდნენ, ალბათ, მისი დაჩაგრული,
დადრეკილი დედა და ბალათერასაგან
გატაცებული დაი, როგორც ჩვენი მე-
ზობლის შალიას დაეჯეკაცებას გამოე-
ლოდნენ დედამისი ჩახტაურა და გა-
სათხოვარი დაი ფერანა.

ეს, ის სანატრი დღე იქნებოდა, როცა
ჭაბუკი აზნაური შალია ახალხალშებ-
მული თავისი ხელით შეკვახმავდა ზა-
ლებიან „ქარღება“ ცხენს და გააქნებ-
და.

— რა დღეს შეკვახმავ, შენი ჭირიმე,
მითხარი, გამაგებინე, რომ მოვესწრო
და დაგინახო, თორემ დიდი დღე კი არ
მიწერია!

— რა მაქვს აგრე საჩქარობელი? —
ღიმილით ეტყოდა შალია.

— მაშ. არ გინდა, მალე ცხრა ცას
დავეწიო სიხარულით? ჩათის მხიარუ-
ლი კაბა ჩაეიცვა, იმ დღით ახალი ბაღ-
დადი დაეიხურო, დაბასმული ლეჩაქი,
ვარაყიანი?

შალია ამოწყვეტილი, ძველი აზნაუ-

რიშვილის ოჯახიდან იყო. მამა-მისს შერმადინს ლხინით მოეჭამა წუთისოფელი. შალიას ძმები და ბიძები ზოგი ომში ჩაებოცათ, ზოგი ჩხუბში თუ მამულის დავაში და ახლა, შალიას მეტი, აღარავინ ბოგინობდა ლასურითიანთ გვარზე. საქალეთზე ლა იყო მიმდგარი სახელოვანი გვარი!

ამიტომაც, ასე დიდის ამბით ელოდნენ შალიას მიერ ცხენის შეგახმვას, ხმლის შებმას, ანუ დავაყვაცებას. მგონი, სამარადიანაც მოუთმენლად შემოჰყურებდნენ დაჭრილ-დაკუწული წინაპრები და ბიძა-ძმები!

დედა თოქალთოს უქსოვდა, ფერანა ჩახსაკრავს, ძალუა გარიელა კი მათ-რახს უწნავდა...

თვალმცეხელი იყო შალია, თავგული, სხარტი, ლაღი, გულზავი, გიჟმაჟი, გაშლილი გუნებისა, ამაყი, გონიერი, სამხედროსაყენ მიმდრეკი, ტოლა-ამხანაგთა შორის სახელის მაძიებელი. სახელისათვის დაუზოგავი იყო, არც ცეკვა-თამაშში, — კარგი ლეკური იცოდა, — არც კიდაობაში, სახელს არავის დაუთმობდა.

— სახელდებული ბიჭი მყავს! — თავმომწონეობდა დეიდა ჩახტურა.

ახლაც, თვალწინ მიდგა — ზანგელა, დაგიშრულ ქოჩრიათი, ჯიღა თვალება, დაგეშოლ მიმინოსავით ტანსწრაფი, ხელუკრთომელი, ერთი სიტყვით, სანდომობით საყვარელი. ჩემზე ხუთიექვსი წლით უფროსი იქნებოდა.

დედა, დაი საოცარი სიყვარულით შესცქეროდნენ შალიას.

— ვინ იქნება შენფერი, ცათა და დედამიწის შუა? — ელაჟუნებოდა ფიქრებში დედა ნებიერ შვილს, — მაგრამ კენტი ხარ, საბრალო! კარგი გულისყური იქონიე!

მუდამ ამაგრული იყო ჰაბუკი, თუ ჰაბუკობას მიტანებული შალია: ონავარი, ფიცხელი, კისკასი, თავისწვერა; არ უყვარდა რბილობა „ომის თამაშის“ მიზიდულობა ჰქონდა, დაუზოგავი იყო, ქოჩრაობდა, სულ ბრეს გვადენდა! აუც-

დომარი სროლა იცოდა ისრისა: ცხენი უყვარდა. უბელოს დააქენებდა მუჭავით, მონადირეც იყო. მასულ ფეხით ჰქონდა მოვლილი მგრგვლივ კლდე-ღრე, ფლატე, ღრანტეები, ტყეები ჩვენი სოფლისა. ხან ნადირობდა, ხან ისე ხეტიალობდა, ხან სალამურის მასალას ეძებდა ტყისპირებში.

საოცარი მესალამურე იყო შალია, სალამურის გამომჭრელი, გამოსჭრიდა დუდგულას და დაგვირიგებდა.

ჩახტურა აღმაცერად გადაჰხედავდა სასტყენელას, სალამურებს, კედლიდან მოწიწებით ჩამოჰხსნიდა მამაჰაპეულ ხმალს, გადააწვდიდა შალიას და ეტყოდა: რა ბედენაა სულ სალამური? აი, მამაჰაპეული ხმალი ენდე ღმერთს. მალე შენ უნდა შემოირტყა! შენს ძმებს არ ერგოთ ბედად მაგ ხმლის ტარება, ადრე დამიხოცეს, შენ წაემჯობინებ! უგვარკილო კი არა ხარ! კიდევ ცოცხოვრებ ლასურიძეები! კიდევ გვპირდება სახელი უსახელო გვარი რის მაქნისია? შალია მახვილი თვალით შინჯავდა ხმალს.

— იცი, რა ხმალია? ეტყოდა დედა, — ყენის ანაგლეჯია! შენს პაპის-პაპას ჯარდანს ყენისთვის აუგლეჯნია ომში! მთელი ლაშქარი გაკვირებულა! ერეკლეს, შიგ შუბლში უკოცნია! თვითონ ერეკლეს ხმალი კი არ ერტყა, ომში თითონ შემოერტყამოდა ხოლმე!

ღარბი აზნაურები იყვნენ დღეს ლასურიძეები, მაგრამ ყოველთვის სანაქებო, ჯიშინი ცხენი ება მათ ბაგაზე, თუმცა არც ხარი ჰყავდათ, არც კამეჩი! თითონაც შალია ერთგულად უვლიდა თავის გამოკვერცხილ „ქარაფხას“.

ის დღევ მოახლოვდა. ცხენი გალობითა და სიმღერით უნდა შეეკახნათ, მერე ხმალშებულ შალიას უნდა გაეყვანა ცხენი, გაენავარდებინა დიდ მინდორზე. ეს იქნებოდა მისი დავაყვაცების დღეც... უზნის ლამაზი ქალებიც მოვიდოდნენ მხედრის საზეიმო დღის საცქერად. ჩახტურაც სიხარულის

სუფრას გაშლიდა... და თავის ვალსაც გაასწორებდა შვილთან..

3

მაგრამ, შალიას რომ ცხენი უნდა შეეკაზმა, სწორედ ერთი კვირის წინ, როცა შალია ტყიდან ბრუნდებოდა სასალამურო დუდგულებით ილიაში ამოჩრილი, ჩაფარმა „სალდათის ბილე-თი“ გადასცა. შალიას კიდევ გაეხარა, თითქოს დიდ ზეიმზე იპატიებნენ, ისე მიიღო. ჯარში წაიყვანეს. მამულის წვენი დალევა ვერც კი მოასწრო, ისე წავიდა... მამაპაპეული ხმალი კი თან წაიღო.. ცხენოსან ლაშქარში გაწერეს. ჯერ იმედთან წერილებს იწერებოდა, ზედ ნატერას ურთავდა: ივრის ჩქრო მომესმისო, ნეტავ ერთი კიდევ მაჩვენა მთებით შემოლობილი ჩემი სოფელიო, ცხენს კარგად მოუარეთო! ხან წერილებში ჩიოდა, — სისხლის ავდარი მოდისო, დედამიწა შიშით ზანზარებსო! ბოლოს მოიწერა, — სიზმარში ხმალი გამიტყდაო, ჩემი მოლოდინი ნულარ გექნებათო, ველარ მოგივალთო, მაგრამ სახელი ხომ დარჩებაო! მერე წერილები სულ მისწყდა და კიდევ გავიგეთ, რომ ივრის გაზრდილი ვარშავის ახლო მივსრისათ სასტიკ ბრძოლაში.

მეჩონგურის ლექსი გადმოგვეცემა: შალია სიკვდილს ხმლით ეომაო, ცხრა დაკაფა ცხენდაცხენ, მეთემე კი ხიშტი ბეჭებში ჩასცაო, სისხლში გასვრილი ხმლის ნატეხი კიდევ ევირა შალიას ხელშიო! ერთიც არ დაუგმინიაო!

მეჩონგურის ლექსი მთავრდებოდა:

„სახელისათვის მამკედარო,
ვერც ცოცხალს სჯობხარ მკედარიო!“

ჯერჯერობით, დედას უმალავდნენ შალიას სიკვდილს, თუმცა შემკედარებულ ფერანას ტირილი ცაში ადიოდა— ვითომც, სიზმარი ვნახე ცუდიო და იმაზე ვტირიო! დედა ანუგეშებდა, ავსიზმარს რად უჯერებო! ჩვენთან რა უნდაო?!

ზამთარი დგებოდა, „ქარაფხა“ ცხენი

გაყიდეს, შენახვა გაუჭირდათ და ვერც ცოდვით უყურეს, კვიცრ დაიტოვეს. „ქარაფხა“ ღიპგადმოგდებულმა ვაჭარმა კოტომამ იყიდა. ისე არ ჩამოივლიდა შალიას ცხენზე შემჯდარი გულქვა კოტომა, რომ ფერანას არ შეეკივლნა, არ შეეტერნა ხმამალა და ვაჭარი არ დაეწყევლა:

— უღმერთოვ, რად გვიკლავ გულს, სხვა გზით ველარ ივლი?

— კიდევ ჩამოიარა უწყალომ? — ყოველდღე კითხულობდა ჩახტურა.

...ვაჟ, სიშორეო გზისაო,
წასვლაო, აღარ მოსვლაო,
ლაშქარს წასული ვმისაო“

— ვინ იცის, ორბის კლანქმა სად გადაგდო შალიას ძვალი, რომელ ხის კენწეროზე დარჩა, — წაიდუღუნებდნენ მეზობლები.

ბოლოს, როგორც იყო, დაიბარეს საამასახლისოში, დააჯერეს ჩახტურა შვილის შინმოუსვლელობაში.

ხმაც არ ამოუღია.. ჩუმათ ბრუნდებოდა შინ, გულის ძარღვებჩაწყვეტილი, ფერგადატეტილი.

— მზე გაშავდა! ჩვენი ბედი დაიწვა! მესმა შესწყვიტა ჩვენი კარი! ჩვენი სიმაგრე დაიქვა! გათავდა, დაიშო ჩვენი გვარი, ჩვენი სახელი! ვაი, სახლო, უკაცურო! — მხოლოდ ამას დუღუნებდა კარიბჭესთან გარეცმული. დამეწყრილი, გადაკოდინარებული, ცნობამიხილი ჩახტურა...

— აჰა, ღმერთო, ეს გახუნებული ლეჩაქცი მომხადე, მეთი რა შემარჩინე! წაილე გამჩენო, ესეც შენ! — მოწყლული გულოთ შესახებდა ხელებგაწყვდილი მწუხარე დედა, დროდადრო კარიბჭის ბოძს თავს ახლიდა. ლეჩაქს იხევედა...

— სად გამოვედგე სიკვდილს, სად დავეწიო უწყალოს?! მარტო-ხელისა ვარ! ვაჰ, ქარო, ქარისა მავალო!

მთელი დღეები მუნჯივით იჯდა... ამ ქვეყნისა აღარა გყურებოდა რა... შალია სულში ჩაისვენა... მხოლოდ ეს

უკვირდა, როგორ მოერია სიკვდილი მის შვილს, ან როგორ ვერ დაემალა შალია სიკვდილს, ასეთი ყოჩაღი!

— არა, ვერ იკადრებდა დამალვას! — მიუგებდა თავისთვის... მეტი არაფერი... სიკვდილსაც კი არ ნატრულობდა...

მხოლოდ, ხანდახან, შუალამისას, გაშავებულ ხატს შეეყენებოდა, — ღეთისმშობელო, სიწმინდის მზეო! ეს არი შენი სიწმინდე!

4

დიდიხანია აღარ მენახა შალიას მწიფე ხატურა, თვალს ვარიდებდი, ძალზე მეცოდებოდა... თანაც, მე ხომ ქალაქში ვსწავლობდი! მხოლოდ ერთ ხელს, საიდგომოდ არდადებებზე რომ ჩავედი სოფელში, კიდევ მოვკარ თვალი ჩახტურას „სახელის მილოცვის“ დღეს, მერე აღარ მინახავს, მომკვდარიყო დაბრმავებული, თვალეში დარდისაგან შავწყალჩამდგარი... შვილმა მხოლოდ ცრემლიანი თვალეში დაუტოვა...

ძველად, ჩემ სოფელში, ერთი საოცარი დღე იყო, „სახელის მილოცვის“ დღე.

გაზაფხულზე, აღდგომა კვირაში, სოფელი საფლავებზე გავიდოდა, — პუროთ, ღვინით, ხორაგით, ცრემლიანი ღალადებითა და სამკებრო სიტყვით, სახელს ულოცავდნენ გარდასულთ, — ყველას კი არა, — ვინც რაიმე სახელი დასტოვა! თან ცოცხალ გმირებს აღდგურებდნენ...

მამულის დამცველი ბევრი გაუზრდია ჩვენს სოფელს, ძველად, „ერეკლეს დროს“, თუ ახლად. ზოგს „თათარში“ უსახელებია თავი. ზოგს — იაპონიის ომში, ზოგს — პირველ მსოფლიო ომში, ზოგს, ჩვენებურ მწყემსს, თრიალეთზე — ყაჩაღებთან... იყვნენ... აღარ არიან...

წასულან გმირები, გარდამავალი წვიმებით, როგორც ქარიშხლებს უბობოჭრიათ, უგრგვინვით. ბოლოს, დაყუდებულან მყუდრო საყუდარში. ხალხს ჰგონია, ისევ გამოვლენ სამართიდან,

თოფსა და ხმალს კიდევ ინაჩრებენ, თუკი სამშობლომ შესთხოვეს. უკვდავება შეესაკუთრათ... მათ ნაფლავებზე, ზოგან ია მოსულა, ზოგან ავმანი, ბარამბო, კინკრისდედა, დილილო, ზოგან აბზინდა, ზოგან სეინტრივით ბალახი ამოხეთქილა... უამარი მწვანეა გაზაფხულზე, თითქოს მათმა სისხლმა აღმოაცენა სხინეარა ყვავილები; თითქოს, ნადიდებ-ნახსენებ გმირებს საფლავში უხარიათ, რომ მათმა მკლავებმა ასეთი ლამაზი მიწა დაუტოვა ჩამომავლობას, რომ უფლება მისცა ამ სილამახის ყურებისა! მართლაც, ჩვენ რომ ლაჩარი წინაპრები გვყოლოდა და სილაჩრით ჩვენი მამული დაეთმოთ, მტერს გაქცეოდნენ, ვინ იცის, ახლა სად ვისხდებოდით ქართველები?

აი, სოფლის ძველი სასაფლაო ველტყიანზე, ძეგლებად კლდე-ტინების ნახეთქები ძვეს, განა ძეგლწერილები?... თუმც, აქა-იქ, იშვიათად. მიწაში ჩასრული, გადაცვეთილი პრტყელი ქვებიც მოსჩანს, გადაკორიკებული წარწერებით. ზოგან ძეგლად ქვაში გამოკვეთილი, შეკაზმული ცხენი დგას, ზოგან — რქაჩაგრებილი ვერძები, ზოგან — ქვანზე გამოსახული ხელადები, ყანწები, ჯაგები, უიანურები, ჩანგურები, გუთნის ნაწილები...

ხავსი და მობიბინე ბალახი ჰფარავს გმირთა საფლავებს...

ირგვლივ ფრთავაშლილი გაზაფხული ფრიალებს...

— სახელი მომილოცნია, შვილო, ყუჩად დასტიროდა შაოსანი დედაბერი ჯაფარაული საფლავს და დედაკაცები ზედ ზუზუნს აყოლებდნენ.

— განა შინ მოკვდი, ომის კარს მოკვდი! ხელთ ხმალი გეჭირა!

ხალხი მოვიდა, ღეთისოს ჩოქით სახელი მიულოცა.

— ჰაი, შე უდროვოდ გათავებულო, შე გამარჯვებულო, მადლობელი ვარ შენი სახელისა — ჩასძახოდა პაპა ედიშერი მწყემს გავნიას, — სვეტი ნათლისა დაგადგეს!

— ერთი მომწყვედიც ოცთა და ოცდაათთა, მაინც არ გატყდა, არ შეუპოვა! თამარ მეფის მიჯნაზე მოჰკლეს, მაინც შინ მოვიდა! — ლაღადებდნენ დედაკაცები. მწყემსი შორს, ჯიქიანის მთის სამორებზე მოეკლათ და ამხანაგებს ხურჯინებით ჩამოტყანათ აკუსულთ.

— სახელის მოყვარული იყავი, იორამ, სახელს გილოცავთ! კიდევ დაზარდოს შენისთანები ჩვენმა მიწამა! — და ასწლის მოხუცებულმა სეხნიამ წითელი ღვინით საგვს ჯამი ასწია. ჩამორიგებით მიულოცეს სახელი გმირ იორამს.

მალე ყველა საფლავზე სუფრა გაიშალა და ისევ სიცოცხლემ აჯობა სიკვდილს!

სამშობლოსათვის სისხლდათხულებს ცრემლითა და ღვინით იგონებდნენ. ვაჟკაცთა სულთქმა, საქმები სიტყვა, დედაკაცების ცრემლიანი ზრინვა, გაზაფხულის დილის ნიავს მიჰქონდა მწვანე ხასხასა-თავანკარა ჯეჯილებსა და კვირტგამოსულ ვენახებში, თითქოს ამ სევდის ბოლში იხსნებოდნენ ვახისა თუ ხეხილის კვირტები. ცა იყო ნაზი და წმინდა, სიყვარულივით.

გაჰკრა ჩონგურმა და აალაპარაკა საფლავში მწოლარენი — ხმლითა და ხანჯლით აჩეხილები, მახვილით გადასერილ-გადმოსერილნი, „ტყვიით მთერალეები“, ამშრალნი წვეთნი მამულის სისხლისანი, ისმოდა ზარისდამცემი, გულის შემძვრელი, ცრემლში დასველებული, მაინც აჭიანი, გავარვარებულ სიტყვები.

აი, სახელიან მათიას სახელი მიულოცეს სანგარზე მკვდარს, იერიშის დროს. მისი საფლავი უპატრონო იყო. გმირის საგვარეულო მთლიანად ამოწყვეტილიყო, მაგრამ იგი სოფლის კუთვნილება იყო, უჭირისუფლო გმირთა საფლავებს სოფლეურად ტიროდნენ. ყველასი იყო. მისი დატირება, სამარეზე მდუღარების გადმოხნევა სოფლის უწმინდესი მოვალეობა იყო.

— დღესაც შენი დათესილი, ბარაქით გამოვდივართ, ცხონდეს შენსასწავლის! — ერთხმად შესძახა ხალხმა ცნობილ გუთნისდღედა სულხანას საფლავში, — შეუფხა და თათუხი შენსავით ვის მოჰყავდა? წახველ და ბარაქაც თან წაიყოლე! მარჯვენას გილოცავთ, დაგელოცოს მარჯვენა!

სულხანა გმირი არ იყო, მაგრამ ჭინახულის ამავდარიც გმირად ითვლებოდა.

— რატომ სიმღერა აღარ არის ქვეყანაზე? — იმიტომ რომ შენ აღარ მღერო! — მიუტირეს სოფლის პირველ მომღერალ მარჯანას საფლავს. მარჯანა სიკვამლეშივე მომკვდარიყო, „სიმღერისაგან დაიწვია“, მარწმუნებდნენ.

ერთი დახვავებული საფლავი მოჩანდა ბებერ რუხილის ქვეშ. მეომარი ლაგაზი უოპრად მომკვდარიყო ომში!

— ღამე ამოდის ლაგაზის აჩრდილი და ჩივისო, — ვაი, რა ძნელი ყოფილა ულაშქროდ სიკვდილიო! — იმასაც შეუწულო ხალხმა უხმლოდ სიკვდილი! შეუწულო იმიტომ, რომ ჩვენი სოფელი საზღვარზე იყო, მტერი ბევრი ესხმოდა თავს, მეომარი სოფელი იყო. ამიტომაც, თავისით სიკვდილი თითქმის სიმბდალედ ითვლებოდა, ჩვენებური კაცების უმეტესობა ძველად ომსა და ბრძოლაში იყო ნაჩეხი! ცოცხლებშიც ბევრი შეგვხვდებოდა თურმე კოჭლი, უფეხო, უხელო, ცალმკლავა, სახეჩამოსერილი, ჩამოღარული, ხეიბარი...

...უეცრივ, კვილი გაისმა:

— სიკვდილს ნუ მისდევ, შეგვიბრალე. და აღარ გეცოდება? მაშ, ძმის იმედი აღარ უნდა მქონდეს?! — ბლაოდა გიშერა-წარბიანი ფერანა, შალოას და. ჩახტაურა ჩუმად იჯდა, ვეება, გაბარჯლული მუხის ქვეშ... სად მოუსაყლეთში, სად მხევიანმა ქარმა წაილო შალოას მტვერი, სად მშხივანმა წყალმა. სად იწვა შალოა, დედა და დაი კი აქ დასტიროდნენ ჰაბუჯ ლომს, ვითომც აქ ეძინა, ამ წყნარი მუხის ქვეშ. „ნიშანი“ გაეშალათ — შალოას ქუდი, ჩოხა-ახა-

ლუბი და ხანჯალი. შალისა ავიცილ აქვე დაებათ, ვითომც საფლავზე აბიაო! უგუნური კვიცი ხტებოდა, ტოტებს სცემდა მიწას, თითქოს შალისა ეძახი- სო და გიშერთვალებს შემკრთალი ავ- ლებდა სამგლოვიარო სანახაობას.

— ადე, შეილო, თაფლით შედედე- ბულო, ადე, თვალეში გაკოცო, სახე- ლი მოგილოცო! — ჩაცქერით მიწას ელაპარაკებოდა ჩახტაურა. დედაკაცები მდღღარე ცრემლით სტიროდნენ, ისე, როგორც ქრისტეს გარდამოხსნაზე.

— ვაჰმე, სად დაქვანა, სივანის ყვა- ვილი? რამ გაანედლოს დამწვარი საჯი- შე კვირტი გვარისა, ჩემი უბის სითბო- თი გამოზრდილი? მწუხარების ანძალზე აცმული დედა უღრუბლოდ იმდულრე- ბოდა. ნაწლევით ეწოდა... ძუძუ სტიო- და... მოწყულელი გული ოდნავ და უცე- მდა... ცრემლით დაებანა შალისა ახ- ლუხი... ვაი ოქროსძარღვო, სახელდე- ბულო! მიწაში ჩადებულო! — გმინავდა ჩახტაურა.

ვაჰ, ბრალი ვეფხვის დედისა! გვერ- დით წამოიოხრა ბერმა სეხნიაჰ. ბედის- წერით ანუგეშებდა ზოგი: განა უღვთოდ ხეს ფოთოლი ან შესხმია ან გასცივე- ნიაო? ადამიანის სიცოცხლეც ასეაო! არ დაგვალდა საწყალო, საქორწილო პურის ცხობაო, ზოგი დანანებით ეუბ- ნებოდა ჩახტაურას.

აქ მეჩონგურემ ცეცხლი ცეცხლს შეურთო, როდესაც დაამღერა:

შალის სიკვდილისთვისა
მალა ღმერთს მოსწყდა წელია!
მთარემ ჩაიჭვა შავები,
ვარსკვლავთ არ ეღო ფერია!

...და თითქოს უტბად გამოფხიზლდა ჩახტაურა; წამოდგა მინაცრებული, ძვე- ლი ლეჩაქი შემოიგლიჯა, ჰალარა თმა გაიწეწა, ორივე ლოყა ჩამოიხოკა სისხ- ლის ნაკადულებით და შეიფთა:

— ნეტავ თქვენ, ქვანო და კლდენო, რომ მოსვენებითა ხართ და ჩემი ცეც- ხლით არ იწებებით! ნეტავი თქვენი!..

ქვასაც კი ენანებოდა დეიდა ჩახტაუ- რა... ცრემლით ამობზარულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ხალხს კი არ

უყურებდა. შემოეჯარა ხალხი, შალისა სახელი მიულოცა. ღმერთი დაუტოვებს, გარდაუღიეს. უტბად, ჩახტაურა და- მოშმინდა, გაყურდა... სახელს ულოცა- ედნენ მეზობლები — წინ ცხრანი გაიმძ- ლვარაო! ამაყად წარმოსთქვაოდნენ; განა გლოვობდნენ შალისა, მის დარჩენილ სახელს ეალერსებოდნენ და თითქოს შორს მდებარე შალისა საფლავში კი- დევაც ჩაეცქირათ, დაენახათ, რომ შალისა უტკნობ ყვაილებშია გახვეუ- ლიო...

ჩახტაურა მადლს იხდიდა...

შუადღის მზე გადაიწვერა... ხალხი დაიშალა... გულის ღვარეული ცრემლი დაწურა და იკმარა... თავდაღმა დაეშვა სოფლისაკენ, ვენახებში გადაფანტულ ქოხებისაკენ...

შაკარი სახეები გამოსჩანდა... თით- ქოს თვითუღის გამომეტყველება ამ- ბობდა: სალის კლდეებით არის დამაგ- რებული საქართველო! შემოგვხედეთ, ჩვენც გული ბასრი ქვისა გვაქვსო, მუ- დამ ხმლით ვიდგებითო, ნუ ვინ მოედა- ვება ჩვენს მიწასო, მალე ცის ნაყინელ- ლი დაგვეცა თავზე... ცაში წამით გრგ- ვინეც გაისმა. დედაკაცებმა თქვეს: როსტომი ზურაბსა სტირისო! ქარცივი აქროლდა. ცაში შემოწალიდნენ წე- რონი, თითქოს გმირთა სულელები დედა- მიწიდან ცაში მიემგზავრებოდნენ... ახ- ლა დალასტული ცისარტყელა გამოჩნ- და, დედამიწამ გადიგლოვაო!

ხელში ცარიელი დოქიათა და კალათით შინისაკენ ლასლასით ბრუნდებოდა ჩახ- ტაურა. ფერანას ურა გვიცი მოჰყავდა, ჩვენ, ბიჭების ჯგუფს რა მოგვიახლოვ- და, ჩახტაურა, წყნარი, მწუხარება-ნა- რევი ღიმილით გადმოგვხედა და კმაყო- ფილებით წარმოსთქვა:

— აი, რა სახელიანი შეილი მყავდა! განა დედამ არ გაზარდა? დახე, სო- ფელმა სახელი მიულოცა! თქვენც კარ- გები დაიზარდენით. ტყემლის ბოყეებო! ირგვლივ, გაზაფხული გიქმეაობდა შალისავეით დაუღეგარი...

...ჩვენ, ბაღლები, ამ უცნაურ სანა- ხაობის მოწმენი, შემკრთალები ვიყა-

ვით. ვგრძნობდით კი, რომ ამ დღის ცრემლითა და კაჟით ჩვენი გული იწრთობოდა... ძველი გვიმაგრდებოდა...

დაეფიქრებოდით წამიერ: რატომაა საჭირო სახელი? რაა საჭირო სახელის მოსაპოვებლად?

სახელი... სახელი... კლდე ჩამოიშლება, ქვამყარი დაირღვევა, არ მოიშლება სახელი! — ასე გვასწავლიდა ეს დღე...

და სევდიანი ფიქრი გულს გასერავდა — განა ჩვენც მოგვილოცავენ სახელს, დიდები რომ გაეხდებით?

მაგრამ გაზაფხულის მწვანე ფრთის ქრიალი და მშობლიური ცის ლაქვარ-

დულობა ნებას არ გეძლევდნენ ფიქრებში დაღრმავებისას.

...და ისევ ფრიალოზე ჩამოკიდებულნი, ჩამოხაესებული ციხე და ზედ მომშენებელი მთვარე მაისის ღამეს, ძირს ხეობაში ვარდის ჭალა, აყვავებული რქამაღალი ვენახები... რაღაც ვნებიანი სურნელი გარშემო, ციციანათელას ფანცქალი, ცაცხვის დაცვენილი ფანტელი და პატარა მდინარის მორცხვი როკვა თუ რაკრაკი...

შალის მერე ზვარამზეს აჩრდილი აღარ გამოდისო, ჩახტურას ცრემლმა დააწყნარაო. — ასე გადმოგეცემდა ასი წლის დედაბერი ხვაშაქი ციხის უბანში რომ ცხოვრობდა.



სამასნი სპარტანელი და სამასნი არაგველი

„მგზავრო შეჩერდი. აქ სამასმა სპარტანელმა და მეფე ლეონიდემ თავი დასდევს სამშობლოს გადასარჩენად“.

წარწერა თერმოპილეს ხეობაში შესასვლელთან.

თი სამასნი გმირები დღშეთით ტფილისის მოსულნი მეფის შეწვევად და მის წინ მისთვისვე შეფიცებულნი.
გრ. ორბელიანი

I

შემოღამდება და მთვარის შუქზე, აელვარდება შუბი და ფარი. თერმოპილესთან ბრძოლის გრიალით კვლავ გაინგრევა კლდოვანი კარი. თერმოპილესთან სამას სპარტანელს საქართველოსკენ მოაფრენს ქარი.

საქართველოსკენ ფრთიან რაშებით მოჰქრის ჰაერში ლაშქარი გმირთა. უკვე შორიდან მკვეთრათ მოცემით მძლავრი გუგუნე შევი ზღვის ზვირთთა, უკვე შორიდან მოჩანს თბილისი ტურფა ქალაქი ნაქარგი მზითა.

კრწანისის ახლოს შეაჩერებენ შორით მოსულნი გააფულ რაშებს. ჩამოხტებიან, მალა ასწევენ სისხლით შეღებულ ჯავარდნის დაშნებს. გაიშლებიან ნაომარ ველზე და მოელიან არაგველ ვაჟებს.

II

დარიალიდან არაგვის ტალღებს მაშინ ნიაზე მოჰყვება გრილი. იგი გადუვლის მცხეთის აკლდამებს, სადაც ნისლი დგას ფაფარაყრილი, სად ქართველის დედა დიად საფლავთან, დგას სევდიანი და თავდაზრილი.

გამოიღვიძებს მოხუცი გმირი, თვალებს გაახელს პატარა კახი, კრწანისისაკენ გაეშურება გამეხებული მრისხანე სახით,

რომ ისევ შუბი მტერს შეაგებოს, მკერდი გაუპოს მახვილის დახლით.

და როცა მისი მერნის თქარუნი სამას არაგველს შემოესმება, — წამოდგებიან აბჯარასხმულნი, სიკვდილის სალტე შემოეჭსნებათ, და შუქი მთვარის ნაომარ დროშებს ციურ კურთხევით გადაესხმება.

III

ორი ლაშქარი, გმირთა ლაშქარი ერთმანეთს ხედება კრწანისის ველზე. ორ დიად მეფეს და მათ მეომრებს გადაუწყვიათ მკლავები მხრებზე და უკვდავების შუქი თანაბრად ბრწყინავს მათ სისხლით შეღებულ ხმლებზე.

გათენებამდე სხივი დიდების, სხივი ნათელი ველს დასტრიალებს, აბიზინდება კრწანისის ველი, სისხლისფრად ვარდებს ააბდღვრიალებს.

გათენებამდე მთვარე ანათებს გმირთა ფარხმალს და რაშებს ფრთიანებს.

მაგრამ, როდესაც რიყრაყის ისრით გაიგმირება ლამე და ბინდი, — გაიყრებიან თავდადებულნი, ჩამწკრივდებიან კიდიდან კიდით და შორდებიან ერთმანეთს მაშინ მეფე ერეკლე და ლეონიდი.

ხაჩიზონ პაჩოვშილი

ზღვათაჲს

მე შენს წიაღში ყრმობის დღეთა მახსოვს მარულა,
როცა ვსერავდი ზვირთების მთებს მარდი მხარულით,
სიციოცხლეს ვრაცხდი სიხალისედ და სიხარულად,
მკერდში დვიოდა ქაბუჯური ცეცხლი ფარული.

ზღვაო, შენა ხარ ყარიბ გულის სავანე ვრცელი,
კვლავ შენთან მოველ, უშენობით ველარ გავქელი,
დავტოვე ქუჩის კრიამული და ღრიანცელი,
დიდი ქალაქის მღელვარება სულის მძარცველი.

ო, მომაფრქვეი ნაზი ფშვინვა სულის მალამოდ.
იდუმალებას მაზიარე დაუსაბამოს!

ვიშ მდუმარებაჲ, საოცნებო და სანეტარო!
ზვირთების რხევით წყალს მიაპობს თეთრი თოლია.
შენებრ ერთგული მეგობარი მე არ მყოლია,
ო, ზღვაო ჩემო, დაკოდილი გულის ნეტარო!

მსურს სამუდამოდ შენთან ვიყო, სილაღეე მიწის,
ვუცქირო შენს მკერდს — ქაელთა სხივით რომ მოქარგულა...
გაფრინდა ყრმობა, მაგრამ ხსოვნა არ დაკარგულა
იმ ოქროს დღეთა და სახშილით გული კვლავ იწვის!



გერმანულ-საბჭოთა
ციმბირის პაპა
პოემა

„იქნებ ბრძოლებში სხეული მძლავრ დაიფაროს კრილოვებით, რომლებიც თავს შეასწავნიან მეომარს ღრუბლიან ამინდში თუ წველიწადის დროსა ცვლაში. მაგრამ იგივე კრილოვები მოაგონებენ მას საკუთარი ცხოვრების უნაადრეს დღეებს. ეს ის დღეებია, როდელიც აღაძვლებენ მეომარს და განასხვავებენ მას ცხოვრების წუმბეში ნაფლულთაგან. ის დიდებული დღეები უმადლეს ჯილდოდ იქცევიან მისთვის — განვლილ ტანჯუათა სანაცვლოდ“.

(ნესტორ კალანდარიშვილი, ავტობიოგრაფია).

„იპონელები იძულებულნი გახდნენ დიდი დანაკარგით დაეხიათ უკანა სადგურ სოხოზდოსაკენ. კალანდარიშვილის მიერ გაწეულმა ენერგიულმა წინააღმდეგობამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ზაეის დაღებას და იპონელებს ჯარების აღმოსავლეთისაკენ გაუქანას.“

(„პრავედა“, 1920 წ.)

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საოცარ ომზე,
ციმბირის ლომზე,
სისხლის გუბეზე
და ცრემლის ტბაზე,

ღროზე, როდესაც
არ იცის კაცმა
ვისი მახვილი
ვის გულ-ღვიძლს
პლატრავს, —

თორმეტი წლისას
შიამბო შამამ
და პა, მოთხრობა
იწყება ასე:

მცირე დაბაში ბაიკალის პირად,
ოფლის, თამბაქოს, სელიოდვის და არყის სუნად,
რომელიც ყარს, —
ათი ათასი ცხენოსანით, მდინარესავით,
შემოდის ზანტად ციმბირის პაპა...

ეს არ გეგონოთ პუგაჩოვი ემელიანე!
 იცოცხლე — წვერი ამას ჰქოხდეს, როგორც ნიჩაბი!
 მაგრამ გურული ბაშლიყი ამხელს
 და ცხვირი ამხელს არწიველი — კალანდარიშვილს!

ბარე ორ ვერსზე — სუნი ცხენის და მხოლოდ ცხენის,
 თელემს შავ ულაყზე
 მთელი კვირის უძინარი ციმბირის პაპა...
 მოსულმა სუნმა დამხვდულს აჯობა
 და...

ცხენის სუნით იტენება პაწია დაბა.

ხოლო კაბაკებს სახელგანთქმულ ბაიკალისას
 რა დააწყნარებს? ვინ დააწყნაროს? რით დააწყნაროს?!
 ფეთქავენ ზნელში შავი კრაქები
 და დაპბლავიან ბრადიაგები
 დილა მდე

გარმონს.

მცირე დაბაში ბაიკალის პირად,
 ოფლის, მახორკის, სელიოდკის და სპირტის სუნად
 რომელიც ყარს, —
 ათი ათასი ცხენოსანით, მდინარე სავით,
 შემოდის ბინდში ციმბირის პაპა...

ის გაამეფებს ხეალ დილით რეცკომს,
 ის დააწყნარებს უგუნურ კაბაკებს,
 ის გადიქროლებს შავ ტრამალებს
 და ტელეგრაფის ბოძებზე დაჰკიდებს
 აღმირალ კოლჩაკის ატამანებს!

• • •

ათი ათასი მერანი ფრთხვინავს,
 ათი ათასი მხედარი ზერინავს;

ძილს მისცემია ძელური დაბა,
 გართხმულა ტახტზე ციმბირის პაპა;

მოფენილია იატაკი ყველგან მაზარით,
 ოხრავს, ბუზლუნებს ბაიკალი უზარმაზარი.

გასარჩევია მოყვრისგან — მტერი!
 ჩაპხუტებია

კარაბინას

რუსეთი მთელი..





აგიშვერია მალა
ლომის დრუნჩი და ნესტო!
შენ აქ რა გინდა ახლა,
ამ ბაიკალთან, ნესტორ?!

გასარჩევია რუსეთს,
ნესტორ, მოყვრისგან მტერი!
მკერდზე ნაბადი გხურავს,
ზედ გიფენია წვერი!

ეს არ გეგონოს ფოთი,
არც გურიაში ჯანყი!
შორსაა ნასაყირალი,
შორსაა შენი ხალხი!

აგიშვერია მალა
ლომის დრუნჩი და ნესტო!
რამ მოგიყვანა ახლა,
ამ ბაიკალთან ნესტორ?!

ათი ათასი მერანი ფრთხვინავს,
ათი ათასი მხედარი ხვრინავს,
ძილს მისცემია ძელური დაბა,
გართმულა ტახტზე ციმბირის პაპა...
ის გაამეფებს ზეალ დილით რვეკომს,
ის დააწყნარებს უგუნურ კაბაკებს,
ის გადიქროლებს შავ ტრამალებს
და ტელეგრაფის ბოძებზე დაჰკიდებს
ალექსანდრ კოლჩაკის ატამანებს!

თ ა ვ ი მ ე ო რ ა

მაგრამ გათენდა ცხრაას ოცის სექტემბრის დღი —
კარგად არც იყო გათენებული!
გაქნებული შედგა ცხენი შტაბს-ბინის წინა —
კარგად არც იყო გაჩერებული!
მიწაზე გაჩნდა მალემსობოლი სწრაფად და ცქაფად —
გულშაგს მიუგდო ალვირი ცხენის...
გამოეგება, გამობრძანდა ციმბირის პაპა
და წუთის შემდეგ
მთელი შტაბი ყვიროდა:
— ლენინ!

იყო დეპეშა მოკლე და ზუსტი,
არ ფრიალებდა ხელიდან ხელში,
რადგან ჩასცქერდა სარდალი კუშტი
და ოფლს იწმენდა ოხერიტ და ხენეშით;

კმაყოფილ იყო ბელადი, ჩანდა —
 კრემლში იწვევდა სასწრაფოდ სარდალს —
 იყო დეპეშა —
 მოკლე და ზუსტი!..

შეკრბა გონგოტის დივიზიის მთელი სარდლობა,
 ეამა ყველას ბრძენის მადლობა...
 გვერდზე რჩებოდა მცირე ხნით ომი —
 კრემლს მიდიოდა ციმბირის ლომი!
 კრემლს მიდიოდა ციმბირის პაპა —
 წინ იყო ბევრი ზრუნვა და ჯაფა...
 და დივიზიის კომისარმა გასცა ბრძანება
 გონგოტის გმირის
 ღირსეულად გასამგზავრებლად...)

უპირველესად მოუხმეს დალაქს —
 გამოაჩინა ნესტორმა ეშვი.
 მაგრამ მიუგეს: — სატახტო ჭაღაქს,
 ისიც ლენინთან!
 • და ისიც — კრემლში!
 აგრე ვერ წახვალ, არ თქმულა არსად!
 უხერხულია
 ტყისკაცით ლენინთან წასვლა!

მაგრამ დალაქიც ქართველი გახლდათ,
 მაშასადამე გახლდათ მგოსანი!
 ბრძანა დალაქმა ჭურთუყის გახდა
 და თვისი მსჯავრი გასაოცარი,
 თქვა: — ენდეთ ჩემსას აზრსა და ცოდნას,
 ღირს ვიყო თქვენი რისხვის და წყრომის,
 მომჭერით ხელი — შევაკლებ ოდნავ —
 ვინ გაიგონა
 გაკრეჭა ლომის!

ესიამოვნა უაღრესად ციმბირის პაპას,
 ჩახედა სარკეში თავის ლომურ წვერსა და ფაფარს,
 ახედა სახეში ოცი წლის დალაქს —
 მოუთათუნა თათი მშასავით,
 არ გადათქვაო, — უთხრა ქართულად,
 თვარა გამკრეპუნ ეს ოხრები —
 თხასავით...

ვიდრე დალაქმა სიფრთხილით კრიჭა,
 ზაზინადარი დაბრძანდა დინჯად,
 ზაზინადარმა გზის ხარჯი თვალა,
 ახლა სანიტრებს მოუხმეს ჩქარა.

ექვსმა ვაჟაკმა აბანო ანთო,
საქენი შეშა ხერხა და ხერხა,
ექვსი აგურიტ გულ-მკერდი ფართო
ექვსმა ვაჟაკმა—

ხეხა და ხეხა...

ბოიარსაგით

გრძელი ჯუბა ჩააცევს კვერნის,
წელს საგარეო დაჰკიდეს ხმალი —
გაპრა შეეძლო მას მხოლოდ ყველის,
მოპრა შეეძლო მას რადგან თვალის!

ჩამოუარა სარდალმა გმირებს,
თანამოსანგრეთ პეერი ომისას;
თვალში ჩახედა მშობელმა შეილებს,
გადაეხვია ძმურად კომისარს.

უეცრად, თვალზე ცრემლმა დასთოვა,
თქვა: — თქვენთან რჩება ჩემი აჩრდილი...
და ბაიკალის პირად დასტოვა
გონგოტის დივიზია —

შეილივით გაზრდილი!

თ ა ვ ი მ ე ხ ა მ ე

ვინ დაიწუნა ლექსი სიმოკლით! —
მაგრამ ეს ლექსი იქნება გრძელი:
გარბის სარკმელი — მგზაურის ბინოკლი,
და გარბის თვალწინ რუსეთი ვრცელი.

ცხრა დღე იმგზაურა მოსკოვისკენ ციმბირის პაპამ,
საპიროება არ მოითხოვს აღწეროთ ის —
თუ რარივ ძნელი იყო მაშინ გავლა ამ გზის,
თუ რაოდენი გარდახდა ჯაფა!
რამდენი ღამე თეთრად გატეხა!
რამდენ სადგურში იდგა რამდენ ხანს!
თუ როგორ გული გაუწვრილდა ამდენი დგომით!
თუ როგორ იყო დანგრეული ქვეყანა ომით!
მიპრიალებდა ეშელონი თუ როგორ ზანტად —
თუ როგორ დახვდა ტაიგაში კრასნოვის ბანდა...
ცხრა დღე გასცქერდა ბინოკლიდან რუსეთის მთა-ბარს
და პა,

მოსკოვში მიაბიჯებს ციმბირის პაპა.



• • •

სადგურში დალაქს გამოსთხოვა ჯაგრისი —
ჩამოიწმინდა ცხრა დღის ტალახი.
წითელი ოქრო დააგდო და დადგა დაბლის წინ —
სითამამისთვის —

თლილი კიჭა გადაჰკრა არაყი...

• • •

ის მიიყვანა ზედ კრემლთან ეტლმა,
გზაზე ყველაფერს თვალებით ვამდა:
სამხედროები შენიშნა ერთგან,
სხვაგან — სამხედრო არსადა ჩანდა.
გადმოსასვლელი ჩახერგა ბეჭით,
გადმოეხირა ეტლიდან ფუთით,
შედგა და მოსკოვს გახედა ეჭვით,
გონგოტის ლომი

ჩაფიქრდა წუთით...

არ მოეწონა პაპა ნესტორს ბულგარი ტვერის —
ამას უთუოდ მოახსენებს ნესტორი ლენინს!

არ მოეწონა პაპა ნესტორს ნიკიტსკის ხიდზე —
დიღვაჰარი და ბარე შვიდი ბეჭედი თითზე!

პუშკინის ბაღში ჩამომსხდარი საეჭვო წყვილი!
და გენერალი „გენერალშით“ — კასრივით მსხვილით —
პაპიჩვენისკეხ

წალებულ ცხვირით!..

არ მოეწონა პაპა ნესტორს ბულგარი ტვერის —
ამას უთუოდ მოახსენებს ნესტორი ლენინს!

მე შენ გეტყვი და, არ დასჭირდეს მიწერა ფოსტით!
შავი ცილინდრით და შავი ტროსტით
აუელ-ჩაუელის კლასობრივი ჯენტლმენი ბალს,
რევოლუციურს ზედ არ უყურებს რუსეთის ხალხს
და....

დაასეირნებს

უნასივით გალიბულ ძაღლს!

შავი ცილინდრით და შავი ტროსტით!

მე შენ გეტყვი და, არ დასჭირდეს მიწერა ფოსტით!



ამას უთუოდ მოახსენებს ნესტორი ლენინს.

და დეპეშაზე,

ყოველ შემთხვევისთვის,

შევილო ხელი...

ის მიიყვანა ზედ კრემლთან ეტლმა,

გადმოსასვლელი ჩახერგა ბეჭით,

გადმოეხირა ეტლიდან ფუთით,

ჩაფიქრდა წუთით... და გააღაჯა

წითელი მოედნისკენ...

თ ა ვ ი მ ი ო თ ხ ა

ერთმა ასწავლა: — მარჯენივო!

მეორემ: — მარცხნივ დაპყეო!

გარს უელის ნესტორ გაღავენს,

გართულება საქმე...

„ამ ჩემს პატარა საყდარას

კარები ვერ ვუნახეო!“ —

ძველი ქართული ლექსი

გამახსენდება აქ მე.

შემოუარა ნესტორმა

წითელ გაღავენს დინჯად,

და უცებ... მაღალ ჭიშკართან

თვალი დაადგა სალდათს:

პატარა ტანისა იყო,

მაგრამ კი იდგა უინჩად —

აღბათ სინჯავდა სალდათი

კრემლში შესასვლელ მანდატს.

რევოლუციის სალდათს

რევოლუციის სალდათის

გულზე მოეცხო დანახვა,

ესიამოვნა ფრიად;

დეპეშა მოიმარჯვა და

გალიმებული გადადის,

თან ჩქარობს, ბეჭი მიასწროს

ჭიშკარს, დარჩენილს ღიად.

მაგრამ იმ მოკლე სალდათმა

მოკეტა ჭიშკრის ღრიჭო,

ოთხად მოკეტა დეპეშა —

ნესტორი პასუხს ელის —

ბატონკაცურად უბრუნებს,

თან ეუბნება: — ბიჭო!

არა სცალიან ლენინს!

ამასობაში გაძვრა

ღრიჭოში ვიღაც მუშაგი,

შინაურულად გაძვრა —

არვინ ჩააგდო ხალხად...

გონგოტის გმირი ფიქრობს:

აღბათ, შეცდამა გუშაგი,

ისევ აჩეჩებს დეპეშას:

— წაიკითხეო კარგად!

გუშაგი ისევ უბრუნებს,

თან ეუბნება აგდებით:

— ვიცოდე, შეგნებულეები

ნეტაეი როდის გახდებით!

თუ ტყით მოსული არა ხარ,

თურქი ხარ, აღბათ, ტომით!

ბავშვმაც კი იცის, ილიჩი

სად დადის შაბათობით!

სისხლი აემღვრა ნესტორს,

უთხრა: — ვით მკადრებ, შევილო!

შენისთანეები ციმბირს

ათასობითა მყვანან!

სალამი როგორ დამასწრონ,

სუყველა იმას ცდილობს,

თვალი თუ დამკრეს ვერსზე,

უკვე სმენაზე დგანან! —

ხელი უტაცა თოფში,

დასწვდა, დაპლუჯა ჯუჯა.

იმან პაროლი იყვირა —

ხიშტით გაიგესო ქუჩა...

და მობრუნება ნესტორმა

ვერც კი მოასწრო კარგად,

ჩამოეკიდნენ მკლავებზე,

შემოეხვივნენ ალყად.



და უცებ გაიჩხრიალა
 შიგნიდან კიშკრის ჯაჭვმა,
 გაიღო კრემლის კიშკარი,
 მოცოცავს, მოცოცავს ავტო...
 თავი გამოპყო იქიდან
 კაკარდიანმა კაცმა
 და ეკითხება ერთს:
 — ჩოჩქოლი რისგან გაქვთო?

ნესტორმა გაუწოდა
 თვისი დათვური თათი,
 ერთმანეთს გაუსწორდა
 მაშინ თვალეზი მათი.
 მიხვდა ნესტორი ყველაფერს,
 პირზე შეაშრა სიტყვა...
 და ილიჩს მისი მარჯვენა
 მლიმარს ხელთ ეპყრა დიდხანს.

მისცივიდნენ, წერილად უამბეს,
 ქუსლზე მიდგმული ქუსლით:
 — თქვენთან შემოსვლას ითხოვს,
 არ დაიშალა — ვუშლით!
 „რომელიაო? — იკითხა, —
 აქ მომგვარეთო, ვუცდი.“
 წინ წარსდგა გმირი გონგოტის —
 ვეებერთელა და კუშტი...

ერთ წამს შებრუნდა შოფრისკენ,
 კვლავ შემობრუნდა უშალ,
 საათს დახედა, ჩაფიქრდა
 გასაოცარი კაცი:
 მანქანისაკენ უბიძგა,
 უთხრა: — პატივი სტუმარს!
 დასვა, მიუჯდა გვერდით,
 შოფერს უბრძანა: — გასწი!

თვალი გადაჰკრა დეპეშას,
 ასევე ნესტორს სწრაფად.
 წარბი ვახსნა და ღიმილი
 გადაეფინა ლხენის,
 უშალ გააღო კარი,
 ძირს გადმოვიდა ცქაფად,
 შეაჩერდა და უცებ
 უთხრა: — მომეციო ხელი!

და გასრიალდა მანქანა
 და კვამლის ბოლქვი გაჰყარა
 და აზრიალდა სატახტო
 ქალაქი ფუტკრის სკისებრ;
 შორს დარჩა კრემლი ქალარა,
 ხოლო სალდათი პატარა
 კვლავ უდგა ხელხიშტიანი
 წითელ გალავანს ისევ.

თ ა ვ ი მ ა ხ უ თ ა

ეს არის და ეს! წერილად აღწერას
 მოელის, ალბათ, მკითხველი ჩვენი,
 მაგრამ სხვა წყარო არ გვაქვს ამჯერად,
 თუ როგორ შეხვდა სარდალი ლენინს.

ათასგვარ არქივს ლამპრით დავეციო,
 ათასგვარ ეტრატს — სანთლით შელგენთილს, —
 სხვა არაფერი მეტი არ ვიციო
 ციმბირის ლომთან ბრძენის შეხვედრის!

ეს არის და ეს! ლეგენდა ივლის,
 და გულს აკლია მკითხველს და მხატვარს:
 რა ჰკითხა გმირმა საყვარელ ილიჩს?
 რა უპასუხა ილიჩმა სარდალს?



რა საქმეებით გული ღელავდა?
 რა მასლაათი, რა აყო მაინც?
 რა დაავალა დიდმა ბელადმა
 რევოლუციის წარბშეკრულ რაინდს?

ათასგვარ ეტრატს ლამპრით დავეციოთ,
 ათას ფოლიანტს სანთლით შედევნთილს, —
 სხვა არაფერი მეტი არ ვიციოთ
 გონგოტის ლომთან ბრძენის შეხვედრის.

ჰყვებიან მხოლოდ: ის ოცი წელი —
 ის ცხრაას ოცი, კუშტი და მკაცრი,
 ვისაც კი ახსოვს — მოჰყვაო ლენინს
 კრასნი პრესნაზე მალაღი კაცი.

მოშაბათეთა იდგა ძახილი,
 მაგრამ ის კაცი არჩევდა ღუმილს.
 იყო ლენინი — სიტყვაშეხვილი,
 იყო ის კაცი — მორცხვი და ჩუმი.

ჰქონდათ ბაასი, უქმად არ დაშთნენ.
 ურთიერთ ზრუნვის და რჩევის ნიშნით
 უთხრა ილიჩმა, როცა მორს წასწვდნენ;
 — ეგ მალხერი შრომაში გიშლით!

ათასგვარ არქივს ლამპრით დავეციოთ,
 ათას ფოლიანტს სანთლით შედევნთილს, —
 სხვა არაფერი მეტი არ ვიციოთ
 ციმბირის ლომთან ბრძენის შეხვედრის.

ოლონდ ის ვიციოთ: იბლავლა ტევრში,
 ოცი დღის შემდეგ შაბათობიდან,
 გონგოტის ლომმა, და მოსკოვს, კრემლში,
 ბაიკალიდან ამბად მოვიდა,

რომ იცელება დროშების ტევრი,
 რომ იწერება ქვეყნის დიდება!
 ესკადრონებით მღვეფური მღვეფრის
 არის ომი და ცეცხლის კიდება!

და ვიციოთ კიდევ: იმ ძნელ ზამთარში
 რაც ფრუნზემ კრემლში ლენინს აცნობა
 და შაეით თეთრზე შემდგომ „პრავდაში“
 ეწერა ქართველ კაცის კაცობა:

არა უბრალო დიდება ქროლით!
 თავის განწირვა! ანუ გმირობა!..



გონგოტის ლომმა, გონგოტის ბრძოლით
ხალხს

მთელი ზავი განუპირობა!

ასე ეწერა მართალ ქაღალდში
და „პრავდა“ ერქვა იმ მართალ ქაღალდს,
რევოლუციურ ქვათა დაღადში
კისრამდე ვარ და

ზანს ვაძლევ ლაღადს!

თ ა ვ ი მ ი მ ბ რ ი ს ა

თუმცა მთელი ციმბირი
მშიერი და ტიტველია,
მადლობა ღმერთს —
წითელია — დღე! წითელია — მზე!
წითელია დროშა! წითელია სისხლი!
ყველაფერი —
წითელია!

მიახვრიტეს კრასნოვი
ლამის ოჯახიანად;
ხოლო პეპელიაევს,
თავის კოლჩაკიანად,
ანგარაში უკრეს თავი.
კოლჩაკს — დეზები აქვს,
ოლონდ — წყალში, ძამია!
სადაც კაციჭამია
საენიანი თევზებია...

სიხარულის ყვირილი,
გადარევის ბღაველია!
და ირკუტსკის თავზე —
საოცარი ყვავილია!
ეს — არც მაგნოლიაა,
არცა — ლევკომია!
ეს ყვაველი, ძმებო —
რევკომია!

აღარა ვართ ალყაში —
ეცხოვრობთ ახლებურად!
მაგრამ ხმალი ქარქაშში
ჯერ არ ჩაგებულა!
ექებს ბაიკალში
სამურაი ღია ფონებს —
მისდევს მთელი რუსეთი
ღრჯოლებიან იაპონელს.

და გონგოტის გპირებიც
მისდევენ და მისდენიან.
თუმცა მთელი ციმბირი
მშიერი და ტიტველია,
მადლობა ღმერთს —
წითელია — მზე! წითელია — დღე!
წითელია დროშა! წითელია სისხლი!
ყველაფერი —
წითელია!

• • •

და ციმბირის პაპა
ახლა ცოტას ისვენებს.
რაც გადახდა ჯაფა,
კაპიკ-კაპიკ იხსენებს:

გონგოტის დივიზია
იაპონურ საზღვართან —
საკუთრივ იმისია,
სულ შვილივით გაზარდა.

და კოკრიან ცერს
კალმისტარი არ იმშვენებს;
მემუარებს წერს —
მთელ ცხოვრებას გაიხსენებს.

აი ტკბილი კორდი,
— ნესტორ! — მშობლის დაძახება.
გურია და ფოთი
და პირველი აჯანყება!

აი, უკვე კრებები!
ქერჩი! დაპატიმრება;
პირველი ოცნებების
ულუთოდ გაბათილება!

სადაც ცეცხლი ბრიალებს,
იქ ტრიალებს მარტორქა!
ოდესა და კიევი
და პირველი კატორღა!..

დამარცვლილან დღენი —
დახარჯულან ბრძოლებად,
მთელი ოცი წელი —
უნაგირზე ცხოვრებად!

და კოვრიან ცერს

კალმისტარი არ იმშვენებს;
მემუარებს წერს —
მთელ ცხოვრებას გაიხსენებს.

ირკუტსკისკენ არწივი
ჰა, ოქტომბრის შემოსელას
წინ უძღვის და დასუყივის
ათას ხუთას ცხენოსანს.

ჰა, გონგოტის აჩრდილი!
ცხენს დაქრილი მიაჭროლებს.
ჰა, მეორედ დაქრილი
თავს უჩეხავს იაპონელს...

აი, მამა ლენინი —
ბრძენმა გმირი შესძრა.
გზა დიდებით ფენილი —
პარტიაში შესვლა...

სად წასულან გონგოტის
გმირები და სად არიან?!
ჰა, გონგოტის ლომი
მთელი აღმოსავლეთის
პარტიზანთა სარდალია!

დაკოყრებულ ცერს
კალმისტარი არ იმშვენებს;
მემუარებს წერს —
მთელ ცხოვრებას გაიხსენებს.

ჩააწო და როგორც
უნაგირზე მოიხარა...

აქ რა გინდა, ნესტორ,
კორეაში მაინც
რალამ მოგიყვანა!



კალანდას და ნენას
გურიაში ნატრობ!
ჯარებს რევოლუციურს
კორეაში სარდლობ!

გაიხედა ფანჯრიდან —
ბაირალი ფრიალებდა;
ხან ჰკეცდა და ხან შლიდა —
სიმღერა რომ გრიალებდა...

შშობლიური არ იყო,
მაგრამ იყო მახლობელი,
რადგან იყო ხიშტებში
ის სიმღერა ჩალობილი...

შემოენთო გულს
სტრიქონები ახალი;
რალაც — ფანტიკური,
რალაც — უღეთოდ მაღალი,

როცა — მხოლოდ სიცოცხლე!
სხვა — ამქვეყნად არ გვერა!
და ლომკაცის ხელმა
ახლა თრთოლვით დაწერა:

„იქნებ ბრძოლებში სხეული მეომრის-
აურაცხელის დაიფაროს ჭრილობით, —
შეახსენებენ ღრუბლიან ამინდში,
თუ წელიწადის დროთა ცვლაში
რომელნიც თავს!
მაგრამ იგივე ჭრილობები მოაგონებენ
თვისი ცხოვრების უნათლეს დღეებს,
აღმალლებენ დღეები მეომარს,
განასხვავებენ ჩაფლულთაგან
ცხოვრების წუმპეში!
და ის დღეები,
საფასურად განვლილ ტანჯვათა,
უმაღლეს ჯილდოდ
იქცევიან მეომრისათვის!“

თ ა ვ ი მ ე ზ ვ ი დ ე



აღსავლითაც უწიოს
რათა ცეცხლმა ტატნობს, —
ჯარებს რევოლუციურს
კორეაში სარდლობს.

ლაშქრად ხშირად გადიან
და, თუ ხმაღში ზღაპრულია,
შტაბში, დილაადრიან
ათას ფიქრში ჩაფლულია.

და, სხვა ფიქრებს შორის,
თუ უომრად გათენდება,
ნესტორს, პირველ ყოვლის,
საქართველო ახსენდება.

ოცდაერთი წელი,
თებერვალი თოვლიანი...
საქართველო მწველი —
ტკბილია და შორი არი...

ფიქრებ-მორეული
დგას და სარკმელს გადაპყურებს.
კარზე კორეელი
მეკავშირე აკაუუნებს...

შემოვიდა ყმაწვილი —
მემანქანის გვერდით დგება,
მერე კისერ-წაწვდილი,
საიდუმლოდ ეკითხება:

— ეამება ნამდვილად?
გაიხარებს — ნათელია!
ჩვენი მთავარსარდალი,
თუ არ ეცდები, ქართველია!..

გამოართვა გაზეთი,
ჩაიკითხა მემანქანემ,
უთხრა ყმაწვილს: — გაჩერდი,
მე მივალ და მე ვახარებ!

მიეახლა სარკმელთან,
ზედ რაფაზე გაუფინა.
ჯერ უგულოდ დახედა,
უცებ — ეღვამ ჩაურბინა;

შემობრუნდა ვაქცაცი,
მეკავშირეს დააკვირდა,
მერე თვალთა კაშკაშით
ისევ გაზეთს ჩააფრინდა...

არ ცდებოდა ყმაწვილი —
გული მძლავრად ხშიანებდა:
დროშა — გულის ნაწილი —
მამულშიაც ფრიალებდა...

იმ დროშის ქვეშ ენთო
მშობლიური ცა ნათელი!
იმ დროშის ქვეშ ენთო
საქართველო სანატრელი!

გული ცეცხლად აენტო
და საცაა დაიწვოდა.
ვისთვის, ვისთვის გაენდო —
არ იცოდა!

შემობრუნდა გიცივით —
კიბე უცებ ჩაირბინა:
თოვდა, თოვდა! — ყიყინით
ზეცა ფეხქვეშ გაეფინა...

დაცხრი, გულო, დაცხრი
და სიჯარულს გაუძელი!
თოვდა, თოვდა გზაში,
ედებოდა ლაჯში —
თოხიტარა მალეზერი.

• • •

ნესტორ, გეამაყება
შენი ზალხის შეილობა!
და ჰა, მესმის ლომური
ბუხუნი და ძაბილი:
კორეაში, ნესტორ,
კომუნისტურ ყრილობას
ესალმები საბჭოთა
საქართველოს სახელით!
ტრიბუნაზე გიწყვია
ვეებერთელა ხელები,
შენს წინ კორეელი
ლომკაცების გუნდია!

უცებ... მოგელანდება
 იისფერი სერები —
 ოდას წყვილი ჰადარი —
 სანთელივთ უნთია...

• • •

მაგრამ დახე კულაქებს! —
 სხვა ფიქრები აწვალევენ!
 ახალ იმედს ამწვანებენ!
 ასუქებენ ულაყებს —
 სუფთა ხორბალს აძალებენ!

კულაკს ფეხზე ჰყიდია,
 რუსეთი თუ მშვიერია!
 პურს რომ ვეღარ ჰყიდიან,
 ახალ კოლჩაკს მიეღიან!

ის ახალიც — ფუ, ლაყე!
 ფეხს ითრევს და აგვიანებს!
 ყველგან ნახავ კულაქებს —
 მსუქნებსა და ნაღვლიანებს.

და რამდენიც ზღაპრად
 კლდეში იაგუნდო,
 იმდენ კულაკს ითვლის
 თურმე იაკუტია,

უნდათ ლაშქრის დაძვრა —
 ახალ კოლჩაკს ეტრფიან...
 ხოლო ოცის ნაცვლად,
 ცხრაას ოცდაერთია...

ოცდაერთის ნაცვლად, —
 უკვე ოცდაორია:
 უკან რჩება მკაცრად
 წარბშეკრული კორეა —

ძალთა მთავარსარდლად
 ახლადდანიშნული —
 იაკუტიაშია
 კალანდარიშვილი!

და გონგოტის გმირს
 სულ სხვა ბრძოლა უწერია.
 ფურცელს სისხლი სდის,
 სისხლიანი ფურცელია..

თ ა ვ ი მ ი რ ვ ი

საოცარ ომზე,
 ციმბირის ლომზე,
 სისხლის გუბებზე
 და ცრემლის ტბაზე,

დროზე,
 როდესაც
 არ იცის კაცმა
 ვისი მახვილი
 ვის გულ-ღვიძლს
 ჰფატრავს, —

თორმეტი წლისას
 მიაშბო მამამ
 ჩვენი მოთხოვნა
 მთავრდება ასე:

კონაბრუკიდან მოდის ფურგონი —
 ირკუტსკისაკენ ზანტად მოგორავს;
 კონაბრუკიდან მოდის ფურგონი —
 შუა ჩაუვლის, ალბათ, ორ გორაკს;

კონაბრუკიდან გამოსულ ფურგონს —
 მოსდევს რაზმი და გზაშარა ბუღით;
 კონაბრუკიდან გამოსულ ფურგონს —
 ზედ აფენია მაზარა რუხი...

— ჰეი, სალამი, ჯარისკაცებო!
 ეხედავ, ხორბალი წამოგილიათ!
 — რევოლუცია ჰყვავის გარშემო,
 ყური რისთვისღა ჩამოგიყრიათ?!
 არ პასუხობენ ჯარისკაცები —
 მოამტვერებენ გზაშარას ბუღით,
 კონაბრუკიდან მოსდევენ ფურგონს —
 ზედ უფენიათ მაზარა რუხი...

— ჰეი, სალამი, კავალერგარდო!
 ეხედავ, ალაფი წამოგილიათ!
 — რევოლუცია ჰყვავის გარშემო,
 ყური რისთვისღა ჩამოგიყრიათ?!
 — ეჰ, — პასუხობენ ჯარისკაცები —
 ვერა, ვერ მალევენ სევდას და წუხილს.
 კონაბრუკიდან მოსდევენ ფურგონს —
 ზედ უფენიათ მაზარა რუხი...

— ჰეი, შეჩერდი, კავალერგარდო!
 მე ვიცი, ჭედი არ მოგიხრიათ!
 — რევოლუცია ჰყვავის გარშემო,
 ყური რისთვისღა ჩამოგიყრიათ?!
 — ხომ რჯულზე სჩება, ხომ რჯულზე ჰკაფა,
 დღე დაუბნელა და მზე კულაკებს?!
 ხომ მისცა ცეცხლი ციმბირის პაპამ
 დათვის ბეჩოებს და მგლის ბუნაგებს?!
 კონაბრუკიდან მოდის ფურგონი —
 მალე მოაღწევს, ალბათ, ორ გორაკს;
 კონაბრუკიდან მოდის ფურგონი —
 ირკუტკისაკენ ზანტად მოგორავს;
 კონაბრუკიდან გამოსულ ფურგონს —
 მოსდევს რაზმი და გზაშარა ბუღით;
 კონაბრუკიდან გამოსულ ფურგონს —
 ზედ აფენია მაზარა რუხი —

— ჰეი, შეჩერდი, კავალერგარდო!
 მე ვიცი, ჭედი არ მოგიხრიათ!
 — რევოლუცია ჰყვავის გარშემო,
 ყური რისთვისღა ჩამოგიყრიათ?!
 — ხომ რჯულზე სჩება, ხომ რჯულზე ჰკაფა,
 დღე დაუბნელა და მზე კულაკებს?!
 ხომ მისცა ცეცხლი ციმბირის პაპამ
 დათვის ბეჩოებს და მგლის ბუნაგებს?!
 კონაბრუკიდან მოდის ფურგონი —
 მალე მოაღწევს, ალბათ, ორ გორაკს;
 კონაბრუკიდან მოდის ფურგონი —
 ირკუტკისაკენ ზანტად მოგორავს;
 კონაბრუკიდან გამოსულ ფურგონს —
 მოსდევს რაზმი და გზაშარა ბუღით;
 კონაბრუკიდან გამოსულ ფურგონს —
 ზედ აფენია მაზარა რუხი —

შიგ ასვენია ციმბირის პაპა,
 შიგ ასვენია გონგოტის ლომი:
 ისვენებს — ბევრი გარდახდა ჯაფა!
 ისვენებს — ბევრი გარდახდა ომი!

ბევრი უღრანი ჩეხა და კაფა,
წარბი შეუყრავს რისხვით და წყრომით
შიგ ასვენია ციმბირის პაპა!
შიგ ასვენია გონგოტის ლომი!..

მზემ გადმოლახა სამზეოს ზღუდე —
მოსდევს ფურგონს და უმატებს ჩახჩახს.
ვაი, რა ბეჭი მაგ ფურგონს უდევს!
ვაი, რა მკლავი! ვაი, რა მაჯა!
წყველა და კრულვა უნასის ბუდეს!
წყველა და კრულვა კულაკის ნაჯახს!
მზემ გადმოლახა სამზეოს ზღუდე
მოსდევს ფურგონს და უმატებს ჩახჩახს...

და მზე თანდათან აწითლებს ღრუბლებს
და მზე თანდათან უფრო ანათებს.
დიდება წითლად გაჩეხილ შუბლებს!
დიდება — წითლად მოთხერილ ხალათებს!
დიდება — ბრძოლას! დიდება — ბრძოლას!
უნდა გებრძოლნა, რაილა გაჩნდი!..
და მზე ლიცლიცებს
და ცეცხლად ბოლავს
მზე — სისხლისფერი სპილენძის ტაშტი.

ეპილოგი

შენ იზრდებოდი პაწია კორღზე.
ეტრფოდი ქართულ მზესა და ბალახს.
მაგრამ არ მჯდარხარ მამულის ტოტზე
და, წაქცეული შორს ჩვენგან ფრონტზე
ახლა
ციმბირში გაპყურებ ქალაქს...

შვილს ვუანდერძებ: წინ გზაა შორი,
პირმშოს მხედრის და პირმშოს პოეტის
ალამაზებდეს დიდება ბრძოლის,
წმიდა ფარაჯით მართალთა შორის,
მართალთა შორის
იყოს ყოველთვის!

მეც გამივლია დაუძრაველი
ის ძნელი გზები, შენგან გავლილი;
მეც მიძებნია შენი მახვილით,
მეც მიპოვნია ცეცხლში წახრილი
თავისუფლების

გაპყურებ ქალაქს ამაყი ძეგლი —
ჩვენი შუბლი გაქვს და ჩვენი ცხვირი
თავზე გვირგვინი გადგია ეკლის —
შენ ხარ ყვირილი და არა ძეგლი —
თავისუფლების

ტურფა ყვავილი...

დიდებას ჰყვირო!

ორმოც წლის შემდეგ ხმაღს სინჯავ ცერით,
თავზე გადგვიფრენ ესკადრონებით...
არ დაგცემია შენ ქართველის ცრემლი,
ცოცხლად დაგკარგეთ ორმოცი წელი
და ახლა

ჩვენს მკედარს
გეპატრონებით!

ოჯია იოსელიანი

პარსკვავთცვნა

თავი მცხარამობა

სასწაულმოქმედი ღმერთი

თეთრი, ღრუბლიანი დღე იყო. თოვ-
და.

ჯერ შენოდგომის გრძელი და ცივი
წვიმები გადააბა, მერე თოვა მოაყოლა.
წყალი და თოვლი ერთმანეთში აირია.
მალე, მშრალ ალაგებზე თეთრად
დადო. ტბებში, ლაშევებსა და გუბეებ-
ში ყვითელი, ტალახისფერი გახადა
თოვლი.

სკოლიდან მუხლამდე სოველი დაებ-
რუნდი. ჩემი ფეხსაცმელი ისევ გაი-
რღვა და შინ მისვლისთანავე უნდა
გამეყვრა.

ზაზა სამზადის აივანში დამიხვდა,
ახლადგადაყრილ ნაკელზე ნისეულ ჩი-
ტებს უთვალთვალვდა.

— ცეცხლთან ვერ დაეტევი? — ვკი-
თხე მე.

— არ მცევა, ახალი წინდა მაკვია. —
კედელს მიეყრდნო და ცალი ფეხი
მალა ასწია.

— მეორეზე არ გცივა? — დავანახვე
მეორე.

— მეორეს დედა მიქსოვს.

— სახლში შემოდი, გაიცედები! —
ვუთხარი და სამზადში შევედი.

— კვამლია! — მომძაძაზა ზაზამ.

სამზადში მართლაც ორიოდღე ღერი
ნედლი შეშა ბოლავდა. ბებია კერიას-
თან იჯდა, ზურგზე შალი მოედო, კალ-

თაში ისევ თათია უჯდა და შევატყე,
ჩემი გამოჩენა გაუხარდა.

— მოდი, ბიჭო?

— მოვედი, ბებია!

დედა ზაზას მეორე წინდას ქსოვდა.
პირი ღია კარებისაკენ მოებრუნებინა,
რომ კვამლს თვალეში არ აეწვა.

თათია ღნაოდა, შეუძლოდ იყო,
ეტყობა, გაუცივდა ბებიას ამ მიმჭრალ
კერასთან.

ბებიამ ბევრევი ცალ მხარეს გადაიწ-
ვინა, წარკვინა ხელი გაითავისუფლა
და ჯიბეში დაიწყო ფათური.

— თომა არ გინახავს?

— არ მიჩხავს.

— არა, მართლა არ გინახავს? — ისევ
ჩამკითხა და გამომცდელად ჩაჩხვდა
თვალეებში.

— მართლა, ახლა კი არა, რა ხანია არ
მინახავს თომა.

— აბა, ეს მაინც წამკითხე, — ისევ
ამოიღო მამაჩემის უმისამართო წე-
რილი.

მიმჭრალ ცეცხლს დავხედე.

— მოიცა, ბებო, ჯერ ცეცხლი და-
ვანთო იქნებ.

— ჯირკი შემოიჩანე, — მითხრა
მან, — ცეცხლს ძრაველი უნდა, ბებია,
რავარც უკაცო ოჯახი არ ვარგა, ისე
უძრავლო ცეცხლი.

კოპიტის დაზუსტული ჯირკი შე-
მოვაგორე და შუა ცეცხლს კერის
ქვებთან დაუხდე, მერე შეშის მოსატა-
ნად გავედი, მაგრამ მამაჩემის მოძრა-
გებულ შესასავან ორად-ორი ღერი
დარჩენილიყო.

— რა მოჭრის ამ თოვაში ტყეს, —

გავიფიქრე მე და გამახსენდა: ეზიკამ მითხრა: წითელარმიელუების ოჯახებს ტყე უფასოდ ეკუთვნითო, — მაშინ როზელი ოჯახიდან ღებულობენ ფულს? — გავიფიქრე ჩემთვის.

ღარჩენილი ორი ღერი რცხილის შუშოდან ერთი გადმოვიღე, აივანში შევათრიე და ტარდამოკლებული ნაჯახით ჩეხვას შევეუდექი. ხმელი, დახვეული რცხილის შუშა ძვალვივით მაგარი დასახეხია. ზაზა ხელებში იყო მოჩერებული, როგორც კი ერთ ნაპობს ჩაიწოვებოდა, იმ წამსვე საბლში მიარბენინებდა, რათა ცეცხლი მალე დანთებულყო და დედასთვის კვამლს ხელი არ შეეშალა წინდის ქსოვაში. როცა ცეცხლზე ალი გამოჩნდა, ზაზამ თათიას დანახვა, ცდილობდა უხასიათო ბავშვი გაერთო.

— აი — ცეცი! — უქცევდა ენას.

ზე მახათი, ბამბის ძაფი და სანთელი მოვიმარაგე თითგამოვარდნილ ფეხსაცმლის დასაკერებლად.

— ზაზა! — მიეუბრუნდი, მაგრამ ზაზა იმ წუთში მიმიხვდა განზრახვას, ახალწინდაიხი ფეხი დამანახვა: ვერ წაეღ, ახალი წინდა დახეულ წულაში დამისველდებაო.

თვითონ გადავწყვიტე წასვლა, მაგრამ მომერიდა. ღებუთედ თუ შევექსედე ვნათხოვრობდი სერაფიონისგან სადგისს. სერაფიონი უარს არ მეტყუოდა, მაგრამ ძველი ნეჯდანე დღეს მთელი სოფლის პირველი ხარაზი იყო. მანქანის სქელი საბურავებიდან გამოჰრილ რეზინის საძირებებში დღეში ორი სადგისი არ ყოფნიდა.

ცეცხლთან მოთბობისა და დასვენების შენდევ თითგამოვარდნილ ფეხსაცმელებით ამ თოვლ-ჰყავში სიარული ძნელი იყო, მაგრამ გზას მაინც დავადექი. ვერიდებოდი წყალ-ტალახს. ღობის კიდევებს მივუყვებოდი, ფეხსაცმლის ქუსლზე ვდგებოდი, ვახტებოდი გუხეებს.

— მოდი, ბიძი, მოდი! — გადმომახა სერაფიონმა აიენიდან. იგი დაბალ

სკანზე ჩამომჯდარი ჯერჯერ შემისწავლობს თლიდა.

— მოდი, ბაბუ, მოდი — გამიმეორა ისევ, როცა აიენის სოხანზე თოვლიანი ფეხები დავაბაჯუნე.

— წამხდარი ყაძახი, — მომესმა ამ დროს სახლიდან, — რას უნახავს ამ მიწადასაყრელ მძორს, — ქაქანებდა სერაფიონის მეუღლე — ქვეყანა იქცევა და ეს ურცხვი კერიას ეთობდა, ეს ცეცხლში და მღუღარეში დასახრაკავი.

სერაფიონი ჩვეული სიდინჯით თლიდა ნაპობს და აინუნშიაყ არ აგდებდა ცოლის კაპასობას.

— რა პასუხს აძლევ დღეს იმ ადამიანს, — განაგრძობდა იგი მოხურულ კარებს მიღმა. — მარა სინდისი ვინ მოგცა შენ!

სერაფიონმა თავწათლილ შუშას მოკლე საცალხელო ხერხი დაადო და ასე ერთი ხელის დადებაზე დაუწყო ხერხვა.

— რავე დაგეძინა წუხელი, რავე მოხუშე მე დასავსები თვალები, თავი რავე არ მოიკალი და წუხელ არ მოუთავე! მამა ჰყავდეს, შენს ჯლანს ჩააცმევდა? მეტი არ დახვდი, შენ, შენს შვილებს ცოცხალი, ის ქალი ხომ დააღალატინა გუშინ. შე ღვთისა და კაცის მოღალატე. მიწამ გიღალატოს და პირი გიყოს შენ!

სერაფიონმა გადახერხა ნაპობს. მერე გადანახერხ ხელის დადება მრგვალ ნაჭერს სახარაზო დანით დაუწყო თლა.

— რავე არ უნდა გრცხვენოდეს ამ ხნის ყაძახს, შენ რატომ მოიყარე ამ ხნის. რატომ შავს მიწაში არ დაგტოვეს შენმა შვილებმა. ჩემი ბიჭები საცხა უნდა იხოცებოდენ და შენ ლოგინში უნდა გეძინოს? — ჩხაოდა გაკაპასებული სონია ბიცოლა. — რატომ გამოგადიოდა მამაშვიციერმა, რატომ დავანახა დღევანდელი ცისიერი.

სერაფიონმა გადანაჭერი დაამრგვალა. წვერში ძველი, ეანგიანი ლურსმანი ჩაუტყდა. მე მივხვდი, რომ ბებერი მეჯლანე სადგისს აკეთებდა. მერე



ქლიბით ლურსმანს თავი წაბრა და წვე-
რის წალესვას შეუდგა.

— შენი შეილების დამკარგავ მანას,
შენ რომ ქვეა მოგცა, სული რაფა გიდ-
გია პირში.

როცა სადგისი მზად იყო, სერაფიონი
ხელახლა შეუდგა ახლის თლას. დასიც-
ხული ძალღვივით პირდაბჩენილ ჩემს
ფეხსაცმელებს დახედა, თავი გადააქნია.

— ისევ გაირღვა?

— გაირღვა.

— ძაფს აღარ დაიმაგრებს, დამბა-
ლია! — დაასკვნა ძველმა მეჯღანემ
და ცოლს გასძახა:

— სონია!

— რა ცივი ქვა გინდა!

— გამოიხედე, ბოშო, გარეთ!

სონიამ კარები ღრიჭოდ შოალო:

— რა შენი სიკვდილი გინდა?

— ერთი შენს გახარებას, სხვენზე
ხბოს ტყავი ეგდო, თუ გახსოვს, და-
ნიძებნე ერთი!

სონიამ კარები მიახეთქა.

სერაფიონმა ისევ განაგრძო ნაპობის
თლა და მერე ისიც იმ ზომამზე გადა-
ხერბა.

კარებმა ისევ გაიჭრიალა. სონიამ
ხბოს ხმელი ტყავი ესროლა სერაფიონს
და წყევლაც ზედ მოაყოლა.

— ასე გაგიხმა შენ ვეკრდები!

სერაფიონმა საძირკველზე ჩამოდე-
ბული ნახშირი აიღო, ტყავის შიდა
პირზე რაღაც განოხაზა და მითხრა:

— ა ბაბუ, ამაზე შემოჭერი, ნიჭიე-
რად, ბაბუ! ტყავის გადაფხეკა ხომ
იცი, — და იქვე დაუმატა, — ნაცარი
დაყარე ბაღნიან პირზე და ნაჯახის ან
წალდის ტარით გადაფხეკე.

— ვიცი! — ვთქვი სიხარულით.

— პო, ნიჭიერად! — გამაფრთხილა
სერაფიონმა და ახალ სადგისს წვერი
წაუქლიბა, მერე ზე გადმოშცა და ისევ
გამაფრთხილა — ნიჭიერად, ბაბუ. ნი-
ჭიერად!

გახრიგინებული ხბოს ტყავი ილ-
ლიანში ამოვიჩარე, ახალი სადგისი

მუქში სასოვბით ჩაებლუჯე და საბლში
სირბილით გავიქეცი. ახლანდელმა
თოვლ-წყაპს ვერიდებოდნ, ახლანდელმა
ბეებს და არც წყალ-ტალასს.

გოჩას ჭიშკართან ჩემდა უნებურად
დავიყვირე:

— გოგონა!

რატომაც გოგონა დავიყვირე, აღ-
მათ, იზიტომ რომ გოჩას მამამისის ძვე-
ლი ჩემები ეცვა ჯერჯერობით და არა
უშავდა.

— გოგონა, გამოიხედე გარეთ!

გოგონა კარებს შოაღვა, გარეთ მარ-
ტო თავი გამოაყო.

— გამოდი, გოგონა, გარეთ!

გოგონა შებრუნდა და მერე ისე
დაადგა გზას, თითქოს ფეხზე წისქვი-
ლის დოლაბები ება.

— რა გაყვირებს? — ღკითხა უზარ-
მაზარ კალოშებში ფეხწადგმულმა.

— აი რა მაყვირებს, — ნიშნის გე-
ბით ვთქვი მე და ხბოს ტყავს მუშტი
დაეცხე. — ქალამანი არ გინდა? წამო-
დი ჩემსას!

— არა, — მოერიდა გოგონას და
უზარამზარ კალოშებს დახედა. „კლდეც
რომ წამოვიდე, ეს კალოშები ტალახში
ჩამრჩებაო“.

— წამოდი, წამოდი, გაკეთილებს
რომ აცდენ. უკეთესია?

— არა, მაგრამ მე სახლში ვმეცადი-
ნეობ...

— რას მეცადინეობ, ნახევარი სახელ-
მძღვანელოები არ გაქვს, ახლაც წამო.

გოგონას შიში გამართლდა. ნაფივით
კალოშებმა პირდაპირ გააწამა. ერთ
ფეხს რომ ამოიღებდა ტალახიდან, მეო-
რე წავიდოდა სიღრმეში, სანამ მეორე-
ზე შემდგარი ეჭაჩებოდა, ისევ პირვე-
ლი იძირებოდა. ბოლოს თოვლით დაფა-
რულ გუბეში ჩადგა. კალოში პირამდე
აეცხო წყლით. აივსო და გოგონა აღ-
გიღზე გააშეშა. ფეხის ამოღებაც აღარ
უცდია წყლიდან. დაბარბაცდა და მეო-
რე ფეხიც იქვე წყალში წაყო.

— მოდი! — ვთქვი მე და გოგონას
ხურგი შევეუშვირე—მოდი, მომეკატრე.

გოგონამ უსიტყვოდ მომხეიჱ კისერზე ხელები და მე ავიწიე, მაგრამ ვერაფრით მუხლი ვერ გავზართ.

— ამოიღე ფეხი კალოშებიდანს — ვიყვირე მე.

გოგონა, როგორც კი ფეხი გაითავისუფლა, მაღლა შევისროლე ზურგზე, კისერზე მოხვეულ ხელებში ტყავი მივეცი, ახლა ტვირთიანად ისე წავიხარე, გოგონა ლამის ყირაბალა ვადმოვარდა და ორივე ხელით კალოშები ამოვგლიჯე ცივი წყლიდან. გავიმართე. გოგონას ფეხები იღლივში ამოვიჩარე, გაყინულ ხელებში კალოშები დავიჭირე და გზას დავადექით.

გოგონა ჩვენი სამზადის აივანში დავუშვი. ფეხები ისევ სველ კალოშებში ჩაეადგმევიინე და ზაზას გაეძახე:

— ზაზა!

ზაზა აივანზე გამოსტა და გამეპასუხა.

— ჰოუ, გოგიტა!

— ქალამანი არ გინდა, ბიჭო?

— ქალამანი?

— ჰო, ახალი ტყავის ქალამანი, წინდები არ დაგესერება.

— მინდა! მინდა! — აცეკვდა აივანში ზაზა.

— აბა, მოზემარე! — ვუთხარი და გოგონა სახლში შევიყვანე.

— დაჯექი, გათბი!

— უი, ჩემი სიკვდილი! — ამოძახა დედამ, აძიკვივებულ გოგონას რომ შეხედა. სამფეხა ჯირკო ვადმოუდგა.

შემის ნაპობი დავუდე კერასთან, რომ სველი ფეხები ზედ დაეწყო და ისე მიეთბო ცეცხლისათვის, წინდა ნაცარში არ დასეროდა.

ბებია გვიან მიხვდა სტუმრის მოსვლას. კარგად დააკვირდა, როგორც კი შეიციო, ჰკითხა:

— გოგონა ხარ?

— კი, ბებია!

ბებიამ სველი ფეხებიდან ამდგარ ორთქლს დახედა და ისევ კითხა:

— თონა ფოშტალიონი არც შენ გინახავს?

მე და ზაზამ ტყავს ცხელი ნაცარი

დავყარეთ და ნაჯახის ტარის თავით ვფხვიეთ. ზაზას უკვირდა, როგორსა-მართებელივით აცლიდა ნისნ თავწამრგვალებული ტარი ბალანს.

მერე საქალამნეები შემოხაზულზე შემოვპერი ჯერ ჩემთვის, მერე ზაზას დავადგმევიინე ფეხი ტყავზე და ფეხის სიგრძე და განი ნახშირით დავინიშნე. ბოლოს გოგონას ჩამოვადგმევიინე წინდიანი ფეხი, რომელსაც ისევ ადიოდა თბილი ორთქლი.

ნარჩენ ტყავზე ჩემთვის გამოჭრილი საქალამნე დავადე, ისევ შემოვხაზე. ცალს ცოტა დააკლდა განში.

— ესეც ტუხუიას, — ვთქვი ჩემთვის და დაჭრილი ტყავები წყალში ჩავყარე დასაღობად.

მე კერასთან მოვეწყვე, ბამბის ძაფი დავგრიხე, გავსანთლე, ჯობიდან ახალი სადგისი ამოვაძერე. დედა წინდას ქსოვდა, ისევ სინათლისაკენ პირმიქცეული, ბებიას ხელები თავზე ჰქონდა შემოდგმული და ცეცხლს უპაროდ ჩაჩერებოდა, ზაზა გამოჭრილ ტყავებს იზომებდა ფეხზე. გოგონას, ეტყობოდა, ეუხებრხულეობდა რაღაც და თათიას ნაძალადევედ უცინოდა. თათია ბებიას ჩამოშკენარ ძუძუს ჩამოჰკიდებოდა და ძლივს შესამჩნევი წარბები შეეკრა.

— აღუ, — დაუძახა გოგონამ და ჯიბეები მოიხსრიკა, არაფერი არ აღმოაჩნდა ისეთი, მერე მე თეთრტარიანი სადგისი დამინახა, ხელიდან წამგლიჯა, წამახულ წვერში ორი თითი წაავლო და ძუძუმწოვარს თვალწინ დაუტრიალა. თათიას არ გაუცინია, მაგრამ ძუძუს ერთი წუთით მოეშვა, პირი დაალო და სადგისს წაეპოტინა.

— გოგიტა! — მიჩურჩულა გოგონამ და თვალეები კინალამ ვადმოუცვივდა ბუდეებიდან.

— რა იყო, გოგო, ფეხი ხომ არ დაიწვი, — შიშველ ფეხებზე დავხედე

— გოგიტა! — ჩამიჩურჩულა ისევ და თათიას პირთან მიუტანა თითი.

მე თათიას ტუჩებს შორის გამოჩრილ ენას შევხედე. თვალეებს ვერ



დაუეჯერე. გოგონას გადახედე, მანაც თავი დამიქნია და მთელი ხმით ვიყვირე:

— ბებია!

— რა მოგივიდა, ბიჭო? — მომიბრუნდა ბებია.

— რა ღმერთი გაგიწყრა! — გადმომხედა დედამ ისე, რომ წინდის ქსოვა არ შეუწყვეტია.

ზაზა აღგა, ახლოს მოვიდა ჩემთან, ალბათ, იმის გასაგებად, სადგისი ხომ არ გავიყარე ხელში.

— ბებია! — ისევ დავიძახე მე დავერ ვთქვი, რასაც ვხედავდი.

თათიას ტუჩებზე და გაღებულ პირში რძე დაეუნახე. ჩემს ყვირილზე ბავშვი ისევ ძქძეს ეცა და გამალეებით დაუწყო წოვა.

— ბებიას რძე აქვს, — ვთქვი მე ბოლოს.

— რა მაქვს, ბიჭო? — გაუკვირდა ბებია.

— გადაგრია ჩემმა გამჩენმა — თქვა დედამ და წინდის ქსოვა განაგრძო ისე, რომ არც ჩემთვის და არც ბებიასთვის არ შეუხედავს.

— რძე აქვს! — ვიყვირე მე.

ბებიას რძე მოსვლოდა, ალბათ, თათიას ამდენი წოვით. არვინ არ იცოდა როდის, ეს არც ბებია იცოდა.

— სასწაულია! — თქვა დედამ.

— ღმერთო, დაგელოცა სამართალი!

— თქვა ბებია და პირჯვარი გადაიწერა.

ზაზასაც საცრის ოდენა გაუხდა თვალები. მხოლოდ ერთი თათია იყო, რომ არაფრად აგდებდა ამ სასწაულს, ეტყობოდა ეს მისთვის კარგა ხნის ცნობილი ამბავი იყო.

— რა გუქირს ეს! — დედამ წინდიან ხელებში თავი ჩარგო და ტირილი აუვარდა. — ამას რას მოვესწარით, ვის რა შეეცოდეთ...

— ღმერთი სასწაულმოქმედი... — თავის ქნევით ამბობდა ბებია. — მართი, თომა გამოჩენილიყო თუ არა...

თავი მორცხე

მაინც მოვიდა გაზაფხული

— მოსკოვი ჩენია, — გვეტყობა პლატონი ყოველ დილით, როცა გუშინდელ მუყაოსფერ გაზეთს გაშლიდა, — მტრის წინსვლა შეჩერებულია, — მერე სათვალეს ცალი ხელით თვალუბთან მიიტანდა, საინფორმაციო ცნობებს გადაიკითხავდა. იგი იმას კი არ კითხულობდა, რომელი ქალაქი დავტოვეთ, ან რომელი დასახლებული პუნქტისათვის მიდიოდა ბრძოლა, კითხულობდა მხოლოდ იმას, რა დაკარგა მტერმა, სად გაუჭირდა მტარვალს და რა ზიანი მივაყენეთ. გარეთ კი თოვდა, ღთელი ზამთარი თოვდა. სკოლისთვის შეშა მოსწავლეებმა მოვეპირით, ჩვენთან იყო პლატონ მასწავლებელიც და თავისი ყუაში ტარმონჯღრეული წაღლით ჭრიდა ისიც ეკალ-მაყვალში ამოზრდილ აკაციებს.

ჩენი ქალანები მალე დაიხა. ხბოს ტყავი სუსტი გამოდგა, აი, ხარის ტყავი რომ ყოფილიყო... გადავებრუნეთ, ზედა პირი გავუეკრეთ და ძირი მალა მოვაქციეთ. არც ამან გვიშველა. ყველაზე მეტ ხანს გოგონას გაუძლო, იგი მარტო სკოლაში იცვამდა, სახლში ისევ იმ ვეება კალთებს დაათრევდა წისქვილის ქვებივით.

ორიოდე დაჭრილიც გამოჩნდა სოფელში, ერთი მეტყვევის შვილი იყო, ორ ყავარჯენზე დაყრდნობილმა ჩამოიტანა ცალი ფეხი და ჰოსპიტლის სუნი. მეორე მამაჩემის ბიძაშვილი ბიძინა იყო. იგი სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს ომამდე, დღე დღეზე სახლში წამოსვლას ელოდა. ამ დროს ონიც დაიწყო. მარჯვენა ხელის დაწვრილებული თითებით დაბრუნდა შინ. სამი ნეკნი ამოეღოთ ოპერაციის დროს, ნაგრამ მომზის ნამსხვრევი მაინც ვერ

ეპოგათ და ახლაც ელო მუცელში.

მთელი სოფელი მიაწყდა ახალდაბრუნებულებს, ყველა თავის შვილზე, ქმარზე, მამასა და ძმაზე ეკითხებოდა: მაგრამ არც ერთმა არაფერი არ იცოდა. მეტყვეის შვილი ამბობდა: აქედან რომ წავედით, სოსიკა და ელბიტეს ამბაკო იყვნენ ჩემთანო, მერე გაგვანაწილეს, სოსიკა და ამბაკო ერთად წავიდნენ შავი ზღვისაკენ, მე ლენინგრადს მიკრეს თავი და ამის მეტი არაფერი ვიციო. ელბიტეს არც ეს გაუზილეს, თუმცა მას სულ არ აინტერესებდა, სად წავიდა ამბაკო, ელბიტე იმას ეკითხებოდა ცას და ქვეყანას, ღმერთს და კაცს; როდის მოვაო, და გაოცებული იყო, ამდენი რაჟა დაიგვიანაო.

შალე შეაჰმე გამოჩნდა: მეხუთე კლასელი გიტოს მამა. მას ორივე ხელი და ორივე ფეხი ჩამოყვდა, მხოლოდ თავი ჰქონდა შეხვეული, რომელიც შალე ზოფრჩა, მაგრამ ამბობდნენ „კონტუზია“ აქვსო. ერთი შეხედვით, გარედან „კონტუზია“ არაფერში არ ეტყობოდა. ეს იყო, რომ შეშინებულებით აცეცებდა თვალებს. მერე კი ძალიან, ძალიან ჩუმად ისიც თქვეს რეზინის მილიდან შარდავსო და ქალები ლოყაზე ხელს ირტყამდნენ საცოდავობით. მეტყვეის შვილზე არაფერს არ ამბობდნენ, არც ბიძინას წუხდნენ, მე კი უფრო ესენი მეცოდებოდნენ. მეცოდებოდნენ, რადგან ბიძინას ხელი ხესავით ეკიდა და ტყვია მუცელში ჰქონდა, მეტყვეის შვილისთვის კი ფეხი ზედ ბარძაყის ძირში მიეჩხვხათ და უყაყარჯნოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო. გიტოს მამას კი რაც არ უნდა იყოს, ორივე ფეხი და ხელი ჰქონდა, ეჭიმებს უთქვამთ „კონტუზიაც“ გაუვლისო.

გიტოს მამა დანგრეულად ყვებოდა ეზიკას ამირანზე. ბელორუსიის ფრონტზე ერთ-ერთ შეტაკებაში ერთად ვიყავითო. მერე თვითონ ყუშმარას დაემარხა და აღარც ამირანისა იცოდა რამე და აღარც თავისი.

ეზიკა არ ეშვებოდა: მე ვიცა კონ-

ტუზიანი კაცის ამბავი, თანდათან მოიგონებს რამესო, მაგრამ ბოლოს ის გაიგო მისგან, რომ იმ მომლიდან ბევრი არ გადარჩენილა.

ასე იყო თუ ისე, გაზაფხული მაინც თავის დროზე მოვიდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ერთ ხანს ავადმყოფი ინსპექტორი გამოგვიგზავნეს რაიონიდან, მაგრამ როცა რაიონის მუშაკები ჯარში გაიწვიეს, თავისი ინსპექტორი უკანვე წაიყვანეს და ცოტა ხნით უთავმჯდომარეოდ დაერჩით. ახლა კი, მიუხედავად იმისა რომ ცალი ხელი არ უფარგოდა, სამი ნეკნი აკლდა და მუცელში ტყვია ჰქონდა ჩარჩენილი, მაინც ბიძინა აირჩიეს. რაც არ უნდა იყოს, თავე მრთელი აქვსო. პირველ და მესამე ბრიგადაში ქალები გაუშვეს, ჩვენთან ბრიგადირად ეზიკა დატოვეს.

ეზიკამ თავი მოიკლა: — თქვე უპატრონოებო, აქცევთ კოლექტივსო!

— დროებითო! — დააშოშმინეს იგი. — ვინზე გამოჩნდება და შეგცვლითო. და ეზიკამაც აითრია ფეხი.

დაიწყო პირადის ხვნა. შარშანდელ უმორროდო ყანებში ჩაგებული ბალახი ხვნის აძნელებდა.

შავ ხარს ფეხის ტკივილმა გაუარა, მაგრამ შემოდგომაზე კოლექტივიდან მიღებულმა ორმოცდათხუთმეტმა კონა ჩალამ ძვალსა და კანზე დააყენა.

ლენინას ამდენი ჩალა ერთ თვეს არ ეყოფოდა. მთელი ზამთარი გაუჭირდა. ღლე და ღამეები ბლაოდა შშიერი და ბაგის საპირეში ჩალის ღერებს ექებდა გასაზრავად. საპირეში რომ აღარაფერი ხედებოდა, გარეთ იწვედა. იცოდა, თოვლი იდო, მაგრამ მაინც გარეთ ერჩია. ტყეში გაივლიდა, ხეებზე თითის სიმსხო ტოტებს დახრავდა და თავს მაინც შეიქცევდა. შავს თითქმის მთელი ზამთარი გაყვა ფეხის ტკივილი და, როცა მინდორში გაუშვებდი, იქვე არხში თოვლიან წყალს მოწრუპავდა და მთელი ღლე ჰიშვართან ბლაოდა.



ბავაზე ერჩია წოლა. თითქოს ისიც გრძნობდა, რომ ტყეში მგლები მომრავლდნენ და სუსტ, დაუძლურებულ ხარებს გლეჯდნენ. ნახირს ჩამორჩენილი ფერმის ძროხებიდანაც მარტო ძელები იპოვეს მწყემსებმა მეორე დილით ტყის პირას.

თებერვლის ბოლოს ძროხამ ხბო შოიგო. სულ ფერმის ბუღას ჰგავდა. წითელი იყო მასაფით და მაღალ ფეხებზე იდგა.

— რა სახარე იქნება! — ვთქვი კმაყოფილმა, გვეგონა რძე მაინც გვექნებოდა, მაგრამ ნახევარ კონა მშრალ ჩალაზე ძროხას მარტო ხბოს გამოკვებაც გაუჭირდა. დედა ვითომ მთელი დღე უგროვებდა ჭიქა-საინისა და ქვაბის ნარეცხებს, იმ საინებისას, რომლებსაც ზაზა ენით ლოკავდა და იმ ქვაბისას, რომელსაც ზაზა მთელი დღე უჯდა საქერქავად და დანით ლამის ფსკერს აგდებინებდა. დედამ ხელი ჩაიქნია, ხბო ხბოა, ბავშვს მარტო ბებერი ქალის რძე რას უზამსო, მაგრამ, სანამ გაზაფხულის ბალახი წამოიზრდებოდა, ხბომ ფეხები გაჭიმა და მე და ზაზა თვალცრემლიანი ვაძრობდით საქალაქნე ტყავს სამი კვირის ხბოს.

გაზაფხული კი მაინც მოვიდა. ატყაუნდა კვირტები ხეებზე. კებტეხიას სერიდან ისევე შეგეძლო დაგეთვალა რამდენი ძირი ტყემალი იყო სოფელში. ჩვენი კოლექტივის ტრაქტორს კი თითის სისქე ვანგი დაედო საწყობის ეზოში, მის მაღლა აშვერილ მასუჩნზე ბელურები ისხდნენ მთელი ზამთარი და განუწყვეტლივ ვიკვებებდნენ. ახლა აღარც ბელურებს ეცალათ მისთვის, მხოლოდ, რაც თევდორემ საწყობის დარაჯად დაიწყო მუშაობა, ის თუ მიფოფხდებოდა ახლოს ყავარჯნით, ახედავდა, დახედავდა, გადააქნევდა თავს, ერთხანს კიდევ დახედავდა, მერე ცისკენ აღაპყრობდა ორივე ხელს და ვილაყას ოჯახის ამოწყვეტას გაუგზავნიდა.

გაზაფხულს არც თევდორეს კრულ-

ვა, არც ჩემი ხარების ბლავილი და არც ეზიკას უტერფობა ეხერხებოდა არაფრად, თოვლი ააღწია, მტკიცე მდინარეში ჩარეკა, მიწას პირი წაუშრო და ტყემლებიდან ძველებუარდ გაგვიციანა.

მიწა თესლს ითხოვდა.

გათენებამდე გამომავლიცა ეზიკას ხმამ.

— გოგიტა, გძინავს, ბიჭო?

მე ლოგინიდან პერანგისამარა წამოვეარდი და აივანზე გავედი.

— დილაშვიდობის! — თქვა და კიკიბის ცივ ქვაზე ჩამოჯდა დაღლილი.

— გაგიმარჯოს! — მივუთხე და ჩავცუცქდი.

— რა გქნათ, თუ იცი? — მკითხა ბოლოს, რაკა ლოგინიდან ახლადგამომძვრალს ძიგძიგი ამივარდა.

— რისი, ბიჭო?

— რისი და ამ უპატრონო სახნავის.

— რა უნდა ვუყოთ.

— შენ შუადღემდე კლასში ხარ, ხომ?

— ნაშუადღევს მოვეკიდები, — ვუთხარი მე, — გაკვეთილების მერე.

— გაკვეთილების მერე რა ეშმაკს გააკეთებ!

— აბა, რა გქნა!

— რა ჰქენი და, — ეზიკამ სახე მომარიდა, — შუადღემდე... — მერე ამოვივირდა, — შუადღემდე ათხოვე კლეშენტის ცალი ხარი!

— ღვინია! — ვიყვირე მეც.

— აბა, რა გქნათ, ეს უპატრონო! — ხმას დაუწია ეზიკამ.

— მისი ხარი რა უყო კლეშენტისამ!

— ბალანდასაწვავი ბოინს არ ჩავაბარეთ?

— იმიტომ, რომ კვდებოდა...

ეზიკამ თავი დააქნია.

— მერე ღვინია ბოინს გინდა ჩააბაროს?

— აბა, რა გქნათ, ისედაც ერთი უღელი ხარი მგლებმა დაგვიგლიჯა ამ ზამთარს, ძვლების მეტი არაფერი გვინახავს.

— რა ვქნათ და აყიდვინეთ კლემენტის ახალი ხარი!

— მარტო იმ ოჯახდასაქცევის ბრალიც არაა, ჩალა ვერ მივეცი საყოფად და...

— ჩალა არც ჩემთვის მოგიციათ...

— აბა, მე გამაბით უღელში, თქვე უღმერთოებო.

— კლემენტიე გააბით! მთელი კვირეები რომ ბაზარში დაბრძანდება, ტყეს იპარავს და ყიდის.

— ჯანდაბას შეება და ჯარხანას, მაგისტვის ვის ცალია ახლა. ნაშუადღევის მერე შენ მოეკიდე იმ მგლის არჩივს, — საქმეზე გადავიდა ეზიკა.

— არ გავატან კლემენტის!

— რატომ, მაგ უპატრონოს, რატომ! — იყვირა ეზიკამ და კარებში დედაც გამოვიდა.

— მერე, მამა რომ მოვა, რა დავახვედრო!

ეზიკა ადგილიდან წამოვარდა, ხელი მოწყვეტით ჩაიჭნია, ისე რომ დედას მისალმებაზეც არ უპასუხა და ქიშკრისაკენ წავიდა.

სახლში შეებრუნდი. დედას არც მე გავეცი ხმა, გადავიცი და ხარების გამოსაყვანად გავსწიე. შეებაი ხარები, კავ-უღელი ურემზე დავყარე და ფართობში წავედი.

საყანებში ჯერ. არაინ არ ჩანდა. ურემი შევაჩერე. მშიერმა ხარებმა იმ წამსვე შარშანდელ. ხმელ ჩაძვალ ბალახს დაუწყეს ბღღენა.

— ალბათ, პირველი ხარი უავე დარეკეს. — გავიფიქრე და ხარები კვალში ჩავეყენე.

ვეება ბელტებად ცვიოდა ბალახის ძირებით გაკრული მიწა. ძვალტყავა ხარები ხან უღელს აწებოდნენ, ხან ბალახს ეპოტინებოდნენ და კვალს მიმრუდებდნენ. მეც სახრეს ვუშენდი, ვუყიენებდი ხმის ჩახლეჩამდე, ვაგინებდი ჩემს გამჩენს, ხარებს, კავ-უღელს, და კლემენტია ცეტერაძეს.

თავი ოცდახმერთო

ხველის ქარლი

ხელიდან ხელში გადადიოდა ქალაქები, უჭირდა მტერს წინსვლა, სისხლისგან წდებოდა, მაგრამ კავკასიონს მაინც უახლოვდებოდა. და ჩვენ შიშით დავუწყეთ ცქერა ნწვერვალეზზე გაწოლილ ღრუბლებს.

კლემენტი ჩამოჩახუნდებოდა ყანებში, გადახედავდა დაჩიავებულ, აყვითლებულ სიმინდებს, თოხს ერთი ორჯერ დაკრავდა მიწას და იტყოდა:

— რად გვინდა რამე, ტყუილად ვიკლავთ თავს, გუშინწინ ქალაქში ვიყავი, მთელი ეშელონი ღტოლვილები ჩამოიყვანეს, ვაგონის სახურავზე იჯდა ხალხი, იქცევა ქვეყანა, იქცევა!... — თოხს ერთი ორჯერ კიდევ დაკრავდა მიწას და ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკებდა: ჩვენ სადღა წაგვიყვანს ეშელონი აწი... აქეთ ზღვაა, იქეთ ზღვა, აგერ თათარი, სპარსი ლესავს ხმალს.

— რაფა, თათარი აპირებს ვითომ ჩხუბს? — იკითხავდა ვინმე და თოხს ისიც დაეყრდნობოდა.

— აპირებს რომელია! — გადააქნევდა თავს კლემენტიე სინანულით, — ატყობს, საქმე წამხდარი გვაქვს და მოითბობს ხელს სხვის დანთებულ ცეცხლზე, რა ენაღვლება!

ხალხი გარს ეხვეოდა კლემენტის, მეც შორიახლოს დავაყენებდი ხარებს და ყურს ვუგდებდი. კლემენტიე განაგრძობდა: — გერმანია ამბობს, გქონდეთ ნაც მოსკოვი და იყავით მაგის ამარაო, მე აგერ კავკასიას ავიღებ, აქედან თათარს გადავხვევ ხელს, იქეთ იაპონია ჩინეთს გადაივლის და ინდოეთში გადავკოცნით ერთმანეთსო. — იზამსო. — ასკენიდა კლემენტიე — შენ გგონია, არ იზამსო? — მერე ჩვენ, ბავშვებს გადმოგვხედავდა და სინანულით თავს გადაიქნევდა. — სახნად აღუღლებს თურმე ეს უღმერთო უწლოვან ბალღებს, აღამიანის ფერფლით მიწას ამოხიერებს და ზედ ყვავილებს თესავს თურმე...

— ჰა-ჰაიტ! — იქუხებდა საიდანღაც გამომძვროლი ეზიკა, — კლემენტიც ცეტერაძე, არ დაგინახოს ჩემმა თვალბმა, შენი პატრონის ქვეყანა, შენი!..

ხალხი დაიშლებოდა ზანტად, უგულოდ განაგრძობდნენ თოხნას, მეც გოგონას ვანიშნებდი, გაუძეხი მეთქი. ნელა, პრიალით დაიძრებოდა კულტივატორი.

— დაგიჭირავ, ციხეში დაგალობი — ყვიროდა ეზიკა, — რა იცი ომის, შე მათხოვარო, უკულმა ხარ დაბადებული, ფეხიც დაბადებაზე მოგტეხია, შენი გამომჭაჩავი ბეზია ქალი...

კლემენტიე მხრებს აიწურავდა, თოხის ტარს გულზე მიიბჯენდა და ხელებს გაშლიდა.

— ეზიკა, ბატონო, ომის მე რა ვიცი, მარა ნათქვამის ნათქვამს ვიმეორებ, გულში არ მერტევა და...

— ჰაიტ, შენი ღღინი და მასაფი, შე დაკარგულო, შენ...

კლემენტიე ამის მერე თოხს მოინარჯებდა და გულდაგულ დაცხებდა. თავში რომ ერთყა ეზიკას, მკვდარი და ცოცხალი ეგინებინა, ხმას არ ამოიღებდა.

მე მთელი დღე ვფიქრობდი. მართლა რომ გავქცეულიყავით სადმე, ხარები სად გადამეძალა. მთელი ღამე უზარმაზარ ქვაბში საპნად ვიხარებოდი, მერე ოთხკუთხად მჭრიდნენ სისხლიანი დანით, ისევ ქვაბში ზყრიდნენ და ხელახლა მხარშავდნენ.

კლემენტი ამის მერე მთელი კვირა გადაიკარგებოდა და ფართობში ხელახლა ახალი ამბებით გამოჩნდებოდა. ჩუნილ პუტუნობდა ხალხში, მაგრამ მე ხარებს აღარ ვაჩერებდი. გველივით შემზარდა კლემენტიე და მის დანახვისას მარტო კი არ მეშინოდა, მეზიზღებოდა და ტანზე ბუსუსებს მაყრიდა, რაც არ უნდა თაკარა სიცხე ყოფილიყო, შემაციებდა. საითაც კლემენტიე შეგულებოდა, იქეთ პირს ვერ მაქნევინებდა კაცი, მთელ სოფელს შემოვუე-

ლიდი და ცეტერაძეების კარზე არ გავივლიდი.

მაგრამ კლემენტიე ერთხელ კიდევ მოგვნახა და დედას ჩვენი შარშანდელი მოზვერი ერთ ჭუთ სიმიდში გაუცვალა. მერე ტუხუიას დედას შეუჩნდა და კაპიტოს სახლის ფიცარიშიაც ნარკვალ-მარკვალ მოურწყო შემოდგომაზე მომარაგებული სიმიდით. კაპიტოს ათიოდე ღერი ფიცარი დარჩა თავშესაფრის თავზე გაწყობილი და ნიწა დაყრილი.

მთელი აგვისტო იმ ერთი ფუთი სიმიდით გავიტანეთ თავი. ეხარშავდით ვაშლის ან მსხლის ფაფას და ზედ ცოტა მჭადის ფქვილს მოვყარდით, ან წაქის თხელ ჭაფას მოვადულებდით. ერთ დღით, როცა წაქი ფაფად მოვადუღეთ, სალამოს იმ წაქიდან ამოყვანილი წველა ქყინტი ყველი აღარ დაგვიხვდა სამუშაოდან დაბრუნებულ მე და დედაჩემს.

— ყველი სადაა, დედა! — გოცებუ-ლი დედა ბეზიას მივარდა.

— სად შეინახე? — პირაქეთ იკითხა ბეზიაძე.

— სადაც ვინახავდით, ბუჯერში!

— რა ვიცი, შეილო, მე მთელი დღეა ბავშვს არ მოვცილებივარ.

— ზაზა! — დავიძახე მე.

ხმა არავინ გამცა.

— ზაზა!

ისევ არავინ გამცა ხმა. ეზოში გამოვედი. ზაზა არსად ჩანდა.

გვიან, შეღამებულზე შემოძვრა სახლში.

— სად იყავი, მთელი დღე? — ვკითხე მე.

— სათამაშოდ, — მითხრა უდარდელად, — სათამაშოდ ვიყავი, უპ, რა დავიღალე! — და ჩამოჯდომა დააპირა, რომ ყურში ეტაცე ხელი.

— შენ არ იცი?..

— არა!..

— მოიცა! — გავაწყვეტირე მე და თვალბში ჩაეხვდე.

— არ ვიცი! — გამიმეორა ზან.

— რაზე გეკითხები, იცი?

— არა.

— აბა, რაზე იძახი, არაო!

— სახლში არ ვიყავი და...

— სად გაქრა კუინტი ყველი!

— ატა შექამდა.

— კატა! — ხელი ვუშვი ზაზას ყურს.

— კატა, — გაიმეორა მან, — დილას დავინახე ბუჯერზე იჯდა, ეზოში ვილაყის ჭრელი კატა დავინახე, ქვა ვესროლე. გოგია!

— კარგი, კარგი — გაეწყვეტინე ზე, — კატა შექამდა...

— დიდი იყო კატა, ჭრელი, გოჩასი არ იყო, არც ეკა ბიცოლასი, კლემენტისი თუ იყო...

— ენა ჩაიგდე! — ვუყვირე მე. — მინდოდა მეთქვა, მამა დაიფიცე-მეთქი, მაგრამ შემეშინდა, მართლა არ დაიფიცოს-თქო, და ვადავიფიქრე.

მეორე დღით დედას ვუთხარი ყველი არ დაემალა და ისევ ძველ ადგილზე შეენახა.

— მოკალი, თუ მაგ სასიკვდილე გამს! — დამიბარა მან და ჩაიშიწავიდა.

— ნოკლავ, — ვუთხარი მე, ურემი გამოვიყვანე, ხარებს ხმამალა გაეუჯაერდი, გოჩას სახლამდე უკან არ მომიხედავს, მის კომპართან კი ბოძს გამოვავი სარქით ხარები და ეზოში ჩავედი. ეზოდან ღობეებზე გადავედი და უკან დაებრუნდი. საშხადს მოეუარე და მივაყურე. არაეითარი ხმა არ იყო. კურკუტანაში შევიხედე, გერავინ ვერ დავინახე, სახლის გვერდზე გამოვიხედე, ბებია იჯდა ოდის უკანა აივანზე და აკუნს არწევდა. ზაზა არსად არ ჩანდა.

— მომასწრო, ალბათ, — გავიფიქრე ზე და საშხადს წინიდან შემოვუარე, ფრთხილად შევალე კარი, რომ მზის ყურზე ჩათვლემილ ბებიას არ გაეგონა და ბუჯერში შევიხედე. ყველი ადგილზე იდო. ის იყო უკან გამოვბრუნდი. რომ ფრთხილი ფეხის ხმა მომესმა. თითის წვერებზე კარს უკან გადავხტი და სუნთქვა შევწყვიტე.

ზაზამ კარის ზღურბლზე შემოდგა

ფეხი უკლმა, ეტყობა პირით ბებიასაკენ იყო მიბრუნებული. ბუჯერზე დგომინახაო. კიდევ ვადმოვდგა, ვუხედიდი ფეხი და მე კატის კნავილი მომესმა.

— ჩუუუ! — ჩასჩურჩულა ზაზამ და ეტყობოდა კატას ტუნზე ნიაფარა ხელი, რადგან კატის ბრჭყალების ფხოვნის ხმა გავიგონე.

ზაზამ კატა ბუჯერზე მოისროლა, გამოალო კარი და წველა ყველი დაითრია, ფრჩხილის ოდენი კატას დაუგდო, თვითონ ჩაკბინა ერთი და გარეთ გახტა.

გამოვედი მეც და თვალი მოვკარი, როგორ ჩაურბინა ოდა სახლს და გაქრა. მთელი ძალით გავექანე მეც, მაგრამ ზაზა კომპარისაკენ არ გაქცეულა. აქეთ გავხედე, ღობეზე თუ გადახტა-მეთქი-არაა, აბა იქეთ, ისევ არაა.

იბატაკევემ იქნება მეთქი, მომაგონდა. დავიხარე, გულდაგულ მოვათვალიერე, არსად კაცის ქაჭანება არ იყო.

ავდექი, მივიხედ-მოვიხედე, გავიარ-განოვიარე და იქვე მინდორში თავშესაფარს წავადექი. მივხვდი. იმ წამსვე ფეხი ჩავდგი ჩასასვლელში, წელში წავიხარე და ჩავხედე. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ბნელ ორმოში მართო თვალების და თეთრი ყველის გარჩევა მოვასწარი. იგი ჩემს დანახვაზე ადგილიდან არ განძრეულა, ყველს დიდი ლუკმა მოკბინა, პირში ხელით შეიტენა, ნაჩქარეად დაღეჭა, ძლივს გადაიტანა კისერში.

— ამოდი ზევით! — ჩაეჩხაეღე მე.

მან ისევ მოკბინა და არ განძრეულა.

— ამოეთრე — მეთქი!

მან დანარჩენი დიდი ნატეხიც პირში ჩაიჩარა და, როცა სიმწრით გადაიტანა კისერში, ორმოდან ამოძვრა. მეგონა გამექცეოდა, მაგრამ იგი თავდახრილი მოვიდა და ჩემს წინ მორჩილად დადგა.

რალაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ ბრახით ხმას ვერ ვიღებდი, როცა ხელი ავწიე დასარტყმელად, მან დამასწრო:

— გამლახე.

ხელი ხესავეთ გამიხდა და ვერ დავიმორჩილე.

— გამლახე. — თქვა მან ისევ.

— კი არ გაგლახავ, მოგკლავ! — ვიყვირე. ისევ ავწიე ხელი.

იგი ისევ მორჩილად იდგა, ხმა არ გაუსცია.

— ზაზა! — ვიბლაღე მე.

— რატო არ ზირტყავ? — მკითხა მან და ახლოს მოიწია. მე ისევ ვერაფრით ვერ გავარტყი და თვალეში ცრემლები მომწწვა.

— გაიქეცი და გაგლახავ! — შევძახე მე.

— არ გაიქეცი!

— რატომ!

— გუშინაც ღე შევვამე ყველი.

— შენ? რატომ, რატომ მერე... — ისევ ვერ დავარტყი და ტირილი ამივარდა.

თავი მოვადვირე

ერთგული თოლია

მტერმა ისევ აიდგა ფეხი და აკაკასიას მოაშურა.

ჩვენ გვიჭირდა, თორენ გაზაფხულს აინუნშიაც არ ჩაუგდია, გვაფერია და-ჯანგული სახნისები, გვიმტერია ტაბიკები, ხელის გულეზე ბებერები გაგვიჩინა და თავისი გაიტანა. ზოგი ნაპირადებში, ზოგი უხნავ უყ მიწაში თელი მიიბარა და ზაფხულს მაინც პირნათლად დაუბედა.

მე დილიდან საღამომდე კავს ვეკიდე და სკოლის ზარის შორეული წარი-ალით ინას ვანგარიშობდი, რამდენი მოვხანი და კიდევ რამდენის მოხენას მოვასწრებდი. ჩვენი სადილ-ვახშ. კი ისევ ნახევარ მჭადზე დადგა და ტუხუიამ თავისი დაძებნიანად თუთუბზე დაიღო ხინა. ისევ მიჭირდა გოჩასაჯან ტუხუიას გარჩევა და ტუხუიასაგან — ძალღის.

მე უავე ხარებს უწინამძღვროდ ვიკიდე და გოგონა გაკვეთილების შემდეგ

ნახანეში თელს ყრიდა. ქალები პლანტაციებში გავიდნენ. დაფრუნიებული იყო ჩაიც. აღარ იზრდებოდა მცენებურად მალალი, ღორთქო დუყი, მაგრამ რაც იყო, მისი დატოვება ხომ, მით უმეტეს, აღარ შეიძლებოდა.

როცა მარცვლი გადაკანულ ნიწაში მოვაქციეთ. ზაფხული მოგვადგა კარზე და ხელში მამისეული მძიმე თოხები მოგვცა. შარშანდელ მოუჭრელ ფესვებზე ბალახმა ერთი ათად იყარა ახლა და სიმიინდს აჯობა.

— არიქაო, — იყვირა ხელგამხმარმა თემეჯღომარემ და უტერფო ფეხზე წამოახტუნა ეხიკა.

გოჩა და ტუხუია მთელი დღე ლესავდნენ თოხებს. მე ტაბიკებს ვუთლიდი ურემს. აულტივატორი სამუედლოში ჩავიტანე და გიგას მოშვებული ჭანჭიკები დაეახრახნე, ფრთამოტეხილი თოხი გამოვაცვლევი. ხეირიანად ვერ მიადგა მანქანას გიგას გაქედილი თოხი, მაგრამ ძველს მაინც ეს ვარჩიე და კვირას, დილაადრიან აბგაში ცივი წყალი ჩავიღგი, ნახევარი მჭადი ჩავიდე, ყველის ნაჭერიც შემიხვია დედამ ლელვის ნეშოში. ამ დროს ტუხუიამაც გადმომშახა და გაესწიეთ. გოჩას კიშკართან ტუხუია განზე გადგა, არც გოჩას გაუცია ხმა.

გოგონა ჩაიში აპირებდა წასვლას საკრეფად, მაგრამ მე სიმიინდის კულტივაციას უწინამძღვროდ მაინც ვერ ვენდე და თან წავიყვანე.

ტუხუიას შიმშილით გამოთავყანებული მისი თოლიაც თან ახლდა. იგი პატრონის თოხის ტარზე ჩამოცმულ თავსაფრის ნაჭერში გამოკრულ მჭადის ნატებს თვალს არ აშორებდა. სადაც შეეჩერებოდით იქვე ჩაეგდებოდა და მხერა ისევ პატრონის თოხის ტარზე ეჭირა.

როგორც კი გოჩას კიშკარს გავცდით, სერაფიონმა შეგვაჩერა. დიდი თოხი გაეღო მხარზე ძველ მეჯღანეს, მუდამ ერთ ადგილზე ჯდომას ნაჩვენეს, სიარული უჭირდა.

სერაფიონმა კარს იელის გვერ-

გვი ჩამოავო და მე მომობრუნდა:
— ჩამომავინო იქნებ, მაგ ურემზე,
ბაბუ!

დასუსტებულ ხარებს მე არ ვუჯღღ-
ბოდი ურემზე, მაგრამ სერაფიონს რავე
გავაწბილებდი. მან თოხი ურემზე შეა-
გდო, ჩანთა ხელში დაიჭირა და ძლივს
აიტანა წელი კოფოზე.

— წინ დაუჯექი, ბაბუ, — მივაძახე
მე, როცა მან ლერძთან ზეწარზე დააპი-
რა ჩამოჯდომა.

— არა, ბაბუ, არა, ისედაც ძლივს
უდგიათ სული! — არ დაიშალა თავისი
სერაფიონმა.

გზაზე შორიდან ბუღუ აგვედევნა.
მასაც თოხი ედო მხარზე.

— ეტყობა კლემენტიე ბაზარშია, სა-
თოხარში ბუღუ გამოუშვია, — ვიფიქ-
რე მე, თქმით კი არაფერი მითქვამს.
იგი ჩამორჩენილ თოლიას უკან მოაბი-
ჯებდა, ახლოს მოსვლა ვერ გაეგებდა.

სულ ერთია, ყველა სათოხარიაო, —
თქვა ამ დილით ეზოკამ, მაგრამ ჩვენ
მინც ძელქვის ძირისაკენ ვავსწიეთ,
ძელქვას კარგი ჩრდილი ჰქონდა და
შუადღეზე თავს შევიფარებდით.

ურემი ხის ძირს მივაყენე, კულტი-
ვატორი, უღელი და თოხები გადმოვ-
ყარე. ურმიდან ძელქვის ტოტს მივწვდი
და აბჯა მალლა ჩამოვკიდე.

სერაფიონი მოლზე ჩამოჯდა. ჯიბი-
დან თოხის სალესი ქვა ამოიღო. მე
ხარები კულტივატორს გამოვაბი და
გოგონამ სარქვე დაიჭირა ხელში.

— რავეა საქმე, ვიწყებთ? — ვიკითხე
მე.

— ვიწყებთ, — თქვა ტუხუიამ. თავ-
საფრის ნაპერში გახვეულ მკაღს მა-
ლულად წატეხა, ჰაერივით ჩანთქა და
დანარჩენი ხის ღრუში ჩადო. თოლიამ
საქალამნე ტყავის სიფართე ენით
ღრუნჩი გაილოკა და ურმის ქვეშ დაწვა.

— ფშშიო! — დავეძახე მე ხარებს.
გოგონა სიმინდის პუკრებში ამდგარ
ბალახში გამიძღვა. როცა ორი სამი
კვალი გავიარე, ბიჭებმა თოხნა დაი-
წყეს, სერაფიონმა ერთხანს უხახუნა

სალესი თოხს და მერე ისიც მუკრებში
ჩადგა.

შორს, გაშლილ ყანებში, კიდევ გა-
მონხდნენ ხარები და მოხუცი გლეხები.

მზე მწვავე სხივებს გვაყრიდა, ხარე-
ბის ყოველ ჩამობრუნებაზე სიცხე მა-
ტულობდა. კულტივატორი ფეხმოდგ-
მულ ბალახს ვერ ერეოდა, არც უკანა
ახალი თოხი ეკიდებოდა ხეირიანად.
თუმცა მთელი სიმძიმით ვაწვებოდი.
ზოგიერთ ბალახად წასულ მუკრებში
ორჯერ ვატარებდი კულტივაციას.
მთოხნელებს მინც ბევრი ჰქონდათ
საქმე, ორი-ორზე მოიწვედნენ წინ.

შავი ხარი მალე დაიღალა და პირი-
დან დუქი წამოუვიდა. კვალის თავ-
ში შევაჩერე შესასვენებლად, როდის-
როდის მთოხნელებმაც გამოიტანეს თი-
თო თითო ბუკარი. ტუხუიამ მზეს შე-
ხედა. მზე ორი თოხის ტარზე თუ იქნე-
ბოდა აცილებული, მაგრამ მინც მკით-
ხა ისე ხმადაბლა, რომ გოგონას არ გა-
ეგონა:

— ჯერ სადილობა ადრეა, აჰ!

— გაგყდი! — ვიყვირე მე ყველას
გასაგონად, შესვენებულ ხარებს სახრე
მოვუქნიე და ისევ კვალს ჩავუყენე.

უკან არ მიმიხედავს, ისე გავედი
თავში და იქედან რომ გამოვიხედე.
ტუხუია ისევ სათოხარს ჩადგომოდა.
წვრილი მკლავებით მალა იქნედა
ფართო თოხს და ყოველ დარტყმაზე
თავსაც დააყოლებდა. სერაფიონს გან-
ზე გაეჩაჩხა ჯდომას ნაჩვევი ბებერი
ფეხები, თოხის ტარს ხელიდან ხელში
ინაცვლებდა და ყოველ შენაცვლებაზე
ხელის გულზე იფურთხებდა. დაფურ-
თხებდა და ზედ ხმაილლა დააყოლებდა:

— თუ! — მერე გაასავსებდა სად-
გისსა და მახათს ნაჩვევ ხელებს, თოხს
მალა აიტაცებდა.

გონა თავგამოდებით ცემდა, სერა-
ფიონს და ტუხუიას ხუთი-ექვსი ნაბი-
ჯით მინც უსწრებდა. ბუღუ გზის
გადაღმა გადასულიყო და სხვა მთოხნე-
ლებს შეერთებოდა.

ისევ გაუჭირდა შავ ხარს. ისევ წავარდა პირიდან ქაფი.

— დავასვენოთ, — მითხრა გოგონამ კვალის თავში.

— არა, გარეკე! — ვიყვირე მე.

— ცოდვია!

— ცოდვია, რა ვქნა, რომ ცოდვია, ტუხუია არაა ცოდვა, ცოდვა ჩვენ არა ვართ?

გოგონას აღარაფერი უპასუხია, ისევ მობრუნდა და მე კულტივატორის სახელურებს ბეჭით შევეუდექი და ახალ კვალში გადავიტანე მანქანა.

— ფში, შე ვერანა! — დავძახე და სახრე დავატრიალე პაერში.

წავიდა თოხები ბელტიან ნახნავში, გაძვრა მიწაში, ბალახის ფესვებს დაუწყო გლეჯა, ზოგი მოჭრა, ბევრი მაინც ჯიუტად იდგა, რამდენიმე ფესვს შერჩენილი, და არ ნებდებოდა. მიწაში საფუძვლიანად გადგმული ფესვების ნახევარზეც თამამად იდგა და თავზე წაყრილ მიწიდანაც ისევ მოძვრებოდა, წელში იმართებოდა და ტუხუიას, გოჩასა და სერაფიონის თოხსაც ეურჩებოდა.

მზემ იძალა, მაგრამ სადღაცოდან თეთრი ღრუბლის ნაფლეთი წამოედო და მე კარგად გავაჩრეე, როგორ გამოჩნდა ჩრდილი ყანებში. ტუხუია წელში გასწორდა, როცა ჩრდილი ძეღქვის ძირს დაადგა, ცას ახედა. მე ხელი დავუქნიე, ჯერ სადილობა შორსაა-მეთქი.

ჩრდილმა ისევ სირბილით გადაგვიარა და ისევ დავგიშინა კოკორაში მზემ. შავმა ხარმა უკვე ენა წააგდო და ჩვენც შევაჩერეთ ხარები.

გოგონამ თხმელის ტოტები დაამტვრია, ქუდად დაწნა, თავზე მოირგო და ერთიც ჩემთვის გააკეთა. ამასობაში ხარმა სული მოითქვა და ისევ ჩავუყენეთ კვალს.

ტუხუია მესამე ბწყარს ჩადგომოდა. დრო და დრო შეჩერდებოდა, ცას ახედავდა და უკვირდა, რომ არაფრით საშველი არ დაადგა სადილობას.

ოფლი წურწურით ჩამომდიოდა სა-

ხეზე და ცხვირიდან და ნიკაბიდან წვეთავდა. შავი ხარი ისევ ქმინავდა უნაწაგდებული ეწეოდა ქაპანს. გოგონას თვლები დაუწითლდა სიცხისგან და მწვანე ფოთლების ქულქვეშ ბროწეულის ყვავილივით წამოენთო.

გოგონას ძალიან უხდებოდა ფოთლების ქული.

შავი ჩამორჩა, ღვინიამ გაუსწრო და კვალი გაამრუდა, სიმინდების მწკრივებს წამოკრა თოხი.

— გარეთ, ხარო, გარეთ გასწიე, გოგონა!

გოგონა სარქეს დაებლაუქა, ღვინიას დაახევიანა და ისევ შევნიშნე, როგორ შევნიშნა გოგონას მწვანე ფოთლების ქული.

ტუხუია სერაფიონს ჩამორჩენოდა. ერთთავად არაქათგამოცლილი, თოხს უაზროდ ცემდა მიწას.

ჯერ კიდევ არ იყო გული შუადღე და როგორმე კიდევ უნდა გვემარჯვა, თორემ ნაშუადღევს მზე რომ სათავდაღმართოზე წავიდოდა, რაღაცას თუ წავიხებმსებდით კიდევ, ცივ წყალს დავლევდით, ძელქვის ჩრდილი გაგვიტბებოდა, ყოველი დაღლილობა და სისუსტე ერთად გვიწევდა და ბევრს ვერაფერს გავხდებოდით.

ღვინია არ დავზოგე და გაძვი გადავეუწიე, კისერთან მივეუახლოვე, რომ შავს გაადვილებოდა, თორემ საცა იყო დაეარდებოდა.

ისევ კვალში ჩავაყენე და შევძახე:

— აბა, ჩემო ღვინია, შენ გენაცვალე კისერში!

ღვინიას გაუჭირდა, მაგრამ ტყუილად არ უყვარდა მამას, უღელი მაინც წაიღო, შავ ხარს მაინც არ ჩამორჩა. მე ისევ მთელი ტანით დავაწიქი კულტივატორს, რომ ღრმად წასულიყო თოხები და სათოხარი გაადვილებულიყო.

— ვაი დედაია! — ისეთი ბღავილი მოისმა, ეს დაოსებული ხარებიც კი დაფრთხა.

— რა მოხდა! — გაოცებულმა მივიხედ-მოვიხედე.

— რა იყო! — იკითხა გოგონამაც და შეშინებულმა ჯერ მე შემომხედა, მერე მძა მოძებნა თვალით.

გონა და სერაფიონიც ადგილზე დასობილივით იდგნენ და მხოლოდ ყანის თავიდან გასაროლილი ქვასავით გარბოდა ტუხუია ძელქვისაკენ.

მე ახლა ძელქვის ძირს ვავხედე და დაეინახე: ურემზე ასული ძალი ატოტებულოყო ხის ძირზე და მერე ტუხუიას თავსაფრის ნახევში გამოკრულ მკვადით ჩამოხტა ურმიდან.

— თოლია! — ისევ დაიბღვლა ტუხუიამ, როცა ძალმა მკვადს პირი დაავლო და გაარბენინა.

— თოლია! — გაიჭაჷა მუცელზე პატრონი. ძალი ვითომ ამ ხმამ შეაკრო, შეჩერდა, მაგრამ, როგორც კი ტუხუია მიუახლოვდა, მაინც ვერ შეეღლია უკვე კბილებში მოქცეულ ლუქმას, და გაიჭაჷ.

— თოლია-თქვა!

ისევ შეჩერდა ვითომ ძალი, იცოდა, რას ნიშნავდა პატრონის ესოდენ ხმამალალი ძახილი, მაგრამ დიდი იყო მშვიერი მუცლის ცდუნებაც და ისევ გაიჭაჷ.

— მოგვლავ, თოლია! — ყვიროდა სასოწარკვეთილი ხმით ტუხუია.

თოლიამ იცოდა, კარგი დღე არ დაადგებოდა. ისევ შეჩერდა. მიეჭრა ტუხუიაც, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ძალი უკან ჩამოიტოვა. თოლიამ თითქოს ამით თავი იმართლა, რომ ტუხუია იმ წამსვე პირში ვერ ეცა და ახლა ისევ ურმისაკენ გამოობრუნდა.

— თოლია, გაგათაყებ! — მიტრიალდა ტუხუიაც ისევ, უკან გამოუდგა, ძალმა ურმის ქვეშ შეასწრო და მკვადს ერთი მოღრღნა კიდევ რომ ტუხუია ურემს ეცა. იქვე ურემში ჩარჭობილ წალღს დაავლო ხელი, ძალი წიხლით გამოაგდო. როგორც კი ურმიდან გამოძებრა კბილებში მკვადგამოკერილი თოლია, ტუხუიამ ისეთი ძალით მოუქ-

ნია წალღი, რომ ძალღის თავის ქალა ყველივით გაჭრა.

ამ დროს ჩვენც მივირბინეთ, მაგრამ ორად თავგაქრილი თოლია ცალ-ცალკე ხუჭავდა თვალებს, თითქოს ნახევარ-ნახევარი თ.ვი ცალ-ცალკე კვდიოდა და ორივეს მაინც მკვადის ნატეხზე რჩებოდათ სული.

თავი ოცდახმასამ

მამლარი სორანი

იმ წელს სახელმწიფომ ფულადი დახმარება დაგვინიშნა. თვეში ერთხელ ფოსტის გამგე გრძელი უღვაშების ცმაცუნით ფულს სამჯერ გადაითვლიდა, მეც დამათვლევინებდა, ჯიბეში საგულდაგულოდ ჩამიდებდა, მერე ცალი უღვაშის გრეხით ფანჯარაში გაიხედავდა და შემეკითხებოდა:

— ხომ კარგად გადაითვალე, ბიძიკო! — თან დაეთარში ხელს მომაწერინებდა და შემაქებდა: — შენ ჰკვიანი ბიძი ხარ, ბიძი. აბა, შენ იცო, პირდაპირ იარე, არსად შეჩერდე, მიიტანე სახლში!

ახლა ფოსტაში მივდიოდი ფულის მისაღებად. ეზოდან რომ გადმოვებოჯე, უნებურად, ტანსაცმელზე დავიხედე. არა, ასე, მთავარი შარავზით, დუქნებზე ვერ გავივლიდი, ვერც სადალაქოს წინ გამოვჩნდებოდი. მუხლზე საკერებელ დადებულ შარვლის ტოტებზე მიმხმარი ტალახი გამოვფშვენი, კალთა-ჩათხრეწილი ხალათი ქამარში ჩაეიტანე და მთავარი გზიდან ორღობეში გადაუხვებე. ძველი ნაგზურით ვიარე და წყარომდე ჩავედი. წყაროს რომ გავეციდი, ვილაცას შევასწარ თვალი, ზემოუბნელი კარზე შევიცანი. გამიკვირდა, აქეთ რა ესაქმება-მეთქი, და აღმა ავყევი, ვითომ არც დამინახავს. თვითონაც ამარადა თვალი.

ეკლესიამდე არავის შეგხვედრივარ. ეკლესიის გაღავანთან რომ ჩავუხვებე, შორიდან მომავალი პლატონ მასწავლებელი დავინახე.

„რა ვნა? — ვკითხე ჩემს თავს, —



როგორ შევხედო მასწავლებელს თვალებში, რას მერყეის, რატომ მიატოვე სწავლაო, რა პასუხი გავცე?“

უკან რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, მერე აქეთ-იქეთ მიმოვიხედე და გავლენის ყორეს ვეცი, გადავხტი.

„უორეზე რომ ვადმოიხედოს, დამინახავს-მეთქი, ვთქვი ჩემთვის, წინ ხოხვით წავედი და საფლავის ქვებს შორის ჩაეწევი. სმენად გადაქცეული ყურს ვუგდებდი პლატონის ფეხის ხმას.

ჩემს ცხვირწინ, საფლავის ლოდიდან ვიწრო ხერელი გამოდიოდა, ხერელის პირას წითელი ხოქო მიეკვროდა ლოდს, ხოქო ქია-მაიაზე მოზრდილა იყო, ბრტყელი და უსიამოვნო, შავი წინწყლებიც აჩნდა, მერე ფეხიც აიღვა და ზოზინით გაიარა, დუნედ და უსიცოცხლოდ მოძრაობდა.

თავი წამოეყავი.

ყორეს ვადამა პლატონმა ჩაიარა. იგი ჩაფიქრებული მიდიოდა.

საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი, მაგრამ გატრეკოლ შარვალში ცივმა ქვამ უმალ გაატანა და ისევ წამოვდექი. ქვებს გადავალაჯე და სახურავგაყვარდნილ საყდარს ჩავუარე. საყდრის ცალი კარი ჭარს მოვგლიჯა და ზედ ამოკვეთილ ჯვრიანად სამსაფეხურიან ხავსიან კიბეზე ვეგო. მეორეს, ცალ ანჯამაზე შერჩენილს, ერთხელ კიდევ გაეძლო ბედის თუ ღვთის რისხვისათვის.

შესასვლელთან, წელამდე ავარდნილ ჩამხმარ ანწლში ვილაცას მორიდებით გაველო და ვიწრო ბილიკი დაეტოვებინა. ეს ბავშვის განარბენს არ ჰგავდა, არც მამაკაცის შიშივე ფეხის ნაკვალევს. ბილიკს გავყვავი, კარებში შევიხედე. წინათ ომამდეც შემოხედავს ეკლესიაში და ყოველთვის შიში მიგრძენია. ნაწვიმარი ფიცრის კედლები ჩამომალ-ჩამავებულ იყო ყოველთვის და ამ შავი, ბნელი კედლებიდან მუქი, გამჟვარტლული ოქროსფერი ხატები რაღაც იდუმალებით იცქირებოდნენ. ახლა საყდარს სახურავი ჩამოქცეოდა, ტრაპეზის კარები დაეტანებინა და ორივე მხარეს შერჩენილი ხატებისთვის ალაგ-ალაგ საღებავი

ჩამოერეცხა წვიმას, თითქოს ვერაღი ტანსაცმელიც შემოხეოდნენ. მერე ვეხედე დედი გახუნებოდათ და აქერცლოდათ, სახურავის ნამსხვრევებში ამოჩრილიყო ჯაქვჩამბული რკინის ჯვარი.

ახლა ძველებური შიში აღარ მიგრძენია, მაგრამ როცა უკან გავბრუნდი და ხავსიან კიბეზე ჩამოვდგი ფეხი, იქვე, ძველი, ქუსლებჩათელილი ჯღანები შევნიშნე. ჯღანები დიდი ხნის მიტოვებულს არ გავდა. ისევ შევიხედე კარებში და ჩამოქცეულ სახურავს იქით ყურადღებით დავაკვირდი. ღვთისმშობლის შიშველ ფეხებთან სანთელი იწვოდა და ტრაპეზის შემადღებაზე მიწასთან გართხმულიყო ფეხშიშველი შავებიანი დედაკაცი. იგი არც ხმას იღებდა, არც იძვროდა.

დედაბერი დიდხანს დარჩა ქვაზე შუბლდაბჯენილი. სანთელი ჩაიწვა, აბოლდა. თითქოს მლოცველმაც იგრძნო სანთლის ჩაქრობა, წამოიწია, ორივე ხელი გულთან მიიტანა და მე ბუტბუტი მომესმა:

— შენთვის ჩამიბარებია, ღვთისმშობელო, შენ დაიფარე ჩემი ბიჭები, შენ დედა ხარ და დედისა გესმის, დედაო მარიამ...

იგი თითქოს პასუხს ელისო, თვალები მიაცივა ხატს და გაშეშდა.

ხელში შიშველი, თოთობავშვიანი მარიამი, კარებჩამოღწეილ, ტრაპეზდანგრეულ და სახურავჩამოქცეულ საყდარში იღვა და, ვინ იცის, შეეძლო კი, მფარველობა?

არ ვიცი, რატომ ვიდექი, ან რას ვუცდიდი. ალბათ, მინდოდა გამეგო, რა პასუხს მიიღებდა დედაბერი ამ გაპარტახებულ საყდარში, რომ ამ დროს თავლია კედლებიდან შემზარავი, ამზარუნე ყრანტალი ჩამომსმა. მოხუცი შეკრთა, თვალები ხატს მალლა ააყოლა და ცას ახედა. მეც კარებს შიგნიდან ავხედე ზეცას.

თეთრ ცაზე იმ წუთს ბელურებიც კი არსად ჩანდნენ. ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვის კენწეროები გავარჩიე მხოლოდ საპირისპირო მხარეს.

ყრანტალი განმეორდა. დედაბერმა პირვეარი გადაისახა. ისე შემეშინდა, როგორც წინათ, ეკლესიაში შეხედვისას.

ისევ სამარისებური სიჩუმე, გაშეშებული დედაბერი და გახუნებული ხატები: ღვთისმშობლის, იესო მაცხოვრის, წმიდა გიორგის...

ჩახლეჩილი ყრანტალი ახლოს მოისმა. ხმას თითქოს მყრალი სუნიც მოჰყვება, ჰაერის ჩასუნთქვა გამიჭირდა. საყდრის თავზე შავმა ფრთოსანმა გადაიფრინა, სიკვდილივით შავმა და ამარზუნენა.

მოსულმა აქანკალებული ხელით ზედიზედ გადაისახა პირვეარი და გაფითრებულ ღვთისმშობელს მიაპყრო თვალები. შავი ფრთოსანი ისევ დატრიალდა საყდრის თავზე. მომეჩვენა, რომ შავი ფრთებით დაფარა პატარა, უსახურავო საყდარი და ისევ დაიყრანტალა.

ერთხელ კიდევ გადაფრინდა და მერე მძიმედ დაეშვა მაღალი მუხის კენწეროზე, რომელზეც, თურმე, ერთ დროს ეკლესიის ზარები ეკიდა. ისევ უსაშველოდ ააფარფატა შავი ფრთები ღა ერთხელ კიდევ დაიყრანტალა.

— ფუ, ყორანი ყოფილა, — უცებ გავეცალე საყდარს და ისევ ზიზლით გავხედე უზარმაზარ მუხის კენწეროს, მერე ხელიც აეუქნიე, მაგრამ ყორანი მძიმედ აქანავებდა ტოტს და დროდადრო ღუნედ ყრანტალეზდა.

— მაძლარია, — რატომღაც მივხვდი მე, თუმცა ყორანი ერთი ორჯერ ოუ დამინახავს, ისიც გაფრენილი, და სულაც არ ვიცოდი, მშვივრები როგორი უნდა ყოფილიყვნენ.

კავკასიონის მწვერვალებსაყენ, ცის სილურჯეში კიდევ მოვკარი თვალი შავ წერტილებს, თეთრ, თოვლიან მწვერვალებიდან გადმოდიოდნენ თუ იქით ვშურებოდნენ.

თავი მოვამოთხე

არქანგელის

დაზარცხეზული მსოფლიო

არც თომას ღობე-ყორეს მოფარებულმა ცუხცუხმა, არც ფოსტის გამგის გრძელი უღვაშის გრეხამ, არც დედაბრის ვედრებამ, არც ბებიას „ღმერთო ჩემომ“ არ გასკრა. აკივლდა დაღუპული შვილის დედა.

— ექას შვილი მოუკლავთ! — შეიცხადა ბებიამ და სახეში ხელი წაიშინა. — ვაიმე, ჩემო დათიკო, შენ თუ გიდგია სული, შვილო! — და ჭიშკრისაქენ წაფარცუხდა.

— ვაიმე, შე ბედდამწვარო! — ამოგმინა დედამ და ბებიას გამოუდგა.

— აუ, ჩემო ამირან, ვინ იცის, შენ რა დღე გადგია! — დანაკლავზე დამდგარი ხარივით იშმუვლა ეზიკამ.

— დაგვიდგა თვალები, სერაფიონ, დაგვიდგა! — აკივლდა სერაფიონის ცოლი სონია და თმაგაწეწილი, სირბილით გაიჭრა ორღობეში.

— ვაი, მამაია! — მოსლუკუნებდა აძიგძიგებული გოგონა.

— შვილო, შვილო! — მოკიოდა ზევიდან ძაძიანი დედაბერი.

— ბიჭო, სოსიკა! — გამორბოდა ქვევიდან სოსიკას თმაგაწეწილი მშობელი.

— ბიკენტი!

— ალექსი! რა პასუხს აძლევ დედაშენს, ალექსი!

— დაგვექვა ოჯახი? — მობლაოდა ყავარჯენებზე დაყრდნობილი თევდორე.

— კოწია, დედის ნუგეშო, კოწია, დედის დამწვარო ჭქუტებო! — მუჭამუჭად იგლეჯდა თმებს ეკა.

კოწიას ეზო მოტირლებით აივსო, მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. დიდიანპატარიანად მოაწყდა უბედურ დედის უბედური ასი დედა და მამა, ცოლი და შვილი, ბებია და მამიდა, სისხლითა და სულით ნათესავი. გულდათუთქული და თვალატრებული, დაკაწრული სახითა და გაწეწილი ჭლარით. ტუხუია ხუთ და-მმას მოუძლოდა ეზოში და



ექვსივე პირდაღებული ღიოდნენ „ბა-
ბაისა.“ ექვსივე ჯოხებზე გადაკიდებუ-
ლი ძონძეძივით მოაბიჯებდა, თითქოს
ექვს საფრთხობელას ხარდნის სიმსხო
კისერზე ექვსი თავის ქალა ჩამოუტყვია
და ფეხი აუღდამსო.

ყველაზე ბოლოს ელპიტე გამოჩნდა.
იგი გრძელ კაბას მოაფოფიალებდა და
მოყვიროდა:

— ამბაყო, ჩემი ამბაყო! — ხმა რომ
არაინ გასცა, მისთვის რომ ვერაინ
მოიცალა, ეზოში ცოფიანით ჩამო-
ვარდა და მისმა შეყვილებამ ეკასაც კი
ხმა ჩაუწყვიტა.

— ამბაყო, ამბაყო სადაა, ჩემი
ამბაყო!

ისევე იზმუვლა ამდენმა უბედურმა
დედამ, ამდენმა ცოლმა და შვილმა,
ამდენმა მოხუცმა და ახალგაზრდამ.
ყველა გულში შვილის ტანსაცმელ-
ჩაქრულ ეკას მიაწყდა, ყველა კოწიას
დასტიროდა და თავის შვილის, თუ
ძმის, მამისა თუ ქმრის სახელს იძახდა,
ყველა წასულს და არდაბრუნებულს,
ყველა უგზო-უკვლოდ დაკარგულს და
შინმოუსვლელს იხსენებდა.

კაცის მკვლელებით გამწარალი თომა
გაშლილ ხელებს შუბლში იშენდა და
ვანუწყვეტლევ „ვაი, ვაის“ გაიძახოდა.

ეზიკა სვეტს მოხვეოდა და შუბლს
წაბლის ბოძს ცემდა.

სერაფიონს წვერში ხელი წაეველო და
იგლეჯდა.

თვედორეს აივნამდე ვერ მიეღწია,
იქვე კიბესთან ჩაჩოქილიყო და ცისაკენ
აღუბყრო ხელები.

ხელგამხმარი ბიძინა და მეტყვევის
შვილი ღობეს მიყრდნობოდნენ ერთმა-
ნეთის მხარდამხარა და ყრიდნენ ცერის
სიმსხო ცრემლებს. უბედური გიტოს
მამა ლაფაროში ატუხული ზღუქუნე-
ბდა.

ეზოში ბავშვები წიოკობდნენ. მაგრამ
მე ყველაზე მეტად მაშინ მივხვდი ამ
დიდ უბედურებას, როცა თუთის ძირას,
ზურგშექცეული კლემენტი ცეტერაძე
შეგნიშნე. სისხლი თავში ამივარდა. მე-
კონა, კლემენტი სეირის საყურებლად

იყო მოსული, და ისევე მომინდა ხელზე
თუ ცხვირზე მეკბინა მისთვის. შარკლის
ჩახეულ ჯიბეებში ხელები მუშტად
შეეკარი და აიენიდან ჩამოვედი, თუთას
მოეუბარე და თვალეში უტეხად შევხე-
დე. შევხედე და დანახული ვერაფრით
ვერ დავიჯერე: კლემენტი ტიროდა...
კლემენტი ნამდვილად ტიროდა. ასლა
უცებ მივხვდი მთელ ამ უბედურებას
და ერთბაშად ავღრიალდი:

— მამა, მამაჩემო!

აიენის თავში ქალიშვილები მიყუჟუ-
ლიყვნენ და უხმოდ ქეითინებდნენ. შუა-
ში მოქცეულ ნანას თავს ბეჭებზე
აღებდნენ, თვალეზს მის თმებში მალაე-
დნენ და ჩითის გახუნებულ კაბას
ცრემლით უღობდნენ. ნანას ფერ-
მკრთალი ლოყის კანი ჩამოეკაწრა და
ცისფერ თვალთაგან წამოსული ცრემ-
ლი მოგრძო ნიკაპთან ვარდისფრად
ენასკვებოდა.

— კოწია, კოწია-აა!

— უბედურო, უბედურო!

— ბედდამწვარო!

— შვილო, შვილოო!

— ვაი, ვაი!

— უი, უი! — ისმოდა სახლიდან,
აიენიდან, ეზოდან, ლაფაროდან, ხის
ძირიდან, ციდან და მიწიდან.

უცებ სახლი გაყუჩდა. ხალხი სხვა-
გვარად შეჩოჩქოლდა.

— წყალი! — დაიძახა ვიღაცამ სახ-
ლიდან.

— წყალი! — გაიმეორა ვიღაცამ აი-
ვანზე.

— წყალი! — დაიძახეს ეზოში.

ვიღაც გაიქცა. ვიღაც გამოედევნა.
ქას მიაშურეს. ოწინარზე ჯაჭვით
მიბმული ვედრო ჩაუშვეს, ამოიტაცეს
მალა, ვიღაცამ ხელი წამოავლო და
გამოიქცა, მაგრამ ოწინარმა ვედრო არ
დაანება და თვითონ წინ გაიშხლართა,
ვედრო კი ისევე ქვის გვიმს მიეხალა.

— კოკა!

— ჩაფი!

— დოქი!

გამოარბენინეს კოკა სამზადიდან, ვი-
ღაც წინ შეეფეთა და დირეზე მამსხე-

რიეს. მერე, როგორც იქნა, დოქი აავსეს გაარბნინეს, ლამის მკვდარი დახვდათ გულწასული.

სალამომდე არ შეწყვეტილა ვაი და ვიში. სალამომდე ეყოთ დედებს თმები საგლეჯად და სახე სახოკად, სალამომდე ეყოთ ხმა საწივლელად და ცრემლი საღვრელად, სალამომდე გაუქლო მამაკაცებს ხელებმა თავში საცემად, სალამომდე არ შემინწყვეტია ღრიალი, სალამომდე ტიროდა კლემენტიც.

ბოლოს ყველა მოდუნდა, მოეშვა, ჩაუწყდა ხმა და გაუშრა ცრემლი. სალამოს ყველას გამოტირებული ჰყავდა თავისი შვილი, ქმარი, ძმა, მამა და გულისწორი. სალამოს უკვე დაღვრილი იყო დასალერელი ზღვა — სისხლი.

მე სიკვდილი ომამდეც მინახავს სოფელში და ომის შემდეგაც, მაგრამ ყველა ისინი ქორწილად მიმანია იმასთან, რაც იმ დღეს ენახე — ერთად: დაიღუპა ყველა წასული, ისინიც კი, ვისი წერილიც ერთი კვირის წინ მიეღოთ, იმ დღეს ერთად მოუკლეს ყველა დედას შვილი, დააჭრეს ძუძუები, იმ დღეს ერთად დააჭერივეს ყველა ცოლი და შავად შეუღებეს მანდილი. იმ დღეს ერთად დაიბლეს უთვალავი ბავშვი, იმ დღეს ერთად ამოუხოცეს ყველა დას — ძმა და იმ დღეს ერთად გაუქლიტეს ყველა გულისწორს — გულისწორი.

მანამდე ალყაში ყავდა ჩვენი სოფელი მტერს. ჩვენ ვერ მოვასწარიოთ გახიზნვა. გვავეწროებდა მტერი, გვაშინებდა, გვაშინებდა და წელს გეწყვეტდა, მაგრამ სოფელი მაინც ჩვენი იყო, მაინც ცოცხლები ვიყავით, მაინც გაუტეხელ ციხესავით ვიდგეით და ველოდით ხვალინდელ დღეს...

იმ დღეს კი ციხის კარებთან ვერაგულად მოკლეს კოწია, შემოიჭრნენ სოფელში და მიწასთან გაასწორეს. იმ დღეს ცეცხლითა და მახვილით გადაუხრა მტერმა ჩვენს სოფელს და ქვა ქვაზე არ დატოვა... ჩვენი გმირის ცხედარი ყორნებს მიუგდო საძიძვნად და მიწის დასაყრელადაც არ დაგვენბა.

იმ დღეს გამარჯვებულნი შედგებოდა მტერი ჩვენს სოფელში. გვიან სალამოს დაიშალა ხალხი. ორიოდ ლამისმთვეელი დაუტოვეს კოწიას საწოლზე გაშვართულ შარვალ-ხალათს, ზედ დაყრილ ფოტო-სურათებს და ხმაწართმეულ და გონდაკარგულ დედამისს.

დაიშალა ხალხი და ისე გასწიეს, თითქოს ყველას თითო-ორიოლა მკვდარი სახლში ელოდა.

ბებიას მხარში ამოვუდგეით მე და გოჩა. გოგონა, დედაჩემი და ფატი უკან გამოგვეყენენ და მივდიოდით უხმოდ, უსიტყვოდ, ბორბიკით. მივდიოდით, რადგან უნდა წავსულიყავით რატომღაც აქეოკენ, რადგან რატომღაც აქეთ გექონდა გზა, ამ გზით ვბრუნდებოდით ყოველთვის და ახლაც ნაჩვევი პირუტყვივით მივდედით ერთმანეთს.

ქიშკარი მოგლეჯილი დაგვხვდა. გოჩა ფატისა და გოგონას გამოუღდა. მე და დედაჩემმა ბებია მივიყვანეთ შინ. ზაზას ანაბარა მიტოვებულ ტირილით თვალმუცხვარულ თათიას გაუხდელად ეძინა ზაზას საწოლის ფეხთან.

მწიერ კატას განჯინა გაელო, ვაზა გადმოეგდო, ვაზაზე რატომღაც ლამბაქებიც ყოფილიყო და იატაკი ნამსხვრევებით იყო მოფენილი.

ქიშკარი ღვინიას გაეგლიჯა და ეზოში მარტო ჩვენი კი არა, უბატრონოდ-აშვებული ნახევარი სოფლის ჯოჯი ჩამოსულიყო და კონიდარი გადაეჯეგა, ბოსტანი გაენადგურებინა და ყანას შესეოდა...

ბებიას არაფერი ეს არ გაუგია. იგი მამაჩემის ტანსაცმელს დასტროდა ჩახლენილი, ჩახავებული ხმით, და დედამაც, როცა ეზოში ამოდენა ჯოჯი დაინახა, თქვა: ყველაფერს ჯანდაბამდე გზა ჰქონიაო.

კეტს ხელი წამოეფუსვი, პირუტყვის გამოვუდგე, მაგრამ ერთი რომ წინ გამოვიგდე, ათი ისევ ყანისაკენ წავიდა. ახლა იმათ დავერიე, სხვებმა ისევ უკან იბრუნეს პირი.

ამ გაწამაწილაში რომ ვიყავი, უეცრად

ზემო უბანში იალა, წამოენთო მზის ამოსვლასავეით. ჯერ არაფრად ჩამიგდია, მაგრამ როცა ისევ იჩხავლა ცრემლ-გამშრალმა და ხმაჩახლეჩილმა სოფელ-მა, პირუტყვის თავი ვანებე და ქიშკარი-საყენ გავქანდი.

ღვთის ანაბარა მიტოვებულ ზემო-უბნელ ბავშვებს ცეცხლი გაჩენოდათ ბურულიან სახლში. ბავშვები გადაარჩინეს დაწვას, ძველი ძელის სახლი კი მთელი ღამე გიზგიზებდა და მთელი ღამე ენთო ცეცხლი სოფელში.

თავი ოცხავთითი

ისევ ჩვენი სოფელი

წყალწადებული ხაცს ეკიდებოდაო. როცა კოწიას ტანსაცმელი და ფოტოსურათები მიწას მივაბარეთ, სოფელი ისევ მიყუჩდა. მამაჩემის გალიფე-შარვალი და სატინის ლურჯი ხალათი ისევ ოთახის კუთხეში ლურსმნებზე ჩამოეკიდეთ!

— ღმერთი დიდია, იქნებ არ მოვძუ-ლებივართ! — ჩაიჩიფჩიფა ბებია.

— ცოცხლის ტირილი ცოდვასო, — თქვა დედამ და ტანსაცმელს ძველი, დაკრეცილი, ორგან სიგრძეზე გადა-ლამბული ზეწარი მიათარა.

იმ ღამეს ყველამ იმედის ნაპერწკალი მოქექა და შეუბერა. ჯერ თითო-ორო-ლა სიტყვა გადაულაპარაკეს ერთმანეთს, მერე მიწვნენ, თავზე დაკონკილი საბანი წაიფარეს, დიდხანს იბორგეს, იტრიალეს ლოგინში და ნაშუადამევს ნაპერწკალი საჩიბებზე ნაკვეერჩხლამდე გააღვიეს. ბოლოს ძილი წამოეპარათ და სიზმარში თავიანთ შვილებთან, ქმრებ-თან და მამებთან იმუსაიფეს, სიხარუ-ლის ცრემლი დაიდინეს, დაგვიანება უსაყვედურეს, კოწიას დაღუპვის ამბავი გამოჰკითხეს.

დილით სოფელმა დაძინძილი საბნე-ბიდან ისევ გააღო თვალი, ფანჯარაში შემოსული დღის სინათლე დაინახა, კალთაჩახეულ კაბას საკერებელი დაა-დო, კისერთან გაგლეჯილ საკინძეს სხვა ფერის დილი დააკერა, ცრემლ-

გამშრალ თვალებზე ერთი მუქი წყალი შეისხა და კერაში ცეცხლი შეაქვხინა. ისევ გამოჩნდა ეზიკა და წაქალიდა კაცი ჩაის პლანტაციის გაიწვია.

მეც ჩვეულებრივად შევაბი ხარები. შუაზე გაპობილი კოფო მავთულით მაგ-რად შევეკარი, ხელნის თავში ახალი თავტაბიკი ჩავაგე და ურემი ეზოდან გადავიყვანე. ქიშკარი მაგრად გამოეკარ და გზას დავადექი. გოჩას სახლთან გო-გონას გავძახე. ალაგესთან მოფუსფუსე სერაფიონს გამარჯვება ვუსურვე, ჩაის საკრეფად მიმავალი ფატი მოვიკითხე და ისიც კა ვიფიქრე, სახლიდან აჩქარებით წამოსულა, იღლიასთან ერთ გოჯზე გარღვეული სახელის ამოხვევა ვერ მოუსწრია-მეთქი.

პლანტაციაში ისევ გამოფენილიყო მთელი სოფელი. ბუჩქებს შორის თავ-დახრილი მკრეფავეები ჯერ უხალისოდ აწყვეტდნენ თითო-ოროლა ფოთოლს, მაგრამ სიციხემ იმატა, ნაჩვევი ხელები თავისთავად აჩქარდა, თავისთავად გა-დაწვდა ყლორტიდან ყლორტს, ფოთ-ლიდან ფოთოლს, და შუადღეზე ჩაის გადასაზიდი ძარა სავეს მედო ურემზე და ფაბრიკისაკენ უახლოეს გზას ვა-დექი.

გვიან, შელამებულში, როცა შინისა-კენ დაებრუნდით, ქალები გამოცოცხ-ლებულიყვნენ, მასლაათობდნენ, რაღა-ცას ერთმანეთს დიდი გულისყურით უყვებოდნენ. ასე კი არა, ასე და ასე ყოფილაო, მაგი, სიპიტოს ცოლის ძმა კი არა, ყაფლანის ნათლიას შვილი იყო. მე თუ შეკითხავთო...

— მერე, მერე? — კითხულობდა ედუკი და ყურზე ჩამოფარებულ თავ-სათარს მალლა იწევდა.

— მერე და, შენა ხარ ჩემი ბატონი, ქე ჩამოსულა ლამაზად!

— აბა, ჩამოსულა? — ედუკი პირში უვარდებოდა მოსაუბრეს.

— ჩამოსულა!

— არ გადამრიო!

— მაგი კი არა, — მოსაუბრეებს შორის ახლა მალალი, მხრებში მოხრა-

ლი პისტი ჩამოდგა, — უარეს გეტყვით, ქალებო!

— რაო?

— რა გაიგე, პისტი, ამისთანა!

— რა, შე ქალო და, — პისტის მსმენელები შემოეხვივნენ, თვალები ფართოდ გაახილეს, მაღალ მოსაუბრეს მლოცველებივით შეაჩერდნენ, — იპოლიტეს მამიდაშვილი რომ გაიტაცა...

— რომელი იპოლიტეს? — არ აცალეს პისტის.

— ჩვენი, შე ქალო, რაღა არ იცა, ბეკოფე კუზინის ზევით რომ სახლობს.

— რაღა არ ვიცი...

— იპოლიტე ქარცვაძე, — ჩაურთო ნათელამ, თუ ბაბო.

— მერე, მერე?

— რა მოსვლია იმ იპოლიტეს!

— რა და... კი გეცოდინებათ, მაგის მამიდაშვილი რომ გაიტაცა ყორეთელმა ხარაზმა.

ზოგმა იცოდა, ზოგს პირველად ესმოდა, ამას ამბისათვის არაერთარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ პისტიმ მსმენელებს მოტაცების შემთხვევაც გააცნო, მერე ომში წასვლისა და, ბოლოს, დაღუპვის ამბავიც მოაყოლა. თან ისე მრავალმნიშვნელოვნად მოაგვლო თვალი იქ მყოფთ და ისე ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, ეტყობოდა, მთავარი სათქმელი აწი იწყებოდა და მკრეფავსა და მწონავს, მეურმესა და აგრონომს სუნთქვა შეეკრათ.

— ამდგარა ამას წინეთ შენი გამოტირებული და ორმოცდახუთი ხარაზი და მოდგომია კარზე დედამისს!

— არ გადამრიო! — იყვირა ედუკიმ.

— არ დაეიჯერებ! — ხელები გაასავსავა დედაჩემმა.

— არ დაიჯერებ და ეგერაა ის კაცი, ყორეთში, კი არსად წასულა!

— უი, შენ კი გენაცვალე, პისტი!

— პისტი, რაღა შექარი ამოგდის პირიდან!

— კი, მარა, იმასაც ამბობენ... — გაუბედავად ჩაურთო ნათელა ოდიკაძემ.

— შენ დაგაცალა ღმერთმა, შენც კი გეცოდნია, — დალოცა პისტემ რაკო მოწმე იშოვა, — ამბობენ: მისი კარა კეუა აქვს, ცოცხალი ხოა და...

— რაო, მინც?

— რაო, შე ქალო, და რუსეთში მეორე ცოლი ყოლია დატოვებული.

— ოჰ, ტყუილი იქნება! — არ დაიჯერა დედაჩემმა.

— მასე, ჩვენი თათუშას... სადა ხარ, გოგო, თათუშა!

— აგერ ვარ! — წინ წამოდგა დაბალი, ქვიჯანა გოგო.

— მართალია? — ჩაეკითხა მწონავი.

— მართალი უნდა იყოს, — ენის ჩღეკით თქვა თათუშამ და გაწითლდა, — დედას უნდოდა წასვლა.

— მერე რას უყურებს! — იყვირა ედუკიმ.

— მერე, მერე?

— მერე ასე ყოფილა იგიც.

— ვინ იგიც? — ველარ მოითმინა პისტიმ.

— ვინ და... რაია შენი, გოგო, ის ამბიანძის ბიჭი?

— რა და... — თათუშამ სიტყვებს დაუწყო ძებნა, — დედაჩემის ძმის ნამდვილი შვილი არაა.

— გერი ყოფილა, — წაეშველა ვიდაცა.

— ჰო, — დადასტურა თათუშამ.

— მერე და ჩამოსულა?

— ჩამოსულა კი არა და, აღმასივით რუსის ქალიც ჩამოუყვანია.

— ჩამოუყვანია?

— ჩამოუყვანია და ახლა არ უყურებ იმ რუსის ქალს? ქართული „გამარჯობა“ და „გენაცვალე“, რომ ჩამოსულა სკოდნია, სულში იხუტებენ თურმე.

— უი, რა ბედნიერია მისი პატრონი!

— აბა, ჩვენს ბიჭებს რა ღმერთი გაუწყრათ? — იკითხა გულდაწყვეტილმა ედუკიმ.

— ჩვენს ბიჭებს... — გაუბედავად უპასუხა ნათელამ, — დაღუპვის ცნობები იქნება, მაგრამ თომა...



— ჩუ, ბოშო! — პირში ეცა ვილაც
— რა პასუხია ახლა მაგი!
ნათელამ ხმა ჩაიკიძიდა, დამნაშავესა-
ვით უკან დაიხია და ნანას ზურგს
ამოეფარა.

— წაივდეთ, ქალებო, თუ არა დაგვ-
ლამებია, — თავსაფარი ყურზე ჩამო-
იფარა ედუკიმ. — ხანდამწვარ ეკას
არ მოუყვები ახლა ამას?!

— კი, კი ედუკი! — კვეერი დაუკრა
პისტიმ, — რაცხა გული ისე მეუბნება,
კოწიაც არ იქნება მთლად დაღუპული.

— არ გადამჩიო, პისტი!
— სიზმარი ვნახე, რალაცა ისეთი...
— შვილებს გაფიცებ, პისტი, რა
ნახე?

— ვითომ შე ქალო... — ვიაროთ.
ვიტყვი!

ხალხი გზას დაადგა სოფლისაკენ. მე
ურმიდან ძარა გადმოვაგდე და ხარები
სახლისაკენ გაუყუენე. ურემზე კანტი-
კუნტად მესმოდა პისტის სიზმარი და
ედუკის გაოცება, მწონავის ნამდვილი
და დედაჩემის „არ დავიჯერებ“, თათუ-
შას, ნათელას და სხვების დადასტურე-
ბა. ბრუნდებოდა ხალხი ერთი კვირის
წინ დამარცხებულ სოფელში და ახალი
ძალა და იმედი მოჰქონდა.

ურემზე გოგონა ამოძვრა, ჩემთან ახ-
ლოს ზეწარზე ჩამოჯდა და მიჩურჩუ-
ლა:

- მამა ცოცხალი იქნება?
- იქნება, გოგონა!
- მამაშენიც?
- მამაჩემიც!

გოგონა ჩაფიქრდა. კარგახანს ხმა არ
გაუცია, მერე ტუჩი ყურთან მომიტანა:

- გოგიტა!
- რა იყო, გოგონა!
- რა და... გოჩა სახლში იქნება?
- სახლში იქნება, ალბათ.

- ტუხუიაც?
- ალბათ, ტუხუიაც.
- ჰო, და არ გინდა, რომ ჩვენს მა-
შებს რაიმე საჩუქარი გავუგზავნოთ?

— კი, მაგრამ, რომ არ ვიცით, სად
არია?

— სად უნდა იყვნენ, ფრონტზე იქ-
ნებიან.

— ფრონტი დიდია, გოგონა!

— დიდია და დიდი იყო, ჩვენც
ბევრი გავუგზავნოთ.

— ბევრი კი არა, ცოტაც არაფერი
გვაქვს!

— შევაგროვოთ!

— საჩუქრები?

— ჰო.

— აკი შევაგროვეს რამდენჯერმე!

— არა, ის აგიტატორებმა და ბრიგა-
დირებმა შევაგროვეს, ახლა ჩვენ — მე,
შენ, გოჩამ, ტუხუიამ და ბავშვებმა შე-
ვაგროვოთ, ჩვენ უფრო მეტსაც ვი-
შოვით.

— კარგი, გოგონა, შევაგროვოთ!

სოფელში შევედიოდით, წინ ქალები
მიგვიძლოდნენ ქოთქოთით, ვიშვიშით,
უკან ურმით მივსდევდით და, როცა
ხალხი ორღობეებში გაიფანტა, სო-
ფელში დარიგდა, მივხვდი, რომ ეროი
კვირის წინ დამარცხებული სოფელი
ისევ აღსდგა ფერფლიდან, ისევ გარეკა
მტერი და უდიმდობა.

იმ დღეს ჩვენ გავიმარჯვეთ, იმ დღეს
სოფელი ჩვენი იყო.

თავი ოცდამეხუთეა

გოგონა

სტალინგრადთან და კავკასიონთან
ფერდებშელეწილმა მტერმა იკადრა
უკან დახევა. და კლემენტიმ პირზე
ბოქლომი დაიდო, კოლექტივში მუშაო-
ბასაც უმატა.

წითელარმიელების საჩუქრებისათვის
გატყაულ სოფელში ბევრი რომ ვერა-
ფერი შევაგროვეთ, კლემენტის ხელა
გავუძარცვეთ და ასეთი შინაარსის წე-
რილი დავეტოვეთ:

„ორი წლის ქლიავისა და ღოდნაშოს
ჩირი დაგინჩილავს. ამდენი ხმელი
ხურმა და ჩურჩხელები ბუდუს ყელზე
დაადგება. თხილი და ნიგოზი კი თავ-
გებს მოგიმარაველებს ხელაში...“

ჩვენ რა, ჩვენს სახლში კი არ მი-

გვაქვს, ფრონტზე ვგზავნით, ასე კი არ ვარგა კლემენტი, ომი გვაქვს, მტერს ვებრძვიით“...

კლემენტი უთუოდ მიხვდა, რომ ამ საქმეში ჩემი ხელი ერიო, მაგრამ სოფელში კრინტიც არ დაუძრავს. ზაფხულში რომ მტერმა ერთხელ კიდევ მოიკრიბა ძალა, მან თავი ორჭოფულად გადააქნია და თქვა:

— ეშმაკია „ლემენტი“, ფონი გასავალს დავლოცოთო, — მაგრამ მტერს უკვე დიდი წარმატება აღარ ჰქონდა ფრონტზე და კლემენტიმ ისევ დუმილი არჩია.

მართალია, თომა მთლად მოიკაცვა წელში, თუ სადმე თავზე არ წაადგებოდი, ბროწეულებსა და მესრებში მოფარებული ძნელი გასარჩევი იყო, მაგრამ მტერი ზღვა სისხლს ღვრიდა და სოფელშიც გახშირდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

რომელიმე ოჯახში ყუმბარასავით ჩამოვარდებოდა შალიკოს ან სიმონიკას დაღუპვის ამბავი და ხელახლა დაიხოცებოდა ყველა ჯარისკაცი, გაიწეწებოდა ასი დედა, ლოყას ჩამოიხოკდა ასი ცოლი და აზღუქუნდებოდა ათასი დაობლებული.

ხელახლა იღვრებოდა კოწიას სისხლი და მამაჩემის გალიფე-შარვალი და სატინის ხალათი ხელახლა იმდულდებოდა ცრემლებით. ისევ აბღავლდებოდა ეზიკა, ასლუქუნდებოდა გოგონა, უფროს-უმცროსი გვესი ტუხუია ისევ აღივლდებოდა „ბაბაიაზე“. ისევ ტიროდა კლემენტი.

ისევ ცეცხლითა და მახელით გადაუვლიდა მტერი სოფელს და ქვას ქვაზე არ დატოვებდა.

ასე გადავიტანეთ მესამე ზაფხული. ჩემი ძველი რვეულებიდან უწერი, თითო-ორიოლა ფურცელი ამოვხიე, ცალკე შევკერე და პირველ ოქტომბერს ზაზა სკოლაში გავისტუმრეთ.

თათია ორ წლისნახევრის შესრულდა. იგი თავისთვის მარტო თამაშობს, ახ-

ლოს არავის გაიკარებს. მისი სათამაშოები ჭრელჭრულა ძონძეძე და აყალო მიწა. ეს ძონძეები მისი დედოფალზეა, ხვევს ათასნაირად, ხან გულზე მიკრულს დაათრევს, ხან ჯორკოზე დააკრავს და არწევს. ან თავისი პაწია მკლუ ხელებით ზელს აყალო მიწას და „კოკორს“ აცხობს, აცხობს, აწყობს ჯორკოზე და, თუ ამ დროს ზაზა წაადგება თავზე, აკაპასდება, რომ ბევრი „კოკორი“ დაამზადა, მაგრამ ზაზამ მაინც არ შეუღუმოს, ზაზას შესაქმელი კი არა, ეს თათიასაც არ ეყოფა.

— ღორმუცელა გოგო ხარ! — აჯავრებს ზაზა და თავისთვის რვეულს ფურცლავს.

— შენ ყველის ქურდი ხარ! — ამბობს თათია.

— რა თქვა?! — ყურებს არ ვუჯერი მე.

ზაზას თვალბში ცრემლი აწეება და ყვირის:

— არ თქვა, თორემ მოგკლავ, შე გალეულა!

— ქურდი ხარ, პო! — იმეორებს თათია კერპად და, როგორც კი ზაზა წინ წადგამს ნაბიჯს, იწივლებს და ბებიას მიაშურებს. ზაზა წამოეწევა და თავში ჩაარტყამს.

— ქურდო, ქურდო! — სივის თათია, სუსტი ფეხები ვერ იმაგრებს და ეცემა.

— მომიკლა ბოეში! — იჩივლებს ბებია, — მომიკლა ამ არდასაცლელმა.

— ზაზა! — საქმეში ვერევი მე.

— მოვკლავ, მაგ გლახაკს, მაგას!

— ზაზა!

— კუტი, დაეარდნილი! — ღრიალებს იგი.

— არ ჩაიგდებ ენას? ენა ჩაიგდე! — და პანდურს ვცემ ზაზას.

იგი ხელებს იფარებს უკანალზე და მიღრენს.

— შენ რა გინდა... რა!

— რა მინდა და თოთო ბავშვს ნუ ურტყამ!



— აბა, რატო მიძახის? — ზაზას ცრემლები ერევა.

— თუ არ გაჩუმდები... აი, თუ არ გაჩუმდები! — კოკორაში მოხრილ შუა თითს ვუჩაჩქუნებ, — გაჩუმდი, შე მართლა ქურდო და ავაზაკო!

— ვაი!

— მოგვლავ! — ებრაელებ და მკლავ-ში ხელწავლებულს კედელზე ვახეთქებ.

ამ ცემა-ტყეპას და წივილ-კივილს მგზობლისას, ან წყაროზე წასული დედა მოკრავს ყურს და მომვარდება წყველა-კრულვით.

— შენ მოუკვდი დედაშენს, შენ რატო გაჩნდი ჩემსას! — მერე ნაცემ ზაზას დახედავს და ისევ ცხრა ხატზე გადამცემს.

ამ წიოკობაზე ძაღლები აყფფდებიან, ღობეზე მგზობელი გადმოიხედავს და მერე მთელი ღამე ორღობეში და შუკებში დაეხეტილობს. დაეხეტილობს ეული, მარტოდმარტო, ყველასაგან მოძულეული. სახლისაკენ გახედვაც არ მინდა, არც საღამე წასვლა, არა, არავინ მინდა, საყუთარი თავიც კი. უეცრად გოგონას წააწყდა. ახლა გოგონას დანახვაც არ მინდა, მაგრამ იგი არ მიშვებს, ალაგესთან ჩამომსვამს ქვაზე და ვუყვები, რომ არავის არ ვუყვარვარ, არც მე მიყვარს არავინ, ან კი რა საყვარელია ჩემი და-ძმა, ან დედა, რომელიც ყოველთვის მწყევლის და უნდა, რომ მოგვცდე. მამა... მამა, ალბათ, რახანია აღარაა, თორემ რაღაცას, ორ სიტყვას მოიწერდა, უმისამართო წერილს მაინც გამოაგზავნიდა.

გოგონა ჩაფიქრებული ყურს მიგდებს. გოჩა კი არასოდეს არ მომიხმენს, მტყუის, რომ სულელი ვარ. გოგონა კი მისმენს, მას არ უკვირს, ასე გულგატეხილი და უსასოო რომ ვარ.

ჭუჩაში ვიღაც გაივლის. ჩვენ ჩვენთვის ვსხედვართ ალაგესთან და ვერ გვაჩნევს... და მე უყვები...

გოგონა მისმენს. მისმენს, სანამ დავახშმებული მთვარე არ წამოგვადგება თავზე, ბოლოს მიჩნევს, სახლში წავიდე და დავიძინო.

— რა მინდა სახლში! სადა მაქვს სახლი?

— აბა, ჩვენთან წამოდი!

— ან თქვენთან რა მინდა?.. — ვიქნევ ხელს და წასვლას ვაპირებ სახლისკენ კი არა, პირიქით, ეზიკას ჭიშკრისაკენ, მინდვრებისაკენ.

— გოგირა! სად მიხვალ?! — სახელოში მეწევა იგი, — აბა, აგერ ვისხდეთ!

— არა, წაველ... შენ წადი, დაიძინე!

— არა, რატომ, ჯერ ადრეა.

— კი, მაგრამ... საქმე მაქვს... ტუხუ-იასთან უნდა წავიდე.

— რას ამბობ, გოგირა! ახლა ერთი პირი გამოძინებული იქნებიან.

მე ხის კენწეროებზე აცოცებულ მთვარეს ვუცქერ.

ჩვენ ისევ ვდგავართ.

სადღაც მამალმა იყვილა. მას მეორე გაეხმინა.

გოგონა ჩემს ხელს ხელიდან არ უშვებს და, ბოლოს, ამბობს:

— მოდი მე წაგყვები შენსას!

— მერე შენ მარტო წამოხვალ?

— არა, შენ წამომყვები.

— მერე?

— მერე მე წამოგყვები.

— მერე?

— მერე — შენ...

— მერე? — ისევ ვიმეორებ და მეციინება, მართლა მეციინება, — კარგი, გამაცილე!

— მართლა გეუბნები, აი, თუ არ გჯერა!

...და მაცილებს.

ჩვენ ნელა მივდივართ, ძალიან ნელა. ჩემს ეზომდე ორი წუთის სავალია, იქვეა ჩემი სახლი.

...და ისევ უკან ვბრუნდებით, მაგრამ გოგონას სახლი უფრო ახლოსაა.

— კიდევ გაგაცილო?

— მერე?

— მერე შენ გამაცილე.

არ მინდა გოგონას შეწუხება, მაგრამ ისევ მეციინება და თანახმა ვარ.

ისევ მივდივართ. ახლა უფრო ნელა,

მაგრამ სულ იქვეა ჩემი ეზო, გოგონას სახლი კიდევ უფრო ახლოს.

- გოგიტა!
- პაა!
- წადი აწი სახლში!
- კარგი წავალ... მაგრამ შენ?
- მე ჩემს სახლში წავალ.
- წადი და...
- თუ გინდა კიდევ გაგაცილებ.
- არა, წადი ხვალ გნახავ.
- კარგი.

ვდგავარ და ვუცდი, სანამ ეზოში ჩავიდოდეს. იგი ალაგესთან ჩერდება და მეკითხება:

- არ წახვედი?
- წავალ, რა მეჩქარება...

ახლა უფრო შორსაა ჩემი ეზო.

ერთხანს არ ვიცი, სად წავიდე, მერე თუ ძალიან სიცივე არაა, ურემზე მწვები და დიდხანს, დიდხანს არ მეძინება. დაღლილი ვარ, თვალები მეწვის, მაგრამ ძილი მაინც არ მეკარება და ვფიქრობ, ვფიქრობ გოგონაზე.

თავი ოცდაათწიანი

საავტორო ღრუბელი

არ გამართლდა ეზიკას ვარაუდი. სალამოს ზენა ქარს ქვენამ შემოუტია და დასავლეთიდან ლეგა ღრუბლები ამოყარა. ყანებში მიტოვებულ, დაუზვინავ ჩალას რომ წვიმები წადგამოდა, პირუტყვი შიმშილით დაგვიწყდებოდა. სისინებდა ქვენა ქარი, ცაზე იშლებოდა საადრო ღრუბელი და დაღუპვით ემუქრებოდა ჩემი ხარების წლის სარჩოს.

დღეს ჩალის საკონადად ვიყავით გასული ქალი და კაცი. მე ურმით მინდოდა მეზიდა საზვინეზე ჩალა, მაგრამ ეზიკამ უარი მითხრა.

— აცონოთ ჯერ მაგ უბატრონო, წვიმამ არ მოგვისწროს, სალამოს დაეჭუბავთ იქვე და მერე სად წავგივა.

... მაგრამ ნაშუადღევს ზენა ამოტყდა და ჩალა ისე გააფიცხა, მოკონეაც გა-

კირდა. წენელის მოჭერაზეც იმსხვრეოდა ღეროები, იფშენებდა წმელი ფოთოლი და ფუჩეჩი.

სალამოს ეზიკამ შექუბვაზე უარი თქვა, თუმცა ამას რა ეზიკა უნდოდა. გაქარულ-გაფიცებულ ჩალაზე ფეხით გადაგომა არამც და არამც არ ივარგებდა. მით უმეტეს, ცას საადრო პირი არ უჩანდა. მზე ჩასვლისას ჩვეულებრივ მოწითალო-ყვითელი ფერისა იყო, ისე კი არა, ავდრის წინ რომ წითლად აბრილდება და ცის კიდურს შინდისფრად შელებავს.

ნახვამშევს ყველაფერი შეიცვალა. ამოდიოდა და ამოდიოდა მუქი ღრუბელი დასავლეთიდან. კუნაპეტი ღამე ჩამოდგა. ეჭვი არ იყო, გაწვიმდებოდა, გაწვიმდებოდა ძალიან მალე.

სახე ცას მივაშურე და წვიმის პირველი წინწყლების დაცემას შიშით დავლოდე.

— სერაფიონ! — მომესმა ეზიკას ხმა, — სერაფიონ, უუ!

— ჰეი! — მოისმა სერაფიონის პასუხი.

— არიქა, თუ კაცი ხარ, ფარანი, ჭრაქი... გაწვიმდება ეს დასაქცევი.

— ეზიკა...

— დავილუპებით... ახლაც ყანებში გოჩა, უუ! გოჩა!

სახლში შევევარდი. კიზინობელა ღამ-პიდან, რომელსაც ბავშვისთვის ანთებდა ბებია, ნახევარ ჭიქამდე შავი ნავთსაურამე ჭრაქში გადავწურე, და, როცა ეზიკა ჩემს ეზომდე მოკონილდა, კიშკართან დავხვდი.

— არიქა! მომამახა ეზიკამ. — არიქა, მიშველე... დედაშენი?

— დედაჩემი...

— ქალი და კაცი! შენ წადი, გაიქეცი, არც სარი ეძიო და არც ძირს დასაგები, პირდაპირ დაქუბე, მაგ ოხრად დასარჩენი!

ორღობეში გავიქეცი.

— ივდითი! — ახლა დედაჩემს გასძახა ეზიკამ. მერე ისევ მე მომამყვარა: — ფატის გაუარე, მარტო არ წავიდეს!



— ჰო, ჰო! — უკან მოუხედავად დავეთანხმე და გოჩას ჭიშკართან გაეჩნდი.

— გოგონა! — დავიძახე ალაგესთან.

— რა გაღრიალებს! — მომესმა გოჩას ხმა და შევეკრთი, გოჩას ხომ არ ეწყინა, გოგონას რომ დავუძახე?

— არ მოღიზიარებ? — ვკითხე ნირწამხდარმა.

— მოვდივართ, აბა, შენ გიყურებთ!

სხვა დროს აინუნშიაც არ ჩაეაგდებდი გოჩას, ჩავეარდებოდი ეზოში, დავაგლებდი ხელს გოგონას და გავიქცეოდი, მაგრამ ახლა რატომღაც ჭიშკართან დაცდაც მეუხერხულა. რას იფიქრებს გოჩა, ჭიშკართან რომ ვდგავარ და გოგონას ველოდები!

— არა, წავალ და სანამ ფატი წამოვიდოდეს, დამეწევიან, მე ხომ ფატის ვუცდი და არა — გოგონას...

სერაფიონის ეზოს სირბილით გავცდი და ეზიკას ჭიშკართან სინათლე შევნიშნე.

— ფატი ხარ? — მივირბინე და სული მოვითქვი.

— ჰო, ფატი ვარ!

— რად გინდა, რო ავინთია, ბევრი გაქვთ ნავთი?

— ნავთი სადაა!

— დააქრე, ისედაც ძლივს ბუტავს!

— დავაქრობ, მაგრამ ნამეტანი ღამეა...

— ნუ გეშინია, — ვთქვი და პატრუქს თვითონ ჩაეუწყე.

— წავიდეთ? — მკითხა ფატიმ, როცა სინათლე მიიღია და ჩაქრა.

— გო... გოჩას დავუცადოთ, — მაგრამ მარცხენა თვალის უპესა და კისერში ცივი წვეთების დაცემა ვიგრძენი, — წვიმს! — აღმომხდა უეცრად.

ფატიმ ცას ახედა.

ახლა საულვამეზე დამეცა წვეთი.

— კი, დაიწყა!

— წავიდეთ, რას ვუცდივით?

— წავიდეთ! — საურმე ჭრაქს ხელი მაგრად მოვუჭირე და გავიქეცი.

— გოგონა! — მომესმა ფატის შეუხებელი ხმა.

— მომყევი, ნუ გეშინია!

— უი, რა ბნელა!

— აქ მინდორია, არაფერს არ ვამრებდები, ჩქარა, ფატი, ჩქარა!

ვითომ ფატიც ჩქარობს, მაგრამ ათიოდ ნაბიჯზე უკან რჩება და ისევ ვუძახი.

— ჩქარა, ჩქარა!

— მოვდივარ! — მესმის ბნელში მისი ხმა.

— მომეცი ფარანი, — ხელში ვწვდი მე, — ცარიელი უფრო ივლი!

— არა, იყოს გოგონა! — უარობს იგი.

ფატის ცხელი ხელი აქვს.

შორიდან ჭრტის „წიო, წიო“ ისმის.

— გოგონა!

— ნუ გეშინია, ბუს ხმა ჯერ არ გავიგონია თუ?

— კი, მაგრამ... მოიცადე...

ნაბიჯს ვუყელი, ფატი დამეწია და მხარდამხარ გამომყევა. წვიმა ისევ წინწკლავს და ისევ ვუმატე ნაბიჯს.

მინდვრის ბოლოს, ტყის პირზე ჩავუხეიეთ და ყანებისაკენ მიმავალ საურმეს დავადექით. ჭრტის ხმა ისე ახლოს გაისმა, უნებურად მეც ამეშალა ტანზე ბუსუსები. ფატი შეჩერდა, ამოიჩურჩულა:

— მეშინია, გოგონა!

— რისი? — გავიციენე ნაძალადევი, — ამხელა ქალს ჩიტების გეშინია?

— ჩიტების არა, მაგრამ ბუს სულ არა აქვს ჩიტის ხმა!

უეცრად მაცვლის ტოტს წამოვედეთ. თავი ძლივს შევიკავე წინ წასულმა და ფეხის ტერფი მაგრად დავკარი მიწას.

— რა იყო? — მკითხა ფატიმ და შეჩერდა.

— არაფერი, ეკალს წამოვედე!

აქეთ-იქიდან ჩამოხურულ ტყის სიხშირეში გზის გარჩევა მეც მიჭირდა, მაგრამ აქ ყოველი მტკაველი მიწა ზეპირად ვიცოდი. ისიც კი ვიცოდი, რომ იქ შეიძლებოდა მაცვალს გამოვედებოდი, მაგრამ საუბარში ყურადღება ვერ მივაქციე.

ახლა მარცხნივ უნდა გადამხებია, მოვეუხვიე კიდევ, მაგრამ ფატი გზას ვერ არჩევდა და პირდაპირ მიმავალს ბეჭით დავეტაკე.

— ტყის პირზე წყალი ჟონავს და ტალახში არ ჩავარდე. აქეთ, ჩემსკენ მოიწი, ერთი ნაბიჯი კიდევ და გადახტი! ფატი გადახტა და გზას პირდაპირ დაადგა.

— ახლა ქვევით იარე, თორემ შუა გზაზე ქაცვის დაბალი ჯაგია და წამოდები!

მეც გადახტი და ის იყო ორი ნაბიჯი გადავდგი, რომ წინ წასულმა ფატიმ შეპყვირა და მომაწყდა.

— რა იყო?

— ვაიმე!

სმენად გადავიქეცი, მაგრამ ვერაფერი ვერც გავარჩიე და ვერც გავიგონე.

— რა მოგჩვენა... — მაგრამ ენა მცტ ჩამივარდა. ტყიდან რალაც ფშვინვა-ფშვინვა ისმოდა.

— ვაი! — ფატის ხმა ჩაუწყდა, ხელი წამავლო და მესი აძვრებული გულისცემა გარკვევით გავიგონე.

— ეი! — დავიძახე ნასესხები ხმით.

პასუხი არავის არ მოუცია, მაგრამ რალაც ისევ დაიფშვინვა და მიჩუმდა.

მყუდროებაა. საღვაც ჩიტი დაეძებს უკეთეს ადგილს და ტოტიდან ტოტზე გადადის.

— ეი, ჰე!

ისევ ფშვინვა და ფშვინვა, იქვე სულ ახლოს, ზედ გზისპირას. მთელი ძალღონე მოვიკრიბე და დავიძახე:

— ხმა ამოიღე, რალაც ეშმაკი ხარ!

ახლოს კოტმა დაიწვილა ისევ. ხმელი ტოტების მტვრევის ხმა მოისმა.

— მოდის! — ფატი ერთიანად აძიგძიგდა და მთლად ზედ მომეკრა. წინ გავიწიე, მე იმედი ვიყავი მისი და უნდა დამეცვა.

— ჰაიტ! — დავჩხვილე, — სად წახვალ ასე, მოვედი ახლა! — ხელში ფარანი და კრაქი მოვიმარჯვე და მართლა გადავდგი ერთი მოკლე ნაბიჯი.

ისევ დაიმსხვრა ფეხქვეშ ტოტები. დაიფშვნა და, როცა ერთი გრძლად და-

იხმუვლა, თავზე და ტანზე ყველა ღერი თმა ყალყზე დამიდგა. მაგრამ ეს ერთი წამით, რადგან უკვე მოხვდით, რომ საქონელი იყო, ნაყანევში ბალახს შეყოლილი და ტყეში თავშეფარებული.

— ჯერ ვინ ატყუა საქონელი, ჩალა ყანებში გვიყრია, — გამიკვირდა და კლემენტი ცეტერაძე მომაგონდა.

ისევ მოჰქონდა ქარს შავი ღრუბლები და წინწკლავდა წვრილად. ყანაში გავედით, კრაქს და ფარანს მოვეუკიდეთ და ჩალის თავშეყრას შევეუდექით.

აინთო კიდევ რამდენიმე სინათლე. მე თვალების ცეცებით დავუწყე ძებნა გოგონას, მაგრამ ცივმა ქარმა წამოუბერა, კრაქის ალი გვერდზე წაიღო და მომსხო წვეთები მოაყოლა. ფარანი მიიბიჟუტა.

წვიმა გახშირდა.

— არიქა! — ირგვლივ შემოწყობილ ჩალებში შევევარდი, შუაგულში კონა ჩალა შევათრე და ფეხით შევდექი. — მომაწოდე, ფატი!

ფატიმ კრაქი მალაღ, გადანაქვრ ჩალის ნაძირალს წამოაგო სახელურით, ჩამქრალი ფარანი მოშორებით გადაგა, რათა ფეხებში არ წამოდებოდა და კონას ხელი დაავლო. მე წვერში ვწვდი ჩალას, პირველ კონას გვერდით მოვეუდევი. ისევ ახალი კონა მომაჩეჩა ფატიმ, ახლა ის დავიგდე ფეხქვეშ.

საურმე კრაქის მსხვილ პატრუქზე აბრიალებულ ალს ქარი ებრძოდა. წვიმამ ბეჭებში გამატანა. ფატი უკვე ორორ კონას მოათრევს, სანამ ერთს ადგილს მოვეუძებნიდე, მეორეს მანჩეჩებს ხელში და ახლის მოსატანად ბრუნდება.

გაშლილ ყანებში კრაქების თუ აბრიალებული რეზინის სინათლეზე დაფარფატებენ შავი აჩრდილები, მე მალა ვიწვევ. ფატი ზედიზედ მაწვდის წვეილ-წვეილ კონებს და ოფლითა და წვიმით ერთიანად ვიწუნებ. რაც მალა ავდივარ, ზვინის შუაგული მალდება. ახლა შექუბულ ჩალაზე დგომა მიჭირს.

ფატი ორივე ხელით მალა წევს კონას და მაწვდის. შუაგული ისევ

ამაღლდა, აი, აგერ ჩამოვეარდები ძირს, და აი აგერ.

თავზე მსხვილი წვეთები მაცვივა. ჩამოდის შუბლზე, სახეზე და ნიკამთან. ვგრძნობ, რომ უკვე ცივი აღარაა. ქვენა ისევ ებრძვის პრაქის აღს. ჩალა დასველდა და დამძიმდა. ფატი ისერის მაღლა კონას, მაგრამ ჩემამდე ვერ აღწევს და ძირს მიგორავს, ისევ ისერის, ახლა ძლივძლივობით მივწვდი, ვღებ თავის ადგილზე და ფეხით ვთე-
ლა.

ერთი კიდევ შემოუბერა და ჩვენს პრაქს ალი წააწყვიტა.

დაუშვა კოკისპირული. უმწეოდ მივიხედ-მოვიხედე. აღარაფრის გარჩევა აღარ შეიძლება, მხოლოდ უკუნი ღამე და თავსმა წვიმა. სადღაც, შორს გაკენწლა ცა ეღვამ და ყრუდ დაიგრ-
გვინა. მერე მოულოდნელად ინათა, ხელები ყურებზე ვიტაცე, გაღვებას გრიალი და ფატის შეკივლება მოჰყვა.

— გოგიტა! ჩამოდი ძირს!

— ჩამოვალ! — და ზეინიდან ჩა-
ცურდი.

— რა გვეშველება! — კანკალებდა ფატი შიშით და სიცივიით.

— გადაადებს! — ვთქვი უაზროდ, რადგან გადასადებს წვიმას ეს არაფრით არ გაედა.

— წავიდეთ?

— სად წავიდეთ ამ დაქცევაში!

ისევ ინათა. ისევ ყურისწამლებად და-
იშქა და კებტეხიას სერს ცეცხლის სვე-
ტი დაეცა.

ადგილიდან მოვწყდი, ზეინს ვეცი, ზურგით კონებს შორის შევძვერი, მერე მუხლით და ხელებით გვერდებზე მი-
ვაწევი, გავაგანიერე და მობუზულ ფა-
ტის მკლავში ვწვდი.

— შემოდი!

იგი უხმოდ შემოძვრა ზეინში. წინ, ზეინის სიღრმეში დავაპირე წაწევა, მაგრამ ვერაფერს გავხდი, მერე გვერ-
დით მივაწევი, მაგრამ ზედ მკერდზე შევეხალე აძიგძიგებულ ფატის. და
დავრჩი ასე შიტმასნილი. მესმოდა, რო-
გორ აცემინებდა ფატი კბილს კბილზე

და ცახცახებდა. უბერავდა ცივი წარ-
წარლენით იმუქრებოდა ზეცა. მეც კბი-
ლი კბილზე მეჭირა, რომ
წებულიყავ.

ორი კაცის ადგილი ვერც ისე ღრმად
გამეგანიერებინა ზეინში. ჩვენს თავზე
გადმოხურულ კონებში წყალმა ჩამოა-
ტანა. აღმათ ზურგში ჩაეწვეთა ფატის,
რადგან შეერთა და კიდევ ჩემსკენ მო-
იწია.

რალაცის თქმა დავაპირე. აღმათ იმი-
სა, რომ ფატისათვის ძნელი იყო ასე
ზეინში მოკუნტული დგომა, რომ მალე
გადაიღებდა წვიმა, რომ... მაგრამ იგი
ისე ახლოს იყო, მისი თბილი ამონა-
სუნთქი სახეში მცემდა და არ შემეძლო
ხმის ამოღება. ასე უხმოდ ყოფნაც რა-
ღაც უცნაურია, რალაც არაა ისეთი,
როგორიც უნდა იყოს. მალე მთელ
გვერდზე სითბო ვიგრძენი. ვიგრძენი
და მომინდა, ხელი მეკრა ფატისთვის,
უკან გავეპირიყავ წვიმასა და მეხის-
ცემაში და გავქცეულიყავ, ვითომ გა-
ვიწეე ჩემს გუნებაში, მაგრამ ჩემს ბეჭ-
ზე მოყრდნობილ ფატის თბილ მკერდს
ვერც მეტი მიწოლა გავუბედე, ვერც
დაშორება, პირიქით, ახლა ღრმად ჩა-
სუნთქვისაც მეშინოდა. მარჯვენა ბარ-
ძაყში ჩალის ღერის ჩხვლეტას ვგრძნობ,
მაგრამ არც ხელის წაღება შემიძლია და
ვერც ბარძაყის აცილებას ვახერხებ.
ფატიც უძრავადაა. ჩვენი ამონასუნთქი
თბილ, შეხუთულ ჰაერს აყენებს ზეინ-
ში. ცალ მხარეზე საამო სითბოს
ვეგრძნობ, და მთელ სხეულში მივლის.
გბრუვდები, ვერაფრით ვერ ვბედავ
გვერდზე თავის მიბრუნებას.

თბილა და მეშინია ამ სითბოსი. გაბ-
რუებული ვგრძნობ, რომ მეშინია. იგი
არ ჰგავს საბნის ან ცეცხლის სითბოს,
იგი უფრო... ზაზა ყოველთვის ჩემს
ფეხითთ წევს, მაგრამ არასოდეს არ
მიგრძენია ასეთი სითბო.

ისევ მინდა გავვარდე აქედან. აქ უფ-
რო მეშინია, ვიდრე მეხის და ჰეჭა-ჭუ-
ხილის... ეს სითბო რალაცნაირ ყრუან-
ტელს მგვრის, ისე კარგია, ისე ტკიბ-
ლი, თითქოს შაქრის წყალში ბანაობ,

თითქოს თბილ თაფლში იძირები. და გახსოვს მხოლოდ ერთი: რომ ფატის აქვს ცხელი შვერდი და თბილი ტანი.

ალარ ვიცი, გარეთ ქარია, თუ წვიმს. მეხი ცეხს, თუ გრივალი დათარეშობს. არსებობს თუ არა „გარეთ“, არის თუ არა ამ ზვინის გარდა ქვეყანა, ზვინის კი არა, ამ ათი კონა ჩალის გარდა, რომელიც ჩვენს ირგვლივაა შემოწყობილი. არა, ჩალის კი არა, ამ ბურუსის გარდა. არ ვიცი, რა ხანია, რაც აქა ვართ, იქნებ ერთი წუთია, იქნებ ერთი ღამე გავიდა.

... და მესმის სადღაც, ღრმა ძილში, ვიღაც მეძახის.

მე მეძახის?..

ვინა ვარ, რა მქვია მე?

— გოგიტა!

ჰო, გოგიტა მქვია.

მერე მე მეძახიან?

ჰო, მეძახიან. კი, მაგრამ ვინ მეძახის?

აგერ, აქვე ძალიან ხმამაღლა მესმის.

— გოგიტა!

ცივად შემოდის ეს ხმა ჩემს სმენაში, სმენაში კი არა, თბილ ბურუსში, და ფანტავს ამ მათრობელა ჰაერს.

— გოგიტა, უუ!

საბოლოოდ იფანტება ბურუსი და ვგრძნობ, რომ ვიღაც მოკრულა ჩემს

მკერდზე და ნაცნობი ხმა მეძახის. სიცივესავეთ მივლის ეს ძაბილი და ვგრძნობ, რომ ირგვლივ ჩალებია, გარეთ ქარია და ქვეყანაცაა, არის გოგონა და ეზოკას აქვს მაღალი ხმა.

— სად გადაცივიდნენ ეს ოჯახქორები!

ახლა ფატის ჩქარი სუნთქვა და გამალებული გულისცემაც მესმის.

აქვე გვეძახის ეზოკა და არცერთს არ შეგვიძლია პასუხის გაცემა, მერე ფეხის ხმაც მესმის, რომელიც უვლის ჩვენს სამყოფელს და ბოლოს მიდის, მიდის და გეშორდება. გეშორდება და რამდენი შორს მიდის, უფრო მესმის ყოველი ნაბიჯის ტალახიან ნაყანევში გადალახება, და ვგრძნობ, უნდა გავიქცე აქედან, ვგრძნობ, მაგრამ ახლა ამ ნაბიჯების მეშინია, რომელიც მიდის, გეშორდება მაგრამ ისევ მესმის, მესმის თუმცა იგი ჩემამდე ვეღარ აღწევს.

... და უეცრად ბარძაყზე ვგრძნობ მწვავე ტკივილს. ხელს მტკივნეულ ადგილზე ვისვამ. ჩემს მოძრაობაზე ვიღაც დაფრთხა, ვგრძნობ ხელის კვრას, ცხელ ბეჭზე და მთელ გვერდზე სიგრილეს.

ზვინში ერთხანს მარტო ვარ.

წვიმას გადაუღია.

(გაგრძელება იქნება)

შოთა ნიჟინიანიძე

• •

ვინა თქვას ჩვენზე, ვიწროდ არიან,
ერთი ოთახის ამარა დაერჩით.
ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი
აქვს,

სამი თანჯარა
მე,

შენ და ბავშვი.
მე, შენ და ბავშვი ოქროს სიზმრებად
და ოცნებებად დავიხარჯებით.
ჩვენ გავმრავლდებით და გავიზრდებით,
მოემატება სახლს კარფანჯარებით.

კარს სახელურად სტუმრის ხელი აქვს,
პატიოსნება ურდულად ადევს
და ჩვენს სუფრაზე თუ გვიმღერია,
მეზობლის ბანიც ასულა ცამდე.

ვინა თქვას ჩვენზე, ვიწროდ არიან,
ერთი ოთახის ამარა დაერჩით,
ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი
აქვს,

სამი თანჯარა —
მე, შენ და ბავშვი.

ჯარისკაცის დაბრუნება

გადავირბინე ოცი ზაფხული,
ოცი ზამთარი გადავირბინე,
ფეხქვეშ გამიწვა ლეკვის ფათურით
ახლადგაპირილი ხნულის სირბილე.

მე, ბავშვი გუთანს მოვკიდებვივარ,
ხარებს ვაფხიზლებ შინდის სახრეთი
და ბელტი ბელტზე წვება ნებევრად,
წითელი, როგორც ზეცა სამხრეთის.

ჩვენ პატარები ჩვეულ ლაღობით
შევკიდებვივართ ბოსტანს იოლად...

ვიღაც ბინდივით მოადგა ღობეს,
რალა ვიღაცა... ფოსტალიონი!
ფერწასულები შევცქერით სტუმარს,
ორღობესავით ჩრდილით შეფოთილილს
და სანამ თითონ შემოვიდოდეს
ეზოში მისი ჩრდილი შემოდის.

ჩრდილი იზრდება,
უფრო დიდდება
და სახლში ღამედ შეეყუდება...

და მერე ისე მოკვდა დიდება,
ელოდა შვილის შინ დაბრუნებას.
ასეთები ვართ...

ყველაფერს ვკარგავთ,
ჩარჩოში ვრჩებით ჩრდილად, თარგე-
ბად,
დავიკარგებით...

მოვკვდებით... მაგრამ
იმედი მაინც არ იკარგება.

II

დროს ისევ ვფურცლავ...

ნასანგრალებს ფიქრით გავ-
წედები.

გზებს სიკვდილისას
მოვაბრუნებ სიცოცხლის გზებად;
წამოდგებიან დამარხული ჯარისკაცები,
შეუდგებიან მივიწყებულ სახლკარის
ძეზნას.

ღობეს მოადგა საღამოზე მგზავრი
გვიანი
და წნულის კიშკარს სიცილით აღებს.

გახარებული და ცრემლიანი
მხრებზე შეგვისვამს ფეხშიშველ
ბალებს.

უცებ გაგვბოჭავს შიში ბავშვური...
მე კი ერთს ვფიქრობ ელდანაცემი —
კიდევ კარგი, რომ წისკვილს წასული
სახლში არ დახვდა ბიცოლაჩემი.

ნელდება შიშის ბავშვური განცდა,
მოსულს ვეჩვევით და ვერც ვეჩვევით,
ის კი ცახცახით იჩოქებს ჭასთან
და ჭისწყალს პირზე ისხამს პეშვებით.

მოივლის ვენახს,
მოივლის ბოსტანს,
სხვენზე დალანდავს ნაპირნახტლევს,
„თვიჩი... თვიჩიო“... შედგება ხბოსთან
და მერე ბელეს მოინახტლევს.

III

აქეთ ეზოში

ოცნებაა დამკვიდრებული
და ზმანებათა ფერთა თოვა შეუწყვე-
ტილი,
ჭიშკართან იცდის სინამდვილე წარბებ-
შეკრული
როგორც სასტიკი ზედამხედველი.

„ნახვის დრო მორჩა, ჯარისკაცო, აბა
წავიდეთ,
გიციდიან ძმათა სასაფლაოზე“.
ზელსა კრავს ბიძას და წინ გაიგდებს,
როგორც ბებერ ხარს გაიგდებენ სა-
საკლაოსკენ.

მიღის და

გზებზე მწუხარება წვება ჩრდი-
ლებად.

მიღის და

ფეხებს ველარ მიათრევს.
და ბიძას ყელზე საბეღავეთ წაეჭირება
გზები გავლილი
ამ ჭიშკრიდან გერმანიამდე.

მივსდევთ ტირილით... ძვირფას სტუ-
მარს ველარ ველევეთ,
ცრემლიან თვალებს ვისრუნებ შექვებით
და პაწაწინა სუსტი ხელებით
ფარაჯის კალთებს ვებლაუქებით...

IV

გზა ამ ჭიშკრიდან ბერლინამდე გადახი-
ლული
დღეს უკვდავებით დაგვიდაფინა,
მაგრამ მე ამ გზას მაინც ვკითხულობ
დალუბულ კაცის ეპიტაფიად.

ო, გზებო, გზებო,
დაქსელილნო აბლაბუდებად,
ო, არასოდეს თქვენი მსხვერპლი არ
დაბრუნდება.
ტყვიები ლულებს არასოდეს უბრუნ-
დებიან!

ო, გზებო,

ცაში ელვისტებად ნუ აიჭრებით,
ველზე სანგრებად ნუ გახოხდებით,
არ წაიყვანობ,
არ დაკარგოთ ჩვენი ბიჭები,
არ დაგვიჭვირივით გოგონები, ასე
კოხტები.

ტყვიები ლულებს არასოდეს უბრუნ-
დებიან!

გზებო ტილნო,

ნუ სისინებთ,
ნუ იკლავებით,
ნუ იმუქრებით ჯარისკაცის ყელზე
ყულვებად.
სახელით ჩვენი დედების და ჩვენი
აკვნების

წყვეთილმც იყავთ,

მობრუნების არ გაქვთ უფლება..
ტყვიები ლულებს არასოდეს უბრუნ-
დებიან!..

აღმავალი მოკაპი

საბარგო მანქანის მოფერი

ერთი გამხდარი, გაღუული, ნერვული კაცი ვარ. პატარა ხელები, გრძელი, გაქნაპული ფეხები და ისეთი შევარდნილი მუცელი. მაქვს, რომ შარვალი დღენი-აღაგ მძებრება. არაფრით არა ვგავარ საბარგო მანქანის მოფერს.

აბა, იმათ შეხედეთ! რა ზორბა ბიჭები არიან. სრული, ჩატყვიებული და მხარბეკიანი, მტვირთავივით მკერივი ხელები, მკერდი და მუცელი აქვთ, რადგან საბარგო მანქანის მოფერისთვის მთავარია ხელები, ზურგი და მუცელი. ღონიერი ხელები იმისთვის უნდათ, რომ საბარგო მანქანის საჭე, რომელსაც დიამეტრი თითქმის ხელის სიგრძე აქვს, მარჯვედ ატრიალონ. მთის დაკლაკნილ გზებზე ზომ ხშირად უხდებათ საჭის ბოლომდე ნიტრიალ-მოტრიალება. მაგარი ზურგი იმისთვის უნდათ, რომ მთელი დღე ერთ მდგომარეობაში ჯდომა არ გაუჭირდეთ, არ გაშვდნენ და, ბოლოს, მკერივი მუცელი იმისთვის უნდათ, რომ მანქანის დასაჯდომს შეეზარდონ, მისი გაგრძელება გახდნენ.

ეს, რაც ფიზიკურ თვისებებს შეეხება. ხასიათით ზომ სულ არ ვარგევარ ამ საქმისთვის. საბარგო მანქანის მოფერს ძარღვები არ უნდა ჰქონდეს, არაფერზე არ უნდა ფიქრობდეს და არ განიცდიდეს. შარავებზე მუდმივი მგზავრობა ისე ღლის ადამიანს, ხარის ღონეც რომ ჰქონდეს, ქანცს გააცლის და დაასუსტებს. რაც შეეხება ქალებს, მოფერმა ამაზე ისევე ცოტა უნდა იფიქროს, როგორც მელნაურმა. დაუსრულებელი მოგზაურობა აქეთ-იქით, ნამდვილად შემლის მგრძნობიარე ადამიანს. მე კი

მუდამ მტანჯავენ რაღაც გაუთავებელი ფიქრები. ბუნებით ნაღვლიანი ვარ და ქალებიც მიყვარს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროფესია აშკარად საჩემო არ იყო, ბედმა მაინც საბარგო მანქანის მოფერობა მარგუნა და ერთ სატრანსპორტო ფირმაში მოვეწყვე. მეწყვილედ პოლომბო მყავდა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი მეწყვილე ნამდვილი პირუტყვი იყო. საბარგო მანქანის მოფერებში ბევრია ყუყუნი. საცოდავ პოლომბოს კი ჰაუსის ნატამალი არ გააჩნდა, მთლად ჩერჩეტი იყო. მიუხედავად იმისა, ნამდვილი საბარგო მანქანის მოფერი გახლდათ. მანქანა და პოლომბო თითქოს ერთ მთლიან საგანს წარმოადგენდა. უკვე ოცდაათ წელს გადაცილებული იყო, მაგრამ რაღაც ბიჭური ჰქონდა შერჩენილი. გაბუმტული ლოყები, დაბალი შუბლი, წეროლი თვალები, პირი კი ყულაბის ჭრილს უგავდა. სიტყვა-მგირი კაცი იყო. მთელი დღე მუნჯივით იჯდა. ათასში ერთხელ ჩამბუხუნებდა თავისთვის, მაგრამ თუ საჭმელზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, იცოცხლეთ, ხელად გახალისდებოდა. მახსოვს, ერთხელ ნეაპოლისკენ მივდიოდით, იტალიაში ჩამოვხტით მანქანიდან და დაღლილ-დაქანცულები ოსტერიაში შევედით პურის საჭმელად. ჩემდა სამწუხაროდ, იმ ოსტერიაში ღორის; ქონზე მომუშეული ლობიოს მეტი არა ჰქონდათ რა. ერთი ლუკმაც ვერ ჩავიდე პირში. პოლომბომ კი ორი პირამდე გალიცილიცებული ჯამი გადასანსლა, გამარჯვებული კაცის იერით გადაწვა სკამზე, თითქოს

რალაც დიდად საყურადღებო უნდა ეთქვა. ბოლოს მუცელზე ხელი მოისვა: კიდევ ოთხ ჯამს შევკამდი, — ეს იყო ის დიდებული აზრი, რომელიც ჩემთვის უნდა გაეზიარებია.

ასეთ ჯიჩკვთან რომ ვმოგზაურობდი, უთუოდ იმიტომ გამეხარდა, იტალიას რომ შევხვდით. მაშინ ჩვენი მარშრუტი რომი-ნეაპოლი იყო. სხვადასხვა ტვირთს ვეზიდებოდით: აგური, ჯართი, განეთის ქალაქის რულონები, ფიცრები, ხილი. დროდადრო ერთი საძოვრიდან მეორეზე ცხვარის ფარა გადაგვყავდა. იტალიამ ტერაჩინოში გაგვანერა და გვთხოვა, რომამდე წამოყვანეთო. მგზავრების ტარება აკრძალული გეკონდა, მაგრამ იტალიას რომ შევხვდეთ, ბრძანებაც დაგვაიწიყდა და თავიც. დიდი სიამოვნებითო, ვუთხარით იტალიას. იტალია ცქვიტად შემოხტა კაბინაში და დაიყვირა:

გაუმარჯოს თავაზიან შოფრებს!

ერთობ გამომწვევი იერი ჰქონდა იტალიას. არაჩვეულებრივად გრძელი წელი, მაღალი, სავსე მკერდი, გრძელი კისერი, პატარა თავი, შავი ფუმფულა თმა და დიდი, მწვანე თვალები. თხელი სვიტერი თეძობამდე მჭიდროდ შემოტმასნოდა და სავსე მკერდზე ლამის ასკდებოდა. ისეთი დაბრეცილი და მოკლე ფეხები ჰქონდა, იფიქრებდით, მუხლმოყრილი დადისო. ერთი სიტყვით, იტალია გონჯი იყო, მაგრამ ლამაზებს მაინც სჯობდა. ეს იმ დღესვე დამიმტკიცა, როცა ჩისტერნოს აღმართს შევყვით. ის იყო საუკეს პოლომბო მიუჯდა, რომ იტალიამ მთელი ძალით მომიჭირა ხელზე ხელი და ველერტომდე, სადაც მე შევცვალე პოლომბო, ასე ეჭირა ჩაბლუჯული. ზაფხული იდგა, დღის ოთხი საათი იყო, პაპანება ამ დროს აუტანელი ხდება, ხელები გაგვიოფლიანდა, მაგრამ ოფლს რას დაგიდევდით! დროდადრო იტალია თავის მწვანე, ბოშა ქალის თვალებს რომ მომპაყრობდა, ისე მეჩვენებოდა, თითქოს ცხოვრება, აქამდე მხოლოდ ასფალტის ზოლში რომ იყო ჩემთვის მოქცეული, ისევ მიღიმო-

და. ვპოვე, რასაც ვეძებდი: ქალი, რომელზეც შეიძლება ფიქრზე რაღაცა-ნამ ჩისტერნოდან ვედრებოდით. პოლომბომ გზად მანქანა გაანერა და სალტეების შესამოწმებლად ჩავიდა. ამით ვისარგებლე და იტალიას ვაკოცე. ველერტოში სიამოვნებით შევეცვალე პოლომბო, რადგან მეტად კმაყოფილი ვიყავი. იტალიას კოცნა და ხელზე ხელის მოჭერა სრულიად საკმარისი იყო, რომ თავი ბედნიერ აღამიანად მეგვრძნო.

მას მერე იტალია, თითქმის ყოველდღე გვხვდებოდა გზაში. ხან ტერაჩინოდან რომში მიგვყავდა, ხანაც რომიდან ტერაჩინოში. იტალიას ხელში ახ ჩემოდანი ეჭირა ხოლმე. ან პატარა ფუთა. ჩაჯდებოდა მანქანაში და, თუ საუკეს პოლომბო უჯდა, მთელი გზა ხელზე ხელს მიჭერდა. ნეაპოლიდან რომ ვბრუნდებოდით, მაშინ ტერაჩინოში დაგვხვდებოდა, ჩაჯდებოდა კაბინაში და კვლავ მექალასუნებოდა. ხან კი, მართალია თეს მარიდებდა; მაგრამ პოლომბოს შეუმჩნეველად მაინც ვკოცნიდი. რაღა ბევრი გავაგრძელო და, იტალია შემიყვარდა, შემიყვარდა წრფელი სიყვარულით. არ ვიცი იქნებ ეს იმიტომ მოხდა, რომ უკვე დიდი ხანია ქალი არ მყვარებია. იქამდე მივედი, რომ თვალებში შემხედავდა თუ არა, გული ამიჩუყდებოდა და პატარა ბიჭვით ცრემლით მევესებოდა თვალი. ეს ნეტარების ცრემლი იყო, ოღონდ ჩემი ფიქრით, ეს მამაკაცის ღირსების შემლახველი სისუსტეა და მე ყოველნაირად ვცდილობდი ცრემლის შეკავებას. როცა საუკეს მე ვუჯექი და პოლომბოს ჩაეძინებოდა, ამით ვსარგებლობდი და ხმადაბლა ველაპარაკებოდი იტალიას. არ მახსოვს რაზე ვლაპარაკობდით იმ წუთებში, ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ ათას უმნიშვნელო რამეზე ვუბელობდით, როგორც ეს შეყვარებულებმა იციან. მახსოვს მხოლოდ, დრო სწრაფად მიჰქროდა. ტერაჩინოს დაუსრულებელ გზატკეცილსაც კი რალაც ჯადოქრული ძალით ხელად ჩამოვიტო-



ვებდით უკან. მანქანის სიჩქარეს ვუკლებდი, ოცდაათ, ოც კილომეტრზე დამყავდა საათში, მაგრამ გზა მაინც სწრაფად ილუოდა და იტალია მანქანადან ჩადიოდა. ღამით უკეთესი იყო მგზავრობა, გზაზე ნაკლები მოძრაობა იყო. ამიტომ, უფრო თავისუფლად ვგრძობდით თავს, ერთი ხელით საჭე მეჭირა, მეორეთი იტალიას ვეხვეოდი. საბნელეში შემხვედრი მანქანების ფარები რომ აინთებოდა და მე მათ ნიშანს ვუპასუხებდი, მინდოდა, რომ ჩემი მანქანის ანთებულ ფარებს ისეთი სიტყვები შეედგინათ, რომლებიც მთელ ქვეყანას ამცნობებდნენ, თუ რაოდენ ბედნიერი ვიყავი, როგორ მიყვარდა იტალია და მასაც ვუყვარდი.

პოლომბო ვერაფერს ამჩნევდა, ან ისეთ სახეს იღებდა, თითქოს ვერაფერს ხედავდა. კაბინში რომ შემოვიდოდა იტალია, პოლომბო თავისთვის ჩაიბუხუნებდა რაღაცას, ვითომ იტალიას ესაღმებოდა და განზე გაიწევდა, რომ ჩვენ შორის დაეთმო მისთვის ადგილი. იტალია მუდამ ჩვენ შუა ჯდებოდა. როცა პოლომბო მართავდა საჭეს, მე გზატკეცილისათვის უნდა მედევნებინათვალი, უნდა მეთქვა პოლომბოსათვის, გზა თავისუფალი იყო თუ არა. პოლომბოს ერთი სიტყვაც არ წამოცდენია ჩემსა და იტალიას ურთიერთობაზე. არც მაშინ ამოუღია ხმა, სიყვარულით ჰქუა რომ დავკარგე და მოვიწადინე მანქანის ჭარამრიდ მინაზე იტალიის შესახებ დამეწერა რამე. ბევრი არ მიფიქრია, დიდი ასობით დავაწერე: „გულმარჯოს იტალიას!“ პოლომბო ისეთი ყუყუჩი იყო, რომ ამ სიტყვების ორპროცენტებს ვერც კი მიხვდა, სანამ სხვა შოფრებმა დაკინებით არა გვიკითხეს, როდის აქეთ გახდით ასეთი პატრიოტებიო. მაშინ პოლომბომ გავეირვებით შემომხვდა და ჩაიციანა.

— ამათ ჰგონიათ, რომ შენ იტალიაზე დამწერე. რა იციან, თუ იტალია ქალიშვილს ჰქვია... ფაჰ, რა ჰქვიათ ხარ, რა ზორბად მოიფიქრე.

ორი თვე გრძელდებოდა ასე. ერთხელ

იტალია ჩვეულებისამებრ ჩამოვებით ტერაჩინოში და გზა განვაგრძეებდით პოლში მანქანა რომ დავცალკუთმანქანება მივიღეთ, იმავე ღამეს დავბრუნებულყავით რომში. ძალიან მეწყინა ეს ამბავი, რადგან დილით იტალია უნდა დავგვედროდა გზაში. მაგრამ რას გავაწყობდი, ბრძანება, ბრძანებაა. მიუუჯრე თუ არა საჭეს, პოლომბომ ხერხინვა ამოუშვა. იტრიმდე ყველაფერი რიგზე მიდიოდა, რადგან გზის ამ მონაკვეთზე ბევრი მოსახვევია. ღამე კი, როცა უკვე დაღლილი ხარ, მოსახვევი შოფრის საუკეთესო მეგობარია, რადგან მოსახვევი იძულებულს გხდის ფხიზლად იყო. როგორც კი იტრის გავედი, ფონდის ფორთოხლის პლანტაციებს შუა გაქიმულ ლარივით სწორ გზატკეცილს რომ დავადექი, ძილი მომერია. იტალიაზე დაეიწყე ფიქრი, იქნებ ამან გამომაფხიზლოს-მეთქი. ჩემს გონებაში ბარდივით ჩაებლართა ერთმანეთს ფიქრები იტალიაზე. თანდათან ეს ბარდი გახშირდა, გასქელდა და ბოლოს ბნელ, გაუვალ უღრანად იქცა. მახსოვს, ერთი კი გამიელვა თავში, რა კარგია იტალიაზე რომ ვფიქრობ, თორემ აქამდე დამეძინებოდა-მეთქი, მაგრამ უკვე შეძინა და ძილში გავიფიქრე ეს. არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა ასე, უცებ ვიგრძენი, მანქანამ გზას გადაუხვია და თხრილში ჩაიჩეხა. აგრუხუნდა, მანქანას მობმულმა საზიდარმა ჰახანი გაადინა. საბედნიეროდ მანქანა ნელა მიმყავდა, თორემ მე და პოლომბოს კარგი დღე არ დავგადგებოდა. კაბინიდან გამოვედი და დავინახეთ, რომ საზიდარი აყირაგებულყო, ბორბლები ზევით მოქცეოდა, მთელი ტვირთი კი თხრილში ეყარა. უმთვარო ღამე იყო, მხოლოდ ვარსკვლავები კიაფობდნენ ცაში. კიდევ კარგი რომ ეს ამბავი ტერაჩინოს მახლობლად შეგვეძინებოდა. ჩვენ მარჯვნივ მთები იყო აღმართული, მარცხნივ ვენახები გადაქიმულიყო, ვენახებს იქით კი მშვიდი ზღვა მოჩანდა.

— იდ, შენი გულისა! რა კარგია! — წამოიძახა პოლომბომ, — ტერაჩინოში

წავიდეთ და მასველი მოვიყვანოთ.

ტერაჩინო იქვე იყო, ყურის ძირში, და პოლომბომ, დღენიადაც კვამზე რომ ფიქრობდა, წმიაო, გამომიცხადა. ტექ-დახმარების მანქანა რამდენიმე საათის შემდეგ მოვა, მანამდე ურიგო არ იქნება, სადმე ოსტერიაში შევიდეთ და დავნაყრდეთო. გავეშურეთ ოსტერიის საქმებრად. უკვე ღამის პირველი საათი იწყებოდა, დაბომბვით დანგრეულ ნრგვალ მოედანზე ერთადერთი კაფე იყო და ისიც დაეხურათ. ზღვისკენ მიმავალ გზაზე რომ გავუხვიეთ, იქვე ახლოს განათებული აბრა გვეცა თვალში. იმედმოცემულებმა ნაბიჯს ავუჩქარეთ. მართლა ოსტერია გამოდგა, მაგრამ რკინის ბადე უკვე ნახევრად ჩამოეწიათ კარზე. მაშასადამე, ეს ოსტერიაც იხურებოდა. მინის კარი ჰქონდა ოსტერიას და ნახევრად ჩამოწეულ ბადეში ზაინც ჩანდა ყველაფერი.

— იი, ნახე, თუ შეგვიშვან, — თქვა პოლომბომ და ოსტერიაში შეიხედა.

მეც დავიხარე. სოფლის ოსტერიის მომცრო დარბაზში რამდენიმე მაგიდა იდგა. მაგიდებზე გადაბრუნებული სკამები ეწყო. ხელში ცოცხომიარჯკებული იტალია ცქვიტად ტრიალებდა და იქაურობას ალაგებდა. დახლში კუზიანი კაცი იჯდა. ჩემს ცხოვრებაში ბევრი კუზიანი მინახავს, მაგრამ ასეთი საზარელი ჯერ არ შემიხვედრია. ლოყებით ხელებს დაყრდნობოდა, თავი მთლიანად ჩაემალა მხრებში და კუზი თავზე წამოდგომოდა. დაეინებით მისჩერებოდა იტალიას. იტალია აჩქარებით გვიდა. კუზიანი რაღაც უთხრა, იტალია მივიდა, ხელები კისერზე შემოაქლო და შიგ ტუჩებში ჩაკონა. მერე ისევ აიღო ცოცხი და დარბაზში ისე დატრიალდა, თითქოს ცეკვაესო. კუზიანი დახლიდან გამოვიდა. მეთევზესავით აყო გამოწყობილი. ფეხზე სანდალი, ტანზე ხალათი და ზუსტდამდე აკეცილი მეთევზის ლურჯი შარვალი ეცვა. ჩვენკენ წამოვიდა, ჩვენ განზე გადავხტით, კუზიანი კარი გააღო და რკინის

ბადე ბოლომდე დაუშვა, მღელვარება რომ დაზეფარა, წამოეფიჭებინა

— ეინ იფიქრებდა

— ოპო-ო, — ძლივს ამოიღო ხმა პოლომბომ. მის ხმაში ისეთი სიმწარე გაისმა, რომ გავოცდი.

იქიდან პირდაპირ გარაქში წავედით და დილამდე მოუწნდით საზიდრის თხრილიდან ამოთრევას და მანქანის დატვირთვას. დილით, როცა უკვე რომს ეუახლოვდებოდით, პოლომბო მოულოდნელად ალაპარაკდა. მას აქეთ, რაც ერთად ვმუშაობთ, მგონი პირველად დაილაპარაკა:

— არა, ნახე, რა მიყო იმ კუდიანმა?

— რომელმა კუდიანმა, იტალიამ? რაო, რა გიყო.

— რაღა რა. იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, — დინჯად განაგრძო პოლომბომ, — მთელი გზა ხელზე ხელს რომ მიჰქრდა, როცა შეგვირდი ცოლად შეგირთავ-მეთქი და დავნიშნე კიდევაც, ნახე? კუზიანი...

გაოცებულმა პირი დავაღე.

— ისეთ კარგ საჩუქრებს ვაძლევდი იმ კუდიანს იმას: მარჯანი გინდა, აბრე-შუმის თავსაფარი, თუ ლაქის ფეხსაცმელი, — განაგრძო პოლომბომ. — არაფერი, არაფერი არ დამიკლია. რაღა დავიშალო, შენიყვარდა ის შეჩვენებულნი. მეგონა ისეთი იყო, როგორიც მე მინდოდა. ის კი... ოპ, უმადურო, უგულლო გომბიო.

დილის ბინდბუნდში ჩენი საბარგო მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა რომისკენ, პოლომბო გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა დინჯად, ხმადაბლა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მე კი ვფიქრობდი, უთუოდ იტალია, რკინიგზის ბილეთზე ფული რომ არ დავხარჯა, ორივეს გვატყუებდა-მეთქი. პოლომბოს წუწუნი ცეცხლს მიკიდებდა. ვბრაზობდი, რომ ჩემს სათქმელს ის ამბობდა, მის პირში კი ყველაფერი სასაცილო მეჩვენებოდა და ეს უფრო მამწარებდა. ბოლოს

ველარ ზოვითმინე და მკვახედ შეეწყვეტინე:

— დამეხსენი, თუ ღმერთი გწამს. გული ნუ გამიწყვალე იმ საზიზღარ დედაკაცზე ლაპარაკით. მეძინება.

— გული ნეტკინა. ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი საზიზღარი თუ იყო, — მიპასუხა პოლომბომ და გაჩუმდა. რომამდე კრინტი არ დაუძრავს.

რამდენიმე თვე ვდარდობდი. გზატკეცილი ჩემთვის ისევ იმ უჯოჯოხეთად იქცა, რაც იტალიასთან შეხვედრამდე იყო, ერთ დაუსრულებელ, საზიზღარ ბრტყელ თასმად, რომელიც დღეში ორჯერ უნდა გადაყლაპო და ამოაფურთხო. მაგრამ პროფესიის გამოცვლა მაინც იმან მაიძულა, რომ იტალიამ

იმავე გზატკეცილზე, ნეაპოლში, რატორია გახსნა, რომელსაც „მედიტერანეის თავშესაფარი“ უწოდა. მმ, თავშესაფარი! იქამდე რომ მივღეწია, ასობით კილომეტრი უნდა გაველო. დიდი ხნით არასოდეს არ შევჩერებულვარ „მოფრების თავშესაფარში“, მაგრამ როცა კი იქ შევიხედავდი, გულზე უსიამოვნოდ გამეკენწლავდა, დახლში მდგარ იტალიას რომ დავინახავდი, რომელსაც მისი კუზიანი ლუდის ბოთლებს და ჭიქებს აწვდიდა. სატრანსპორტო ფირმაში ზუზობას თავი დავანებე. საბარგო მანქანა კი, წარწერით — „ვაუმარჯოს იტალიას“, — რომელიც ახლა პოლომბოს დაჰყავს, ძველებურად დაგრილებს იმავე გზატკეცილზე.

რომული ღა რემი

შიშშილზე უფრო მწვავე და მტანჯველი არაფერია ამ ქვეყნად. შიშველტიტველი რომ იყო, ფეხზე არ გეცვას, აიტან, მაგრამ თუ გშია, ამ გრძნობას სხვა ვერაფრით დაიოკებ, თუ არა საკმლით. აბა, სცადე და ხმამალლა თქვი: „ფეხსაკმელი მინდა!“ „პერანგი არ ნაიკია!“ ერთი წუთით გაჩუმდი და მერე თქვი: „შშია!“ მაშინვე იგრძნობ განსხვავებას. რა საგანიც უნდა ინატრო, შეგიძლია დაფიქრდე, ეძებო, არჩიო, მაგრამ თუ გშია ან გწყურია, აქ ფიქრს, რჩევას და ძებნას ვერ დაიწყებ, კუჭს მოთენა არ უყვარს, იგი უნდა გაძღეს.

ამა წლის ოქტომბრის ოცდახუთი იყო, კოლონის მოედანზე რომ გავედი, შუა დღე იქნებოდა, აუზის ნაპირზე ჩამოვჯექი და ჩემ თავს გამოვუტყდი: „შშია, გული მეღევა!“ ერთ ხანს ქვადენილს დავეკებოდი უაზროდ, მერე თავი აფიქე და კორსოს გაეხედე. ბურუსი ამეფარა თვალებზე, ბუნდოვნად ვხედავდი კორსოზე მანქანებს, ყველაფერი თრთოდა და ქანაობდა ჩემ წინ. ორი დღის უქმელი ვიყავი და, როგორც იცით, შიშშილის პირველი ნიშანი სწო-

რედ ის შეგრძნობაა, როცა ყველაფერი, რასაც ხედავ, ისე თრთის და ქანაობს, თითქოს მასაც შშიაო. რამე უნდა მელონა, თორემ ფიქრის თავიც აღარ მექნებოდა.

როგორც იცით, აჩქარებით ვერაფერ აზრიანს ვერ მოიფიქრებ. მეც ასე დამემართა. ისეთი აზრები მიტრიალებდა თავში, ჭკუადმყოფელს რომ არ მოუვა: „ტრამვაში ავედი, ვილაციის ჯიბეში ხელი ჩავაცურე.“ „მალაზიაში შევედი. პირდაპირ სალაროს მივამურე, ფული მოვიტაცე და მოვკურცხლე“. ისე ცოცხლად წარმომიდგა ყველაფერი ეს, რომ შიშმა ამიტანა, მართლა ღმერთი არ გამიწყრეს და ასეთი რამ არ ჩავიდინო-მეთქი. ზოლოს გადავწყვიტე, მაინც ვიღუპები და მოდი, რომელიმე პოლიციელს შეურაცხყოფის მივაყენებ, მირჩევნია, ამისთვის დამიკირონ, ვინემ ქურდობისა და ყაჩაღობისათვის. პოლიციის განყოფილებაში ერთ ჯამ წვეს ზაინც მომცემენ! ასეთ ფიქრში რომ ვიყავი, ერთმა ბიჭმა ამხანაგს დაუძახა:

— რომულ!

აჲ სახელმა სხვა რომული გამახსენა,

ოდესდაც სამხედრო სამსახურში ერთად რომ ვიყავით. არ ვიცი, რა მომეპრიანა, ერთხელ რომელს ცხელ-ცხელი ტყუილი დაფურტყი, თითქოს სოფლად ვცხოვრობ და შეძლებული ოჯახიშვილი ვარ. სინამდვილეში რომის გარეუბანში, პრიმა-პორტში ვარ დაბადებული და გარდაილი. წინათ ნათქვამი ტყუილი შესაძლოა ახლა გამომდგომოდა. რომელს, ეგონებ პანთეონის უბანში ჰქონდა ტრატორია. ეს რომ გამახსენდა, გადავწყვიტე, რომელთან წაესულიყავი და მესაუილა. ფულის გადახდაზე რომ მიდგება საქმე, მეგობრობაზე ჩამოვედებ სიტყვას, გაეახსენებ, ერთ ნაწილში რომ ვმსახურობდი, მოგონებებს მივცემ თავს და ისიც რაღას იზამს, დასაჭერად ხომ არ გამიმეტებს.

უპირველესად ყოვლისა, მალაზიის ვიტრინასთან მივედი და სარკეში ჩაიხედე. საბედნიეროდ, წვერა იმ დილას გავიპარსე. ჩემი სახლის პატრონის სამართებლით და საპნით ვისარგებლე. სასამართლოს კარისკაცთან, კიბის ქვეშ, საკუქნაოში ვცხოვრობ. პერანგი, მართალია, მთლად ქათქათა არ ზეცვა, მაგრამ არცთუ ისე სამარცხვინო იყო, ოთხი დღე ვატარე მხოლოდ. ნაკრისდერი კოსტუმი კი, როზელიც ერთმა კეთილმა სინიორამ მაჩუქა (ომში რომ ვიყავი, ზისი ქმარი ჩემი კაპიტანი იყო), მთლად ახალივით გამოიყურებოდა. აი, ჰალსტუხის საქმე ვერა მქონდა კარგად, ძალიან დაიძენძა. ეს წითელი ჰალსტუხი თითქმის ათი წელი მემსახურა და თვითონაც წოგესსენებათ, რა ხერი დაადგებოდა.

პერანგის საყელო ავიწიე და ჰალსტუხი ხელახლა გავინასკევე. ჰალსტუხის ერთი ბოლო ძალიან დაგრძელდა, მოკლე ბოლო გრძელის ქვეშ შევმალე და პიჯაკი ყველა დიღზე შევიბნე. სარკეს თვალი რომ მოვწყვიტე, თავბრუ დამესხა. ალბათ დაეინებით რომ ვაკვირდებოდი ჩემს თავს სარკეში, ინიტომ დამესხა თავბრუ და ქუჩის კუთხეში მდგარ პოლიციელს დავეჯახე.

— წინ იყურე, — დამიტია პოლიციელმა, — შეფრალი ხომ არ გნახა? —
წინდოდა მეთქვა, „დინან, მიმშილსაგან ვარ მთვრალი მეთქი“, მაგრამ თავი შევიკავე და არეული ნაბიჯით გავყევი გზას პანთეონისაკენ.

მისამართი მახსოვდა. სახლი რომ დაეინახე, შევექვდი, ხომ არ შემეშალა-მეთქი. ჩიხის სიღრმეში ერთი პატარა კარის წინ ვიდექი. ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით პირამდე საესე ხუთი ნაგვის ყუთი იდგა. ხარის სისხლისფერ აბრაზე ეწერა: „ტრატორია შინაური სადილები“. წითლად შეღებილ ვიტრინაში კი ერთი ვაშლი იდო. არა, არა ვხუმრობ, ერთადერთი ვაშლი.

ცუღმა წინათგარძნობამ გული გამოისერა, მაგრამ უკან გაბრუნება არ შეძქლო. რაც იქნება, შევალ, ვთქვი და კარი შევალე. შიგნით რომ შევედი, ჩენთვის ყველაფერი ნათელი გახდა. უხერხულობა ვიგრძენი, დავიბენი. ერთ ხანს გაშტერებული ვიდექი, ბოლოს გამბედაობა მოვიკრიფე და მაგიდას მიფუჯექი. ცარიელ, ჩაბნელებულ ოთახში ოთხი-ხუთი მაგიდა იდგა. დახლს უკან ჩამოკიდებული ჩითის ქუქკიანი ფარდა სამზარეულოს კარს ფარავდა.

— ოფიციანტი! — დავიძახე და მაგიდას მუშტი დავკარი.

სამზარეულოში გაიფარუნეს; ფარდა გადასწიეს, ვილაცამ გამოიჭყიტა და ისეე ზიიმალა. ჩემი მეგობარი რომელი ვიციანი. ერთი წუთის შემდეგ ისეე დაეკარი მუშტი მაგიდას. ფარდა აიწია და რომელი გამოვარდა სამზარეულოდან, გზადაგზა იბნევედა თეთრი, მოთელილი და გაჭონილი ქურთუცის ღილებს. რომ მომიახლოვდა, ისეთი მოწიწებით თქვა, რას იბნებებთო, ისეთმა იმედმა გაიყლერა მის ხმაში, რომ სიბრაღულით გული შემეკეღმე. მაგრამ რას ვიზამდი, მშიოდა. სადილი მინდა მეთქი, ვუთხარი რომელს, რომელმა ჩვარი აიღო და მაგიდას გადაუსვა. მერე შედგა, დამაკვირდა და წამოიძახა:

— ვაჰ, რემო ხარ?

— ნიცანი, ხომ? — ვკითხე ღიმილით.

— გიცანი!... ერთად არ ვმსახურობდით?.. გახსოვს, როგორ გვაბრაზებდნენ ამხანაგები: „რომული. რემა და ძე მგელი“, იმ გოგოს გამო, ორივე რომ ვეარზიყებოდით.

ერთი სიტყვით, მოგონებებმა გაგვიტაცეს. მაგრამ, ეტყობოდა, რომელი წარსულს იმიტომ კი არ იხსენებდა, რომ ვუყვარდი, არამედ იმიტომ, რომ მუსტარი ვიყავი, მისი ერთადერთი მუსტარი. ტრატორიაში, ჩემ გარდა, არაფერ იყო და საბრალო რომელი ცდილობდა, როგორმე გაექარწყლებია შიშვე შთაბეჭდილება, რომელსაც მისი ტრატორია ახდენდა.

— ასე, ძმობილო! — მხარზე ხელი დამკრა რომულმა, მერე სამზარეულოსკენ მიბრუნდა და დაიძახა: — ლორეტა! — ფარდა გადაიწია, წინსაფრიალი, დაბალი, ტლანქი და მოღუშული ქალი გამოჩნდა, ეგვიტ შემაველი თვალი. ქმარმა ჩემზე ნიუთითა: აი, ეს არის რემო, რომელზეც იმდენს გელაპარაკებოდით.

ქალმა ცალკუბად განიღიმა და თავი დამიქნია. დედის შურგს ამოფარებულმა გოგო-ბიჭმაც გამოიჭყიტეს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბარაქალა!.. — რატომღაც გაიძახოდა რომული.

— „ყოჩაღ, ყოჩაღ“, — იმეორებდა თუთიყუშით, ეტყობოდა ელოდა, კერძს როდის შეევუკეთავდი. როგორც იყო, გავბედე.

— რომში ვავლითა ვარ... კომიერო-ა-ფერად ვმუშაობ... სულ ერთია, სადმე უნდა მექამა პური, შენ გამახსენდი და გავდიქრე, რაღა სხვაგან წავიდე, შოდი, რომულს ვინახტლებ და იქ ვისადილებ-მეთქი.

— ყოჩაღ, — ისევ წამოიძახა რომულმა. — ნაშ ასე, რა მოგიმზადოთ, სპაგეტი?

— რა თქმა უნდა, სპაგეტი.

— სპაგეტი ერბოთი და ყველით... მსუბუქი კერძია, მალე მოგიმზადებთ და კუქისთვისაც კარგია... კიდევ რას

ინებებ? ბიფშტექსზე რას იტყვით? / თუ ხბოს ხორცი შეგიწვიათ. ფრ. კქნებუ. პრო-ხის შემწვარი ხორცი ჭრამჭუნჩამაშია და კარაქზე მოშუშული ესკალოპი?

სულ უბრალო კერძს მთავაზობდა. ასეთ კერძს მეც ადვილად გადავეთებდი სპირტის ქურაზე. უცებ ჩემდაუნებურად მკაცრად ვკითხე:

— აბაკიო... აბაკიო გაქვს?

— ძლიერ ვწუხვარ, ჩემო რემ, მაგრამ აბაკიოს ჩვეულებრივ მხოლოდ ვახშმად ვაყვებობ.

— კარგი, მამ ბიფშტექსი შემეწვი, კვერცხით, ალა ბისმარკი.

— კარგი და პატიოსანი, კარტოფილით?

— არა, სალათით.

— კეთილია... რა თქმა უნდა, ერთ ბოთლ სუფრის ღვინოსაც დალევ, არა?

— ჰო, სუფრის ღვინოს.

რომელი სამზარეულოსკენ წავიდა, გზადაგზა იმეორებდა „სუფრის ღვინო“, „სუფრის ღვინო“. მარტო დავიჩი. ვგრძნობდი, რომ საზიზღრად ექცეოდი, უსინდისოდ, მაგრამ არ ვიცო, რა დამეძარბა, ჩემი საქციელი სიამოვნებას მგვრიდა. დიახ, ასეა თურმე, შიმშილი რას არ ჩაადენინებს ადამიანს. იქნებ რომულს ჩემზე ნეტად შიოდა, მაგრამ მე რატომღაც ესეც მსიამოვნებდა.

სამზარეულოში მთელი ოჯახი რაღაცაზე თათბირობდა. მესმოდა რომელი ხმადებდა, ადელეგებით ეუბნებოდა რაღაცას ცოლს. ქალს კილოზე ეტყობოდა, უკმაყოფილო იყო. ბოლოს ფარდა გადასწიეს და სამზარეულოდან. ბავშვები გამოცვივდნენ. ანქარებით გაეშურნენ კარისკენ. მივხვდი, რომულს პურიც არა ჰქონდა ტრატორიაში. ფარდა რომ გადასწიეს, თვალი მოეკარი რომულის ცოლს, ქურასთან იდგა და ჩანაგლებულ ცეცხლს ადევებდა. რომელი სამზარეულოდან გაიწვიდა, გვერდით მომიჯდა, უნდოდა საუბრით შევეყოლებინე და დრო მოეგო. ისევ ამეფსო გული ღვარძლით და რომულს ვუთხარი:

— კარგი ტრატორია გქონია... როგორ
ნიღის საქმეები?

— რა უშავს, გვარიანად, — მიპასუ-
ხა თეზაქინდრულმა რომულმა, —
საქმე კარგად მიდის... რასაკვირველია,
ახლანდელი კრიზისი... თან დღეს ორ-
შაბათია. სხვა დღეს მუშტარი ბევრი
წყავს, იმდენი ხალხი შემოდის, რომ
ძლივს ავუღივარ საქმეს.

— კარგად მოწყობილხარ!

რომულმა თავი ასწია და შემომხედა.
სახეს, შრგვალი სახე ჰქონდა, როგორც
ტრატორიის პატრონს შეჰქურის, მაგ-
რამ გაცრეცილი იყო, წვერგაუშარსავი
და საცოდავი.

— შენ როგორღა ცხოვრობ? გეტ-
ყობა ბედს არ უჩივი! — მითხრა რო-
მულმა.

— ჰო, არ ვუჩივი ბედს... — გულ-
გრილად მიუღგე. — თვეში ას ორმოც-
დაათ ათას ლირს ვაკეთებ. თემცა სამუ-
შაო მძიმეა.

— ისეთ დღეში მაინც არ იქნები,
რემო, მე რომ ვარ. დიდიდან დაღამე-
ბამდე წელზე ფეხს ვიდგამ.

— მართალი ხარ, თქვენი საქმე სულ
სხვაა. კაცი, რასაც გინდა მოიკლებ,
შემშლილს ატანა კი ძნელია... დარწმუ-
ნებული ვარ, შავი დღისთვის ცოტაო-
დენი რაღაც მაინც გექნება გადანახული.

რომულმა ხმა ველარ ამოიღო, მხო-
ლოდ გამოიძმა, მაგრამ იმ ღიმილში
ისეთი სასოწარკვეთილება ჩანდა, რომ
შემეცოდა. ბოლოს, თითქოს უნდა რი-
თიმე მასიაშოვნოსო, დაიწყო:

— ეჰ, ძმაო რემ... გახსოვს, როგორ
ვეცხოვრობდით გაეტში?

წარსულის გახსენება ერჩივნა, რად-
გან ტყუილის რტყვენოდა. ან, ვინ
იცის, იქნებ ჯარისკაცად ყოფნის დღე-
ები, ყვალაზე უკეთესი ხანა იყო მის
ცხოვრებაში და ამიტომ იხსენებდა სია-
ზოვნებით. ძალიან შემეცოდა და ვუთ-
ხარი, რომ ყველაფერი საუცხოოდ მახ-
სოვდა ხელად გამოცოცხლდა, ენად გა-
იკრიფა. გაიციანა კიდევ, თან მხარზე
ხელი მომიტათუნა.

ამ დროს რომულს ბიჭი დაბრუნდა.
ღენის ბოთლი ორივე ხელში ისწავი-
რა, თითქოს წმიდა შესაწირავი მოაქვსო.

— შენთვისაც დაისხი, — ვუთხარი
რომულს.

ღენი რომ დალია, უფრო გახალის-
და, უთუოდ ჩემსავით კუჭი ეწვოდა
შემშლილთ. ასე ოცი წუთი ღენის
სნაში და საუბარში გავატარეთ. მერე
თითქოს სიზმარში ვიყავი, დაინახე,
როგორ დაბრუნდა რომულს გოგონა.
საბრალო ბავშვს გამხდარი ხელებით
მკერდზე მიეკრა დიდი პარკი, რომელ-
შიც ცოტ-ცოტა ყველაფერი ეწყო:
ბიფშტექსი, კვერცხები, პაპიროსის ქა-
ლაღში გახვეული პური, გასანთლულ
ქალღღში გახვეული კარაქი და ყველი,
მწვანე სალათა და, როგორც ნომეჩე-
ნა, ზეთუნის ზეთის ბოთლიც კი. სე-
რიოზული, კმაყოფილი სახით ჩავვიარა
და პირდაპირ სამზარეულოსკენ გასწია.
რომული ცდილობდა შეიღს აფარებო-
და, უკან დაიწია, კიდევ დაისხა ღენიო.

სამზარეულოში დედა გოგონას ტუქ-
სავდა. გოგონა თავს იმართლებდა.

— რა ჩემი ბრალია, ნაკლები არ
ნომცა და რა მექნა? — ეუბნებოდა ხმა-
დაბლა დედას.

ერთი სიტყვით, სიღატაკეს, გამოუ-
ვალ სიღატაკეს მოველათებია საბრა-
ლო რომულთან. ვგონებ, ჩემზე უარეს
დღეში იყვნენ. მაგრამ შემშლილთ კუჭი
მეწვოდა და, როცა გოგონამ თეფშით
სპაგეტი მომართო, ყოველგვარი სიბრა-
ლული დამეიწყა, გამგებებული ვე-
ცი, სინდისი აღარ მექნჯინდა, კიდევ
მეტეც, თითქოს იმის შეგნება, რომ
სხვა ჩემისთანა ლატაკის ხარჯზე ვქე-
ბოდი, უფრო მიცხოველებდა მადას.

რომული შურით მიუტრებდა. ნერ-
წყეს ყლავავდა, ალბათ სპაგეტს არცთუ
ისე ხშირად ზიირთმევდა.

— მოდი, გასინჯე, — შეეთავაზე
რომულს.

თავი გადააქნია, არ მიინდაო. ჩან-
გალზე დაეხვიე სპაგეტი და პირში
ჩაუღღე რომულს.



— კარგია, შეგარგოს, — ჩაილაპარაკა რომულმა.

სპაგეტის შენდევ გოგონამ კვერცხიანი ბიფშტექსი და სალათა მომართვა რომულს შერცხვა, პირში რომ შემომყურებდა, წამოდგა და სამზარეულოში გავიდა. რა კარგია ჰამა, როცა გშია! ჩაივლებდი ლუკას პირში, ერთს გავიქნევი ყბას და ღვინოს დავაყოლებდი, ვლეკავდი, ვყლაპავდი. დიდი ხანია ასე გემრიელად არ მიჭამია.

ბოლოს, გოგონამ ხილი ღომართვა.

— ერთი ნაჭერი ყველიც მომიტანე, მსხალს უნდა შევტანო, — ვთხოვე გოგონას.

სადილი რომ მოვათავე, სკამზე გადავითხლაშე და კბილების ჩიჩქნა დავიწყე. მთელი ოჯახი გამოიფინა სამზარეულოდან, მაგიდას შემოეხვივნენ და ისე მომაჩერდნენ, თითქოს რაღაც ზეკაცი ვიყავი. რომელი გამხიარულდა, ალბათ მშიერ კუჭზე რომ დალია ღვინო, მოეცადა. ერთი სასიყვარულო თავგადასავალი გაიხსენა ჩვენი წარსულიდან. მისი მწუხარე, სევდიანი ცოლი იქვე იდგა, სახე გამურული ჰქონდა.

ბავშვებს შეეხედე: გაფითრებულები, მიკნავებულები იყვნენ, სიგანდრისაგან თვალეები გაფართოებოდათ. უცებ ისე შემეცოდა ეს დამშეული ბავშვები, სინდისმა ქენჯნა დამიწყო.

— ოთხი-ხუთი თქვენისთანა მუშტარი რომ გვეყავდეს სადილად და ვახშმად, ცოტა სულს მოვითქვამდით, — მოთხრა რომულს ცოლმა და ამის გაგონებაზე მთლად დავიწყე სირცხვილით.

— როგორ?! — ვკითხე გაოცებულმა, — მუშტარი გაკლიათ?

— იშვიათად თუ შემოიხედავს ვინმე, უფრო საღამო ხანს შემოდინა. რაგონამ შემოდინა სულ წყალწალებული ლატაკები. თან მოიტანენ ქაღალდში გახვეულ საკმელს და მხოლოდ ღვინოს

მოითხოვენ. დიდი-დიდი მუთხედები ნახევარი ბოთლი დალიან. ქურას აღარც კი ვანთებ, მინც არაყის შემოიხედავს-მეთქი.

— ლორეტა, გეყოფა წუწუნის! — ანთო რომული, — ეზგ შენ გაუთავებელ წუწუნს, ჩვენთვის უბედურება მოაქვს!

— უბედურება შენ მოგაქვს. სულ შენი ბრალია ყველაფერი. დილიდან დაღამებამდე წელზე ფეხს ვიდგამ, წუთი მოსვენება არა მაქვს. შენ კი რას აკეთებ? ერთი რამ იცი მხოლოდ—სამხედრო სამსახურს იხსენებ. ვინა ყოფილა ჩვენში დამნაშავე, მე თუ შენ?

ვიღრე ცოლ-ქმარი ერთმანეთს ლანძღავდა, სიამოვნებისაგან მოთენთილი, ფულის გადახდაზე ვფიქრობდი. ამ დროს ჩემს ბედად, რომელი გაცხარდა და ცოლს მაგარი სილა სტკიცა. ქალი სამზარეულოში გავარდა, იქიდან შაშხის საჭრელი გრძელი დანით შეიარაღებული გამოენთო, და ყვირილით, მოგკლავ, გაგაჭრობო, ქმარს ეცა.

დაფეთებული რომული განზე გაბტა, სკამი და მაგიდა გადააბრუნა. გოგონა ცხარე ცრემლით ტიროდა, ბიჭი სამზარეულოში შევარდა, სატყეპელა გამოიტანა, გამწარებით იქნედა, ოლონდვერ გავიგე, ვის ექონაგებოდა, მამას თუ დედას.

უცებ თავში გამოივლია, შესაფერი წუთი დადგა, იჩქარე, თორემ გვიან იქნებო. წამოვდექი და დავიყვირე:

— დაწყნარდით, რა ამბავში ხართ, ეშმაკმა წაგილოთ. ეი, თქვენ გეუბნებით!

კარისკენ დავიხიე, გარეთ გავედი, ჩქარი ნაბიჯით გავიარე ჩიხი, პანთონის მოედანზე მივედი და იქიდან უკვე ჩვეულებრივი ნაბიჯით გავყევი გზას კორსოსკენ.

პირობა სპირიტუალიზმში

ჩვენი სოფლის სამწყსო

აღდგომელამ შეილიშვილს ახედ-და-ხედა, მხრებში ხელები ჩასკიდა და შე-ანჯღრია. „ნამდვილი ვაჟკაცია!“ — ჩაი-ლაპარაკა თავისთვის და თოვლივით თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა.

— რად არ გინდა, ბიჭავ, ცხორში წა-მოსვლა?

ცხრაშვიდი წლის ყმაწვილი, გიგა ჩანა-დირი, პაპამისის წინ თავჩაღუნული იდ-გა და ხმას არ იღებდა.

— თვალები დამანახვე, რას ჩაგიღუ-ნავს თავი? — ახლა უკვე მწყურლად შესძახა პაპამ შეილიშვილს და ნიკაში ნელა აკრა ხელი.

გიგამ თავი მალა ასწია და აღდგო-მელა სახეში მიაჩერდა. თვალეზში ნა-ბერწყლები უკრთოდა, თითქოს ახლად-გაქრულ ტალკეებს დასცვენიაო.

ყმაწვილს მხარბეკი არ დაეწუნებოდა. ტანად მორჩილი იყო. მაგრამ მხრებში გასული, ბუსუსი შავად მოსდებოდა სა-სულვაშეზე.

— წამოხვალ!

ვერ მიხვდა, რა უთხრა. ჰკითხა თუ უბრძანა. ისევ მოლოდინით მისჩერე-ბოდა.

— რაღას დგახარ, გულა-ნაბადი შაპ-კარ! — უბრძანა პაპამ.

გიგა შებრუნდა.

ამ ხეობაში გაიზარდა გიგა. მაგრამ იმ გზით, ცხვარი რომ მიდის, ჯერ არ უვლია. ვახვდა ბილიკებს, თეთრი არა-გვის მარცხენა ნაპირიდან ცერად რომ მიიწევს მალა. ეს მთები ისე აზიდულ-

იყვნენ. ცასთან შეერთებულს ჰგავდნენ. ბავშვობისას ბევრჯერ უოცნებია ამ ცისაკენ მიმავალ გზებზე, მაგრამ ახლა გული არ მიუწევდა, სოფელში უნდოდა დარჩენა.

— აბა, დედი, ჩემი გულა-ნაბადი! — უხალისოდ სთხოვა გიგამ.

— შენ სადა გაქვს, შეილო, გულა-ნა-ბადი?

— მამაჩემისა იყოს, სულერთია, ჩემი არ არის?!

— მიჰყავხარ პაპას? რა თქვა? *

— პოოოო, — მიუღო მოწყენით.

აფუსფუსდა დედა, ბედნიერია, შეი-ლი მოესწრო. ძველი გულა გადმოიღო ნალოდან, ნაბადიც ძველი, გიგას მამი-სეული. ხურჯინში ჩაუწყო წინდები, ქალამნები, ბატკნის მატყლისაგან ნაქსო-ვი შარვალი. არც საგზალი მოაქლო — ერბოში მოხალული ფქვილის გულიანი ქადები, ხახვი და ნიორი, სტუმრისათვის შემონახული წინწანაქარი არაყიც ამო-იღო სკივრიდან და გზა დაულოცა, ბედ-ნიერად დამიბრუნდიო.

დაიძრა ფარა. წინ წაუძღვა აღდგომე-ლა. მთელი სოფლის პაპა. მაგრამ ის მარ-ტო სოფლის პაპა კი არ არის, სარქალია ამდენი ცხვარბატკნისა. თუ აღდგომელა წინ არ გაუძღვა, ცხვარი აღვილიდან არ დაიძვრება, ვაცებიც კი შეუყოყმანდები-ან, აღდგომელა თუ არ დაინახეს კომპ-ლით ხელში, გრძელბეწვიანი ბიზობით თავზე, ბოლოებჩამოქნძილ ნაბადში, ამდენი ბალახ-ბულახი რომ აკრავს, რა-



დაც სასიამოვნო სუნი რომ უდის. აღდგომელა შემობრუნდება ხოლმე და გადახედავს თავის ფარას, წინმაველი ვაცები ჩერდებიან და შესცქერიან, რას გვეტყვისო.

ფარა ნელა მიიწვედა წინ, მიდიოდა და გზადაგზა წიწკნიდა ბალახს. ბალახი გამზმარი იყო, ყვითელი. შემოდგომაზე სადღა იქნებოდა მწვანე და რძიანი, მეტადრე დარიალის ხეობაში, სადაც შიშველი კლდეები ერთმანეთს სიმაღლეში ეტოლებიან. ცა არ მოჩანდა, ძირს ვეებრთელა ქვები ეყარა, თერგშიც და მის ნაპირებზეც. იბრძოდა თერგი, დიდრონ ლოდებს ეჩხუბებოდა.

ცხვარს აკრთობდა თერგის სმა, გიგას კი სიამოვნებდა, უცნაურ ფიქრებს ჰგერიდა. ადამიანის სიციოცხლეს ადარებდა მდინარეს, რომელიც სადღაც იწყებოდა და ასევე სადღაც თავდებოდა.

აღდგომელა ჩემად მიდიოდა. არაფერი არ აკვირვებდა. არც თერგი, არც მაღალი კლდეები, არც პირქვეში ვიწრობები. ვინ დათელის, რამდენჯერ გაუვლია თავის სიციოცხლეში ამ დიდ გზაზე. იქით და აქეთ, შემოდგომასა და გაზაფხულზე. გაზაფხულობით უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს. სოფელში მოუხაროდა. მუდამ ნამატით მოდიოდა, ერთიორად გამრავლებული ფარით.

ეს ნაბაღი, მხარზე რომ აქვს წამოსხმული, ამ გაზაფხულზე აჩუქებს, სამოცდათხუთმეტი წლისა რომ გახდა, მოღვაწეობის სამოცი წლისთავი გადაუხადა სოფელმა. სწორედ ასე თქვეს—მოღვაწეობისაო. აღდგომელა პატარაობიდანვე დადიოდა ცხვარში, და ბავშვობის წლებიც მოღვაწეობად ჩაუთვალეს. წელს ნოღაის ველზე აღარ უშეებდნენ, მოხუცდიო, მაგრამ თავისი სამწყსო ვერ დასთმო. იზიდავდა საძოვრები, სადაც მთელი სიციოცხლე გაატარა.

აღდგომელას არაფერი აშფოთებს, იცის ცხვრის ყადრი. გავა ნოღაის ველზე, შიგა ბინებში, გული საგულეს ჩაუდგება. დიდია ნოღაის ველი, ცხვარბატკანს არ გამოეღვევა ბალახი—ავშანი და კუტიმლაზე. წითელწვერა და კაკაპი.

მხოლოდ გიგას ეთანადებოდა გული. თავს ისე გრძნობდა, თითქმის ცრფელში რაღაც დარჩაო.

შიდის გიგა და ნათიაზე ფიქრი მიჰყვება თან. ზანდაზან ისეთი გუნება მოუვლის, ლამის უკან გაიქცეს, გადაირბინოს მთები, ჩავიდეს სოფელში და ფეხი აღარ მოიკვალოს იქიდან. ყოველ დილას შეეგებოს ნათიას, როგორც მზის ამოსვლას, ყოველ საღამოს შეხედეს ხოლმე, როგორც მთვარეს, რომელიც დაგნათის, შესცქერი და ვერაფერს ეუბნები. დაე, ნურაფერს ეტყვის, მისი შუაზე ეყოფა გიგას!..

მთელი ზაფხული ტკბილად გაატარა ნათიასთან, მხოლოდ ერთხელ დასწყეიტა გული. არ ავიწყდება ის დღე. დალისტნიდან გუნბელ სტუმრებს ელოდნენ დღეშეთში. ნათიაც და გიგაც ესწრებოდნენ ამ შეხვედრას. რა კარგი იყო მაშინ ნათია, როგორი ნაზი და პაეროვანი. წვრილი, შავად შემორკალული წარბები და მალა ახრილი ვრძელი წამწამები ჩამუქებულ თვალებს უმშვენიებდა. პატარა, ვარდისფერი ტუჩები და თეთრად ჩაიწიწიკებული კბილები ისე ხიბლავდა გიგას, რომ თვალის მოშორება არ უნდოდა. ორი მსხვილი ნაწნავი, წელამდე რომ სწვდებოდა, ბავშვურ იერს აძლევდა. ნათია ისეთი თვალწარმატაი იყო. რომ გიგა შეფიქრიანდა კიდევ, იქნებ ეს ის ნათია არ არის, ფერმაში რომ ვნახეო. ის დღეც კარგად ახსოვს. ნათიას თეთრი ხალათი ეცვა. ახლად მოწველილი რძე გაჰქონდა გოპურიდან. უცებ კარებში გიგა გადაეხირა. სახელაღწილი გოგონა ვაყის დანახვაზე მთლად აენტო, თმის კულულები შებლზე ჩამოსცვენოდა. ვერაფერი შებედა. თავი დახარა და, ვიდრე გიგა გზას დაუთმობდა, ჩემად ელოდა. მოეწონა გიგას, შებრუნდა და თვალი გააყოლა. შემდეგში ხშირად დადიოდა ფერმაში, სულერთი იყო, საქმე ჰქონდა თუ არა.

დალისტნელ სტუმრებთან შესახვედრად დღეშეთში ნათიაც მიიწვიეს. ფართო მოედანზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. წითელყელსახვევიანი პიონერები

ყავაჩოებსა ჰგვანდნენ, თავადაც ყვაეილებს — ყვაეილები ეკირათ ხელში.

მსუბუქი მანქანები შემოიჭრა მოედანზე. ტაშით შეეგებნენ მოსწავლეები. ბავშვებმა ყვაეილები მიართვეს სტუმრებს. ნათიაც აქ იყო, მასაც თაიგული ეკირა ხელში. ცნობისმოყვარედ შესცქეროდა სტუმრებს, თვლით არჩევდა, რომლისთვის მიერთმია თაიგული: ჯერ ერთი ტანშალალი, ხმელ-ხმელი მწითური კაცი გადმოვიდა, მისი წვეტიანი უღვაშები აქეთ-იქით ხანჯლის წვერებით იყო გაშვებული, ჩექმებში ჩატანებული შარვალი ეცვა. ხუჭუჭა კრაველის ყავისფერი, ძალზე მალალი ბოხოხი ეხურა. ნათიამ შეხედა და შეყოყმანდა. ის როგორღაც მკაცრად გამოიყურებოდა და ასეთ ძიას ვერ გაუბედა თაიგულის მირთმევა. ახლა ქალი გადმოვიდა, ლეკის ქალი. მას მიმზიდველი სახე ჰქონდა, ცხვირი კენიანი, ერთმანეთთან შეერთებული სქელი წარბები. შემკრთალივით იყურებოდა, მთიდან ჩამოვარდნილ შვლის ნუქს ჰგავდა. მერე ხანშიშესული ჰარმავი კაცი გამოჩნდა, პირმრგვალი და სქელტუჩება. გადმოვიდა თუ არა, მაშინვე დაიძახა:

— გამარჯობათ, ამხანაგებო!..

როგორც ჩანდა, ეამყებოდა ამ სიტყვების წარმოთქმა. მოეწონათ მისი ქართული და ტაში დააყარეს. ნათიას ხელში შერჩა თავისი თაიგული. აი, გადმოვიდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ნაცრისფერი პიჯაკის ქვეშ მოქარგული ხალათი ეცვა. თავზე შავი კრაველის ბოხოხი ეხურა. ეს იყო რამაზ ალიევი, სოფელ ჩოხის მწყემსი. მან მარჯვენა ხელი გაშალა და დაიძახა:

— თქვენ გენაცვალეთ, ამხანაგებო! —

შეეტყო, ქართული იცოდა — ნოღაის ველზე ქართველ მწყემსებისაგან ნასწავლი. ნათიასაც მოეწონა სტუმრის სალაში და თავისი თაიგული გაშლილ ხელში ჩაუღო. ჩოხელი მწყემსი ძალზე გაახარა ქართველი ქალიშვილის მირთმეულმა თაიგულმა. ყვაეილები გულთან მიიტანა და გაუღმა. გიგამ თვალი შეაღწო ნათიას, ჩოხელსაც შეხედა. ისიც შეამჩნია,

როგორ აეფაკლა ნათიას ლეკები.

სალამოთი სტუმარ-მასპინძლებს ყვარავის საბანკეტო დარბაზში შექაქაძენი. სანაქებო სუფრა გაიშალა. მწვადების სუნი იქაურობას აბრუებდა. შამფურები ხელიდან ხელში გადადიოდა. ცხელ-ცხელი ხინკალი თითებსა და ტუჩებს უთუთქავდა ყველას, მაგრამ მაინც ვერ სთმობდნენ, სულს უბერავდნენ და ისე შეექცეოდნენ. არაგვში დაპერილი კალმასი და მურწა უხვად ეყარა თეფშებზე. დეკელის ბეჭი შემოიტანეს, თამადას მიართვეს და მასვე სთხოვეს აეთალა. თამადა მორჩილად შეუდგა კეთილ საქმეს.

საქეიფო ნაბერწყალი „ენისელმა“ დაანთო. მას მოჰყვა კახური შარბათი და გაისმა „მრავალყამიერი“. მეგობრების სადღეგრძელოზე სამადლობელი რამაზანმა წარმოთქვა:

— საქართველო — გამარჯვება და გენაცვალეთ! — ასე დაიწყო მან, სუფრას გადახედა და განაგრძო, — ვაჟკაცობა გინდა? იცის! სიყვარული გინდა? იცის! — შეისვენა, თითქოს დასკვნის გაკეთება გაუჭირდარი, შეეტყო, რომ საჭირო სიტყვა იზოვა და განაგრძო, — ჩვენ კარგი ბულა მოგიტანეთ. თქვენც გაქეთ, მაგრამ ეს ჩვენ გაჩუქეთ! კარგი ყოჩი მოგიტანეთ. ესეც გაჩუქეთ. ბევრი საქონელი და ბევრი ცხვარი გქონდეთ. ეს ძალიან კარგია! ახლა მუშაობა გინდა! ესეც იქნება. მაშ, ყველას გამარჯობა! დარბაზში ფანდური გაჩნდა. ლეკის ქალს გადასცეს. დიდხანს სთხოვდნენ, რამე იმღერეო.

ქალმა ღარებს თითები ჩამოჰკრა, სახე ჰერისაკენ მიმართა და მტრიალა ხვით დაამღერა:

„წუხილში ვიძინებ, წუხილში ვიღვიძებ, როდემდის ველოდო ნეტა?..“

— ვერ დავიძობ, დღისმზვე, შენ ჩემი განძი ხარ!

სულ ამას ჩამძახის დედა.

— დედიკო, ნუ მშალავ, შენ ვერცხლი დამალავ.

შე კი გამათხოვე მალე...

— ნუ ვებრეებ, სუნჯავ, თავს შემოგველებით! — ამბობენ ეს ჩემი ძმები.



— ეხ, ძმებო, მიხედეთ თქვენს რაშებს, ფეხმარდებს, მე სატრფოს მიმგვართ მალე! —

ყველა სიამოვნებით უსმენდა. ლეკის ქალს შეენოდა და შეეფერებოდა კიდევ ეს ტყბილი მოთქმა.

ტაშის გრიალმა გაამხიარულა დარბაზი.

— რამაზანი! — შესძახა ცოტახნის შემდეგ ხანჯალა ულვაშებიანმა, — ერთი აჩვენე ჩვენს ძმებს, როგორ ვცეკვავთ დაღისტნელები!

რამაზანს უარი არ უთქვამს, მაშინვე ადგა და სუფრის წინ გადმოვიდა. ამ დროს გარმონიც გაჩნდა, — აქამდე სადღაც უპაერობით დაგუდული, ლეკის ქალის ხელებში მთელ სიგრძეზე გადაიქიმა და ისე გაიბერა, გაფხორილ ინდაურს დაემსგავსა. ჯერ ამოიფშვინა, მერე დაიწრობინა და გაისმა ლეკურის კარგად ნაცნობი შელოდია.

რამაზანმა წრეს შემოუარა და მაშინვე ნათიასთან მივიდა. ნათია დიდხანს უარზე იდგა, საცეკვაოდ არ გადიოდა, წითლდებოდა და ფითრდებოდა, მაგრამ რამაზანი არ ეშვებოდა.

— ეცეკვე, გოგო, რა დაგემართა, სტუმარი! — ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდან.

ნათია წრეში შევიდა. ის ვერაფერს და ვერაფის ხედავდა. რამაზანი კი თავს იწონებდა. ფეხის ცერებზე დგებოდა, ბუქნასაც აკეთებდა, ხშირად იჭერდა ნათიას გამოხედვას, ნათიას სიმშვენიერე და სინაზე ხიბლავდა. ველარ მოითმინა გიგამ, სუფრიდან წამოხტა და წრეში შევიდა, რამაზანის მკლავებქვეშ შეჰყო თავი და უკან მოიქცია იგი. ახლა თვითონ გაჰყვა ქალს.

რამაზანი სახტად დარჩა...

არწივივით მისდევდა გიგა, თითქოს ლამობდა თავის მკლავებში მოეგდო ნათია და ასე ჰყოლოდა ჩაპურილი, რომ აღარასოდეს — არაფის არ ეცეკვოს, რომ აღარაფის არ მიაწოდოს ყვაველები ამ ხელებმა, ახლა რომ ასე ნარნარადაა გაშლილი.

ლეკის ქალმა რამაზანს თვალი შეაე-

ლო, მის სახეზე წყენა ამოივიტინა და თანამეგამულის გულის მონახუნად მსუტებ შეწყვიტა დაკერა... *ზიზლირთქა*

— გიგა, გიგა! — შესძახეს აქეთ-იქიდან.

გიგა შეტრიალდა და რამაზანს გაუღიმა. ამ ღიმილით უნდოდა წაეშალა უხერხულობა. ერთმანეთისათვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ ორივეს რაღაც ხინჯი დარჩა გულში.



ბინდი ჩამოწვა. კვამლის ბოლქვებით აშლილი ღრუბლები ცას მოედო.

აღდგომელა შეჩერდა, მიიხედ-მოიხედდა. ტრიალი მინდორი იყო. ცა დაწვეულიყო და თეთრად დასწოლოდა მიწას. ფარა გაჩერდა. ის-ის იყო აღდგომელა ჩამოჯდა კაპაჭით მოფენილ ბორცვზე, რომ ცხვარმა ბლავილი მორთო. ცხვრები ერთმანეთს აჰყენენ და გულსაკლავად აბლაღლდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ჩიჩქნიდნენ ნესტიან მიწას.

აღდგომელა წამოდგა, გული ჩაწყდა, ცხვრის ბლავილს ვერ იტანდა. რა ელდა ეცათო, ეკითხებოდნენ მეცხვარეები. აღდგომელა კი სდუმდა. გაახსენდა ის წელი, შინ რომ პირველად დატოვა თავისი მთვარესავით პირბადრი თამარი. იმ წელსაც ასე ბლაოდა ცხვარ-ბატკანი. „ზარალი გვექნება! — გაუელვა აღდგომელას. მაშინაც ასე მოხდა“. იყუჩა, ჩრდილს დაემსგავსა, უხმოს, უსახოს.

ფარა დაწყნარდა. აღდგომელასაც გულს მოეშვა. ისევ ჩამოჯდა კაპაჭით მოფენილ ბორცვზე, კომბალს მაგრად ჩასჭიდა ხელი. დაილაღა მოხუცი, ბევრი იარა. მხოლოდ ერთი წუთით მილულავს თვალს, გულს დაიწყნარებს და ისევ ზეზე წამოდგება. *ძილში ჩაესმის ცხვრის ფშვინვა, ბალახის წიწვნა. ეს ნანინაა მისთვის და სთვლემს ამ ნანინაში.

ღამით აღარ იცლიან. აქ დაუღამდათ და აქვე გაათენებენ.

ცაზე არც მთვარე, არც ვარსკვლავები. ასე სჯობია. შემოდგომობით, როცა ცა-

ზე ვარსკვლავებია, მიწაზე ცივა. ახლა კი ღრუბლები საბნებოვით მოჰფენია ცას, თბილა მათ ქვეშ.

— ბაბრია, აბა, ძაღლო, შე პირლევანავ, შენა! — შესძახა მოხუცმა.

ბაბრია კუდს აქიციუნებს. ამ ღამესაც ვით შავი პირისახე აქვს ძაღლს, თვითონ კი თეთრია, ბურძგლა, ბეწვიანი. მოხუცს არ შორდება, ფეხდაფეხ დასდევს.

— ვერ გაიგე, რას გეუბნებიან?

როგორ ვერ გაიგო. ბაბრია გაიქცა და მწოლიარე ფარას შემოტრბინა. ნადირის სუნი არ სცემდა და თვითონაც მიჩევა.

სიწყინარეში ჩასთვლიმა პაპას.

გიგა ფეხზეა. ფხიზლობენ სხვა მწყემსებიც. გიგას ჯარად შემოჰხვევია ფიქრები. ფიქრი კი ჩუმია, არავის შეაწუხებს!

ისევ სოფელშია ფიქრით. ნატრობს... ნეტავი ერთი ასე მოხდებოდეს:

„...დღია. თეთრი არაგვი მოშხუის პლეთის ვიწროებში. ბილიკზე ჩარბის გიგა. ზიღზე ვადაირბინა და ნიავეით აიჭრა ზევით. სასოწარკვეთილი ხმა შემოესმა. ქალის ხმა იყო, ძალიან ნაცნობი ხმა. შეტრიალდა. ფერდობი ჩაირბინა. ზედაეს. ზვირთებზე გაშლილა ქალის შავი თმა. თვალი შეავლო შემკრთალ სახეს, ცალი ხელი გამოუწვდია და შველას თხოულობს... ვინ არის ეს შავგვრემანი ქალი? ვისია ეს მწველი თვალები? თეთრი არაგვის აქაფებული ზვირთები უფარავენ ხორბლისფერ გულმკერდს. გიგა მდინარეში შეიჭრა. ის კარგად იცნობს არაგვის ტალღებს, ტალღებიც იცნობენ. ნაფოტივით მსუბუქია და მოტივტივე, ვერ ჩასძირავენ. გიგა შევარდა მდინარეში და ქალს იმ ხელში ჩასჭიდა ხელი მუდარასავით რომ ამოწვდილიყო წყლიდან.

„გიგა. — ეუბნება თავის თავს, — ხელი არ მოაკიდებინო, შენც ჩავითრევეს!.. დეე, ჩამითრიოს, — ოღონდ მასთან ერთად ვიყო, აი, ასე, ხელიხელჩაკიდებულნი.“

ნაპირზე გამოიყვანა. იქვე დაასვენა და ზედაეს გიგა, როგორ იწევს მაღლა

ქალის ამობურცული მკერდი, როგორ ფეთქავს ამ მკერდში მშვენიერად სიციცხლე!

„ალარც ახლა იქნება ჩემი? — ამბობს თავისთვის, — აბა, ვის დავანებებ?!“

გაქრა ნატერა და ოცნება..

წამოსვლის წინ ნათიამ ჰკითხა...

— როდის ჩამოსვალ?

— მაისში! — მოუგო ვიგამ, — მთის ფერდობებზე პირიმზე რომ გამოჩნდება.

ახლა კი შორს არის ვიგა, ნოღის ველზე. ტიალ და ტრიალ ტრამალზე ნემსივით დავარდხილი და ნემსივით ჩაკარგული.

ნათია კი ელის გაზაფხულს და პირიმის გამოჩენას.

• •

ცხვარს ნისლი უყვარს. ნისლი ალბობს შემოდგომის შეყვითლებულ ბალახს და ცხვარი გემრიელად შეეჭკეცევა. უხარია აღდგომელას, ცხვარი მაძლარი ეყოლება. დადის კომბლით ხელში თეთრწვერა, თეთრი ულვაშებით, გაუშლია ნაბდის კალთა, დადის და თითქოს სიკეთეს სთესავს მიწაზე...

ბაბრია აყმუვლდა.

— გაჩე, შე ვერანავ! — მიძახა ვიგამ. აღდგომელა ჯავრს მიეცა. რად ყმუის ძაღლი?.. ბაბრიას სხვა მყეფარებიც აყუნენ, თარეშა, ქედანა... ყმუიან გულსაკლავად. მიუახლოვდა აღდგომელა, შესცქერის წარბშეკრული, შუბლშეჭმუხვნილი. მყეფარებს კი თავიანთი სველი დრუნჩები აღმოსავლეთისაკენ გაუშევირათ და ყმუიან.

— ბაბრია, ბაბრია!..

— თარეშა!

— ქედანა! — აწყინარებს ბებერი მწყემსი.

ბაბრია ყურს არ უგდებს, არც თარეშა, არც ქედანა.

ნაცრისფრად ვაწოლილ ნისლში არაფერი ჩანს, ძაღლები კი იცქირებიან იმ არაფერში და ყმუიან.

— რა იყო, ძაღლო, შე ტიალო, დაწე

თეოზე! — მაგრამ ძაღლები არ უგონებენ.

მეზობელ ბინებიდან მოვარდნენ მწყე მსები.

— რაზე ხართ დაღონებულნი? — შეეკითხნენ მოსულები.

— ჩვენი ძაღლები ყმუიანი!..

— ჩვენი ძაღლებიც!..

— ჩვენებიც! — შესჩივლეს ერთმანეთს.

— ბინებთან ახლოს გეჭიროთ თავი! — დაარიგა აღდგომელამ.

გათენდა. დაიწმინდა ნისლი, გაიკრიცა ცა. დაუბერა. ნელი ქარი ესიამოვნა მწყემსებს. უბერავედა და მაზარის კალთებს აფრიალებდა.

ალბათ, ჭარმა მოიტანა ეს თოვლის ღრუბელი, რომელიც შიშველ ჩამოაწვა ველს. მსხვილი, თეთრი ფიფქებით დაიწყო ბარდნა.

• •

გამოიძვარა. პირმცინარე დილა გათენდა. ღრუბლები ეთამაშებოდნენ მზეს — ამოეფარებოდნენ და მალავდნენ, ხან კი გამოახედებდნენ და ქვეყანას დაანახებდნენ.

ფარა ტაბრით გაჰყვა ველს. თოხლი ფარებში დატოვეს. გიგაც იქ დარჩა. თოხლის შორს წაყვანა არ შეიძლებოდა. თოვლია ველზე, თოხლი ბავშვივით არის, ვერც სიცოცხეს იტანს, ვერც შიმშილს, დედაცხვარი კი თოვლის ქვეშოდან ამერგნს ბალახს.

ნიავე დაუბერა. მოხუცმა ზურგი შეუშვირა და გაჰყვა ნიავეს. ფარაც ნიავეს ქროლას მიჰყვებოდა. ხარობდა აღდგომელა, ცხვარს ბალახი არ მოაკლდებოდა, ველი სავსე იყო თავსეილათი და წითელწვერათი.

ნაშუადღევს ნიავე გაძლიერდა, ქარად იქცა. ახლა ფარაც და აღდგომელაც უკვე ქარს მიჰყვებოდა სადღაც, ჩრდილოეთისაკენ. აღდგომელამ სცადა ფარა შემოებრუნებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. ქარი ცხვარს თოვლს აყრიდა და გზას უზნელებდა. ახლა უკვე ქარს მიჰყავდა აღდგომელა და მისი ფარა. ისე მიაქა-

ნებდა წინ, თითქოს ათასი ხელი მუჯღუგუნს ჰკრავდა. ცდა დატყუვან გადახრილიყო, თავს იმაგრებდა, მამობდა, ქარს ბუმბულივით არ აეტაცნა მალა. ტანზე მიღესილი ნაბადი ნამქერი-საგან მთლად გათეთრებოდა. ფეხებში ებლანდებოდა ცხვრები. ბაბრია და თარეშა გვერდ-გვერდ მისდევდნენ, დროდადრო შეუყუფდნენ ხოლმე აკივლებულ სივრცეს, ყმუოდნენ შეუწყვეტლივ ღრიანცელისა და შეუჩერებელი კორიანტელის გამო.

ღმუოდა და კიოდა ველი. აქა-იქ ტრი-ალუბდა თოვლის კორიანტელის ვეებერთელა ძაბრები. აღდგომელა ქარბუქში ველარაფერს ხედავდა. შესუსტებულ მუხლებთან გრძნობდა ცხვრების სითბოს, რაც ჯერ კიდევ აიშვებდა. ფარა ირგვლივ მახვევიაო...

ვერც ალღოთი, ვერც გუმანით ვეღარ ხედებოდა, საით მიათრევა ქარიშხალი, რომელ მხარეს მიერეკებოდა ფარას, ზღვისკენ თუ გულშშრალ ქვიშებისაკენ.

ერთი წამით მაინც რომ შესძლებოდა შეჩერება, შესვენება, ამოსუნთქვა, ერთხელ მაინც რომ მოველო თვალი მიდამოსათვის, იქნებ მიმხედარიყო, სად იყო და საით მიიწვედა. პირწითელა ცხვარი, ხელზე შეჩვეული რომ ჰყავდა აღდგომელას, ბლავილით მისდევდა უკან, მაგრამ ვერაფრით შეელოდა. მოხუცს თავბრუ დაეხვა. ველის კვილი უკვე ერთიან შეუწელებელ გაუგუნად ჩაესმოდა.

„ახლა კი დავეცემი, უსათუოდ დავეცემი!“ — ბუტბუტებდა ის, მაგრამ არ ეცემოდა, უძალიანდებოდა. იცოდა, დაეცემოდა თუ არა. მაშინვე გაიფანტებოდა მისი ფარა, მისი სოფლის საშეყსო.

„სად არის გიგა, ვინ მომაგნებს ამ დაკარგულში,“ გაიფიქრა, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, მერე მეორე მუხლიც მოეკეცა და წლების სიმძიმით დაუძლურებული მოხუცი რკალივით წინ გადაიხარა.

„პატარას დაეისვენებ... სულს ამოვი-თქვამ!“ — ფიქრობდა აღდგომელა, მაგრამ გრძნობდა, ასე დიდხანს რომ დარჩენილიყო, ვეღარ შესძლებდა ფეხზე

წამოდგომას, წელში ველარ გაიმართებოდა. ქარბუქით გატაცებული ფარა კი წინ მიიწევდა. ქარის ღრიალცელი უსაშველო წივილ-კივილად გაისმოდა, თითქოს ხმლები ტრიალებდნენ ჰაერში, თითქოს ილუწებოდა ფოლადის შუბები, თითქოს ინგრეოდა ციხე-კოშკები...

მოხუცი მწყემსი მუხლებმაჩოქილო იდგა ამ უკაცრიელ ტრამალში და თავჩაღუნული უილაჯოდ ჩურჩულებდა:

— ბრალიანთა და უბრალოთ სალოცავო, ფარა გადამირჩინე, მოხედე ჩვენი სოფლის სამწყსოს!

მოხუცმა ჯიუტად ასწია თავი.

— ღმერთო, მუხლი გამიმაგრე, ძალა მომეცი, თავი შევიწარჩუნო! — ჩაილაპარაკა და წამოიწია, წამოდგა, ისევ შეეკიდა ქარს, ისევ გაუძალიანდა, — ცოტაც რომ შევმაგრდე, გადავრჩები. უსათუოდ ჩადგება ქარი! — ამშვიდებდა თავის თავს, — შე ვიცი, ქარი ჩადგება, ქარი ჩადგება და არაფერი აღარ მოხდება. უპატრონოდ არ დარჩება ეს ჩვენი ფარა. არც მე ვეგდები ამ ტიალ ველზე... არც მე... ღმერთო, მომეცი ძალა, მუხლი გამიმაგრე! — ბუტბუტებდა აღდგომელა და ისევ ეკიდებოდა ქარს. აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თითქოს ადამიანის შვილს ეძებდა, მაგრამ არავინ იყო. ვისთვის უნდა მიეწვდინა ხმა. ვინ გაუწოდებდა ხელს უდაბნოდ ქცეულ ველზე?...

„არ დავეარდები! — გაიძახდა გულში, რომ გამხნეებულყო, გაკაცებულყო. მერე ლანძღავ დაუწყო თავის თავს: — რა გემართება, შე ბებერო, შენა? ქარი აღარ წამოგწევია?... ყინვა არ შეგბვედრია? ნიაღვარი აღარ გინახავს?“

მაგრამ აღდგომელას მუხლი მოუღუნდა, მკლავები მოეშვა, მხრები ჩამოუვარდა და დაეცა:

აღმოსავლეთის ქარი მთელი ღამე ზუზუნებდა, ჰფანტადა ფარას და სადღაც ჩრდილოეთისაკენ მიერეკებოდა...

შფოთავდა გიგა... რატომ არ ბრუნდებოდა აღდგომელა?

თოხლი ბაკიდან ფარეხში შერევა, ხშირ-ხშირად უზიდავდა ფარეხს, რა ექნა? ხელებში შესატყვისად მოგიტანიაო... მაგრამ თოხლს არ მოსწონს თივა, არ ეგემრიელება. ეს თოხლები მართლა რომ ყუყუჩები არიან, არაფერი გაეგებათ ქარბუქისა. მისწოლიან ფარეხის კარებს და გავარდნას ლაპობენ. გარეთ მიუწვეთ გული, გარეთ კი ქარია, სასტიკი ქარი!

გიგა წამდაუწუმ გარეთ ვარბოდა. აღმოსავლეთს გასცქეროდა. ქარი თოვლიან ფრთებს სახეში უტლავუნებდა. სულს ძლივს ითქვამდა... ჯავრი უკლავდა გულს... რატომ არ მოდიოდა პაპა!

შუადღეც გადაიწურა, ბინდი გაეკრცას. ის კი არ ჩანდა. შფოთავდა გიგა, მაგრამ მაინც იწუგებდა თავს:

„რა არ გადაუტანია პაპას, გაუძლებს!“

...ერთხელ ნაპირებიდან გადმოვიდა კასპიის ზღვა. მოიწევდა თავისი შმაგი ტალღებით და თანდათან ფარავდა მიწას. ტალღებმა ველზე ნაგები და კარკაპები შემოაგდო. იალქნიან ხომალდებსაც კი მოაგორებდნენ გაშმაგებული ზვირთები. უღმობელი იყო ზღვა, ღრმად შემოიჭრა ხმელეთზე. აღდგომელას ფარადეც მოაღწია წყალმა, კოკებამდე სწვდებოდა წყალი. მიამიჯებდა აღდგომელა ზღვაში ნაბადშემოკვართული, კომბალი კვერთხივით ეჭირა ხელში და ისე მიაბობდა წყალს, თითქოს „დაბადებიდან“ გადმოსული წინასწარშეტყველი ყოფილიყოს. უკან მიჰყვებოდა თავისი ფარა, მისდევდნენ ნაგაზებიც. დიდხანს იბობოქრა ზღვამ და, როდესაც დაშოშმინდა, როდესაც თავის წიაღს დაუბრუნდა, მიწას შერჩა ნაგები და ხომალდები. ზღვიდან ამოყრილი ვეებერთელა თევზები საცოდავად ხტოდნენ და ფართხალობდნენ. აღდგომელას კი ფეხშეუშლელად მიჰყავდა თავისი ფარა. კიდევაც გაიყვანა სამშვიდობოს და გადაარჩინა.

„დღესაც ასე იქნება... დღესაც იმარჯვებს მოხუცი!“

მაგრამ სად არის აღდგომელა?..

ნუთუ ქარისშხალმა გაიტაცა?..

რა გაათეთრებს ამ სიბნელეს?!. რა გაათენებს ამ ასპიტ ღამეს?! რა გააჩუბებს ამტყუარ ტრამალებს?!..

გიგას ტოლები სარკმელს მისდგომოდნენ და ხმაჩაქმენდილები ვასცქეროდნენ ბნელ სივრცეს. დიდხანს იყუჩა გიგამ, მერე უნებურად წამოიძახა:

— ვაი დედასა!...

— რა დაგემართა, გიგა?!...

— ჯაერი შემომიწვია... ეს რა ჯანყი დაგვიდგა?!

— შენ რასმე სხვას სწუხარ!..

— აი, იმას... პაპას!.. ტიალმა ქარბუჭმა არ გადაიყოლოს!...

— აღდგომელა?.. — ჩაიციხა ერთმა. — ჩვენისთანებს ბარემ ასს აჯობებს!

გაჩუხდა გიგა. ნათქვამი გულს მალამოდ დაედო. დამშვიდდა, მაგრამ გარედან ისევ შემოესმა ქარის წივილი და ისევ ნალექი შემოაწვია.

— მივხედოთ ადამიანს! — ისე თქვა, თითქოს შეევედრა, წამომყევითო.

აწრიალდნენ მწყემსები, თითქოს ღრმა ძილში ყოფილიყვნენ და ახლა გამოფხიზლდნენ.

ტყაპუჭები გადაიციეს. ქალამნებში თივა ჩაიფინეს და კომბლებით ხელში გავიდნენ გარეთ.

„სადაც ქარი წაგვიყვანს, პაპაც იქ იქნება!“ — ფიქრობდნენ ისინი და მიდიოდნენ.

ღამე ილეოდა...

ქარისაგან გაფანტულ ღრუბლებში აქა-იქ თითო-ოროლა ვარსკვლავი გამოჩნდა. ქარისშხალი თავის ფართო ფრთებს ჯადოსნური ფრინველივით ჰკეცავდა და წვებოდა მიწაზე. აღარ კიოდა, თითქოს მთელი ღამის ხეტიალით დაიჭანცაო და გარეყრავის ზღურბლზე იძინებდა.

აგერ თოვლში ჩაფლული ცხვარი შენიშნეს. გიგა დაიხარა, რქებში ხელი ჩასჭიდა და წამოსწია. იცნეს, ეს აღდგომელას საყვარელი ყოჩი იყო, პირწითელა, ხელზე ბავშვივით შეჩვეული, შუბლზე წითელი ნიშნით, სამჯერ მოგრეხილი რქებით... ქარბუჭს დაუხრჩვია. გი-

გამ ხელი შეუშვა და სინანულით განაგრძო გზა. შორიხლოს კარგად შენიშნა ცხვარი ეგდო. ასიოდენ ნაბრჯინი უნდა არეს, გიგამ მიწაზე ჯოხი შენიშნა, ხელი წაატანა, აიღო, ეს აღდგომელას კომბალი იყო, მუშტისოდენა თავიანი.

„დაეარდნია! თვითონაც დაეცემოდა!“ — სინანულით გაიფიქრა, მაგრამ ხმაშალა თქმა ვერ გაბედა.

შემალელებული ადგილი შენიშნეს, თოვლით გადათეთრებული. „ვაითუ, იქ არის ჩაფლული,“ — გაუელვა გონებაში. გულმა მძლავრად დაუწყო ცემა.

ახლოს მივიდნენ. თოვლის ქვეშ ნაბადი მოჩანდა, ნაბადი სწრაფად გადასწიეს და პირქვე მწოლარე პაპა დაინახეს. ბაბრია იქვე ჩატუცქულოყო და მის ხელზე თავი დაედო. ხელი კი მოჭრილ ტოტივით ეგდო ძირს. ეს ის ხელი იყო, რომელსაც ბაბრიასათვის ბევრჯერ გადაუგდია პურის ნატეხი. ეს ის ხელი იყო, რომელიც ბაბრიას თავ-კისერს ბევრჯერ შეხებია მოსაფერებლად.

ბებერი მუხა წაქცეულიყო, ეძინა ქანცმილულს, ილაჯგაწყვეტილს.

— პაპა, პაპა, აღეჭი ზეზე! — ვედრებით შესძახა გიგამ.

იწმინდებოდა ცა, მკრთალი რიყრავი ფხაკრეფით შემოდოდა ველზე და ცისკაბადონს ლურჯად ხსნიდა.

• •

— რა გავიჭირდათ, ქართველებო! რა მოხდა? — ხელგაშლილი შეეგება ქართველ მწყემსებს ლეკი ჩობანი.

— უუპ, რა ყოფილა ეს თქვენი ველი, ნოღალებო! — მიუგო გიგამ და სიმწერისაგან შეწითლებული თვალები მიანათა.

— ჩვენ დაღისტნელები ვართ. ეს ველი კი ჩვენიც არის და თქვენიც!

— ჩვენი მწყემსი ქარყინვამ დასძლია!

— შოიყვათ, ცეცხლი არის... ლოგინი არის!

— სადაური ხართ. ბიჭებო? — იკითხა ლეკმა, როცა აღდგომელა ლოგინზე დააწვიინეს.

— დუშეთიდან!
დალისტენელი ღიმილით მიატყერდა.
— თქვენ ჩვენი ამხანაგი ხარ, ჩვენი ძმა ხარ. ჩვენ გუნები ვარ. დუშეთი გუნები ძმებია!

გიგას არც ესმოდა ლეკის ლაპარაკი.
— პაპა, პაპა! — ჩასძახოდა მღელღეპრედ.

აღდგომელა უგრძნობლად იწევა, თვლებდახუჭული, მიმკედარებული. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. გზაშიც ასე იყო. რამდენიმეჯერ მოასულიერეს, მაგრამ ისევე კარგავდა გრძნობას.

გიგა გარეთ გავიარდა, თოვლი შემოიტანა და მჯგების სრესა დაუწყო. ვერაფერს გახდა. დალისტენელმა არაფერი მოიტანა. ახლა არყით დაუზილეს საფეთქლები და ყელყური.

აღდგომელამ ამოიხვნეშა. ერთმანეთში ჩაჭედილი ყბები გაეხსნა. ტუჩები აუთრთოლდა. თვლები გაახილა, მაგრამ ისევე მიეხუტა. ორიოდ წუთის შემდეგ სახე წითლად აუვარვარდა. სიცხე მისცა, ხენეშოდა და გაიძახოდა:

— ცხორი!... ცხორი!...

— მგონი, აღარა უკვირს რა — ჩაილაპარაკა გიგამ და მოჭრილ კუნძივით დაეგდო საწოლის წინ. მხოლოდ ახლა იგრძნო საშინელი დაღლილობა. სტკიოდა მხარბეჭე, სტკიოდა ფეხები, სტკიოდა თავი, გაქარული სახე ეწვოდა.

ამ დროს კარი გაიღო.

— უცხო სტუმრები მოსულან? — ლეკურად იკითხა შემოსულმა.

— დუშელეზია! — მიუგეს.

— ჰოო, დუშეთი? დუშეთი ვინ არ იცის. მთელი დალისტანი იცნობს დუშეთს!

გიგა წამოდგა და შემოსულისაკენ გაიწია: უცებ გულში რაღაცამ გაჰკრა. შეხედა მოსულს და იქვე წარმოუდგა ნათია, ყვავილების კონა, ლეკურის მგლოდია და მგზნებარე ცეკვა.

— შენ გიგა, ჰო?

— ჰოო, რამაზან, გიგა ვარ! გაჭირვებამ მომიყვანა თქვენთან! — მიუგო და ხელი გაუწვოდა.

— გამარჯობა, ძმაო! — უთხრა სახე-

გაბრწყინებულმა რამაზანმა და შავრად ჩამოართვა ხელი.

ერთმანეთს შესცივნეს. **ერთმანეთს შესცივნეს**
— ჩვენი თავიზობანი ქარბუქში მოხვდა. ცხორი სად არის, არ ვიცი. ცუდი დღე დაგვიდგა!

რამაზანი საწოლს მიუახლოვდა, მოხუცს დახედა. მის სუნთქვას ყური მიუვდო.

— არ გეშინია... მორჩეს! — თქვა და გიგას მიუბრუნდა, — ცხორი დაიკარგოს, არ გეშინია.. სულ ვიცი. ნოღაი, აი! — თქვა და გამოლილი ხელის გული უჩვენა.

რამაზანი მაგიდას მოუჯდა, გიგა და მისი ამხანაგები სუფრასთან მიიწვია.

ამ დროს გობებში ხამპალა და ცხვრის ხორცის ხამპალა შემოიტანეს. თაროდან არყით სავსე ბოთლი გადმოიღეს. გიგას გარეთ მიეჩქარებოდა.

— ერთი დაფლიო და წავიდე, ცხვარი ეიპოვო! — თქვა რამაზანმა.

გიგამ თავი დაუქნია.

— ქორწილი იყო? — შეეკითხა რამაზანი, როდესაც თითო ჭიქა არაყი გადაჰკრეს.

— არა! — მოწყენილად მიუგო გიგამ.

— არა? რას უცდის გიგა?

— გაზაფხულს. ჩავალთ, ცხვარს ჩავიყვანთ და ქორწილიც შექნება!

— ჰოო, კარგია, კარგია. ნათია კარგი ქალია, ეჰჰ, კარგი! — გულუბრყვილოდ წამოიძახა რამაზანმა.

გიგას იქნეულად ეღიმებოდა — საცოლეს მიქებს, ეს რა წესიაო.

რამაზანმა ჭიქა ასწია და გიგას მიუბრუნდა:

— ძმები ვიყოთ, გიგა, ეს ძალიან კარგია. თქვენი ქალი არ გეინდა, ჩვენიც ბევრია ლამაზი... — თქვა, გაიღიმა და გადაჰკრა.

აღდგომელას ლაპარაკი ჩაესმა და თვალი გაახილა. ყველაფერი გაახსენდა. ის, რაც გადახდა, საზარელ სიზმრად ეჩვენა და შუბლი შეეკუმუნა, ჯივრი გამოეხატა სახეზე. აბურძკვნილი წარბები შეჰკრა, წამოიწია და მუახედ დაიძახა:

— გიორგი, ცხორი სადღაა?...

აღდგომელამ თავის შვილიშვილს პირველად უწოდა გიორგი, თითქოს მხოლოდ დღეს ჩათვალა ნამდვილ ვაჟიკად და სახელიც ნამდვილი მიაკუთვნა.

— ცხორს მიხედვ, ცხორს! — ბრძანებასავით გაისმა აღდგომელას ხმა.

მოხუცმა წამოდგომა დააბირა, მაგრამ ვერ შესძლო. მუხლებმა უმტყუნა, იგრძნო, რომ ჩაიკეცებოდა და წამოწოლა არჩია.

გიგა წამოხტა, კუთხეში მიყუდებულ კომბალს ხელი დაავლო და კარისაკენ გაეშურა.

აღდგომელამ იცნო თავისი კომბალი და მიამახა:

— კომბალი სად მიგაქვს?

— ახლა-ღა ჩემია. აბა, როგორღა მოვრეკო ცხვიარი?! — მიუგო მშვიდად, მერე რამზანს და ამხანაგებს გადახედა. — წამოხვალთ?

— მოვდივართ!..

ერთად გავიდნენ ველზე.

გიგამ ველს გახედა, მერე მალა აიხედა, ვარდისფრად შეღებილი ცისკიდური დაინახა და იმედი მიეცა.



გზა მშვიდობისა! — თავიხიანად უთხრეს აღდგომელას და საქართველოსაკენ გამოავზავენეს.

ის მსუბუქ მანქანაში მძღოლის გვერდით ჩასვეს. სოფელმა გამოუგზავნა ეს მანქანა, რომ გატანჯულ მოხუცს კეთილად ემგზავრა. გაფითრებულ სახეზე ეტყობოდა, სტკიოდა გული. მთელი თვე იწეა. გამოაჯანსაღდეს და ცხვიარს აღარ მიაკარეს, გეყოფათ, შენი ვალი მოხდილი გაქვსო.

მანქანა მიჭროდა და უკან იტოვებდა ნაცნობ ადგილებს, ქალებსა და მდინარეებს, ბორცვებსა და ტყეებს. წარბშეკრული და შუბლშეკმუხვნილი იტკირებოდა აღდგომელა ფანჯრიდან, თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი აქ ჰქონდა გატარებული და მოგონებები არ ასვენებდნენ.

მორჩა, აღარასოდეს მოხვდება აქ!.. უკანასკნელად გასცქეროდა გველებს, სადაც სიმწარეც ბევრი ეხანა და სიზარულიც. გასცქეროდა და გულში ჩუმად ემშვიდობებოდა. თვალწინ წარმოუდგა გიგა, ახალგაზრდა და ძალღონით სავსე, წინ რომ დიდი ცხოვრება ედო. სიყვარულით სავსე გრძნობა შემოაწეა გულზე და გაელიმა. გიგას გაუღიმა. მის თვლებში ცეცხლის ნაპერწყმებს ზედაედა, ისეთს, თითქოს ახლად გაკრულ ტალკეებს დასცვენოდეს.

მანქანა მიჭროდა... სწრაფად მოსდევდა ერთიმეორეს ნაცნობი სოფლები და ქალაქები. ამ გულისგამწყყალებელ, გრძელ და დაუსრულებელ გზაზე აღდგომელა მთელი სიცოცხლე წელა, ტაბით დადიოდა. არასოდეს არ ამქარებულა, დღეს კი მიეჩქარებოდა, შინ ჩასვლას ესწრაფოდა... არც ნოღაის ველი ავიწყდებოდა, სადაც თავისი სოფლის სამწყსო, ბაქები და ფარეხები ეგულეზოდა. „ნეტავი, როგორ მიდის დოლი?... როგორაა ცხვიარ-ბატკანი? ეგება უქირთი ბიჭებს, მე კი სოფელში მიმეჩქარება, ბუხარი მომნატრებია!“ — კიცხავდა თავის თავს.

მაგრამ ეს მხოლოდ ფიჭრი იყო, გულთ ნაკარნახევი ფიჭრი, წამიდან წამამდე რომ იცვლება.

„მოუვლიან... მტრევეიან... თუკი მე ვეროლი, ეგენი რალანი არიან!“ — დაიწყინარა თავი.

მთელი დღე მოდიოდა. ფიჭრები აღონებდნენ და ახარებდნენ, მაგრამ ეს ფიჭრებივე ეხმარებოდნენ, რომ შორი გზა როგორმე მოეღია.

დაჩილის ხეობაში შევიდა და გული გაეხსნა. თერგის ღრიანცელმა მთლად გამოაცოცხლა...

„მალე დამენახვე, თეთრო არაგვო!“ — ნატრობდა.

მანქანიტ გადიაარა ჯვარი, ზიღარა, სიყვარულიტ შესცქეროდა დათოვლილ დიდველს. თვალი შეავლო გადათეთრებულ საზაფხულო იალაღებს, მეფისკალოს, არაგვისთავს.

აგერ არაგვსაც გადახედა.

სოფელიც იქვეა.

სოფელში ბინდისას ჩავიდა. ჩემად აიარა აღმართი. ცდილობდა არავის დაენახა. რცხვენოდა, — კომბალი აღარ ეჭირა ხელში.

კარებთან თამარი შეეგება. მის დანაოჭებულ სახეზე გამოუთქმელი სიხარული გამოიხატა. აღდგომელამ მწყურაღად შეხედა.

— მე დარდი მკლავს, შენ კი რა ვახარებს, ნეტავი? — უთხრა და ნაბადი მოიხსნა. ბოხოხი ტახტზე მიაგდო.

— რაკი ცოცხალი მოხვედი, აღარაფერი გვიპირს!

ამ დროს მეორე ოთახიდან გოგო-ბიჭები გამოცვიდნენ. შვილიშვილების დანახვაზე მოხუცი უცებ შეიცვალა, გულს მოეშვა, შუბლი გაიხსნა, თეთრი წვერ-ულვაში ღიმილმა შეულამაზა. დაკოყრებული ხელები გადახვია ბავშვებს და ბუხართან მივიდა. — „დაიზარდენით, დაიზარდენით, — ეუბნებოდა აღერსით, — თქვენია ეს სოფელი, თქვენია!“ — კუნძზე ჩამოჯდა. თვალები აგიზვიებულ ნაღვერდალში ჩააშტერა და დიდხანს ასე დასცქეროდა.

ცეცხლში სწავდა თავის გულის ჯავრს.

••

მაისი ილეოდა.

ამწვანებულოყო იალაღები. თაყი წამოეყო ქუჩის, ქოჩორას, მატიტელას. გაზაფხულის მწვანე ხავერდში აქა-იქ პაწაწინა ვარსკვლავებივით ჩამსხდარიყვნენ პირიმზეები — მზის ყვავილები.

ლურჯად გაკრიალებულ ცას ალაგ-ალაგ თეთრი ფაფუქი ეფრქვეოდა. გაკროდნენ. თბილი მზე ახათებდა ქვეყანას. სოფელი გარეთ გამოფენილიყო და გასცქეროდა მღეთის მზორეს, სადაც სულ მალე სოფლის ფარა უნდა გამოჩენილიყო. ქალებს ხელში ეჭირათ ძუძუთა ბავშვები და მოლოდინით შეკუთრებდნენ ფერდობებზე დაკიდებულ ბილიკებს. ზოგ მწყემსს პირველად უნდა ენახა თავისი ბავშვი. დედები ახალდაბადებულებს სოფლის მისასვლელთან ახვედრებდნენ მამებს.

ნათია ხიდის ყურესთან ტოლებში იდგა, მორცხვობდა და ხმას არ იღებდა, მაგრამ მღელვარება ეტყობოდა. მოლოდინმა გული გაუწყალა, გაფითრებოდა სახე.

„გათენებისას ანდენიტიდან გამოვიდნენო, — ასე თქვეს სოფელში, — კარგი ნამატით მოდისო გამოზამთრებული ცხვარ-ბატკანი“.

პირველად გიგა უნდა გამოჩენილიყო. მთელმა სოფელმა იცოდა, რომ მათ სამწყვსოს გიგა მოუძღვოდა. ნათიასაც სწორედ ეს აღელვებდა.

„ეახსოვარ, თუ აღარ?“

ცამდე აწვდილ მთებიდან მომავალგზას გასცქეროდა ხალხი.

აგერ გამოჩნდა ფარა, რომელიც თეთრ მდინარედ დაეშვა მღეთის მზორეზე და არაგვის ხიდისაკენ გამოემართა.

პაპისეული კომბლით ხელში ფარას გიგა მოუძღვოდა წინ. მთელ სოფელს სჯეროდა, რომ ეს კომბალი საიმედო ხელს ეჭირა.



მოსა მკასალია

გმირის ოჯახში

• •

ჩვენ სოფლის შუაგულში, კობტა პარკის წინ შეეჩერდით, სადაც ოქუმიის ვ. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის, აწ გარდაცვლილი გიორგი ჯგუბურიას ძეგლი დგას.

ლამპიონების მწკრივს თვალი ვერ სწედება. აგერ ჩაის ფაბრიკის კორპუსები, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, აგურკრამიტის ქარხანა, საკოლმეურნეო სასიმინდეები, საავადმყოფოს ორსართულიანი შენობა, დიდებულად შესრულებული სტენდი, კლუბი, სასტუმრო, კინოთეატრი, ორსართულიანი საშუალო სკოლა, ელექტროწისქვილი, აგურის მაღალი სახლები და აივნისანი ოდები. რადიო სადღაც ხმამაღლა მღერის. მოასფალტებულ გზებზე მანქანები მიმოქროიან, სუფთად და კობტად ჩაიკმული კოლმეურნეები ირევიან...

ვინ არ იცნობს ჩვენს რესპუბლიკაში უხვი მოსავლის აქაურ ღვაწლშობილ ოსტატებს: ჩოქოლ ქვაჩახიას, ნათელა ბულისკერიას, და-ძმას — იმენა და კალისტრატე ბულისკერიებს და სხვებს. ვინღა მოსთვლის მათ მიერ გამოწრთობილ ახალგაზრდა ენთუზიასტებს, რომლებიც ახლა შრომით სასწაულებს ახდენენ.

— წამობრძანდით, სახლი შორს არაა. აგერ, იმ ორდობეს ხომ ხედავთ, ჩემი ქობიც მანდგეა, ჯერ დაისვენეთ! — მორიდებით შეპატივება ჩოქოლი ქვაჩახია, მაგრამ ეს უფრო ქართული თავაზიანობაა. დასასვენებლად არც მი მცალია, არც ჩემს მასპინძელს.

კოლმეურნეობის კანტორაში განიერ მაგიდას სამნი ვუსხედვართ. თავმჯდომარე პარლენ გეთია, ბულატერი ლევარსი ლაცუზბაია და მე. გაცნობისთანვე მათ ჩემი პატივისცემა და ყურადღება დაიმსახურეს. ამხანაგი გეთია ხანგრძლივი დროის განმავლობაში გულრიფშისა და გალის პარტრაიკომების პირველ მდივნად მუშაობდა, ხოლო ლევარსიმ სამამულო ომში ნოვოროსიისკთან ფეხი დაჰკარგა, სასკდომმა ტყვიამ ლავიწი გადაუშხვრია. ეს ბრგე და დაუღალავი ვაჟკაცი მის მერე ყავარჯენებით დადის.

ოქუმში 591 კომლია. ტერიტორია 3468 ჰექტარს შეადგენს. 780 შრომისუნარიანი წევრი ჰყავთ. წამყვანი კულტურა ჩაია, რომელსაც 188 ჰექტარი უჭირავს, აქედან სრულმოსავლიანია 161. შარშან 734 ტონა მწვანე ფოთოლი მოკრიფეს და ამით საექტარო მოსავლიანობის 1963 წლის ღონეს მიადწიეს. 1960 წელს ჩაის კულტურამ ოქუმს ექვსნახევარი მილიონი მანეთი მისცა. მოსავალი ადგილობრივ ფაბრიკაში გადაამუშავეს, რომელიც მეზობელ სოფლებსაც — ლუმურგუს. წარჩეს, ჩხორთოლსა და მუხურს უწევს მომსახურებას.

მეორე ადგილი თამბაქოს უჭირავს. შარშან ორმოც ჰექტარ პლანტაციაზე 98 ტონა ძვირფასი ნედლეული მიიღეს. ესეც კარგი მოსავალია.

იმინდი 310 ჰექტარზე უთესიათ. მე-

წინაგის დროსა ათეულ წლებით ხელთ უპყრია ჩოქოლი ქვაჩახიას. მის ბრიგადაში სამუშაო საქმეებარო მოსავალი 80 ცენტნერამდე აღწევს.

ოქუმელები არც მეცხოველეობაში ჩამორჩებიან. 689 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ. მათში 104 მეწველი ძროხაა. შარშან თვითი-ულს 1232 ლიტრი რძე ჩამოწველეს.

კომუნურნიობის ფულადმა შემოსავალმა, მეურნიობის ყველა დარგიდან, უკვე ცხრა მილიონ მანეთს მიაღწია. იზრდება განუყოფელი ფონდი. სოფელი უფრო და უფრო მშვენივდება. წელს, მაგალითად, მწყობრში ჩადგება ახალი ელექტროსადგური, რომლის ღირებულება შვიდ მილიონამდე აღწევს.

მზე ზღვაში იყურება, თითქოს ჩასასვლელს ზომავს, ოქროს სხივები დაუბჯენია წყლის სარკეზე, ცა მტრედისფრად კიაფობს, დასავლეთს ხანძარი წაჰკიდებია. გუნდგუნდად დაფრინავენ მტრედები სოფლის თავზე, მწყობრის წინ თავიანთ ბინებს დაჰფარფატებენ. კლუბიდან სასულე ორკესტრის გრიალი მოისმის. ადგილობრივ მუსიკოსებს თურმე დღეს მხატვრული საღამო აქვთ. დამაშვრალი ოქუმელები ბართა და თონით, ცულითა და ორთითებით შინ ბრუნდებიან. ორღობე თახთახით გადასჭრა ორმა ტრაქტორმა, ზეაწეულმა ფოლადის გუთნებმა ბორბლების კრიალით ჩაგვიარეს, კვალდაკვალ მსუბუქმა ავტომ ჩაიჭროლა...

მე და ჩემი მასპინძელი ნელა მივდივართ და სოფელს ვათვალთვრებთ.

აი, ქვის ძველი ეკლესია. წინათ ამ მოედანზე თუ მოიყრიდნენ თავს მცხოვრებნი. იოანე მღვდელი მოთმენასა და მორჩილებას შთაავონებდა სამწყსოს. აი, აქ არსენა კაკაბაძეს საბაყლო ედგა. ყიდულობდა ჩალის ფასად, ჰყიდოდა მამისისხლად. აქ დაწყებითი სკოლა იყო. თავშიშველი, ფეხშიშველი გოგო-

ბიჭები ხეირიანად ანბანის შესწავლასაც ვერ ასწრებდნენ, უსახსრობა და ჯაკირვება უკან, ოჯახში, ნიბნელისკენ უზიდებოდა მათ. აგერ იმდროინდელი მასწავლებლის ივანიჩა გეგიას აივნიანი სახლი. გაშვეებულა, გაცურეილა, მაგრამ კიდევ უძლებს ეამთა სვლას. აქ კი თავად მელიტონ ემხვარის სასახლე იდგა. ბატონი კირნახულის მესამედს თვითონ აირჩევდა ხოლმე. ჩალას ტანაყრილ თხმელებზე დააზვინებდა, სიმინდს ნალიებში ჩააყრევიანებდა, კვახსა და ლობიოს ბელლებში დააბინავებინებდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ გლეხებს თავიანთი წილის შინ წაღება. ვაი იმას, ვინც სიტყვის შებრუნებას შეჰხედავდა — ოქუმის თბილ ჰავას მოანატრებდა!

აი, ეს ქვეები, თურმე, ხელის წისქვილისთვისაც ვარგოდნენ. მრგვალსა და მტკიცეს შეარჩევდნენ ხოლმე. ერთადერთი სარფიანი საწარმო ეს იყო. და, მგონი, სოფელსაც ამ ქვეების გამო შეერქვა „ოქუმი“.

ჩოქოლი მარდად გადადის ალაგებზე. მესერზე ხელს შეავლებს და საფეხურებს თითქოს ფეხსაც არ აკარებს, ზედ ისე გადაეველება. ის ახლა სამოცდასამი წლისაა. სიბერე და ავადმყოფობა კაცს სიარულში შეემჩნევა ხოლმე. ნაბიჯი შეუმოკლდება, მერე ჯოხს წაეპოტინება, ბოლოს სულ წაუწევა. დაკუნთული მასპინძელი კი ერთი შეხედვით სოფლელ ფალავანსა ჰგავს, ჯერ გაუტეხელსა და ძვალშაგარს. ნაბიჯით წინ მისწრებს. ეტყობა, მიეჩქარება. ავირამდენიმე დღეა შინ არ ყოფილა. აფხაზეთის უმადლესი საბჭოს სესია გუშინ დამთავრდა. ჩოქოლი 1937 წლიდან შეუცვლელი დამუტატია.

პატარა ერთთლიან წისქვილს ჩაეუარეთ. წუთით ყური მივუვადეთ ქაფმორეული ჩქერის მზულის ბორბლის ფირფიტებზე. ქვემოთ ჰიშვარი ჩანს, უკან — ლამაზი ოდა, წინ — მინდორი. თითო მტრედები ზალახს ჰკენკავენ. ბუხრიანი კოხტა სამუხადი. ოჩოფეხებზე შემდგარი სასიმინდე. ღობესთან ჰის ცალ-



ფეხა ოწინარი. იქით ისევ ტანაყრილი თხმელები—მალღარით გათოკილნი. ეს ჩოქოლის სახლკარი გახლავთ.

სამზადიდან ხანდაზმული დიასახლისი გამოვიდა. მტრედები დაფრთხნენ. ოდის სახურავს დააცხრნენ. კიბესთან ჩვეულებრივი პატყი შეიქმნა. მე ძველი წესი მოვიშველიე: ოჯახში პირველად მასპინძელი უნდა შევიდეს. როგორც იქნა, დიასახლისი გავვიძღვა.

სუფთად მილაგებულ ოთახში ყველაფერი ბრწყინავდა — იატაკი, კედლები, ღამაზი ავეჯი: კარადა, მაგიდა, სკამები — წიგნების თარო. რადიომიმღები და ჭერი — შუაზე ელექტროპალით.

ელექტროპალი აბრიალდა, ეზოშიც სინათლემ იფეთქა. ჩოქოლმა რადიომიმღები ჩართო.

ძლივს შემოიყვანეს ჩოქოლის უმცროსი ვაჟი, მერვეკლასელი ვლადიმერი. გავეთილების შემდეგ მინდვრად წასულიყო. შრომაში მამას ჰგავს. გასულ წელს სამ ათას მანეთამდე მარტო პრემია მიიღო. გეგმაში არც წელს აქვს ნაკლები. ამ ოჯახში უქნარა ვინა ჰყავთ? დიასახლისიც სახელმოხვეჭილი შეაბრეშუმა.

— იუზა უფრო მარჯვეა, უფროსი ვაჟი, — გულშართლად მეუბნება ჩოქოლი. — ალიონზე წამოხტები, გავიხედავ, სადღაა, წასულა სამუშაოდ. ახლა სონტუში სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, პირველ კურსზე. მხარში ძმასავით მედგას..

ჭიშკართან მანქანამ დაიბუბუნა. პარტიის გალის რაიკომის მუშაკი და გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ კორისპონდენტი აღმოჩნდნენ. თურმე ჩოქოლს დაეძებდნენ და შინ მოაკითხეს.

სტუმრებს ნაჩვევნი არიან. ხან რაიკომიდან ეწვევიან, ხან საოლქო კომიტეტიდან, ხან თბილისიდან, ხან მოსკოვიდან. ერთხელ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდიანმა ვასილ პაოლესძემ შევიანაძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა შემოაღეს კარი.

— ჩემი მცირე შრომის ეგზომ დაფა-

სებას არ მოველოდი, — იგონებს იმ დღეს მასპინძელი, — მოვიდა „გულდო“ ად მომესალმა, ჩემს მუშაობას „გაქცნა“ მერე სასმისით ოჯახი დამილოცა, წარმატებები მისურვა...

— ის როგორ იყო, მოწინავე მკრეფავეები რომ გეწვიენენ? — ეკითხება ჩოქოლს „სოფლის ცხოვრების“ კორისპონდენტი.

ჩოქოლმა ერთბაშად შეზლი შეიკრა, შემდეგ კეთილად გაიღიმა, თითქოს რაღაც მოაგონდაო:

— ეს გასულ წელს იყო. მგონი, ივნიის ბოლოს, თუ არ ვცდები... მაგრამ ისინი ნათელა ბულისკერიას ესტუმრნენ. იქით, ელსადგურთან, ცხოვრობს, ზედ კლდის ძირას, პლანტაციებიც იქითაა. მკრეფავეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ...

— მერე ვინ გაიმარჯვა?

— საინტერესო სანახაობა იყო! ნათელა ბულისკერია გაგეგონებათ? შრომის გმირია, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მოვიდნენ. რომ პირადად გაცნობოდნენ. აბა, ენახოთ, ეს კაფანდარა გოგო როგორ კრეფს ამდენ ფოთოლსო. მე ის ბავშვი მახსოვს. მაშინ სოფელში მეტსახელად ეიტას გეძახოდით. შეიდი წოისა იყო. უკვი ჩაის კრეფდა. ერთხელ ქალებს უკან გამოდევნებოდა. შუა გზაზე ტონჯოს პლანტაციიბია, გორაზე, იქ შეშინებოდა და ეტირნა, უკან სახლში წაეყვანათ. მეორეჯერ და მესამეჯერ წათამამდა. ქალები ფოთოლს ჩაუყრიდნენ ხოლმე კალათაში:

— ყოჩაღ, ნათი! — ეტყოდა მწონავი. ბავშვი სიხარულით ცას ეწეოდა. ეგეთი იყო ნათელა ბულისკერია. და აი, ეჯიბრებიან! წავედი. აბა, რას იზამს ჩვენი ფალავანი? ვაითუ, შევრცხვეთ! პლანტაცია საესვა სტუმრებით, სახელმოხვეჭილი მკრეფავეებით — გურიიდან, ზუგდიდიდან, გალიდან, გუდაუთიდან. დააყენეს ცალ-ცალკე მწკრივებში. კალათები მოიმარჯვეს, ჭილოფის ქუდები შეისწორეს. გოგონები საქმეს ეკეთონენ, ნაკვერცხლებს ჰყრიან. მომცა ესენი, ერთ თვეში გეგმას გადაეყირავებ! მიდის წინ

ჩვენი ნათელა. ძველს დროში მარულა თუ გინახავთ. მჯობნი წინ რომ გაიჭრება, აი, ეგრე. მშვიდად, ჩვენო ტიტა, არ აჩქარდეს, ხარისხს ყური უდგეს! გამოაქვთ და გამოაქვთ ნათელას მწკრივიდან კალათები. მსუბუქად, შნოიანად მიიჩხვება წინ სოფლის თვალი. იქნებ, ეს მე არც დამიჯეროთ, იცით რამდენი მოკრია? 310 კილოგრამი ამას ასი შემმოწმებელი ჰყავდა. ვის რა აქვს სათქმელი? მიდი, შეეჯობრე! ეგეთი გოგონები გვეყვანან ოქუშში...

საუბარმა შორს შეგვიტყუა... ახლა სიმინდის მოსავალზე ჩამოვადგეთ სიტყვა. ჩოქოლმა თავი შორს დაიჭირა.

— დიდი არაფერი, ჩვენმა ბრიგადამ უჩვენა, რისი მოცემა შეუძლია მიწას. ეგ არის და ეგ! მთავარი ჯერ კიდევ გაუყვებელია!..

უამრავ შეკითხვებზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მოკრძალებით, გარკვევით და დინჯად გვპასუხობს.



ჩოქოლი 1898 წელს დაიბადა ლარის გლეხის ნოჩო ქვაჩახიას ოჯახში. მამის სურათი ახლაც ჰკიდია კედელზე. შეეყვანა ახალბინი წარმოსადგვი ვაჟაკი ჩოხა-ახალბინი გამოწყობილი, მარჯვენა ხანჯლის ტარზე უდევს. მოკლედ დაყენებული თეთრი წვერები ჰშენის. სახესა და თვალებზე დუხჭირ ცხოვრებას თუ შეეძლო აღებეჭდა ასეთი გამოუთქმელი ნაღველი.

პატარა ჩოქოლი სკოლაში მიაბარეს, მაგრამ ბიჭუნა მხოლოდ იანვრამდე სწავლობდა.

მასსოვს, წელიწადი-თორმეტი თვე ქოთანში კერისთან ლობიო იხარშებოდა, ღიმილით იგონებს ახლა ჩოქოლი, — საზრდო აღარ გვეყოფნიდა, სიმინდს გალში ვყიდულობდით. თვალი დაუდგეს სიღარიბეს, თორემ ლობიო კოვზით არის საქმელი, — იტყოდა მამაჩემი. მამა 1936 წელს გარდაამცვალა, გათენებას ისიც შეესწრო, ლობიო კი არა. შემწვარ-მოსხრაკული არ აკლდა.

— ოქუშში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა ჯერ კიდევ 1928 წელს ჩამოყალიბდა, მამის მამა მხნელ იყო. ჩვენი ოჯახი ამხანაგობაში შევიდა. 1931 წელს კოლმეურნეობა დაეარსეთ. სული მოითქვა გაჭირვების ხუნდებში ჩაქედლიმა სოფელმა. იმ დროიდან დღემდე ბრიგადირად ვარ. ეგ არის! — მოკლედ მოკრა თავდადასავალი ჩოქოლმა.

— მთავარზე რას გვეტყვი, სიმინდის უბე მოსავალზე?

— აცი მოგახსენეთ! — ჩოქოლი უხერხულად იშუშუნება. — დიდად საამაყო რა გვაქვს? ხომ წაიკითხეთ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე რა წარმატებით მოვიდნენ უკრაინელი და რუსი მესიმინდეები? რა დიდი ამოცანები დაგვისახა ნიკიტა სერგის-ძემ! მთავარი წინაა, გასაკეთებელია, ამაშია საქმე! რაც გვაქვს, ის ცოტაა. თუ რამე მართლა მოვიპოვეთ, ვინ წაგვართმევს? ჩვენ ახლა ხვალინდელ დღეზე უნდა ვიფიქროთ...

— ეს ასეა, ჩვენც გეთანხმებით, მართალა ბრძანებთ, მაგრამ იმ დიდი ამოცანის გადაჭრაში თქვენი გამოცდილების გაზიარებაც ხომ ხელს შეგვიწყობს და დაგვეხმარება, ამიტომაც გეახელით! მასპინძელი შეირჩა, წელში გასწორდა, კოტრიანი ხელები მოიფშენიდა და ნაპერწკლებით აციმციმებული თვალი მოგვაპყრო.

— პირველ ხანებში კოლმეურნეობაში გაგვიჭირდა, — განაგრძობდა ჩოქოლი, — ქცევაზე ოცი-ოცდაათი ფუთი სიმინდი მოგვეყვდა. ეს ჰექტარზე გადაყვანით რვა-ათ ცენტრერს უდრის. საზრდო წლის ბოლომდე არავის ჰყოფნიდა. ცუდად მიდიოდა საქმე. პირადად, ჩემზე, ერთი ჰექტარი იყო გაპიროვნებული. ვუკირკიტებდი, გულმოდგინედ ვუვლიდი, ვაკვირდებოდი. მიწასა და მცენარეს ჩემებურად პატივს თუ ვცემდი, ისინი ორმაგად მინაზლაურებდნენ. ვხედავ ამას, გული იმედით მევისება. შეიძლება, ვამბობ ჩემთვის, ნამდვილად შეიძლება, ვაიძულოთ მიწა, ათჯერ მეტი მოსავალი მოგვეცეს! ნაკელი, მინერა-



ლური სასუქები და წესიერი მოვლა-პატრონობაა საჭირო! და, აი, მახსოვს, 1936 წელს ვალდებულემა ვიკისრე, ჩემს ფართობზე 400 ფუთი სიმინდი მომეყვანა. ოთხასი ფუთი ჰექტარზე! ნაცვლად ჩვეულებრივი სამოცი ფუთისა! ბევრს ზღაპარი ეგონა, მე კი გვამს თექვსმეტი ფუთით გადავაპარბე!

... რაკი სწორი გზა ჰპოვა, მერე ჩოქოლი უფრო გაბედული ნაბიჯით წავიდა წინ... ყოველწლიურად ოცი-ოცდახუთი ფუთით მაინც ზრდიდა მოსავალს. ამ წარმატებისათვის ის 1939—40 წლებში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ხდებდა. პირველ ჯილდოებსაც — ვერცხლის პატარა და დიდ მედლებს — აქ ღებულობს.

სამამულო ომის პერიოდში ის დღითიდღე აუმჯობესებდა სიმინდის მოყვანის თავის ორიგინალურ მეთოდს. 1946 წელს მოსავალმა ჰექტარზე უკვე ას ცენტნერს, 600 ფუთს გადააპარბა. საქართველოში ასეთი ჰირონახული ჯერ არავის ენახა, ჩოქოლი ქვაჩახია სტალინური პრემიის ლაურეატი გახდა. ერთი წლის შემდეგ თავისი გამოცდილების ბრიგადის ნაკვეთზე დანერგვით, ექვს ჰექტარზე ჩოქოლმა, საშუალოდ, 72 ცენტნერ მოსავალს მიიღწია, ხოლო საკუთრად მასზე გაპიროვნებულ ერთ ჰექტარზე 192 ცენტნერი მშრალი მარცვალი მიიღო. ახლა მას შრომის გვირგვინი მაღალი წოდება მიენიჭა, ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი გადაეცადა, აი, უკვე ცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, ჩოქოლი უცვლელად მყარ მოსავალს ღებულობს. მასზე გაპიროვნებულ ფართობზე — საშუალოდ 140 ცენტნერს, ბრიგადის ნაკვეთზე, თხუთმეტ ჰექტარზე კი — 80 ცენტნერს. ის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 1955 წელს ვერცხლის დიდი მედლით დააჯილდოეს, ხოლო 1957 წელს — ოქროს მეტირე მედლით. 1960 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტმა ბრინჯაოს მედალი მიაკუთვნა. ეს რიცხვით მეშვიდე მედალია!

რაში მდგომარეობს სიმინდის მოყვანის ახალი მეთოდი? სად უნდა ვეძიოთ წლითი-წლობით ასეთი უხვი მოსავლის საიდუმლოება?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ ვისარგებლეთ ჩოქოლის მოხსენებებით, რომელიც მან ფართო აუდიტორიის წინ რამდენჯერმე წააკითხა.

ჩოქოლის მეთოდი კარგად ითვისისწინებს ადგილობრივი ნიადაგისა და პავის თავისეიურებებს. ბრიგადის ყანები მდინარე ოქუძის ჰალბებში მდებარეობს, დასილულ ნიადაგზე, საერთო ფართობიდან ყოველწლიურად ორი ჰექტარი ისვენებს — ახალი უბნების ათვისების ხარჯზე. მიწის დამუშავება ნოემბერ-დეკემბერში იწყება — ნიადაგის 18—20 სანტიმეტრის სიღრმეზე გადახვნით. ხვინ წინ შეაქვთ ნაკელი, რომელიც თანაბრად ნაწილდება ფართობზე. წყავენ მეურნეობაში გამოუყენებულ სხვადასხვა მცენარეულ ნარჩენებს — სიმინდისა და თამბაქოს ღეროებს და სხვას. ნაცარი და ფერფლი ნიადაგში რჩება, ცეცხლი მიწას ასუფთავებს, მავნებლებს ანადგურებს.

სათესლედ ადგილობრივი ჯიშის თეთრ სიმინდს იყენებენ.

თესვა აპრილში წარმოებს, მწკრივებს შორის მანძილს ნახევარ მეტრს ტოვებენ, მარცვალი 8—10 სანტიმეტრის სიღრმეზე ითესება. გუთნის ნაკვალევზე, ბუდეებში, ნაკელისა და სუპერფოსფატის ნარევეს ჰყრიან, ჰექტარზე ათი ტონა ნაკელისა და ერთი ტონა სუპერფოსფატის გაანგარიშებით. თვითიულ ბუდეში ორი-სამი მარცვალი ჩაითესება. ბუდეებს შორის მანძილი 35 სანტიმეტრია.

როგორც კი ნორჩი სიმინდი ორ-სამ ფურცელს გაშლის, მწკრივებს შორის პირველი კულტივაცია ტარდება. ბუდეებში სიმინდს ხელით გამოთოხნავენ, სუსტ ძირებს გამოჭრიან. თორმეტი დღის შემდეგ მეორე კულტივაცია წარმოებს. ახლა ბუდეებში საბოლოოდ შე-

არჩევენ ჯანსაღ ძირებს — ჰექტარზე ორმოც-ორმოცდაათ ათას ძირს ტოვებენ. ბუდეების ნახევარს ორ-ორი ძირი უწევს. მესამე კულტივაცია მხოლოდ სარეველა ბალახებით დანაგვიანებულ უბნებზე ტარდება.

სარეკორდო მოსავლის ნაყვეთზე ჩოქოლს მეორე კულტივაციის დროს სამი ტონა ნაყელის, ტონა სუპერფოსფატისა და ნახევარი ტონა სულფატ ამონიის ნარევი შეაქვს.

მოსავალს კარგად დამწიფების შემდეგ იღებენ, ოქტომბერში.



...დილას, როგორც კი მზემ ოდის პაწია ქუჭრუტანებში პირველი სხივი შემოგზავნა, ფრთხილად წამოვდექი, რომ მასპინძლისათვის ძილი არ დამეფრთხო, მაგრამ დიასახლისს, თურმე, სამზადის განიერ ბუხარში დიდი ხანია ცეცხლი უკვე დაენთო, ხოლო ჩოქოლი გამთენიისას მინდვრად წასულიყო.

— ბოდიში მოიხადა, რომ სტუმარი შინ დაგტოვათ, მაგრამ ბრიგადაში გადაუღებელი საქმე ჰქონდა, მობრძანდით, გათბიო, ახლავე გეახლებათ!

სანამ ხელ-პირს დავიბანდი და წასასვლელად გავემზადებოდი, ჩოქოლმა მართლაც შემოაბიჯა ეზოში.

სიცივე იყო, ქვეყანას თრთვილი დასდებოდა, მასპინძლისთვის კი ოფლს სახე დაეცვარა. ალბათ, ხნულებში თუ შეიძლება კაცს ასე გაუტლახიანდეს ჩემქმედი.

— ერთ თვეს აქ თუ დარჩებით, უთენია ადგომას გასწავლით, ყანებში სულ-მოლოტქმელ სარბილსა და სიმინდის მოყვანასაც, — შეუბნება მასპინძელი.



მინდორებზე საუბრით მივაბიჯებთ, თეთრი მწიერკვანავები ახლა თითქოს სულ ახლოს მოსუიან... ხნულები, ხნოლები... ვეება დავარცხნილ დალალებად დაყრილან მთების კალთებზე და ოქუშის ქალებში. სადღაც ნახირი ბღავის, სად-

ღაც ტრაქტორი გუგუნებს, შორი-შორ გრილით ჩაგვიქროლებენ მანქანები.

— ჰო, პლენუმზე უკოინხელი დოლინიუკის გამოსვლას თუ მიაქციეთ ყურადღება? — განაგრძობს წუხანდელ საუბარს ჩოქოლი. რაღაცნაირი კმაყოფილების გამომხატველი კილოთი შემეკითხა, მზერა გამისწორა და პასუხს არ დაუცადა, — აი, მესმის მშრომელი ადამიანი, დაელოცოს მარჯვენა. რამდენი ტონა მოუწევია ჰექტარზე?

— ოც ჰექტარზე, მგონი, საშუალოდ 167 ცენტნერი! — მივუგე მე.

— სწორია! ისიც ხომ ვიცით, საქართველოში ჰექტარზე მოსავალმა ორმოცდაათ ცენტნერს უნდა მიაღწიოს. შეიძლება თუ არა ეს? მე ვამბობ, შეიძლება. ჩვენმა ბრიგადამ ეს პრაქტიკულად დაამტკიცა. აკი ორმოცდაათი კი არა, ოთხმოცი გვაქვს... ახლა შეხედე, — მკლავზე ხელი ჩამავლო ჩოქოლმა და თვალი კვეკასიონის გრებილს გააყოლა, შემდეგ მობრუნდა, პირი ზღვისკენ ქნა და ეს თვალშეუდგამი სივრცე მარჯვენით მოხაზა, — რამდენი აუთვისებელი მიწებია აქ? რამდენზე დაბალ მოსავალს ლებულობენ. განსხვავება ისეთია, როგორც ცასა და ქვესკნელს შორის! ახლა გადაამრავლე ეს ჰექტარები ორმოცდაათზე და მაშინ გაიგებ, რა ბევრი გვაქვს გასაკეთებელი... და როცა ამ საქმესაც მოვერევიოთ, ჩვენი სოფელიც უფრო ლამაზი ფერებით მოიხატება, უფრო დამშვენდება... — ჩოქოლს თითქოს რაღაც მოაგონდაო, ჩემსკენ ერთბაშად მობრუნდა და თქმულს ხმადაბლა ეს დაუმატა, — ხომ იცი, გიორგი ჯგუბურიას ოქუშის სანაპიროზე მაღალი ჯებირის აგება უნდოდა, დიდ ხარჯებს მოითხოვს, ძვირი ჯდება... მაშინ ოქუშისაც რკინა-ბეტონში ჩავეტაცეთ და ზღვისკენ ისე გავაცილებთ...

ის ლაპარაკობდა დინჯად, გარკვევით და შთაგონებით. მე სულგანაბელი, უსიტყვოდ გავყურებდი კიდითკიდემდე მზით გაბრწყინებულ ქვეყანას. გულში კი ხეაღინდელი დღის რწმენა მიღვიოდა.

მიხილ ბლაჟა

საქ. კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

საბჭოთა აფხაზეთის 40 წელი

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ძლევამოსილი სახალხო აჯანყების შედეგად, დიდი რუსი ხალხის ძმური მხარდაჭერით და წითელი არმიის დახმარებით, საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელებმა სამუდამოდ მოიშორეს ექსპლოატორები და საბჭოების ხელისუფლება შექმნეს. 1921 წლის ოთხ მარტს სოხუმის თავზე აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, აღნიშნავენ საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავს საქართველოსა და აფხაზეთში. საკავშირო კომუნისტური პარტიის 21-ე ისტორიული ყრილობის დადგენილებების ცხოვრებაში წარმატებით განხორციელებით აღფრთოვანებული ჩვენი ხალხი დიდი პოლიტიკურა და შრომითი აღმავლობის პირობებში ხედება ამ დიად თარიღს.

რევოლუციამდელი აფხაზეთი მეფის რუსეთის შორეული, ყველაზე უფრო ჩამორჩენილი მხარე იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და სოციალისტური კულტურის წყალობით აყვავდა და საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერად გადაიქცა.

პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია აფხაზეთში შეიქმნა 1903 წელს. მის ჩამოყალიბებაში უშუალო მონაწილეობა მიიღო მტკიცე ლენინელმა — ალექსანდრე (საშა) წულუკიძემ. ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნაში დიდი როლი ითამაშა კომუნისტური პარტიის გამოჩენილმა მოღვაწემ, სერგო ორჯონიკიძემ. იგი დაუნდობლად ამხელდა მენშევიკების, ესერებისა და სხვა ბურჟუაზიული ნაციონალისტების გამყიდველობას და აფხაზ მუშებსა და გლეხებს ლენინურად გაჩუმატავდა თავიანთ კლასობრივ ინტერესებს.

1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა მისი ხელმძღვანელების ეშხას, ლაქობას და აკირტავას ხელისმომწერით დეპეშით აცნობეს მოსკოვში ლენინსა და სტალინს რომ „მშრომელთა სურვილით დაიბადა აფხაზეთის ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. აფხაზეთის მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველმა ყრილობამ საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი ხალხის ბედი. პატარა ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა წითელი არმიის გამათავისუფლებელი როლის თვალსაჩინო მაგალითია. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კიდევ ერთი სილა გააწნა მსოფლიო იმპერიალიზმსა და

მის სოციალ-გამყიდველ ლაქებებს, რომ-
ლებიც პატარა ხალხებს ჩაგრავენ“.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება
აფხაზეთში, ეს იყო აფხაზი ხალხის
ცხოვრებაში მობრუნების პუნქტი და
ლენინიზმის იდეების ბრწყინვალე ტრი-
უმფი.

ცარიზმის იმპერიის სხვა განაპირა მხა-
რეებზე რევოლუციამდელი აფხაზე-
თიც ჩამორჩენილი, უფლებო იყო და
სილატაკესა და უმეცრებაში ლაფავდა
სულს. ქვეყნის უმდიდრესი წიაღისეუ-
ლი სიმდიდრე ხელშეუხებელი იყო.
მრეწველობა თითქმის არ არსებობდა.
სოფლის მეურნეობაც ცალმხრივ იყო
განვითარებული. გლეხობას სახნავი მი-
წების მხოლოდ 30 პროცენტი ეკუთვნო-
და. დანარჩენი უფრო ნოყიერი მიწები
ცალკეულ მემამულეების, მონასტრების
და მეფის ხელისუფლების საკუთრება
იყო. ჭალაქად და სოფლად უმეცრება
სუფევდა. ჯანმრთელობის არავითარი
კერა არ არსებობდა. აფხაზეთის სოფ-
ლებს მუსრს ავლებდა ეპიდემია. ცხრა-
ასიან წლებში შექმნილი რამდენიმე სა-
ეპროტო კერა კერძო მესაკუთრეებს
ეკუთვნოდათ და არისტოკრატისა და
ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ემსა-
ხურებოდა. აფხაზი მუშები და გლეხები
ულმობელ ექსპლოატაციას განიცდიდ-
ნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-
ბისთანავე, 1921 წლის აპრილში, კომუ-
ნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელ-
მწიფოს დამაარსებელმა — ვლადიმერ
ილიას-ძე ლენინმა წერილით მიმართა
აზერბაიჯანის, საქართველოს, დაღეს-
ტნის და სომხეთის რესპუბლიკებს და
იმედი გამოთქვა, რომ ამიერკავკასიის
რესპუბლიკათა კავშირი ეს იქნებოდა
ეროვნული საკითხის ახლებურად გადა-
წყვეტა, რომელიც უცხოა და შეუძლე-
ბელია ბურჟუაზიული წყობილების პი-
რობებში. დიდმა ლენინმა კავკასიის
მშრომელებს მოუწოდა, აეწინებინათ
ელსადგურები, მოერწყოთ მრწები, გა-
ნევისთარებინათ საწარმოო ძაქები და
აეთვისებინათ ამ უმდიდრესა მხარის

ბუნებრივი სიმდიდრენი. მათ შორის იყო
დასახლებული ტყვარჩელის ქვანახში-
რის საბადოც.

ლენინის მიმართვამ აღაფრთოვანა
მთელი ამიერკავკასიის ხალხები, მათ
რიცხვში აფხაზი მშრომელებიც, და
ისინი მტკიცედ ჩაებნენ სოციალისტუ-
რი მშენებლობის ფერხულში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფ-
ხაზეთს დიდი მიღწევები აქვს მოპოვე-
ბული მრეწველობის შექმნისა და განვი-
თარების დარგში.

აფხაზეთის ინდუსტრიისა და სახალ-
ხო მეურნეობის განვითარებაში ძირი-
თადი როლი ითამაშა ლენინის მითითე-
ბით დაწყებულმა ტყვარჩელის ქვანახ-
შირის საბადოს დამუშავებამ. ჯერ კი-
დეც პირველ ხუთწლეულში ამუშავდა
პირველი მაღარო. მოკლე ხანში რეს-
პუბლიკაში გაჩნდა უდიდესი ინდუს-
ტრიული ცენტრი — ტყვარჩელი. ახლა
ტყვარჩელში თანამედროვე ტექნიკით
აღჭურვილი ექვსი მაღაროა. ადგილობ-
რივი სათბობის ბაზაზე შეიქმნა მთელ
საქართველოში უდიდესი თბოელექ-
ტროცენტრალი. ტყვარჩელის მაღაროე-
ლები ყოველწლიურად ადიდებენ მა-
ღალხარისხოვანი კოქსოვანი ქვანახში-
რის გზავნას ამიერკავკასიის მეტალურ-
გიული კომბინატისათვის და ამით სა-
ქართველოს მრეწველობის სწრაფი ტემ-
პით ზრდაში თავიანთი წვლილი შეაქვთ.

ამჟამად აფხაზეთში ვაცხოველებუ-
ლი მუშაობა მიმდინარეობს სამთამადნო
მრეწველობის მეორე დარგის — ბარი-
ტის მაღაროების შესაქმნელად, რომე-
ლიც ქიმიური ინდუსტრიისათვის ძვირ-
ფას ნედლეულს წარმოადგენს. შეიდ-
წლეულის მესამე წელს მწყობარში ჩადგე-
ბა პიცოკვარის ბარიტის მაღარო.

უდიდესი ყურადღება ექცევა ენერ-
გეტიკის განვითარებას. 1917 წელთან
შედარებით აფხაზეთში ელექტროენერ-
გიის გამომუშავება 440-ჯერ გაიზარდა.
ტყვარჩელის ელექტროსადგურთან შექ-
მნილია სოხუმის, ბაღარის, მოქვის და
დურბჰის ელსადგურები. დიდი გაქა-

ნება პპოვა საკოლმეურნეო ელსადგურების მშენებლობამ.

რევოლუციამდე აფხაზეთში სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადაამუშავება თითქმის არ სწარმოებდა. წერილმა, კუსტარულმა საწარმოებმა 1915 წელს მხოლოდ 160,9 ათასი მანეთის პროდუქტია გამოუშვეს. კვების, მსუბუქი და მრეწველობის სხვა დარგებიც აფხაზეთში ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. ყოველწლიურად იზრდება ჩაის და თამბაქოს გადამამუშავებელი მრეწველობა. ამჟამად აფხაზეთში მოქმედობს ჩაის გადამამუშავებელი ათი ფაბრიკა, ოთხი თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა, ღვინის ქარხნები, საკონდიტრო ფაბრიკა, საკონსერვო ქარხნები, ეთეროვანი ზეთების, ტუნგოს ზეთის დამამზადებელი ქარხნები და სხვა საწარმოები. უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგინეს პურის ახალი ქარხნები, თევზის გადამამუშავებელი ქარხნები სოხუმსა და გაგრაში, ხორცკომბინატი, რძის ქარხანა და უდიდესი მაცივრები. ამ საწარმოთა ამუშავებამ აფხაზეთის კურორტებზე დამსვენებელთა და ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურება საგრძნობლად გააუმჯობესა.

კიდევ უფრო დიდი გაქანებით ვითარდება კვების მრეწველობა. 1961-65 წლებში ამუშავდება ჩაის გადამამუშავებელი ახალი ფაბრიკები, დიდი საკონსერვო ქარხანა და სხვა საწარმოები.

ასევე ვითარდება მსუბუქი მრეწველობა, დიდდება სამშენებლო მასალათა გამოშვება, განსაკუთრებით კირკინაბეტონის კონსტრუქციების და დეტალების დამზადება. ახალი ტექნიკის ბაზაზე იზრდება სატყეო მრეწველობა და ავეჯის გამოშვება.

აფხაზეთში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, საბჭოთა ხელისუფლების წლებში რამდენიმე ათასჯერ გაიზარდა. ომამდე 1940 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება კი სამჯერ და მეტად გაიზარდა.

შვიდწლედში კიდევ უფრო გადიდდე-

ბა ქვანახშირის ამოღება, ელექტროენერჯის გამოშვება, კვების პროდუქტების წარმოება, ფეხსაცმლის, ავეჯისა და სამშენებლო მასალათა გამოშვება. საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიწისქვეშა ელსადგურით ამუშავებული ქვანახშირის მაღარო ტყვარჩელში. ეს მთელ ჩვენს ქვეყანაში უნიკალური კომპლექსური მაღარო იქნება. სოხუმში ამუშავდება კვების მრეწველობის საკურო მოწყობილობათა გამოშვები ქარხანა და სხვა. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1965 წელს, 1958 წელთან შედარებით 1,3-ჯერ გაიზრდება.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ახალი ტექნიკით აღიჭურვნენ. დიდი სამუშაოები ჩატარდა მექანიზაციის დასანერგავად ქვანახშირის მაღაროებსა და ელსადგურებში, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატსა და თამბაქოს ფაბრიკაში. ამის შედეგად მაღაროებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში გადიდდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და ამალდა მისი ხარისხი.

აფხაზეთის მრეწველობის მუშაკებმა შვიდწლედის კარგად დაიწყეს. 1959 და 1960 წლის საწარმოო დავალებები წარმატებით იქნა შესრულებული. საწარმოებში გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, ფართოვდება კომუნისტური შრომის ბრიგადების საქმიანობა.

შვიდწლედმა აფხაზეთის მრეწველობის წინ ფართო ასპარეზი გადაშალა. ჩვენ, სამრეწველო პროდუქციის შესაქმნელად ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი და გამოუყენებელი საშუალებანი გავვაჩინა. კერძოდ, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ველურად ვაზრდილი ნაყოფის მოგროვებას და სამშენებლო მასალის წარმოებას ადგილობრივი ნედლეულით, რითაც ასე მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა. აუცილებელია ქმედითი ზომების მიღება პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად.

რეკონსტრუქციამდელი აფხაზეთი სატრანსპორტო გზების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ფართოდ გაიშალა საგზაო მშენებლობა, რის შედეგადაც მიმოსვლის პრობლემა გადაჭრილია. ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე დამთავრდა შავი ზღვის სანაპიროზე რკინიგზის გაყვანა, რომელიც ზღვის სანაპიროს ინგურიდან ფსოუმდე მიჰყვება. ოჩამჩირედან რკინიგზა ტყვარჩელამდე მიდის. აფხაზეთში ამჟამად რკინიგზა მთლიანად ელექტროფიცირებულია. აშენებულია საორთქლმავალ დებო. ქალაქებსა და საკურორტო დაბებს ლამაზი სადგურები აშენებენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთს გემსადგომი არ ჰქონდა. ახლა სოხუმს მთელი შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ნავსადგური გააჩნია. გემის დატვირთვა-გადმოტვირთვა მექანიზებულია. გადიდება სანაოსნო ტვირთბრუნვა.

რამდენჯერმე გაიზარდა გზატკეცილების სიგრძე, ყოველთვიურად დიდდება საავტომობილო პარკი, სულ ახალ-ახალი მარშრუტებით დაქპირან ავტობუსები.

ყოველწლიურად იზრდება საჰაერო ტვირთბრუნვა. სოხუმის აეროდრომი მოსკოვსა, თბილისსა და ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის მრავალ ქალაქთანაა დაკავშირებული. 1960 წლის ზაფხულში გაიხსნა ადგილობრივი სავერტმფრენო მიმოსვლა.

ქალაქები და სოფლები მთლიანად რადიოფიცირებულია. თითქმის ყველა სოფელთანაა სატელეფონო კავშირი. უკანასკნელ წლებში სოხუმში აიგო რადიომუშყვებლობის სადგური, რომელიც გადაცემებს აწარმოებს აფხაზეთ, ქართულ და რუსულ ენებზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირითადად იცვალა სახე აფხაზეთის სოფლის მეურნეობამ. ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული და მცირე მწარმოებლური გლეხური მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა მძლავრი სოციალისტური მე-

ურნეობანი. მთ შორის 155 სასოფლო-სამეურნეო არტელი, 15 საბჭოთა მეურნეობა. ხუთი საარგონო-ტექნიკური სადგური, რომლებიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არიან აღჭურვილი. 1917 წელთან შედარებით სათესი და ნარგავი ფართობები ერთნახევარჯერ გადიდება. ძირითადად ამ ფართობებზე ჩაი, ციტრუსები, ეთერზეთოვანი ნარგავები, ყურძენი, ტუნგო და სხვა ძვირფასი კულტურებია გაშენებული.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში ყველაზე ძირითადი და პერსპექტიული ჩაის კულტურაა. ჩაის გაშენება საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო. 1916 წელს ჩაის კულტურას აფხაზეთში ერთი ჰექტარიც არ ეკავა. ეხლა კი 9.500 ჰექტარი უჭირავს. თანდათან იზრდება ჩაის მოსავლიანობა. 1960 წელს საშუალოდ ჰექტარზე 3 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი იქნა მოკრეფილი, 70 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს. აფხაზეთის მშრომელები ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ დიდ სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად შესრულების საქმეში, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა იკისრეს. რესპუბლიკის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს შეიღწეოდნენ გეგმის ვადამდე — ხუთ წელში — შესრულება და ჩაის გაშენება 5.680 ჰექტარზე. ეს ვალდებულებანი წარმატებით ხორციელდება. უკვე 1960 წლისათვის ჩაის მოსავალმა 25.647 ტონას მიაღწია და ამით 1963 წლისათვის დაგეგმილ მოსავლის დონეს გადააჭარბა.

აფხაზეთი მთელს ჩვენს კავშირში ითვლება არომატული ყვითელი თამბაქოს — „სამსუნის“ ძირითად მომყვანად. როგორც ცნობილია, ეს ჯიშის თამბაქოს ფაბრიკებში სხვა ჯიშების შესაზავებლად და საქესპორტოდ იხმარება. რესპუბლიკის მეთამბაქოეები მოსავლიანობის გაზრდებასთან ერთად მისი ხარისხის გაუმჯობესებაც ზრუნავენ. აფხაზეთში დიდი ფართობი უჭირავს მანდა-

რის, ლიმონს და ფორთოხლის ნარგავებს. ოქროსფერი ნაყოფი უხვად იგზავნება ჩვენი სამშობლოს დიდ ქალაქებში: მოსკოვში, ლენინგრადში, კიევიში და შორეულ ჩრდილოეთში. მეცნიერებთან ერთად ჩვენი მეციტრუსეები მუშაობენ ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანაზე. 1960 წელს აფხაზეთმა ციტრუსების დამზადების გეგმას ბევრით გადააჭარბა.

დიდებმა სუბტროპიკული ხურმის, კეთილშობილი დაფნის, ტუნგოს და სხვა მრავალწლიანი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ნარგავები. ასევე წარმატებით იბრძვიან მოსავლიანობის გადიდებისათვის აფხაზი მევენახეები.

ყოველწლიურად იზრდება აბრეშუმის მოსავლიანობა. 1960 წელს, 1924 წელსთან შედარებით, სახელმწიფოს ჩაბარდა 12-ჯერ მეტი აბრეშუმის პარკი.

საკაეშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებების შემდეგ, აფხაზი მესამინდები წლითწლობით აუმჯობესებენ სიმინდის მოსავალს.

ამ უკანასკნელ წლებში სიმინდის ხარჯზე იზრდება საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის. გაუმჯობესდა საქონლის ჯიშოვნობა. იზრდება მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, განსაკუთრებით — საკერორტო რაიონებში.

დღითიღე უმჯობესდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. მაგრამ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დღევანდელი დონე მაინც არაა საკმარისი. კოლმეურნეთა საყვედურები და მოთხოვნები, რომლებითაც ისინი მრეწველობის მუშაკებსა და კონსტრუქტორებს მიმართავენ, რათა მთიანი რელიეფისათვის შეიქმნას გამოსადეგი მანქანები, საესებით სამართლიანია.

საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის შედეგად აფხაზეთის კოლმეურნეობათა შემოსავალი წლითწლობით იზრდება. 1960 წელს ომის წინადროინდელ 1940 წელსთან შედარებით კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი 6-ჯერ გადიდა.

კოლმეურნეობათა მთელი შემოსავლის 90 პროცენტი ჩაის, თამბაქოს და ციტრუსების ხარჯზე მოდის. უხვი მოსავლიანობის ოსტატებს პატივი ერგოთ საკაეშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამგზავრებულიყვნენ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში საბჭოთა მეურნეობებსაც უჭირავთ განსაზღვრული ადგილი. ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს აჩიგვარას და მოქეის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა. საქონლის მაღალ პროდუქტულობას მიაღწია ბიჭვინთის საბჭოთა მეურნეობამ. ციტრუსების ნაღალი მოსავალი მიიღეს, კოხორის, ლენინის სახელობის და ახალი ათონის საბჭოთა მეურნეობებმა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტულობის გასაძლიერებლად აფხაზეთს დიდი რეზერვები გააჩნია. ჯერ კიდევ ბევრია ყამირი მიწები, რომელთა ათვისებას, რა თქმა უნდა, ფულადი სახსრები სჭირდება, მაგრამ იქ მრავალწლიანი კულტურების გაშენებით სახელმწიფოც, კოლმეურნეობებიც და კოლმეურნეიც მოიგებენ. ჩაისთან ერთად გადაწყვეტილი გვაქვს ციტრუსებისა, ყურძნის და კეთილშობილი დაფნის ნარგავების გაშენება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ამის დადასტურებაა საბინაო მშენებლობა, რომელიც გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს მთელი კაეშირის მასშტაბით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთის ქალაქებმა და სოფლებმა მთლიანად იცვალეს სახე. შავი ზღვის სანაპირო ქალაქებიდან სოხუმი ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა. იგი ამ უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო დამშვენდა, ახლადაგებული, არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული, კაპიტალური სახლებით, პარკებითა და სკვერებით. მარტო 1959 — 1960 წლებ-

ში სოხუმის მშრომელებს საექსპლოატაციოდ გადაეცათ 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. იზრდება და ლამაზდება ტყეარჩელი, ვაგრა, გუდაუთი და რესპუბლიკის სხვა ქალაქები. თანდათან უმჯობესდება მოსახლეობის კომუნალური მომსახურება. ხდება წყალგაყვანილობის განახლება, ელექტროქსელის გაფართოება, კანალიზაციის გაყვანა და სხვა. დაიწყო მზადება ტროლეიბუსების მიმოსვლისათვის სოხუმში. შეიღწეა აფხაზეთის ქალაქები კრასნოდარის მხარედან ბუნებრივ გაზს მიიღებენ.

ძირული ცვლილება მოხდა აფხაზეთის სოფლებშიც. მაგალითისათვის დავასახელებ გუდაუთის რაიონის სოფელ დურიძეს. აქ, კოლმეურნეობის სახსრებით აიგო სკოლა და კლუბი. კოლმეურნეთა უმრავლესობამ ახალი კაპიტალური სახლები დაიდგეს. სოფელი ელექტროფიცირებულია და რადიოს ხმაც ომახიანად გაისმის. სულ უფრო და უფრო მეტი სოფელი ხდება ასევე კეთილმოწყობილი.

ყოველწლიურად იზრდება სავაჭრო ქსელი და საქონელბრუნვა.

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ტრიუმფია აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის ის მიღწევები, რომლებიც მას გააჩნია სოციალისტური მეცნიერების კულტურისა და ჯანმრთელობის დარგში.

ამჟამად რესპუბლიკაში 250 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, საქალაქო და სასოფლო საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები, საექიმო, საფერწლო, და მედიკამენტების პუნქტები, დისპანსერები და სამშობიარო სახლებია. შექმნილია დედათა და ბავშვთა ორი სახლი, 60 საბავშვო ბაგა. სამკურნალო დაწესებულებებში მუშაობს 1. 100 ექიმი.

შეიღწეა კიდევ უფრო გაიზრდება და გაუმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. ქალაქებსა და სოფლებში შენდება ახალი საავადმყოფოები და საბავშვო ბაგები. ახალი

დიდი საავადმყოფო შენდება სოხუმში. აფხაზეთში ახლა არაა საქმედროვნო მომსახურებას მოკლებულნი სოფლები.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ მკვეთრად შეამცირა სიკვდილიანობა. მოსახლეობამ ორჯერ იმატა. მაღარია აფხაზეთის მიწაზე სამუდამოდ დამარცხდა.

მთელს კავშირში და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში კარგად იციან რომ აფხაზეთი კურორტების ქვეყანაა. მთიანი პეიზაჟების განსაკუთრებული მომხიბვლელობა, ზღვის რბილი ჰავა, ბალნეოლოგიური სიმდიდრენი, წლითიწლით უფრო მეტ დამსვენებლებს იზიდავენ. დიდი სამუშაოები ჩატარდა კურორტების: ვაგრის, სოხუმის, გუდაუთის, ახალი ათონის, გულრაფშისა და სხვ. კეთილმოსაწყობად და გასამწვანებლად. აფხაზეთში ახლა 60 მეტი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ტურისტული ბაზებია.

აფხაზეთი განსაკუთრებით მდიდარია მინერალური წყლებით. მათი წყალობით კურორტებს კლიმატურ-ბალნეოლოგიური მნიშვნელობა ენიჭებათ. ამ მინერალური წყლების ბაზაზე შეიქმნა ჯანმრთელობის ახალი კერები ავადხარას, რიჩის ტბის მიდამოებსა და ტყეარჩელში. სი.ხუმში შენდება დიდი სანატორიუმი, რომელსაც წყალტუბო-მაცესტას ტიპის მინერალური წყალი ჰკვებავს.

ახალი პერსპექტივები იშლება აფხაზეთის კურორტების წინაშე შეიღწეა. დიდდება ასიგნობანი საკურორტო მშენებლობისათვის. 1960 წლის გაზაფხულზე ვაგრაში გაიხსნა პანსიონატი „საქართველო“. ამხ. ნ. ს. ზრუშჩოვის ინიციატივით ბიჭვინთის ნაძენარში ზღვის ნაპირას დაიწყო უდიდესი საბალზო კურორტის მშენებლობა. აქ, ერთდროულად დაისვენებს 10. 000 ადამიანი. იგი 1962 წელს გაიხსნება.

ყოველწლიურად მატულობს ტურისტთა რიცხვი. მათი უკეთ მომსახურების მიზნით განსაკუთრებულ ყუ-

რადღებას ვაქცევთ აფხაზეთის ღირსშესანიშნაობებს.

ჩამოსული დამსვენებლებისა და ტურისტებისათვის იქმნება ახალი სპორტული ბაზები. გაკეთდა და შენდება ახალი სტადიონები, საწყალჯომარდო სადგურები, სპორტული დარბაზი. ახლა სოხუმის მშრომელთა ძალებით სოხუმის დასავლეთ მხარეს იგება დიდი სტადიონი, გარშემო სარბენი ბილიკებით, სპორტული სათამაშოებისათვის განკუთვნილი მოედნებით, სავარჯიშო შენობებითა და ტრიბუნებით.

დიდ განვითარებას და აყვავებას მიიღწია აფხაზეთის — ფორმით ეროვნულმა და შინაარსით სოციალისტურმა — კულტურამ.

რევოლუციამდე სოხუმის ოლქზე გაწეული სახალხო განათლების ხარჯები წლიურად მხოლოდ 800 მანეთს შეადგენდა. იშვიათი იყო სკოლები, განსაკუთრებით — სოფლად. მათგან — უმრავლესობა, საეკლესიო-სამრევლო იყო. მშობლიურ ენაზე სწავლება არ სწარმოებდა. მუშებისა და გლეხის შვილებს სკოლებში ძალიან ძნელად იღებდნენ.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა კულტურულმა რევოლუციამ აფხაზეთში ძირეულად შესცვალა სახალხო განათლების საქმის დაყენება. რევოლუციამდელთან შედარებით მოსწავლეთა რაოდენობა 8,5 გადიდდა. გახსნილია სკოლა-ინტერნატები, მოსწავლეთა შორის ინერგება შრომითი ჩვევები. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სუბტროპიკული კულტურების სამეურნეო ქართულ ინსტიტუტში, სამედიცინო სასწავლებელში და სხვა სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში ხუთი ათასამდე მოზარდი სწავლობს. ყოველწლიურად ეს სასწავლებლები ათასამდე ახალგაზრდა სპეციალისტს უშვებენ.

შეიძლედა კიდევ უფრო გაფართოვდება პროფესიული ტექნიკური სწავლება.

აფხაზეთში კულტურული რევოლუციის ძირითადი მონაპოვარია მშრომელი ინტელიგენციის ეროვნული კადრე-

ბის შექმნა. ახლა აფხაზეთში ყოველათას მოსახლეზე მოდის 35 სპეციალურ-დამთავრებული. 1960 წელს მშენებლობებზე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამედიცინო და სხვა დაწესებულებებში 6,500 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი მუშაობდა.

რევოლუციამდელ აფხაზეთში არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება არ იყო. მეცნიერული აზრის აყვავება რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს აკადემიის აფხაზეთი ენისა და ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის ექსპერამენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი, საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალი, სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი, სოხუმის ბოტანიკური ბაღი, სუბტროპიკული კულტურების სოხუმის საცდელი სადგური, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და სატყეო სადგურები. რევოლუციამდელ აფხაზეთში — აფხაზი მეცნიერი მუშაეი ერთიც არ იყო. ახლა კი 180 მეცნიერი მუშაეია და მათ რიცხვში — 82 დოქტორი და კანდიდატი.

ყოველწლიურად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი. ამჟამად აფხაზეთში არის 300 მასობრივი ბიბლიოთეკა, 220 საკლუბო დაწესებულება, 170 კინოდანადგარი და სხვ. იდეოლოგიურ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკირა კულტურის სახალხო უნივერსიტეტებმა. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა თანდათან იზრდება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აყვავდა ლიტერატურა და ხელოვნება. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ტრიუმფს წარმოადგენს აფხაზეთი მხატვრული ლიტერატურის შექმნა. აფხაზი მწერლების ნაწარმოებებს იცნობენ

საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც.

აფხაზური საბჭოთა ლიტერატურა ვითარდება მოძმე ხალხთა, პირველყოფლისა, რუსულ და ქართულ ლიტერატურასთან ერთად ახლო კავშირში. აფხაზური ლიტერატურის შექმნა მტკიცედაა დაკავშირებული აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას სახელთან. დიდი ღვაწლი მიუძღვის მის განვითარებაში აფხაზური პროზისა და დრამატურგიის თვალსაჩინო ოსტატს ს. ჩანბას, პოეტს ი. კოლონიას და სხვებს. აფხაზურ ლიტერატურას ყოველწლიურად ემატება ახალი ძალები.

აფხაზურ ენაზე თარგმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ბევრი ნაწარმოები და რუსული, ქართული, უკრაინული, საბჭოთა და საზღვარგარეთული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები. ყოველწლიურად აფხაზეთის გამომცემლობა მრავალ ათეულ წიგნს უშვებს. აფხაზეთში გამოდის ლიტერატურულ-მხატვრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ალაშარა“ (სინათლე) და საბავშვო ილუსტრირებული ჟურნალი „ამცაბზ“ (ალი).

საბჭოთა ხელისუფლების პირშემა აფხაზეთის დრამატული თეატრი. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე თეატრმა მასურებელს უჩვენა რამდენიმე საინტერესო დადგმა. მათ შორის სპექტაკლები თანამედროვეობაზე. მაღალი შემოქმედებითი აქტივობით გამოირჩევიან აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონია, ხალხური შემოქმედების სახლი. წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქორეოგრაფები, მხატვრები და მოქანდაკეები.

აფხაზური და ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს დიდი შემოქმედებითი მეგობრობა ანათესავებს. საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე — ლექსში, „აფხაზრცა“ მიმართავს აფხაზურ ხალხურ საკრავს და აღფრთოვანებულ სტრიქონებს

უძღვნის აფხაზი და ქართველი ხალხის მეგობრობას:

სულ შესმოდა შენი თბოლა,
შენი ჟღერა, შენი ხმაცა,
ფანდურის ძმე, ხმადამტყბარო
აფხაზურო აფხაზრცა!
გვეუო, გვეუო, რაც წარსულმა
ყანა დღმა დაგვიფარცხა,
ჩვენს აკანში ვარდი ჰეფვისი,
მუში სეურავს ჩვენი ფაცხა.
ერთად ჟღერდეთ რაგორც არსად,
ფანდური და აფხაზრცა!
ერთ არწივის ორი ფრთა ხართ,
ერთი დიდი ველისთქმაცა.

აფხაზეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის ჩატარება თბილისში. დეკადამ ნამდვილი მეგობრობისა და ძმობის ნიშნით ჩაიარა და აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს შემოქმედებითი მუშაობის მძლავრი სტიმული მისცა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ეს მიღწევა, პირველყოფლისა, აფხაზი მშრომელების მონაპოვარი და კომუნისტური პარტიის ორგანიზატორულ შემოქმედებითი მუშაობის შედეგია. აფხაზეთის მშრომელების თავდადებულ შრომას კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა და აფხაზეთის რესპუბლიკა 1936 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აფხაზეთმა დიდ სამამულო ომშიც წარგზავნა თავისი შვილები. სამუდამოდ დარჩება და საუკუნეებს გადაეცემა შელიტონ ქანთარიას სახელი, რომელმაც ეგეოროვთან ერთად გამარჯვების ღროშა აღმართა რეიხსტაგზე. მტრებთან ბრძოლაში სახელი გაითქვეს საბჭოთა კავშირის გმირმა ვლადიმერ ხარაზიამ, ვიტალი პოპკოვმა, არუთინ ჩაყრიანმა, რაყდენ ბარციკმა, ვარლამ გაბლიამ, იაროსლავ იოსელიანმა, კიახიმ აგრბამ, ალექსანდრე ნოზაძემ და სხვებმა.

ახლა კომუნისმის მშენებლობის ეპოქაში, მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად,

აფხაზეთის მშრომელებიც სასახელოდ შრომობენ. ამ სასახელო შრომაში იჩენს თავს ხალხთა მეგობრობის შემოქმედებითი ძალა. ტყვარჩელისა და დონბასელი მადაროელების, სევასტოპოლისა და ტყვარჩელის ენერგეტიკოსების, სოხუმელ და ლენინგრადელ რკინიგზელების მუგუჭირხველ და საგურამოელ, დუროპმელ და ხუცუბნელ კოლმეურნეების სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმა თვალნათლივ ადასტურებს ხალხთა მეგობრობის ურღვევ ძალასა და ცხოველყოფლობას.

სახელოვნად შრომობენ „ტყვარჩელ-ქვანახორის“ ტრესტის, კომუნისტური შრომის ბრიგადირები, მეთამბაქოები. თანდათან იზრდება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რიცხვი. მათ შორის გამოირჩევიან მეცხოველეები, მეციტრუსეები და მეჩაიეები, რომლებმაც 1960 წელს 12 — 18 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავილი მიიღეს.

აფხაზეთის მავალითზე კიდევ და კიდევ უფრო დამაჯერებლად მტკიცდება ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის შესანიშნავი სიტყვები: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ყოფილი რუსეთის განაპირა მხარეების მავალითზე, აღმოსავ-

ლეთის ქვეყნებისათვის დამტკიცებულია, თუ როგორ შეიძლება ერთდროობის სიცოცხლის მანძილზე, ბოლომდე დონ ჩამორჩენილობას, სილატაკეს, ავადმყოფობას, უცოდინარობას, და ეკონომიურად მოწინავე ქვეყნების დონემდე ამაღლდნენ“.

აფხაზეთის მშრომელებმა კარგად იციან, რომ მოპოებული მიღწევები, ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც სათავეში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი უდგას.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნით ეგებება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავს. აფხაზეთის მშრომელები ზემოთ აღნიშნავენ ამ დიდ ისტორიულ თარიღს და პირობას აძლევენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი კიდევ უფრო დიდი მიღწევებით შეხედებიან კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას და მომავალშიც ძალსა და ენერგიას არ დაიშურებენ კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის.



დოქ. ბ. ჩაპელიძე

ხალხთა კეთილდღეობის ამაღლების პუნქტი

მიმდინარე წლის იანვარში შეიკრიბა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ვრცელი და სასიკოცლო დარგის — სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირეული საკითხები, კერძოდ, „1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო ფონდის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საკვ. ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმმა, რომელმაც ჩაიარა ძირითადი ნიშნით: — დაეწიოთ და გავესწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეს ზორის, ჩრისა და კარაქის წარმოებაში, ფრიალ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წარმოების ახალი მშლავი აღმავლობის საქმეში. კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე, შემცირდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. ეს კი დიდი გამარჯვებაა ჩვენი საკომუნისტო სოციალისტური სისტემისა. მაგრამ ყველაფერი ეს იმას როდენიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოებაში, შეიღწიანი გეგმით, და აღებულ ვალდებულებათა შესრულების საქმეში ყველაფერი რიგზე იყოს.

იანვრის პლენუმის დიდი ისტორიული მნიშვნელობა იმაშია, რომ ამ პლენუმზე მწვავედ გააკრიტიკეს ის ნაკლოვანებები, რაც დღეისათვის ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას გააჩნია.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, თავის ისტორიულ გამოსვლაში პლენუმზე, შეაკრია, ლენინურად გააკრიტიკა არსებული ნაკლოვანებები სოფლის

მეურნეობაში და მწვავედ ამხილა ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

თავის სიტყვაში იანვრის პლენუმზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას აქვს დიდი წარმატებები, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ იგი ჯერ კიდევ არ ვითარდება ისეთი მაღალი ტემპებით, როგორც მრეწველობა ვერ ვწევა ჩვენი ინდუსტრიის სწრაფ ზრდას; მხარდამხარვერ მიუყვება მას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ შეიღწეღის პირველი ორი წელი არ იყო ხელსაყრელი სოფლის მეურნეობისათვის, რადგან შეიღწეა საყმოდ მძიმე კლიმატური პირობები. თუმცა უკანასკნელ ორ წელიწადში გვაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ერთგვარი ზრდა, მაგრამ ეს ზრდა ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგან არ შეესაბამება ხალხის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ზოგიერთი პროდუქტის წარმოება კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება შეიღწიანი გეგმის დაეღლებს. ამავე დროს ზოგიერთი ხელმძღვანელი დაშვიღდა, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ უკვე მოაღწია ზღვარს. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, ისახულებდა რა სოფლის მეურნეობის წარმოების გაღღების აუცილებლობის საკითხებს თანამედროვე პირობების შესაბამისად, მიუთითებდა იმ ვითარებებზე, რომლებიც მოითხოვენ სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომ გაღღებას. გაფართოებას, სოფლის მეურნეობის განვითარების უფრო მაღალ ტემპებს. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, ამ საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნავდა, რომ ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მოსახლეობა გაიზარდა 18 მილიონი კაცით. გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში დიდად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, გაიზარდა ხელფასის ფონდი 17,1 მილიარდი მანეთით, შემცირდა გადასახადები, გაიზარდა პენსიების ოღენობა, დიდად გაიზარდა კომმუნისტური შემოსავალი. რეალური ხელფასის ზრდა მომავალშიც მოხდება,



გადიდება მოსახლეობის მოთხოვნისადაც კვების პროდუქტებსა და სახალხო მოხმარების საჭიროებებზე და ამიტომ უოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიკა ზედამ აკმაყოფილებდეს ხალხის სწრაფად მზარდ მოთხოვნისადაც.

სწორედ ამ სიყვანძო საკითხების სწორად და მიზანშეწონილი გადაწყვეტიდან გამომდინარეობს ამხანაგი ნ. ს. ზურნოვი, რომელიც ასე შევაყვად აუენებს — სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების აუცილებლობის ამოცანებს.

თუ არ არის სწორად შეხამებული მრეწველობა სოფლის მეურნეობასთან, თუ დროულად არ ამარაგებს სოციალისტური სოფლის მეურნეობა საჭირო ნედლეულით მრეწველობას, მოსახლეობის მოთხოვნისადაც კვების პროდუქტებით, თუ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობას შორის არ არის სახალხო სამეურნეო მთლიანობა, ვერ გადაწყდება ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც უნდა გადაწყდეს კომუნისების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. პლენუმზე შევთარად აღინიშნა, რომ 1960 წელს ბევრმა რესპუბლიკამ, მხარეებმა ოლქმა ცუდად, არა სრულყოფილად გამოიყენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდების რეალური შესაძლებლობანი, რითაც ზიანი მიყენეს ხალხთა მოთხოვნისადაც ბუნების დამაყოფილების ინტერესებს. ეს პირველ ყოვლისა აღინიშნა რუსეთის ფედერაციის ბევრ ოლქსა და მხარეზე. რუსეთის სეს რესპუბლიკაში — მარცვლეული, ხორცი და რძე წარმოებული იქნა ნაკლები, ვიდრე ეს შეადგენიანი გვევით თუ ვთავალისწინებელი. სკკე ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ალტაისა და კასანოიარსკის მხარეების, ნოვოსიბირსკის, ჩუღაიბისკის, კემეროვის, კიროვის, ბელგოროდის, კურსკის, ორიოლის, ტამბოვისა და ლიპეცის ოლქების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მარცვლეულის წარმოების გადიდება საჭირო რაოდენობით და შეურიგდნენ იმას, რომ 1960 წელს არ შესრულებულა სახელმწიფოსათვის პერის მიყიდვის გეგმები.

კასანოიარსკის მხარის, როსტოვის, ვორონეჟის, ჩიტიის ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცისა და რძის წარმოება 1960 წელს კიდევაც შემცირდა 1959 წელთან შედარებით. მოსკოვის, ვლადიმირის, ბრიაანსკის, ტულის, კიროვის, ტომსკის ოლქებში, მარეთის ასს რესპუბლიკაში, ჩუგაშეთის ასს რესპუბლიკაში, ხაბაროვსკის მხარეში უყანას-წელი ორი წლის მანძილზე შემცირდა ძროხის სულაოდება. მთლიანად რუსეთის ფედერაციაში დაიხრდა 5 მილიონზე მეტი ცხვარი, რამაც

გამოიყვია ცხვრის სულადობის შემცირება 1959 წელთან შედარებით.

მარცვლეული

ამასთანავე პლენუმის დადგენილებაში აღინიშნა ნული არიან ის მხარეები, ოლქები და რესპუბლიკები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ორგანიზატორული მუშაობის იმდაგვარად მოწყობა, რომ უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულება.

ცნობილია ისიც, რომ პლენუმზე გაკრიტიკებული იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათანადოდ ვერ იყენებენ თავიანთ დიდ შესაძლებლობებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, რომ შესაძლებელია ცხვრის სიყვდილიანობა, საზოგადოებრივი პარტიუების ნული ტემპით ზრდა, პროდუქტულობის სიმცირე და სხვ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა, სკკე XXI ური ობობის და 1959 წლის სკკე ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებათა შესრულების შედეგების საფუძველზე, შეიმუშავა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტული პრიორაზა და დასაძა გზები მის შესასრულებლად. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული მნიშვნელობა ისაა, რომ ამ პლენუმზე ღრმად და საფუძველიანად იქნა განხილული ისეთი ძირეული პრობლემები, როგორცაა მიწათმოქმედების აღმავლობა და მარცვლეულის, შაქრის ჰარხლის, ხაშისა და სხვა კულტურების წარმოების გადიდება, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრებით გამტკიცების, წარმოებაში მეცენარების მიღწევების დანერგვის, მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების განზოგადების, მექანიზაციის მეტად გაფართოების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოებულ პროდუქციანზე თვითღირებულების შემცირების და სხვა მეტად აქტუალური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის ინტერესებთან.

უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის წარმოებაში ძირითად ამოცანად რჩება მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდება ჩვენს ქვეყანაში. პარტიამ თავიდანვე გენიალურად განსაზღვრა მარცვლეული წარმოების მკვეთრად გადიდების ამოცანები, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ და აქვთ დღესაც ჩვენი ქვეყნისათვის. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმმა მიიღო ისტორიული მნიშე-

ნელოზის დადგენილება — ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებათა შესრულების შედეგად, ათვისკის 41,0 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა, რითაც შეიქმნა მტკიცე საფუძველი ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გასაღრმავლად, მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვი, ჯერ კიდევ ადრე, ისილავდა რა ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გაღრმავების აუცილებლობის საკითხებს, მიუთითებდა იმ ცვლილებებზედაც, რაც ჩვენში მოხდა სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში და, რამაც განაპირობა მარცვლეულის წარმოების შემდგომი გაღრმავება. ეს პირობებია: პირველი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა საფუძველზე ამაღლდა და კვლავაც განუზრუნვლად შალდება ხალხის კეთილდღეობის დონე და, მასთან ერთად, იზრდება მოთხოვნილება პურსა და მის ნაწარმზე.

მეორე, ჩვენს ქვეყანაში, შობადობის ზრდისა და სოცდლიანიზმის შემცირების შედეგით, მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 3 მილიონზე მეტ კაცით. მოსახლეობის ასეთი ზრდის შედეგად იზრდება მოთხოვნილება პურსა და სხვა პროდუქტებზე.

მესამე, ჩვენში წლითწლით იზრდება ქალაქებისა და მრეწველობის ცენტრების მოსახლეობა, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა დაახლოებით 17 მილიონი კაცით. ზრდა ხდება, უმთავრესად, სოფლის მოსახლეობის ნაწილის ქალაქში გადასვლის გზით. მაგალითად, ამავე 5 წლის მანძილზე სოფლიდან ქალაქში გადასახლდა 9 მილიონზე მეტი კაცი. ერთი შეხედვით, შეიძლება გვეჩვენოს, რომ იქ ხდება მოხმარების უზარალო გადაადგილება, რომ ორივე შემთხვევაში მოსახლეობას ერთი და იმავე რაოდენობის პროდუქტები სჭირდება. სინამდვილეში საქმე იმაშია, რომ გახდება რა ქალაქის მეცხოველეობის პროდუქტის მწარმოებელია სპონორული სურსათის მომხმარებლად იქცევა.

მეოთხე, ჩვენ გვეპირდება მარცვლეულის მძლავრი სახელმწიფო რეზერვები, რომლებიც ყოველწლიურად უნდა შეივსოს. ჩვენს ქვეყანას არ შეიძლება არ შეიძინოს სათანადო რეზერვები. ეს, ცხადია, ყოველთვის დამტკიცებას არ სჭირდება.

მეხუთე, ჩვენ უნდა გვეპირდეს მარცვლეულის სკკპო ფონდი საფარეო ვაჭრობისათვის.

შევესება, და ეს მთავარი მიზეზია, რომელიც განაპირობებს მარცვლეულის დამატებითი რაოდენობის სჭირდებას, — მკვეთრად უნდა გააღრმავდეს ფურცაის წარმოება მარცვლეულის სჭირდებასათვის.

საქათა მს დიდი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებული არიან მარცვლეულის წარმოების შემდგომ გაღრმავებასთან.

სასაქონლო მარცვლეულის ყოველწლიური წარმოების გაღრმავება, სასაქონლო მარცვლეულის სტაბილური რესურსების შექმნა აყენებს საკითხს მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლების, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და მკერე მოსავლიანი ჯიშების უხეშოსავლიანი ჯიშებით შეცვლის აუცილებლობას. განამტკიცებული მოსავლის მიღებისათვის გასაყვითრებული უზრუნველდება უნდა მიეცეს ისეთი საფუძვლის გაღრმავებას, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ამ პრობლემებთან. ასეთებია: საირიგაციო სამუშაოთა ფართოდ გავლა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების გაღრმავების უსასტიკესი დაცვა, შესრულების ხარისხის, სასუქების და, კერძოდ, ადგილობრივი სასუქების დაგროვება და გამოყენება, თესვა — მხოლოდ ჯიშისანი თესვით, მელორაციულ ღონისძიებათა გაფართოება და გამოყენება და, რაც მთავარია, კომპლექსური მეტანოზის განხორციელება. ამ ღონისძიებათა გატარებით მიღწეულ უნდა იქნას მოსავლიანობის შემდგომი გაღრმავება, და საერთოდ მოსავლიანობის სტაბილობა.

მარცვლეულის წარმოების ამოცანის წარმატებით გაღრმავების საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს სიმინდის წარმოებამ. საჭიროა მეტად გაღრმავდეს მის საფარეო ფართობი, ავრთქმეტიერ ღონისძიებათა გატარებით მკვეთრად უნდა ავსწიოს მისი მოსავლიანობა, ეს მეტად დაგვეხმარება მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში და არა მარტო მეცხოველეობის, არამედ მივლს სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენება, მისი დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა ლაპარაკობს ამ კულტურის ფრიალ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლზე ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების საქმისათვის.

ჯერ კიდევ ადრე ფ. ენგელსი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „სიმინდი საუკეთესოა პურისთვის ყველა კულტურას შორისო“. და, მართლაც, როგორც ეს პრაქტიკით დადასტურებულია, სიმინდი მეტად ძვირფასი, მეტად უხეშოსავლიანი მერეულია. ამიტომ არის, რომ პარტია და მთავრობა ასეთ განსაკუთრებულ უზრუნველებას იქცევენ ამ კულტურის წარმოების გაღრმავების საქმეს. იანვრის პლენუმის დადგენილებით მეტად დიდი პერსპექტივებია დასახლო სიმინდის წარმოების გასაღრმავლად, რამაც უნდა შექმნას მტკიცე საფუძველი საკვები ბაზის გასამტკიცებლად. ჯერ კიდევ 1921 წელს, ვ. ი. ლენინი — სიმინდის უპირ-



რატვისაზე მიუთითებდა სახელმწიფო საფეხ-
მო კომისიის. მარტია დღეს მკვთოდ აყე-
ნებს საკითხს სიმინდის კულტურის განვითარების შესახებ.

„სიმინდი იმით არის ძვირფასი, რომ მარტია
ეს კულტურა — ერთსა და იმავე დროს წყვეტს
ორ ამოცანას — მარცხენა რესურსების შევსებისა და სიმინდის კარგი სილოსის მიღე-
ბის“ 1.

ამდენად სიმინდის წარმოების გადიდება მე-
ტად დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი
საქმეა. იანვრის პლენუმმა თავის დადგენილუ-
ბებში ხაზგასმით ჩაწერა, რომ მარცხენა რესურსების
წარმოების ძირითადი რეზერვები — სიმინ-
დის მარცხენა წარმოების გადიდება იმ
გზით, რომ ამ კულტურის მოვლა გამოყვანი-
სათვის გამოიყოს მიწები უკრაინის ყველაზე
ხელსაყრელ რაიონებში დაახლოებით 3 მილი-
ონი ჰექტარის ოდენობით, რუსეთის ფედერა-
ციამ დაახლოებით 2 მილიონი ჰექტარი, ავ-
რეთვე მოსდევთა და საქართველოში, ისე,
რომ ამ ფართობებზე მიღებული იქნას სულ
მეტრე 50 ცენტრის სიმინდის მარცხენა ჰექ-
ტარზე და სხვ.

იხილეთა რა სიმინდის წარმოების გადიდე-
ბის საკითხებს შთელს ჩვენს ქვეყანაში, ნ. ს.
ხრუშჩოვმა ბევრი მაგალითი მოიყვანა იმისა,
თუ რაც მხარეებსა, რესპუბლიკებსა და ოლქებ-
ში როგორ სათანადოდ ვერ აფასებენ სიმინდის
კულტურის უდიდეს მნიშვნელობას. ამხანაგმა
ნ. ს. ხრუშჩოვმა მთელი დამაჯერებლობით,
უხვი ფაქტორი მონაცემებით და მაგალითე-
ბით ნათელყო სიმინდის წარმოების დიდი
სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა, მწვა-
ველ დაყენა საკითხი სიმინდის წარმოების
გასაღებლად, და არა მარტო სიმინდისა,
არამედ სოფლის მეურნეობის ყველა დარგთა
განუხრელი აღმავლობისა.



სკვ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე
მნიშვნელოვანი მიღწევებით წარსდგა საქარ-
ველოს სამკოთა სოციალისტური რესპუბლიკა-
საქართველოს მშრომლებმა, მარტული ორ-
განიშაიების ხელმძღვანელობითა და დახმარ-
ებით, მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს
1960 წელს სოფლის მეურნეობის წარმოების
გაძლიების საქმეში.

მოუხედავად ამ მნიშვნელოვანი მიღწევებისა,
სკვ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენ-
უმმა

ნუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ მეტრად
იქნა გაკრიტიკებული საქართველოში სოციალისტური რესპუბლიკა ჰელმწიფო
ნეობის განვითარების დარგში სერიოზულ ნა-
ლოვანებებისათვის.

პირველყოფისა უნდა აღინიშნოს, რომ დღე-
მდე არ არის შოლიანად გამოყენებული ის
რეზერვები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გააჩ-
ნია სოფლის მეურნეობის წარმოების შემდ-
გომი გაძლიებისათვის. განსაკუთრებით ეს
ითქმის მეცხოველეობის პროდუქტების წარ-
მოების ჯერ კიდევ დამალ დონეზე, ნელა იზრ-
დება საზოგადოებრივი პირუტყვის სულალო-
ბა, დამეურთულია ცხვრის დიდი სიკვდილიანო-
ბა, ჯერ კიდევ არ არის წარმოებაში ისეთი
პროგრესული მეთოდები, რომელიც საშუალე-
ბას მოგვცემდა სოფლის მეურნეობის ზოგად-
ერთ დარგებში მიგველო წლის განმავლობაში
ორი მოსავალი და სხვ.

ამხანაგი ვ. პ. მგავანამე, ამ საკითხებთან
დაკავშირებით, თავის სიტყვაში სკვ ცენტრალ-
ური კომიტეტის პლენუმზე აღნიშნავდა:
„ერთი წლის წინათ, სკვ ცენტრალური კომი-
ტეტის დეკემბრის პლენუმზე და რამდენიმე
უფრო ადრე — ჩვენი რესპუბლიკა საესებით
სამართლიანად გააკრიტიკეს მეცხოველეობის
განვითარებაში ჩამორჩენის გამო. ახლაც სა-
მართლიანად მივეითთებენ სერიოზულ ხარ-
ველებზე ამ დარგის განვითარებაში. პირდაპირ
უნდა ითქვას, რომ ჩვენ ყველაფერი ვერ
გავითვალისწინეთ ამ სამართლიან კრიტიკი-
დან, ვერ გავითვალისწინეთ კერძოდ, 1953
წლის ზამთრის მწარე გამოცდილება, რომელ-
მაც კოლოსალური ზარალი მოუტანა მეცხე-
რეობას. მართალია, 1959 — 1960 წლის ზამ-
თარში ჩვენ მივიღეთ ვარკვეული ღონისძიე-
ბანი ცხვრის ნარმალური გამოშვების შეს-
დაქმნელად, განსაკუთრებით — სამომთაბრეო
საზამთრო საშოვრებზე, მაგრამ ეს ღონისძიე-
ბანი საკმარისი არ აღმოჩნდა. დანაკარგი სიკვ-
დილიანობისაგან ძალიან დიდი და ყოველწლი-
ურად შეადგენს ითქმის 8-10 პროცენტს.
შარშან დაიღუპა 201 თასი სული მონარდუ-
ელი — სულადობის ითქმის 10 პროცენტ...
საზოგადოებრივი მეცხოველეობაში ყველაზე
სერიოზულ ნაკლოვანებად რჩება საერთო
ჯოგში ჯიშინი პირუტყვის ჯერ კიდევ დამალი
ხეცდროთი წონა, დიდი ბერწიანობა და მნიშ-
ვნელოვანი დანაკარგები პირუტყვის სიკვდილი-
საგან“ 1.

ამდამად მეტად დიდი ამოცანებია დასახუ-
ლი პლენუმისა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის
მიერ, დაყენებული სოფლის მეურნეობაში

1 ნ. ს. ხრუშჩოვი, მეცხოველეობის პრო-
დუქტების წარმოების გაძლიების შესახებ.
სკვ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დად-
გენილება, მიღებული 1955 წლის 31 იანვარს.

1 ვ. პ. მგავანამის სიტყვიდან სკვ ცენტრალ-
ური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, გაზეთი
„კომუნისტი“, 1961 წლის 24 იანვარი.

არსებულ ნაკლთა აღმოფხვრისა და სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომი გადიდების საქმისათვის. ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ტექნიკურ და მრავალწლიანი კვლევების წარმოების გადიდებისათვის ერთად დააყენა ჩვენს რესპუბლიკაში მარცვლეულის წარმოების ამაღლების საკითხი. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება სიმინდის წარმოების გადიდების საქმეს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღნიშნავდა: — „საქართველოში ამჟამად სიმინდი ითესება 360 ათას ჰექტარზე. თუ ამ ფართობიდან ავიღებთ თუნდაც 60 ათას ჰექტარს და ჰექტარზე მივიღებთ არა 50 ცენტნერს, არამედ 60 ცენტნერ სიმინდის მარცვალს, აქ უკეთესი პირობებია, რა იქნება 22 მილიონი ფუთი მარცვალი. ამ კარდენობიდან რესპუბლიკა 15 მილიონ ფუთს მიჰყიდის სახელმწიფოს, ხოლო 7 მილიონი ფუთი დარჩება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“¹.

ამ დავალების შესრულება სრულიად რეალურია და მისი შესრულება გვეხსნის არ იშვებულ ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვლის მიღება საკლებით შესაძლებელია. ჩვენ გვყავან სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები, რომლებიც სპარკორდო მოსავალს იღებენ: ნ. ქვანახია, ძ. რიგვავა, და სხვები.

ახლა ამოცანა ისაა, რომ სოფლის მეურნეობის შექაინების, მოწინავე აგროტექნიკისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით, რაც მთავარია, საირიგაციო სამუშაოთა ფართოდ გამოყენებით უნდა მივაღწიოთ მარცვლეული მეურნეობის შემდგომ გადიდებას. და არა მარტო მარცვლეული მეურნეობის, არამედ — სეარითოდ — სოფლის მეურნეობის ყველა დარგთა აღმავლობას.

ახლა, როცა მთელი მოცულობით დგას საკითხი სოფლის მეურნეობის ყველა დარგთა წარმოების ამაღლებისა, მარცვლეულის წარმოების გადიდების საკითხებს ფრიალ საბატიო ადგილი უკავია.

ამავე დროს შესამჩნევად დიდდება მრავალწლიანი კვლევების წარმოება, მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, და აგრეთვე მეთამბაქოეობა. ჩაის წარმოების მეკეთხრად გადიდებისათვის ერთად, დიდდება გენაბის ფართობი. შეიღწეულეს ბოლოსათვის გენაბის ფართობი უნდა გაიზარდოს — 150.000 ჰექტარამდე, ისევე დიდდება — ხეხილის ბაღების ნარგავთა სავარო ფართობი, ციტრუსოვნათა ფართობი დ სხვა. ახლა ძირითადი ამოცანაა

ყველაფერი გააკეთოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგთა განუხრავლი ფუნქციონირების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დაწესებულებების ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესარჩეობად. ამ მიზართულებით კი უდიდეს მასშტაბისზე დაიწყო სოფლის მეურნეობის მიზანძარე წლის თებერვალში ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი; რომელიც თბილისში შეიკრიბა და რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, თავის სიტყვაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, ღრმა ანალიზი გაუკეთა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობის ცენტრალიზების საკითხებს, მათ რეზერვებსა და ამ რეზერვების სწორად და დროულად გამოყენებას. დასაბა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომი აღმავლობის კონკრეტული ამოცანები. „ჩვენი თათბირი, უძვეველია, შესარჩეობს უმნიშვნელოვანეს როლს ამიერკავკასიის მომხმ რესპუბლიკების სასოფლო სამეურნეო ყველა დარგის შემდგომი განვითარების საქმეში, კიდევ უფრო მეტად შთაგვარუნებს და შეგვაყვებობს იმისათვის ბრძოლაში, რომ რაც შეიძლება მალე განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი“ (ე. პ. შვავინაძის სიტყვიდან 1961 წლის 7 თებერვალს).

ახლა, როდესაც ფართოდ გაიშალა სოციალისტური შევიბრება სკკპ XXII ყრილობის შესაბუდრად, ჩვენი ქვეყნის მშარამელები ყველაფერს გააკეთებენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებათა შესასრულებლად, რომელიც მოითხოვს გვეშაბოშიერ ღონისძიებათა მთელი კომბლექსის გატარებას.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა მთელი მოცულობით დააყენა საკითხი სოფლის მეურნეობის გამოცდილი, შემოწმებული, სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფის შესახებ. „კადრების, მათი სწორი განაწილების, აღზრდისა და უნარიანი გამოყენების საკითხი მთავარი საკითხია მთელი ჩვენს მოშაბაში. ჩვენში კი აქა-იქ სწორად არ უღვებიათ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს“ (ნ. ს. ხრუშჩოვი).

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საქორო დასკვნები გააკეთონ რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებმა აზხ, ხრუშჩოვის ამ

¹ ნ. ს. ხრუშჩოვი. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და სასოფლო-სამეურნეო ბრძოლებების წარმოების გადიდების შემდგომი ამოცანები, 1961 წ., გვ. 55.

მითითებდა. უზრუნველყოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კალიფორნიის კადრებით, ან წყარო მათი სიმდიდრისა, პროდუქციის ზრდისა, თვითღირებულების შემცირებისა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისა.

მბ. ნ. ს. ბრუნოვიმ სკკ XXI ყრილობაზე გაკეთებულ საინფორმაციო მოხსენებაში და, აგრეთვე, მის სხვადასხვა გამოსვლაში პლენუმებსა და თათბირებზე, რომელთაც თავისი გამოხატულება პოვეს იანვრის პლენუმის დადგენილებაში, წამოაყენა მერად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთაც მეტო სიახლე, და სიყბავე შეაქვთ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და გაშლილ კომუნისტურ მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, სკკ XXI ყრილობამ შეფარდდა გაშუქვა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითადი საკვანძო საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის კანონზომიერებასთან. ერთ-ერთი ასეთი საკითხიაგანია — საკითხი ჭალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავებისა და დაძვებისა.

ამ საკითხს დღეს უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი გულისხმობს სოფლის მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებას. დღევანდელი ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, ისეთი შეიარაღება უახლესი ტიპის მანქანა-აარაღებით, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის სრული კომლექსური მექანიზაციის გატარების საქმეში, აგრეთვე — სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა საჭირო მალაქვალფიციენტური მექანიზატორთა კადრებით, ინჟინერ-ტექნიკოსებით, კოლმეურნეთა მასობრივი ჩაბმა უმაღლეს დაუსრულებელ და სპეციალურ სასწავლებლებში, კოლმეურნეთა ინჟინერ-ტექნიკოსთა, მექანიზატორთა, და მრავალი სხვა პროფესიის მეშვეთა მასობრივად გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება საბოლოოდ ამ ძირითადი მიზნის მისაღწევადაა გამიზნული.

ცნობილია, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყო ჭალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის როკიდიაკია, მაგრამ უველაფერი ეს იმას არცერთი ნიშნავს, რომ უველა განსხვავება მოხსნილია, ჭალაქსა და სოფელს შორის არსებობს ჯერ კიდევ არსებითი განსხვავება.

საკუთრების ორი ფორმის არსებობა ჩვენს

ქვეყანაში სწორედ ამ არსებითი განსხვავების მიხედვებელია. სკკ უკანასკნელ ყრილობაში პლენუმებისა და სხვა დადგენილებების მიხედვით ისახავენ საერთო სახალხო საკუთრების და საკოლმეურნეო საკუთრების დაახლოებას, მათ შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, საკოლმეურნეო საკუთრების აყენას საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, მათ შერწყმას საერთო სახალხო საკუთრებად.

სწორედ ამ საკითხთან არის დაკავშირებული ის მერად ღრმა ცვლილებები თანამედროვე ეტაპზე, რაც ხდება საკოლმეურნეო-კოაპერაციული საკუთრების განვითარებაში. დღეს საკოლმეურნეო საკუთრების განვითარების პროცესი ისეთი გზით მიდის, რომ იგი თავისი ხასიათითა და საზოგადოებრივი დანიშნულებით სულ უფრო უახლოვდება საერთო-სახალხო საკუთრებას.

ჩვენს ქვეყანაში ამ ორი ფორმის შემდგომი განვითარება და გაფართოება უზრუნველყოფილია სოციალისტური ქვეყნის საწარმოო ძალთა ზრდით.

საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებასთან დაახლოების, შემდეგ მისი საერთო-სახალხო საკუთრებად შერწყმის საქმეში გადაწყვეტი რაღი უნდა შეასრულოს კოლმეურნეობებში — განუყოფელმა ფონდებში, რომლებიც საკოლმეურნეო წარმოების ძირითად საფუძველს წარმოადგენენ.

საკოლმეურნეო წარმოების სწრაფი ზრდა, შემოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გაფართოება, უხვი და მყარი მოსავლის მიღება დიდად იქნება და არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მწარმოებლური ძალის სწრაფი ტემპით განვითარების საკითხებზე. ცნობილია, რომ მიმდინარე შედღწელში წარმატებით გადაწყდება ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისა და ჩვენს ქვეყანაში მატერიალური დოვლათის ამ სიღების წინა პირობების შექმნა, რომელიც საჭირო იქნება: „საზოგადოების უველა წყერის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად“¹.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ყოველისმძლე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, თავის სამეურნეო პოლიტიკას ანხორციელებს სოციალისტურ საზოგადოების ობიექტურ-ეკონომიური კანონების მიხედვით, რომლებიც წარმოიშობიან ახალი წარმოებითი ურთიერთობის საფუძველზე.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 51.

ი. გრიშაშვილი

სომხურ-ქართული ღიბერატურული ურთიერთობის ისტორიიდან

„ევროპის მწერლებს—ავად თუ კარგად, თითქმის ყველას ვიცნობთ, ან ვცდილობთ გავიცნოთ, ამ დარჯში ჩამორჩენა სამარცხვინოდ მიგვაჩნია. საკუთარი ლიტერატურის უცოდინარობა კი — არ გვეთაკილება. მით უმეტეს არ ვიცნობთ ჩვენი კარის მეზობლებს, რომელნიც გეოგრაფიულად თუ ისტორიულად, ასე ახლოს არიან ჩვენთან“.

ასე ვწერდი ჯერ კიდევ ამ 40 წლის წინათ ჩემს მიერ ნათარგმნ ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერების წინასიტყვაობაში.

სომეხი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქართველ-სომეხთა შორის მეგობრობა შორეულ დროიდან იწყება. მათ ერთმანეთთან აახლოებდა თავიანთი დიდი კულტურული წარსული და აერთოდ სულიერი და პოლიტიკური მდგომარეობა. ჩვენი ხალხების ისტორია მდიდარია მაგალითებით, როცა ისინი ერთად ხელახელ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ გარეშე დამპყრობელთა წინააღმდეგ.

როცა ერთს რომელიმეს გარეშე საფრთხე დაემუქრებოდა, მეორე მ.შინვე მხარში ამოუდგებოდა და მამაკურად ევეთებოდა საერთო მტერს.

მონღოლთა, სპარსთა და თურქმენთა თარეშმა ცოტა ზიანი როდი მოუტანა ამ ორ უმველესი კულტურის მატარებელ ერის ისტორიულ ურთიერთობას. უნდობი ირანელები და ნახევრად კულტური თურქმენები, სელჯუკები, როცა ისინი იჭრებოდნენ ჩვენს მიწა-

წყალზე, ანადგურებდნენ და აჩანაგებდნენ ერის მატერიალურ და კულტურულ დოვლათს, აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლსა და ღვარძლს. სპარსელებს სძულდათ აზერბაიჯანელები. როცა ვერაგი აღა-მაჰმად-ხანი თბილისის ასაოხრებლად დაიძრა, წინ აზერბაიჯანელები გაიგდო, ირანელები უკან მოსდევდნენ, თუ აზერბაიჯანელები დაიხევდნენ და თბილისზე არ სურდათ გალაშქრება, მაშინ ასეთებს ზოცავდნენ.

განსაკუთრებით დიდი ვნება მიაყენა ქართველ-სომეხთა მეგობრობას მეფის თვითმპყრობელობამ. ცარიზმის შოკინისტურმა პოლიტიკამ მკვეთრი გამოვლინება პპოვა კავკასიაში.

მეფის რუსეთი განაპირა მხარეებს ეკონომიურად და პოლიტიკურად იზონებდა, მან ჩვენი ქვეყნები ნამდვილ კოლონიებად გადააქცია, მაგრამ კარვად იცოდა კი, რომ მხოლოდ ძალადობა — ზიშტი და მათრახი თავისუფლებისმოყვარე ქართველ-სომეხთ და აზერბაიჯანელ ხალხთა დასამონებლად საკმარისი არ იქნებოდა, ამიტომ ის სხვა გზით ცდილობდა ხალხებს შორის ნაციონალური შუღლის გაჩაღებას. მოსყიდული აგენტების საშუალებით თხზავდა, ავრცელებდა ცილისმწამებლურ ვითომდა „ფაქტებს“, და აწყობდა სხვადასხვა ექსცესებს.

იი ფაქტები: როცა ჩვენმა მსახიობებმა 1882 წელს დავით ერიათაისის „სამშობლოში“ ქართული დროშა გაამოიტანეს და მესამე მოქმედების სცე-

ნაში ფიცი დასდეს, ებრძოლათ ირანელების წინააღმდეგ აბჯრის დაცემაზედ, შევრამელმა მ. კატკოვმა თავის გაზეთში, ჩვენი დროშა ცირკის დროშებს შეადარა და ქართველი ერის წარსული დაცინებით მოიხსენია. ამ ამბავს ილია ჭავჭავაძეც გამოეხატა და შესანიშნავი პასუხიც გასცა.¹ ილია ჭავჭავაძე სწერდა:

„ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწყალად გადაუცია; გაპირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად, არა ერთხელ გამოსულა საომარ ველზე და მისი წინ მძღვარობით და სახელით ქართველობას არა ერთხელ დაუღვრია სისხლი რუსებთან ერთად“.

აი კიდევ მეორე ფაქტი, ეს მეტად საინტერესო ამბავია: 1892 წელს გარდაიცვალა სომეხი საზოგადო მოღვაწე გრიგოლ არწრუნი, რომელიც თავის ლიბერალურ გაზეთს—„მუშას“ — მთელი 50 წლის განმავლობაში რედაქტორობდა. სომეხმა ხალხმა დიდი პატივი სცა განსვენებულ მწერალს. დამარხვა რაღაც არაჩვეულებრივი იყო, მარტო 26 ბალდახინი გვირგვინებით დატვირთული მისდევდა კუბოს და მგლოვიარე ხალხის ერთი წვერი მაშინდელ „ერევნის მოედანზე“ იყო, მეორე—სოჯივანქის სასაფლაოზე...

რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა ალექსანდრე ყაზბეგი, ეს გასვენებაც არაჩვეულებრივი იყო. თბილისიდან სოფ. სტეფანწმინდამდე რამდენიმე ათეული ვტლების ქარავანი მიჰყვებოდა ქართველი ხალხის საყვარელ მწერლის ნეშტს.

არ ეძინა ქანდარმერიასაც. ცარიზმის

დამქაშებმა ამ ორ პროცესიაში დანახეს რაღაც სეპარატული მოქმედებები და დაბეზლების წინაშე თავი საიდუმლო დეპეშები აფრინეს პოლიციის დეპარტამენტის მისამართით:

„...გასული წლის დეკემბერში, — ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, — გარდაიცვალა თბილისის საავადმყოფოში ქართველი ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი. ეს მწერალი დიდი ხანი იყო სულით ავადმყოფი და იტანჯებოდა. სიცოცხლეში მასზე სრულიად არაფერი არა ზრუნავდა და არც ფიქრობდა... მაგრამ მოკვდა თუ არა ყაზბეგი, ქართველებმა ასტეხეს ერთი განგაში. მისმა სიკვდილმა მისცა საშუალება ქართველებს ეუწყებინათ თუ მთელი ქვეყნისათვის ვერა, კავკასიისათვის მაინც, რომ ისინიც არსებობენ (როგორც ეს ჩაიღინეს სომეხებმა არწრუნის გასვენებაზე), ყაზბეგის გვამის დაკრძალვა, — ვკითხულობთ არქივის მასალებში, — ერთი კვირით შეაჩერეს და ყოველდღე რამდენიმეჯერ იხდიდნენ პანაშვიდებს, რომლებსაც დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა (განცხადებანი ამის შესახებ ყოველდღე იბეჭდებოდა ყველა ადგილობრივ გაზეთში). როგორც ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება, რომლის კუბოსთანაც დედებს პატარა ბავშვები მოჰყავდათ და აჩოქებდნენ ბარათაშვილის კუბოს წინ, ისე ყაზბეგის გვამის დიდი პატივით დასაფლავებაც, „უნდა ვიგულისხმოთ, მოხდა სომეხების ზეგავლენით! რომელთაც იმედი ჰქონდათ რომ ეს ამბები გამოიწვევდა პოლიციასთან შეტაკებას, რომლის დროსაც უეჭველად ექნებოდა ადგილი დიდ სისხლის ღვრას, თუ მხედველობაში მივიღებთ ქართველების თავმოყვარეობას და სიფიცხეს“!..

აი, ნამდვილი პოლიტიკური პროვოკაცია, ორი ერის წასასიანებლად აღძრული. მაგრამ ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატების და ამიერკავკასიის ქართველ-სომეხთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა წყალობით ამ პროვოკატორთა ანკესზე არ წამოვეგენით...

¹ კატკოვის გაზეთის („მოსკოვსკიე ველომოსტის“) თბილისელი კორესპონდენტი იყო ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ლათინური ენის მასწავლებელი სტეფანე ივანეს ძე რიგოვი (ს. რ.), შოვინისტი და რეაქციონერი.

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის სომეხმა მოღვაწემ იონათან ნაყაშმა ასეთი ზოტა შეასხა „საქართველოს ტურფებს“ (ნაწყვეტი ჩემი თარგმანიდან):

მინდა ვაქო მზარელის გულითა,
ქამანიითა, სიმღერითა, კულითა,
მშვენიერობენ სილამაზით სრულითა
საქართველოს მშვენიერი ქალები!

ვალმ-წარბი შეიღობს, როგორც კამარი,
თვალში მზე აქეთ, ვახ, რა კარგი რამ არი,

შემოუტრავთ ტანს მურასა ქამარი,
...საქართველოს მშვენიერი ქალები.

ტანთ ჩაცმასი მათ იციან ფარეზი,
უკან დასდევთ მოახლე და ფარეზი,
კვლდებიან მწეანე არემარეში,
საქართველოს მშვენიერი ქალები.

საქართველოს ხალხი ღონიერია,
სხვა მიღუთხე უძველესი ერია,
ურცხვი მტერი ბევრჯერ მოიფერია,
[გულდობა მათი ყველგან სწერია!..]

მე ნაყაში, ცოდვილი ვარ, ბრალი ვარ,
ქართველ ქალის სიყვარულით მოთვალე ვარ,

მინდა ვაქო, მაგრამ ვაი, მკრთალი ვარ. —
საქართველოს მშვენიერი ქალები.

სომეხმა მწერალმა რაფიმ თავის მოთხრობა „დაუღბეგში“ მოქმედ პირად გამოიყვანა ქართველი. ჩვენი ისტორიკოსის ცნობით, ვახტანგ მეფეს „ქილილა და დამანა“ ერთი სომხის დახმარებით გადაუთარგმნია; როცა ასპინძის გმირმა, მეფე ერეკლემ, იგრძნო, რომ არტილერიის გარეშე მოზღვავებულ მტერს ვერ გაუმკლავდებოდა, ჯერ კიდევ ალა-შაჰმად-ხანის შემოსევამდე ერეკლე მეორემ ახალგაზრდობა გაგზავნა რუსეთში სამხედრო ცოდნის შესაძენად. ამ ახალგაზრდებში სომხებიც ერივნენ. აი, რას გვაუწყებს დოკუმენტი: „სომხეთის მელიქი ივან პავლიჩი რუსეთს იყო, — სწერს მეფე ერეკლე თავის დესპანს გარსევან ჰაჯვაძეს — იქ რუსული ენა და წიგნი ისწავლა და აქ ჩვენთან მოვიდა, და ჩვენ ისევ მანდ

რუსეთს, შენთან რუსეთს გამოვიტყუმრეთ, იმ მიზეზისათვის რომ ჩვენნი კრეპუსტში მიაბარო და კამულქეტში იმყოფებოდეს მათის დიდებულებდს ყოვლად მოწყალის ხელმწიფის მოწყალებით, ეგების, — დასქენს ერეკლე მეფე, — არტილერიის საქმე ისწავლოს მექვეყანას გამოადგეს“. „ივერია“, [1891 წ. №131] „ქვეყანას გამოადგესო“ და ეს „ქვეყანა“ ორივე ერისათვის იყო „საქართველო“, რომელსაც იცავდნენ ქართველები და სომხებიც თავაშვებულ ირანისაგან.

მკურნალმა ბასტამიანმა მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ქართულიდან სომხურად პირველმა გადათარგმნა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ყველა ეს იყო ხანა მოშხადებისა.

ქართველ-სომეხთა ხალხის საქმიანი დაახლოება, მოხდა მას შემდეგ, როცა აშენდა არწრუნის თეატრი და ორივე თეატრის მუღმივი „დასი ჩაისახა“. ეს იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. თეატრი ზომ ძველად მხატვრული ლიტერატურის გამაერცვლებელი ორგანიზაციაც იყო.

ამას თვით საარქივო მასალებიც ამტკიცებს: ყანდარმერიის დოკუმენტებში ნათქვამია, აგრეთვე რომ ქართველები და სომხები ერთობლივად მოქმედებენ... აი სიტყვა-სიტყვით რა ეწერა ცარიზმის აგენტების ქაღალდებში: „სომხები ცდილობენ დაუახლოვდნენ ქართველობას და ამას ადვილად შეამჩნევს კაცი კლუბებში, თეატრებში და სხვა საზოგადო შეყრილობაში... რომ ქართველები მოქმედებენ სომხების ზეგავლენით“, „რომ ილია ჰაჯვაძესთან იმართება საიდუმლო კრებები“, რომ სომხის ორგანიზაციებს საქართველოს თავაკაცებთან ერთად კავშირი აქვთ და სხვ.“

თეატრი ერთ-ერთი კერა იყო, საიდანაც ვრცელდებოდა ქართული და სომხური მხატვრული ლიტერატურა, სადაც შეუნიღბავად, გულმოდგინედ მოქმედებდნენ ჩვენი საზოგადო მოღვა-



წენი და მსახიობების თუ პიესების გაცვლა-გამოცვლით დიდ ეროვნულ და ხალხთა მეგობრობის იდეის ამსახველ საქმეს აკეთებდნენ...

ამ დაახლოების პირველ მერცხლებად გვევლინებიან მწერლები და მსახიობები: სუნდუკიანცი, ოვანეს თუმანიანი, შირაგუნაძე, ისაკიანი, ბაშინჯადიანი... ქართველებიდან — აკაკი წერეთელი ვასო აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე, დიმ. ბაქრაძე და სხვ.

აკაკი წერეთელი გაბრიელ სუნდუკიანცს თავის „უფროს ძმას“ უწოდებს. აკაკი წერეთელმა სამი ლექსი უძღვნა სომეხთა დრამატურგს. აი, ერთი მათგანი:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შეილი ერთი მიწა-წყლის,
ერთი მიღამოს და ერთი მთისა!

აკაკიმ და დიმი და ჭეღმალია
გააღიდა შენი ბუნება,
ჩვენმა მიღამომ ყვაელოვანმა
აფიქვარადა საამოდ ვენება.

ფერადფერადი ვნებათა ღელვა
შენს ნაწერებში უხვად ჩაქსოვე,
და უკვდავება სასულიწმილო
შეისინსხლბორცე და მოიბოვე.

ამ ურიცხვ ხალხის გრძნობას და სურვილს
მეც შეუფერებ ამ ჩემს გულისთქმას,
და თავიანთა გეგმ, დიდო მოღვაწე,
როგორც უმცროსი თავის უფროს ძმას!

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შეილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიღამოსი და ერთი მთისა.

ქართველ და სომეხთა მოწინავე მწერლებს შორის თბილისში მტკიცე კავშირი არსებობდა. ამას ხელს უწყობდა თბილისელი სომეხების მიერ ქართული ენის მშვენიერი ცოდნა. გაბრიელ სუნდუკიანცმა თავისი პიესა „პეპო“ თვითონვე გადათარგმნა ქართულად. მისი პიესები: „პეპო“, დაქვეული ოჯახი“, „ხათაბალა“ და სხვ. პარალელურად ქართულადაც იდგმებოდა. ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანე-

ბული იყო ამ პიესების შინაარსით. მას არ გამოუტოვებია „პეპოს“ სხვა ქართული წარმოდგენა. ილიამ ეს მრავალჯერა და დაბეჭდა თავის ჟურნალ „ივერიაში“ და გაზეთში კი მალალი შეფასება მისცა სომეხი დრამატურგის დიდ ნიჭს. მის შემოქმედებას. მან გულწრფელად გამოხატა ქართველი მკითხველის გრძნობა, რომელსაც ეს უკანასკნელი განიცდიდა სუნდუკიანცის კომედიებით. ამასთანავე ილია არ ივიწყებდა და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ გაბრიელ სუნდუკიანცს დიდი დამსახურება მიუძღვის, როგორც სომხური, ისე ქართული თეატრალური ხელოვნებისა და დრამატურგიის განვითარების საქმეში. ქართველი მკითხველიც მოძმე ერის დრამატურგისადმი ღრმა სიყვარულით იყო გამსჭვალული.

სუნდუკიანცის პიესებს შესანიშნავად თამაშობდნენ ქართული თეატრის კორიფეები: — ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, მაკო საფაროვა—აბაშიძისა, ნატო გაბუნია.

„პეპო“ ქართულად პირველად დაიდგა 1875 წელს, როცა ჩვენი არტისტები ჯერ კიდევ „სცენას“ მოყვარებულნი და მუდმივი დასი არ იყო ჩამოყალიბებული... „პეპოში“ როლები ასე იყო განაწილებული: კოტე ყიფიანი თამაშობდა გიქოს, პოეტი იოსებ ბაქრაძე — კაკულას, გორელი პედაგოგი იასონ ნათაძე — ზიმზიმოვს, მის მეუღლე ეფემიას — ოლა ყაზბეგისა, ხოლო პეპოს როლის შემსრულებელი ქართველებში რომ არ აღმოჩნდა, სომხის დასიდან მოიწვიეს. ეს იყო გეორჯ ჩიმიშკიანი, რომელიც ქართულადაც ჩინებულად ლაპარაკობდა.

სერგეი მესხმა აღფრთოვანებული წერილი უძღვნა „პეპოს“ პირველ დადგმას და ჩიმიშკიანი პიესის მთავარ გმირის როლში გულთბილად მოიხსენია, ხაზი გაუსვა მის სწორ ქართულ მეტყველებას...

აქვე უნდა ითქვას, რომ რაფიელ ერისთავი, რომელიც პეპოს ერთ-ერთი თანარედაქტორთაგანი იყო, სცენიდან.

როგორც მსახიობი, მწვენიერად კითხულობდა პეპოს ცნობილ მონოლოგს, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „წადი პეპო, მიწა გალოკე, შენ რა ღირსი ხარ ადამიანთა შორის ირიცხებოდე“ და სხვ.

70-იან წლებში საქველმოქმედო მიზნით ხშირად იმართებოდა ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები. ამ საღამოებში მონაწილეობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, დავით ერისთავი და სხვები. ხოლო მუსიკალურ განყოფილებაში ვიოლინოზე დამკვრელნი თბილისელი ვირტუოზები: დანდუროვი, აზგარიანი და სხვ. ასეთი საღამოები ჯერ ერთი ახლოებდა კულტურულად ორი მოძვე ერის ადამიანებს და მეორეც — კარგ შემოსავალს იძლეოდა, რომელიც ხმარდებოდა ან ღარიბ სტუდენტებს, ან კიდევ წერა-კითხვის უკოდინარობის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციებს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ლიტერატორები, მიუხედავად ადმინისტრაციის ჭანგებისა, ახერხებდნენ ამისთანა ლეგალურ საღამოებზე, ერთმანეთის შეხვედრას, დამეგობრებას, სიყვარულის გრძნობის უშუალოდ გამოქვეყნებას და ერთმანეთის დახმარებას. მე ვთქვი „დახმარება!“ დიახ! როცა სომხების გამოჩენილი მსახიობი ადამიანი ავად შეიქმნა, ქართველმა არტისტებმა 1891 წელს, მის სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეს და მთელი შემოსავალი მას გადასცეს.

1874 წელს ქუთაისში არსებულა სომეხ-ქართველ სცენის მოყვარეთა წრე, აქ ყოფილან: ვასო აბაშიძე, ანტ. ლორთქიფანიძე, ეფრო კლდიაშვილი, ელენე ყიფიანი, ვინმე ქურციკიძე სპეპოს როლის შემსრულებელი. ქართულად მოლაპარაკე ქუთაისელ სომხებიდან ყოფილან: ბარხუდარიანი, ტერსტეპანოვი, არამიანცი და სხვ. ამ წრეების შესახებ ძალიან კარგი წერილი აქვს 1874 წ. „დროებაში“ აკაკი წერეთელს შემდეგი

სათაურით: „ლუკმა გაგარდეს, ჯამში ჩავარდეს“; როცა ვორუჩეკოვეს თეატრის შემდეგ აკაკიმ პეტრე უმიკაშვილი წარმოდგენა გამართა ქუთაისში, მან მსახიობად ქართულად მოლაპარაკე სომხებიც გამოიყვანა სცენაზე. აკაკი სწერს თავის მოგონებაში: „ქართველი ქალი რომ ვერავენი გამოვიდა სცენაზე, მაშინ სომხის ქალი ნინო ნახაროვის ასული, იშვიროვის მეუღლე გამოვიყვანეთ სცენაზე. ეს წრე ქუთაისშიაც სდგამდა: ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილს“, მოლიერის „სკაპენის ცულუტობას“, ბურენინის „მედეას“, ანტონოვის „მზის დაბნელებას“, „პეპოს“ და სხვ. და როცა ქართველმა არტისტებმა პროფესიული მსახიობის სახელწოდება მიიღეს, ქართულ სცენას შეემატა გედეონ მირალიანი (გედევანოვი), ვანო ტერგრიგორიანი, ფირუმიანი, მელიქიანი, ხოლო ქართულ ოპერას ლეონ ისეკვი (ოვანესიანი), ჰაიკანუშ დანელიანი, რომელნიც, ყველას გვახსოვს, რა შესანიშნავად მღეროდნენ ფალიაშვილის „დაისში“, დოლიძის „ქეთო და კოტეში“ და სხვ.

მე-20 საუკუნის პირველ ათიან წლებში მე თვითონ მინახავს საქველმოქმედო მიზნით გამართული სომხური წარმოდგენები, სადაც ქართველი არტისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. მაგ, ვასო აბაშიძეს უთამაშნია სომხურად შეგირდის როლი სუნდუკიანცის პიესაში — „სალამოს ერთი ცხვირი ხეირი“; ადამ ადამიძეს „ორთაქალის ქეიფში“ — დახლოდრის როლი, ნიკო გოცირიძეს სომხურად თარგმნილ ირეთელის „ქრისტიანეში“ მიკიტნის როლი და სხვ.

ვის არ უნახავს ჩვენს მუზეუმებში დაცული სურათი არტისტების ერთი ჯგუფისა, სადაც ერთად არიან გადაღებული: ლადო მესხიშვილი, აბელიანი, კ. ყიფიანი, ზარიფიანი, ვასო აბაშიძე და არაქსიანი.

მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ ქართველ და სომეხ ხელოვნების მოღვაწეებს, მაშინ სხვა ასპარეზი არ იყო — კარგად ესმოდათ დამძობილების იდეა და



ამას ისინი დიდის გულწრფელობით და სიყვარულით მისდევდნენ — პიესების შენაცვლებით ზდებოდა ეს თუ პირადი მეგობრობით.

განა ჯერ კიდევ საიათნოვა ერთნაირის ემოსციით არ უმღეროდა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანულ ხალხებს: მისი ერთი ლექსი სამ-ოთხ ენაზეა დაწერილი. აი, ნიმუში:

ეს რა მომივიდა, ბიბინი ქარდემ,
 ვთ ბაინი ბერლუ ტანენ ღუსარაწ,
 თავი წავაგებინე ახ შეშ მართემ
 დღევანა გეზარამ ტანენ ღუსარაწ!
 ბელბული ვარ, გარს გეფარა ალალი,
 ბიბინჯი გარდემ ჰური ზადა ჯალალი,
 თურქიშემამ ჯგავირი, ქალალი
 ბარ ენდუ ჰამარ იმ ნანენ ღუსარაწ.
 ნიხადე ვტირი, ვიძახი ვიში,
 ჩხადა ჯადადენ ნამილეთ ქიში,
 ბულარედ ჭიბან ჩქლემ ჩქმას ჰარ ქიში,
 ოჩოვ-ჩილი სირეკანენ ღუსარაწ.
 მოლი, საიათნოვა, შენ ცოდვილი ბარ,
 ყტრბანემ ბიბირემ იმ დარენ მაწადარ,
 ბუ მინა ყაბულამ, ჰეი ფარეარ დიგარ.
 ჰუქის ჩაპანის დრახტი ჯანენ ღუსარაწ!..
 აქ საინტერესო ის კი არ არის, რა

სწერია ამ ლექსში, საინტერესოა თვითონ ის ფაქტი, რომ საიათნოვამ ერთ ლექსში სამი ერის ენა იხმარა — ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და ამით თითქოს ხაზი გაუსვა იმას, რომ სამივე ძმა ერთი ოჯახის წევრები არიანო. თანამედროვე პოეზიიდან 1953 წელს მე დავწერე ლექსი, რომელსაც ვუძღვნი ჩვენი კარის მეზობლებს:

თბილისი, ბაქო და ერევანი! —
 რა კარგი თქმაა, რა დიდებული,
 ეს ერთი ვაზის სამი მტვეანი,
 მშურ მარანშია დაკიდებული.

ჯერ კიდევ ძველად საქართველოში როცა მეფობდა ისარ-შვილდობა, როლი ვისხედით მყუდროდ ჩეროში, ვიბრძოდით, ვპეჭდით: „გვიანდა მშვიდობა“!

საიათნოვა, აშულთა მამა,
 ჩანეს რომ უკრავდა მხენდ, არხენიანდ,
 ისიც კი მტრისკენ გაიქრა სიმაღ,
 სიმღერით ქელი მოახრევიანა.

ჩვენს ალალ ვლღებს, ჩვენს მავარ ძარღვებს
 საფუძელად ძმობის სიმართლე უძვეს.
 არ დაირღვევა, არ დაირღვევა
 სტალინის სიბრძნით ნაშენი ფუჭე.

და თუ გაბედავს ვინმე აფთარს,
 რომ ხის ფოთოლიც კი შეაბრუნოს,
 ჩვენი ლაშქარი მუდამ მზადსაა
 უნასთა ბუღეს მოუღოს ბოლო.

თბილისი, ბაქო და ერევანი! —
 რა კარგი თქმაა, რა დიდებული,
 ეს ერთი ვაზის სამი მტვეანი,
 მშურ მარანშია დაკიდებული.

საიათნოვა ხალხის წიაღიდან ამო-
 ტყორცნილი მგოსანია, ხელოსანი, ფეი-
 ქარი, რომელმაც თავისი ნიქის წყალო-
 ბით მეფე ერეკლეს კარამდე მიადწია:
 მაინც ბოლომდე გლუხად დარჩა, მომ-
 ღერლად, დიდება არ იზიდავდა:

დამეხსენი, აეკაოზა არ მინდა,
 ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა,
 ავი სიტყვის შენთან მშობა არ მინდა,
 ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
 მე გლუხი ვარ, თავადობა არ მინდა!

სომეხ მსახიობთა ბენეფისები, მწე-
 რალთა იუბილეები და სხვა კალენდა-
 რული მნიშვნელოვანი თარიღები ხში-
 რად ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქ-
 ცოდა. გამომჩენილი სომეხი მსახიო-
 ბის—ადამიანის წარმოდგენებზე ქართ-
 ველებიც დაიარებოდნენ და ქართველი
 არტისტებისათვის სომხურ თეატრში
 ყოველთვის უფასო ადგილები იყო
 გადადებული. „ივერია“ სწერდა: „ჩვენ
 არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის სა-
 სიამოვნო ფაქტი, რომ პატრიცემულმა
 და თავაზიანმა არტისტმა ადამიანმა
 ჩვენს ქართველ არტისტებს უსასყიდ-
 ლოდ დაუთმო წარმოდგენებზე ადგი-
 ლები“ („ივერია“, 1888, № 32). ამ
 გასტროლების რეცენზენტად გაზეთმა
 „ივერია“ გამოჰყო ვალერიან გუნია
 (ვალიკო — ია).

ერთ-ერთ რეცენზიაში ვ. გუნია მი-
 მართავდა ქართველ ახალგაზრდა მსა-
 ხიობებს: „მიდით, და ისწავლეთ ადა-
 მიანისაგან როგორ უნდა სცენაზე თამა-
 შიო“. როცა პირველად ქართულ სცე-
 ნაზე ჰამლეტი დაიდგა, ადამიანიც და-
 ესწრო. იგი დიდად აღფრთოვანებული
 იყო ლადო მესხიშვილის ჰამლეტის
 თამაშით...

ცნობილმა მხატვარმა გეორგ ბაშინ-
 ჯალიანმა ვასო აბაშიძის ერთ ბენეფისზე
 ცოცხალი სურათები დადგა ილია ჭავ-

კავაძის „განდგეილიდან“ და „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან“. ქართული საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ თავფურცელი იმავე გიორგი ბაშინჯალიანის მიერ არის გაფორმებული, სადაც საქართველოს პეიზაჟი გამოცდილი ოსტატის ყალმით არის მოხაზული.

თბილისში მოღვაწეობდნენ საიათნოვო, სუნდუკიანცი, ლაზაროს აღიანი, არწრუნი, რაფი, ბაკიხანოვი, ჯივანი, მირზა შაფი, პროშინი, მურაცანი, ნაზარიანი და ნარდოსი, შესანიშნავი მხატვარი ა. ბაშინოვი, წატურიანი, აკოღიანი, ოვ. თუმანიანი, — აქ მოღვაწეობდნენ და აქვე აღესრულენ...

სპარს-თურქმენების თარემის და ცარიზმის ბატონობის შეზღუდვებში ჩვენი ხალხები ინარჩუნებდნენ ერთმანეთისადმი სიყვარულს და პატივისცემას. მოკმე ერების მოწინავე ინტელიგენცია ხშირად გამოდიოდა სომეხთა და ქართველთა შორის ეროვნული მეგობრობის მედროშეთ. ეს მაღალი საკაცობრიო მისწრაფებები განსაკუთრებით მკაფიოდ მტკიცდებოდა მხატვრული ლიტერატურისა და კულტურის საქმიანობაში.

ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლები იყვნენ თავიანთი ხალხების გულწრფელი სურვილებისა და სპეტქი იდეების გამომსახველნი, თავი რომ დავანებოთ ძალიან შორეულ მაგალითებს, ამ ურთიერთობის გასათვალისწინებლად შეიძლება დავასახელოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან თბილისში, რაც მაშინ ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ სამგლოვიარო დღედ გადაიქცა. ამ მგლოვიარობას სომეხებიც დაესწრნენ და 24 წლის ჰაბუკი ოვანეს თუმანიანი დიდი გულწრფელობით გამოეხმაურა ამ ამბავს. მან შესანიშნავი ლექსი წაიკითხა დიდუბის პანთეონში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელნი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი განსაკუთრებული გულისყურით ადევნებ-

დნენ თვალს სომეხთის კულტურისა და ლიტერატურის განვითარებას. მდრდად აფასებდნენ მათ მოწინავე მხატვრებს. უსაზღვროა ილია ჭავჭავაძის პატივისცემა სომეხი ხალხისადმი, მისი წარსულისა და აწმყოსადმი. ილია ჭავჭავაძე სომეხ ხალხს უწოდებდა ნიჭიერ ხალხს, რომელმაც მრავალი რამ საუკეთესო შესძინა საკაცობრიო კულტურას. იგი ებრძოდა იმათ, რომელნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უწყობდნენ ამ ორ მეზობელ ხალხში შუღლისა და მტრობის დანერგვას, ილია და მისი თანამედროვენი ებრძოდნენ „გოლოს კავკასას“, „სევერნი კურიერს“, „ჩერნომორსკი ვესტნიკს“, — კატოვს, პალმს, ველიჩკოს, ხატისოვს და სხვა შოვინისტებს, რომელნიც სომეხ-ქართველთა ურთიერთობის გამწვავებას ცდილობდნენ...

1916 წელს ოვანეს თუმანიანმა შესანიშნავი წერილი გაუგზავნა პოეტ ვალერი ბრიუსოვს, რომელმაც დიდი ჯაფა გასწია რუსულ ენაზე სომეხთა ანთოლოგიის შედგენის საქმეში. თუმანიანი სწერდა რუს პოეტს:

„ღღევანდლამდე რუსეთიდან იგზავნებოდნენ ჩვენთან პოლიციელები — ქურდებისა და არამზადების დასაჭერად. ისინი ჩამოდიოდნენ და ნახულობდნენ აქ, ქურდებს და ავარებს.

ჩვენთან იგზავნებოდნენ ბრალმძებლები — მკვლელების და ბოროტმოქმედთა გამოსავლინებლად და გასასამართლებლად. ისინი ჩამოდიოდნენ და პოულობდნენ აქ — ავაზაკებსა და ბოროტმოქმედებს.

გვიგზავნიდნენ ყანდარმებს რევოლუციონერების თვალის სადევნებლად და გასასამართლებლად, ისინი ჩამოდიოდნენ და პოულობდნენ აქ — მკვლელებს და ბოროტმოქმედებს.

და ასე: ხმა მოედო მთელ რუსეთს, რომ კავკასიაში არიან ყაჩაღები, ქურდები, მკვლელები, ბოროტ-მოქმედნი და... რევოლუციონერებიც და არასოდეს რუსეთს კავკასიაში არ გამოუგზავნია პოეტები და აი, პირველად ჩა-

მოდის ჩვენთან რუსი პოეტი, პირველად ჩვენს პოეზიას ეზიარებიან გამოჩენილი რუსი პოეტები და ბევრ კარგ რამეს ნახულობენ აქ. და ახლა მთელ რუსეთში დაიარსება ხმა, რომ კავკასიაში არის პოეზია და არიან პოეტებიც“.

სომეხთა პოეტის — თუმანიანის ეს შესანიშნავი სიტყვები, მიწერილი ბრიუსოვისადმი, შეიძლება საქართველოს მიმართაც ითქვას...

მეორე დიდი სომეხი პოეტი ავეტიქ ისაკიანი თავისი პოემის „აბულ ალა მარის“ წინათქმაში ამბობს: „ჩემი პოემა დაიწერა გენიალური ქართველი პოეტის — ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ზეგავლენით, ბარათაშვილის ლექსი გახდა ჩემი შემოქმედების ბრწყინვალე წყაროდ“.

ქართველი და სომეხი ხალხების მთელი ცხოვრება ერთმანეთისადმი მზიური სიყვარულის იშვიათი მაგალითია. როგორც ერთს, ისე მეორეს, გარდუვლად სწამთ, რომ ერთმანეთისადმი მტკიცე მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია მშვიდობიანი არსებობა და მოგერიება იმ გარეშე მტერთა ურდოებისა, რომელნიც თავს გვესხმოდნენ და გვარბევდნენ.

ილია ჭავჭავაძეს არაერთხელ აღუნიშნავს სომხეთის როლი და მნიშვნელობა საქართველოსათვის. „ჩვენ კარგად ვიცით, — სწერდა ილია, — წინანდელ საქართველოს უძღურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა კი პირქვე დაემხო — ეს ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. საქართველოს რომ თათრობა მოესგოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოვლახა. ამიტომაც ჩვენი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ზოგავდნენ რომ ესველნათ სომხეთისათვის როცა კი გაუჭირდებოდათ“.

ილია ჭავჭავაძე იყო ერთი იმ მოწინავე ქართველთაგანი, რომელსაც კარგად ესმოდა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის მნიშვნელობა. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული მათი მეგობრობის როლი ორივე ქვეყნის პოლიტი-

კურ, ეკონომიურ და კულტურული ცხოვრების აყვავების საქმეში. აქაკი წერეთელიც სხვა ჩვენ გამოჩენილ მოღვაწეებზე.

დაე სუყველამ იმდენიეროს თვის სამშობლოში, თავის მხარეში, რომ მომე იყონ ერთი-მეორის და არა მონა, ყმა და ფარეში. —

ეს ლექსი აკაკისაა. აკაკის სწამდა, რომ თუ ეს ერთობა დაიარღვევა, მაშინ მტერი გაიზარებს —

მეც წამბდენ, შენც წახდები, გააცივებთ მხოლოდ მტერსა, ჩვენ ვიყვირებთ: „ვიღ-ღელას“, ის კი: „მრავალ-კამიერსა“.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ, მეფის მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიერა პატარა ერების დევნა და მათი ერთმანეთთან გადაკიდება. და როცა ვორონცოვ-დაშკოვის ანკესით გამოწვეული სომეხ-თათართა შეტაკება დაიწყო, ქართველმა პოეტმა აკაკიმ, როგორც ღრმა ჰუმანისტური იდეებით აღჭურვილმა, ხმა აღიმალა და შესძახა:

ღვთის მადლსა... რა ღროს ევ არი
მამა-მამაზე ლესავს ხანჯალსა.
იღუპებიან ორივე,
არც ღონეს ზოგვენ, არც ძალსა.
გაავდით ხმალი, ხანჯალი,
ხელი მიეციე ძმურათა,
ნუ შესჭერტხხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა.
ბედნიერება ამ ჰვეყნად
შერთებული შრომა...
რა ღროს მტრობაა ძმებისა
და რა ღროს განზე დგომა.
შერთოდით, ძმებო, შერთოდით,
ხელიხელს მიეციე ძმურადა,
და მტერს — გარეშეს — დაუხვდეთ
თამამად, ვაკაკურადა...

ხოლო სომხის ინტელიგენციიდან ოვანეს თუმანიანი ერთი პირველი და ყველაზე გამოჩენილი ფიგურა იყო, რომელიც სომეხ-თათართა შუა ჩადგა და მეგობრობისაკენ მოუხმობდა მათ. იგი დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და თავისი მგზნებარე სიტყვებით ორივე ხალხში მეგობრობის მარცვალს აღვივებდა.

ილია ქავეჭავაძეს თავის მხატვრულ ნაწარმოებში, — რომელსაც „დედა და შვილი“ ეწოდება, — ერთი მეტად საინტერესო ადგილი აქვს:

თავისუფლებაჲ, შენ ხარ კაცთა ნათესაუ-
დარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა
საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიპართლე ამა
ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზარდელი ღვთაებამდე კაცთ
ბუნებისა.

და ეს თავისუფლების შესანიშნავი პიშინი ბრძოლისაკენ მოწოდებით ქლერს დედის მონოლოგში:

ხალხი ახეიარადა, ხალხი აღსდგა, ხალხი
მოქმედობს.
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვიდინა ერას
ფიჭრია ფიჭრობს,
და ეს ფიჭრია მთელ კავკასის თავისუფ-
ლება...

ყურადღება მიაქციეთ ამ აბზაცს: „და ეს ფიჭრია მთელ კავკასის თავისუფლება. კავკასის თავისუფლება — აი, რა სწაღდა ილია ქავეჭავაძეს. ილიას წარმოდგენაში საქართველოს თავისუფლება გადაჯავჭვეულია მთელ კავკასიის თავისუფლებასთან. აქა სიხანს ქართველი და სომეხი ერის მრავალსაუკუნოვანი განუწყვეტელი ბრძოლა უცხოური დამპყრობლების წინააღმდეგ, ინტერნაციონალური სულის აქტიური შემოქმედების შესანარჩუნებლად.

ილია ქავეჭავაძე წერდა: „სომეხი ხალხის სიკეთე, ღირსება, ჩვენთვის სანატრელია და არა საშურელი. შურის ისა სწყინს და გულს უკლავს, სხვას ჩემზე მეტი რათა აქვსო, ნატვრა კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივალწიოო, შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა კი შეჭხარის, შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა კი — ეტრფის“.

ღიან, შური საშინელი რამ ყოფილა. ჯერ კიდევ საბა განმარტავდა თავის ლექსიკონში: „შური არს მწუხარებია, სხვისა კეთილისა ზედა“.

ორივე ხალხის ცხოვრებაში იყო ერ-

თი ავი ხანა, დაშნაკებისა და მენშევიკების ბატონობის ხანა და იწყეს ჩვენი, ხალხის ერთმანეთთან გადაკიდება, შურისა და შულის ჩამოგდება. მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს მათი მისწრაფება, ხალხის ღრმა ფენებში და მოწინავე ინტელიგენციაში ვერ შეარყიეს ის კეთილშობილური და საკაცობრიო გრძობები, რაც მრავალი საუკუნის მანძილზე პირსა თუ ლხინში ერთად ყოფნის შედეგად იყო გამომუშავებული.

გიორგი წერეთელი, ეს დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლებში სწერდა: „ჩვენ საქართველოს ხალხს, სომეხებს და თათრებს დღეს ბაიარაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა, სამივე ერის გულისათვის ერთად ზრუნვა და ძმური კავშირი“.

ამ ძმურ კავშირს ხანდახან არღვევდა ჯანდარმერია და ორიოდ ქართველ-სომეხიც, რომელნიც შოვანისტური ხანაშით იყვნენ გამობრუტულნი, თორემ ამიერკავკასიის ხალხებს რა ჰქონდათ ერთმანეთში გასაყოფი.

თავის დროზე გაზეთი „ივერია“ დიდი შორსმჭერეტელობით სწერდა: „სომეხეთის დაცემის შემდეგ, მთელი შვიდი საუკუნე გავუძეღოთ ათასჯერ ჩვენზე ძლიერ მტერს, მაგრამ მთელი ჩვენი ისტორიული დღეი მოვლალეთ და შევალეთ სომეხეთის კარის დაკეტვას ვერა გავაწყეთ-რა. ღონეშინდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდი რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართავენ პირი ჰქნა და მიიბრუნა. განა ჩვენთვის კი სანატრელია, — განაგრძობს ილია, — ესეთი დაქსაქსულობა სომეხებისა? ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი ყველამ იქ, საიდანაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან“.

ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, რაც ეს გულთმისნური სიტყვები დაიწერა და სომეხეთს ერის ერთად თავმოყრა მხოლოდ ჩვენ დროს საბჭო-



თა ხელისუფლების დროს, გახდა შესაძლებელი. კიდევ უფრო განმტკიცდა, სომხებსა და ქართველებს შორის კავშირი. სოციალისტური სახელმწიფოებრივი სისტემა გადაიქცა ერთა შორის მეგობრული კავშირის ურყევ დედად... მოხდა ის, რასაც შენატროდნენ ჩვენი საუკეთესო მწერლები და მოღვაწენი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი ორი ერის ხალხისათვის მისაწვდომი გამხდარიყო ქართველ და სომეხ მწერალთა საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთა მასობრივი თარგმნა და გამოცემა.

მეგობრობა ქართველ და სომეხ ხალხთა შორის მტკიცდება და დღეგრძელობს.

დღეს გრიგოლ არწრუნი ვეღარ მისცემდა თავის ერთ მოწინავე სტატიას ამისთანა სათაურს: „მეზობელი მეზობელს არ იცნობს“.

დღეს სიამაყის გრძნობით შეიძლება თამამად ითქვას, რომ „მეზობელი მეზობელს იცნობს“. მაშ დეე, ორ ერთა შორის სუფევდეს სიყვარული და ჰყვოდეს იგი. მტკიცე იყოს ეს ერთობა და ჩვენს მშვიდობას ედგეს — შტო ზეთისხილისა და თავთავთა გვირგვინი. ახლა მთელი ხმით გაისმის სტრიქონები ოვანეს თუმანიანის ლექსისა, რომელიც ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა „საქართველოს პოეტებს“ უძღვნა ძმობისა და მეგობრობის აღსანიშნავად:

არა, რუსთველის ოქროს სიტყვები
როდი ხმაურობს მკლედ და დუნეთა,
მის ამაჲ ანრდილს დღეს თქვენც მიხუცებით,
ვერა გძლევეთ ტანჯვა საუკუნეთა.

ახალმა ხელმა ცამდე აღმართა
ძველი ლოცვები, ხანგადასულს
და საქართველომ კვლავ გახმობს
მშვენიერება უკვდავი სულის.

თანამომენნი! საღამო თქვენდა
პოეზიაში წვა გერგოთ ზედრით
და არარატმა როგორც ლეგენდა
გული გაიბო თქვენს შესახვედრად.

შემოღამების მიმჭრალი შუჭი
დე, შეუერთდეს ჯანსაღ განთიადს
ინითოს ძმათა ორი პატრუქი
გზა გუნათოს მომავალს დიადს.

დე, ჩვენი ლექსის მძვრ ცისარტყელამ
მოსპოს ვერაგთა სისინი მტრული;
დე, ჩვენი ლექსი მოედოს ყველას
ბედნიერებით ვადაზღაპრული.

კავკასიონის ჭაღარა ერებს
ჩვენ მოვეწოდებთ საერთო ღმინზე.
ჩემი ქაშანიაც ტკბილად იმღერებს
თქვენი მგონების შემოძახილზე.

დავრწნო, ჭურქმნი, ძმად და მეგობრად,
შევემნათ ოჯახი ამხანაგური
და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად.
ყველამ მივზიდეთ თითო ავური.

დღეს ერი სისხლში თემც იწურება,
ეს დაგერჩეს მაინც ძველ გაკეთილად:
რომ ერთი ერის უბედურება
ვერ გადაიქცევა სხვისთვის კეთილად!

მაშ რუსთველურად დაეკრათ ზანგს ზელი,
თავში მოვემცეთ მსოფლიოს კბეს,
ვიყვნეთ გულუხენი, გავამდეს სახელი
ვინც დარღმინდობს, ვერ იღარბებს.

ვის შეუძლია რომ გადაგეთელოს,
ჩვენს სულში ცეცხლი არ იწვის განა?
დე, აგრძნოს ყველამ რომ საქართველო
არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა.

არა, რუსთველის, ოქროს სიტყვები
როდი ხმაურობს მკლედ და დუნეთა,
მის ამაჲ ანრდილს დღეს ჩვენც მიხუცებით,
ვერა გძლევეთ ტანჯვა საუკუნეთა.

ლინგვა ბენაშვილი

შენიშვნები ქართულ რომანზე

ქართულ პროზაში რომანის ელემენტები შორეულ წარსულშია საძიებელი. სიტყვიერი ხელოვნების ამ ფორმამ თავისი გამოხატულება პიოტა მეთუ სატყუნის პროზაულ ძეგლში, — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ხოლო მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებში ჩვენ ვხვდებით რომანის კლასიკურ ფორმებს. გარკვეული ისტორიული ბედდღეობათობის გამო შემდგომ საუკუნეებში სრულიად შენერდა ქართული რომანის განვითარება. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ქართული რომანის თავისებური რენესანსი.

როგორც ცნობილია, რომანის განვითარება ორგანულად არის დაკავშირებული რეალიზმთან და მისი მაგისტრალური გზა ბუნებრივად მიყვება რეალიზმს. რომანისტიკის მხატვრული შემოქმედებითი მეთოდი, მისი ესთეტიკური მსოფლმხედველობა ყოველთვის ებრუნებოდა რეალისტურ მიმართულებას ლიტერატურაში (ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ვერც სიმპოლოზშია და ვერც ფურტურისშია ვერ შექმნა რომანი, ორივე ამ ლიტერატურული სკოლის ანტირეალისტურმა ხასიათმა სამშოლისტრები და ფურტურისტები მიიყვანა რომანის თითქმის სრულ უარყოფამდე).

ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის გამარჯვებამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ბუნებრივად გამოიწვია რომანის აღორძინება. აღექსანდრე ყაზბეგმა და გიორგი წერეთელმა რეალიზმზე დაყრდნობით შეძლეს ამ დიდი ისტორიული საქმის გაკეთება: პირველმა ფსიქოლოგიური რომანი აქცია თავისი შემოქმედების ამოსავალ წერტილად, მეორემ კი სოციალური. რომანის ამ ორმა სახემ მიიღო დამთავრებული ფორმა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო ისტორიული და ფანტასტიკური რომანის ტრადიციების დამკვიდრება. შიო არაგვისპირელის „გაბაშარული გული“ და ვასილ ბარნოვის ფილოსოფიური ხასიათის ისტორიული რომანები ამის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს.

ლიტერატურათმცოდნეობაში გერ კიდევ

უნდა არ არის განსახლებული ისტორიული რომანის ცნება, მაგრამ თვით სახელწოდება მის განსახლებულ მნიშვნელობაზე მიგვითითებს. როგორც ცნობილია, გარდასულ დროთა სტრუქტურის აღდგენა და მისი შესატყვისი მხატვრული წარმოსახვა ისტორიული რომანის ავტორის წინაშე ორგვარ ამოცანას აყენებს. ერთი მხრით, მასალათა ძიება იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ მისი მხატვრული დამუშავების დროს არ დაიკარგოს ეპოქის სოციალური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, ესთეტიკური ხასიათი. მეორე მხრით, ისტორიული რომანის პრობლემატიკას ორგანული კავშირი უნდა ჰქონდეს მწერლის დროის სპირიტუალური საკითხებთან.

ვასილ ბარნოვმა თავის ისტორიულ რომანებში მოვლენის სწორედ ამ მხარეს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მას შეეძლო გაფაქცევს გარდასულ ეპოქებში. იგი შემოქმედი გონების თვლით უზერს წლებსა და საუკუნეების გრძელ მანძილზე მომხდარ ფაქტებს, იქ მოქმედ ადამიანებს, მხატვრულ სიტყვაში იქერს გარდასული ეპოქების გამოძახილს, აცოცხლებს წინაპართა ზნე-მევეულებას, ხასიათებს, ტრადიციებს. ამ გზით ვასილ ბარნოვი მტვერს ავლის წარსულს და ფანტაზიის ცხოველმყოფელი ძალით გამოხატავს ეპოქის სულს.

მაგრამ შევდგომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ისტორიული რომანის ავტორი ისე აღწერს ისტორიულ მოვლენებსა და ადამიანებს, როგორც ეპოქის გაქვავებულ ფორმას. ხელოვანი ამგვარი მისვლა გარდასულ დროსთან იქნებოდა პასიური აღებულება ეპოქისა, რომელიც ისტორიულ რომანს უქარავს მეთვლებულ მხატვრული შემოქმედების ძალას. ისტორიული მოვლენებისა და ადამიანების მხატვრული წარმოსახვის დროს მწერალი უნდა ედილობდეს იმ მომენტების წინა პლანზე წამოყვებას, რომელსაც ორგანული კავშირი აქვს მწერლის თანამედროვეობასთან. მაგრამ მწერლის ასეთი დამოკიდებულება გარდასულ დროსთან და ამ დროში მოქმედ ადამიანებთან სრულიადაც არ უარყოფს ისტორიული რომანის მეორე დამახასიათებელ მხარეს, — ეს გახლავთ დროის კოლორიტის, ეპოქის სტრუქტურისა და ისტორიული



სიმატლის დაცვის პრინციპი რომანში. კემ-
მარტ ისტორიულ რომანში ტიპები უნდა
ცხოვრობდნენ კონკრეტულ-ისტორიულ პირო-
ბებში, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება ეპო-
ქის ყალბი ანარქული რომანში. ამრიგად, ისტო-
რიულ რომანში აღწერილი გმირის მოქმედება
უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ეპოქის
ხასიათს.

ვასილ ბარნოვის „მიმჭრალი შარავანდელი“
და „ტრფობა წამებული“ კლასიკური ისტორი-
ული რომანების ბრწყინვალე ნიმუშებია.
გ. ბარნოვიმ მხოვე საუკუნის განთიადზე უახ-
ლეს ქართულ ლიტერატურაში არა მარტო აღად-
გინა ქართული ისტორიული რომანის ეროვ-
ნული ტრადიციები, არამედ მოგვცა რომანის
ახალი ფორმა, რომელიც საბჭოთა ეპოქის რომ-
ანისტების ერთმა ნაწილმა შემოქმედებითად
გამოიყენა.



რევოლუციის ეპიკურმა ხასიათმა, სოციალ-
პოლიტიკურმა ვარდამქმნებმა, ხალხთა ფსიქო-
ლოგიაში მომხდარმა ცვლილებებმა ვადამწვევ-
ტი გადენა მოახდინეს ჩვენი ერის სულიერ
ცხოვრებაზე. მხატვრული ლიტერატურა სრულ-
ლად ბუნებრივად იქცა ამ ცვლილებების სვის-
მოგრაფად. ლიტერატურის თითქმის ყველა
ვანმა დაიწყო ინტენსიური განვითარება,
მაგრამ ყველაზე უფრო მძლავრად რომანმა
გამალა ფრთები. 1924-25 წ. წ. ზედინზედ გამო-
ვიდა შალვა დადიანის „გიორგი რუსი“, კონს-
ტანტინე ვამსაპურდიას „დიონისოს ლიშია“,
მიხეილ ჯავახიშვილის „კვაკი კვაკანტირაძე“
და „ჯაყოს ხიზნები“, დემნა შენგელაიას „სანა-
ვარდო“ და სხვ.

ქართული რომანების ამგვარმა სიღრმემ
მოთხვეულ საზოგადოებას მისცა განსჯის, და-
ფიქრებისა და გარკვეული დასკვნების გამოტა-
ნის საშუალება. ეპოქის აქტუალურმა პრობლე-
მატიკამ, რომელმაც ფრიად მკვეთრი გამოსა-
ხელება პირობა დასახელებულ რომანებში, გამო-
იწვია სალიტერატურო კრიტიკისა და საზოგა-
დოებრივი აზრის გამოცოცხლება.

შალვა დადიანის ისტორიულმა რომანმა
„გიორგი რუსმა“ უკან მიგვახებდა და ქართველი
ხალხის ისტორიაში გვიჩვენა ერთ-ერთი უბრწყ-
ინაესი დრო, ბრძოლებით, წინააღმდეგობე-
ბითა და მიღწევებით აღსავსე ეპოქა, რომელ-
მაც წარმოშვა შოთა რუსთაველი. რომანის
სპეციფიკური ხასიათის მიხედვით შ. დადიანის
„გიორგი რუსი“ წარმოადგენს ქართული ის-
ტორიული რომანის განვითარებულ ფორმას.
მისი ფაბულა მოიცავს არა ცალკეულ, განკერ-
ძობული ადამიანების ურთიერთობას, არამედ
მთელ სოციალური ფენების, გვარებისა და

ოჯახების მხატვრულ ისტორიას. ნაწარმოებს
სიუჟეტი ლოგიკურად მიჰყვება არა მხოლოდ
სასიუჟეტო ამბების თხრობას, არამედ კმ
პროცესებს, რიმილებიც განაგებდნენ ქართულ
საზოგადოებრივ ცხოვრებას მეთორმეტე საუ-
კუნედ.

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ იყო
საბჭოთა ეპოქის პირველი ქართული სოცია-
ლური რომანი უახლესი პერიოდის ლიტერატუ-
რაში. ავტორმა ამ რომანში დასვა ერთი
დიდი პრობლემა, რომელსაც ჰქონდა არა
მარტო სოციალური, არამედ ნაციონალური
მნიშვნელობა. ეს პრობლემა ქართული საზო-
გადოების წინაშე შემდგე კითხვას აყენებდა:
რა დემარტა თავადანსაწერობას რევოლუციის
შემდგე, რა ძალამ შეცვალა იგი და ვინ იქცა
ერთგული ცხოვრების ბურჯად და მესვეუ-
რად?

„ჯაყოს ხიზნების“ გარშემო თავის დროზე
აღეხილმა დავამ შემდგარი მიმართლება მიი-
ლო. დისკუსიის მონაწილეთა დიდი ნაწილი ავ-
ტორს ბრალად დებდა ყალბ ტენდენციურობას,
მიყრძობებას, არაბუალისტური ხასიათების წარ-
მოსახვას. ამ კრიტიკოსთა აზრით, თეიმურაზ
ხევისთავი თითქმის ყალბი, გამოგონილი, ახი-
რებული ფანტაზიის შედეგი იყო და მას არა-
ეთიარო საფუძველი არა ჰქონდა ჩვენს ეროვ-
ნულ ცხოვრებაში.

სინამდვილეში კი „ჯაყოს ხიზნების“ გმირთა
წარმომშობას ღრმა ისტორიული საფუძველი
აქვს. მათი ხასიათების ახსნა მოითხოვს არა
მარტო აწმყო, არამედ წარსული დროის ანა-
ლოგიურობას. წარსული დროის ანალოგიურობადან
მვდრეთით დგება ილია ქავკაიასის მიერ შექმ-
ნილი უცვლადი სახე — ლუარსაბ თათქარიძე.
არის რაღაც სულიერი ნათესაობა ლუარსაბ
თათქარიძესა და თეიმურაზ ხევისთავს შორის.
რა თქმა უნდა, მათ შორის განსხვავებულ დე-
დია, და სწორედ ეს გარემოება მივითითებს
მიხეილ ჯავახიშვილის ორიგინალობაზე, თვითმ-
ყოფობაზე, სამწერლო თემისა და დროის სხვა-
ობაზე.

ბუნებრივია, რომ „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი
გმირი თეიმურაზ ხევისთავი პორტრეტულად
მამწინდელი ეპოქის არც ერთ რეალურად აღსე-
ბულ ადამიანს არ გამოხატავს. თეიმურაზი ვა-
ცილებით უფრო რთული და კონცენტრირე-
ბული სახეა ამ დროის ადამიანთა სულიერი
ცხოვრებისა, ვიდრე რეალურად არსებული პი-
როვნება. ოდესღაც თეიმურაზის წინაპრები
ქვეყანას სმრავლდნენ და ქართლის სინებში მათი
სათარგმე მოედანი იყო. მათი მამულთა ერთი
მხრით თრიალეთის მთებს ებჯინებოდა, ხოლო
მეორეთი — კავკასიონის მალად მწვერვალებს,
მათი შარჯენა ხმალსა და ხანჯალს არ მოს-
ცილებია. გარეშე მტერს ებრძოდნენ, ყინულზე,
იძინებდნენ და დათევს ხანჯლით კლავდნენ,

ამევე დროს მეტოქეობას უწევდნენ თვით გვირგვინოსან მეფეს და არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას მიზნების პრაქტიკულად განხორციელებაში.

ამ ხალხის შთამომავალია თეიმურაზ ხევისთავი, რომელიც უღალატა შავა-პაპათა ტრადიციულ გზას და ევროპაში წავიდა ცოდნის მოსაღებად. ევროპულმა ცივილიზაციამ თეიმურაზის სულში საძუდაოდ მოსპო ხმლისა და ხანჯლის კულტი და სრულიად ახალი იდეები შეიტანა მის სულიერ ცხოვრებაში — დიდგვაროვანთა უკანასკნელი მოპოკანი „სოციალისტად“ იქცა. უმოქმედობის დემონი მუდამ თან სდევდა თეიმურაზს. უბედურებითა და მარცხით აღსავსე გზა გაიარა მან. ის დაესწრო საერთაოი ცოლის ნაყმევ ჯაიოზე დაქორწინების ცერემონიალს და პირველად თავის სიოცხლში სიკვდილი იწაბრა. ერთი შეხედვით, თითქოს დაუჯარებლად გვეჩვენება თეიმურაზ ხევისთავის ასეთი დაწინება და დაკემა. ამ ვარუშობას უფრო ამკვეთრებს თეიმურაზის საერთაოი შეუღლის საქორწინო აქტზე დასწრება. თავისთავად ეს აქტი შემადრწუნებელია, მაგრამ ფაქტის რეალრობაში ეპეის შეტანის უფლუბას არ იძლევა.

მრავალ ღირებულებათა გადაფასება მოხდა რევოლუციის შემდეგ. ძველი კერპები ნაშხვრევებად იქცა, „ტერიომიშიეთა და მამერალითა“ დრო დადგა. ახალ სოციალურ ურთიერთობაში ძველი დიდებანი გახუნდნენ. ოდესღაც გლეხკაცი ვერც კი გაიფლებდა გულში თავადის ქალის სიყვარულს, — იმხელა უფსკრული იყო მათ შორის.

ბატონ-ყმობის გადაეარდნის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრავში“ წარმოგვისახა გიორგი, რომელიც კესოს სიყვარულს მხოლოდ თავის გულს უმხელს. გიორგიმ მხოლოდ სიკვდილის დროს დედას გაანდო ეს საიდუმლოება, რადგანაც იცოდა, რომ მომავლადეს არავინ არ დასცილებდა. დაეთთ კლდიაშვილმა მეოცე საუკუნის განთიადზე კვლავ სცადა დროთავითარებაში წოდებათა შორის მომხდარი ცვლილებების აღზევლება მხატვრულ სიტყვაში. ამ მკაცრმა რეალისტმა შეინსნა, რომ თავადზნაურობამ ევროპოური გავლაცების გამო ბევრი რამ დაკარგა საერთაოი აზნაურული პატივმოყვარეობიდან.

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ქართულმა გამოჩენილმა რომანისტებმა ერთხელ კიდევ გადახედეს წოდებრივ ურთიერთობის პრობლემას. აღმოჩნდა, რომ რევოლუციამ ნაშხვრევებად აქცია წოდებრივი ქედმოდლობა. მ. ჯგავიშვილის ნაწარმოებში ზვენ ვხედავთ, რომ ევროპულად განსწავლული ყოფილი თავადი ადელად ურიგდება საერთაოი ცოლის ქორწინლ ბობილა გლეხზე. თეიმურაზ ხევისთავი, როგორც ტიპი, თამაზად დაუდგება გვერ-

დით ქართველი კლასიკოსების შიერ ამევე თემაზე შექმნილ სახეებს. **სარკინეული**

მსგავს თემატიკურ ფარგლებში მსოფლიო კონსტანტინე გამსახურდაის იმევე წელს დაბეჭდილი რომანი „ლიონისოს ღიმილი“. მისი მთავარი გმირი კონსტანტინე საეარსამიძე ასევე ქართველ თავად-აზნაურობის უკანასკნელი მოპოკანია. არსებითად იგი თათქარბიძეების სამანიშვილების შთამომავალია, თუმცა მათზე უფრო განათლებული და კულტურული, მაგრამ მაინც მომავლადეი კლასის სასიკვდილოდ განწირული ნაშვირი. საეარსამიძე ქართველი თავადზნაურობის იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც დასტოვა გავლაცებული კერა და ევროპაში გაემგზავრა ცოდნის მოსაღებად, მაგრამ ევროპაშიაც თან გაეყვავიერებული აზნაურის ფუქსავატური ფსიქოლოგია. ფუქსვეში ნიდაგამოცილი კონსტანტინე საეარსამიძე არამც თუ არ დაბრტერესებულა იმ მოძრაობით, რომელიც ევროპულ ხალხთა ცხოვრებაში ტრეზობდა, არამევე გაბეჭვა კიდევაც ნამდვილ ცხოვრებას და ზერეულ შთაბეჭდილებებით ირობის თავს. კონსტანტინე საეარსამიძე მუდამ ისეთ იდეებზე ოცნებობს, რომლებიც ადამიანის ქვენა გრძნობებთან არის დაკავშირებული. შეიდი ენა შეისწავლა და შეიდი ენაზე კითხულობდა გამოჩენილ მეცნიერთა და მწერლების შრომებს, მაგრამ მეჯოგე ტიაა შელიას სობრძნეს ვერ გასცილდა. ყოველწუთს მარტობას უნივის და ამევე დროს სძავს ადამიანთა საზოგადოება. ხელოვნური აგზნება და ავადმყოფური ილუზიები კონსტანტინე საეარსამიძის ისედაც განწირულ ცხოვრებას უაზრობად აქევეენ. ნიუშეანური თავმოყვარეობა აიძულებს მას „მიადლ“ იდეალებისაკენ სწრაფვას, მაგრამ ეს იდეალები დიდი ხანი გახუნდა და დრომ სულთათნა წაუეთხა მას.

სასტიკო, მაგრამ სამართლიანი მსაჯულია დრო. ვაკეობდებით კონსტანტინე საეარსამიძის აფორიაქებულ, უშინაარსო, უშიზო ცხოვრებას და ვხედავთ, რომ დრომ შეუბრალებლად გააშინშელა ეს გულდამშიერი აზნაური. მისი იდეალები სასაცილონი გახუნდნენ, მისი საოცნებო ყაბარდოელი ცხენი შიმშილისაგან გამავლტავდა, — და ამრიგად „დიდებულ“ წინააზრებისაგან მათი ანრდილიდა დარჩა, ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი, მაგრამ ფუქსავატი, ცხოვრებაზე გულაცრებული და ცხოვრებისაგან უარყოფილი.

თავის დროზე ქართული სალიტერატურო კრიტიკის უფრადლება დაიმსახურა დემნა შენგელაის რომანმა „სანავარდომ“. თემატიკურად ეს რომანი იმევე სფეროშია მოქეული და იმევე სოციალურ პრობლემატკას ასახავს, რომელიც ქართულ ლიტერატურაში გაინდა 1921-25 წლებში. დემნა შენგელაის მხატვრული წარმისახვის ფორმა და ინტერესი სოციალური



პრობლემტიკისადმი ისევე განსხვავდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილისაგან“, როგორც ეს უკანასკნელი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავახოს ხიზნებისგან“. ქართული სიტყვის ეს საში ოსტატი სხვადასხვა მხატვრულ საშუალებებით და ასპექტით ერთსადაიმევე ესთეტიკურ დასკვნამდე მიდიან: რომ რევოლუციამ ნაშესრევებად აქცია თვადანაწერთა უკანასკნელი შთამომავლების ისედაც ბედგანწირული ცხოვრება; რომ მათი იდეალები გახუნდა, მათი ოცნება განადგურდა; რომ ახალმა სოციალურმა ძალამ დააკავა მათი იდეოლოგია და შრომობელი ხალხი იქცა ეროვნული ცხოვრების ბურჯად.



საბჭოთა ეპოქის ქართულ ლიტერატურაში რომანის განვითარების მეორე ეტაპი იწყება მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისის მიჯნაზე. ეს განვითარება გაპირობებული იყო, ერთი მხრით, იმ დიდი სოციალური ძვრებით, რომლებიც დაკავშირებული იყო მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდთან, მეორე მხრით, ამ ეპიკური ეპოქის შინაგან კანონებთან. ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის მძაფრი ჭიდილი ადამიანთა სულიერი ცხოვრებაში რომანისათვის მიმზიდველ ძალად გადაიქცა, რადგანაც ეს მოვლენა თავისთავად ეპიკური ხასიათის შემცველი იყო.

ამ მოვლენასთან არის დაკავშირებული კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთავარის მოტაცება“, ლეო ქიანელის „გვაიდი ბივია“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და სხვ.

მეოცე საუკუნის 30-იანი წლების მიჯნაზე ქართულ ლიტერატურაში რომანი იქცევა ცხოვრების მხატვრული წარმოსახვის ძირითად საშუალებად. ეპიკური ჯანრის ეს სახეობა თავის მოქმედების ასპარეზად ირჩევს, ერთი მხრით, წარსულს, მეორე მხრით, აწმყო დროის პრობლემტიკას.

მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“ ფართო სოციალური დიაპაზონის მხატვრული ნაწარმოებია. ეპოქა, რომელსაც ეს ნაწარმოები ეხება, გარკვეული ალტერნატივის წინაშე აყენებდა ქართველ ერს. ამ ეპოქაში წყდებოდა მისი ყოფნა-არყოფნის შიშიმე საციოხი. მიხეილ ჯავახიშვილის ინტერესები ამ ეპოქისადმი არ აიხსნება მხოლოდ არსენას პიროვნებით. მეორე, სახელდობრ ნაციონალური ფაქტორიც შედიოდა ავტორის ინტერესების სფეროში.

თვადანაწერთობის ეკონომიურმა ვალატაქებამ გამოიწვია გლეხკაცობის გასკეცებული ექსპლოატაცია. ეს უკანასკნელი მიზეზი შეიქმნა იმ

დიდი აჯანყებებისა, რომლებიც აბრევენენ რუსეთის მონარქიის ბეკებს ამერკეცვისამოქ ისტორიული აუცილებლობის გამოუპყრებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ საბრძოლველად გლეხკაცობას რჩებოდა ირი გზა: მასობრივი აჯანყების, ან ინდივიდუალური ბრძოლის „უაჩალობის“ გზა.

არსენას ამის პარალელურად რომანში ეითარდება მეორე ამბავიც, რომელიც ახალ ასპექტში ხსნიდა პოლიტიკურ მოვლენებს. 1832 წლის შეთქმულებას სოციალური მიზეზების გარდა ღრმა ეროვნული საფუძველიც გააჩნდა.

რომანის ებილოგში რეალიზმის ღრმა შეგნებით მიხეილ ჯავახიშვილი ხსნის ნაწარმოებში შერეულ კვანძებს. ცხოვრებამ თითქმის დაეიწყებას მისცა ძველი ტყვიელები და მწუხარება. სიკვდილის ცელით წაქცეულ ადამიანთა საფლავები ბალახმა დაფარა. 1832 წლის შეთქმულები იმედდამსხვრეულნი დაბრუნდნენ სამშობლოში. მარაბდელეები ქრიალობებს იმუშებდნენ. მათი ერთი ბელადი ეიმბირის ციე მიწაში იწვა, მეორე მცხეთაში, ხოლო მათი შთამომავალი მარაბდის ბებერ მიწაზე ახალ ცხოვრებას იწყებდა...

გარდასულ ეპოქას ეხება ლეო ქიანელის „სისხლი“. იგი მხატვრულ ასპექტში წარმოგვისახავს რევოლუციურ წარსულს, ახალი თვალსაზრისის ადამიანებს, რომლებიც გაბედულად მიდიან სამსხვერპლოზე, რათა ბელი შეუწყონ ახალი სამყაროს შექმნას.

რევოლუციური წარსულის თემატიკა ლეო ქიანელის პროზაში შედის, როგორც მწერლის მხატვრული თვალსაზრისის ორგანული ნაწილი. ჯერ „ტარიელ გოლუაში“, შემდეგ კი „სისხლში“ ბელეტრისტიკა სული ჩიუდგა ცხოვრების დიდ გზაზე დაეცემულ ადამიანებს, რომელთა მიზანი იყო „შრომის სუფევის“ დამყარება, სიდაც არ იქნებოდა მდღელიც და ღარიბი, დანაჯრული და დამჩაგვრალი.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების მიჯნაზე დაიწყო ალექსანდრე ქუთათელმა ოთხტომიანი რომანი — ეპოპეა „პირისპირა“. ნაწარმოებში ასახულია მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება.

ამ რომანში მკითხველი მოწმე ხდება საზოგადოების ერთი ნაწილის დაეცემისა და განადგურების, ხოლო მეორე ნაწილის — სულიერი ცხოვრების განახლების. რომანის მთავარი პერსონაჟი კორნელი წარმოშობით აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ პირობებმა, რომლებიც მის გარშემო შექმნა ცხოვრებამ, აიძულა ახალგაზრდა კაცი — უარი ეთქვა საყუთარი წოდების დაცვაზე. კორნელი ამის შემდეგ გაბედულად გაჰყვება იმ გზას, რომელიც განათებული იყო რევოლუციის შუქით.

ალ. ქუთათელის რომანიდან კარგად ჩანს, რომ კორნელის ერთ საუკეთესო ადამიანურ

თეისებას წარმოადგენდა ხალხთან კავშირი. კორნელისათვის გლეხი გოჯასპირი იყო არა მარტო მშრომელი ადამიანი, რომელიც მთელ სოფელს კაცური კაცობის მაგალითს აძლევდა, არამედ ის აგრეთვე ეროვნული ცხოვრების სიმბოლოა. ეს ადამიანი მენშევიკმა გვარდიელებმა მუხაზე ჩამოკიდეს, როგორც „უმაყოფილო ელემენტი“. ამ აქტმა კორნელის პიროვნებაში ის ძარღვი ჩაწვეიტა, რომელიც მას აკავშირებდა თავისი კლასის ინტერესებთან.

რამდენადაც შედარებით იოლი იყო გაბატონებულ საზოგადოებასთან იდეური კავშირის გაწვევტა, იმდენად მძიმე აღმოჩნდა კორნელისათვის მუყაშვილების ჭალთან განშორების მომენტი. მისთვის ნინო მუყაშვილი იყო არა მარტო სოციალისტის ოპიკტი, არამედ სულიერი ცხოვრების ორგანული ნაწილი. კორნელი ოცნებობდა, რომ ნინო იქნებოდა მისი ცხოვრების თანამგზავრი, მისივე ფიქრთამაშყრობელი. მაგრამ გაბატონებული წრე, რომელმაც აღზარდა ნინო, ჭალს უბიძგებდა კორნელის სულიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამ წიაღაგზე დადგა ანგარიშების გასწორების დრო. ოდესღაც ნაზი და მსუბუქი სოციალისტი მძიმე ჯგერით დააწვა ორივეს გულს—აღუქსანდრე ქუთათელის რომანის მეორე ტომის იმ თავში, რომელსაც „ბარათები“ ერქვება, ვამილია ეს ტრაგიკული სცენა. ბედნიერება, რომელიც მათ მოელოდათ მომავალ ცხოვრებაში, საკუთარი ხელით დასამარეს. ასე დასრულდა სცენა დასტავა იდეური თვალსაზრისზე მდგომ შევარჯიშებულთა ურთიერთობა — ტანჯილი და ცრემლით სცილდებიან ერთმანეთს, რათა არასოდეს შეხედნენ თავიანთი ცხოვრების მთელ მანძილზე.

აღ. ქუთათელის რომანი „პირისპირა“ გვეხმარება მეოცე საუკუნის პირველი ორი ათეული წლების ქართული ხალხის სულიერი ცხოვრების შეცნობაში. ამ აზრით, ქართული ლიტერატურის მკვლევარი, რა გინდ ტენდენციურად არ უნდა იყოს განწყობილი ავტორისადმი, გვარდს ვერ ატყვევს ოსტრომიან ეპოქას, რომელშიც მკვირვარი აისახა ქართული ხალხის ისტორიის მთელი მონაცვეთი.

ქართული რომანისტიკის ისტორიაში ფრიად საყურადღებოა დემნა შენგელიას რომანტიკული ფერებით დაწერილი ისტორიული რომანი „ბათა ქეჭია“. ნაციონალური პეშორის ცოცხალი კოლორიტი ამშვენებს რომანის მთავარ გმირს — ბათას. მისი საუბარი სოციალისტური ცოცხლის პრობლემაზე მღწევებელია იმ დიდი ტკივილების, რომლებიც ბათა ქეჭიას სულში აღძრა მძიმე ცხოვრებამ, ლეკამაურისათვის ყოველდღიურმა ბრძოლამ, ადამიანის მიერ ადამიანის უმოწყალო ჩაგვრამ. მიუხედავად ასეთი მძიმე ტანჯვისა, ბათა ქეჭიას სული გაჩაბებულია სიცოცხლით სავსე ოპტიმიზმით,

რომელსაც ორგანული კავშირი აქვს ჩვენი ხალხის ეროვნულ ხასიათთან. ქვეყნის მთელს გაემოთრებია საუკუნეებიც ქვეყნის მთელს ხალხური ლექსი: „წუთისოფელი ასეა — დღეს ღამე უთენებია, რაც მტრობას დაუტყვევია, სოციალისტს უშენებია“.



ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ჩვენი საუკუნის 30-იან წლების ქართულმა რომანმა თავს იღო აქმყო დროის პრობლემატიკის წარმოსახვა. ამ აზრით, ყველაზე უფრო საყურადღებოა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მორტაცება“. ეს ნაწარმოები ავსებს იმ უფსკრულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც გაჩნდა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ შემდეგ თანამედროვე პრობლემატის შემყველ რომანისტიკაში.

„მთვარის მორტაცება“ ყველა კომპონენტით ქვეყნისტი რომანია. თემტიკურად ის ეხება 30-იანი წლების ეპოქას, რომელმაც კოლექტივიზმის და ინდივიდუალიზმის კონფლიქტი გამაბურვების უმალეს დონემდე მიიყვანა. ეს კონფლიქტი გაიშალა მთლიანი კოლექტივიზაციის ფონზე.

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მორტაცებაში“ მხატვრულად აისახა ეს დიდი სოციალური მოვლენა. აქ ნათლად გამოჩნდა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის მსჭვრეტეა და ახალი სამყაროს გამარჯვება.

შეიძლება ითქვას, რომ „მთვარის მორტაცება“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებთან“ ერთად, სრულიად ახალი სიტყვაა თანამედროვე ქართული რომანის ისტორიაში, ჩვენი მომავალი თაობები დასახელებულ რომანებს მხოლოდ ესთეტიკური სიმამუნებისათვის როდი წაიკითხავენ. მათში აგრეთვე შეიცნობენ დროის ხასიათს, ეპოქის სულს.

რომანის ცხაასი გვერდის მანძილზე კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი ნებისყოფის უდიდესი დამაბულობით ქვეყნის ადამიანთა ცოცხალ ხასიათებს თავიანთი ყოფით, ტრადიციებით, საქართველოს ღამაზე პერსპექტივას. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ადამიანთა სოციალისტური თვალსაზრისის ინდივიდუალიზმთან შეხედრისა და ამ წიაღაგზე წარმოშობილი კოლიზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოები თემადა არჩევა მღწევებელია მისი დიდი ტალანტისა.

ახალ პრობლემატიკას ეხება კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და ლეო ქიანელის „გვადი ბიგვა“. პირველ ნაწარმოებში თუ მოთხრობილია კოლქტივის წამოყვანილების პროცესი, მეორე ადამიანთა სულიერი ცხოვრების გარდაქმნას წარმოსახავს იმავე კოლქტიკაში. ორივე მხატვრულ ძეგლში აღბე-

ქლილი ჩვენი ეპოქის სხვადასხვა ეტაპები. ამ ნიადაგზე პერსონაჟებიც განსხვავდებიან ერთ-მანეთისგან — თავიანთი სულიერი წყობით, ადამიანთა ურთიერთობით, მიზანდასახულობით. თუ კონსტანტინე ლორთქიფანიძე მძაფრი დრამატრშით ცდილობს ადამიანთა ხასიათების გახსნას, ლეო ქიაჩელი ამავე ეფექტს აღწევს ცოცხალი ჰუმორის საშუალებით. მეტი ტრაგიკული სახეა, რადგანაც ის პირველი დგება უფალ ჯერ კიდევ გაუქვალაე გზაზე; გვაღიბებუა, თავისი სიღატაკის მიუხედავად, განებოვრებულია სხვებისაგან, მასზე ზრუნავენ სხვები და იგი ფართო შარავჯის მიკაეც კოლმეურ-ნეობასთან. მისი სულიერი ცხოვრების გარდაქმნა ჩამდენიმე დღეში ხდება, რადგანაც გარემოცვა წინასწარ არის მომზადებული ამ პროცესის ჩასატარებლად.

ორივე ნაწარმოებში ჩანს ავტორების მსტერული ზომიერების გრძნობა და რეალისტური აღლო. ეს არის მიზეზი იმ ცოცხალი ინტერესისა, რომელსაც მკითხველ მსახეში იწვევს „კოლხეთის ცისკარი“ და „გვადი ბიგვა“. ბევრი დაიწერა „კოლხეთის ცისკარზე“ და „გვადი ბიგვაზე“. ვფიქრობთ, კიდევ ბევრი დაიწერება, რადგან ეს წიგნები მნიშვნელოვანი და ფრიად საინტერესო ეპოქის ამსახველი მხატვრული დოკუმენტებია.

ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების მიჯნაზე განვითარების ახალ სტადიაში შედის ქართული რომანი, რაც გაპირობებული იყო ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი იმ ცვლილებებით, რომლებიც გამოიწვია მეორე მსოფლიო ომმა.

40-იან წლებში დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიას რომანები: „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“, აკაკი ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ ვაშაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“, ლეო ქიაჩელის „შთის კაცო“.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ ერთი საუკეთესო ისტორიული რომანია, რომელიც შედის ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში. ამ ნაწარმოებით ავტორმა მიზნად დაისახა იმ დროის ცხოველყოფილი აღდგენა, რომელიც წინ უსწრებდა ევროფო-დებულ „ოქროს ხანას“ ქართველი ხალხის ისტორიაში.

ნაადრევი აღორძინების იდეალები, რომლებიც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ იხსახა, თავის სთავაყენ იწვევს X—XI საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ უოთაში, ავტორმა ბრწყინვალე მხატვრულ ფორმაში აღადგინა დასახელებული ეპოქა და გვაგვრძნობინა ამ ეპოქის დიდების საიდუმლოება.

მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას იდეალი „დიდოსტატი“ წარმოსახული დრო კი არ არის, არამედ მას სურს გვახვეწოს მიზეზები, თუ როგორ სქენებოდა ნაადრევი აღორძინების უმშვენიერესი იდეალები რელიგიური სქო-

ლასტიკოსების ხელში; თუ რამდენი ხანსლი და ცრემლი დაიღვარა იმისათვის, რამ შეედრეთათ ამღვარყო ინტრიგებითა და კორუპციით გათელილი სახელი სიტყვისა და ფერწერის ოსტატებისა.

თუმცა საქართველოში ქრისტიანულ რელიგიას არ განუდღია რეფორმაციის ძლიერი დარტყმა (ჯერ კიდევ დრო არ იყო მომწიფებული იმისათვის), მაგრამ მეთე საუკუნიდან უკვე იწვევა ფარული ბრძოლა რელიგიური დოგმების წინააღმდეგ. ამ გზით ჩაისახა ნაადრევი აღორძინების იდეალები ქართველი ადამიანის შეგნებაში.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ხეროთმოდვარი არსაკიე და მეფე გიორგი ამ ნაადრევი აღორძინების ეპოქის შეილები არიან და ამბობენ ტრაგიკულნი. რომანში არსაკიე ცდილობს ზეციურ ინტერესებიდან ხელოვნება ჩამოიყვანოს მიწაზე, რადგანაც მან კარგად იცის, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება კემმარტი ხელოვნების ნიშუის შექმნა. მას სურს ადამიანური ენებების გაბატონებით ხელოვნებაში განდევნოს ქრისტიანული სწავლა ზეცისაყენ და ამ გზით ადამიანი აქციოს ხელოვნების ცენტრად. ეს სურული კი სახიფათო იყო იმ დროში, როცა ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ისტორიული პირობები ამ იდეების განხორციელებისათვის.

არსაკიისათვის უმშვენიერესი შორენა არა მარტო სიყვარულის ობიექტია, არამედ ხელოვნების კემმარტი იდეალიც. მიუხედავად იმისა, რომ რომანში შორენა სიმბოლურ მნიშვნელობას ინარჩუნებს, მას, რაფაელის მადონების მსგავსად, დასაყრდენი მიწაზე აქვს და ადამიანურია მთელი თავისი სულიერი ცხოვრებით.

როგორც „დიდოსტატის მარჯვენის“ სქემატური ანალიზიდან ჩანს, იგი არა მარტო ინარჩუნებს რომანისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს, არამედ თვით მასალის შერჩევაშიც იცავს რომანის ეპიკური ბუნების ცხოველყოფილობას...

40-იან წლებში დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიამ მეორე ისტორიული რომანი „დავით აღმაშენებელი“. მოქმედების ვრცელი ასპარეზი, რომელიც ეგრე საჭიროა რომანისათვის საერთოდ, პერსონაჟებს სულიერი ცხოვრების გამოვლინების დიდ საშუალებას აძლევს.

დავით აღმაშენებლის პიროვნება, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატისა, ცნობილი იყო არა მარტო საქართველოს მოსახლერე სახელმწიფოთა შორის, არამედ მთელი აზრი აღმოსავლეთის მსოფლიოსათვის. არაბი, ბერძენი და სომეხი ისტორიკოსები არაერთ გზის იხსენიებდნენ ქებით დავითის სახელმწიფო ნიუსა და უნარს. არა ერთხელ უთხოვიათ მისთვის დახმარება ბიზანტიელ კეისრებსა და საქრისტიანო მსოფლიოს. XI საუკუნის ევროპისა და აზიის ზღურძელზე დავით აღმაშენებ-

ღმა შექმნა უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც ტონის მიმცემი იყო სხვებისათვის. ქართული ერის ისტორიაში დავითის პიროვნება შვეიდა, როგორც აღმაშენებლის და განმთავისუფლებლისა.

რომანის მეთხველი, უცხველად, გრძნობს ავტორის დიდ ცოდნას ისტორიულ მასალების გამოყენების დროს. კონსტანტინე გამსახურდია კარგად ფლობს არა მხოლოდ ქართულ წყაროებს, არამედ ბერძნულ, რომაულ და სომხურ წყაროებსაც, რომლებიც ეხება დავით აღმაშენებლის პიროვნებასა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

მაგრამ, რამდენადაც ავტორი დიდ ცოდნას, კეთილსინდისიერებასა და ფხიზელ დამოკიდებულებას იჩენს ისტორიული წყაროებისა და დავითის პიროვნების მიმართ, იმდენად ის არამართებულ დამოკიდებულებას აწყლავებს რომანის კომპოზიციისადმი, კერძოდ ეს ითქმის რომანის სიუჟეტზე. მრავალი დეტალი სიუჟეტურად არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ლოგიკური უშუალოდითა. ისტორიულ რომანში სიუჟეტი ნათელ სვეტივით უნდა მისდევდეს რთულ საზოგადოებრივ ცხოვრების პროცესებს და ნაწარმოების გმირთა სულიერ ცხოვრებას, რომანის კითხვის დროს მკითხველი უნდა მიჰყვებოდეს სიუჟეტს და პერსონაჟებთან ერთად ბოლომდე ხალისით, ძალდატანებლად გაიაროს გზა. „დავით აღმაშენებელს“ კი აქვია ნათელი, ლოგიკური აუცილებლობით გაპირობებული სიუჟეტი.

მიუხედავად ამგვარი ნაკლოვანებებისა, „დავით აღმაშენებელი“ მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

მეოცე საუკუნის 40-იანი წლების მიჯნაზე დაიწერა აკაკი ბელიაშვილის ისტორიული რომანი „თავდასაყვანილი ბესიკ გაბაშვილისა“ და „ოქროს ზარდაბი“. მიუხედავად ზოგიერთი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებისა, ორივე რომანი შენაძენია თანამედროვე ქართულ ლიტერატურისა.

ადამიანთა სულიერი ცხოვრების წარმოსახვის დროს აკაკი ბელიაშვილი რეალისტია ამ სატყვის ჰუმანიტარული გაგებით. პატარა კახის ადამიანური ტყვიანობა, მისი სულიერი მწუხრი მოცემულია აბსოლუტური შესატყვისობით. მთელი თავისი ცხოვრება ერთკვამ უნაგირზე გაატარა. პერმანენტული ომები, დამპყრობელთა გამდამბეული შემოსევები არ იძლეოდა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საშუალებას. განაპირობების მომხრე თავადაზნაურობის ფეოცენტრიზმი შიგნიდან არღვევდა ერთგულ ორგანიზმს. მის გრძნობას ერთკვამ და ამიტომაც თავის მთელს სულიერ საშუალებას არ აძლევდა თავისთავს. „ბუდი ქართლისა“ აწვალდა მას და აჩრდილივით თანა სდევდა ბედგამჭარბული საქართველოს ზეგარი.

აკაკი ბელიაშვილის რომანის იმ თავში, სადაც ასპინძის ბრძოლა წარმოსახულია, ურყველი მოხანს არა მხოლოდ ბრწყინვალე საბრძოლდე, არამედ ბრძენ პოლიტიკოსადაც. მაგრამ საბრძოლდე აუცილებლობის წინაშე უჭიბია არა მარტო ევკაცობა, არამედ დიდი სახელმწიფოებრივი სიბრძნეც. ისტორიული აუცილებლობა სწევრებდა ახლა „ქართლის ბელს“ და არა ერთკვამ. მან მხოლოდ სისტემაში მოიყვანა ისტორიის მიერ „ქართლის ბელსზე“ გამოტანილი განაწენი. ამასი იყო ერთკვამ ტრაგედია. მწერალმა მოვლენის ამ მხარეს მიაქცია ჭურჭლდება და მოგვცა მხატვრული ისტორია არა მარტო ბესიკისა, არამედ პატარა კახის დიდი მწუხრისა.

40-იანი წლების მიჯნაზე დაიწერა ლეო ქიანელის რომანი „მთის კაცი“. რომანში წარმოსახულია სამამული ომის ერთი ეპიზოდი, რომელიც ეხებოდა ქართველი ერის უოცნა-არყოფნის პირობებს.

ნაწარმოების შთავარი გმირი — მოხუცი ბათე ქარდუა სიმბოლური სახეა ქართველი ხალხის სინდისისა და პატრიოსტების. მან ერთადერთი შვილი შესწირა სამშობლოს და ბოლოს თვითონაც ედევნა შტრის ტყვიით გულგანგმირული.

როდესაც რომანში იმ ადგილს ვკითხვლობთ, სადაც მთის კაცის სიყვარული აღწერილია, მწერალმა ერთსადაცმევე დროს ჩვენ სულში ამაღლებულ გრძნობასაც აღძრავს და სიბრძნულსაც. ასე კვდებოდნენ მხოლოდ გმირები, რომელთაც კეთილშობილად შიხიხდეს ეალი სამშობლოს წინაშე. მთის კაციც ჰუმანიტარული გმირი თავისი ნაციონალური ხასიათით და კეთილშობილი ბუნებით.

ლეო ქიანელის რომანი „მთის კაცი“ თავისი მხატვრული მნიშვნელობით და თემატურით სიაბლით ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა 40-ანი წლებში. მეორე მსოფლიო ომის თემამ ჩვენ არა გვეცინდა ფართო თვალთახედვის ეპიკური პროზაული ნაწარმოები. ლეო ქიანელის „მთის კაცით“ ქართულმა მწერლობამ ეს დანაყლისი შეიგნა.



ქართული რომანის ისტორიაში მეორე სინტეზის იყო 50-იანი წლები. ამ წლებში მანძილზე დაიწერა კონსტანტინე გამსახურდის „ვახის ყვავილობა“, გრიგოლ აბაშიძის „ღაშარა“, აკაკი ბელიაშვილის „რუსთავი“ და „უღელტეხილზე“, რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდია დიდი ინტერესის შემდეგ კვლავ მოუბრუნდა თანამედროვე თემატიკას. „ვახის ყვავილობა“ ჩვენს თანამედროვე პრობლემტიკას ეხება. რომანის სათაური მიჯნაწინებს ნაწარმოების ლიტერატურულ, ეტორის აზრით, ეახი იყო და არის ჩვენი ერთ-

ნული ცხოვრების ნიშანსვეტი. ქართული ერის აღორძინებას თან სდევდა ვაზის გაშენება, ხოლო მისი ცხოვრების დაქვეითების შემთხვევაში ვაზიც ნადგურდებოდა. რომანის ტექტიკოსტი გვაგარზონინებს, რომ ოდესღაც შემოსევების შედეგად განადგურდა ბერძენის ვაზი. რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოვიდა ქართული კაცი და ახალი ტექნიკის მეშვეობით ძეგვიანი ველი ვაზის სამშობლოდ აქცია. ამ აქტით, კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ქართული ერის ცხოვრებაში იწყებოდა ეკონომიური აღორძინება და სულიერა განახლება.

კონსტანტინე გამსახურდიამ ბერძენსთან მომხდარი ამბავი გამოიყენა რომანის სიუჟეტად, ხოლო ამ ამბის მონაწილენი ნაწარმოების პერსონაჟებად აქცია.

რომანის მთავარი გმირი პროფესორი კორინთელია. ორი ეპოქის მიჯნაზე ჩამოყალიბდა კორინთელის მსოფლმხედველობა. ჩვენმა ხალხმა კორინთელს მიანდო ბერძენის პრობლემის გადაწყვეტა. კორინთელსაც კეთილსინდისიერად შეასრულა ეს ამოცანა. ბერძენის ველზე გაშენებულ ზერებში კორინთელი ხედავდა არა მარტო საყუთარა სურვილის პრაქტიკულ განხორციელებას, არამედ ქართული ხალხის ფიზიკური და სულიერი ვენერგის ზემოს.

კონსტანტინე გამსახურდიამ მისივე თვალს მივდევლობიდან არ რჩება ცვლილებანი რომლებიც ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ტექნიკამ გამოიწვია, ადამიანის მოქმედებას უფრო მეტი აზრა მიეცა და გაბედულად დამოზრჩილა ბუნების მოვლენები. ეს იყო ახალი დროის სიკვთე.

კონსტანტინე გამსახურდიამ ჩაიხედა კორინთელის სულიერ ცხოვრებაში და წარმოგვისახა ტაბი, რომელიც ძლიერ ბევრს აკეთებს ჩვენი ხალხისათვის, მაგრამ საიუბილეო დაფნის გვირგვინებს არ შოითხოვს. მას ჩრდილში დგომა ურჩენია და ცდილობს შეუმჩნეველი დარჩეს სხვებისათვის. მაგრამ მწერალი, რამდენადაც სრულყოფილად იძლევა კორინთელის ტაბს, იმდენად ფერმკრთალად არის წარმოსახული რომანის სხვა პერსონაჟები. ავტორი ზომავს მეტ ინტერესს იჩენს აქსესუარებისადმი. რომანის სიუჟეტიც დამძიმებულია არააუცილებელი დეტალებით.

50-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა გრგოლ

ამაშიძის ისტორიული რომანი „ლაშარელა“. ნაწარმოები იშლება შორეული წარსულის ფონზე. მისი მიზანია იმ ეპოქის მხატვრულ წარმოსახვა, რომელიც შინაგანი და გარეგანი ისტორიული მიზეზების გამო თანდათან კარგავდა თავის ცხოველყოფელ ძალას და კინდებოდა... ამ რომანის ღირსებასა და ნაყლზე დაწერილებით ჩვენ სხვაგან შეგნარდებით, ახლა კი აღვნიშნავთ შემდეგს: ვისაც უნდა გავიგოს გრიგოლ ამაშიძის ეროვნული კონცეფცია, მან დაკვირვებით უნდა წაიკითხოს რომანის ფინალი. ამ ფინალში გახსნილია ნაწარმოების ლიტმობიტივი, მისი ეროვნული პათოსი.

50-იანი წლებში დაიწერა აკაკი ბელიაშვილის „რუსთავი“ და „უღელტეხილი“. პირველი თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს ეხება, ხოლო მეორე სამამულო ომის თემას. მიუხედავად მთელი რიგი შთამბეჭდავი პასაჟებისა, ადამიანთა სულიერი ცხოვრების ოსტატური გახსნისა, მხატვრულად გადაწყვეტილი აქტუალური პრობლემატიკისა. მაინც უნდა ვალიაროთ, რომ დასახლებული რომანები არ დგანან იმ დიდ მხატვრულ დონეზე, რომელიც აკაკი ბელიაშვილის საუკეთესო ნაწარმოებებს გააჩნია.

რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ მიძღვნილია სამამულო ომისდროინდელი სოფლის ცხოვრებისადმი. ძარღვიანი ქართული ენა და პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების ღრმა ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს კარგი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. რომანი ახლახან დამთავრდა. უნდა ითქვას, რომ ეს რომანისტი დიდ იმედს იძლევა და ამ ნაწარმოებშიც ბუერი რამ არის ღრმა ინტერესის აღმკვერელი.

როგორც დავინახეთ, საბჭოთა ეპოქის პერიოდის ქართული ლიტერატურა მდიდარია როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე პრობლემატიკაზე დაწერილი რომანებით. ეპიკური ეპარის ამ ფორმამ 50-იანი წლების მანძილზე თავის განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწია. იმედი უნდა ექონიოთ, რომ ქართული რომანი ყოველთვის იქნება აქტუალური ფენომენი ქართული მკითხველის ინტერესების სფეროში.

გიორგი ხუნდაძე

პოეტი და რევოლუცი

(გალაქტიონ ტაბიძის ლირიკული პოემები)

ჩვენი დრო ახალ რუსთაველს ელის...

გალაქტიონ ტაბიძე

გალაქტიონ ტაბიძემ ჯერ კიდევ ოციან წლებში თქვა: „ჩვენი სამშობლო სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების“; იმავე დროს იგი ახალი დროის შესაფერისი პოეტური ფორმებს ძიებაზე ლაპარაკობდა, ეპიგონობის, წარსულისადმი ბრმა ერთგულების წინააღმდეგ ილაშქრებდა.

„შეხუთე საუკუნის სტილი შევინს მხოლოდ მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისთვის მარტოოდენ ძონძებია, ჩვენი პოეტისთვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, ისეთებიც, რომლებიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტექნიკურ საშუალებებს. ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია, არაფერ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა“, — სწერდა პოეტი, რომელიც მთელი გულით, ყოველი წერეთი, ყოველი ძარღვით გრანობდა რევოლუციურ გარდაქმნებს.

თავის დროზე სხვადასხვა უკიდურესობანი „მთაწმინდის მთიარის“ ავტორსაც ჰქონდა, მაგრამ მას ეყო ძალა და სულიერი ვეცაკობა სწორედ ოციან წლებში ევრნალ „ლომისის“ ფურცლებზე მთელის ხმით ეთქვა: „ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარყოფთ კაფე-მანტანების პოეზია“. ამ წლებშიც, მოდერნისტულ გატაცებებთან ერთად, გ. ტაბიძე პოეტური სიტყვის განახლებას თვით დროის სოციალურსა და ესთეტიკურ მოთხოვნებს უფარდებდა და ზურგს აქცევდა როგორც „სკანდალურ“ ხელოვნებას, ისე ყოველგვარ კონსერვატიზმს.

გალაქტიონ ტაბიძე ოციან წლებში ქმნიდა თავის პირველ პოემებს („ჯონ რიდი“, „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „პაციფიზმი“). ახალი პოემის ფორმა, როგორც საერთოდ ახალი პოეზიის დრო, ლიტერატურულ მიმართულებათა ჭიდილში ყალიბდებოდა და ეპოქის მკაფიო ნიშნებით აღიბეჭდებოდა, შემთხვევითი არ იყო, რომ „ციხფერაყანწლებიც“

თანდათან ამჟღავნებდნენ ეპიურ ფორმებისადმი ინტერესს, ხელს იღებდნენ „წმინდა ლირიკის“ შეზღუდულ ღონეზე.

ტიციან ტაბიძე უფრო გვიან, სიყვარულით თარგმნიდა ცნობილი სომეხი პოეტის ავეტიკ ისაკიანის პოემას „ახელ ალა მარის“. ეს ის პოემაა, რომელზეც თვით ავტორი ამბობდა: „ახელ ალა მარის ქარაფანი“ ნიკოლოზ ბარათაშვილის მერნის კვალს მისდევს“. ამ ფაქტით გ. ტაბიძემ, ისე როგორც ბევრმა „ციხფერაყანწელმა“, გაიზიარა ახალი ეპიური პოეზიის ორგანული კავშირის აუცილებლობა კლასიკურ ეპოსთან. დიდი ამბები დიდ ტილოებს მოითხოვდა და ბევრი პოეტი ინდივიდუალური კარნავეტილობიდან გამოჰყავდა. ადრე თუ გვიან მღელვარე დღეები მასშტაბური პოეზიისთვის აღგზნებდნენ იმათ, ვინც თავიდანვე ბარათაშვილზე იყო და იმათაც, ვინც, თავისი ფანჯრის ფარდას მოფარებელი, ჯერ კიდევ მარცხენა თვალით შეჰყურებდა ამ ბარათაშვილს, „სამინელი სხაურით“ შემკრთალი და დაბნეული. „ლირიკული გალობის, ინტიმური აღსარების საპირისპიროდ პოეზიაში მივიდა ადამიანი, რომელმაც გააჩლივია ხელოვნების კამერული ზღუდეები თავის მძლავრი ხმით.

რევოლუციის დღეებში პეტროგრადის ქუჩებში მოსიარულე გ. ტაბიძემაც თავიანებურად განიცადა ქალაქი და მამიებელი პოეტური სული ბერძნულსა ჩრდილოეთის ღამეებში ანთებულ ცეცხლს შინაგანად ეზიარა. პოემა „ჯონ რიდიში“ იგი სწერდა:

თოვლიანი ამინდები.
ჭიშკრები ნევისთან.
უდაბური პეტერბურგი;
სმოლნი.

„თორმეტი“ აღქმასწრე ბლოკის,
„რამდენიმე დღე პეტროგრადში“ ჩემი

აქვე იხსენიებს გალაქტიონი ლექსებს „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ და „წვეთები გადაღებელი წვიმისა“. ამ ლექსებში პირველად შეიკრა მღელვარე დღეების ეპიური სული, გამოიკვეთა მთავარი თემა: პოეტი და რე-

ვალუცია. პოეტ-ლირიკოსისთვის ეს იყო პირველი გასვლა დიდ სინამდვილეში, ქრონოგრაფების, ფერადი გობელენების, ბროლის ეპიგრამების, მწვენიერი ქალის ხილვებიდან, იდუმალი სიზმრებით სავსე ოთახებიდან პირველად დანახვა აფეთქებელი ღამების, ამბოქრებულ ექვსების. აქ დაიბადა პირველად „ეპოქის ქარი“, — რევოლუციის დღეების სიმბოლური სახედ. ბლოკის მსგავსად ამ დღეებს ვალაქტიონი ჯერ ბუნდოვნად გრძნობდა, ქაოტურად განიცდიდა. უწინდელი მიუსაფრობის, მართრობის, დაღლილობისა თუ უმისწონის მუწუქებელი „ქარი და ფოთლების ცეცხლბროლებს ხმებით აივსო, სულ სხვანაირად ახიანდა.

რევოლუციის პირველი განცდა ჯერ კიდევ დალილობის, ინტელიგენტური მერყეობისა და შემოფოთების სახით გამოიხატა, პეტროგრადის ქუჩების მძიმე, გამოუწონი ლოდინით სავსე განწყობილება უორანივით უიმედობაზე აყენებული „უცნობის სკრიპის“ სვედიანი მელოდით აფურცდა. აქ იწყება პოეტის ბიოგრაფია: „მე, ნოემბერი და პეტროგრადი, ასეთი კარგი და უდაბური“, რევოლუციით ფეხშიშვე ქაღალთან სულერი ნათესაობის გრძნობა: „ამ უცხო ნისლის ბარიკადები მე მიყვარს როგორც ჩემი წარსული“.

„გზის ძიების“, ფართო სარბიელზე გასვლის რომანტიკული თემა, რაც ვალაქტიონის პირველ ლექსებში პოეტის სულერი დრამის გამოხატვად მთავარ სახედ იქცა, ლოგიურად განითარდა ლექსებში, რომლებიც ასახავდა „თ დღეს, რამაც შეძრა მთელი მსოფლიო“. („ჯონ რიდი“). ბერუსში გაქროლებული ვტლების, „ტრამეის მძიმე ტივების“, „ბინდში ნეკროტიკული გამოჩენილი სახლების და გაზღვლების“, ბოჰთან ტრამეის მომლოდინე, თვლით მხრებგათეთრებული მგზავრას, მწუხარების, მოლოდინისა და მღვლარების გამოშახებული პეიზაჟით ჩნდებოდა გარემო ლექსში („ბოჰთან ტრამეის ელვა მგზავრი“).

„ესტრას ჩეიდმერი წელი თავის ქარიშხლით და ამბოხებით“ რთული კითხვების წინაშე აყენებდა ზელოვანს და მთელი სიმკაცრით მოსაძებოდა მას საით? „ჩემი რევოლუცია!“ — ამბობდა ვ. მაიაკოვსკი.

პოეტის ალლოია და მოქალაქის შეგნებით გ. ტაბიქ რთულად, მაგრამ ღრმად განიცდიდა „რევოლუციას ჯერ არ სწენილს, ჯერ არ გაფონილს, უდიდესს თავის ნებისყოფით, გვირგვინს“.

თანდთან იფანტებოდა ბერუსი და „გემი დალანდის“ სიმბოლურ სახეში პოეტის მალალი ლტოლვა მკაფიოდ ისახებოდა, მელანქოლია ოპტიმიზმით იცვლებოდა და „მოდერნიზმი სანთლები“ საშობლოს სიერეკვი იმედოვნად ენთებოდა.

საქართველოში მობრუნებულ პოეტს თან

მოყვება რევოლუციური განწყობილებები, მას უჩვეულო აღზიანება საქართველოში მკვიდრებული სიმუდროვან, მრეაფი პრისულების გრამული მოსვენებას არ აძლევდა და პეტროგრადის მძაფრი დღეების მოგონება მებრძოლ განწყობილებას ამასურებდა. გ. ტაბიქის მიერ შექმნილ თითქოს ვაჟანტულ სურათებში საერთო განწყობილება, გარკვეულ ისტორიულ კანონზომიერებებთან აღმოცენებული ზელოვანის დრამა იკეთებოდა. პოეტი შინაგანად გრძნობდა დიდ ამბებს, რომლებიც „არ ითვისებდა ჩვეულ ვალობას“. ახლა უკვე საშობალქო ომის დღეების გამოხატვა ლექსებში, კერძოდ „თერამეტ წელში“, ეპიური სინათლითა და სიფართოვით ხდებოდა.

ეპიურ სურათებს ცდილია უნახესი ლირიული მონოლოგები, საშობლოს ფერების უმძაფრესი გრძნობა, რაც „სხვა კართაგენის აღმართვის“, დაღვეებული საღუბების და გაქანებული ესკადრების მოგონებათა ფონზე ქმნიდა კონტრასტულ გადასვლებს, მოგუგუნე დღეების ხმებს სრულიად საწინააღმდეგო მითითლებარე შესიეთ ცლიდა:

აბა, ნაბირი, ჩენი ნაპირი,
იგი შობილით თიბათეს გავდა,
სილაზე იყო გზა პირდაპირი,
სილაში უხშიოდ გაწოლია ნათან.
აღმოსავლეთის ქარი დაქროდა,
მიმოგონება, ზარი, თითბერი,
სახეს სითეთრის თოვლი დაქროდა,
სულს ბერუსების ირისიფერი.
და იალქნების გროვა მრავალი
ეშვრებოდა ქვეყანას — ზმანეთს.
იქ, სადაც ზღვა და ცის დასავალი
სიტყვის უთქმელად გრძნობენ ერთმანეთს.

ამნაირ პეიზაჟებში ვალაქტიონი ინარჩუნებდა ფერადოვანსა და კოლორიტულ პალიტრას, საშობლოს ფერების ლირიულ გრძნობას, რაც ეპიური სურათოვნების გვერდით ორგანულად თავსდებოდა, პოეტის სულიერ მოძრობებს უფრო მკაფიოდ ამქალავებდა. ბუნებისა და ყოფაცხოვრების პეიზაჟური ნახატები აქ პოეტის სულიერი გარემოს, შინაგანი მღვლერების, გზის ძიების წყურვილით იყო აღბეჭდილი. მართალია, ვალაქტიონის ლირიულ საშობარში, ისე, როგორც ბლოკის ლექსებში, კლასიკური გაგებით არ შემოდიოდა გარემო, ამბები და აღმანიები. თანამიმდევრულად დახატულ გმირად თვითონ პოეტი რჩებოდა, რომლის ცხოვრება ურთულესი მოვლენების ორომტროიაში დრამატული სიტუაციებით იკეთებოდა. „კალგულ ვერას“ მსგავსი ახალი ცხოვრების აღმანიები ჯერ მკრთალი ლანდების სახით ვლინდებოდა პოეტის მონახატებში.

უინ არიან ეს აღმანიები, სად მიდიან, რას დაქებენ? რა თქმა უნდა, ამაზე პოეტი ეპიური თანამიმდევრობით არ მოგვიხსობს, და-

წერილებით არ ხატავს მათ პორტრეტს, გავ-
რით გაამცნობს მათს სულიერ რაობას, გან-
წყობილებას. და მაინც მათ ეხედავთ შრიახანე
დროში უნდობლობით გამსჭვალულთ. „ცბი-
რი მესიადით“ მიშავალთ, ვთქვით, იმერეთის
გზაზე. ესენი არიან დაბნეული მეოცნებენა,
გამოღვივებული ამბოყარები, ბრძოლაში ნაწრ-
თობი, მძაბვები ადამიანები. მათ შორის არის
პოეტი კადეში, რკინიგზის სადგურზე, ვაგონში
თუ შრობილ სოფელში. ამ „აფორიაქებული
ადამიანებისათვის“ უკვე აუტანელია რეტირე-
ლი მუდროება ძველი სამყაროსა, ისინი მ-
დიან საქართველოში ბლოკა ოორამეტი წი-
თელგვარდიელივით და ახალი ცხოვრების დაბა-
დების ამბავი მოაქვთ.

ასე ფართოდებოდა გ. ტაბიძის პატარა ლი-
რიკულ პოემებში პოეტის ინტერესთა აბრე, დიდ-
დობიდა სახილველი სიერე, მკვეთრად იც-
ვლებოდა განწყობილებები. ყველაფერ ამას
პოეტი მიჰყავდა პოემა „ჯონ რიდის“ შექმნი-
საყენ.

„ჯონ რიდი“ თავისებური მოვლენა იყო
ოცანის წლების ქართულ საბჭოთა პოეზიაშიც
და თვით ვალაკონის შემოქმედებაშიც. იგი
მკაცრი ლიტერატურული ბრძოლების ატმოს-
ფეროში იქმნებოდა და თავისი რვეოლუციური
პათოსით, მებრძოლი განწყობილებით დიდ
როლს თამაშობდა ახალგაზრდა საბჭოთა პოე-
ზიის ფორმირებაში. უჩვეულო და მოულოდენ-
ელი იყო პოემის კომპოზიცია. იგი არსებითად
გმყარებოდა ჯონ რიდის წიგნს „ათი დღე,
რამაც შესძრა მთელი მსოფლიო“ და რვეოლუ-
ციის ისტორიული საათების პოეტურ ქრონი-
კად იყო გააზრებული. ამ შრომე „ჯონ რიდი“
თავისი ფორმით ჰკავს ბლოკის „თორმეტს“,
მთხედვად იმისა, რომ მასში არ არის ისეთი
სიმბოლური სახეები, როგორც ბლოკის პოე-
მაში ახალი დროის თორმეტი მოცემული —
თორმეტი წითელგვარდიელი—სახარების ანალო-
გიით შექმნილი. მართალია, „ჯონ რიდი“ ექვსი
წლის შემდეგ შეიქმნა „თორმეტის“ გამოქვეყ-
ნებიდან, მაგრამ ამ პოემაში გაუნებლად ის-
მოდა ოქტომბრის დღეების გამოძახილი, გ. ტა-
ბიძემ განგებ უკუვადო თავისი ლექსების მულო-
დური ტონი, თითქმის თავისუფალი ლექსით და-
სწერა მთელი პოემა და ამათ ფორმაშიც, ტე-
ხილ პოეტურ ხაზებში ნგრევისა, ახლის შექმ-
ნის პათოსით აღსავსე დღეების სული გამო-
ხატა. პოეტმა აქ თითქოს განგებ მიიფიწა მი-
სთვის ესოდენ ორგანული ლირიკული ტონი,
მეტად ძუნწად ჩართო აღწერილ მოვლენების
ასპექტში თავისი პიროვნება და ებიურა თან-
მიმდევრობით აღადგინა ისტორიული ათი დღე
პოეტურ ქრონიკად. პოემაში ჩნდება პაპირო-
სის გამოყვანილი ბავშვები, სასაფლაოში დამ-
წყობილი სტუდენტები, ფურტურისტების გე-
ზეთები, აჯანყებული მოსკოვის ქუჩები... ყვე-
ლაფერ ამის ფონზე ჩნდება პოეტი:

წაქცეული ხე ტყეის ბუღვარში,
წაქცეული ცხენი ტყეის ბუღვარში,
ტყვიისმფრქვეველი დიდ სამრეწველო
ცეცხლი ეღება
უხარამზარ სახლს ბუღვარზე.
სახლები იწვანე ყოველმხრივ,
ყოველმხრივ...
ლევინდა ერთ სახლებზე.
მოსკოვი დამით განათებულია.
განუწყვეტელი კანანადები.
სამინელი შიმშილი
და მე ვინტრეკით.

შინაგანი დამბუღვლობით, დრამატიზმით
„ჯონ რიდი“ ისე და ისე ენათესავება ვ-
ნიკოკოსკის პოემებს, ა. ბლოკის „თორმეტს“. აჯანყებული მოსკოვის სურათების შემდეგ
პოემაში იჭრება რწმენის კრიზისი, ქრისტი-
ნული რელიგიის გავლენების თემა. „ლოცვა
ისე დაეცა პატარაბის ტიხონის, თითქოს ბუ-
კია იერისიონის...“ „შემოვლენული დროთა ხი-
ვსებით ხატი პილატეს დაემსგავსება...“ ამას
მოსდევს რვეოლუციის პირველი ზარი, ობ-
ვატელთა შეშფოთება, უშუალოდ ქუჩის
ბრძოლების ებიური სურათები.

აქ არ ეხედავთ ადამიანებს მკაცრი ინდი-
დუალიზმით. ჯარისკაცები, სტუდენტები, პო-
ლიტოსები, პოეტები, შემკრთალი დღითის-
მსახურები, მედროვე ქურდები, „აწიკებულ
ჩიტის ბუდის“ მსგავსი სადგურები, „თევზის
და ჩექმების სუნით სავსე მარტაბული“. დამ-
შუელი ადამიანები, ტანჯვით, მოლოდინით.
სურვილით დამბუღვი სახეები ელვის სისწრა-
ფით ცვლიან ერთმანეთს. და ამ სურათებში
იკვეთება მსგავსი არანხელი ნებისყოფა, რე-
ვოლუციის უკუდავი სული, რაგორც მთავარი
თემა, რაგორც ცენტრალური გმირი. ჩვენს
წინაშე ჩაივლიან იმ დღეების ადამიანთა დამა-
ხასიათებელი პორტრეტები, თითქოს მახვილი
მხატვრის თვლით წიმიერად დანახული ისტო-
რიულ თორმეტრიალში. მათ გამბუდავი კინო-
პერატორივით ასდევნებია პოეტი, რათა დო-
კუმენტური სიზუსტით აღბეჭდოს სიტყვაში ეს
სახეები ძველი და ახალი სამყაროს გზა —
გასაყარზე.

ჩემს წინ დგას კაცი.
სახე დაუმეწყნელი კალენკორია,
რომლისაც სიკვამლე წვიმა.
მეორე ამ ყინვაში დგას
ჩითის პერანგისმარა.
და ის ისე ემყოფილია
თითქოს ხავერდი ეცვას.
კანკალეს
მაინც ემყოფილია.
მაინც ჯიბეში აქვს
ფული: ოქრო და ვერცხლი.
მესამე:
თითბერის სახით.

სიღიძნის ხელებით,
ნატყვიარი შეშლით,
დაკარგული თვალბით
ღვას ფოლადივით...

გრაფიკული სისხარტით მოხაზული ეს პოეტრეტები პოემაში აღწერილ ამბებს ორგანულად ერთიან და ფართო ტილოზე, როგორც ვრცელ კომპოზიციას, მკაცრად გამაზნული ადგილი უჭირავთ. ისინი არ იყარვებიან პოეტის თვალთახედვიდან, დიდი ამბების ნიჟარას მიყვებიან, აღთქმული ქვეყნისკენ აჩქარებული ნაბიჯებით მივშურებიან. მათი ბედო, მათი ცხოვრება მომავალშიც განვითარდება „ეპოქასა“ და „პატიფიშმა“, სადაც პოეტი კვლავ რევოლუციის დიდ თემას აღრმავებს ახალ ისტორიულ ეტაპზე. არა მზამზარეული დოქტრინის მეშვეობით, არამედ საკუთარი სულიერი წინააღმდეგობების დამლევით, რთული პიებებით, თავისი დაკვირვებითა და აზროთი მიღის პოეტი ახალი სამყაროს სტიქონული დაზადების რთულ პროცესებთან. პოემაში გამოხატულებას პოელობს მრავალნაირი ადამიანის ისტორიული ბედი. რევოლუციის ცენტრიდანული ძალა თავისივე იზიდავს უთვალავი გზებით ცხოვრებაში მიმავალ ადამიანებს, პროტარს, პოეტს, ჯარისკაცს თუ მუხღვაურს. საერთო არტულობაში პოეტის თვალს შეუმჩნეველი არ დარჩა საეკვო ელემენტების მედროული ფესფესი, ამღერებულ წყალში თევზის დაპერის სურვილით შეპყრობილი რეციდისიტები, ცალთვალა ჯარისკაცი, რომლისაც ფირაჯის ქვეშ უპოვეს „უღამაზესი ქალის ხელი მაჯაში გადაქრილი, თითები ოქროს ბეჭდებით, ბრილიანტებით“. პოემაში თავიდანვე ჩნდება წინმსწრადი მატარებელი; სტრატეგიაში იჭრება „მატარებლის რიტმი“, მისი დაუღევაარი კვილი ეღება აჩრებ და ამ თვღვათქმებულ ქროლოვაში იცელებიან სურათები. მატარებლის სახე სიმბოლურად ზოგადდება, უფრო გვიან იგი გადაიზარდა სახეში: „რევოლუცია— ისტორიის ლოკომოტივი“.

გალაკტიონი, „რევოლუციონ ნერვით ლირიკოსი“, თითქოს დავიდა სინამდვილის პროზულ აღქმამდე, ბელეტრისტულ დეტალზაკიამდე. ამნაირი ფორმა „პოეტური პროზისა“ თუ „პროზული პოეზიისა“ თანდათანობით ფებს იკედებად ამ დროის ბევრი პოეტის მხატვრულ სამყაროში. ერთი შეხედვით ამნაირი მანერა თითქოს პროზისა და პოეზიის აღრვეას გული-სხმობდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ გზით თანამედროვე პოეტური ეპოსის ახალი სტილი მუშავდებოდა. ამ მხრივ ტაიურ მოვლენას წარმოადგენდა „ჯონ რიდის“ და „ეპოქა“ გალაკტიონ ტაიძისა, „ღრუბელი“, „ამის შესახებ“ — ვლ. შიაკოვისისა და სხვა მრავალი. შემდეგში ეს ხაზი კვლავ შემობრუნდა კლასიკური პოეზისკენ, „ღრუბელის“ ავტორი უფრო ეპიური გახდა პოემებში „ლენინი“ და „კარ-

გია“, ზოლო „ჯონ რიდის“ ავტორი თავის უკანასკნელ ვრცელ ტილოებში „რევოლუციონის წიგნი“ და „ეპოქა წერეთელი“ კლასიკურ მხატვრობის მასშტაბებს უბრუნდებოდა.

მაგრამ ეს არ იყო უკან დაბრუნება, შემუშავებულ მხატვრულ პრინციპებზე უარის თქმა. პირიქით, ის, რაც მეოვე საუუუნის პოეტია ამ დანერგა თანამედროვე პოეზის სტრუქტურაში. მომდევნო წლებში უფრო იხევეუბოდა, რაფინირებულ სახეს იღებდა. და კვლავი ეს არა მარტო ამა თუ იმ პოეტის მხატვრული ინდივიდუალობით განისაზღვრებოდა, არამედ ეპოქის სტილის, საერთო გემოვნების, მხატვრული დონის შედეგიც იყო.

მ. გორგი ლარისა ბარისშვასაღში მიწერილ ერთ-ერთ წერილში მიუთითებდა:

«Вы очень плохо знаете тот язык стиха, который выработан Брюсовым, Блоком и др. поэтами 90—900 гг. В наши дни нельзя писать стихи не опираясь на этот язык!».

ეს მოსაზრება პოეტური ეპოსზეც ვრცელდება. გამოცდილება პოეტური ეპოსში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც რეალისტურ ხელოვნებაში ცალკეული ტალანტების მხატვრული ინდივიდუალობის სფეროში დაგროვილი მიგნებებით, ისე საერთოდ მოდერნისტული მიმდინარეობებიდან შემოქმედებითად გადაშუშავებული პოეტური ფორმების დანერგვის გზით. „ჯონ რიდის“ ავტორი ვრამზობდა პოეტური ხელოვნების ამნაირ სახეცვალუბადობას. მართალია, მას შემდეგ სხვა ლირიკულ პოემებში არ ვაუშვოვრებია „ჯონ რიდის“ „ღარღვეული ფორმა“, თხრობის ქაოტური მანერა; პირიქით, მისი უკანასკნელი წლების ლირიკული პოემები, რომლებიც მან „დაბრუნებების“ ციკლი გააერთიანა, კერძოდ „ელღუჯას დაბრუნება“, კლასიკური ეპოსისათვის დამახასიათებელი ეპიური სინათლით, თხრობის უბრალოებითა და სურათოვნებით ხასიათდებოდა. შინც „ჯონ რიდი“ პოეტის მრავალფეროვანი სტილისტური მიგნებების ფონზე საინტერესო მოვლენა იყო და ლირიკოსის მრავალნაირ შესაძლებლობებზე, ეპიურ აზროვნების უნარზე მკაფიოდ მეტყველებდა.

ეს პოემა იმითაც იყო საყურადღებო, რომ პოეტმა, მართალია, ჯერ კიდევ ბუნდოვნად მაგრამ მაინც ჩამოაყალიბა თავისი პოეტური რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში. „ჯონ რიდის“ ფინალში მან ხაზი გაუსვა მეზრძოლი ეურნალისტის, „რევოლუციის პოეტისადმი“ უსაზღვრო პატივისცემას, სიყვარულით მოხსენიანა წითელ მოედანზე დასაფლავებული ჯონ რიდი, „რომელთან ერთად განიცადა რევოლუ-

1 ციტატა ამოღებულია ვ. პერცივიან წიგნიდან: გვ. 167, 1957 წ.

ცია" და მთელი პოემის პათოსი, მეტროპოლი
სული გამოხატა სტრუქტურებში:

მთელი სიმწარე მოვლენების
და მთელი სიტყვა,
რომ ეს სიტყვა
უნემოდ არ ჩატარებულა...
ო, რა თამაშად
ეცხლისკენ ველიდი...

1928 წელს ერნანო „მნათობში“ დაიბეჭდა
„ეპოქა“. „ჯონ რილის“ მსგავსად არც ეს პოე-
მა იყო აგებული კლასიკურ პრინციპებზე. სა-
ერთო განწყობილებითა და თემით შეჯავ-
შირებული ლირიული ლექსები პოეტის სუ-
ლიერ ბიოგრაფიას ცხადყოფდა, ახალი ცხოვ-
რების დამკვიდრების მძლავრ სიმჭონიად
ვლერდა. „ქაოსიდან გზებზე გასვლა“ ამ პოე-
მის ინტონაციასაც მკვეთრად დეტყო. კვლავ
თავი იზინა პოეტის! შელოდიერმა ბუნებამ.
„ეპოქა“ ცხადყოფს პოეტის უახლეს დამოკი-
დებულებას რევოლუციურ სინამდვილესთან,
მისთვის უკვე უცხოა ინტელიგენტური ორტო-
ფობა: „თუ დღეს რამ არის გაუგებარი, ხეალ
ნათელივით იქნება ცხადი“. პერსპექტივის ასე-
თი გრძნობით იწყება პოემა და უოველი ნაწილი
ნაწარმოებისა აღსავსეა უდიადესი ეპოქის
გრანდიოზულობის შეგრძნებით. „ააყირავეს
ეს წელი ათი ათასი წლის ისტორიას“ — ლე-
იტმოტივად ვლერს მთელს პოემაში.

„ეპოქას“ არა აქვს მკაცრად გამოზნული კო-
მპოზიცია. ეს პოემაც გააზრებულა, როგორც
ლირიული ისტორია რევოლუციის ათი წლისა.
პოემა იწყება იმ დღეების მოგონებით, როცა
პირველად დაიბნა გაყვნილ სივრცეში ავარ-
დნილი ეცხლის ალი. უკვე შორეული გამხ-
დარა ის დღეები პოეტისათვის, როდესაც ამო-
ბოქრებულა ზღვით იგი სამშობლოში ბრუნ-
დებოდა რევოლუციით ანთებული, შთაგონებუ-
ლი. „როგორ შორსა ვართ იმ ნაპირისგან, ვე-
მზე პირველი გზით რომ ავიდით“. პოემის გმი-
რის სულიერ ყოფაში რამდენიმე წელიწადმა
ასეთი ქარიშხალი დაატარა, რასაც მყუდრო
ცხოვრების მოყვარულ ობიექტულა ათი თა-
ობაც, ერთად აღებული, ვერ რგრძნობდა, ვერ
დაიბეჭდა. დამახული სულიერი ცხოვრების ეს
უნეველო ენერჯია გამოხატულა პოემის
სტრუქტურებში, დამუხტულია დიდი ენებებით,
კონდენსირებულია ლირიული მონოლოგების
სახით. კლასიკური გაგებით „ეპოქას“ არა
აქვს დასასრული. იგი სინამდვილის თარგზვა
მოჭრილი და სადმე ფინალური წერტილის და-
სმა პირობითი რამ არის!

ეპოქა დამთავრდება
მსოფლიო რევოლუციის
შობდენის დღესავე,
მე მისი გული ვარ
და მონათესავე.

პოემის პირველი ნაწილი იმპერიალისტური

ომის სურათებით იწყება. „ჯონ რილისთვის“
დამახასიათებელი ფრაგმენტებში უმნიშველი-
ლის ქაოტური განცდა და უკონტროლო გეგმა-
ნტულობა აქ იცვლება მეტი ეპიური წესრიგით,
მეტი სინათლითა და თანამიმდევრობით. პოე-
მაში წამოიშართება „სამბრალო ჯარისკაცის,
დაილილი ჯარისკაცის“ ფიგურა, ტრანშეების
ჯოჯოხეთის, სიცივისა და შიმშილის საშინე-
ლება. „დახეულ ჩექმებს, დაღრღნილ ფარ-
ჯებს, დაკეთილ ქედებს, ქარის და ყინვის
ფრთა უდარაჯებს და გულს ამტუტებს...“
და პირველად ფიგურის სტენებში იჭრება ახა-
ლი ეპიური ელემენტი — დიალოგი. ამ მხრივ
პოემის დასაწყისი („იგი — ომია“) მეტად სა-
ინტერესოა და თავისებური. „ჯონ რილში“
ტენწაღ მოხაზულა, თითქოს თვალის ერთ
მოკერით დანახული ჯარისკაცთა ლანდები აქ
ეოცხლებიან, ხმას იღებენ, ეპიური სიციცხ-
ლით ეოცხლებენ:

- განა ეს არის ტანისამოსი?
- მხოლოდ ზურები.
- ამ შეომარი ბედის ნამუსი...
- გამოკარება?
- დატბრილულა ფარაჯის ტევა,
- ტყეების ღროა.
- სადაც კი ვაქვები, იქვე ირღვევა,
ისე ვიწროა...
- რა დაგმართია, კოკობო, მშობილო?
- ვუვდები იარით.
- აბა რამდენი გზა კარპატების
გამოვიარეთ.
- მეუ რა ეუდი და გრძელი გზები,
- ტალახი, ბანდი.
- შენც ხმა ვაგებელია, დაბრინწიანდი?
- დაეზრინწიანდი...

ჯარისკაცების ამგვარ დიალოგებს პოემაში
მეტი დინამიკა და ეპიური ელერადობა შეაქვს.
დაწყვეტილ საუბრებში დროდადრო შემოიჭ-
რება ხან ჯარისკაცის ნაღვლიანი სიმღერის
მოტივი, ხან მოგონება შორეულ სოფელზე,
მიტოვებულ ქოხებზე, ზურებზე, მარტო დარჩე-
ნილ დედაზე. გააძლუებული ჯარისკაციული
ცხოვრების ფონზე დედის სახე პოემის ერთ-
ერთ შთავარ პასაჟად იქცევა, რეალისტური სი-
ცხადით და სიმართლით იხატება. ჯარისკაცე-
ბის და შეულის მძებნელი დედის შეხვედრის
ეპიზოდი პოემაში დიდი ემოციური ძალის
შემცველია და ომის ტრაგედიის განზოგა-
დებულ სურათად აღიქვება:

დიდი ხანია არ მიმილია
მისგან წერილი;
დარდებით გული
მაქვს დასერილი.
მოკვდი, ეეწამე!
ტანზე ფარაჯა ძველი აცეა
რუხად ნაფერი.
ერთი საწყალი ჯარისკაცია,
სხვა არაფერი.



- არა, დედი, არ გავვიგონია.
- არა, სწორებით...
- დამაყა, ეცნობდი სადღაც შგონია,
- იქ... მოშორებით...
- ვინ იყო? სიღან, ან რა კაცია,
- ვინ და რაფერა?..
- ერთი საწყალი ჯარისკაცია,
- სხვა არაფერი.

არა ერთი, არამედ მრავალთაისი ადამიანის ბედი დგას პოემის ცენტრში. მას უპირისპირდება განდიდებულთა კასტა, რომელიც იმით გაწამებულ ადამიანთა გვერდით განაღებულ ოთახებში უახრო მზიარულებას მისცემს:

„შევეცვიან უძველეს ლეონს, ლეონოს და ბანქოს, ვიღაც ამდერებს ძველ პიანინოს, როგორც უმანკოს“. ერთმანეთის პირისპირ ღებვა ორი სამყარო, „უწინარი ფრონტი“ თანდათან საგრძნობი ხდება. კასტანეტებით მოცეკვავებ მთვრალი ქალების გააფრებული ცეკვის სიმბოლურ სახეში საშინელ ინერციაში გადასული ომის — მსოფლიო კომპარის“ სურათია გაცოცხლებული. პოემის ამ ნაწილი უკვე გაზოკვითილად იჩენს თავს ომის საწინააღმდეგო პროტესტის მოტივები, რომლებიც პოეტმა შემდეგ „პაიფოტში“ გააღრმავა და განავითარა.

„ჯონ რილისგან“ განსხვავებით, „ეპოქის“ უოველი ნაწილი რთული რიტმული ვარიაციებით, მრავალნაირი მელიოდებით ხასიათდება. ფართოდ დანახული გარემოც უფრო კონკრეტული ხდება. პოეტის ხმაში ფოლადი ეღვრის. მისი გრძნობები, იმედები ახლა უფრო განმტკიცებულია ეპოქის მამოძრავებელ ძალთა მოლოწიერებით. ეპოქა რომელიც „იშვა და გაიხარდა სამოქალაქო ბრძოლების რყალში“, აღამიერების წინაშე აყენებს უთვალავ კოხტვას, ფრთას ასხამს ახალ ოცნებას, გაბედულ აზრს, განახლების მიზანს. „მთაწმინდის მთვარის“ მწუხარე შექვით ოდესღაც განათებულ გარემოში პოეტის სული უკვე ვეღარ შეგუდება ინერტულ, სედიან ცხოვრებას, თავის ოთახში გამოკეტილ ოდესღაც საყვარელი ქალისა, მის ათარ იზიდავს მენჯი ფარდებით დამრდილულ ოთახში სავარძელს მიწოდობილი ცივი სიღამაზე. „ციცფერი, ეინულით“ ცივი თვალები, გრძელი თითები და ხელები თეთრი, ვით თიხა“, რომელიც ოდესღაც თოვლის უდაბნოში შორეულად ეზმანებოდა („თოვლი“). ქვეყნის ამებში აღლვებულ პოეტის სულს უკვე აღარ ხიბლავს მუდღერო ოთახის იდილია, ნისლიან ამინდში „თბილი ნათება ბუხრის, ღრმა სავარძელი და კომფორტი“. მას უცნაურად აღიზიანებს სავარძელს მიწოდული ღამაში ქალი „წინააღმდეგ პოეტების საყვარელ წიგნით“, რომლის „ცხოვრებაში ყველაფერი ისევ მშვიდი“ა, ყველაფერი მიდის რამანტიკული სიზმრებით, „ღურჯი მთვარის გზებით“. ამ უკვე ხმას იმაღლებს პოეტი — მოქალაქე, რომელიც „ციც, რომ ბევრი რამ ხდება მუდღერობა-

ში ჩაბირულ ოთახებს იქით. ოდესღაც ფანჯარების ფარდებიდან ქუჩებში შეცქერალო წიგნები ახლა იმავე ქუჩებიდან უცქერს მსოფლიო ჯრებს:

გამორეკვიეთი
 ყველაფერი ისე როდია,
 როგორც სიმშვიდის
 და სისმრტების ავტორს ჰგონია.
 შეხედე: იქნებ
 მთვარის შუქში ესლა მოდიან
 სოციალური
 გამაფრება და ავონია.

პოეტი ახალ ჯანსაღ, მიწიერ სიყვარულს შეეგება. დამთავრდა ვხაჯვარედინებზე უოფნა, „ახალ სიციცლით“ ავსო ხელოვანის სული და მან შეიგრძნო ქვეყნად შეორედ დაბადების წარგადასული სიხარული. „პოეტი, ახლა ვამდგარი ვანზე, დროგადასული და მოხეცია“. აქედან უკვე პოემაში მშენებლობის გენია იწყებს ამტყუველებას, სტრუქტურებში მკვიდრდება სულწაღმვლი „რკინის რიტმი“, რკინის ელვარება — „კვლავ ყველაფერი სუნთქვია რკინის“. ასე იჭრება პოემაში ინდუსტრიის თემა, რომელიც ოცდაათიან წლებში უკვე კონსოლიდირებულ ქართული მწერლობის ცენტრალურ თემად იქცა. ვალაკტიონის უბადლო ლირიკული ბუნება, ერთი შეხედვით პოეზიისთვის უცხო საკვებს პოეტურ განათებაში იძლეოდა. „ლიანდაგების ძახილი“, „ტრიონალი სემიფორების“, „შორი ძახილი საღვრებისა, მსოფლის, შეხვედრის და განმორების“ თავისებური „უხეში სიღამაში“ ჩნდებოდა პოემაში. გურქვეველი ნისლით მოცული ქალაქი ახლა მას ფერადი შეშების მრავალნაირი ელვარებით ხიბლავდა. მუველების ქუჩის ერთ-ერთი, უზარმაზარ რეზერვუარების დგანდგარში, როტაციონის ხმურში პოეტს ესპის ახალი ცხოვრების იმედიაჩი ხმები და სადღაც წარსულში საშუდამოდ მიეკანება „უცხო ფარდები, უცხო მდგმრები, დაუცხრომლობა გრამაფონებისა და გაკრეცილი გრავიურები“.

პოეტ-ლირიკოსის ბედაც გადავდა ახალი სინამდვილის ეპიურ აღქმაში. ვაფართოდება პოეტის მხედველობის არე, საგრძნობლად შეიცვალა მისი დამოკიდებულება „უწინდელ ღმერთებთან“ — ფრანგ დეკადენტებთან. გოტიეს, ვერლენს, ბოდლერს იგი ახლა უკვე „გარდასულ მწერლებს“ უწოდებს, მათ მისართ ისეთივე პოზიცია უჭირავს, როგორც ვლ. მიაკოვსკის თავის „ვერლენსა და სუზანში“. ახალი ღრობის გრძნობა პოეტის სამყაროში ურყვე კრედოდ ყალიბდება: „მოაქვს ახალი ქროლვა სამოქალაქო მოტივს“. მისი სახეების სისტემიდან თანდათანობით ვადის აირინჩილი ტყეები, უდაბნოს უფერულება, შემოდგომის მწუხარე ბურუსი. საშუდამოდ ტოვებს პოეტის შთაგონებას „გამორეკვიველ ბინდის და

მისტიციზმის მხარე“, ყველაფერი იყვება მზით, გაზაფხულის მხიარული ფერებით. „ღა-
 უცხო მოლობა გაზაფხულისა და ფერადების
 აშადრევენება“ მთავარ განწყობილებად რჩება
 სტრაქონებში. „მეტე სისწრაფე, მოძრაობა და
 ენერჯია“ ცვლის უწინდელ პასიურობას, და-
 ლილობის შეგრძნებას, ასეთი მკვეთრი მე-
 ტაფორაზე ხდება პოემის ლირიკული გმირის
 ხასიათშიც.

ახალი ცხოვრების შენების თემა იჭერს პო-
 ემის ცენტრალურ ნაწილს. აქ თავს იჩენს გა-
 მომსახველობითი ხერხების უჩვეულო მრავალ-
 ფეროვანება, რთული ინტონაციური ფორმე-
 ბი, რომლითაც გალაკტიონი იმდროინდელ ქარ-
 თულ პოეზიას ნოვატორად ვეღონებოდა. პოე-
 ტი ცდილობდა ყოველი ახალი განწყობილები-
 სთვის გამოენახა შესატყვისი მელოდია, ლირი-
 კული სახეებისათვის აედევნებინა ორგანული
 „მუსიკალური თემა“. აქ შეეცვლია, როგორც
 საერთო პათოსი, ისე რიტმი. რიტმს გალაკტი-
 ონი განიცდის ლექსის შინაგან ენერჯიად.
 სტრაქონებში გადადიოდა განახლებული საუ-
 ვუკუნის რთული მოძრაობანი. მეორეს მხარე,
 რთულ რიტმულ გადასვლებთან ერთად თავს
 იჩენდა კონტრასტული სახეები, რაც ძველსა
 და ახლის შეპირისპირებას ემყარება:

ოთქმავალი სტევენს, შენ კითხვობ
 ტვენს.

გადაადგე ის. ვაიხედე წინ...
 ბუნჯის შარფივით ბოლს ორთქლმავალი
 ჰვენს
 და გაისმის თან: რა-რა-რა-რა-ა, ძინი!
 ასწლოვანი ზე გაუბია მებს,
 ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს.
 შეგვიძლია ჩვენ გზაზე ვაეყვით ვლავს,
 მის ზრუნვას და ფიჭის უბოლოოდ შორს.

ქართული პეიზაჟის განცდას, პარაზონიულ
 ფერწერას აქ ორგანულად ეხამება ცხოვრების
 ტექნიკური ვარაქმნის გამომსახველი სტრა-
 თები. მშობლიური ფერების განცდა არ ვაუ-
 ხეშუბელა „რკინისა და ელექტრონის“ საუ-
 კუნის ახალი ხმებით, სახეებით. „ღამინდელი
 ქლავისფერ“ მთების, არაგვის კალების,
 მტკერის ნაპირების თუ შთაქმინდის ფონს შე-
 ვწყო, შეეხამა ოთრქლმავლებსა და ელსა-
 დგურების რომანტიკა. განახლებული კოლხი-
 დის პანორამა პოეტმა შორეული პრეისტორი-
 ული ასოციაციებით გააცოცლა, მინდვრებს
 შეჩვეული ადამიანები „ახალი დროის არგო-
 ნაეტებად“ დაგვანახა. შზის შექმა, შზესთან
 დაკავშირებულმა სახეებმა იმატა პოეტის პეი-
 ჯაჟებში.

შენებლობის თემის ლირიკულ-ეპიური და-

მუშაუბებისას გალაკტიონი უკიდურესობაში არ
 ვარდებოდა, ფორმალისტურ ხმედრს და უც-
 ნაერთობას არ მიეღებოდა, პოეზიისაგან და-
 ლილ მშრალ პოეტურ სქემებს როდი ეჭმინდა.
 „ლირიკული სტლის“, პოეტური ბუნების შენა-
 ჩუნება მას შემოქმედებაში გადაუღებულ ამ-
 ოცანად მიიჩნდა და მშრალი, ემოციისაგან
 დაკლილი სტრაქონი ჰირსიდულსავეთ ევაგერ-
 ბოდა. თვითმფრინავს, რადიოს, ტელეფონს თუ
 მტარებელს გალაკტიონი პოეტური კუთხით
 აღიქვამდა. იგი ღრმად განიცდიდა ეპოქის გრა-
 ნდიოზულობას: „ჯერ დაუძრავი მალაღი მთე-
 ბი უცდიან ახალ მიქელ ანჯელოსო“, წერდა.
 უფრო გვიან პოეტი ყველა უჩიოდა თავისი პო-
 ეზის „ლირიკულ სიეიწროვებს“, მთელი არსე-
 ბით გრძობდა „ეპიური საუცუნეს“ და ამბობ-
 და: „ჩვენი დრო ახალ რუსთაველს ელისო“. „ეპოქის“
 ფინალში ელ. მიაიკოესკის მსგავსად
 გალაკტიონიც გაესაუბრა „ტეოდორ ნეტეს“—
 ხომალდს და ადამიანს, კიდევ ერთხელ შე-
 ვხმინა „სსოენის დაყარვულ ფენებს“, წარ-
 სულის ტალღებით დაფარულ „ნანგრევებს,
 ღიღებს, იღვებს, სქემებს“, „ბრძოლის სიმ-
 ლერა“ აღიარა მთავარ მოწოდებად და პოე-
 ტებში გადასროლა „გენილური უკვდავი ტე-
 მა“. „ტლანჭი ფერიის“ მსხვერპლად მოტანი-
 ლი სიმღერების საპირსპიროდ სიტყვის ოსტა-
 ტებს იგი სამოქალაქო მოტრევეის ერთგულე-
 ბას მოუწოდებდა და ოცნებობდა შეექმნა
 „პოემა ახალ დიოსკურიის“, რომელშიც ისეთი
 იღვმელი გზები გადასწებოდა, რომ „ღამარ-
 ბლებოდა თეთონი ედგარიც“ (იგულისხმება
 პოეტი ედგარ პო — ვ. ხ.).

ამნაირი განწყობილება ვასდევს „ეპოქის“
 უკანასკნელ თავებს, რომელიც პოეტმა ცალკე
 ლექსებად დაჟყო შემდეგ. „ელექტრონის სა-
 უკუნის“ რეალისტური გამოხატვისათვის გალა-
 კტიონი არ მოარიდებია თითქოს ნაყლებ პოე-
 ტურ ტექნიკურ ცნებებს და ტერმინებსაც. „ბა-
 ტრავა“, „რონდა“, „ენტილტორი“, „ღინა-
 მო“, „რკინიგზა“, „ტრამვაია“, „მექანიკური სა-
 ზომები, ზელსაწყობები“, „ლიფტები“, „ელექ-
 ტრონულ საკონტროლო აპარატები“ და ა.შ.
 აქ იგი ზომიერებას იცავდა, ურბანისტულ-
 ტექნიკურ უკიდურესობებში არ ვარდებოდა.
 პოეტისათვის მარად ძვირფასი მშობლიური
 ბუნება — აღსაყვ ამოუწურავი ფერებითა
 და ხმებით, მისთვის მარადუკნობ შთაგონებად
 რჩებოდა, ახალი ცხოვრების ხმებითა და სა-
 ხეებით იყვებოდა, მრავალფეროვანდებოდა.
 გალაკტიონმა შესწლო ორგანული სინთეზი მო-
 ეხდინა კლასიკური პოეტური ფორმებისა და
 სრულად ახალი სახეებისა, რასაც ვარაქმნი-
 ლი ცხოვრება წარმოშობდა.

მედიკალინური

ვაჟა-ფშაველა და რევოლუციური მოძრაობა ფშავ-ხევსურეთში

ვაჟა-ფშაველა თავისი პოეტურ-პუბლიცისტური შემოქმედებითა და პრაქტიკული საქმიანობით მკიდრად იყო დაკავშირებული ცხოვრებასთან, იბრძოდა ხალხის ბედნიერ მომავლისათვის. თუ პოეტურ ქმნილებებში ვაჟა უმღეროდა ეპოქის მოწინავე, საკაცობრიო იდეებს, პუბლიცისტურ წერილებში და პრაქტიკულ საქმიანობაში იგი ნიღაბს ჰგლეჯდა თვითმპყრობელობის მიუროკრატისა და ვერაგობის.

ვაჟა-ფშაველა პრესის ფურცლებზე გამოამხეტრდა მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წყალობით კულტურასა და განათლებას, ცასა და ქვეყანას მოწყვეტილი ფშავ-ხევსურეთის საეკლესიო ყოფა-ცხოვრება. XIX საუკუნის ბოლოსათვის ტყისა და სათიბ-საძოვრების სარგებლობის ავტანელმა პირობებმა, იჯარის ქირის ხუთჯერ გადიდება ფშავ-ხევსურები განსაძვლავდა ჩააგდო. მთავრობის სახელზე დაწერილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში თიანეთის მახრის უფროსი კამიტანი ლეონტივე წერდა: „პირადად ვიცი, რომ გლეხთა ზოგიერთ სოფელში ხაშორის განძავლობაში ოჯახის წევრები დღეგამოშვებით და ზოგჯერ ორ დღეში ერთხელ ჰკამენ პერს, ვინაიდან მათ საკუთარი პური არა აქვთ და ოჯახს არჩენენ შემთხვევით გამოშვებულ თანხით“¹.

ფშავ-ხევსურეთიდან მიღებულ ასეთ და ამის მსგავს ცნობებს მეფის მთავრობა დუმილით უვლიდა გვერდს. ასეთ ვითარებაში მოიღუპები ხელდადნენ, რომ „ხელმწიფესთან ქაღალდების გზავნით“ ავტანელ ყოფის ბოლო არ მოეღებოდა. ადამიანური ცხოვრების მოპოვებისათვის საჭირო იყო მეფის მთავრობის დამხობა და ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უღლის გადაგდება.

პოეტი ცდილობს დაეხმაროს ჩაგრულ ადამიანებს, ცხოვრების უკუღმართობით დაბუჩავებულებს. ვაჟა ასეთი დამაგრული ადამიანის შესახებ პრესაში წერდა: „ამ საბარალო არსებობის ცხოვრება ოღონდ კი ვაგაუქუქესო და სიცოცხლეც არაფერია ჩემთვის, იმის გულისა-

თვის სიკვდილი სისიამოვნოა, საამაყო თავმოსაწონებელია ჩემთვის“¹.

ვანა მარტო სიტყვით, 1905 — 1907 წ. წ. რევოლუციის პერიოდში ვაჟამ საქმით დაამტკიცა ეს სიტყვები. როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველა აღფრთოვანებით შეხვდა რევოლუციის და მთელი შეგნებით ჩაება მისი საქმიანობის ბრძოლაში. 1905 წელს, როცა რევოლუციამ იფეთქა, ვაჟა ამ ისტორიული მოვლენის შესახებ „ივერიაში“ წერდა: „მოთმინების ძაფი გაწყდა, აღარ მშალავს მშვიდი — სიმშინის, ნაცემი — ცემას, ტყვე-ტყვეობას, მონა — მონობას. ბაღვლებამ კი შეიგნეს თავიანთი ადამიანობა, ისინიც იბრძვიან, იღწვიან; ცდილობენ ადამიანური უფლებები მოიპოონ“² სწორედ ამ ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად გახდა ვაჟა რევოლუციის საქმის ერთგული. ამ მიზნით ჩაუდგა იგი სათავეში ფშავ-ხევსურეთის რევოლუციონერ-პარტიოტებს. სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ 1905 — 1907 წლების რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, ფშავ-ხევსურეთში, დუშეთისა და თიანეთის მაზრებში პირველი რევოლუციური გამოსვლები ვაჟამ მოაწყო, იგი იყო გლეხთა კრებებზე მიღებული დეკლარაციებისა და ფიცის ტექსტის ავტორი. უფრო მეტიც, ვაჟა ფშავ-ხევსურეთში რევოლუციური რაზმების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო. როცა გლეხთა მასობრივი გამოსვლები დაიწყო ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკისა და გორის მაზრებში, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მგზნებარე პროპაგანდისტული მუშაობა გაიშალა დუშეთისა და თიანეთის მაზრებში. ფშავ-ხევსურეთში ამ საქმეს მაშინ ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა ზაზანა ხელმძღვანელობდნენ.

ვაჟა-ფშაველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ რუსეთში დაწყებული მოძრაობა, რომელიც საქართველოსაც მოედო, სასურველ შედეგს გამოიღებდა, რომ იგი დაამსხვრევდა

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, 1956 წ., გვ. 196.
² იქვე, გვ. 272.

ქველ. დახავსებულ წესწყოზიღებას და მშრო-
მელებს ხსნიდა კოლონიური ჩაგვრისა და
არადაზიანური ექსპლოატაციისაგან. სწორედ
ამიტომ ჩაება ვაჟი რევოლუციური საქმიანობა-
ში, რომ ერისათვის სასახური გაქვია. ლექსში
„მგოსნის სიშვერა“ იგა აღტაცებით ამზობდა:

დიდება უფალი, რაჟი შევიძელ
კვლავ სასახური ზევისა ერისა,
დახაგრულების გამოსარჩლება,
გათახსირება იმის მტერისა.

ვაჟის თანასოფლელი და მეგობარი ოსა ზე-
რანაშვილი იგონებს: „იპიონისთან ომში და-
მარცხების შემდეგ რუსეთში გამოათვისოფლედ-
ბელი მოძრაობა დაიწყო, რომელიც საქართვე-
ლოსაც მოედო, მათ შორის ქართლის მთიანე-
ოსაც. კარგად მახსოვს, რომ ფშავ-ხევსურეთში
ერთობის შესახებ პირველი გამოსვლები ვაჟამ
მოაწყო. მოვიწიეთ მთელი ფშავის ხეობის
კრება, ხალხს მოწოდებით ვაჟამ მიმართა. ფშა-
ველებმა ხმაზე დაიწყეს, რომ სისხლის უკანას,
ქველ წვეთამდე იბრკოლებდნენ თავისუფლები-
სა და დამოუკიდებლობისათვის, კრებაზე ვაჟამ
თავისი სიტყვა ლექსით დაამთავრა:

დაბერდა ლომი, დაბერდა,
კლანძებსა ხმარობს ველარა:
დადგა შეუდრეკს ძაღსა
ეამთ ეთიარების ბეგარა.

რევოლუციის დღეებში მართლაც ზღვასავით
ბობოქრობდა ფშავ-ხევსურეთის ხეობაში მომ-
წყვდულო ვაჟა. ვერ მოვისვენებ, სანამ ნიკო-
ლოზის მთავრობას ძირს არ ჩამოვაგდებთო,
ეტყოდა თურმე ხშირად ვაჟა ოსას. რევოლუ-
ციის საქმიანთვის იგი იძულებით გლეხისი
მსახურთაც კი იყენებდა. როგორც თამარ რა-
ხიაშვილის მოგონებიდან ირკვევა, 1905 წლის
გაზაფხულზე ვაჟამ ჩარგლის მღვდელ გიგი
სონდელაშვილთან ერთად შემოიარა ეინვალი,
მღაროსკარი, შუაფხო, უკანაფშავი და გლე-
ხთი მღვდლის თანდასწრებით რევოლუციის
ერთგულებაზე დააფიქრა. სოფლის მოხელეებმა
ეს ამბავი მეორე დღესვე აცნობეს თიანეთის
მხარის ხელმძღვანელობას. ზომების მისაღე-
ბად მხარის უფროსმა სასწრაფოდ გამოიძახა
პრისტივი ოზიაშვილი და დაავალა წაეყვანა
ფშავში შეიარაღებული ასეული და ვაჟა დე-
პარტიზებდა. ოზიაშვილმა დავალების შესრუ-
ლებაზე მხარის უფროსს უარი განუცხადა, თუ
გინდ ამ წუთში დამხვობით, მაგას შე ცოცხა-
ლი თავით ვერ ეიზამო. ოზიაშვილმა იცოდა,
რომ ვაჟის წინააღმდეგ გალაშქრება სიცოცხლის
ფასად დაუჯდებოდა და ძალღერ სიკვდილს
ასევე მხარის უფროსის რისხვა არჩია.

შეიარაღებული ასეულის გამოწინის მოლო-
დინში. ფშაველ ახალგაზრდებთან ერთად, ტყეს
შეფარებული ვაჟა ორი კვირა ელოდა თოფით
ხელში მტერს. მაგრამ ამოღ: გლეხთა მღელ-
ვარებით დაშინებულმა მხარის უფროსმა ვერ

გაბედა ფშავში „სტრავინიკების“ გაგზავნა და
ვაჟის დაპატიმრება.

ერკვენული

ფშაველებსა და ხევსურებს უყვებოდა ვაჟა
არა მარტო, როგორც დიდი პოეტი, არამედ
ამავე დროს, როგორც გამბედავი და თავისუფ-
ლებითათვის დაუცხრომლად მებრძოლი ვაჟა-
ცი. ამ მხრივ კიდევ უფრო ამაღლდა ვაჟის
ავტორიტეტი რევოლუციის წლებში. ფშავე-
ლებსა და ხევსურებს ვაჟა და სიმაართე გა-
ნუყრელად ჰქონდათ წარმოდგენილი, მისი
სიტყვა კანონი იყო ყველასათვის. ვაჟა ხელ-
მძღვანელობდა ხალხს და ხალხი მფარველობ-
და ვაჟას. როცა ვაჟა ხალხში სიტყვას ამბობ-
და, მთავრობის მოხელეები იმაღლებოდნენ. სწო-
რედ ასეთი საქმიანი გამბედელებისათვის მთი-
ელეებმა ვაჟის „ფშავის ლომი“ შეარქვეს სახე-
ლად.

რუსეთ-იპიონის ომის წლებში, როცა ვაჟამ
ფშავ-ხევსურეთში გააძლიერა მთავრობის საწი-
ნადმდებო პროპაგანდა და მთიელთა ხელმძღვ-
ანლობა ხეროთ აიღო, სოფლის მოხელეთა თაის-
ნობით ხალხში დაიწყო მოქმამოთქმა, ვაჟა
ფშავ-ხევსურეთში მეფობას აპირებსო. საქმე
იქამდე მივიდა, რომ მოლაყებთა ერთმა გგუფ-
მა აიყოლა ზოგიერთი ფშაველი და გადაწყვი-
ტეს ვაჟას მოკვლა. ეს ამბავი ვაჟამაც გაიგო,
მაგრამ შეთქმულებამ ვერ შეამინა „ფშავის
ლომი“, იგი მოლაღატეებსა და მოლაყებებს
გეროვნად გაუსწორდა.

ვაჟის მეგობარი პაეღე ქავთარაძე იგონებს:
„ზოგიერთი ქართული ეკვის თვალით უყურებ-
და ვაჟის საქმიანობას: ვაჟა იმიტომ ცდილობს
ერთობას, რომ ბოლოს ხელმწიფობას მიიწი-
ნებსო, ვაჟა კარგად იცნობდა ფშაველ ხალხს.
უწრადლებას არ აქცევდა ზოგიერთის დაუბო-
ბას, მაინც ხალხში ვადიოდა, გლეხთა ცოცხლის
საქმეს აყუთებდა. თავისი აზრების გასაყრცე-
ლებლად ხატობასაც იყენებდა.

ერსხელ ხატვა ერთ ფშაველს ამხანაგებისა-
თვის ეთქვა: ვე აჯანუბეს ხალხს, ვე უნდა
მოკვლიათო, ვაჟას გაუგონია ფშაველის ეს
სიტყვები. იმ დღეს არაფერი ეთქვა, ხოლო
მეორე დღეს შეეკრიბა ხალხი და ასე მიუშარ-
თა მათთვის:

— თქვე თბის ტყავიანეთო, ვინ მიპირებდით
მოკვლას, ამა თუ ბიჭები ხართ, გამოდიეთო.

ზვენ — ქართულიებო — სიკვდილი გულში
ხანჯლით ეიკით და არა ღალატითო.

შე თქვენთვის ეცდილობ, ბედშობას გადა-
გარჩინოთ. თვალი ავიხილოთ, თქვენ კი ღალ-
ტით მემშტრებითო! — ისეთი სიტყვა თქვა იმ
კრებაზე ვაჟამ, რომ ყველას ცხვრებავით ძირს
დაიხარათ თავი, სიტყვის ამბღლება ვერავის
გაებედა“ 1.

„კაი კაცი“, „კაი საქმე“ ეს იყო ვაჟის ყო-

1 ვაჟა მოგონებებში, 1957 წ., გვ. 33.

ველდური საფიქრალი, ამ ორ რამეს დასტ-
რიალებდა დიდი პოეტი და მგზნებარე პატ-
რიოტის ყველა ფიქრი „ვითა არწივი მდელსა
ყვავილოვანსა“. ყვავილოვნობა თავის ქებაში
არ ჩამოშორებულა, წერდა პოეტი, რადგან მან
ყვავილთა შორის ბევრი მხამიანი ბაღაი და
ყვავილიაო. სწორედ ამ მხამიანებში ვაჟ გუ-
ლისმობდა იმ ადამიანებს, რომლებიც ერთო-
ბის საქმეს დალატობდნენ.

ხალხის ერთიანობის ძალას ვაჟა ხედავს
მათი შეგნების ამბობებში. ამავე დროს იგი
თავისუფლებისათვის მებრძოლებს ამხნევებს,
რომ ნუ შეაშინებთ სიმწიფეში, ცარიზმის ხიზ-
ტები და ბორკალები. სწორედ ასეთ გულად,
ხალხისათვის თავდადებულ მებრძოლებზე წერს
პოეტი: „ნულარ უმტყუნებს, გამაგრდეს ვინც
ყოლი იწამა...“

თბილისიდან ჩამოსულ პროპაგანდისტებთან
ერთად ვაჟას და მამანას დიდი ღვაწლი მიუძ-
ღვით მთიელთა გარეგნულყოფნების საქმე-
ში. ისინი დამაჯერებლად განუმარტავდნენ ფშა-
ველებსა და ხევსურებს რევოლუციის მიზნებს,
მეშუბთან ერთად გლეხთა როლს რევოლუცია-
ში. მართალია ვაჟას სრულყოფილად არ ეს-
მოდა რევოლუციის მნიშვნელობა, იგი ვერ
ჩაქნდა რევოლუციის ეპოქის ძირითად ტენდენ-
ციას. 1905 წლის რევოლუციის ვაჟა ძირითადად
თვლიდა, როგორც საქართველოს ეროვნული
გათავისუფლების საშუალებას. მიუხედავად
ამისა, იგი თავისი მიზანდასახულობით რევო-
ლუციის საქმეს აყვებდა, ვინაიდან ნაციონა-
ლურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმარ-
თული იყო საერთო მტრის — ცარიზმის წინა-
აღმდეგ.

ფშავ-ხევსურეთში ფარულმა რევოლუციურმა
საქმიანობამ თავისი შედეგი გამოიღო. 1905
წლის გაზაფხულისათვის მთაშიც დაიწყო გლე-
ხთა რევოლუციური გამოსვლები. საყურადღე-
ბოა ის ფაქტი, რომ თიანეთის მხარაში გლეხ-
თა რევოლუციური მოძრაობა დაიწყო ფშავ-
ხევსურეთიდან და შემდეგ ეს მღელვარება
მთელ მხარას მოედო.

1905 წლის მარტის ბოლოსათვის დღევითის
მხრის მსგავსად ფშავ-ხევსურეთშიც (თიანეთის
მხარა) დაიწყო გლეხთა რევოლუციური გამოს-
ვლები. 27 მარტს შედგა მალაროსკარის სოფ-
ლის საზოგადოების გლეხთა ხალხმრავალი
კრება. მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულმა
გლეხებმა დაკეტეს სოფლის კანცელარია, გა-
დააყენეს მამასახლისი და ტყის მცველი, კრე-
ბაზე შეიბრუნეს თავიანთი მოთხოვნები და
გადაწყვიტეს პირველ აპრილს სასოფლო სა-
ზოგადოებათა კრებაზე აერჩიათ გლეხთა კომი-
ტეტის შემადგენლობა¹, რომელიც ხელმძღვა-

ნელობის გაუწევდა მალაროსკარის სოფლის სა-
ზოგადოებაში შემაველი სოფლებს/მრესხლებს-
ბას. აჯანყების დღეს, 27 მარტს, გლეხებმა და-
ხურეს მალაროსკარის სკოლა და მოითხოვეს
მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმის გაუმჯო-
ბელება².

მალაროსკარის გლეხთა ეს კრება მნიშვნე-
ლოვანი მოვლენაა ფშავ-ხევსურეთის გლეხთა
რევოლუციური მოძრაობაში. იგი არის მთიელთა
პირველი ორგანიზებული გალაშქრება ცარიზ-
მის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ
კრებაზე ფშავის ხეობის მშრომელებმა პირვე-
ლად წამოაყენეს თავიანთი კოლექტიური მოთ-
ხოვნები, მიიღეს დეკლარაცია და შეეცადნენ
სახალხო მმართველობის შემოღებას.

ფშავში რევოლუციური მოძრაობის დაწყე-
ბის შესახებ ვაჟა წერდა: „ჩვენი ცხოვრებაც
შეთოქირდა, სიცოცხლე დაეუფო, გაცხოველ-
და განახლების მოლოდინით... 1905 წელს,
მარტში აქაც გაფიცვები დაიწყო, ხალხმა თავი-
სი მოთხოვნებიანი წარმოსთქვა და ქალაღდე-
ბზედაც აღნიშნა“³. „ქალაღდე აღნიშნულ“
მოთხოვნებს ვაჟა „დეკლარაციას“ უწოდებს.
დეკლარაციის მკვლევარის ვაჟას მოცემული
აქვს 1906 წელს გლეხთა „ცნობის ფურ-
ცლი“⁴ გამოქვეყნებული წერილი „ფშავ-
ხევსურეთის ავ-კარგი“. რაც შეეხება დეკლარაციის
მთლიან ტექსტს, იგი დიდხანს უცნობი
იყო. 1948 წლის ივლისში მალაროსკარაში მცხო-
ვრებმა, ვაჟა-ფშაველას სიძემ დავით საღირას-ძე
ჯანაშვილმა საქართველოს სახელმწიფო ლტე-
რატურულ მუზეუმს გადასცა თაბახის ორ
ფურცელზე დაწერილი დოკუმენტი, რომელიც
დღეისათვის ცნობილია „ფშავ-ხევსურთა დეკლარაციის“
სახელწოდებით. ეს დოკუმენტი
უთაროლია, მაგრამ მისი შინაარსიდან ჩანს,
რომ იგი 1905 წლის რევოლუციის წლებშია და-
წერილი. ამას დასტურებს დავით ჯანაშვილიც.
რომელიც მალაროსკარაში დასწრებია იმ კრე-
ბას, სადაც ეს დოკუმენტი განუხილავო და მი-
უღიანო. იგი მოწოდების სახითაა დაწერილი და
მოიცავს ოც მუხლს. „ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია“
აჯანყებულთაგან მოითხოვს მტკიც
ნებისყოფასა და შეუპოვარ ბრძოლას მთავრო-
ბასთან, ამასთანავე გამცემისა და მოლიატის
სიკვდილით დასჯას. დეკლარაციაში საბოლოო
გამარჯვების ერთ-ერთ პირობად აღნიშნულია
საქართველოსა და კავკასიის ერებთან ძმობა და
მეგობრობა. ფშავ-ხევსურები ამ დეკლარაციით
ძმობა-ერთობას უტყაბდნენ ყველა იმას, „ვისაც
ერთმანეთის ძმობა-ერთობა სწყურია“⁵. საყუ-

¹ სესსა, ფ. 34 ს., საქმე № 9614, ფურცელი 33.

² ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, გვ. 170, 1956 წ.

³ იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 49 (242), 1948 წ.

⁴ სესსა, ფ. 39 ს., საქმე № 712, ფურცელი 108.

9. „მნათობი“, № 3.

რადღებოა ის ფაქტი, რომ დეკლარაციაში აჯანყებულები ბოიკოტს უცხადებენ მეფის მთავრობის სასამართლოს და მოითხოვენ სახალხო სასამართლოს შექმნას.

როგორც საარტიკო მასალებიდან ირკვევა, გაფიცების თვეებში გლეხები ძალით ახორციელებდნენ დეკლარაციაში გათვალისწინებულ საკითხებს. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს შალაროს კარში, ბარისახოში, ატხუშოშია და შეფხუშოში, კანკლარობიდან გააქვეს მოხელეები, დაიწყეს ტყეებისა და სახნავ-სათიბი მიწების უფასოდ სარგებლობა, ჩეხდნენ სახელმწიფო ტყეებსაც. 1905 წლის მარტიდან ფშავ-ხევსურებს არ გადაუხდიათ არც ერთი სახის სახელმწიფო გადასახადი.¹

ფშავ-ხევსურთა დეკლარაციის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია გლეხთა შეიარაღება. დეკლარაციის ოცი მუხლიდან, ხუთი — მთიულეთში შეიარაღების საკითხს ეხება. დეკლარაციის მიმღებნი შეიარაღებას იმით ამართლებენ, რომ ლეშა და ქისტმა, რომლებიც მუხომლად ცხოვრობენ, შეიძლება არ გვიმონ, არ დავეინდონ და იარაღი თავის დასაცავად გვიკრძალებოდა. ამას ისინი იმითა უბრალებდნენ იმით, რომ მთავრობას ნება დართო გლეხთა შეიარაღებისათვის. სინამდვილეში მათ იარაღის შექმნა უნდოდით შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამაზე მეტყველებს დეკლარაციის მეათე მუხლის უკანასკნელი სტრიქონები, სადაც ნათქვამია: „იარაღი ჩვენ გვიჩნდა არა ხალხის დასაცავად, სათარგმნოდ, არამედ თავიანთ საკუთრების, თავის ცოლ-შვილის და ჩვენის საერთო პირის, დაღვნილების დასაცავად. სადაც სიტყვა და თხოვნა არ გავივია, თუ შეტი ღონე არ არის, იარაღი უნდა ვიხმაროთ, მხოლოდ ჩვენს მიზანს, საწადელს მივადგინოთ“.

1905 წელს, ფშავ-ხევსურები რომ შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ, ეს აჯანყების მონაწილე მიხეილ შამანაურის მოგონებებიდანაც ჩანს. როგორც შამანაური იგონებს, ვეფხე უნდოდა ფშავ-ხევსურთა დახმარებით შეიარაღებული აჯანყება დაეწყო მთიდან. ამ მიზნით მთელი ხევსურეთის კრებაც კი მოეწყვიტათ და ვეფხე ხელმძღვანელობით კრებაზე ხევსურებს ფიცი დაუდევიათ. „რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისათვის“.²

„ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია“ ამჟამა პროტესტია მეფის მთავრობისადმი.

ეს დოკუმენტი, სწორედ იმ დეკლარაციის ასლია, რომელიც 1905 წლის 27 მარტს მიიღო

მალაროსკარის სოფლის საზოგადოების გლეხთა კრებამ. ამაზე მეტყველებს შემდეგი წერილი „ფშავ-ხევსურეთის ავკარგული დეკლარაციის“ კრებებს მალაროსკარის სოფლის საზოგადოების გლეხთა კრების მონაწილე და დეკლარაციის ასლის შემწახვი დათმე ჯანაშვილი.

ახლა საინტერესოა, გავარკვეოთ ვინ არის „ფშავ-ხევსურთა დეკლარაციის“ ავტორი. დავით ჯანაშვილის გადმოცემით, დეკლარაციის ავტორია ვეფხე-ფშაველი. „დალოცვილი ვეფხე, იგონებს დავითი, — ხშირად ჩემს ბინაზე წერდა. ხანდისხან ნაწერსაც წაიკითხავდა ხოლმე. ერთხელ აჩუქებოდას დროს ვეფხე ჩარგულიდან მალაროსკარზე ჩამოიარა, ცხენი ეზოში ხეზე გამოიხა და ჩემთან შემოვიდა სახლში. მეღანი და საწერ-კალამი მოხვია. მეც მივეცი. იგი მიჯდა იქვე კუთხეში მაგიდასთან და წერას შეუდგა. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოიჭრუნდა. გარეთ გაიყვანა, მალაროსკარული გლეხები შეყრიბა და ნაწერი ხმამაღლა წაიკითხა. ვეფხე ფშაველებს მეფის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისადენ მოწოდებდა: ტყე და მამულები ჩვენია, არავის დავეთმობთ, შევიარაღდეთ და მშობა-ერთობის პირი მივეთ მთელ საქართველოსა და კავკასიის ხალხსა! ვეფხე მოწოდებით ყველა აღტაცებაში მოვიდა. ვეფხე ნაწერი ჩემს სახლში გადაწერეს და ერთი გადაწერილი პირი ჩემთან დარჩა“³. ამ მოსახრების სასარგებლოდ მეტყველებს ვეფხე ზემოთდასახელებული წერილი „ფშავ-ხევსურეთის ავკარგული“. აქ ვეფხე იგონებს ფშავ-ხევსურეთში რევოლუციური მოძრაობის დაწყებას და წერს: „ხალხმა თავისი მოთხოვნილებანი წარმოსთქვა და ქაღალდზედაც აღნიშნა“-ო. სწორედ ეს „ქაღალდზე აღნიშნული“ მოთხოვნილებანი ის დეკლარაციაა, რომლის ერთი გადაწერილი პირი ინახებოდა ვეფხე სიძე დავით ჯანაშვილთან. საიდან მტკიცდება ეს? დასახელებულ წერილში ვეფხე ასენებს დეკლარაციის შინაარსს, რომელიც მთლიანად ემთხვევა ჯანაშვილის მიერ ლიტერატურული მუხუმისათვის გადაცემული დეკლარაციის ასლს.

მართალია, ვეფხე წერილში დეკლარაციის ავტორს არ ასახელებს, მაგრამ მისი შინაარსიდან ჩანს, რომ დეკლარაციის ავტორი ადგილობრივი შვედრია. 1905 წლის მეორე ნახევრიდან, როცა მთავრობამ რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ ფშავ-ხევსურეთში გააძლიერა რეპრესიები, როცა მოივლია დამორჩილების მიზნით ქისტები და ლეკები მიუსხა მათ, მოთხოვნილებიდან გამოსულმა ხალხმა კვლავ მთავრობას მიმართა თხოვნით, გვიშველეთ, აგვიცეს ქისტებმაო. მაშინ მთავრობამ უპასუხა, რომ ყველაფერი ერთობის მომხრეთა ბრალია, მ-

¹ ს. ს. ს. ა. ფ. 34, ს. საქმე № 9614, ფურცელი 33, 34.

² ს. ყუბანეიშვილი, ვეფხე-ფშაველი, 1937 წ., 33-396.

³ ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ., № 49 (242).



ლით ახლა და ისინი გიშველიანო. მართლაც, მოთმინებიდან გამოსული ხალხი, როგორც ვაჟა წერს, „შოსია იმის, ვისაც ვაფიცვის მიზეზად სთვლიდა: „მოიტა იარალი! სად არის იარალი? აგუკლეს ქისტებმა, ლამის ცოლ-შვილით ქისტეთში გადაგვრეკონო. შემოგვამდურე მთავრობას და ისიც უნებს აღარ გვიგდებს. „ერთობა“ დაგვხმარებიათო, გვიპასუხეს. ქისტი კა არა, შენა ხარ ჩვენი მტერიო“ და ათას სხვა ამისთანები. ამ ბრალდებაზე „ვაფიცვის ფურცლის“ ამწერისაგან სათანადო პასუხი ესმოდათ. აქედანს ჩანს, რომ „ვაფიცვის ფურცლის“, ე. ი. დეკლარაციის ავტორი ადგილობრივი შვეიდრია. შემდეგ ვაჟა წერს, ფშავ-ხევსურეთში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის დროს სოფელ ჩარგლის მიდამოები მოძრაობის და გაფიცვების მიზეზად იქნა ცნობილიო, ე. ი. გაფიცვების ხელმძღვანელი თუ ორგანიზატორი ჩარგლის მიდამოებიდან ყოფილა, ცხადია, დეკლარაციის ავტორიც ამ ადგილიდან იქნებოდა. 1905 წელს სოფელ ჩარგლის მიდამოებში მცხოვრებთაგან ისეთი დოკუმენტის შექმნა, როგორც „ფშავ-ხევსურთა დეკლარაციაა“, შექმნილი იქნა ვაჟას, და სხვა არაგის.

საბჭოეო მასალებიდან ირკვევა, რომ მალაროსკარის გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს თბილისიდან გამოგზავნილი აგიტატორები ხელმძღვანელობდნენ. 1905 წლის 5 აპრილს თიანეთის მახარის უფროსი მთავრობის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: მალაროსკარის საზოგადოებაში მიმდინარეობს გლეხთა მღელვარება, ისინი მოითხოვენ შემამრულებიასა და სახელმწიფო მიწების და ტყის მათ საკუთრებაში გადაცემას. გლეხებმა გადააყენეს ყველა თანამდებობის პირი და ირჩვეენ მათთვის სანდო ადამიანებს. დროდადრო სოფელში გამოჩნდებიან თბილისიდან ჩამოსული აგიტატორები, მუგრამ გლეხები მათ მალავენ, მფარველობენ პოლიციისაგან. ასეთ პირობებში საფიქრებელია, რომ დეკლარაციის საერთო მონახაზი, გვემა ვაჟამ შიილი თბილისის რსდმპ კომიტეტის მიერ გამოგზავნილი აგიტატორისაგან და შემდეგ შეადგინა აღნიშნულ დეკლარაციის პროექტი. ეს უფრო სავარაუდოა იმიტომ, რომ ვაჟა იყო პირველი მასპინძელი ფშავში შემოსული აგიტატორისა. წითელრახმელი ნიკო ტლამაძე ხომ ვაჟასა და ბაჩანას დახმარებითა და მფარველობით მუშაობდა ფშავ-ხევსურეთში? ამასთან ერთად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეკლარაციაში მოცემული საკითხები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეეხება ყველა იმას რაც, რსდმპ III ყრილობამ დააყენა

პარტიული ორგანიზაციებისა და სოფლის პროლეტარიატის წინაშე.

„ფშავ-ხევსურთა დეკლარაციის“ ავტორის რომ ვაჟაა, ეს ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულ მოთხოვნათაგანაც ჩანს. დეკლარაციაში მოცემულ მოთხოვნათა ისეთი საკითხები, როგორცაა ხალხთა შორის ძმობა და მეგობრობა, ერთობა თანაწირობა, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლება, ტყისა და საძოვრების სახალხო საკუთრებად გამოცხადება, სოფლის მოხლეჩებისა და ეკლესიის მსახურობადი ბოიკოტი, ჯერ კიდევ რევოლუციის დაწყებამდე იყო ვაჟას მსჯელობის საგანი, როგორც პრესაში, ისე კრებებსა და მეგობრულ შეკრებებზე. ამ საკითხების მოგვარებისათვის იბრძოდა და იღწვოდა ვაჟა.

ცნობილია, რომ უშიშაწელო ფშავ-ხევსურთა შირაქში დასახლების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ვაჟა. რევოლუციისა და რაქციის წლებში ამ საქმის განხორციელებისათვის დაუცხრომლად იბრძოდა ფშაველთა ლომი და კიდევაც მიაღწია ბაჩანს. მთიელთა შირაქში დასახლება კი დეკლარაციის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

ყოველივე ეს საფუძველს გააძლიერს დაასვენოს, რომ „ფშავ-ხევსურთა დეკლარაციის“ სახელწოდებით ცნობილი დოკუმენტის ავტორია ვაჟა-ფშაველა.

მალაროსკარში გლეხთა რევოლუციური გამოსვლების შემდეგ აჯანყებები მოხდა ფშავ-ხევსურეთის სხვა ადგილებშიც. 1905 წლის პირველ აპრილს შუაფხოხსა და ბარისაბის სასოფლო საზოგადოებათა გლეხებმა გააძვეეს სოფლებიდან ყველა თანამდებობის პირი და დაკეტეს კანცელარობები¹. თიანეთის მახარის უფროსი მთავრობის სახელზე დაწერილ მოხსენებაში, აღნიშნავს რა ამ მდგომარეობას, დასასრულ დასძენს, რომ შუაფხოხსა და ბარისაბოში გამოსვლების დროს აგიტატორთაგან არავინ იყო, გამოსვლები გამოწვეული იყო სხვა ადგილებში მომხდარი მღელვარებითო. სინამდვილეში შუაფხოხსა და ბარისაბის ამბები წინასწარ იყო მომხადებული ადგილობრივი კადრების მიერ (აგიტატორთა დავალებით). როგორც ვაჟას ახლო ნათესაები და მეგობრები აღნიშნავენ, ამ აჯანყებათა ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ვაჟა-ფშაველა. შუაფხოხს სასოფლო საზოგადოების გლეხთა კრების მონაწილე ხაზარა ელშაბარაშვილი ივარებს: „ვაჟა-ფშაველა პირველად ვაჯიყანი სოფელ შუაფხოხში, იქ მან მოიწვია ფშავ-ხევსურების კრება. ახლო-მახლო სოფლებიდან ბევრი ხალხი მოგროვდა, ვაჟა შეკრებაზე გამოვიდა თავისი მოწოდებით, რომლითაც ფშავ-ხევსურებს მიმარ-

¹ სცსსა, ფ. 7, საქმე 692, გვ. 23.
² იხ. ვაზ. „კომუნისტური განათლება“, № 27, 1935 წ.

¹ სცსსა, ფ. 39 ს., საქმე № 712, ფურცელი 108.

თავდა; ერთი პირი გვერდს უყვალს, ტყე და მინდორ-ველი ზვეს საკუთრებას წარმოადგენს, შეერთებული ძალით ვინაშნაღვრათ მუდის ხე-ლისუფლებისა და მოხელეების წინააღმდეგო-ეს მოყოლება ყველამ მოყოლოა”¹.

ასეთ კრებებს ვეა ფშავ-ხევსურეთის თითქ-მის ყველა კოხეში ატარებდა. ირკვევა, რომ ერთობის მოხარებას, და მათ შორის ვეას, არაუგალური კანცელარია ჰქონათ სოფ. აფ-ხუროში. აქ აწუხობდნენ მთავრობის საწინააღ-მდეგო კრებებს. თამარ რაზიკაშვილის მოგონე-ბით, „ვეას სდევნიდა პოლიცია აფხუროში მოწყობილი გათყვის გამო“².

ვეა ყოველთვის იქ იყო, სადაც რევოლუცი-ური გამოსვლები ხდებოდა. 1905 წლის შემოდ-გომაზე, როცა სამხრო ცენტრ თიანეთში დაი-წყო რევოლუციური მოძრაობა, ვეა ფშავიდან თიანეთში განაღდა. მანამ პოეტმა, აჯანყებულ-თა დაჯალბებით დაწერა ქართული მარსელიეზა. „მხსოვს; — იგონებს მიხეილ შამანაური, — რომ ვეას სთხოვეს ქართული მარსელიეზა დაგვიწერო, რაც ვეამ შეასრულა და საუც-ხოყო რამ დაწერა, რასაც მარსელიეზას კი-ლოზე ვმღეროდით“³.

ვეას ოჯახი ჩარგალში წითელრახმელთა ერთ-ერთი საიმედო თავშესაფარი იყო. 1905 წლის შემოდგომაზე გადასახლებიდან დაბრუნე-ბულ თედოსა და მის ქვისლს — გავნიძეს გოიის მარხაში დევნა დაწვეს. მათ თავი ჩარგალს შეაფარეს და მთელი ზამთარი ვეას-თან იმალდობოდნენ. ვეა აქტიურ მხარველობას უწევდა სხვა წითელრახმელებსაც. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვეას დახმარება ფშავში პროპაგანდისტად ჩასულ წითელრახ-მელ ნიკო ტლაშაისადმი ბოქაულის გამოდევ-ნების დროს.

ფშავ-ხევსურეთში რევოლუციური გამოსვლე-ბით შემინებულმა მთავრობამ დაიწყო ფშავ-ხევსურთა განიარაღება. საქმე იქამდე მივიდა, რომ მეტყვევებსაც არ შეარჩინეს სანადირო თოფები. სწორედ ასეთ მომენტში ვეა კვლავ ფშავ-ხევსურთა შეიარაღებისათვის იბრძვის და სასურველ შედეგებსაც აღწევს. აი, რას იგო-ნებს ასეთი შემთხვევის შესახებ ვეას ძლო მეგობარი დოდო ავსაჯანიშვილი: „...თინვა-ლის ხიდთან ვეა შემოხვედა, ნაბადოხურული იჯდა ცხენზე. ფეჭრში წასულმა ვერც შემამ-ჩინა, ისე ჩამიარა. დაუდებე, მოხედა.

— დოდო, შენა ხარ? — თქვა და ცხენიდან ჩამოხტა. ფეხით წამოვიდით. ვეა რაღაც გულ-ჩათბობილი ჩანდა. წინათ რომ შემხედებოდა,

ბევრ რამეს მიამბობდა, ახლა კი ხეამ ძლიერ-იღებდა. ვეითხე, ავად ხოა ვრჩა ვეა მუდით არაფერი მიმასხუბა. ვეავეწე, ვეავეწე, ვეავეწე კანცელარიის წინ ჩაყოვეკეთი.

— ცუდადა საქმე, — დაბალი ხმით დაიწყო ვეამ, — მთავრობა იარალს გვართმევს, მეტყე-ვეებსაც არ შეარჩინეს თოფები. იარალი კი ახლა ისე გვეკირდება, როგორც არასდროს.

მაღე დაუმორღით ერთმანეთს, მოიმიზეზა, მალაროსკარში საქმე მაქვს და, უმეკველად, უნ-და ჩავიდო.

მეორე დღეს, გათენებისას, მამასახლისს აც-ნობუს, ვილაყებს კანცელარიის უარული არა-გეში გადაუდღლიათ და ჩაფრების თოფები გაუ-ტაცნიათო. მთელი თინვალი ფეხზე დააყენეს, მაგრამ ამოდ.

მამასახლისი და ჩაფრები თოფების გატაცე-ბას ქალაქიდან შემოპარულ ერთობის მოხარე-ებს ამბარებდნენ. საქმის თომბზე მარხიდან სასწრაფოდ ჩამოვიდა კომისია. მრავალი წერეს, ითათბირეს, მაგრამ უშედეგოდ. დაკითხვის ოქ-მები მარხის უფროსს შერჩა, „ბერდანეები“ კი — ფშაველებს“⁴.

მეფის მთავრობა ვეა-ფშაველაში ხედავდა დუმილები და სამიმ მტერს, რომელიც თავისი პრაქტიკული საქმიანობითა და ლექსე-ბით ამხედრებდა მშრომლებს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამი-ტომ რევოლუციის წლებში მთავრობამ გააძ-ლიერა მეჯვალურებმა ვეასადმი. ეანდარმე-რია ფშავის ზეობაში არაუგალურად იგზავნი-და თავის აგენტებს, რათა ცოცხალი ფაქტები ჰქონოდა ვეას რევოლუციური საქმიანობის შესახებ.

1907 წელს მეფისწავლის კანცელარიის კავკასიის რკინიგზის პირველი ბატალიონის კა-პიტან სამონოვისათვის საიდუმლო განკარგუ-ლება მიუცია, რომ შეესწავლა მთის მოსახ-ლეობა პოლიტიკური თვალსაზრისით. კაპიტან სამონოვს შეუსრულებია დაეალება, შემოუე-ლია შოა, ფშავ-ხევსურეთი, გაცნობია იმ კუთ-ხის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, პოლიტი-კურ შეხედულებებს, ადგილებიდან შეურკები-საჭირო ცნობები და პოლიტიკურ ბაბუშკინისა-თვის წარუდგენია საიდუმლო მოხსენება. ამ მოხსენებაში ვეა-ფშაველა ფშავ-ხევსურეთის რევოლუციური მოძრაობის მეთაურად არის აღიარებული. ეს მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტი ს. ყუბანიევილმა გამოაქვეყნა წიგნში „ვეა-ფშაველა“. მოხსენებით ბარათში სამონოვი წერს, რომ ხევსურეთის რაიონის რევოლუციური მოძრაობის სათავეში დვას სა-ხალხო პოეტი ვეა-ფშაველა, რომელსაც განუ-სახლერელი გავლენა იქვს ფშაველებზე, ითე-ლება სახალხო ბელადად, მთავრობის სახელზე

¹ გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 49 (242)

² ვეა მოგონებებში, გვ. 20, 1958 წ.

³ ს. ყუბანიევილი, ვეა-ფშაველა, გვ. 396, 1937 წ.

⁴ გაზ. „თბილისი“, № 131 (1829), 1959 წ.



წერს თხოვნებს, ბევრდეთი სიტყვის საშუალებით ეწევა აგრიტაციას.

სამონოცი წინადადებას იძლევა, რომ აუცილებელია მიღებულ იქნას ზომები ვიკას უკნებელსაყოფად, მაგრამ ამავე დროს იგი წინააღმდეგია ვიკას დამატირების, რადგან ვიკა-ფშაველას დამატირებას შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული შედეგები და მღვღინარება მალარიაკარულია შორისო. ამჯერადაც ვიკა ვადაურჩა დამატირებას.

ვაიდა წლები, ვაჟა ვერ შეაშინა ვერც მთავრობის მიერ მოწყობილმა დაზვერებებმა, ვერც რეაქციოს სუსხმა. იგი კვლავ დაუცხრომლად განაგრძობდა ბრძოლას და შემოქმედებით წვას „ერის სულის გაზაფხულისათვის“. პოეტი ვერ ურთავდებოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ბოროტებში მოქცეულ საქართველოს დავითობას.

პროგრესულად მოაზროვნე ვაჟა გრძობდა, რომ მიუხედავად დამარცხებისა, 1905 წლის რევოლუციამ ბევრი რამ ასწავლა მუშებსა და გლეხებს, ასწავლა გზა მშრომლებს თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამ მიმართულებით იგი დაუცხრომელ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა, როგორც სანდრო შანშიაშვილი იგონებს, 1908—1909 წლებში ვიკას საქართველოს მასშტაბით აჯანყების გეგმაც კი შეუდგენია და ამ საქმის განსახორციელებლად იგი თურმე სანდო კაცებსაც კი ეძებდა

ქვეყნის სხვადასხვა მხარეში. „ვეყის იდეა არ განხორციელებულა, — იგონებს სანდრო შანშიაშვილი, — მაგრამ ჩემს ვულში ისეთი ცეცხლი აჩნათო, რომელიც აღარ ჩამქრალა“¹.

1910—1914 წლებში, როცა რუსეთის მსგავსად საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა, ვაჟა თითქმის სოციალისტური წინადადებით კვლავ აქტიურად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. ამჯერად იგი ფშავ-ხევსურეთში აწუბებს რევოლუციის სასარგებლო კრებებსა და გლეხთა გამოსვლებს, ერთ-ერთი ასეთი კრების შესახებ სოფელ ყოფჩის მცხოვრები თვედორე ნაყური იგონებს: „იმპერიალისტური ომის პერიოდში მლაროსკარში, ბაჩანას გაშენებულ ბაღში ვაჟა-ფშაველამ მოიწვია ყრილობა და რევოლუციის ერთგულებზე ხმაზე დააფიცა ფშაველები“².

ვაჟა დიდ იმედებს ამყარებდა მსოფლიო ომზე და მეტად დაინტერესებული იყო მისი შედეგით. ლოგინად ჩაეარდნილი პოეტი კვლავ ომის ბედზე ფიქრობდა, სანახავად მისულ მეგობარ-ნათესაეებს უველას ომის ამბებს ეკითხებოდა და ხშირად ამბობდა თურმე, ნეტავი ისე არ მოვედღე, რომ ომის ბოლო არ გაიგოო.

დიდ პოეტს ვერ აუსრულდა ნატვრა, უღმობელმა სიცილილმა მოქსწრაფა სიცოცხლე.

¹ ლიტერატურის შატაანე, № 1, გვ. 262.

² ვაზ. „სტალინური გზით“, 1958, № 64, (2127).

317

„ქილიღა და დამანას“ გარშემო

ეურნალ „მნათობის“ 1959 წლის მეათე ნომერში აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ გამოაქვეყნა წერილი „სულხან-საბა ორბელიანის ლექსების თაობაზე“, რომელშიაც პატივემეული მკვლევარი ჩვენს სასიკაძღულო საბას დიდ პოეტად საბაეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც დიდად სასიხარულო იქნებოდა, რომ პატივემეული მეცნიერის მტკიცებანი სარწმუნოდ მიგვეჩნია. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ბრწყინვალეობა საბას ოდნავადაც არ მოაკლდება, თუკი მისი პოეტური მემკვიდრეობა იმ სიღიადის არ აღმოჩნდება, როგორადაც აქვს წარმოდგენილი ხსენებული წერილის ავტორს. ეს გასაგებია აბრის, ვინაიდან თითქმის სამი საუკუნეა, რაც ქართველი ხალხი საბას თაყუანს სცემს და აღიღებს ბრწყინვალე პროზაული ნაწარმოების „სიბრძნე-სიკრუისა“ და აგრეთვე ქართული ხალხისათვის ფასდაუღებელი განძის „სიტყვის კონის“ შექმნის გამო.

ჩემი ამგვარი მტკიცება მკითხველს რომ გადაჭარბებულად და, რაც უფრო დასანანი იქნება, კანდიდებულად არ მოეჩვენოს, ამთავითვე მოვაცხადებ, რომ საბას პოეტური მემკვიდრეობაზე კრიტიკული აზრი ჩვენზე ბევრად ადრე აქვთ გამოთქმული. აი, რას სწერს იმ ლექსებზე, რომელთაც ალექსანდრე ბარამიძე მალაპოეტურ კმნილებებად თვლის, პროფესორი ილია ოქროშვილიშვილი გაბ. „ივერიის“ ფურცლებზე, 1886 წელს: „ქილიღა და დამანას“ ლექსებისათვის კი მოგახსენეთ, რომ ამაზედ უნდოდა და უკუმერი არა გავილიარა. ჩვენი საბა ორბელიანი, როგორც იმისი ნაწარმოი გემოტკიცებს, მეტად მხნე და თავის ღრის ბრწყინვალე სწავლელი უოფლია, ხოლო აბოლონთან (ბერძნულ მითოლოგიაში აპოლონი ხომ პოეზიის ღმერთად ითვლება. — ვ. გ.) არავითარი შეგობობა არ კქონია“. ხსენებულ მკვლევარი რომელსაც ალ. ბარამიძე „ქილიღა და დამანას დაკვირვებულ მკვლევარს“ უწოდებს, დასძენს: „მე რომ რედაქტორი ვყოფილიყავ, ლექსებს ამ წიგნიდან სრულებით გამოვირიდი და წიგნს ერთი ათად მივმატებოდა“. ამ ციტატებზე და იმ ფაქტზე, რომ ი. ოქროშვილიშვილის ეს წერილი პოეტურ კმნილებათა უმაღლო შემფასებლის ილია

კავთავაძის ორგანოში დაიბეჭდა (რაც თავისთავად ბევრს მეტყველებს საბას ლექსების კრიტიკოსის სასარგებლოდ), თვით ალექსანდრე ბარამიძე მიგვიითხუბს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პატივემეული მკვლევარი სრულიად საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამს. ის ეურნალ „მნათობში“ მოთავსებულ ხსენებულ წერილში, სხვადასხვა ადგილას, აცხადებს: „...სულხან-საბა ორბელიანი უოფლია დიდად დახელოვნებული ფაქიზი გემოვნების პოეტი, პოეტი — მოაზროვნე...“ „სულხან-საბა ორბელიანი ისეთივე დიდოსტატია პოეზიის სფეროში, როგორც აღიარებული დიდოსტატია იგი ქართული მხატვრული პროზისა“. „სულხან-საბა ორბელიანი უაღრესად ორიგინალური და დიდი ნოვატორი პოეტია“.

როგორც ვხედავთ, საბას პოეტური მემკვიდრეობაზე სხვადასხვა, ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო აზრი არსებობს. აქცილებული კი არის საბოლოოდ შეფასდეს საბას პოეტური მემკვიდრეობა, მით უფრო მას შემდეგ, რაც შეიკეთეთ, რომ მორიგ გამოცემაში განხრახებული აქვთ „ქილიღა და დამანას“ თარგმანი მთლიანად საბას მიაკეთებინონ, უმთავრესად იმ მოტივით, რომ შიგ ზართულია საბას მიერ თარგმნილი თითქოს მალაპოეტური კმნილებანი.

რაკ საკითხი ისე მწეავედ ისმის, ვანეხილოთ ის ლექსები, რომლებაც, ხსენებული წერილის ავტორის აზრით, პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს.

ქილიღა და დამანას ერთი ლექსის ბწყარული თარგმანი ამგვარია:

უსიკრებილო დედაკაცია ეს სოფელი,
 რომ მიღღეში არამ კმარამა მისგან მოსავალი
 ვერა სქამა;
 ეინც მისის ტახტის საფეხებზე დეტი
 დასდგა,
 როდის იქნა, რომ მისი ხელისაგან ხმალი
 თავზე არ დაესო.

თუ კარგად დავუკვირდებით ამ ერთსიტრიანი ლექსის ბწყარულს, რომელიც ვახტანგ მეექვსეს „ანვარი სოპილის“ სახელწოდებით ცნობილ წიგნიდან უთარგმნია, შევნიშნავთ,

რომ საქმე გვაქვს პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშთან. ბჭყარელი გონებაზე ძალდაუტანებლად მიგვახვედრებს, რომ ეს ლექსი ორიგინალში თვალისმომჭკრელად ბრწყინავს. ძვირფასი თვლის ბრწყინვალეობის ძალას ამ ლექსს შემდეგი მხატვრული სახეები აძლევენ: წუთისოფელი ქმრის, მონღალატე დედაკაცთან არის შედარებული, თანაც ვერძნობთ, რომ ის ცხოვრების გამომხატველი დედაკაცია, ხორციით ღამანი და სულით ვერაგი, ძლიერი პიროვნება. ვერძნობთ, რომ ქმარი მის ხელში ისევე ვერ გაიხარებს, როგორც არ გაახარებს საქმისათვის ერთგულ და თავგამოდებულ მიწის მუშას დიადი, მაგრამ გაადრებული და ვიანისებებული ბუნება; მეორე შემთხვევაში ამ ლექსში ცხოვრება ისეთ ადამიანს ჰგავს, რომელიც ვრცელი ტერიტორიის მფლობელია, ამ ტერიტორიაზე საბრძანებლად მას, თურმე, ტახტი აღუმართავს, ამ ტახტიცენ მოღებობს ყველას, მაგრამ ვინც ზედ დაჯდება, თავს მოკვეთს, გარდა ამ პოეტური შედარებებისა, ბჭყარელი შეიცავს წარსული საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ფილოსოფიურ სენტენციებს ცხოვრების ამოცანაზე. ყოველგვ ეს, სამწუხაროდ, სრულიად გამჭრალია საბას მიერ „გამალულ“ ლექსში. აი, როგორ გაულექსავს ხსენებული ბჭყარელი საბას:

ურცხვია ესე სოფელი, ვითა როსკიპი
 დედანი:
 ყოველსა ქმარსა მის გამო, ეწოდებოდა
 მცველანი;
 ბაგე მიუბყრის შაქრისა, სასხვისოღ შესკვნის
 შეედანი,
 მისი ტრფილია არ დარჩა, არ გაუმრდელა
 ბედანი

ამ თარგმანზე (რომელსაც, როგორც უკვე შევნიშნეთ, აღარ ამშვენებენ ორიგინალის დიდად პოეტური მხატვრული სახეები) ალ. ბარამიძე ამბობს: „ერთგან დედანში სოფელი შედარებულია უსიარცხილო დედაკაცთან. საბას მოსწონებია ეს შედარება. მას უსარცხებლნია შემთხვევით და თავის მხრითაც ძლიერი პოეტური სიტყვით დაუზოგავად უმხელია როსკიპი დედაკაცივით უზნეო და მიონდობელი წუთისოფელი“. ნეთე ამ თარგმანზე შეიძლება ვთქვათ, რომ ის ძლიერი პოეტური სიტყვით შექმნილი ლექსია? როგორ შეიძლება ძლიერ პოეტურ ლექსად მივიჩნიოთ ის თარგმანი, რომელიც დედანთან შედარებით ძალზე გაღარიბებულია?

მკვლევარი ორ ახალ მაგალითზე მივივითოთებს და ამგვარ დასკვნას აკეთებს: „სულხან-საბა ორბელიანი ზოგჯერ თუმცა იცავს დედნის მიმართ ფორმალურ ტაუბობრივ შესატყვისობას, სამაგიეროდ (რატომ სამაგიეროდ? განა

საბრახისია თარგმანში ორიგინალის ფორმის შენარჩუნება?—ვ. გ.) შინაარსდებურად ქმნილობივად ტექსტს აძლევს მხატვრულ მნიშვნელობას ახალი სიკოცხლის ძალას უნერგავს მას, მსკველავს ახალი პოეტური სულით“. ცხადია, აქ გამოთქმულ მოსაზრებებს თარგმანის რაობაზე ვერ გავიზიარებთ, მაგრამ მკვლევარის მიერ მითითებული მაგალითები უკერ იმ თვალსაზრისით განვიხილოთ—მართლა არიან თუ არა ისინი „ახალი პოეტური სულით გამსკვაიწულინი“?

პირველი მაგალითის ბჭყარელია:

მორვეია ერთი ზღვასავითა,
 ერთი ზღვა არის, რომ უთავებოლა.

ეს ბჭყარელი, როგორც მეთხველი შეამჩნევს, მხატვრულობის თვალსაზრისით არაფრით არ არის საინტერესო. საქმე ის არის, რომ ამ ორ სტრიქონს, ეტყობა, დედანში დავალებული აქვს სიქვას უმარტივესი ამბავი, რომ მხატვრულობად ერთი ზღვასავით ვრცელი ტბა არისო! ეს ამბავი საბას ამგვარად გაულექსავს:

მორვეი იგი ზღვათა ჰგავს მართოდენ
 სივრცე-სიგრძისა,
 თვეზთა სიმრავლე მსქეპანი, ნაწოვნთა გვანან
 თხის რძისა.

ნეთე ლექსზე, რომელშიაც თხის რძით გასქეპებულ თევზებზეა ლაპარაკი შეიძლება ვთქვათ, რომ ის „პოეტური სულით“ გამსკველული ლექსია? ამ როგორ შეიძლება პოეტურ ქმნილებად მივიჩნიოთ ის ლექსი, რომელშიაც ზღვას ან, ვთქვათ, მინდორს სივრცე-სიგრძე აქვს? სივრცე ხომ სიგრძესაც შეიცავს და სიგანესაც?

ამგვარად, მარტივი კეშმარტება, ცხადია, პრტენ საბას ჩვენზე უკეთ მოგხსენებოდა, მაგრამ ამგვარ შეცდომებს, და, ამ შეცდომების შედეგად, ლექსის გაღარიბებას ვერ ასცდა მხოლოდ იმის გამო, რომ არ იყო პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

ლექსს ყველა შწერალი ვერ დასწერს, პოეტური ნიჭით (როდესაც ამ წერილში პოეტურ

1 რომ უფრო გასაგები იყოს, — განემარტავ: ამ სტრიქონებს ეხედებით კიობრჩხალსა და უარაულას (თევზებზე მონადირე ფრინველია) იგავ-არაკში. უარაულა, რომელსაც სიბერის გამო საკვების შოვნა აღარ შეუძლია, ხერტს მიმართავს, მდინარის თევზებს ატყუებს მახლობლად ზღვასავით დიდი ტბა შეცდომა, თუ შენდობით, სათითაოდ გადაგვიყვანთ და იქ ბედნიერად იცხოვრებთო. გულუბრყვილო თევზები ენდობოდნენ უარაულას, რომელსაც ისინი მახლობელ მთაზე მიჰქონდა და იქ სჭამდა.

ნიჭზე, პოეტურ ტალანტზე ელპარაკობთ — ყოველივეს ეგულისხმობთ მხატვრული ნაწარმოების ლექსის ფორმით შექმნის უნარს, თორემ ამ სტრიქონების ავტორსაც კარგად მოეხსენება, რომ საბას მრავალი მხატვრული ნაწარმოები სწორედ პოეზიით არის განათებული ყველა მწერალი როდი არის დაჯილდოებული, ლექსის წერა განსაკუთრებული ტალანტია, ეს მტკიცება. ცხადია, დასაბუთებას მოითხოვს, მაგრამ რაჟი წერილის თემას აგვაცდენს — თავს ვიკავებთ. ამჯერად მხოლოდ შევნიშნავთ: რამდენი გენიალური რომანის, მოთხრობების, პიესების მწერალი წერდა სუსტ ლექსებს, მაგრამ ამის გამო მათი, ამ მწერლების, მნიშვნელობა თანადად არ შემცირებულია საზოგადოების თვალში.

გარდა ამისა, ქილილა და დამანას ლექსები საბამ სთარგმნა მეფის ბრძანებით და არა თვით საბას სულიერი მოთხოვნილების კარნახით, როგორც ჩვენს პატივეულ მკვლევარს ჰგონია¹.

განვავრძობთ იმ ლექსების განხილვა, რომელთაც, როგორც უკვე შევნიშნე, ალექსანდრე ბარამიძე დიდად მნიშვნელოვან პოეტურ კენილებებად თვლის.

განვიხილოთ მეორე მაგალითი, რომელზედაც, აგრეთვე, ალ. ბარამიძე მიგვიითებს. ვახტანგ მეექვსის ბჭარელი ამგვარია:

სიტყვის მცოდნე ვაფიქრით იტყვის
სიტყვის,
რა უფიქროდ ითქმის სიტყვა, უთარ არის.

1 საბამ, რომ ქილილა და დამანა მეფის ბრძანებით თარგმნა — გვიდასტურებს ამ ნაწარმოების შესავალში თქმული: „და ებრძანა: ეს ჩემი ჭირნახელი განაღდე გვეუანად, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, ეგრევე ქართულად ლექსები ჩაერთო“. — და მერე ეს ბრძანება მოუვიდა (ლაპარაკია უკვე ბერად შემდგარ საბაზე, ვ. გ.), უარი აღარ იქნებოდა, თუარა მონაზონისაგან ამისთანა ამბავი უწყსოა და ურიგო“. („ქ. და დ.“, ი. ჭყონის რედ., 1886 წ., გვ. 8-9).

ამის თაობაზე აგრეთვე კ. კეკელიძე გვამღვს დასაბუთებულ განმარტებას: „მდივან ონანას უბრძანეთ „გალექსეთო, — ამბობს ვახტანგი. ეს ბრძანება მას ქართლში კი არ გაუცია, არამედ სპარსეთიდან გამოიღვზაენია მისთვის, ისე როგორც „გამოღვზაენია მას ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის“ ამგვარივე ბრძანება. ეს სჩანს ონანას შემდეგი სიტყვებიდან: „ოღეს მოიწია ბრძანებანი... პატრონისა ჩვენიისა ჩვენზედო“. ამ ბრძანებას ვერც საბა და ვერც ონანა 1716 წლის 1 თბათვეზე აღრევერ მიიღებდნენ („ჭარ. მწ. ისტორია“, ტ. II, გვ. 363).

ამ ბჭარელის მიხედვით, გეტყობა, ლექსში ამგვარი შეგონება: სიტყვა, რაზეც ლექსად არ უნდა იყოს ის შედეგადღე, ლექსივე არ არსაღეს — ფუქარი. ეს შეტად ბრძნული მოსაზრების შემცველი ბჭარელი საბას ამგვარად გუღექსავს:

სიტყვისა მთქმელი სიტყვას ჩჭრეს, სიტყვას
ძალი აქვს თუ რისა,
გაუხსნიჯავს სიტყვასა ჩხავილი სჯობან
ტურისა.

ვერც ამ ლექსის შესახებაში ვეთანხმები პატივეულ მკვლევარს, ვინაიდან, როგორც შევნიშნე, ორიგინალის სიბრძნე ბჭარელში ნათლად გასაგებია და დიადი, საბას ლექსში კი — ბუნდოვანია და ძნელად გამოსაყენობია. ამის გარდა, ამ წიგნში „გაუხსნიჯავი სიტყვის“ ტურების ჩხავილთან შედარება, სხვა რომ არ ვთქვათ, იმის გამო მაინც უნდა მივიჩნიოთ სასიოთხროდ, რომ „ქილილა და დამანაში“ მრავალი ბრძნული და ამოდ სასმენი ამბების მთქმელები სწორედ ტურები არიან.

ამ მაგალითებზე ამბობს ალ. ბარამიძე, რომ „ორივე შემთხვევაში გააღქმავს აუთოქმედება თავისი ლალი შემოქმედებითი ფანტაზია“ და ასევე: „საბას მეორე ლექსის მეორე ტაე-პაფორისტულია“. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მხოლოდ შევნიშნავ: პოეტური ნაწარმოებების აფორისტული თქმები ჩვენში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ; შ. რუსთაველის, დ. გუარამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა პოეტურ ქმნილებებში ვერც ერთ აფორისტულ ტაებს ვერ აღმოვაჩენთ, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყოს; მათ შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი, ვ. ი. აფორისტული თქმები, ქართულთა ინტელექტუალურ სამყაროში შერცხლებივით ნაეარდობენ. ის აფორისტული ტაეპი კი, რომელზედაც ალ. ბარამიძე მიგვიითებს, ჯერ არავის არ შეუნიშნავს.

ამის შემდეგ ალ. ბარამიძე მიგვიითებს ბჭარელზე. ჟომილშიაც ნაქილია:

ნაღველი, კენესა და ჭირი ნემცა გაქვს,
რომ გელის მომხველებელი და სულს
მოსაწყინარის ნაღვლის მომწმორბელი ზარ.
რომ უფრო სწორად გავერკვეთ თუ რას
წარმოადგენს ეს ბჭარელი, მკითხველს მოვხსენებ, რომ ლექსს, რომლის გამოხატვას ეს მჭარელი ცდილობს, ქილილა და დამანაში

1 ფიქრი საბას თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს, პირველ რიგში, როგორც საგონებელი, განზრახვა, გულის-თქმა, რაც, ამ შემთხვევაში, საეხებით შესაბამეა აბრს, იღვეს.

ვხედვით იმ ადგილას, სადაც შეფსთიან ოთახში შესული უღამანესი გურანდუბტი მედის, მისთვის ძვირფასი და სათაყვანებელი ადამიანის, მუმუნარების მიწვების შეტუობას და, თუ შესძლო, გაქარვებასაც ცდილობს; ამ ბეჭარედის მიხედვით ჩვენთვის გასაგებია, რომ ორიგინალში გურანდუბტი გვეუბნება: ვინც სხელით სიხარულს ანიჭებს, ვინც გულითა და სულით სხეულის გახარებას ცდილობს, თვით ის მუდამ გახარებული უნდა იყოს, მაგრამ — რას ვხედავ! — მუმუნარებით არის შეპყრობილი; ბეჭარედში სულითა და ხორცილთა უღამანე ქალი ასევე უღამანე ვაჟისგან საიდურსოდ მისიწრაფის... თარგმანში კი ეს რომანტიკული ამბავი იმგვარად არის შეცვლილი, რომ გვგონია — ქალი მიჯნურისკენ კი არ მიდის, არამედ ფიზიკურად დასწრებული (ისიც, შეიძლება თუ რვა სენით ერთად). ადამიანის სანახავად:

მოწყენა, სულთქმა ნაღველი ოდენ ნემცა
 გაქვს ურვანი,
 რად დარევილიხარ, რა გიმძიშს, სენი
 შეიდი გვიარს თუ რვანი?
 შენით ხარობენ იგიცა, ვის აქვან ცრემლში
 ცურვანი,
 შენ შეგნატრიან ყოველნი, არსად მასშია
 მდურვანი.

პოეტურ განწყობილებას ამ ლექსზე მეტად, ჩვენი აზრით, ვახტანგ მეექვსის ბეჭარედი შეიცავს. ვერც ამ თარგმანს ვალიერებთ პოეზიის ნიმუშად.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ აღ. ბარამიძე ქილილა და დამანას ლექსებს ყოველთვის ვახტანგის მიერ თარგმნილ ბეჭარედს უპირისპირებს, და ყოველთვის გამოაქვს დასკვნა, რომ ბეჭარედს ლექსი სჯობს. ერთგან ამბობს: „მოკვანილ შაირთან შედარებით უსახურია მისი ბეჭარედი ღედანი“, მეორე ადგილას გვეუბნება: „ბეჭარედის ტექსტი უნათიაო“. ვანა შეიძლება საკითხის ამგვარად დასმა? თარგმნილ ლექსს ორიგინალს უნდა ვდარბედოთ და არა მის ბეჭარედს; ბეჭარედს არასოდეს არ ჰქონია დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოების პრეტენზია, ბეჭარედი მხოლოდ მასალა მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. თუთ აღ. ბარამიძე საბას მიერ თარგმნილ ლექსებს ყოველთვის ვახტანგ მეექვსის ბეჭარედებს ადარებს, რატომ ერთხელ მაინც ორიგინალს არ შეადარა? ან რატომ ვერ შენიშნა, რომ ამგვარი დამირისპირების დროს სასწორი ბეჭარედისკენ იხრება და არა თარგმნილ ლექსებისკენ, რაც, რა თქმა უნდა, სავიწრეელია.

მომდევრო, აქლემისა და კოზაკის იგავ-არაკის მაგალითის განხილვის დროსაც აღ. ბარამიძე აღტაცებაში მოჰყავს საბას თარგმანს, მასზე ამბობს: „სულხან-საბა ორბელიანს ბრწყინვა-

ლელ გაუწყვიტაო“. ჩვენც ხელახლა და ხელახლა ვკითხვლობთ ამ თარგმანს და „ქილილა და დამანას“ ვართ, თუ რის გამო უნდა ამგვარად ამ იგავ-არაკის შინაარსი ორიგინალის მიხედვით ამგვარი: ვხაზუ მიმავალ ტვირთადებულ ღედა-აქლემს კოზაკმა უთხრა: დავილაღი, შევისვეწროთო, ღედამ მიუგო: ვერ ხედავ, რომ ჩემი სადავე სხვას უჭირავს, ჩემს ნებაზე ვინ მიშვებსო. ე. ი. იგავის შინაარსი ვკითხვას, რომ ვინაც თავისი თავი არ ეყუთენის — ის უბედურია, თავისი ნება-სურვილის მიხედვით ვერ იცხოვრებსო. მე ვგონებ, დაგვთანხმებია მეთხველი, რომ ყოველივე ეს ნათლად და ადვილად გასაგებად ჩანს ვახტანგის ბეჭარედში:

აქლემის კოზაკმა ღედას უთხრა:
 ამთონს რომ მიხვალ, პატარა დაიცაო,
 უთხრა: თემცა ჩემს ხელთ იყოს ავშარა,
 ვერვინ ვერ მსახედა მე ყათარში, საპალნის
 ქვეშ.

ეს მეტად ცოცხალი და ბრძნული იგავ-არაკი, მხვავსად ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, საბას ლექსში გაფერმკრთალებული და ძნელად გამოსაცნობია, სინამდვილეში კი — პირიქით უნდა ხდებოდეს; პროზაულ ნაწარმოებში აქა-იქ ლექსის ჩართვას მხოლოდ ის მინაძი აქვს, რომ უფრო რელიეფურად, უფრო მიმზიდველად დაგვანახოს ის, რაც პროზით იყო თქმული; ლექსები პროზაულ ნაწარმოებებში იმ შედარებულს ჰგვანან, რომლებიც თვალის გასახარებლად იწვევენ და ველსაც რწყავენ, რათა ის ხასხასა და მიმზიდველი იყოს. ქილილა და დამანას ლექსები, რომ სწორედ ამგვარი არიან ორიგინალში თვით „ანჯარი სოპალიის“ შემქმნილი გვეუბნება: „...და ამ ლექსებითთვის მარტივანად ტრიქონთა ტანსა ხედა შესაფერად მოხლოშილი საშისელი გაწყობით ჩაუცმევითა“, იქვე, აგრეთვე, ქილილა და დამანას ლექსებზე ამგვარადვე მაღალმატერულად არის ნათქვამი: „...არაბულს ლექსს განეწორო, და სპარსულს ვნითა ლექსები მარგალიტსა და ძოწსავით ძაღზე შეწყობით დავაციო“ 1.

ქართულ თარგმანში სენებულ ლექსები, სამწუხაროდ, ამგვარი როლს ვერ ასრულებენ. იი როგორ გამოიყურება აღ. ბარამიძის მიერ შექმნილი „ღედა აქლემისა და კოზაკის“ საბასეული თარგმანი:

კოზაკმა უთხრა ღედასა,
 სიტყვასა გეტყვი ყუბდასა,
 ღია დამრომა შედასა,
 მოცდა ჰუე მაგა ქედასა!

შინ უთხრა: ვა! შენს ბედასა,
 მიმზევენ იემრის შედასა,

1 „ქილილა და დამანას“, ილია ჭყონიას რედაქციით, 1886 წ., გვ. 2-7.

რულს, ფიტყაურის და სხვათა. ამ საზომებისათვის მაგალითებს მამუკა საბას თარგმანებში უფრო ადვილად პოულობს, ვიდრე ქართულ ორიგინალურ ლექსებში. მაგრამ, ასედაც რომ არ იყო, ყველა იმათ საყურადღებოდ უნდა ვთქვათ, რომლებიც მ. ბარათაშვილის ავტორიტეტს ეყრდნობიან, რომ მამუკა ბარათაშვილის მიერ ამათონი ლექსის შეფასებას ყოველთვის ვერ მივიჩნევთ შედეგადრად, რადგან ვიცით, რომ თავის ნაშრომში მამუკას რუსთაველის ლექსებს გვერდით, როგორც სანიმუშოებს, თავისი სუსტი ლექსებიც შეუტანია; მამუკას ლექსებს „ქაშინკაში“ სათაურებზე აქვს: „მამუკას თქმული შეწყობილი“, „მდინარი მამუკასი“, „წყობილი მრავალ-შესული მამუკასი“, „გრძელადი შიირი სამკვეთი მამუკას თქმული“ და სხვ. რუსთაველის გვერდით მამუკა ბარათაშვილი არა თუ უხერხულად გრძნობს თავს, არამედ თავს იწონებს კიდევ. ამის გამო, ცხადია, მის ამათონი მტკიცებას, თუ განცხადებას, ყოველთვის თუ არა, ზოგჯერ მიიწევი ვევის თვლით უნდა შევხედოთ.

ძველ მოღვაწეთა მოსაზრებებს, ცხადია, ანგარიშს უნდა ექვემდებარებოდნენ, მაგრამ დოკუმად არ უნდა ვისახავდეთ. ანგვარად რომ მოვიტყუოთ და ლიტერატურის ძველ თეორეტიკოსთა ყველა მოსაზრებანი კანონად მივიჩნიოთ, მაშინ იოანე ბატონიშვილი, რომელიც, ჩვენი აზრით, ლექსის თეორიულ საკითხებში გასარკვევად, უფრო სოლიდურ შრომის ავტორია, ვინემ მამუკა ბარათაშვილი, მეტად კერძოვნულ მდგომარეობაში ჩავვაყენებდა, რადგან, თუ მამუკა ბარათაშვილი საბაზე ამბობს, რუსთაველზე ნაღვლები არ არისო, იოანე ბატონიშვილი, საბაზე კი არა, მღვდელ პეტრე ლარაძეზე ამბობს, რუსთაველის ტოლი არისო. ეს ამბავი „კალმასობაში“ ამგვარად არის მოთხრობილი: „რა მცირე იმუხსაბებს, პეტრე ლარაძემ უთხრა დიაკვნას: აქ ჩემთან ისადილეთ, და ვინემ საღილის ღრო მოიწყოლეს, გაჩხრიკე ჩემ მიერ ქმნილნი შიირნი და ლექსები, ვითარ მოგეწონებათ. — მოართო იოანეს და იწყო კითხვა, და დიდად მოეწონა და უთხრა: ეს ასე გვიარხედ შეგაწვევათ, რომ უღრის რუსთაველისაგან ქმნილასა წიგნსა „ვეფხისტყაოსანად“ წოდებულსა“ 1.

ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები იმის მიხედვით კი არ უნდა შევაფასოთ. თუ ვის რა უფლებას მასზე, არამედ იმის მიხედვით თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში.

აღ. ბარამიძის მტკიცებანი, საბას პოეზიის შესახებ, თუ ზოგჯერ სარწმუნო არ არის, ზოგჯერ სრულიად მიუღებელი და, ვიტყვოდი, არასწორი მოსაზრებებსაც შეიცავს. მაგალითად: 1949 წელს გამოცემულ „ქილილა და ღამანას“

წინასიტყვაობაში აღ. ბარამიძე ამბობს: „შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რქმყებდა-სულხან ორბელიანი პირველმა შეეცნა...“
 ლექსის ძველი ნორმების ციხე-სიმაგრე. ის მოგვევლინა, როგორც პირველი, სერიოზული და საყოფიერი ჩეფორმატორი ქართული ლექსისა, სულხან-საბა ორბელიანის ნოვატორულ გზას გაყენენ ვახტანგ შეექვსე, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვ.“
 ამავე ციტატას თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს აღ. ბარამიძე ფურნალ „მნათობში“ მოთავსებულ წერაღწიში. განა შეიძლება ნოვატორი პოეტზე ეთქვას, ძველი ნორმების ციხე-სიმაგრე შეანგრიაო? რა თქმა უნდა, არა. არც ერთ ნოვატორ პოეტს მანამდე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის ძველები არ დაუნგრევია, არც შეუნგრევია. ამას, ბევრიც რომ ახადლოს, ვერც შესაძლებს. ნოვატორი პოეტი ახალ შენობას აგებს, ეს შენობა, ძველთან შედარებით, ზოგჯერ უფრო მიმზიდველია, ზოგჯერ უფრო მერთალი. ჩვენ რომ გეკითხოთ, ძველი და ახალი ნორმები ლექსისა არც არსებობს. აბა, მოიგონოს პატივეცემულმა მკვლევარმა რამდენი ქართული პოეტი დაუბრუნდა საბას შემდეგ ლექსის იმ ძველ ფორმებს, რომლებიც, ალექსანდრე ბარამიძის მტკიცებით, თითქოს საბამ დაანგრია. საბამდე ძველი სალექსო ნორმების მთავარი გამომატველი შოთა რუსთაველია, და განა უხერხული არ იქნება ვიდებროთ, რომ შოთას, ფორმის მხრივ, რაიმე დასაწინი აქვს? განა შეიძლება დავით გურამიშვილი ვახტანგ შეექვსისა და მამუკა ბარათაშვილის რიგში ჩავაყენოთ როგორც პოეტი!? დავით გურამიშვილი არავის გზას არ გასულოა! ის ისეთივე ნოვატორია, როგორიც იყო თავის დროზე დიდი შოთა.

დ. გურამიშვილის ზოგიერთი ლექსის ფორმა დიდად განსხვავდება ვეფხისტყაოსნის ფორმისაგან, დიდად ნოვატორულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმები ლექსისა ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ერთმანეთის დასამშვენებლად აღმართულან.

ჩვენს ვაკვირებას იწვევს აგრეთვე შემდეგი გარემოება: რასაც ახლა აღ. ბარამიძე სულხან-საბა ორბელიანზე ამბობს, ადრე ნათქვამი აქვს ვახტანგ შეექვსეზე. წერაღწიში, რომელიც წინ უძღვის 1947 წელს გამოცემულ ვახტანგ შეექვსის თხზულებებს, აღ. ბარამიძე წერს: „ერთი სიტყვით, ვახტანგი უცულოდ გვევლინება, როგორც ქართული ლექსის ჩეფორმატორი, ქართული პოეტური კულტურის შესანიშნავი წარმომადგენელი. ვახტანგმა გაამდიდრა ქართული ლექსი, როგორც ფორმით, ისე შინაარსით. შემოტყვევითი რადია, რომ „ქაშინკისათვის“ სანიმუშო გამხდარა ვახტანგიც, ვახტანგიც უნდა მიეკუთვნოს ქართული ლექსის დარგში ნოვა-

1 კალმასობა, 1936 წ., კ. კვეციანი და აღ. ბარამიძის ჩედაქცით, გვ. 272.

ტრების სახელოვან პლეადას (სულხან-საბა ორბელიანს, მამუკა ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს)*.

ამ ამონაწერთან დაკავშირებით, უფრო გარკვევით უნდა ვთქვათ ის, რასაც ადრე, შეიძლება, მცრათლად გავუხსენით ხაზი: მამუკა ბარათაშვილი და სულხან-საბა ორბელიანი ეერსი-ფოკატორები არიან, მათი მუშაობა საინტერესოა მხოლოდ ლექსთწყობის, ლექსების ვარჯიშული ფორმის შესწავლის თვალსაზრისით, დავით გურამიშვილი კი კემმარტი პოეტია. — ე. ი. მისი ლექსები ფორმით და შინაარსითაც მდიდარია; შოთა რუსთაველიდან მოყოლებული. — დავით გურამიშვილამდე, ნოვატორი პოეტები არიან, შეიძლება მხოლოდ თვით შ. რუსთაველზე და დავით გურამიშვილზე ვთქვათ; როდესაც მკვლევარი დავით გურამიშვილის წინაშე სულხან-საბა ორბელიანის, მამუკა ბარათაშვილის და ვახტანგ მეექვსის დამსახურებაზე გველაპარაკება, უთუოდ მხედველობაში აქვს ამ მოღვაწეთა ის პოეტური სტილიონები, რომელთაც დ. გურამიშვილის თხზულებებში ვხვდებით. მაგრამ ეს თვისება ყველა დიდი პოეტისა: ვარშემო თუ რამ კარგია, ყველაფერს შეისრუტავს, დიდ მდინარებს შეუერთებს; დ. გურამიშვილის პოეზია კემმარტიად დიდი მდინარეა, მისკენ ვახტანგ მეექვსის, საბასი, მამუკასი და სხვათა ლექსები ისე მიმართებიან, როგორც პატარა ღვლები, — რათა იქ ზაინთქან და სხვისად იქნებინ.

ქილია და დამანას პროზა კი, მისი ქართულად თარგმნის დღიდან, ყოველთვის ხიზლავდა და ატყუებდა მკითხველს. მიაგლითად, იგივე ა. ოქროშვილიშვილი, ილია ჭყონიას რედაქციით, გრიგოლ გურიელის მიერ გამოცემულ ქილია და დამანას წერდა: „პროზა მტკის-მეტად მომეწონა და ამ წიგნის დამბეჭდვა ძალიან ნაყოფიერ საქმედ მიმაჩნია ეხლანდელ ქართველებისათვის საზოგადოდ და ზოგიერთ მწერლებისათვის განსაკუთრებით. აი წმინდა, ვრცელი მდინარე „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ, რომელსაც ყველა ქართველი სრულის გულისთ და სულით უნდა დაეწაფოს!“. უნდა მოვახსენოთ, რომ მე მაქვს „ქილია და დამანას“ დედანი სასწრაფოდ დანაწილებული ამ ზეშეშეობად წლის წინად ნათარგმნი ელფარის დანაწირობს მიერ ვრცელი წინასიტყვაობით, სადა ამ წიგნის თავგადასახები ზეინ დამდეგ დაწერილობით არის მოხსენებული. ეს თარგმანი შეუდარებელია ქილია და დამანას და ვანც-ვიდრებაში მოვედი“. „ეს უკანასკნელი პოსაბეინ-ალის შრომა ვახლდათ დედანი, რომლითგანაც ვადმოთარგმნა ჩვენმა ბედნიერმა ვახტანგმა“¹.

ვახტანგის მიერ თარგმნილი პროზა მართ-

ლაც რომ მომხიბვლელია. თითქმის ყოველ ფრაზაში ვხვდებით მალაპოეტურ მხატვრულ სახეებს, მეტაფორებს. როგორც მკითხველს მოეხსენება, ქილია და დამანას პროზით ნაწილი ზღვასავით ვრცელია, მისი მხატვრული სახეები თარგმანში ისევე ძნელი გამოსაცნობი რილია, როგორც თარგმნილ ლექსებში, პროზის თარგმნის მხატვრული სახეები, ისე თვალსაჩინო არიან და ისე ამშვენებენ მას, როგორც ტალღები ზღვას. სიმრავლის გამო მათი აღწერა შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე მაინც მთუთოთებ მკითხველს, ქილია და დამანას პროზის თარგმანში, სხვადასხვა ადგილას, ასეთ მალაპოეტურ მხატვრულ სახეებს ვხვდებით: „შეხავარბა ასეთი ხეა, რომ მოშორების მოწყენის მეტს არას მოისახსნ; და უცხოობა ესეთი ღრუბელია, ნაღლის წყლის წვეთის მეტი არ ჩამოვინდება“². „რა სიტყვა პირით და ისარი მშვილდით გამოჰდა, არცა სიტყვა ენათა ქვეშე დასათარავად მობრუნდება, და არცა ისარი ადგილს მოუსვლილი შემოიქცევა“, „ეეთთა ფილოსოფოსთა მეფენი ცუტებისათვის შეუშეგავსებიათ, ამისთვისა, თუმცა მოწყალეობისა შექითა მსასობელთა ბნელსა გაუნათლებს, აგრეთვე რისხვისა აღისა მიერ მოსამსახურის სამსახურსა და კირანხელის კალოსა ანაზდად დასწევას“, „განშორებულსა! ამატარებებისა ქარმა მობერა, და სინანულისა კალი მელიდრობის სიღლის კალიონმა“³ გაუბნია“, „საწუთროს საშრომნი-დამ სიციცხლის საგარდეს ერთ პტულსა ვერ ნახავ შემოდგომის ქარისაგან მოურყვენსა“.

„...და შენ, უმეცართაებრ, გულის-თქმის ცხენსა ნლომისა ასპარეზსა შიგა არბევ და მისი მინდორისა სიგარე და განი არა იციო!“, „უეწმბლებლის ბლი მისის მყარდისა ლითონსა შინა ჩაეარდა“, „ხელმწიფემა თავისი პატროსანი თავი მეცნიერებითა და სულგრძელობის შესამოსელით შეამკო“, „სხვა ერთი ხარკა ჰყვა მეფესა, სახელად ბაზმა-ფრემ ეწოდა. მშვენიერი, მწყობარი, ქვეყნის მანათობელი, მზეს მისის სირცხვილითა პირსა საბურველი ჩამოეფარებინა და ცვაბიანი ვარდის ფურცელი, მისგან გამკრთალი, ზურბუბტის ტყვრთა შინა იმალუბოდა“.

ასეთ პოეტურ სახეებს ვხვდებით ყველა გვერდზე, თითქმის ყველა სტრიქონში; ამ ამონაწერიდანაც მიხედვით მკითხველი, რომ ანეროი სოპოლისეულ მხატვრულ სახეებს თარგმანშიაც შენარჩუნებული აქვთ სიციცხლე და ცხოველ-მყოფლობის ძალა. ამის გამო უწოდა „ივერიის“ რეცენზენტმა მის თარგმნელს, სხვა მხრივ

¹ დამიანზეა ლაბარაი.

² ქალიონი, საბას ვანმარტებით „ქარია ერთი სასტიკი“.

³ პტული, საბას ვანმარტებით, პირველ ნაყოფი.

ყოველმხრივ უბედურ მეფეს ვახტანგ მეექვსეს „ხედღიერი ვახტანგი“, ხოლო თვით ძის თარგმანს „ქმინდა და ვრცელი დინაო“. ალ. ბარამიძე კი გვეუბნება, რომ ვახტანგის თარგმანისათვის რედაქცია საბას გავუყუთებდა და ამის გამო ქილილა და დამანას პროზის თარგმანი აბას უნდა მიეკუთვნებოდა¹. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საბა, როგორც დღად ნიკორი და დასვეწილი გემოვნების ძეგლები იყვნენ, დღე ამას დასდებდა ვახტანგ აფხის თარგმანს, მაგრამ ამის გამო განა შეიძლება თვით მთარგმნელის იგნორირება?

ან როდის მოახდარა, რომ ესა თუ ის ნაწარმოები ავტორისათვის ჩამოერთმიათ და რედაქტორისათვის შეეუფლებინათ? მე ვგონებ, მკვლევარს არგად ითვლება, რომ რედაქტორის შემართებით წილი ავტორსაც უდევს, იმ შემთხვევაშიც კი, შესწორებები ნაწარმოებში პირადად ავტორთან შეუთანხმებლად რომ შექმნდეს, ვინაიდან რედაქტორი „შესწორებებს, პირველ რიგში, ავტორის ესთეტიკურ გემოვნებას უფროდებს, ავტორის შემოყვადებით პოზიტივით ხელმძღვანელობს, მას შორილებს; რედაქტორი ნაწარმოებში თუ რამეს შეაკვებებს მხოლოდ იმის გამო, რომ ამა თუ იმ ადგილს შეუფერებლად მიიჩნევს, არა თავისი შემოქმედებისათვის, არამედ სხვის მიერ უკვე შექმნილი ნაწარმოებისათვის.

მაგრამ ასეც რომ არ ვიმსჯელოთ, განა დასაჯრებელია, რომ საბა ვახტანგ მეფის ნამროში, იმ ვახტანგ მეფისა, რომელმაც ღირსეული რედაქტორობა გაუწია ქართული ლიტერატურის არა ერთსა და ორ მნიშვნელოვან ძეგლს, ვახტანგთან შეუთანხმებლად შეიტანა და შესწორებები? მისი რწევა-ღარიბებით არ დელმდენებულა?

ალ. ბარამიძე გვიმტკიცებს, რომ ვახტანგის თარგმანში საბას შესწორებები თავის ხელით აქვს შეტანილი, მაგრამ ხომ არგად მოხსენებდა პატრიკეიმოლ მკვლევარს, რომ ვახტანგსაც როგორც რედაქტორს, თავისი ხელით აქვს შესწორებები შეტანილი საბას „სიტყვის კონაში“² მეგრ ამის გამო ეინმეს ახრად მოუვა,

რომ საბას ლექსიონი ვახტანგს მიეკუთვნება? ყოველივე ამგვარ მტკიცებას რომ თვით მივინებოთ, განა თვით საბა არ გამრამბლავებდა თავის ამგს, თავის როლს ქილილა და დამანას თარგმანის საქმეში? როგორც ვითო, საბას სიკოცხლში კიდევაც ჰქონია ამგვარი შემთხვევა, — მისი ნაწარმის ავტორობა სხვის დაუჩემებია; მიუხედავად იმისა, რომ საბა ცნობილი იყო თავისი სულგრძელობით, ველარ მოუთმენია და აშხილა ამგვარი პიროვნება; როდეს ვახტანგისა — ნახა, მოეწონა და გარდასაწერად ვახტანგ და გარდაწერა. სადაც ჩემი სახელი ეწერა, — ამბობს საბა ვინმე იობზე, რომელიც „სიტყვის კონის“ ავტორობას იჩემებდა. — ილ-მოხობა თავის ნაწარმა შინა და თვის სახელი და გარჯილობა დაწერა. ეს დღედა გამოკვირდა: ვით ივალა მან, სახელთონმა კეკამანი?³

ქილილა და დამანას საბას სიკოცხლში, როგორც საბასათვის, ისევე სტეებისათვის, ცნობილი იყო, როგორც ვახტანგის თარგმანი. მხოლოდ ვახტანგს ჰქონდა შენიშნული მამინდელ მეთოხველით საყურადღებოდ და, რა თქმა უნდა, თვით საბას როლის გამოსამკლავებლად, რომ: „ეთა წინა ლექსი აჩენს, მე დამარჩა გაუღვესაი და სულსან გაღვესა ყაფლანის შეიღმან, რომელი ბოლოდ მონაზონ იქნა და ეწოდა საბა“. ამგვარად, საბას სიკოცხლშივე ზუსტად იყო განსაზღვრული თუ, ვის რა წილი ედია ქილილა და დამანას თარგმანში, — პროზა ვახტანგ მეექვსესს ეკუთვნოდა, ლექსები (ისიც ზოგიერთის გამოკლებით) — საბას. პროზა ყოველთვის მეთოხველით სიყვარულს იმსახრებდა, ის იყო ძირითადი ქილილა და დამანას ღირსების განსაზღვრელი. აი, რას სწერს ქილილა და დამანას პროზის თარგმანის შესახებ ისტორიკოსი დომიტრი ბაქრაძე: „ვიგორებ ზემოთქმულ სიტყვებსა: ვახტანგ მეექვსესს ეკუთვნის მთლიანად და დამანას თარგმანს კი ვერცევი ვახტანგის. ვახტანგ მეფეს რომ ვარდა ქილილა და დამანას სხვა არა-რა ელეიწა ქართველთ სასარგებლოდ თავის ცხოვრებაში, ესეც საგმარ უნდა ყოფილიყო, რომ მისი სახელი აღგვემალდებინა და იგი ჩვენს ისტორიაში, ჩვენთა უპირველეს მოღვაწეთა გუნდში შეგვერიცხა“⁴.

დასასრულ, ესემათ კითხვას, რად არ იღებს მხედველობაში მკვლევარი თვით ვახტანგის დამოკიდებულებას ქილილა და დამანას თარგმანისადმი? განა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს ქილილა და დამანას ავტორობის საკითხის გადაწყვეტაში? მთარგმნელი რომ თარგმანის ბედითა და უბედობით ისე დაინტერესებულყო, როგორც ვახტანგ მეექვსესა დაინტერესებული, ჩვენ მეორე მავალით არ ვიცით მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში. ვახტანგ

1 თუკმე სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე, როგორც ალ. ბარამიძე ვამცნობს, განა-ბა „საბუთოა საქართველს“ ქილილა და დამანას სკემს, როგორც საბას ნაწარმოებს. ამის თაობაზე იხილეთ ალ. ბარამიძის სპეციალური განმარტება „ერნალ მონათობის“ 1960 წლის მე-7 ნომერში.

2 თუკმე ოცი წლის მანძილზე განაგრძობდა სარედაქციო მუშაობას საბას ლექსიკონზე ვახტანგ მეექვსეს და მასში მნიშვნელოვანი შესწორებები შეუტანია. ამის თაობაზე სიინტერესო შრომა გამოაქვეყნა ლ. ქუთათელაძემ საბასადმი მიძღვნილ საიტიბილო კრებულში.

1 „ივერია“, 1886 წ., № 27.

მეფე-საყვლადებელი, ქილილა და დამანას თარგმანს ისე შექმარის, ისე დაბეჭდავს როგორც პირველს. ქილილა და დამანას ვახტანგ მეფის ნათქვამს „ეს ჩემი ჭირნახელი არისო“— ისეთივე მნიშვნელობა უნდა მიეცეთ, როგორცაჲ ვაძლეეთ დაეთ გერამიშვილის განცხადებას „დავითიანზე“, რომ ის ჩემი შვილი არისო. ამის გარდა, აი, კიდევ რა აქვს ვახტანგ მეექვსეს ქილილა და დამანას ნათქვამი: „არვის გმარებნის, ვისაც ხელად შემოგივარდესთ ამის ანბის შეტეტობარი დარჩეთ, და ან მე რა ჭირი მინახავს ამის თარგმანზე, ისიც არ შეიტყოთ და არ გასინჯოთ“. ასეთ რამეს, დაეთ გერამიშვილისა არ იყოს, მხოლოდ ის აღმაინა განაცხადებს, რომელიც გრძნობს, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ავტორობაში მოცულე არ ჰყავს. აგრეთვე, აი რას გვთხოვს ვახტანგი: „როგორც მათში იყო, ამბავი თავის ადგილს და ლექსი თავის ადგილს დაწერეთ. ამთონის ჩემის ჭირის ხელფასად ლოცვა და შენდობა რომ წესია, ავ-ენობას მიიწერეთ ვინ გახსნით“. ცუდად ნუ შემოიფასებთ ნაწარმოებსო, გვთხოვს ვახტანგი, თორემ ჩვენ რომ სულ მთლად ჩამორთმევას დაეპირებდით — ამას როგორ წარმოიდგენდა.

ამგვარ რამეებს ვახტანგი ქილილა და დამანასთან დაეპირებოდა დატოვებულ ანდერძში გვეუბნება, მაგრამ შემდგომ, როდესაც ვახტანგმა მრავალი ორიგინალური ლექსი და პოემა შექმნა, — ოდნავადე არ შენელებია ქილილა და დამანას თარგმანისაღმის სიყვარული, კვლავ მით, შეიძლება ვთქვათ, ამაყობდა:

„ქირმანს ქილილა-დამანა, მოსკოს ვარ ამის მოქმელია“, — ამბობს მეფე ვახტანგი პოემა „სიბრძნე მალაღობელში“.

ამგვარი განცხადებებით გამოსვლა, როგორც შევნიშნეთ, მხოლოდ იმ აღმანას შეტეტვას როგორც ნაწარმოების ნამდვილად დატოვებულად ალ. ბარამიძე კი მაინც შეურყვევლად გვეუბნება: სწორად მოიქცა რედაქცია, რომ „ქილილა და დამანა“ საბას თხზულებათა ოთხტომეულში მოაქციათ და სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობასაც გვაცნობს I. ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ გვითხრას ჩემს შეხედულებებს სხვა ავტორიტეტებიც იზიარებენო. ჩვენ ვიცნობთ სარედაქციო კოლეგიის ზოგიერთ წევრთა სინტერესო შრომებს საბას დიდადმნიშვნელოვანი შემოქმედების შესახებ, ისინი შედეგებად თვლიან საბას „სიბრძნე-სიკრულისა“ და „სიტყვის კონას“, რაც ჩვენში, მკითხველებში, სიხარულს ბადებს და მშობლიური ლიტერატურით სიამაჲის გრძნობას იწვევს, ხოლო საბას ლექსების შესახებ სრულად სდუმან, ან მეტად თავშეკავებულად მოგვითხრობენ, რაც გვადიქტებინებს, რომ იმ საკითხებში, რომელთაც ალექსანდრე ბარამიძე აყენებს, — სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის ერთსულელება არ სდევს. მაგრამ თუ ასე არ არის, თუ ჩვენ ვცდებით, და სარედაქციო კოლეგიის წევრები იზიარებენ ალექსანდრე ბარამიძის მოსაზრებებს, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ავტორიტეტული მოღვაწეები ბრძანდებიან, მაინც ვაუბრდეთ და ვახტანგ მეექვსის სიტყვებით მოვახსენებთ:

„არ იყოღით, არ გმარებდით ჩემი ასე გარდაგლება?“

ზარას შერჩევით

ა ნ დ მ რ ძ ი

როცა მოვედე, მიმბარეთ
მე კურგანზე სამარხს.
საყვარელი უკრაინის
ფართოდ გაშლილ ტრამალს,
რომ მოჩანდეს ველი ვრცელი,
ზრამი დნეპრის პირას.
შევეურებდე და ვუსმენდე
დნეპრს, მარადის მყვირალს.

თუ წაღეკა უკრაინის
მიწით სისხლი მტრების
და ლურჯ ზღვაში თუ ჩაღვარა,
მაშინ ავფრინდები,
მე დავტოვებ შთას და მინდორს,
ღმერთთან გავწევ ერთი
და ვილოცებ, მანამდის კი
მე უარეყავ ღმერთი.

დამმარხეთ და დაამსხვრიეთ
ბორკილები რისხვით,
თავისუფალ ბედს ასხურეთ
მტრის ბოროტი სისხლი,
და იმ ახალ დიდ ოჯახში
შეგებით თუ დამკვიდრდით,
მეც გახსოვდეთ, მომიგონეთ
ქათნო, წყნარი სიტყვით.

თარგმანი სიმონ ლიპოვანისა



ტომარ ბეჰანიძე

პოეტი — დემოკრატი

(ტარას შევჩენკოს გარდაცვალების 100 წლის თავის გამო)

ტარას გრიგორის ძე შევჩენკო მთელი თავისი ცხოვრებით დაკავშირებული იყო ხალხთან. უმა გლეხის ოჯახიდან გამოსულმა შევჩენკომ გამოჩენილი რუსი მხატვრების — ბრიულოვის, ვენეციანოვისა და პოეტ ვუკოვსკის დახმარებით მხოლოდ 24 წლის ასაკში (1838 წელს) დააწერა თავი ბატონყმურ ტყვეობას, დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია და 30-40-იანი წლების რუსეთის მოწინავე ადამიანებს დაეკავშირა.

1840 წელს გამოვიდა ტარას შევჩენკოს ლექსების პირველი წიგნი „კომზარია“, რომელშიც შედიოდა პოემები: „კატერინა“, „ტარასის ღამე“, „პერებენდია“, „ვერხვი“ და სხვა. 1839 — 1841 წლებში შევჩენკომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ფერწერაშიაც: სამხატვრო აკადემიამ იგი სამგზის დააჯილდოვა ვერცხლის მედლით.

შევჩენკოს ადრეული პერიოდის პოეზიაში რომანტიზმი რეალისტურ ტენდენციებზეა გადასული. რომანტიკული ნაწარმოებების გვერდით შევჩენკოს შემოქმედებაში გამოჩნდა რეალისტური პოემა „კატერინა“ (1838 წ.), მიძღვნილი ვ. ა. ვუკოვსკისადმი. დამაჯერებელი, მუშაობის მიერ ფეხქვეშ გათვლილი გლეხი გოგონას თემა მანამდეც მრავალგზის იყო ასახული ლიტერატურაში, ხოლო ტარას შევჩენკომ შექმნა ახალი სახე პანის თავაშუებულობისა და გარყვნილების მსხვერპლად ქცეული ადამიანისა, მკითხველებს უჩვენა კატერინას ზეედრო, როგორც სოციალური ტრაგედია. ამავე თემაზე პოემა ასახვა შევჩენკოს მეორე პოემა „ბრძანა“. მასში პოეტმა გამოხატა როგორც შეურაცხყოფილი და შეგნებული ქალის შიში ზეედრო, ისევე ემა ქალის, ოქსანას შურისძიების გრძობაც მისი დამლუხველი პანის მიმართ. მსგავს მოტივებს წვავუდებით ჩვენ შევჩენკოს უფრო გვიანდელ პოემა „მარინაშიკ“, აგრეთვე პოემებში „მოჯამავირე ქალი“, „სედიანი“ და ბალადებში „ლილია“ და „ალი“.

შევჩენკოს პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი თემის — ბატონყმურ სოფელში კლასობრივი ურთიერთობის თემის გვერდით — შერატის ადრეულ შემოქმედებაში მეორე ძირითადმა თემა-

მაც გაიკვლია. გზა. ეს იყო უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლის თემა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, დამპყრობლებისა და დამპყრობლების წინააღმდეგ ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი პოეტის ლექსები, ძირითადად, რომანტიკული ხასიათისანი არიან. ლექსებში „ივან პოდკოვა“ (1839 წ.), „გამალია“ (1849) რომანტიკულ სახეებში ნაჩვენებია უკრაინელი ხალხის ბრძოლის სურათები სულთანის თურქეთის წინააღმდეგ. შევჩენკო ამ ნაწარმოებებში აქვდა და აღიღებდა ზაპორიელების გმირობასა და მამაცობას, რომლებიც თავდადებულად იცავდნენ თავიანთ სამშობლოს. ასევე ასახა პოემა „ტარასის ღამეში“ (1839) პოლონეთის შლიახტის წინააღმდეგ ბრძოლა.

„კომზარია“ გამოსვლისთანავე მიიტყია მკითხველის ყურადღება. რაჭკოვლი წრეები კრებულს მკაცრი კრიტიკით შეეგებნენ, ხოლო პროგნოსტულმა საზოგადოებამ იგი გულთბილად მიიღო...

თავის პირველ მოზრდილ პოემაში „გაიდა-მაკეი“ (1841) ტარას შევჩენკომ თვალწინ გადაგვიშალა გლეხთა მოძრაობის დიდი სურათი, რომელიც სიმატლისა და თავისუფლების მოპოებისაკენ იყო მიმართული.

„გაიდამაკეი“ — პეროიკულ-რომანტიკული, ლირიულ-ეპიკური ნაწარმოებია. მასში ისტორიულად სწორადაა გაშუქებული წარსულის მოვლენები, რეალისტური რომანტიკა და რეალზმი ორგანულადაა შერწყმული ერთმანეთთან. ამ შესანიშნავ ეპოპეაში ძირითად, წამყვან ძალად ხალხია ნაჩვენები.

1843 წელს ტარას შევჩენკო ამთავრებს დრამას „ნახარ სტოდოლისა“. ამ ნაწარმოებში მან წარმოადგინა მეჩვიდმეტე საუკუნის უკრაინის სინამდვილე. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში კონკრეტული ისტორიული პირობები არ არიან გამოყვანილი, მასში ფართოდაა მოცემული ისტორიული მდგომარეობა, დახატულია კახკათა ფენებში სოციალური და ყოფითი ურთიერთობის სურათები.

ადრეული პერიოდის შემოქმედებაშივე გამოვლინდა ტარას შევჩენკოს კვშმარტი ხალხურობა, მხატვრულ სახეთა ტიპიურობა, განზო-

გადგომის სიღრმე, ხალხურ შემოქმედებასთან სიახლოვე, ხალხური ენა და სხვ.

1843-1845 წლებში უკრაინაში ყოფნამ ტარას შევჩენკოს საშეალება მისცა ერთხელ კიდევ ახლო მსოფლიო უკრაინულ ხალხთან, დეკორატივობა გლახის ცხოვრებას. პოეტი მოწმე იყო შრომული ხალხის ტანჯვისა და წაპყნისა.

უკრაინაში შევჩენკომ გაიცნო დეკაბრისტა ა. ვ. კანისტი, ცნობილი რუსი შერატის შვილი, რომელმაც იგი რეპნიწების ოჯახთან დააახლოვა. ნ. რეპნიწი დეკაბრისტ ს. ვოლკონსკის მამა იყო; რეპნიწები ეხმარებოდნენ ციხიბრს გადასახლებულ ვოლკონსკისა და მის ცოლს. ვოლკონსკის ცოლი ნ. ნეკრასოვა გამოიყვანა პოემაში „რუსი ქალები“.

1844 წლის დამდეგს შევჩენკო ჩამოდის პეტერბურგში და 3 წელზე მეტს ცხოვრობს იქ. ამ პერიოდში იგი უახლოვდება მომავალ პეტერაშველესს. ბუტაშევიჩ-პეტრაშველეს წრის ის წევრები, რომელთაც დაახლოებული იყო შევჩენკო, რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე იდგნენ.

1845 წლის ზაფხულისათვის შევჩენკომ მხატვრის წოდება მიიღო და პეტერბურგიდან უკრაინის მიაშურა. უკრაინაში შევჩენკო ქმნის მთელ რიგ ნაწარმოებებს, მათ შორის დეკაბრისტებისადმი მიძღვნილ „აღაპსს“. ეს ნაწარმოებები პოეტს შექარნდა სპეციალურ რეველში, რომელსაც მან „სამი წელი“ (1843-1845) უწოდა და უოველთვის თან ატარებდა. „სამი წლის“ ნაწარმოებები ქმნიან გარკვეულ ციკლს, რომელიც თავისი იდეურ-მხატვრული ერთიანობით ხასიათდება. ყველა ნაწარმოები გავრთიანებულია საერთო სათაურით, ეპიგრაფით, პოეტური ბოლოთქმით.

ციკლ „სამი წლის“ ძირითადი დამახასიათებელი თემა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის მსილება, პროტესტი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, უკრაინის ისტორიის კრიტიკული თვალთახედვით გაშუქება, მოწოდება გლეხთა რევოლუციისკენ, მეფის თვითმპყრობლობის დამხობისკენ.

პოემა „სიზმარიც“, რევოლუციურ-პატრიოტულ იდეას—ბატონყმობისა და თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას ემსახურება. მომხიბლავია უკრაინის ბუნება, მაგრამ ავტორი ამ „სამოთხის“ ფონზე მკითხველს გლეხთა შიშველ მდგომარეობის სურათს უხატავს. ამასთანავე ამხელს გლეხთა ბატონყმურ ექსპლოატაციას. პოეტი ხალხის გათავისუფლებას ელის არა ზვეიდან, „სუციდან“, არამედ „მიწიერა“ ძალებისაგან, რევოლუციური გზით. შევჩენკოს ესმოდა დეკაბრისტთა აჯანყების დიდი მნიშვნელობა რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის და სწორედ ამიტომ პოემის მეორე სურათში ქმნის ციხიბრში გადასახლებულ დეკაბრისტთა განზო-

გადებულ სახეებს. „სიზმარიც“ მესამე ნაწილში ასახულია ნიკოლოზ პარველის გამოქვს პეტერბურგი. შევჩენკომ ამ პოემას „ყოყნედა“ უწოდა. რითაც ხაზი გაუსვა თავისი ნაწარმოების სატირულ, მამხილებელ ხასიათს.

ნაწარმოებში „გაუთხრიათ სამარე“ პოეტი მიმართავს-სამარეს, როგორც სიმბოლოს, მის ადრეულ შემოქმედებაში მეტად გავრცელებულ მხატვრულ აღგვირისა. ლექსის იდეური შინაარსი ციკლ „სამი წლის“ ეპიგრაფთან არის დაკავშირებული:

მშვიდო მხარე, ჩემო მხარე,
ჩემო უკრაინა!
რატომ აღარ გავგხარეს?
დავიგრვის ბინა?..

მშობელი დედის, უკრაინის პასუხში გადმოცემულია ის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა, რომელიც მამხილდელ უკრაინის ზვედრი იყო.

ლექსი „ჩივრინე, ჩივრინე“ (1844), დამერილია მოსკოვში და ასახავს კიევიში მიღებული მოგზაურობიდან შთაბეჭდილებებს: შევჩენკო ჩაფიქრებულია უკრაინის ბედით, იგი ზედვს ჩაძინებულ უკრაინას, მისი ფეხზე წამოდგომა და თვითმპყრობლობის წინააღმდეგ დარბაზვა სურს ავტორს.

სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა მხატვრულია აგრეთვე მისტერია „მიწისქვეშეთში“ (1845 წ.). უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები ტენდენციურად ამბინჯებდნენ ამ პოემის იდეურ შინაარსს და მას განიხილავდნენ პოეტის შემოქმედებიდან მოწყვეტით. სინამდვილეში კი, „მიწისქვეშეთი“ მიმართულია ნაციონალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელსაც უკრაინაში აზორცილებდა რუსეთის ცარიზმი უკრაინულ მონარქისტებსა და პოლონულ პანეობს ერთად.

კომპოზიციურად პოემა „მიწისქვეშეთი“ ხალხურ შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. მისი შემადგენელი თავებია „სამი სული“, „სამი ყვავი“, „სამი დამკვირვებელი“, ხოლო ყოველ თვითველ მათგანში სამი პერსონაჟია.

პოემის მეყვარად სატირული მეორე თავი — „სამი ყვავი“ რეაქციული ძალების მამხილებელია. ესენი არიან უკრაინის, რუსეთისა და პოლონეთის რეაქციონერები. თავში — „ჩანჯის სამი დამკვირვებელი“ — პოეტი ხალხურ შემოქმედების ენით დაუნდობლად ამხელს პანეობს თავისუფლობასა და განსაკუთრებით ამბვილებს მკითხველთა უფრადლებას იმ გარემოებებზე, რომ ცარიზმი არა მარტო ჩაგრავს ხალხებს, არამედ აბუნდ ივდებს მის ისტორიულ წარსულს.

ტარას შევჩენკო გერ კიდევ თავის ადრეულ ნაწარმოებებში თანაგრძნობას უცხადებდა და ჩაგრულ სლავ ხალხებს. ჩეხი ხალხის ნაციონა-

ღურ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ასახა მან თავის პოემა „ერტყოსში“ ანუ „იან ჰესში“ (1845), რომელიც მიუძღვნა თავის თანამედროვეს, გამოჩენილ ჩეხ მეცნიერს პ. შაფარისკ, ვერძინელ ექსპანსისტთა წინააღმდეგ მებრძოლსა და სლავთა გაერთიანების იდეის მომხრეს. ამ ნაწარმოებში შევჩენკომ შექმნა მგზნებარე იდეა-მიანი, ვატყანის წინააღმდეგ მებრძოლი ჩეხი პატრიოტის დაუწყეარი სახე.

შევჩენკო მტკიცედ იყო დაკავშირებული რუსეთის გამოთავისუფლებელ მოძრაობასთან და სწორედ ამიტომ ღრმად სწამდა, რომ ისეთივე მძიმე და ჩავრულ მდგომარეობაში, როგორშიაც იყო უკრაინა, იყვნენ აგრეთვე, რუსეთის სხვა ხალხებიც. პოეტი არ იშურებს არც დროს და არც კალამს და გულწრფელად უმღერის ამ დამონებულ ხალხთა თავისუფლებასაც. ასეთ ნაწარმოებს განეკუთვნება „კავკასია“ (1845). პოემა დაწერილია შევჩენკოს მეგობრის ი. ლე ბალმუენის კავკასიაში ტრაგიკულად დაღუპვის გამო მიღებულ ცოცხალ შთაბეჭდილებებზე. პოემა „კავკასიაში“ შევჩენკო პროშუთეს სახით განასახიერებს დამპყრობთაღმის დამორჩილებლობას, ხალხთა უკვდავებას, ხალხის შეუძლებელ ღრმადს თავისუფლებისაკენ:

მთების იქით მთები, შებურვილი ნინლით
მწუხარებით საეც და მორწყული სისხლით.

ძველთაგანვე პროშუთოსს
აქ არწივი სძიმდნის,
გულს უკორტნის, მოთჭრიალებს
ნაკადული სისხლის.

ეწაფება და ვერ აშრობს
სისხლის ცხოველ წყაროს,
გული ისევ მიცოცხლდება,
ძველებურად ხარობს...

შევჩენკო პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებითაც იცნობდა კავკასიის ცხოვრებას. ასახავს რა-კავკასიის ხალხის ინტერესებს, პოეტი ამასთანავე ახდენს თავისი რწმენის, მთავარ მომენტზე ყურადღების კონცენტრირებას — რუსეთის ყველა დაჩაგრული ხალხის მდგომარეობა ერთნაირად მძიმე და აუტანელია. პოეტი მტკიცედ სჯერა რომ ხალხის სიმართლე უკვდავია, მას სვერ დაამარცხებს ვერავითარი ძალა:

და სიმართლედ არ მოკვდება,
ვერ ჩაეღვენ ლაღებს,
რაჯინდ ხარბი გული გქონდეს,
ვერ გაღახნავ ტალღებს,
ვერ შებორკავ კაცის სიტყვას,
რომ სიმართლეს ერთვის,
ვერ შეზილწავ ღმერთის სახელს,
მარად ცოცხალ ღმერთის.

პოემა გამსჭვალულია კავკასიელი ხალხებისადმი სიმათით. შევჩენკო ამ ნაწარმოებში ასახავს რუსი და სხვა ხალხების მეგობრობისა და იდეის ერთიან ბრძოლას ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

ღროთა განმავლობაში შევჩენკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და რევოლუციური-დემოკრატიული აზრები სულ უფრო ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა. პოეტი ახლებს არა მხოლოდ მებატონყმებს, რეაქციონერებს, არამედ ლიბერალებსაც. მათ წინააღმდეგ არის მიმართული ნაწარმოები „მკვდრებსა და ცოცხლებს და ჯერ არ შობილ თანამედროვეებს“.

1845 წელს შევჩენკომ დაწერა შესანიშნავი ლექსი „ანდერძი“ — ფაქტიურად თავისი პოლიტიკური ანდერძი, რომელშიაც ძალუმიდ ეღერს თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდების უფინა.

შევჩენკოს შემოქმედება „სამი წლის“ პერიოდში იტარებს აშკარად გამოხატულ რეალისტურ-მათხილებლურ ხასიათს, მაგრამ რომანტიკული ელემენტებიც არ ქრებთან შევჩენკოს შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებშიც. მისი პოეტური სრულყოფა იღურ ზრდასთან ერთად ვითარდებოდა და მტკიცდებოდა, ნათელი ხდებოდა პოეტის ნოვატორობა, მისი მხატვრულ სიტყვის ღიდი ძალა.

შევჩენკომ წამოაყენა მოწოდება — ხელოვნება ხალხისთვის. იგი წარმართავდა პროგრესულ უკრაინელ ლიტერატურას ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

XIX საუკუნის 40-იან წლებში უკრაინაში ყალიბდებოდა დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც ემაჯნება ბურჟუაზიულ-შემამილურ ლიბერალებს. 1846 წლის იანვარში კიევიში შეიქმნა ანტიბატონყმური პოლიტიკური საბუნდულო ორგანიზაცია — „კირილე — მეთოდეს საზოგადოება“. ამ საზოგადოების წევრები გამოდიოდნენ ბატონყმობის მოსპობის მომხრედ, მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებისას შეიმჩნეოდა აზრთა სხვადასხვაობა. რევოლუციური ნაწილი ემხრობოდა შევჩენკოს. წრის აქტიური წევრი იყო ნ. გულაი (რომელსაც შემდგომში საქართველოსთან ჰქონდა კავშირი).

1847 წელს ეანდარმერამ გაიყო ამ წრის არსებობა და მისი ყველა წევრი დააბატონრეს, მათ შორის — ტარას შევჩენკოც. ამ საზოგადოებაში პოეტის მონაწილეობა ვერ დაადგინეს, თუმცა მეფის ხელისუფალთათვის ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. ბრალდების წამოყენებისას ძირითადი საბუთი იყო პოეტის შემოქმედება, კერძოდ მისი ალბომი „სამი წელი“, რომელიც შევჩენკოს დაბატონრებისას აღმოუჩინეს. მესამე განყოფილების დადგენილებაში ნათქვამი იყო: „მხატვარი შევჩენკო აღმშოფოთებელი და უადრესად თავხედური ლექსების შექმნისათვის, როგორც დი-ზიკურად ჯანმრთელი, გამწესებულ ოქნას რა-ვით ჯარისკაცად ორენბურგის განსაკუთრე-

ბელ კორპუსში... ნიკოლოზ პირველი თავისი საკუთარი ხელით აწერს განაჩენზე: „აეკრძალოს შევჩენკოს წერა და ხატვა“.

თბილისის რვა დღეში გადასტყობენს ეანდარმებმა ტარას შევჩენკო ორენბურგში, იქიდან კი ვადაზავენს შორიულ ორსის ციხეში, მე-5 სასახლერა ათასეულში. საბუნდოვროდ, პაღე პოეტო ადგილობრვი სამხედრო უფროსის ნებართვით, კაპიტან-ლეიტენანტმა ბუტაკოვმა წაიყვანა არალის ზღვის გამოსაკვლევექსპედიციაში. თუმცა მებრალ მძიმე იყო ამ ექსპედიციის საცხოვრებელი პირობები, მაგრამ შევჩენკოსთვის შეუდარებლად უმჯობესი იყო ექსპედიციაში გამგზავრება, ვიდრე საშინელი ცხოვრება საყანში. აქ ის ხატავდა მარინისტულ სურათებს, წერდა ლექსებს. ამ მოგზაურობაში დაიწერა „მარინა“, „ასისთავი“, „შეაჩა“ და სხვა. ექსპედიციაში მონაწილე პოეტი არ იყო მწყობრში, მას არ სდუნდნენ ეფრეთორები და ლოთი ოფიცრები. მაგრამ მალე, ამ ექსპედიციიდან დაბრუნებისას, იგი დაასმინეს ხატვის და ლექსების წერის გამო და შევჩენკო ვადეყანოდ იქნა ნოვოპეტროვსკის ციხეში.

„ნამდვილი უღაბნა, ხრეში და ქება, ბალაბი ან ხე მინე იყოს — არაფერი არ არის“, — ატყობინებდა ამ საშინელი ჯურღმულის შესახებ შევჩენკო თავის მეგობარს ს. ს. გულაყ-არტიმოვსკის. მთელი შვიდი წელი იცხოვრა პოეტმა ამ ჯურღმულში. მას სასტიკად ადევნებდნენ თვალურს, მაგრამ შევჩენკო მინე განაგრძობდა წერას. ი. ს. ტურგენევის მოგონებების მიხედვით, მან ვაკეთა უხეში ტუავისუღიანი წინაყი და ჩექმის ყელში ინახავდა მას. ასე მალულად დაწერა მან მოთხრობათა უზრავლესობა რუსულ ენაზე, ხოლო 1857 წლიდან დაიწყო თავისი „დღიურის“ წერა.

გადასახლების პერიოდში შევჩენკოს შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ლირიკას. ასეთ ნაწარმოებებს განეკუთვნება: „ჩხჩხ“, „შაშინ ცამეტი წლისა ვიყავი...“, „ო. ა. კოზაჩევსკის“ და სხვა მრავალი.

1852 — 1853 წლებში შევჩენკო იწევს რუსულ ენაზე მოთხრობებს წერას. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში, თავად ავტორის ვადმოცემით, მან დაწერა ოცამდე მოთხრობა (ჩვენამდე კი მხოლოდ 9 მოაღწია). შევჩენკოს სიცოცხლეში არც ერთი მათგანი არ გამოქვეყნებულა, მხოლოდ 80-იან წლებში ნახეს იმით მისი სინათლე. შევჩენკოს პოეტიკაში ნაწარმოები, ისე როგორც მისი პოეზია, ხასიათდება მკვეთრად გამობატული ანტიბატონემურა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებით. „პოკრიტკას“ (გაუბედურებული ყმა ქალის) მძიმე ხედრს გვიხატავს ავტორი მოთხრობებში „მოჯამაგირე ქალი“ და „კაპიტნის ცოლი“. ნიჭიერი ყმა-ინტელიგენტის ბედი ასახულია

მოთხრობებში „მუსიკოსი“ და „მხატვარი“, მათგარი გმირი „მუსიკოსის“ არის ტარას თეოდორეს ძე: ვიბტოზში დამკერული ვიოლინოსა და ჩელლოს, იგი იძულებულია ლაქტონს როლი შეასრულოს პანის კარზე, უფრო დიდი ტრავედიის ვადატანა მოუხდა ამ ნაწარმოების მეორე გმირს — მემამულე არნოვსკის ყმას, თეატრის მსახიობ ქალს ტარასევიმს. იმისთვის, რომ იგი დედაქალაქის სცენაზე მოხედეს, იძულებულია თავისი ბატონის საყვარელი ვახდეს. მაგრამ დედაქალაქში სცენაზე გამოსვლას მინეც ვერ ეღიბრა ვაუბედურებული ქალი...

„მხატვარი“ (1856 წ.) აგებულია ავტობიოგრაფიულ მასალაზე. მოთხრობის როლში — ჰიროთად, ავტობიოგრაფიული სახეა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მოთხრობა არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც შევჩენკოს ავტობიოგრაფია.

შევჩენკოს მოთხრობები, როგორც რეალისტური ნაწარმოებებო, თავისი იდეური მიმართებით ახლის ღგანან 40-იანი წლების რუსულ პროზასთან, კერძოდ, გოგოლისა და გერცენის ნაწარმოებებთან. შევჩენკო შემოქმედლებითად გამოიყენა რუსული პროგრესული პროზის პრინციპები და მისი მოწინავე ტრადიციები. ეს მოთხრობები გვაძლევენ, აგრეთვე, მდიდარ მასალას შევჩენკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და ლიტერატურულ ესთეტიკურ შეხედულებებში გასარკვევად.

ნიკოლოზ პირველის სიკვდილის შემდეგ შევჩენკოს მეგობრებმა დაიწყეს პოეტის ამნისტირებისათვის ზრუნვა. მაგრამ აღუქსანდრე მეორემ უარი თქვა მის ამნისტირებაზე. შევჩენკო მხოლოდ ორი წლის შემდეგ იქნა გათავისუფლებული. სულ რვა დღეში მიიყვანეს პოეტი პეტრობურგიდან შორიულს გადასახლებულში და რამდენიმე თვე კი მოუხდა ლოღინი მას ტყვეობიდან მთლიანად გათავისუფლებისათვის. მხოლოდ 14 ავისტოს, კომენდანტ ესკოვის პირადი ნებართვით, რომელმაც აღარ დაუცადა ოფიციალურ ბრძანებას, მრავალტანჯული დ განაწამებანი შევჩენკო ციხიდან ასტარხანს ვაუშვეს. იქედან გვიმთ მხოლოდ სამ ოქტომბერის მთაღწია ვოფილ ნიენ-ნოვგოროდამდის. მაგრამ აქაც დიდი განსაცდელი გადახდა. იმავე დღეს მხოლოდ პოლიციიდან ბრძანება დარჩენილიყო ამ ქალაქში. მხოლოდ 6 თვის შემდეგ დართეს ნება წასულიყო დედაქალაქში, მაგრამ იგი სიკვდილამდის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. იმაგარად შევჩენკო მთელი თავისი ცხოვრების 47 წლიდან შედარებით თავისუფალი იყო მხოლოდ 9 წელიწადს — 1838 წლიდან 1847 წლამდის, 24 წელი ყმობაში ვაატარა, 10 წელი მისჯილი ჰქონდა რიგითი ჯარისკაცობა ციხე-სინაგრებში და, ბოლოს, 4 წელი იმყოფებოდა კანდარმერისის და პოლიციის ველმოღვინე მეთვალყურეობაში, უკა-

ნასყენელ წლებშიც არაერთხელ იქნა დაპატიმრებული.

გადასახლებიდან მოსალოდნელი გათავისუფლების გაგებისთანავე, ჯერ კიდევ ნოვოპეტროვსკში, შეეჩვენებო დაიწყო დღიურების წერა. მისი „დღიური“ ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია, რომელიც პოეტის კეთილშობილური სახეს გადაუშლის მკითხველს. იგი გვაძლევს ფართო მასალას მწერლის მატერიალისტური მსოფლმხედველობის დასახასიათებლად, მისი ათეიზმის, რევოლუციურ-დემოკრატიული, სოციალდემოკრატიული-პოლიტიკური შეხედულებებისა და რეალისტური ესთეტიკის გასაგებად. ხელოვნებისა და ლიტერატურის ძირითად პრინციპად შეეჩვენა კრიტიკულ რეალიზმს თვლიდა. მას მიაჩნდა, რომ ხელოვნება აქტიური უნდა იყოს, რომ ლიტერატურის ამოცანა მართო თვითმპყრობელობის სისტემის მხილება კი არაა, არამედ მოწოდება — იბრძოლონ ამ სისტემის მოსასპობად. შეეჩვენა „დღიურის“ გარდა ნიენი-ნოვგოროდში ჩამდენიმე დღის განმავლობაში დაწერა პოემა „ნოვოიტები“ (1857 წ.), რომელშიც პირველი ქრისტიანი ნოვოიტების სახით გვიჩვენა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერები, მუამბოხენი, ხოლო რომის იმპერატორის მკაცრი ნერახის სახით — ჯალათი მეფე, ნიკოლოზ პირველი. იმისათვის, რომ მკითხველს გაადვილებოდა აღევჩინოს გაგება, პოეტი, ვითომდა შეცდომით, სვეთიის მაგივრად წერდა „ცომირს“. ვოევოდებს — პატრიციებს უწოდებდა და სხვა. პოემა „ნოვოიტები“ პოეტმა მოქმედნა თავის შეგობარს, დიდ რუს მსახობს შეუკენს, რომელმაც კეტერბურგში ჩასვლამდე ნიენი-ნოვგოროდში იმსახურა შეეჩვენა 1857 წლის 24 დეკემბერს.

შეეჩვენა პეტერბურგი აღდგომითი შეგება, მის წინაშე გაიხსნა ლიტერატურული სლაუნების კარები. პოეტი დაუბლოვდა „სოცრემენიკის“ წრეს, რევოლუციონერ-დემოკრატებს. შეეჩვენა მთლიანად, მტკიცედ მიემხრო რევოლუციური დემოკრატიის ბანაკს, დადგა

ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის პოზიციებზე.

სარკვევით

1860 წელს ხელახლა გამოვიდა „სარკვევით“. რასაკვირველია, პოეტის საუკეთესო რევოლუციური ხასიათის ნაწარმოებები იქ არ შესულა, რადგანაც ცენზურა მათ გამოქვეყნების ვერ დაუშვებდა. შეეჩვენა უკანასკნელი თვეების შემოკმედება განათებულია გლეხური აჯანყების ცუცხლთ. ბერძნული მითოლოგიის სოფეტების გამოყენებით პოეტი ამყარად მოუწოდებს ხალხებს რევოლუციური აჯანყებისაკენ...

ტარას შეეჩვენა ახალი უკრაინული ლიტერატურისა და სალიტერატურო ენის ფუძემდებელია. აგი უკრაინის პირველი ჰემზარიტი სხახალი პოეტი, რომელმაც ასე ნათლად და მაღალმხატვრულად გამოხატა ხალხთა სანდუკარი ოცნებანი და იდეები; მან დაამყარა ლიტერატურაში რეალიზმი, ენობრივად და გამაღიღრა უკრაინული ლიტერატურა.

ქართული ლიტერატურული სოციალდემოკრატიის გამოჩენილი წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და სხვანი დიდად აღსაგებდნენ უკრაინელი კომპარის შემოქმედებასა და მოღვაწეობას. ისინი იტაცებულნი იყვნენ შეეჩვენის ხალხის ნიჭით, მგზნებარე ლექსებითა და ამიტომაც ყოველ ღონეს ხმარობდნენ მისი შემოქმედების პოპულარიზაციისათვის. განსაკუთრებით განმტკიცდა ქართულ ხალხს სოციალური უკრაინული მგოსანის შემოქმედებისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ტარას შეეჩვენის ღრმად სწამდა, რომ მისი იდეალები განხორციელდებოდა და გათავისუფლებული, გამარჯვებული ხალხი უკუდაეპყრებდა მის სახელს. ახლა მისი ოცნება, სოციალიზმის გეოქამია, საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხერხდა დიდად პოეტის ჯეროვანად დაფასება. საბჭოთა კავშირის მოქმე ხალხები უდიდესი სიამაყით, მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით იგონებენ უკრაინის გენიალურ კომპარს.

ბ. პირაქვი

ნიკოლოზ გუდაკი — ტარას შვებენკოს მემობარი

იდამიანი, რომელზედაც ზევნ ქვემოთ ვილაპარაკებთ, დიდი კობზარის მფლობელი და თანამებრძოლი იყო. სიცოცხლის მრავალი წელი მან საქართველოში გაატარა და, რაც კი რამ საუკეთესო გაიწინა — თავისი ცოდნა და ენერჯია — მას შესწირა.

ნიკოლოზ ივანეს ძე გუდაკის, ამ დემოკრატი მოღვაწის, მათემატიკოსის, ლიტერატურისმცოდნის, ლინგვისტისა და ისტორიკოსის უძრავად საინტერესო პიროვნება რატომღაც თითქმის მივიწყებულია. ნ. გუდაკი დაიბადა 1822 წელს, უკრაინაში, ზერსონის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრის სოფელ ნიკოლაევკაში, აზნაურის ოჯახში. 1843 წელს მან ბრწყინვალედ ჩააბარა კანდიდატის ხარისხის მოსამზებელი გამოცდები.

1845 წ. ნოემბერში გუდაკი მსახურობდა კიევ-პოდოლსკისა და ვოლინის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში, ისტორიულ აქტთა გადამჩნვე დროებითს კომისიაში. იგი გატაცებით შეუდგა სლავ ხალხთა ისტორიის შესწავლას, იმ მიზნით, რომ სამაგისტრო გამოცდების ჩასაბრუნებლად მომზადებულიყო. იმავე ხანებში გუდაკი შევიდა ლიტერატურულ წრეში — „კიევსკაია მოლოდა“ და დაუახლოვდა წრის წევრებს — ნ. ა. კოსტომაროვს, ვ. მ. ბელოზერსკის და პ. ა. კელიშს. წრე ეწეოდა ეროვნული აღორძინებისა და ცალკეულ მებატონეთაგან უმა გლეხების გათავისუფლების იდეების პროპაგანდას. მაგრამ ეს საქმიანობა არ ამაყოფილებდათ წრის წევრებს, განსაკუთრებით კი — გუდაკს. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იგი გამოირჩეოდა უფრო რევოლუციური შეხედულებით. ამას შეუდგად მოუვა ის, რომ გუდაკმა და მისმა უახლოესმა მეგობრებმა ჩამოაყალიბეს ფართი საზოგადოება. ეს საზოგადოება 1845 წლის დამლევს თუ 1846 წლის დამლევს შეიქმნა და მალე ცნობილი გახდა „კირილე-მეთოდეს საზოგადოების“ სახელწოდებით. საზოგადოების წევრები უკრაინის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისაკენ ისწრაფოდნენ. ეს ორგანიზაცია არ იყო ერთიანი, წევრთა ერთი ნაწილი, რომელსაც ნ. ა. კოსტომაროვი მეთაურობდა, უფრო ზომიერ პოზიციებზე იდგა და მხარს არ

უშერდა თავის ხელმძღვანელს — ნ. გუდაკს.

იმ ჯგუფში, რომელშიაც გუდაკი შედიოდა, უკრაინელი ხალხის დიდი პოეტი — ტარას შვებენკო იყო.

ნ. გუდაკი სავსებით თანატერმობდა ტარას შვებენკოს დემოკრატიულ იდეებს. მალე მათ შორის მხერყალე შეგობრობა დამყარდა. გუდაკისა და შვებენკოს შეხედულებებმა გამოხატულება პოევის საზოგადოების საპროგრამო დოკუმენტებში, რომელთა შედგენაშიაც ისინი უძრავად ენერჯიულ მონაწილეობას იღებდნენ. როგორც გამოძიების დროს საზოგადოების წევრებმა — ბელოზერსკიმ და ანდრეზოვსკიმ განაცხადეს, ნ. გუდაკსა და ტარას შვებენკოს საჭიროდ მიანდათ ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, რომელიც უნდა აღმოცენებულიყო ყველა სლავი ხალხის სავსებით თანატერმობით, და ამ რესპუბლიკაში უნდა მოსპობილიყო ბატონეობა, გაექმებულიყო წოდებათა სხვადასხვაობა, ყველა მოქალაქე თანასწორფდლებიანი უნდა უოფილიყო.

1846 წლის ბოლოს გუდაკი პეტერბურგს გაემგზავრა, 1847 წლის 3 იანვარს კი ის დააბატონრეს. „კირილე-მეთოდეს საზოგადოება“ დარბეულ იქნა. გაუთავებელ დაკითხვებზე გუდაკს თავი მედგრად და ვაჟაკურად ეპირა. ყანდარმები შეეცადნენ უტეხ პატიმარზე მღვდლის მეშვეობით პოქმენდათ. გამოძიების პატიმრის მამაც, მაგრამ გუდაკმა უარი განაცხადა დაკითხვებზე ეპასუნა. ასეთი შეუპოვრობით გაგულისებულმა ყანდარმთა უფროსმა, ვრადმა ორლოვმა ბრძანება გასცა ვადეუეანათ გუდაკი პეტრე-პაველს ციხე-სიმაგრის ალექსის რაველინიში, რათა „როგორც გაუსწორებელი და დამტკიცებელი პოლიტიკური დამნაშავე, რომელიც თავისი არაჩვეულებრივი მოუდრეველობით კიდევ უფრო აძლიერებდა დანაშაულს, რაველინიში სრულიად განმარტოებულად, უმკაცრეს პირობებში უყოლოდათ“.

როცა გამოძიება დასრულდა, ვრადი ორლოვის მოსწინების საფუძველზე, რაც ნიკოლოზ პირველის მიერ მოწონებულ იქნა, გუდაკს შლისებურტგის ციხეში სამი წლის პატიმრობა მიესჯა; ციხიდან გამოსვლის შემ-

დეგ კი რომელიმე შორეულ ვებერნიამი უნდა გადაესახლებინათ და პოლიციის სასტიკ მეთაურებში უნდა ყოფილიყო. კიდევ უფრო სასტიკად გაუწიორდა ნიკოლოზ პირველი ტარას შევჩენკოს. იგი გამწესებულ იქნა რიგითი ჯარისკაცად ორბენურგის განსაკუთრებულ კორპუსში. ნიკოლოზ პირველის ხელისუფლებაში პოეტსა და მხატვარს—ტარას შევჩენკოს წერა და ხატვა აუკრძალა. ნ. გულაყი სამკრობილში დარჩა, ტარას შევჩენკო კი სალდათური სამსახურის მისთვის გამწესებულ ადგილას გაემგზავრა. ასე ვასწავიტა მეფის მოფრობამ უკრაინელი ხალხს ამ ორი შესანიშნავი მოღვაწის მეგობრობა.

გავიდა წლები. ნ. გულაყს პატიმრობის ედა შეუსრულდა და მანინე ქალ. პერმში გადასახლეს, სადაც 1850 წლის მაისიდან დასახლდა. დამახსიათებელია, რომ გულაყს სამი წლის განმავლობაში პატიმრის ან მღვდლმარობის შემსუბუქების არც ერთი საშუალება, არც ერთი თხოვნა არ შეუტანია.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ნ. გულაყს განვლო და მხოლოდ მაშინ მიეცა გულაყს მასწავლებლობის უფლება. იგი ოდესაში ვადავიდა და ეგრეთწოდებულ რიშელეს ლიეუ-ში დაიწყო მასწავლებლობა. 1862 წ. სტავროპოლის გიმნაზიაში გადაიყვანეს, ხოლო 1863 წ. ქუთაისის გიმნაზიაში დანიშნეს მათემატიკის, ფიზიკისა და კოსმოგრაფიის მასწავლებლად. შემდეგ კი—თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მათემატიკურ საგნებსა და ლათინურ ენას ასწავლიდა.

თანამედროვენი გულაყს გულბილად იხსენიებენ: „თავისი კეთილშობილი ხასიათით, სიტყვის სიმტკიცით, სხვათა მწუხარების თანამგრძობლობით მან ამხანაგებისა და მოწაღვლების სიყვარული მოიპოვა, მათ შორის განსაკუთრებით იმათი, ვისაც უნარი შესწევდა გარკვეულიყო მის ღრმა და ფართო შეხედულებებში.“—წერდა 1899 წლის 24 აგვისტოს გაზეთი „კავკასი“.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად გულაყი ეწეოდა სამეცნიერო-ცვლევით მუშაობას. მათემატიკის ისტორიაში მან პირველმა დაწერა შრომა — „გეომეტრიაში მეოთხე განზომილების შესახებ“. შრომა დაწერილი იყო ლილოვის ფორმით, გამოიცა თბილისში 70-იანი წლების დამდეგს. მალე ოდესაში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა ნ. გულაყის მეორე შრომა— „მემუარი ტრანსცენდენტულ განტოლებათა გადაწყვეტის შესახებ“. ამ წიგნების გამოცემით გულაყის, როგორც მეცნიერის, სახელი შორს გასცდა ამიერკავკასიის ფარგლებს.

1876 წელს თბილისის გიმნაზიის დირექტორი კავკასიის სასწავლო ოქტის მხრუნველს სწერდა: „...თითქმის 9 წელწაღია რაც ვიცნობ პირადად ბ. გულაყს, როგორც დიდად განათ-

ლებულს, შრომისმოყვარესა და ნიჭიერ მოღვაწეს, ამასთან ერთად უოცლად უმწიკლო ყოფაქცევის აღმამანს, ამ ხევის... წარდგენით, გვაქვს პატივი, გთხოვთ შეამდგომლობა, მოეხსნას სტ. სოვეტნიკის გულაყს მის ფორმულარულ საიში შეტანილი ჯარიმა (ლაპარაკია გულაყის პატიმრობასა და კავშირზე „კრილე-შეთოდეს საზოგადოებასთან“, ბ. პ.), რომელიც წარმოადგენს დაბრკოლებას როგორც მისი დაჯილდოების დადგენილი საპატიო ნიშნებით, ისევე პენსიისა და საზოგადოდ, ყველა სხვა სამსახურებრივი უპირატესობისათვის“¹.

1876 წლის 31 იანვარს კავკასიის სასწავლო ოქტის მხრუნველმა ამავე უმახუბა, რომ იმპერატორის ნებართვით გულაყს შეუძლია ისარგებლოს სამსახურებრივი უპირატესობებით, მაგრამ არავითარი ჯილდო არ უნდა მიეცეს.

კაბინეტურ მუშაობას თავიციკმული გულაყი, რომელსაც შეუფარდა სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი, 80-იანი წლების დამდეგს მთელ თავის დროს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას ანდომებს. სწავლობს აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა ხალხების ლიტერატურას. გულაყის განსაკუთრებული უურადლება მიიპყრო შოთა რუსთაველის გენიალურმა ქმნილებამ, რომელიც იმ დროს რუსი მეცნიერ-კლასიკის სრულიად უცნობი იყო. თავისი მუშაობის შედეგები გულაყმა შეაჯამა ორ საჯარო ლექციაში, რომლებიც 1884 წ. 13 და 20 მარტს ჩატარდა თბილისის „კრუეციის“ შენობაში.

გაზეთი „დროება“ წინასწარ ატყობინებდა მეცნიერებს მეცნიერის მომავალი ლექციებისა და იმ გეგმის შესახებ, რომლის მიხედვითაც ლექციები იყო აგებული. გაზეთი მოუწოდებდა საზოგადოებას უურადლებით მოქცეოდნენ ამ ლექციებს. ლექციების გეგმაში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები: პოემის დაწერის დრო, პოემის ავტორი — შოთა რუსთაველი, პოემის ფორმა, რუსთაველის ლექსის წყობა, თამარ მეფის ეპოქა, პოემის ძირითადი თავისებურებანი და სხვ.

„დროებაში“ მოთაქვა გულაყის მიერ წაკითხული ლექციების ვრცელი ანგარიში. გაზეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ გულაყს „ასე გარდა შეესწავლა პოემა“ და შენიშნავდა, მართალია გულაყი, როცა ამბობს, რომ „საცა მივიდეს კაცი, თუ იქაური ქული არ დაიხურა, იქაური ხალხი მაინც უნდა გაიციოს თავის ენით, ხასიათით, ლიტერატურით, აეთია და კარგით...“ ანგარიშის ავტორი დასკვნაში წერდა: „ჩვენი საზოგადოებისაგან დიდი მადლობის ღირსია იგი, რომ

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 411, საქ. 3203, ფ. 1.

ასეთის სიყვარულით მოეხერხა ჩვენს უკვდავ პოეზიას¹.

იმავე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ნ. გულაკის ორივე ლექცია ცალკე ბროშურად გამოიცა. იგი 60 გვერდს შეიცავდა და დაიბეჭდა შვედრდოვის გამომცემლობაში.

ქართული პრესა იწონებდა ბროშურის გამოცემას. „დროება“ წერდა: „შვირფასია დადიანსა და განილსა მსწავლელის კაცისა, რომელიც ქართველი არ არის და ქართული ენა კი შეუსწავლია და წაუკეთხავს თვით თანუღლებსა“ და გააცნო იგი თავის თანამემამულეებს².

გულაკის ლექციები გადაბეჭდილ იქნა აგრეთვე ცალკე კრებულში «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» (1884 г.).

რუსული პერიოდული პრესაც აღტაცებით შეხვდა ნ. ი. გულაკის ლექციების გამოცემას. „ნ. ი. გულაკის ახლახან გამოსული ბროშურა, — წერდა „კავკაზი“ (1884 წ. 6 XI), — განსაკუთრებულ უზრადღებს იმსახურებს. მისი დანიშნულებაა გააცნოს რუს საზოგადოებას ის ნაწარმოებები, რომელიც ხალხის დიდებულსა და სიამავეს წარმოადგენს“. წერილის ავტორი სრულიად მართებულად მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსი და ქართველი ხალხები „განსაკუთრებით საჭიროებენ ურთიერთ გაეცნობას“.

ამრიგად, თანამედროვეებმა სწორად შეაფასეს ნ. გულაკის მიერ შოთა რუსთაველის შემოქმედების პრობლემატიკის პროგრესული მნიშვნელობა და მიანდნათ, რომ ეს პრობლემატიკა ხალხს შორის მეტობრილი ურთიერთობის განმტკიცების კეთილშობილური საქმის სიამაბურისათვის იყო მოწოდებული.

და მართლაც, სამოცდაათზე მეტი წლის წინათ, წაროდოვოლეების მიერ აღუქმანდრე II მკვლელობის შემდეგ, შედგენილი რეაქციის პარობებში, რომლითაც მოცული იყო იმ დროს მთელი რუსეთი, დევნილი უკრაინელი ლიტერატორი და მეცნიერი აცნობს რუსეთის მოწინავე საზოგადოებას ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებას. ამანია უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა გულაკის საქმიანობას. რომელმაც ფაქტიურად პირველმა გააცნო რუს საზოგადოებას რუსთაველის პოემა³.

თავის ლექციებში ნ. გულაკმა დაწვრილებით

გადმოსცა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი, დაახლოებით მისი გმირები და ის ისტორიული ეპოქა, რომელშიაც შეიქმნა პოემა. მან უზრადღება გაამახვილა პოემის ღრმა ფილოსოფიურ აზრსა და ქართულ ხალხში მის განსაკუთრებულ პოპულარობაზე. აღტაცებითა და განცვიფრებით ჰყვებოდა გულაკი უბრალო ადამიანების შესახებ, რომლებიც ზეპირად კითხულობდნენ რუსთაველის პოემას და არც ერთი სტრიქონი არ გამოჩნებოდათ ხოლმე. ნ. გულაკი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ხალხზე, რომელმაც სიყვარულით შეინახა თავისი გენიალური ქმნილება და სათუთად გამოატარა მძიმე განსაცდელთაგან საუკუნების მანძილზე, როცა საქართველოს თავს ეჭვობდნენ მონღოლები, თურქები, ირანელები...

„რუსთაველის პოემა, — წერდა გულაკი, — მთელი საქართველოს წიგნიერა მოსახლეობის საკუთრება გახდა. ცალკეული ლექსები იმდენად მახლობელია მასებისათვის, რომ ხალხურ თქმებად იქცნენ და მათ ისეთი აღმამაზებელი კი იმეორებენ, რომელთაც თვით პოემა არასოდეს არ წაუკეთხავთ“⁴.

როგორც დასახელებულ ისე სხვა თავის წერილებშიაც გულაკი გამოდიოდა დამცველად ხალხური პოეზიისა, რომელიც ასახავს მისი შემოქმენლი ხალხის ცხოვრებასა და შემოქმედების ძალებს. ამიტომაც, — დაასკვნოდა გულაკი, — რუსთაველის უდიდესი გამოჩვენება ხალხის სიყვარულია, რომელთაც პოემა ქართველი საზოგადოების ყველა ფენაში სარგებლობს. დასასრულ, გულაკი პოემას თვლიდა საქართველოს უმეცნიერეს ძეგლად, რომელიც ვაიკვებთ ლექსის პარამონიულობით და ვირგილიუსის ჰეგზამეტრებს არ ჩამოუვარდება.

პოემის ანალიზისას გულაკმა, როგორც ფილოლოგმა კი არა, არამედ როგორც ისტორიკოსმა, მთელი რიგი საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა. მთავრითად, როდესაც ის ჰყვება წინათში ცეცხლმსროლელი იარაღის არსებობის შესახებ, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასეთი იარაღი საქართველოში უფრო ადრე განჩნდა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. როდესაც ეხება გულაკი სევდიანი მორტეებით გამსჭვალულ პოემის ბოლო სტრიქონებს, ის ფიქრობს, რომ „რუსთაველი, წინასწარვე გრამობდა იმ უბედურებათა და მძიმე განსაცდელის მოახლოებას, რომლებიც ბედმა ქართველ ხალხს არგუნა; რამაც საქართველო რამდენიმე საუკუნით უკან დასწია და წამოაშორა პროგრესსა და ცივილიზაციას“.

უნდა აღინიშნოს, რომ გულაკმა, მეცხრამე-

¹ „დროება“, 1884 წ., 15/III, № 58.

² „დროება“, 1884 წ., 28/X, № 233.

³ გულაკამდე რუსულ ენაზე გამოქვეყნებული იყო ბროსეს პატარა ეტიუდი „ვეფხისტყაოსანზე“, რომელშიც გახსნილი არ ყოფილა პოემის შინაარსი, ხოლო ვიწრო წრეში იმავე პოემაზე ლექციები წაიკითხა აკაკი წერეთელმა.

⁴ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 1884 г., вып. 4, стр. 129.

ტე საუკუნის ბერძენიული ისტორიკოსების მტდარ შეხედულებათაგან განსხვავებით, სწორად შეაფასა მონღოლთა მონობის უღელი, რომელმაც შეაფერხა ჩვენი ქვეყნის განვითარება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ურთ-ერთ თავის წერილში საქართველოს სახელგანთი პოეტი აკაკი წერეთელი იხიარებდა გულაყის ამ აზრს. მიუთითებდა რა გულაყის დამსახურებას საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებაში, იგი წერდა: „ყველაზე ხალხს კუშიარტეზისთან მივიდა დიდად პატრიცემული ნ. ი. გულაყი, როდესაც ამბობს, რომ პოეტის მისანი ველი თითქოს ვრძნობდა იმ მრისხანე უბედურებათა მოახლოებას, რომლებიც შემდეგ თავს დაატყდა საქართველოს და საუკუნეების მანძილზე ჩამოაშორა იგი პროგრესსა და ცივილიზაციას. სამწუხაროა იოლნდ, რომ დიდად პატრიცემული ავტორი ბროშურისა ამით მხოლოდ მიუახლოვდა კუშიარტეზისს, მაგრამ რატომღაც მის კარიბჭესთან გაჩერდა“¹.

მხატვრულ ნაწარმოებთა მნიშვნელობის გაგებით, ნაწარმოებთა, რომლებიც მოწოდებულ ირიათ ემსახურონ ხალხს და ასახონ მისი ცხოვრება, ყოფა, ზნეჩვეულებანი და გულის-თქმანი, გულაყი ეხმარება ვასელი საუკუნის 40-იანი წლების რუსი საზოგადოების რევოლუციურ წარმომადგენელთა შეხედულებებს.

შოთა რუსთაველის პოემის ვარდა ნ. გულაყი არაერთგზის მიმართავდა ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიას. მან ვრცელი რეცენზია დაწერა, მაგალითად, ვენის უნივერსიტეტის პროფესორის ფრ. ალტერის წიგნზე— „ქართული ლიტერატურის შესახებ“ (გამოცემა ვენაში, 1798 წ.), და მიუთითებდა რომში ეტიკიანის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართული ლიტერატურის მთელ რიგ ძეგლებზე. გულაყმა დადებითი შეფასება მისცა, ალტერს, რომელიც საამაყის ვრძნობით იყო გამსჭვალული იმის გამო, რომ მან ერთმა პირველთაგანმა გატკრა ბილიკი დასავლეთ ევროპის მეცნიერებს ქართული მწერლობის გაცნობის საქმეში².

1885 წელს გულაყმა დიდი რეცენზია მიუძღვნა 1884 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქციით გამოცემულ „ვისრამიანს“.

„არ შეიძლება არ გავიხაროს ამ ძველი პოეტური მოთხრობის დაბეჭდვამო“, ასე იწყებდა თავის რეცენზიას ავტორი, თუმცა შემდგომ, ნაწარმოების ანალიზისას აღნიშნავდა რა

„ვისრამიანის“ ირანულ წარმოშობაზე, იგი დაასკვნა: „თუ შევადარებთ „ვისრამიანს“ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ მაშინვე გველში მოგვხვდება ამ ორ ნაწარმოებს შორის არსებული უდიდესი განსხვავება. „ვისრამიანის“ შემქმნელი ხალხი ვერას დროს ვერ ამაღლებოდა „ვეფხისტყაოსანში“ დახატულ კეთილშობილ სსხეთა სიმაღლეზე“¹.

1891 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ნ. ი. გულაყის რეცენზია ა. ლასტის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ. რეცენზენტი შეკარად აკრიტიკებდა მთარგმნელს თარგმანში არსებული არა-ზუსტი ადგილების გამო, რამაც მისი აზრით, დაამახინჯა როგორც პოემის შინაარსი, ისე მისი მხატვრული მხარე.

დიდი ლინგვისტური ნიჭით დაჯილდოებულმა გულაყმა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა მთელი რიგი ძველი და თანამედროვე ევროპული ენები, სრულყოფილად შეისწავლა აგრეთვე ქართული ენა. ამის დამადასტურებელია მისი წერილი: „ქართული ენის ადგილი ინდოევროპულ ენათა ოჯახში“².

ქართულ და ინდოევროპულ სიტყვათა ძირებზე საინტერესო დაკვირვებათა შედეგად, გულაყი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ენა, მიუხედავად ზოგიერთი თავისებურებისა, უთუოდ ენათესავენდა ინდოევროპულ ენათა ჯგუფს. შესაძლოა, გულაყის ეს წერილი ლინგვისტებისათვის ამჟამადც არ იყოს ინტერესს მოკლებული.

სამწუხაროდ, ამ გამოჩენილი მეცნიერისა და შესანიშნავი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად მცირე ცნობები და საბუთებია შემონახული. უსადუძლო არ იქნება ვივარაუდოთ, რომ მას ფართო კავშირი ჰქონდა თავის თანამედროვეებთან — ა. წერეთელსა და ი. ჭავჭავაძესთან, რომლებსაც გულაყი, შესაძლოა, შეხვედროდა რედაქციებში და სხვადასხვა საზოგადოების სხდომებზე. ზემოთ უკვე ითქვა, რომ „დროებისა“ და „ივერიაში“ არა ერთხელ დაუწერიათ გულაყის მოღვაწეობის შესახებ. იგი, აგრეთვე, ერთ უწყებაში, ერთ სასწავლო ოლქში მუშაობდა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწესა და პედაგოგ იაკობ გოგებაშვილთან ერთად. ამ ურთიერთობის შესახებ რაიმე დამადასტურებელი ცნობები დოკუმენტებში არ შენახულა.

ვრცელი წერილი მიუძღვნა გულაყმა დიდი აზრთაიჯანული პოეტის ნიშამი ვარჯელის შემოქმედებას. ეს წერილი— „ნიშამი ვარჯელი და

¹ იხ. აკაკი წერეთლის ავტორგრაფი, საქართველოს სახელმ. მუზეუმი, 328, H—1945, იხ. აგრეთვე „საისტორიო მოამბე“, ტ. VII, გვ. 356—364, თბილისი, 1953 წ., საარქივო სამმართველოს გამოცემა.

² „Кавказ“, 1882 г., № 271, 272.

¹ „Кавказ“, 1885 г., № 216.

² „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, вып. 26, წერილი გამოქვეყნდა ავტორის ვარდაცვალების შემდეგ.

ისი პოემა — „ლაშქრობა რუსთა ბერდას წინააღმდეგ“ — დაიბეჭდა უკვე ავტორის გარდაცვალების შემდეგ¹. გულაყი ნიზამის აღარბდა ცის ტატრობზე მოვლევარე მნათობს, და მიუთითებდა, რომ ნიზამი ცხოვრობდა და შემოქმედებდა ეწეოდა იმავე ეპოქაში, როცა ჰეროდოტე საქართველოში გაისმა ხმა რუსთაველისა — „დიდებული თამარ შეფის მომღერლისა“.

გულაყი ხაზს უსვამდა იმ აზრს, რომ კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება ამიერკავკასიის ხალხებში იმ ეპოქაში განვითარდა, როცა ეს ხალხები თავისუფალი იყვნენ და ჯერ მონღოლთა თავდასხმები არ განეცადათ. „შეიღალდონეს აღწევს კულტურა თავისუფალი ხალხისა, რომელსაც ჩაგვრა არ განუცდიოთ“, — ამბობდა ის.

90-იან წლებში ნ. გულაყმა შეწევითა პედაგოგიური მოღვაწეობა, სამსახურს თავი დაანება და თავის ნათესავ ქალთან განჯაში (ახლანდელ კარაოვანში) დასახლდა.

განჯაში გულაყი ერთ ხანს კვლავ განაგრ-

ძობდა აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლას, მაგრამ მალე ჯანმრთელობამ უშტყუნა და 77 წლის ასაკში იგი გარდაიცვალა. 1899 წლის 27 მაისს სამგლოვიარო განცხადება და ორი პატარა ნეკროლოგი იუწყებოდნენ ნ. ი. გულაყის გარდაცვალებას¹.

ასე დაამთავრა სიცოცხლე ამ ჩემმა მეშემამე, მეცნიერმა და დემოკრატმა, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე მეცნიერებასა და ხალხის სამსახურს შეაღია. ნ. გულაყის ცხოვრებისა და შემოქმედების უფრო დაწვრილებით გამოკვლევა, ალბათ, ნათელს მოჰყენს ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის ისტორიის ბევრ საინტერესო ფაქტს. ასეთი გამოკვლევა საინტერესო იქნება არა მარტო სპეციალისტ ფილოლოგებისათვის, არამედ საბჭოთა მკითხველების ფართო წრისთვისაც.

¹ «Кавказ», 1899 г., № 140; «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. 26.

¹ იქვე, გვ. 116—126.

მ. მამბრიძე

ქართველი და სლავი ხალხების ურთიერთობის
წარსულიდან

ქართველი და ბალკანეთის სლავი ხალხების ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. უკვე კიდევ XI საუკუნეში ქართველმა მოღვაწემ იოანე პეტრიწმა ბულგარეთში დააარსა პეტრიწონის მონასტერი, სადაც, საცმოდ დიდხანს, იგი სათავეში ედგა მონასტერთან არსებულ სასულიერო სემინარიას. ორი საუკუნის მანძილზე მონასტერი ქართველების ხელში იყო. ამ ზღვარებზედ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს და ბულგარეთის ისტორიის შესწავლისათვის.

1697 წელს რუმინეთში, ქ. სნაგოვოში, ანთიმოზ იერარქელმა სლავური ენის გრამატიკა გამოსცა; იგი ბალკანეთის ხალხებისათვის იყო განკუთვნილი. ქართველი და სლავი ხალხების მეგობრობის ამსახველი ძეგლია ქართული ღვთისმშობლის მონასტერი, ჩეხელდრესის ხეობაში სოფ. ბანკოვსთან.

ქართველი და სლავი ხალხების ისტორიულ წარსულს ბევრი საერთო რამ აქვს. მრავალი წლის განმავლობაში ისინი ებრძოდნენ რომაელ და ბიზანტიელ დამპყრობლებს. ბალკანეთის სლავმა ხალხებმა და საქართველომ ერთნაირი ჩაგრა განიცადეს ოსმალთა ანტილატორებისაგან.

სლავი ხალხები XIV საუკუნიდან გვიანდლენ ოსმალთა ტირანიის უღელქვეშ; ოსმალებმა საქართველოსაც მოსწყვიტეს ტერიტორიის მუსამედი ნაწილი, იქ ბატონობის სასტიკი რეჟიმი დაამყარეს. დამპყრობლები ცეცხლის აღსაძლევედნენ ქართველთა და სლავთა სოფლებსა და ქალაქებს, სპობდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს. იტაცებდნენ სიმდიდრეს; უკუდგან, სადაც ისინი შეიჭრებოდნენ, „სისხლის ტბა“ დგებოდა, სადაც მათი ბატონობა მყარდებოდა, ციცილიზაცია ქრებოდა. სლავების ძველი თქმულება: „სადაც ოსმალოს ფეხი დაუდგამს, იქ ბალახი აღარ იზრდება“. ქართველი და სლავი ხალხები მაინც ქედს არ იხრი-

დნენ, უცხო დამპყრობთა ძალადობას არ სცნობდნენ და გმირულ ბრძოლას განაგრძობდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლებს მეთაურობდნენ ისეთი ლეგენდარული გმირები, როგორც იყენენ გიორგი სტოიკოვი და რაკოვსკი, ბოტივეი და სტამბულოვი, ძმები მილაღინოვიჩები და პეტო პავლოვიჩი, სოლომონ პირველი, ერვალე მეორე და ბევრი სხვა.

ბულგარეთის ლიტერატურის დიდი კლასიკოსი ი. ვაზოვი კარგად იცნობდა ქართველი ერის ისტორიას. იგი წერდა, რომ „ბუმბერაზ კავკასიის ქედის სამხრეთ მხარეს, კოროხისა, ინგულისა, ჩიონის და მტკვრის აუზებში უხსოვარი დროიდან ცხოვრობს შიის მამაკი, მძლავრი ხალხი ქართველთა ტომისა, მართლმადიდებელ სარწმუნოების აღმასრულებელი. ამ ხალხისაგან დაშორებული ვართ როგორც შავი ზღვითა, ისე ისტორიითა. არაფერი ეიცოდი იმ წარსულის შესახებ, რომელიც ესოდენ უახლოვდება და ეშმაგავსება ჩვენს უზედურებით აღსაყვ წარსულ ცხოვრებას... რა საოცრადა ჰგავს საქართველოს ბედი ბულგარეთის ბედსა, ხანდახან კაცი იფიქრებდა, გრიგალმა ეს ერი ეს არის პოლიტიკურ ცისკარად ვადაადლოვო, მაგრამ გაიხედვადიდა და ქართული ერი მუდამ მებრძოლი და ეროვნული რჩებოდა. ამ ერს იმდენი უზედურება დაატყდა თავზე და შიინც დაიცვა თავისი ენა და ეროვნული თვითცნობიერება იმ დროს, როცა ბევრი იმაზე უძლიერესნი სახელმწიფონი აზიისა თავიანთ ცივილიზაციასთან ერთად დედაამოწის პირიდან სამუდამოდ აღიგვენენ“. ვაზოვი კარგად იცნობდა ქართველი ერის სახელოვან შვილებს — დიდ ქართველ მოაზროვნესა და მწერალს ი. ჰავჭავაძეს და საზოგადო მოღვაწეს და პუბლიცისტ რ. ისარლიშვილს. უკანასკნელმა ვაზოვს საფრანგეთში გამოცემული წიგნი „საქართველო“ (ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა) გაუგ-

ზანა, მასთან ერთად მისწერა განსაკუთრებით ვრცელი და გულთბილი წერილი, ვახოვმა, როგორც თვითონ წერს, გატაცებით წაიკითხა მთელი წიგნი და აღფრთოვანებული პასუხი მისწერა ქართველ მეგობარს. ვახოვს ხშირი მიწერა მოწერა ჰქონდა ისარლიშვილთან; ამ წერილების ნაწილი საქართველოს ლტერატურულ მუზეუმში ინახება.

ბალკანეთის სლავი ხალხების ინტერესების დაცვისა და ოსმალთა უღლისაგან გათავისუფლებისათვის თავდადებით იბრძოდა პეტრე ივანესიძე ბაგრატიონი. 1809 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში, პ. ბაგრატიონმა ბალკანეთში მოქმედი რუსეთის არმიის მთავარსარდალად დაინიშნა. იგი უდიდეს ინტერესს იჩენდა სლავი ხალხების ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობისადმი, დახმარებას უწყევდა სერბების, ბულგარების, მოლდავეთისა და ვალახეთის ხალხებს. მან დაიბარა სლავი ხალხების მოძრაობის ხელშეწყობის და ერთიანი მოქმედების გეგმა შეადგინეს ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბაგრატიონმა ბოლო მოუღო ადგილობრივ ფეოდალების თვითმბრძობას და მთელ რიგ პრივილეგიას ძველი მმართველობა შესცვალა. რუსეთის არმიის მხარდაჭერა ბაგრატიონის ხელშეწყობით სლავი ხალხებიც იბრძოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ამ ბრძოლებში მთაწვეთელმა გამარჯვებულმა განადგურებისაგან იხსნა ბულგარეთი და სერბია.

ამ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიაში განსაკუთრებით საპატიო ადგილი იკავებს 1875 — 1876 წლების სლავი ხალხების აჯანყება და მისდამი ქართველი ხალხის დამოკიდებულება.

XIX საუკუნის 70-იან წლებში სლავი ხალხების ნაციონალურ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. სლავთა მთელ რიგ ქვეყნებში ამ დროს მოქმედებდნენ „საიდუმლო კომიტეტები“, რომელთა ძირითადი ამოცანა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გახდა.

1875 წ. ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში აჯანყებამ იფეთქა; მალე იგი მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოვლო. სლავი ხალხების ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად გადაიქცა. მან როგორც ევროპის სახელმწიფოთა მმართველ წრეებს, ისე მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ხალხთა მასებმა თანაგრძობა გამოუცხადეს თავისუფლებისათვის მებრძოლ სლავებს და დახმარება აღუთქვეს მათ. განსაკუთრებით ფართო მხარდაჭერა და დახმარება გაუწია აჯანყებულებს და მათ ოჯახებს რუსმა ხალხმა. ვარდა მატერიალური დახმარებისა, ათასობით მოხალისე გაემგზავრა ბალკანეთში და მონაწილეობა მიიღო გმირულ ბრძოლებში. საქართველოს ოსმალ-

თა ბატონობის უღელი აღარ ტანჯავდა, მაგრამ მესიერებაში წარშლელი იყო უსწყირე ტყვეულები, რომელიც ოსმალთა ბატონობაში ყოფილან მას. კვლავ ოსმალთა ბატონობის უღელქვემ გმინავდა საქართველოს ერთი ნაწილი, მათ შორის აჭარა. ამიტომ საქართველოში განსაკუთრებით ფართო გამოხმარება ჰქონდა სლავი ხალხების ნაციონალურ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ. ქართველებმა მორალური და მატერიალური მხარდაჭერა გაუწიეს აჯანყებულ სლავებს; მოხალისე ქართველები უშუალოდ ბრძოლაში იღებდნენ მათ გამათავისუფლებელ ბრძოლაში. 1876 წელს, როდესაც აჯანყებამ მძაფრი ხასიათი მიიღო და მთელ ბალკანეთს მოვლო, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ბალკანეთში გაიგზავნა დეპუტეები, რომლებშიც ქართველები მიესალმებოდნენ სლავების აჯანყებას, სოლიდარობას უცხადებდნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ მას. ამ პერიოდში ქართულ ენაზე მხოლოდ ვახუთი „დროება“ გამოდიოდა, რუსულ ენაზე კი „თბილისის უწყებანი“ და „კავკაზი“. ვახუთები სლავი ხალხების აჯანყებას დადებით შეფასებას აძლევდნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ მას, ვახუთები სისტემატურად აქვეყნებდნენ გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ სტატიებს ბალკანეთის ნახევარკუნძულის შესახებ, იბეჭდებოდა წერილები ბალკანეთის საერთაშორისო და სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის შესახებ; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი ჰქონდა აჯანყების გამოწვევებზე, ბრძოლის მსვლელობასა და შედეგებს.

„დროება“ სლავი ხალხების აჯანყებას ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად თვლიდა. ვახუთი ეხება ოსმალთა მიერ დაპყრობილ ხალხთა ბედკრულ მდგომარეობას და მუთუთებს: „ისინი აჩიან მოკლებული პოლიტიკურ ძალას, ქვეყნის საქმის განაგება მათ არ ეკითხებათ, მათ სისარგებლოდ არავენ რას აკეთებს, მაგრამ დაიწყო განათავისუფლების საქმე და თანდათან გამოვავთ თავი ოსმალეთის მონობისაგან“. ვახუთი აღნიშნავდა სლავი ხალხების განთავისუფლების სხვადასხვა შესაძლებლობას; რომ „ან ყველა მის (ოსმალეთის—შ. მ.) ხელქვეით მყოფი ხალხი ცალცალკე მიიღებენ თავისუფლებას, და ან ყველა ხალხს უფრო დიდი ავტონომია ექნება, უფრო დიდი პოლიტიკური უფლებათ“.

„დროება“. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სლავი ხალხების აჯანყებაში ბულგარეთის მონაწილეობას. „სლავი ხალხების აღადგენ მდგომარეობაში. — წერდა ვახუთი— დღითი დღე უფრო ცხადი ჩნდება რომ ამათ ბედის გადაწყვეტა იმახდ არის დამოკიდებული, თუ რანაირ მონაწილეობას მიიღებს იმაში ბულგარელი ხალხი. არავითარ დამაკოლებებს და სიძულეებს არ ეძუებან ბულგარეთის საუკეთესო შედეგი და ვერავითარ უბედურებას

ვერ მოეტეხია მათი თავგანწირულობითი მოღვაწეობა თავისი სამშობლოს ბედისათვის*.

ბულგარეთი ხალხის სახელოვანმა შეილებმა, რუსეთის დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილმა რაკოვსკიმ, ლევსკიმ და ქრისტო ბოტევიმა 1876 წ. აჯანყების დროსა ააფრიალეს. ამით სლავი ხალხების ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა გაფართოვდა, ახალ ფაზაში შევიდა. „მოთმინების ფილა აგოს, — წერდა მაშინ „თბილისის უწყებანი“ — სერცეგოვინელების მიერ ანთებული ნაპერწკალი ვაღვიძდა და ფართე ცეცხლად იქცა. აღსდგა ბულგარეთის, სერბიის და ზერნოვოჩის ლაშქარი, ავი ბრძოლაში შეება, სლავებისათვის ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, მათ ვაღწევიტეს თავისუფლების მოპოვება ანდა სიკვდილი“.

ოსმალებმაკაც ვაითვალისწინეს, თუ რას მოასწავებდა ბულგარელი ხალხის ბრძოლაში ჩაბმა და მთელი ძალეებით თავს დაესხნენ აჯანყებულებს. სსტად შეიარაღებულმა ხალხმა ვერ გაუძლო შრაველიცხოვნი მოხალაღებებს და აჯანყება წაასწვეს. დაიწყო ოსმათა მხეცობა, ბულგარეთის მიწა პატრიოტთა სისხლით მოიწყო. ბულგარეთში ოსმალი დამპყრობელებმა ისეთი მხეცობა და ვერაგობა ჩაიდინეს, რაც არცერთ ხალხს არ უნახავს XIX საუკუნეში. საქართველოს პრესა ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა ამის ვაჟო: „მრისხანება, მხეცობა და გაყოფებული მხეცური გრძნობები, წინასწარ ვაუპატურებულ ქალთა დიწვა, მშვიდობისმოყვარე ხალხების ასობით მოსპობა, ცეცხლითა და მახვილით მთელი მხარის ვაპარტახება, ყოველგვარი სახის წყალება დაატყდა თავს უიარაღო ბულგარულ ხალხს“. ბულგარელთა ათასობით ოჯახები ვადასახლდა მუზობულ ქვეყნებში, ხოლო ეინც ვერ ვაასწრო, რეპრესიების მსხვერპლი ვაქადა.

სლავი ხალხების ინტერესების დაცემაში დიდი დამსახურება მიუღწესა მაშინდელ გამომგნილ სახელმწიფო მოღვაწეს ალექსი წერეთელს.

ა. წერეთელი 1873 წლიდან მუშაობდა რუსეთის გენერალურ კონსულად ოსმალეთში, პირველად აქ ვაეცნო იგი ბულგარელი ხალხის ბედკრულ ცხოვრებას, ხოლო 1876 წლიდან, როდესაც იგი ბულგარეთში დაინიშნა ვიცე-კონსულად, უშუალოდ დაეკავშირა ბულგარულ ხალხს და მთელი თავისი ენერგითი იზრძოდა მისი ინტერესების დაცევადა — ამხელდა ოსმალთა მხეცობას და მოუწოდებდა ხალხებს დახმარებოდნენ სლავებს. ოსმალების მოქმედების შესახებ იგი მსოფლიოს აუწყებდა: „ვევლგან ოსმალების მხეცობის კეალს ეაწყებებით, საპყრობილეთში ტანჯევა-წამების და ენით ვაღოთქმულ სურათებს ვხედავთ... ირვლივ სილატაკე და შიშლითა, ვაპარტახებულ სოფლებში ქალები და ბავშვები ბაღას სტამენ, ბულგარელთა მდგომარეობა აუწერელია“. საკონსულოს თანხებიდან წერეთელმა დახმარება მისცა ბულგარელებს პერიოდ, ვახსნა ქვარეების და ბავშვების მართული წრეების ზრახვებს... ვაღკანეთში შექმნილ ვითარებაზე, რომ ინგლისი იარაღს აწვდიდა ოსმალებს და უკანასკნელთა ინტერესებს იცავდა. 1876 წლის 26 ივლისს ალექსი წერეთელი პეტერბურგში წერდა, რომ „ბულგარელთა უბედურება დლითი დღე იზრდება, ოსმალთა მჭვინეარებას ბოლო აღარ უნანს, რადგან პასხლის მომთხოვნი არავინ არის... თავისთავად ცხადია, რომ მხოლოდ რუსეთზე ამყარებენ ისინი თავის უკანასკნელ იმედს“. წერეთელს კარგად იცნობდა ბულგარელი ხალხი, მას იგი თავის უახლოეს მეგობრად და საყვარელ ადამიანად სოვლიდა; იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა და „ჩვენი წერეთელია“, უახდენენ მას.

ქართული პრესა სისტემატურად ამუშავებდა სლავი ხალხების გმირული ბრძოლების ეპიზოდებს, ხოტბას ასხამდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირებს, როგორც იყენებდნენ ბრატოვიჩი, პეკო პაკოვიჩი, ვინიჩი და სხვ.

სლავი ხალხების აჯანყებას გულისხმიერად გამოვხმებთა მოწინავე ქართული პუბლიცისტი სერგი მესხი. სლავი ხალხების აჯანყებას იგი იმ დროის ერთადერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენად თვლიდა, თანავარძლებს უცხადებდა აჯანყებულებს და გამარჯვებას უსურვებდა მათ. „სლავი ხალხები, — წერდა იგი, — თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ღრულვამ აამხედრა, მთელი წელი ბრძოლაში ვაატარეს, ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი ქალაქი და სოფელი აოხრდა და იქნება უარესსაც მოვესწროთ იმათ ვანზრახვის სისრულეთში მოყვანისათვის“.

მაშინ, როდესაც სლავი ხალხების ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მთელი სიმძიმით მჭვინეარებდა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა სლავების ბრძოლას მიუძღვნა პოემა „არაკა“, რომელიც 1876 წელს გამოქვეყნდა. პოემაში აღწერილია ბალკანეთის მდიდარი ბუნება, ვამუშებუელია სლავი ხალხების ისტორიული წარსული და აჯანყება. გიორგი წერეთელი გვიხატავს სლავი ქალების გმირულ ბრძოლის სურათებს. პოემის მთავარი გმირი ქალი არაკაა, რომელიც სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის სიცოცხლეს არ ზოგავს, პირადად მავალითა ამხნევეებს მებრძოლებს.

პოემის მთავარი გმირები იღუპებიან თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ქართველი პოეტი იმედს ვამოთქვამს, რომ სლავი ხალხები ვამარჯვებენ.

სლავთა ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობას ფართოდ ამუშავებდა „ივერია“.

„ივერია“ მხრვალედ თანუგრძნობდა სლავ



ვებს, ამდგენებდა ევროპის სახელმწიფოთა ხრიკებს — ამხელდა მათ თვალთმაქცობას. ოსმალეთის 1876 წლის კონსტიტუცია „ივერიამ“ შეაფასა, როგორც დამატებულ ხალხთა მოსატყუებელი მანქანი. „განსხვავება მხოლოდ იმაში იქნება, რომ ახლა ამგვარ ყოფას კანონის სახელი ექნება“ო, — ნათქვამია ვახუთში.

სლავი ხალხების აჯანყებას ოსმალთა წინააღმდეგ მტრულად შეხედნენ ევროპის სახელმწიფოთა მმართველი წრეები: ქართული პრესა კაცხავდა მათ ამის გამო. ვახუთ „დროების“ სიტყვით, „ხალხების მდგომარეობის შეწინააღმდეგება და ოსმალის მძიმე უღიჯიდან იმათ დასხანაზე (ინგლისი—შ. მ.) არ უჭირბობს, მხოლოდ თავისი ეგოისტური სარგებლობა აქვს მხედველობაში, და რადგან კარგად იცის, რომ ერთის ხელის შეხებით ეს „ავადმოყოფი სული“ დაიშლება, ამის გამო ცდილობს, რომ ამ სახელმწიფოს მდგომარეობა შეუცვლელად დარჩეს“. ქართველი პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ ინგლისი იძულებული იყო ეთანაგრძნო ოსმალეთისათვის, რადგან ოსმალეთის სიმაგრეზე და გამარჯვებაზე იყო დამოკიდებული იქ დაბანდებული ინლისის კრედიტების ბედი. „დროება“ შეინიშნავდა: ინგლისის შიროკი ხალხს „შევიწროებულ სლავიანების მხარე უჭირავსო“.

ქართულ პრესაში ფართო გამოხატულება პოვა აჯანყებულთა და ოსმალთა შორის სახავო შოლაპარაკებამ. ვახუთები კაცხავდნენ ევროპის სახელმწიფოთა „შემარჩევნელად“ პოლიტიკას აჯანყებულები სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ვახუთ „ივერიის“ სიტყვით, „ევროპა კი ურჩევდა—მალამო დაიდე, რომ ტყვილი ცოტას მიიწე დაგიუფრდესო, მაგრამ სლავები პასუხობდნენ, ჩვენი გულითადი სურვილი მხოლოდ სრული თავისუფლება არის, თუ არ იქნა და ვერ შევიძინებთ ეს თავისუფლებას, სიკვდილს ვაჩვენებ და ვიძირე ცოცხალი ვართ კი თოფ-იარაღს არ დაეკრიბოთო“. ევროპის სახელმწიფოები ბევრს ეცადნენ დაეწინაურებინათ აჯანყებულები, მაგრამ მაინც ვერ შეინდევს ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ვახუთებმა ზნობად ვხედებით მოწინავე ქართველი საზოგადოების მიმართვის მოსახლეობისადმი, შეძლებისდაგვარად დაეხმარონ უბედურებაში მყოფ მოძმე ხალხებს. ერთერთ მიმართვაში ნათქვამია: „იმ რთულ მდგომარეობის გამო, რომელსაც სლავიანთა ოჯახები განიცდიან, ჩვენი საზოგადოების წმინდა მოვალეობაა დაეხმაროთ მათ და დაეუხმაროთ ისე, როგორც იმიდრ აქვს მათ და როგორც ჩვენი სიმატეებს შეეფერება მათ საქმისადმი“.

1875 წლის 25 ოქტომბერს საქართველოში დაიწყო ხელმოწერა ნებაყოფლობითი შეწირულებაზე სლავი ხალხების დასახმარებლად. გათვალისწინებული იყო დახმარების გაწევა შედეგმენტებით, ქსოვილით და ფულით. პრესა

განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ფულად შეწირულობას; აქვანებდა ცნობებს ყოველწლიურ პირობა, დაწესებულებათა, სოფლებსა; დეკლარაციების მიერ შეგროვილი თანხების შესახებ.

ჩვენი ხალხი, რომელიც ამ დროს ცარიზმის უღელქვეშ მძიმე ეკონომიურ პირობებში იყო, ამ საქმისათვის უკანასკნელ კაპიკსაც არ ზოგავდა. მავალითად, ოუზრგეთის მაზრის სოფელ ხახვის მოსახლეობა ვახუთ „დროების“ რედაქტორს სწერდა: „უფლო რედაქტორო! ვგზავნი თქვენს სახელზე ჩვენი სოფლის მცხოვრებისადგან შემოწირულს 4 მან. 40 კაპ. სასარგებლოდ აჯანყებულ პერსეკუციონებისა და ვახოთე მიიღოთ გასაგზავნად სადაც გერ არსო. მართალია ფული ცოტაა, მაგრამ რაც შეგვიძლია იმას ვიგზავნით გაის გულით“.

1875 წლის 25 ოქტომბრიდან, შეწირვაზე ნებაყოფლობით ხელმოწერის გახსნის დღიდან, 1876 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოს მოსახლეობიდან მხოლოდ ფულად შეწირვის სახით შეგროვილი თანხა 27,667 მან. 84 კაპ. შეადგენდა, რაც მაშინდელი ფულადი კურსით ცოტა როდი იყო. გარდა ამისა, აჯანყებული სლავებისა და მათ ოჯახების დასახმარებლად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (ქუთაისში, ახალციხეში, თბილისში, ფოთში) ეწეობოდა ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და წარმოდგენები, რომელთა შემოსავალიც ბალკანეთში იგზავნებოდა. გადაწყვეტილი იყო დიდი სერიზობის მოწყობა თბილისში, აღწესანდროვის (დღევანდელ კომუნარობა) ბაღში. ვახუთი „თბილისის უწყებანი“ — წერდა „ეჭვი არაა, რომ თბილისის მოსახლეობა გულთბილი თანაგრძობით შეხედება ამ კეთილ — მშერი დახმარებისა და ხალხთა სოლიდარობის საქმეს“. საღამო 1876 წლის 4 სექტემბერს მოეწყო, მისი შემოსავალი 1698 მან. 56 კაპ. იყო. ამ საღამოებზე დიდი ინტერესით არჩევდნენ სლავების მდგომარეობას, მსჯელობდნენ მათ მომავალ ბედზე, თანაგრძობას და სოლიდარობას უცხადებდნენ მათ. როგორც კი ტელეგრაფებს მიიღებდნენ ბრძოლის ასპარეზობას, განსაკუთრებით სლავების მიღწევების შესახებ, საჯაროდ კითხულობდნენ და სასწრაფოდ აერცულებდნენ ქალაქში.

დიდი ლიტერატურული საღამო გაიმართა მანგლისში; ერთ-ერთმა ორატორმა იგი საყუთარი ლექსით გახსნა, რომლის დასასრულს მან მოეწერა ხალხს, რომ „უხსნათ ქვემო ბოროკლებიდან“. სიტყვის დასასრულს ხალხი „ვასის“ მახლით და შეუხარე ტაშით შეხვდა ასეთივე აღფრთოვანება გამოიწვია სახელდახლოდ მოსულმა დეკემბის კითხვამ, რომელიც პერსეკუციონელთა გამარჯვებას იტყობინებოდა ქ. ქუჩენუსთან.

აჯანყებულ სლავებს ქართველებმა არა მარტო მორალური და მატერიალური დახმარება გა-

უწიეს, არამედ პირადი მონაწილეობაც მიიღეს მათ ზრახოლაში. სამწუხაროდ, საქართველოში არ ხდებოდა სპეციალური აღრიცხვა. იმ მოხალისეებისა, რომლებიც ბალკანეთში გაემგზავრნენ. მაგრამ ის მცირე ცნობები, რომელთაც პრესა ვეაწევის შესაფიქრებლად გვიდასტურებს, რომ ქართველები მონაწილეობას იღებდნენ მოძემ სლავი ხალხების ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

1876 წ. რუს კორესპონდენტს სერბიის ჯარი დაუთვალა იერებია და მის შემადგენლობის შესახებ აღნიშნავს, რომ „ბერძენები და ალბანელები სერბიის ჯარში მცირეა, მაგრამ გვხვდება — იმევენ ვის იფიქრებდით, იმერლები, ქართველები, მეგრელები, ოსები და ქრისტიანი აფხაზები, ზოგიერთი მათგანი ძლიერ ცუდად ლაპარაკობს რუსულად“. როდესაც რუსი ოფიცერი ქართველ მოხალისეს შეკითხვია, რისთვის წავიდა იგი სერბიაში, უკანასკნელმა უპასუხა: „ჩვენი ძმების საარწმუნოებისა და თავისუფლების დაცვისათვის საბრძოლველად“-ო; ხოლო როდესაც ფრანგ კორესპონდენტი 60 წლის მოხუცს, წმინდა გიორგის ორი ჯვრით მეკრდამწვენებულ, წარმოსადგვ ქართველს შეეკითხა, რამ წამოიყვანა იგი ამ სერბის, მოხალისემ უპასუხა: „ჩვენ თათრობთან საბრძოლველად მოვედით, რა გულო მოითმენდა, ამდენს თავის მოამისი წაღებას“. ქართველი მოხალისეების ჩასვლა დიდ ინტერესს იწვევდა ბალკანეთის ხალხში. ისინი უწყებოდნენ სლავებს თავიანთი სამშობლოს ბედკრულ წარსულს, რომელიც ასე მკაფად სლავების ისტორიას. მათ შორის მჭიდრო მეგობრობა მუარდებოდა. სლავები გულოთად მადლობას უცხადებდნენ შორიდან მოსულ მეგობრებს.

ბალკანეთში მიმავალი მოხალისეები სოხუმში იურიდნენ თავს და აქედან ზღვით გამგზავრებოდნენ შორეულ მეგობართა დასახმარებლად. სოხუმის სპეციალურ განცალკარაიში ხშირად მიიღობდნენ უცნობი მამაკაციები სერბიაში გამგზავრების შესაძლებლობის ვასაგებად. მოხალისეთა გამგზავრება პირადი ინიციატივით ხდებოდა. მას ორგანიზებული ხასიათი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, წამსვლელები ბევრნი იყვნენ. თავად მიქლაძეს თანამეგობარებიდან პატარა რაზმი შეუტროვებია. ქუთაისში 400 კაცს გამოეყოფნენ მოხალისედ წასვლის სურვილი. მსურველები ბევრნი იყვნენ თბილისის გუბერნიისაშიც, მაგრამ ბევრს მათგანს სამგზავრო თანხა არ გააჩნდა. ერთი მთელი ქართველი რედაქციას ბალკანეთში წასვლის სურვილს ატუბონებდა და დახმარებას მოითხოვდა გზის ხარჯებისათვის, „მე უცნობ ბევრ ახალგაზრდას, წერდა იგი, რომელთაც სურთ წასვლა, მაგრამ სახსრები არ აქვთო“. საუფრადღებოა, რომ ქართველთაგან განსხვავებით რუსეთში მოხალისეთა წასვლას ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. ჩვენი აზრით საქართველოში ცარიზმი განზრახ აბრკოლებდა ამ საქმეს. გა-

მორიციელი არაა, რომ მთავრობას ეშინოდა ბალკანეთიდან დაბრუნებულ ქართველებს; აფიქრებდა იარაღი არ აღეშორათ კოლონატორი ჩაგვრის წინააღმდეგ.

სლავთა გამათავისუფლებელ ბრძოლებში ქართველ მოხალისეთა გმირობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დუშეთის მახრის სოფ. ყაზბეგის მსკოვრებმა, მოხალისე ალექსანდრე მილხევემ სერბიის არმიის პორუჩიკის ჩინი ეილო და დაჯილდოვებული იქნა სერბიის ორდენით „ტაკოვის ჯვრით“ და „მედლით მამაციობისათვის“. მართალია, სხვა კონკრეტული ცნობა არ გავაჩნია, მაგრამ, ვფიქრობთ, ანალოგიური შემთხვევა ხშირი იყო, მით უმეტეს, რომ რუსული ვახუთების ცნობით, ქართველები თავდადებით იბრძოდნენ სლავების ჯარში.

სლავი ხალხების აჯანყებას თანაგრძობით შეხვდა და დახმარება გაუწიეს იმ ქართველებმაც, რომლებიც ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ გმინავდნენ. ოსმალეთის ხელისუფლებამ საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიის მოსახლეობას ჯარი მოსთხოვა აჯანყებულ სლავთა წინააღმდეგ. მაგრამ ხალხმა უარი განაცხადა. მაშინ ანგლოზობრივმა ფრთამ იძულებით დაიწყო მოიბილიბაცია. ხალხმა პასუხად იარაღს მოკლდა ხელი. აჯანყება ქობულეთში დაიწყო, მალე იგი მთელ ოსმალეთის საქართველოს მოედო. აჯანყებამ, რომელიც მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა, ოსმალთა შინაშენელოვანი ძალები შებოჭა, რაც ობიექტურად აჯანყებულ სლავებს უმსუბუქებდა მდგომარეობას. „დროება“ სამართლიანად შენიშნავდა, რომ სამხრეთ საქართველო ღრისულ მონაწილეობას იღებდა სლავების ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

სლავთა 1875-76 წლების აჯანყება დამარცხდა. ქართველი პრესა აღნიშნავდა, რომ ამის მიზეზი იყო არაორგანიზებულობა. ცალკეულ ხალხთა სხვადასხვა დროს გამოსვლა ოსმალებს საშუალებას აძლევდა ცალცალკე გაენადგურებია ისინი.

აჯანყების დამარცხების მიუხედავად, ქართული ვახუთები ღრმა რწმენას გამოთქვამდნენ, რომ სლავი ხალხები გამარჯვებულდნენ. კერძოდ ბულგარეთა შესახებ „კავკაზი“ წერდა, რომ მომავალი ამ ხალხს ეკუთვნის. „წარსულში მას მხოლოდ სურდა სიციცხლე, მომავალში იგი იციცხლებს. მისი მთელი წარსული თავისუფლებაზე ოცნებაა და ათი საუკუნის წამება, ოცნების მომავალი განზორციელებაა. გეწამს ბულგარელების სახელოვანი მომავალი, ისე დიდ როგორც გეწამს სლავი ხალხების დიდ მომავალი; მსოფლიო მისია. უწყობა-ნოდ დარწმუნებულ ვართ, რომ გეწამებულ მომავლად ბულგარულ ხალხს საუკეთესო მომავალი და პირობები ელის ყოველმხრივ განვითარებისათვის. იგი ცივილიზაციის ღირსია —

მხოლოდ განახორციელეთ მისი საუკუნო ოცნება — აჩუქეთ თავისუფლება“.

ფეხანეების ჩახშობის შემდეგ სლავთა მდგომარეობა გართულდა, მათი ინტერესების დასაცავად რუსეთი გამოვიდა. 1877 წ. 24 აპრილს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. რუსეთი განმთავისუფლებელ როლს ასრულებდა ამ ბრძოლაში, ამიტომ იყო, რომ ომის დაწყების პირველვე დღიდან არმიის რიგებში ბალკანეთისა და კავკასიის ხალხებიც ჩადგნენ სახალხო მილიციის სახით. რუსი ხალხის დახმარებით ისინი გაორკეცებული ენერგიით იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობას რუსეთის ძლიერებაში ხედავდნენ. ომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა ოდიშე კუთვნილი მხარე — თანამედროვე აჭარის ასრ ტერიტორია, ხოლო ბალკანეთში საფუძველი ჩაეყარა სლავი ხალხების გათავისუფლების საქმეს.

რუსეთ-ოსმალეთის ომში ქართველებიც იბრძოდნენ სლავთა გათავისუფლებისათვის ბალკანეთში. „დროების“ ფურცლებზე ომის შევლელის მთელ მანძილზე იბეჭდებოდა გრემელის კორესპონდენციები, რომლებიც კავკასიის დივიზიის საბრძოლო წარმატებებზე მოგვითხრობდნენ და ბალკანეთში მეომარ ქართველთა გმირულ ეპიზოდებს აშუქებდნენ.

განსაკუთრებით თავი ისახელა ილიქსი წერეთელმა, იგი პირველად სომხურულად, ხოლო შემდგომ გურკოს ჯარების შენეკრთებში იბრძოდა. მან კარგად იცოდა ბალკანეთის ტომოგრაფია, რითაც ხელი შეუწყო ბალკანეთის მთებზე რუსეთის ჯარის გადასვლას და ოსმალთა ცალკეული შენაერთების გარემოცვა-განადგურებას. საბრძოლო და მსახურებისათვის იგი რამდენჯერმე იყო დაჯილდოებული ორდენებით. ამიტომ იყო, რომ წერეთლის სიკვდილმა უდიდესი მწუხარება გამოიწვია ბულგარულ ხალხში.

ბალკანეთის მთების გადალახვისას თავი ისახელა აგრეთვე თავადმა ნ. დადიანმა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მისი კანდიდატურა წამოაყენა რუსეთმა ბულგარეთის სამეფო ტახტზე. მაგრამ ინგლისის მხარდაჭერით ტახტზე პრინცი ფერდინანდი აღმოჩნდა.

რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებების შედეგად 1878 წ. 3 მარტს ქ. სან-სტეფანოში დაიღო საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დამოუკიდებელი და ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროები შეიქმნა. ამ დღეს სლავი ხალხები სამართლიანად სთვლიან ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლების დღედ.

34

წიგნი — საქართველოს მეგობარი

წიგნი — საქართველოს მეგობარი

რევოლუციამდე საქართველოში სხვა ევროპულ-განთავისუფლებითან ერთად გამოდიოდა „სავაჭრო განთავისუფლება“. ამ განთავისუფლების 1908 წლის სექტემბრის მეოთხე ნომერში დაბეჭდა ერთი შეტად საინტერესო კორესპონდენცია სათაურით — „ქართველები უნგრეთში“, რომელიც იტყობინებოდა: „ქაბაძე ვენიდან ისტორიკოს მონსიუერ ჯანაშვილს წერილი მივლია იჭაურ უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ოქროპირიძისაგან. როგორც სტუდენტი ოქროპირიძე იტყობინება, მას შემთხვევით ვენაში გაუცენია ერთი კაცო, რომელიც გვარად ბაგრატიონი აღმოჩნდა. როდესაც ოქროპირიძეს გამოუთქვამეს, თუ საიდან იყო, ბაგრატიონს უთქვამს, მე უნგრეთიდან ვარ. იქ ერთი საფელია, სადაც ძველ-თავანჯერე ვადმოსახლებული 1000 კომლამდე ქართველები ცხოვრობენ“.

თქმა არ უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოს რომ ამ ამბავის სიზუსტის შეტყობა, მაგრამ იგი რომ ქართველებსა და უნგრელთა შორის აღიარებულ იქნებოდა მეგობრობაზე, ან, უფრო შემთხვევაში, ამ მეგობრობისადმი სწრაფვაზე მიუთითებს, ეს უდავოა. ამ მოსაზრების სისწორის ერთ-ერთ საბუთად კი ის ცნობებიც ემარება, რომლებიც ქართველი და უნგრელი ხალხის ურთიერთობაზე გასულმა საუკუნემ შემოგვინახა.

ქართული პრესა თავის დეტალებზე არაერთხელ შეხებია უნგრელთა ცხოვრების და გროვული თავისუფლებისათვის მათი შეუპოვარი ბრძოლების ამბებს. ამ ამბებისადმი მიძღვნილ უფრო წერილსა თუ კორესპონდენციაში, მუდამ ნათლად იგრძობოდა თავისუფლებას მოწყობილი ქართველი ხალხის, მისი მოწინავე ნაწილის ღრმა თანაგრძნობა მებრძოლი უნგრეთისადმი, რომლის გამორჩეული შედეგები თავის მხრივაც მეგობრულად ეხმარებოდნენ საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებელი არსებობისათვის. ჩვენი ხალხის ერთ-ერთი ასეთი უანგარო და სპეციალ მეგობარი იყო უნგრელი მხატვარი ზინი, რომლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მის უახლოეს მოწინააღმდეგე XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოგვითხრობს ბენო გორდუნაინის მონოგრაფია „ზინი საქართველოში“.

ზინი, რომელმაც ქართულ მოწინავე საზოგადოებასთან ახლო მეგობრული კავშირი დაამყარა, ახალგაზრდობიდანვე უტოპიური სოციალიზმის იდეებს ნაზიარები პატრიოტი იყო, რომელიც აღფრთოვანებით შეეგება 1848-49 წლების რევოლუციის უნგრეთში, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ სამუდამოდ შეინახა სიძულელი დესპოტიისა და ადამიანთა უფლებების ჩაგვრის მიმართ. ბ. გორდუნაინი მოგვითხრობს, რომ ზინი 1848 წელს გამხდარი რუსეთის სამეფო კარის მხატვარი, მაგრამ ამ მდგომარეობას იგი შინაგანად არასოდეს არ შეუთავსებია და შერიგება. 1848 წელს უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ და ამ რევოლუციის ჯაღათის — რუსეთის მეფის მიმართ პარტიკულის წინააღმდეგ იგი კარის მხატვრის სამსახურიდან გადამდგარა და ღარიბი ოსტატის ცხოვრება დაუწყო. ზინი ამან ვერ გასტეხა და იგი ძველდებურად განაგრძობდა თავისუფლების მებრძოლ შემოქმედლის გზით სიარულს, რაც ასე ცხადად ჩანს, სწორედ 50-იან წლებში რომანტიკული პათოსით გაღვნილი, მაგრამ რეალისტრულ შესრულებულ „კეკელიის სენეზიში“. ეს ნაწარმოები მხატვარს 1852 წლით აქვს დათარიღებული, ხოლო 10 წლის შემდეგ, 1862 წელს, იგი რუსეთს სტოვებს და სამშობლოში მიემგზავრება. ამ დროისათვის ზინი საქვეყნოდ საბელშოვნილი შემოქმედელი იყო, რომელსაც თვით თეოფილ გოტიე უწოდებდა „განსაკუთრებელს“ და „გენიალურს“.

სამშობლოში გამგზავრებულმა მხატვარმა მაშინ გზად მოიწახლეა პარიზიც, სადაც ახალგაზრდა ზინი იმ რუს რევოლუციონერ ემიგრანტებს შეხვდებოდა, რომელთა წრეს 1864 წლიდან ნიკო ნიკოლაძეც შეემატა. კარაკოზოვის მიერ გასროლილი ტყვიამ მთელი იმდროინდელი რუსეთი შესწრა, ჩააფიქრა და ალაპარაკა. ზინიც დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ რევოლუციურ აქტს, რითაც იგი თითქმის შერის იძიებდა იმ თანამემამულეთა გამო, რომლებიც რუსეთის მეფემ, 1848 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, უმოწყალოდ გაგლოტა. მეფეზე თავდასხმით გამოიხიზლებული ქვეყანა განდარბაზრის საშინელმა ტერორმაც ვერ ჩააჩუმა. იგი, კვლავინდებურად,

ახალი და დიდი ამბების მოლოდინში იმყოფებოდა. ამ ეთარებაში ზიჩიამ ახალი თვლით შეხედა სინამდვილეს. მისმა ინტერესმა უმაჯრესად საზოგადოებრივად აქტუალურ თემებში-საქენ გადაინაცვლა და თავის საგნად ისეთ თეგანწრულ პატრიოტთა ცხოვრება და შემოქმედება გაიხადა, როგორებიც იყენენ შანდორ პეტეფი, იანოშ არანი და იმერ მადაჩი.

1874 წელს მხატვარმა შექმნა უნგრეთის დიდი ეროვნული გმირის — დეაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტილო, რომელსაც არა მარტო წინდა მხატვრული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა იმ დროისათვის. ბ. გორდუზიანი საგუნდო მართებულად შენიშნავს, რომ ამ სურათის დახატვა „არ იყო შემთხვევითი ზიჩისათვის. თუ იმერ მადაჩი, იანოშ არანი და შანდორ პეტეფი მშობლიური პოეზიის სამყაროს წარმოადგენდენ, დეაკის სახელის უკვდავყოფაც არა ნაკლებ იტაცებდა მას, რადგან ეს სახელი ყველა უნგრელისათვის იყო სინონიმი პატრიონებისა, ადამიანობისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა“. მაგრამ დეაკი ვიტყვით ჩვენ, „სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის“ სინონიმი და სიმბოლო იყო მაშინ არა მარტო ზიჩისა და უნგრელთათვის. იგი ასეთვე იმბოლო იყო იმ დროს კოლონიური ჩაგვრის უღელ ქვეშ მგმინავი ყველა ხალხისათვის და, კერძოდ, საქართველოსათვისაც. ამიტომ, ეროვნული თავისუფლების მედროშე გასული საუკუნის ქართული პრესა, საქართვების ეპოქა, ყოველთვის გაიხსენებდა ხოლმე დეაკის დიდებულ ცხოვრებას და მიღეაწვებდას, რომ იგი საშავალითოდ და მისამაძლ გაეხადა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის.

ასე მოიქცა, მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, 1874 წელს, ვერნალი „მოამბეც“, როდესაც შან მეოთხე ნომერში ნიკო ნიკოლაძის ბრწყინვალე სტატია „კომუთი და დეაკი“ გამოქვეყნა. ნ. ნიკოლაძე წერილის შესავალშივე უწრადღებს იმაზე ამხვილებდა, რომ უნგრეთის ეროვნული ტრადიცია „ყველა ქართველი მკითხველისათვის არის საგუნდისში და სასარგებლო“, რადგან მრავალმხრივ „ემსგავსება ეს ქვეყანა ჩვენსას. მისი გეოგრაფიული მდებარეობა — და, მამასამდე, ესტორიული ზვედრია — ბერად ჩამოგავს ჩვენსას“.

ქართველი პუბლიცისტის მიერ უნგრეთის ბედით დაინტერესება, როგორც ეს მონოგრაფიის ავტორისაც აქვს სწორად მინიშნებული, საშოკიანი წლებიდან უნდა იწყებოდეს. ამის მიზეზი ერთის მხრივ უნგრეთის პოლიტიკური ცხოვრებისადმი მიძღვნილი ნ. ჩერნიშევსკის 1857 — 1862 წლების წერილები, ხოლო მეორეს მხრივ ქართველი მესამოციანელის ზიჩისთან ურთიერთობა და ჩვენი და უნგრელი ხალხის ისტორიული ბედის მსგავსება და თანაზრობა უნდა უოფილიყო.

ამ კონტექსტში შეტად საინტერესოა ბ. გორდუზიანის მიერ გამოთქმული შესწრება „შინს შესახებ, რომ ზიჩი 1862 წლადან იქმნდა. სტერბურგში მყოფ მოწინავე ქართველ სტუდენტებს. შეკლევარი პირდაპირ აცხადებს, რომ რუსეთიდან „საზღვარგარეთ გამგზავრების წინ (იგუნდისშება 1862 წლის მგზავრობა — ვ. ზ.) ზიჩის საშუალებად მიეცა გაენობოდა აგრეთვე მომავალ საქართველოს სახეს“, თუმც ამის დამადასტურებელ კონკრეტულ საბუთებს იგი, სამწუხაროდ, არ ასახელებს. ამ ეთარებაში გვრწება ვერაუდოთ მხოლოდ ერთი რამ: ვინაიდან, ბ. გორდუზიანის საგუნდისში ცნობის თანახმად ზიჩი განიცდიდა ნ. ჩერნიშევსკის საზოგადოებრივ-სოციეტურ შეხედულებათა გავლენას, ამიტომ ხომ არ იყო შესაძლებელი, რომ უნგრელ მხატვარს პირადი ნაცნობობაც ჰქონოდა დიდ რევილუციონერთან, მის ოჯახთან და იქ გასცნობოდა ქართველ სტუდენტებსაც ასეთი შესაძლებლობა, მგადა, თავისთავად გამოიჩნებოდა არ არის, მაგრამ ამის დამადასტურებელი კონკრეტული ცნობები მონოგრაფიაში არ ჩანს.

საუბრადღებოა ბ. გორდუზიანის ის აზრი, რომ ჩერნიშევსკის სახელგანთქმული რომანის — „რა ვაკეთოთ?“ — მიხედვით შეუქმნია ზიჩის რამდენიმე ისეთი სურათი, როგორცაა „ქეჩა მოსიერნე წყვილებით“, „ვაგრის ოჯახი“ და სხვ. მონოგრაფია ნათელყოფს მხატვრის გულწრფელ გატაცებას ჩერნიშევსკის მოძღვრებით, მის მაღალადამიანურ თანაგრძობას სახელგანთქმული რევილუციონერის მიმე ზედრისადმი, იმას, რომ სწორედ ამ სულიერმა განწყობილებამ შთააგონა ყალმის ისტატს დაეხატა „ციმბირის ტყე“.

ცნობილია, რომ სტერბოპოლის გადასახლებიდან ვათავისუფლების შემდეგ, 1881 წელს, ნ. ნიკოლაძე ცოტა ხანს იმყოფებოდა თბილისში და მთავრობამ მალე აიძულა იგი საქართველო დაეტოვებინა. იმავე 1881 წლის შემოდგომიდან ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში ცხოვრობდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. იმავე ხანებში პეტერბურგში იმყოფებოდა მისი მომავალი მეუღლე, ოლა გურამიშვილი, რომელთანაც „ლიტერატურულ სადილებზე“ თავის იურიდენ ნ. ნიკოლაძე და მისი მეგობრები შექრლები და რევილუციონერები, მ. სალტიკოვ-შჩედრინი, ნ. მიხაილოვსკი, გლ. უსპენსკი, ალ. პლეშჩევი, ნ. უსპენსკი, ნ. შელდუნოვი და სხვ. ამ დროს „ვეფხისტყაოსნის“ დასურთებით გატაცებული მ. ზიჩი უმთავრესად საქართველოში იმყოფებოდა, მაგრამ თავის სხეადასხვა პროფესიული ამბებისა და, განსაკუთრებით რუსთაველის გენიალური პოემის გამოკვამსთან დაკავშირებით, ხშირად პეტერბურგს ჩადიოდა და ხანგრძლივადაც რჩებოდა იქ. სწორედ „პეტერბურგის პეტიონდებში“ ზიჩი არა

ეა მოსახსენებელი. ბენი ლასლონე რომ „ყენველ ქართველებს“ ახსენებს, სხვებთან ერთად მათ შორის, შესაძლებელია, მას ნაველისსხვევი ჰყავდეს ის ახალგაზრდა ქართველი ვაჟები და ქალები, რომლებიც 70-იან წლებში განათლების მისაღებად შვეიცარიაში ჩასულნი მერწილად საზოგადოება „ელელში“ იყვნენ გაერთიანებულნი და ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის გაშთავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის იწრაფობდნენ იდეურად. ნ. ნიკოლაძისთან, გ. წერეთლთან, დავით შიქელაძისთან, ბეს. ჯაფარიძისთან, ივ. მესხთან და სხვა ვაჟებთან ერთად, „ელელის“ მონაწილენი იყვნენ ოღლა გუბაშვილი, მამო წერეთელი, გ. მელიქიშვილი და სხვ. ეს ამბები ჩვენ აქ მოვტანეთ ახლად აღმოჩენილ, „ქართველი ქალის“ იმ პორტრეტად დაკავშირებით, რომელიც სწორედ 1874 წელს არის დახატული ზიჩის მიერ.

იმ ქართველი ქალის ენაობა ჩვენთვის დღემდე უცნობია, მაგრამ ბ. გორდეზიანი შესაძლებლად თვლის, რომ „სურათზე გამოსახული პირი იყო პარიზში მცხოვრები რომელიმე ქართველი მანდილოსანი“. თუ გავიხსენებთ, რომ იმ ხანებში ზიჩიმ საფრანგეთის გარდა შვეიცარიაშიც იმოგზაურა, მაშინ დასაშვებია, რომ ეს პორტრეტი იქ მყოფ რომელიმე ქართველი ქალის პორტრეტად იყოს შეთავსებული შესაძლებელია ეს შთამოგონებელი „ელელის“ რომელიმე წევრიც უფილიყო?

1880 წელს ზიჩი უნგრეთიდან რუსეთში ბრუნდება. „ამ დროიდან იწყება — წერს ბ. გორდეზიანი, — ზიჩის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ახალი პერიოდი, რომელიც უშეალოდა დაკავშირებული საქართველოსა და მისი კულტურის საფუძვლის გაძლიერებასთან“. „მეთხველს დღესაც ანიჭებს ზიჩის სურათები დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას, მაგრამ ყველამ როდი იცის, თუ როგორ შეიქმნა ეს სურათები და რა მონაწილეობა მიიღო მათ შექმნაში ქართველმა საზოგადოებამ“, სამართლიანად შენიშნავს ბ. გორდეზიანი, რომელსაც ამ ხარვეზის შესავსებად დაუწერია თავისი კარგი წიგნის ერთი თავი ზიჩის საქართველოში მოსვლისა და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების შესახებ. ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ზიჩი მიიწვია დამსურათებლად უცვლადი პოემისა, რომლის შემავსებელი, ფოთის მარტყოლიდან გამოხსნილი, ნიჭიერი მხატვარი ქსილოგრაფი ვრიგოლ ტატიშვილი იყო.

გატაცებით მოვეითბრობს მვლევარი იმ თავში ზიჩის იმ დაუფლებელ და ხანგრძლივ შრომაზე, რომელიც მან დიდი ქმნილების მხატვრულად მოკაშყვას მოანდომა. კიბულობით მონოგრაფიის ამ თავს და თქვენ გრძნობთ, რომ

ქართველი ხალხისა და მისი უწველესი კულტურისადმი დიდ პატივისცემასთან ერთად, ზიჩის მიერ გაწეული შრომა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე, მხატვრის პარტიკული განცდების ერთგვარი სუბლიმაციის დიდი აქტი იყო. იმავე ბენი ლასლონეს შესანიშნავად უთქვამს: „ბრწყინვალე გზისის — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ — დასურათება ზიჩის მიერ იყო იმ ხალხის კულტურული რევოლუციისადმი სადუქლიანი ხელის შეწყობა, რომელიც მეფის რუსეთის მხრივ ჩაგვრას განიცდიდა“.

მკითხველში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ეპიზოდებზე ზიჩის მიერ დადგმული იმ ცოცხალი სურათების ისტორია, რომელთა შესახებ „დროება“ წერდა: „...ზიჩიმ გააცოცხლა ჩვენი მკვლარნი ქართველი. ამ ცოცხალ სურათებს მოელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველოსა და მისი შვილების გასაცნობად“. მართლაც, ეს სურათები იღვამებოდა საქართველოს შთაგარა ქალაქებშიც და მათ დიდი მოწონება ჰქონდათ პეტერსბურგში, მოსკოვში, ხარკოვში, ლიანციუსა და ბრიუსელში. ეს ცოცხალი სურათები ერთგვარი პრელუდია იყო „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების დიდი საქმისა, და, როგორც მონოგრაფიაში ვკითხულობთ — „ორი წლის მუშაობის შემდეგ ცოცხალი სურათებიდან დამზადებული უამრავი ჩანახატი — ზიჩიმ პეტერსბურგს წაიღო, ხოლო თბილისში შედგა საგანმოსკელო ტექნიკური კომისია, რომელსაც მიენდო „ვეფხისტყაოსნის“ როგორც საბოლოო სტილისტური რედაქციის, აგრეთვე მისი პოლიგრაფიული გაფორმების ხელმძღვანელობაც“. დიდი საქმეები შეასრულა ამ კომისიამ, რომლის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე, ხოლო წევრები — რ. ერისთავი, დ. ბაქრაძე, ი. მუხნარგია, პ. უმიაშვილი და ივ. შანაბელი იყო.

ბ. გორდეზიანი მოვეითბრობს ამ კომისიისა და ცალკეული მისი წევრების დაუღალავ შრომაზე დაწეული საქმის გასამარჯვებლად. იგი აგვიწერს ჭეშმარიტად ფანტაზურ საქციელს გ. ტატიშვილისა, რომელმაც „ფხვიან შემოიარა თითქმის მთელი საქართველო და შთაგარი ძეგლებიდან უშეალოდ გადმოიღო ის, რაც მათ ამშვენებდა მრავალი საუკუნის მანძილზე“. ერთი საგანგებოდ ჩერდება აგრეთვე იმ ნაყოფიერ მონაწილეობაზე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში ნ. ნიკოლაძემ მიიღო მრავალი, თითქოსდა დაუწეველ დაბრკელებათა გადალახვით მიიყვანდა ეს საქმე თავის გზას. და 1888 წელს დასრულდა ზიჩის მიერ ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში თავისებური „ოღლა“. გახუთი „ივრია“ 1888 წ. 15 მაისს შეიბოთებებს ატყობინებდა, რომ „სურათებიანი „ვეფ-

ხისტყაოსანი* ძვირფას ედამი გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის ძიერ, ისყიდება „წიარაიოთხის განაგრეცელმელი საზოგადოების“ წიგნის საწყოში. წიგნი ზინისაგან დახატული 27 სურათია, მრავალი განკვეთი ამ წიგნისათვის შევეთილი ჩუქურთმების მხატვრობა, სათაური და ასოები ამოკრილია პეტერბურგში. წიგნი დიდი ფორმატისაა და ღირს 15 მანეთი*.

მაგრამ, ჰქონდა თუ არა ზინის რაიმე ურთიერთობა საქართველოსთან „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამდე? დიხ, ჰქონდაო, ახადებს ბ. გორდენიანი, და ამ აზრის უტყუარობას იგი ნათელყოფს იმ მონაწილეობით, რომელსაც ზინი საბინის „საქართველოს სამოთხის“ დასურათებში ღებულობდა აღრე.

1888 წელს მეორედ ესტუმრა ზინი ჩვენს სამშობლოს, როგორც ბ. გორდენიანი გვაუწყებს, მხატვარს მაშინ ჩამოტანია დაზგური გრაფიკული ფერეული წმინდა ნინოს ცხოვრებიდან, რომლითაც შეუქმნია მისი საფლავი ბოღბის მონასტერში. იმ მეორედ ჩამოსვლისას მხატვარი სოფ. იკორთან ჩასულა, სადაც გიორგი ერისთავის მისწერულზე, დიმიტრიზე გათხოვილი, თავისი უოფრი მოწაფე და მიმღევაი შერი ეტლინგერი მოუწახლუბია, და თანაც ერთ დროს განთქმული იკორთის მონასტერი და ციხე დაუხატავს. თქმა არ უნდა, ეს ფაქტი, როგორც ბ. გორდენიანიც წერს, ერთხელ კიდევ ზედმეტად გვარწმუნებს ჩვენი ქვეყნისადმი მხატვრის იმ გულწრფელ სიყვარულში, რომელიც მას არასოდეს არ შენდებია.

ყველგან ქება-დიდებით ეგებებოდნენ ზინის შიერ დასურათებელი „ვეფხისტყაოსნის“ გამოჩენას. გასაგები მიზეზების გამო, განსაყუთრებული სიტოზ და სიყვარული მისდამი მიინე უნგრელმა ხალხმა გამოიჩინა. ზინის რჩევით, ცნობილი მეცნიერისა და მწერლის ვიკარის შიერ უნგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ კიდევ 1917 წელს გამოიცა ბუდაპეშტში. 50 წლის ვიკარის, ისე როგორც თავის დროზე ზინის, საგანგებოდ შეუსწავლია ქართული ენა მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც მეცნიერი პალმა შენეული წერს, „თანამემამულეთათვის XII საუკუნის ქართველი პოეტის— შოთა რუსთაველის რომანი— ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“ გაეცნო და რვა წლის დაუ-

ცხრომელი შემოაბის შედეგად ჩვენ მიგველო ამ ნაწარმოების თარგმანიო*.

ნამდვილად უზარმაზარია იმ, შრომა, რომელიც ბელა ვიკარის, ამ შესანიშნავ უნგრულ მეცნიერსა და პოეტს, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე გაუწევია. ცხოვრების ვაზზე შემოხვევით შემოხვედრილ, ჩვენი თანამემამულის, გიორგი წიკლერის დახმარებით მას გასაოცარი გულმოდგინებით ჯერ ქართული „ახალი აღთქმა“ წაუთიხავს, შემდეგ ჩვენი უმდიდრეს ხალხურ პოეზიას დაწაფებია და ასე შეიარაღებული შექილებია რუსთაველის ებოსს.

მხოლოდ რუსთაველის გენიით ნამდვილად დატყვევებულ ადამიანს შეეძლო ქართული პოეზიის მწვერვალთან მისასვლელი ურთულესი გზის ისე მხნედ გაეღა, როგორც ეს ბელა ვიკარიმ მოახერხა. ჩვენი ხალხისა და მისი მდიდარი სულიერი კულტურისადმი უანგარო პატივისცემის გამო უთქვამს მას, რუსთაველის თარგმანში მისი დამხმარე მეორე ქართველის— გრიგოლ წერეთლისათვის: „იციოთ რა გითხრათ?— თქვენი „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენს ენაზე ვთარგმნე. მე მაღიარი ვარ, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა ჩვენებურად ვთარგმნე აგრეთვე მრავალი ლექსი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასი, ნიკოლოზ ბარათაშვილისა (მერანი) და რაფიელ ერისთავისა. მე თქვენს ლიტერატურას ვაცნობდი ჩვენს ხალხს... მე ვთარგმნე ბევრი თქვენი პოეტი. მე მომწონს თქვენი ლიტერატურა, რუსთაველი მსოფლიო გენიოსია, რომელსაც ზადალი არ ჰყავდა მის ეპოქაში. მხოლოდ აღმოსავლეთის ერს შეეძლო წარმოეშვა ასეთი იშვიათი, მაღალი კულტურის და ხელოვნების ადამიანი“.

ჩვენი ქვეყნისა და „ვეფხისტყაოსნისადმი“ დიდი სიყვარულით ეღერს ვიკარის ეს სიტყვები, რომელთა შთამაგონებელი იყო ზინი. უნგრელთაგან ზინიმ პირველმა შეიყვარა გარტაყებით მისი ერის ბედის მონაწილე ქართველი ხალხი, ჩვენი უძველესი კულტურა, უკუდავი რუსთაველი. მან პირველმა გასლო მეგობრობის ხიდი უნგრეთსა და საქართველოს შორის. ამ მეგობრობისა და ძმობის სალიდებლად, მის განსამტკიცებლად დაუწერია ბ. გორდენიანს თავისი კარგი წიგნიც.

პროფ. იასონ ხუციშვილი

ქართული კულტურის ამაგდარი მოღვაწენი

(ცნობები ვასილ პეტრიაშვილისა და პეტრე მელიქიშვილის ბიოგრაფიებისათვის)

რევოლუციამდელი ნოვოროსის (ოდესის) უნივერსიტეტის მოღვაწეთა შორის თავსახრივით და საპატიო ადგილი უკავიათ ამ უნივერსიტეტის მოწინავე მეცნიერებს, ქართველ პროფესორებს — ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილსა და პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილს. მათ თითქმის ერთდროულად მოუხდათ სტუდენტური ცხოვრება ნოვოროსის უნივერსიტეტში; ამავე უნივერსიტეტში დაუფლნენ ისინი მეცნიერული კვლევა-ძიების ხერხებს, აქვე დაიწყეს მათ პედაგოგიური მოღვაწეობა და მიღწეის ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორობას და პროფესორობის წოდებას.

ვ. პეტრიაშვილისა და პ. მელიქიშვილის სწავლისას ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი რუსი მეცნიერები, როგორც იყვნენ ი. ი. შენიკოვი, ი. მ. სეჩენოვი, ლ. ს. ცენკოვსკი, ნ. ნ. სოკოლოვი, ა. ა. ვერნიგო, ნ. ა. უშოვი და სხვ. მათმა მეცნიერულმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტ ახალგაზრდობაზე და მათ რიცხვში — ვ. პეტრიაშვილსა და პ. მელიქიშვილზე. ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი ახალგაზრდობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს. უნივერსიტეტში სწავლის დროს და შემდგომ ერთად მუშაობის წლებში ისინი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს მეგობრულად და ეს მეგობრობა გავრცელდა მთელი მათი მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განმავლობაში.

მეცნიერების ამ ორმა კორიფემ თავისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის თითქმის მთელი დრო ოდესის უნივერსიტეტის პერქვეშ გაატარა და მის დიდი ღვაწლიც დასდო. მიუხედავად ამისა, ორივე ერთნაირად აწყობებდა სამშობლოს პოლიტიკური, ეროვნული და კულტურული მდგომარეობა. ორივე მწარედ გაიციდდა მეფის მთავრობის დიდშუარობელურ-კოლონიურ პოლიტიკას. ნოვოროსის უნივერსიტეტში მუშაობა ქართველ პატრიოტ-პროფესორებს — ვ. პეტრიაშვილსა და პ. მე-

ლიქიშვილს, აღუძრავდა სანუგეშო ოცნებას — ეხილათ თავიანთ მშობლიურ მხარეშიაც ყველაფრით მოწყობილი ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო სახალხო სკოლები და უმაღლესი სასწავლებელი. ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ავლენინათ, რომ ვასილ პეტრიაშვილისა და პეტრე მელიქიშვილის მეცნიერულმა მოღვაწეობამ ოდესის უნივერსიტეტში პრაქტიკულად ხელი შეუწყო 1918 წელს საქართველოში, თბილისში, ქართული უნივერსიტეტის შექმნა-ჩამოყალიბების დიდ პატრიოტულ საქმეს. პროფესორ პეტრე მელიქიშვილს წილად ხვდა 1918 წლის იანვარში გამხდარიყო თბილისის უნივერსიტეტის პირველ მესვეური — რექტორი. პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გაიხსენოთ პეტრე მელიქიშვილის მიერ განსვენებულ მეგობრისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად ნათქვამი შემდეგი სიტყვები: «განა ბედის დაცინვა არ არის, რომ მე ვპეტრიაშვილბოდე ჩვენს ახლად აღმდგარ სამშობლოში, ის კი აღარ იყოს? ჩამდინად აჯობებდა, რომ წინააღმდეგ მომხდარიყო... ყოველგვარი კომენტარის გარეშე საუკუნით გასაგები ხდება ის, თუ რა საპატიო ადგილს უთმობდა პ. მელიქიშვილი თავის უფროს მეგობარსა და მსოფლიან მეცნიერს, ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ერთ-ერთ პიონერსა და ინიციატორს — ვასილ პეტრიაშვილს. აქვე შევნიშნავთ, რომ ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილის დაბადების თარიღად მიიჩნეულა 1845 წლის 20 თებერვალი (ძველი სტილით), რაც არ არის ზუსტი. სინამდვილეში, საარქივო საბუთზე დაყრდნობით, პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ არა 1845 წლის 20 თებერვალი, არამედ 1842 წლის 20 თებერვალი.

უნივერსიტეტში ბეჯითმა მეცადინეობამ და შემდეგ კი ნაყოფიერმა მეცნიერულ-კვლევითმა მუშაობამ დარბაისელი მუშაკის სახელი და პატივი მოუხვეჭა ვასილ პეტრიაშვილს არა მარტო მოწინავე პროფესურაში, არამედ ამ

წრის გარდაც. ამითვე აიხსნება ის წარმატებანი, რაც გააჩნდა ვ. პეტრიაშვილის მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში. 1870 წელს, უნივერსიტეტის კურსის დამთავრებისთანავე, მან მოიპოვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში, 1874 წლის ნოემბერულში კი მას მიეკუთვნა ქიმიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი I. 1878 წელს ვასილ პეტრიაშვილმა საჯაროდ, ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მოიპოვა ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ოდესის ოქტის სახელმწიფო არქივის ერთ-ერთ საქმეში დღემდე ყარგად შემონახულია ვასილ პეტრიაშვილის დოქტორობის დიპლომის დედანი.

ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივის წევრები იყვნენ, რომელნიც იბრძოდნენ უნივერსიტეტის თავისუფლებისათვის, ავტონომიისათვის, მეცნიერული აზროვნების შეზღუდვებისათვის და სტუდენტობის პროტრესული სტესისკვეთებით აღზრდისათვის. ეს პერიოდისა და უწყვიკლო მეცნიერი მუშაგები თავიანთი სამშობლოს ნამდვილი მოქალაქეები იყვნენ, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ მკვახნად გაშვებულ ეანთარმულ-პოლიციურ წესებს, იღვწოდნენ ქვეშარტი მეცნიერებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. ეს კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ მეფის მთავრობას ორივენი „არასამშობლოთა და ექვემდებარებულთა“ საიმი ჩაერქება.

მიუხედავად თვითმპყრობელობის ასეთი დამოკიდებულებისა მოწინავე მეცნიერებისადმი, იგი ძალაუფლებრად იმედბული იყო ეცნო მათი პედაგოგიური და მეცნიერული ავტორიტეტი, ელიარებინა მათი განსაკუთრებული ღვაწლი. სწორედ ამით აიხსნება ის ბრძანებულება, რომლის საფუძველზეც ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი 1886 წლის 28 დეკემბერს დაჯილდოვებულ იქნა წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით¹.

ვასილ პეტრიაშვილისა და პეტრე მელიქიშვილის XX საუკუნის დასვებისა და რუსეთის პირველი რევოლუციის წლების საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათებას საკმაოდ ვრცელი ადგილი აქვს დამოთხილი ვ. წულაძის წიგნში „ორი ქიმიკოსი“. აქ მხოლოდ გვინდა მკათხევის ყურადღება შევიანროთ ვასილ პეტრიაშვილის 1906 წლის 23 ივლისის (5 აგვისტო) წერილზე თავისი მეუღლის ეკატერინე ვარამანის ასულის სახელზე.

რომელიც ზვენ მიერ გამოვლინებულია ოდესის არქივსაცავში.

ცნობილია, რომ ვ. პეტრიაშვილი 1906 წელს 1907 წლის გაზაფხულზე ზშირად ავადმყოფობდა, რის გამოც მას გამგზავრება უზღებოდა სამკურნალოდ სახლვარგარეთ. ზანს, რომ წერილი გამოგზავნილია სახლვარგარეთიდან, მგვრამ ვერკვეველია თუ, სახელდობრ — საიდან. აღნიშნულ წერილში ვ. პეტრიაშვილი (1906 წლის 23 ივლისი (5 აგვისტო) ეხება რუსეთის 1905 — 1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მსვლელობას და აღნიშნავს:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის რევოლუცია დამთავრდა და რუსეთის პოლიტიკური სახის ცვლილება გაყინდა (? — ი. ხ.), დარჩა თვითმპყრობელობა შეთხუპნული და შეღამაზებული თვის (? — ი. ხ.) უშარლით, რომელსაც ზვენში ხმარობდნენ ეს რამდენიმე ხანი.“

რუსეთის რევოლუცია დამთავრდა ისე, როგორც ვერმანისა და ავსტრიის 1848 წ. და როგორც იქ, ისე აქ, მოხდა ერთი სიმახსარო „ღუმას“ დაბადება, რომელსაც, როგორც უნდა ისე თამაშებენ ზვენი მინისტრები... „კონსტიტუცია“ იგივე დაეშარება, რაც დაეშარება ოსმალეთში 1877 წელს. ამგვარ განწყობილებაზედა ვარ“¹.

ამ წერილიდან გარკვეულად ჩანს მისი ავტორის, პატიოსანი ადამიანის, ფაქიზი მოქალაქისა და ხალხის მსახურის — ვასილ პეტრიაშვილის — გულსიტყვილი და წუხილი რუსეთის პირველი რევოლუციის მსვლელობის წარუმატებლობის გამო. ვასილ პეტრიაშვილი, თავის უმცროს მეგობარეთ, ერიდებოდა პოლიტიკას, ვანზე იღვა რევოლუციისაგან, მგვრამ როგორც ერთს, ისე მეორეს, გულწრფელად სურდათ კეთილდღეობა ხალხისათვის და მწარედ განიცდიდნენ სახალხო მოძარობის დამარცხებას.

როგორც ცნობილია, დასაბუღმა მეშობამ, უნივერსიტეტში არსებულმა ავტანულმა ატმოსფეროში, ხელისუფლებისაგან ათვლისწენბამ, ეანდარმერიის თანხარობა ხრიკებში და სულერში მღელვარებამ ვასტეხეს ვ. პეტრიაშვილის ჯანმრთელობა და დაიწარეს მისი სიკვდილი. ავადმყოფობის გამო იგი 1908 წლის ნახევარში სამკურნალოდ იმყოფებოდა მამინდელი ავსტრია-უნგარიეთის ცნობილ კერორტზე კარლსბადში (ამჟამად კარლოვი ვარი, ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში) და იქვე გარდაიცვალა. პ. მელიქიშვილის წერილში პროფ. ი. ა. ლინიჩენკოს სახელზე ვითხულობთ: «...Здесь в том письме соо-

¹ ვ. წულაძე. ორი ქიმიკოსი, თბ. 1957, გვ. 43-45

² ოთხა, ფონდი 163, აღწ. 1, საქმე 1, ფურცელი 4.

¹ ოთხა, ფონდი 163, აღწ. 1, საქმე 10, ფურცელი 15-16.

შიტა Вам о годе кончины Василия Моисеевича. Вас(илий) Моис(еевич) Петр(иев) скончался 1908 г(ода) в Июле по стар(ому) ст(июлю), числа точно не помню, но кажется 27 июля ст(арого) ст(илия), в пятницу, ночью (в 10 ч(асов) веч(ера)»¹.

თუ დაეყვარებოდა პეტრე მელიქიშვილის წერილის ცნობას, რაც, ჩვენი აზრით, არ ბადებს ეჭვს, მაშინ ვასილ პეტრიაშვილი გარდაცვლილია 1908 წლის არა 26 ივლისს (7 აგვისტოს) და არც 27 ივლისს (აგვისტოს), არამედ 25 ივლისს (6 აგვისტოს), პარასკევს რაც გათვალისწინებული არა აქვთ მის ბიოგრაფებს.

საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის მოწინავე საზოგადოებრიობა გულწრფელი მწუხარებით შეხვდა ვასილ პეტრიაშვილის გარდაცვალებას. ის ჩამოსაყვეს კარლსბადიდან ოდესაში, სადაც დიდის პატივით იქნა დროებით დაკრძალული 1908 წლის 21 აგვისტოს². აღნიშნული ვაჟებს, „დროებით დაკრძალული“ იმიტომ, რომ ვასილ პეტრიაშვილის მეუღლის, უახლოესი ნათესაობისა და ქართველი საზოგადოებრიობის აზრი და სურვილი იყო, რომ ვასილ პეტრიაშვილის ნეშტი გადმოესვენებინათ და დაესაფლავებინათ ქალაქ თბილისში. ეს სურვილი განხორციელდა ვასილ პეტრიაშვილის გარდაცვალებას 50 წლისთავე, 1958 წელს, როცა მისი ცხედარი გადმოასვენეს ქალაქ ოდესიდან და მიწას მიამარეს თბილისში, ვაჟის სასაფლაოზე³.

გაზეთებმა, განსაკუთრებით კი ოდესის პრესამ, მთელი რიგი წერილები და ცნობები გამოაქვეყნეს პროფ. ვასილ პეტრიაშვილის შესახებ. თანაგრძნობის წერილები, ღებულები და მიმართვები შრავლად იყო მიღებული განსვენებულის ოჯახის, პეტრე მელიქიშვილისა და უნივერსიტეტის სახელზე.

• •

უკრაინის სსრ ოდესის ოლქის სახელმწიფო არქივში შემონახულია ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორის ივანე

ანდრიას ძე ლინინჯეკოს⁴ პირადი არქივის საქმე (იხილე ოოსა, ფონდი 153, საინვენტარო აღწერილობა 1, გვ. 169), რომელშიც დაცულია პროფესორ პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები ლინინჯეკოს მისამართით. სულ საქმეშია 21 წერილი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავენ დროის შეაღებს 1904 წლის 9 ივლისიდან — 1919 წლის 5 ოქტომბრამდე, ე. ი. თითქმის 15 წელიწადს.

რუსეთის 1905—1907 წლების სახალხო რევოლუციამ მარცხი განიცადა, რასაც მოყვა სტოლინური შავი რეაქციის წლები. მომძლავრებული კონტრრევოლუცია შეტევებზე გადავიდა რევოლუციური დროის ყველა მონაპოვარზე. რეაქციის იერიშები განიცადეს რუსეთის უმაღლესმა სკოლებმაც. უნივერსიტეტებში, მათ რიცხვში ოდესაშიც, თავი წამოყო რეაქციულმა პროფესორამ და ვადაცხოველა შეტევა ნოვოროსიის უნივერსიტეტის მიწინავე პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი მსხვერპლი შეიქნა ვასილ პეტრიაშვილი, რომელიც 1907 წლის დეკემბერში „გათავისუფლებულ იქნა“ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობისაგან. შემდეგ კი ამას მოყვა ვასილ პეტრიაშვილის გარდაცვალება 1908 წლის ივლისის მიწურულში და სხვ. უოველივე ამის მწარედ განიცდიდა პეტრე მელიქიშვილი, რის შედეგადაც მას გული აეყარა ნოვოროსიის უნივერსიტეტში მუშაობაზე და კვლავ აღებრა სურვილი საქართველოში დაბრუნებაზე. ამ ფიქრით იყო იგი გატაცებული ოდესაშიც და საზღვარგარეთაც. მიემართოთ პეტრე მელიქიშვილის 1910 წლის 4 აგვისტოს წერილი. „მე ვფიქრობ დაგრზე საზღვარგარეთ, — წერს იგი, — სექტემბრის ბოლომდე ახ(ალი) სტ(ილით). ოდესაში არადფერი მაქვს გასაცემებელი, მე იქ დაებრუნდები იმისათვის, რომ თავი მოუყვარო ჩემს ნივთებს და გავგზავნო ისინი თბილისში, სადაც ვფიქრობ გამგზავრებას საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ“⁵.

მიუხედავად ოდესაზე გულაყრილობისა, პეტრე მელიქიშვილი მაინც იჩენდა ინტერესს იმ ქალაქისადმი, სადაც მან მიიღო უმაღლესი განათლება და გაატარა იქ თავისი მოღვაწეობის მეტი ხანი; იგი მონდომებულია შეიქცოს ოდესის ახალი აშენები და წუხს, რომ ამის

¹ ოოსა, ფონდი 153, აღწ. 1, საქმე 169, ფურც. 20

² ე. წულაძე, ორი ქნიციოსი, გვ. 104.

³ ე. პეტრიაშვილის საფლავი დღემდე მოუვლელია. დაიმედებული უნდა იყოს, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო განყოფილება, რომელსაც დაკისრებული აქვს საფლავზე ჰეგლის დადგმა, აღარ დაუყოვნებს საქმეს და უცდავეურეს პროფ. ე. პეტრიაშვილის ნათელ სსავსას.

⁴ პროფ. ი. ა. ლინინჯეკო (1857—1926) — უკრაინელი ისტორიკოსი, ისტორიულ-ოტრიდიული სკოლის მიმდევარი, მუშაობდა უმათიერესად სამშრატ-დასაყლეთის რუსეთის ისტორიის პრობლემატკაში.

⁵ ოოსა, ფონდი 153, აღწ. 1, საქმე 169, ფურც. 15 და მეორე გვერდი.

რაც შეეხება არქეოლოგიისა და ისტორიის მუზეუმებს, ჯერჯერობით გავიგე, რომ არსებობს ეთნოგრაფიისა და ისტორიული ქართული მუზეუმი, არსებობს აგრეთვე ანალოგიური მუზეუმი სომხური საზოგადოებისა...“ ხოლო 20 იანვრის წერილში შემდეგია აღნიშნული: „მე აქ ცნობები შევკრიბე არქეოლოგიური მუზეუმის შესახებ. ისტორიისა და სიძველეთა საქართველოს საზოგადოებას აქვს ძალიან კარგი მუზეუმი. თუ თქვენ მოისურვებთ გამოგზავნას თბილისის სურათებისას, ან ყველა ამისა, რაც შეეხება კავკასიის არქეოლოგიას, მაშინ შეგიძლიათ გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: თბილისის ისტორიისა და სიძველეთა საქართველოს საზოგადოება, ანუ ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილს. ოფისი ქ. 40...“

როგორც ცნობილია, ვასილ პეტრიაშვილისა, და პეტრე მელიქიშვილის უარყოფითი დამოკიდებულება მეფის თვითმპყრობელობისადმი ხშირად ვლინდებოდა ურბოებაში, განეკიდებოდა და თავის არიდებაში ხელისუფლების მიერ ნაყარადღვი ღონისძიებათა ზოგიერთი პროექტის განხილვისა ან, ამა თუ იმ დავალების მოღება-შესრულებისაგან. ასეთი პროტესტის ხერხს მიმართავდა ვასილ პეტრიაშვილიც, პეტრე მელიქიშვილიც და ბევრი სხვა მოწინავე და პარტიისანი ინტელექტუალი თვითმპყრობელობის საწინააღმდეგოდ. ასეთ ხერხს მიმართა პეტრე მელიქიშვილი 1915 წლის ივნისში პეტროგრადში ყოფნის დღეებში. მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, პეტრე მელიქიშვილს უხერხულად ჩათვლიდა უარის თქმა და სახალხო განძობების მინისტრის შემოთავაზებას დათანხმებულა. მაგრამ ნათქვამიდან ვასილმა ხდება, თუ რა „წვლილს“ შეიტანდა იგი შემოღობვებულ სკოტის განხილვაში.

1915 წელი აღმოსავლეთის ფრონტის მიმე წელი იყო 1914-1918 წლების იმპერიალისტური ომის ისტორიაში. ამ წელს რუსეთის დასავლეთის, ჩრდილო და სამხრეთ დასავლეთის ფრონტების ჯარებმა სასტიკი მარცხი განიცადეს გერმანია-ავსტრია-უნგრეთის არმიების შეტევით დიდი ოპერაციების შედეგად, მეფის რუსეთმა დაკარგა მნიშვნელოვანი ტერიტორიები: 1915 წლის შემოდგომისათვის გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ იქნა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი პოლონეთი, ლიტვა, ბალტიისპირეთისა და ეოლინის ნაწილები. ყოველივე ეს რუსეთს დაუჯდა 150 ათასი რუსი და სხვადასხვა ეროვნების მუშისა და გლეხის სიცოცხლის ფასად, გარდა ტყვედ ჩაყარდნისა. აღნიშნავთ ასეთ დიდ დანაკლისს არა-

ფრად თელიდნენ არც მეფის მთავრობა, არც თავად-აზნაურობა და არც ბურჟუაზია. მხოლოდ ომისდროინდელი მეფის რუსეთის საზოგადოებრივი წინააღმდეგობა კარგად აქვს შენისნული, ჭაღაქ ოდესის მავალითზე, პეტრე მელიქიშვილს თავის 1916 წლის 6 იანვრის წერილში, რომლიდანაც მოტანილი ვაქვს შემდეგი ამონაწერი: „ცხოვრება ოდესაში ძალზე სადღესასწაულოდ მიმდინარეობს, ყველა კაფე, თეატრი და საზოგადოებრივი საკრებულო ხალხითაა გაჭედილი, ნაკლებად ფიქრობს ვინმე იმ ტარაქულა შესახებ, რომლებსაც აწევთ თავზე ომის მთელი სიმძიმე“.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ საშუალება მისცა პეტრე მელიქიშვილს გამოთხოვებოდა ჭაღაქ ოდესას, ჩამოსულიყო საქართველოში და შედგომოდა მუშაობას თავის შობილურ მხარეში. როგორც სააკაძეო საბუთებიდან ირკვევა, პეტრე მელიქიშვილი საქართველოში ჩამოსულა 1917 წლის აგვისტოს მეორე ნახევრის შუა რიცხვებში. თბილისში ჩამოსვლისთანავე იგი მიწვეულ იქნა ლექციების წასაკითხავად მაშინდელ პოლიტექნიკურისა და ქალთა უმაღლეს კურსებზე. პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ თბილისში ვადმოვედი... — შენისნავს პ. მელიქიშვილი 1917 წლის ოქტომბრის მიწურულის წერილში. — შედარებით კარგად მოვეწყვე. ვფიქრობ, რომ მომავალში ცხოვრება უარესი არ ვახდება... აქ ცხოვრება ძალზე ჭირბია და შეუძლებელია რისაზე ყოველ, ჯერჯერობით ვმუშაობ ენით, — ლექციებს ვკითხულობ უმაღლეს კურსებსა და პოლიტექნიკურში. ძალიან კმაყოფილი ვარ აუდიტორიით, მისმენენ ყურადღებითა და ინტერესით. ჩემს შესახებ ჯერ ამ მოკლე ცნობებით დაკმაყოფილდები...“

1918 წლის იანვარში, როგორც ზემოთაუ ვქონდა აღნიშნული, ჭაღაქ თბილისში გაიხსნა ქართული ხალხის მიერ დიდი ხნის ნანატრი ქართული უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის უნივერსიტეტი. იგი დაარსებულ იქნა ქართველ მოწინავე ინტელექტუალთა ერთი ჯგუფის მიერ, რომელსაც მეთაურობდა პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის პირველ რექტორად არჩეულ იქნა ცნობილი ქართველი ქიმიკოს პროფესორი პეტრე მელიქიშვილი.

მსოფიანი შეცნეირი პეტრე მელიქიშვილი დიდის მონდობებით, ენერჯითა და ენთუზიაზმით ჩაება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის მშენებლობაში. ის დაუცხრომლად ზრუნავდა ახლად დაარსებულ უნივერსიტეტის კერძვემ ღირსეული საშენიერო კადრების თავმოსაყრელად, სასწავლო და საშენიერო-

¹ ოსა, ფონდი 153, აღწ. 1, საქმე 169, ფურც. 19, 20, 22-23

¹ ოსა, ფონდი 153, აღწ. 1, საქმე 169, ფურც. 30-31.

² იქვე, ფურც. 33-34.

კვლევითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, უნივერსიტეტის ნიუთონის ბაზის განსამტკიცებლად, ლაბორატორია-კაბინეტების მოსაწყობად, სტუდენტ ახალგაზრდობისათვის ყველა პირობის შესაქმნელად და სხვ. ხელმძღვანელ-ადმინისტრატორულ და დიდ სამეცნიერო მუშაობასთან პარალელურად, პეტრე მელიქიშვილი ეწეოდა, აგრეთვე, თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც.

1919 წლის თებერვლის, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეების წერილებში პეტრე მელიქიშვილი ლაბორატორიის საქართველოსა და თბილისში არსებული მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

„ბევრის დაწერა შეიძლებოდა. — აღნიშნავს იგი 1919 წლის 20 თებერვლის წერილში. — მაგრამ ფაქტთა სირთველ იხეა მოზღვავებული, რომ არ იცი, რით დაიწყო, საიდან დაიწყო... გაუგონარი სიძვირეა, პური ღირს 6 შ. 50 კაპ. (გირვანქა), გირვანქა ხორცი 7 მან. და ა. შ. ჩემი თავდაპირველი მოთხოვნების პირობებში თვეში ვხარჯავ 1200 მანეთამდე“¹.

3. მელიქიშვილი აღნიშნავს მენშევიკურ საქართველოში არსებული ფინანსურ ვაჭანაღიას და მორიდებულ დაციონს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს ფინანსურ მდგომარეობის გამოსასწორებლად. „ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკა... — ეკითხულობთ 1919 წლის 14 სექტემბრის წერილში, — იტანება ფულის უქონლობის გამო, რითაც ყოველთვის გამოიჩნებოდნენ ქართველები. უკანასკნელ დროს, სხვათაშორის, მიღებულია ზომები ფინანსების გამოსასწორებლად — ფინანსთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე მოწვეულია ს. ლ. ავალიანი. განა ეს კომიზი არ არის?“²

3. მელიქიშვილი ლაბორატორიის მენშევიკების საფინანსო ღონისძიებითა უსუსურობასა და უილაჯობაზე, რომლებსაც არ შეეძლოთ მოშლილი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება: „— ცხოვრების სიძვირე საშინელია, — ნათქვამია 1919 წლის 5 ოქტომბრის წერილში, — და მოშავლისათვის აღვეითქვამენ და გვემუქრებიან აქაური მანეთის დაცემას. თქვენ წარმოიდგინეთ, თუ რა მდგომარეობაში უნდა იყონ აქ ფინანსები, როდესაც მათ გამოასწორებლად მიწვეულია ს. ლ. ავალიანი, რომელსაც ამჟამად უჭირავს ფინანსთა მინისტრის ამხანაგის პოსტი (!)“³

მენშევიკურ საქართველოში არსებული მძიმე

ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გამო, როგორც სამართლიანად შენიშნავდა პეტრე მელიქიშვილი, იმდროინდელ საქართველოში „...არ არსებობდა საყვანით ხელსაყრელი პირობები მუშაობისათვის“⁴.

მართალია, დაუღალავად მუშაობდა სამოცდაათ წელს მიღწეული მსოფიანი მეცნიერი, სახელმძღვანელო პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აღნიშნულ მძიმე პირობებში და თავისი მეცნიერულ-პედაგოგიური დამაბული მუშაობის რიტმში გრძნობდა მორალურ კმაყოფილებას. „მორალურად, მე ერთგვარ კმაყოფილებას ვგრძნობ — აღნიშნავდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში, — ეკითხულობ ღუჭციებს პოლიტენიკურ ინსტიტუტსა და საქართველოს უნივერსიტეტში, უკანასკნელში მშობლიურ ენაზე. თუმცა ენა ჩემთვის მშობლიურია, მაგრამ იმდენად დამეწეებია, რომ მე ხშირად ვგეგვარ იმ გერმანელებს, რომლებიც ოდესღაც რუსულ უნივერსიტეტებში რუსულად კითხულობდნენ“⁵.

ასეთი სახით წარმოვედგება პროფესორ პეტრე მელიქიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტი იმ საარტიკო საბუთების მიხედვით, რომლებიც დაცულია უკრაინის სსრ ოდესის ოლქის სახელმწიფო არქივის ფონდების სათანადო საქმეებში, რომლებიც ჩვენ ხელთ აღმოჩნდა ოდესის არქივსაცავში მუშაობის დროს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ, საბჭოთა-სოციალისტურ ეპოქას ქართველი ხალხის ისტორიაში და, რომელმაც გზა გაუხსნა საქართველოს პოლიტიკურ კონსოლიდაციას, ეკონომიკისა და კულტურის განვითარება-აყვავებას და მშრომელი მასების კეთილდღეობის აღმავლობას. სამოცდაათი წლის მსოფიანი მეცნიერო, თავისი მშობლიური ქვეყნის უანგარო პატრიოტი, პატიოსანი მოქალაქე, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი უყოყმანოდ დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და ახალგაზრდულ მონდობებითა და ენერგიით ჩადგა თავისუფალი საბჭოთა საქართველოს მშრომელი ხალხის სამსახურში, რითაც მან მოიპოვა ხალხის დიდი პატივისცემა და სიყვარული.

საეჭვო საქმეებში მონაწილეობით, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია მაშინდელ საზოგადოებრიობაში. 3. მელიქიშვილმა იცოდა ამ ქუჩუყიანი საქმის ისტორია. იხ. აგრეთვე ვ. წულაძე, დასახელებული წიგნის გვ. 218.

¹ ოსია, ფონდი 153, აღწ. 1, საქმე 169, ფურც. 35-36.

² იქვე, ფურც. 37-38.

³ ოსია, ფონდი 153, აღწ. 1, საქმე 169, ფურც. 39. ეკონომისტმა პროფესორმა ს. ლ. ავალიანმა სახელი გაითქვა ქუჩუყიან და ბნელ

⁴ ოსია, ფურც. 35-36. იხ. აგრეთვე ვ. წულაძე, დასახ. წიგნი, გვ. 218.

⁵ ოსია, ფონდი 153, აღწ. 1, საქმე 169, ფურც. 37.

- კოხტა — რა და რა ცნობები მოიპოვება სამეურნეო ინვენტარის შესახებ (11 — 15 სექ.)? როგორი იყო იარაღი, სამუშაო ძალა (ხარი თუ ცხენი); სარწყავი არხებზე? [1936 წელს]
- პასუხი — ახალი სამეურნეო იარაღი არ ჩანს 11 — 15 ს-ში, სამუშაოდ სასოფლო-სამეურნეო ში ხარი იყო, ცხენი შესაჯღომად და ტვირთის გადასატანად [იყო გამოყენებული].
- კოხტა — მეურნეობის დარგები: მიწათმოქმედება (რას თესავდნენ და რა მოყავდათ); მესაქონლეობას რა ადგილი ეჭირა?
- პასუხი — იმასვე, რაც წინა საუკუნეებში. მესაქონლეობამ უფრო შეინარჩუნა, მონღოლთა ბატონობისა მიუხედავად, წინანდელი მნიშვნელობა და საპატო ადგილი ეკავა.
- კოხტა — მოსიარულე ხელოსნები თავისუფალნი იყვნენ თუ ბატონების ყმებად ითვლებოდნენ? თუ ყმები იყვნენ, რასაც განზე მუშაობით შოულობდნენ, იმის ნაწილს ხომ გადასახადის სახით არ აძლევდნენ ბატონს?
- პასუხი — იყვნენ თავისუფლებიც, მებატონის ყმებიც, რომელნიც თავიანთი ჩვეულებრივი საუშო გადასახადს ვარდა ბატონს არას აძლევდნენ.
- კოხტა — მონასტრებთან ვაჭრობა რომ იმართებოდა, სასელეო პირები მონაწილეობას ხომ არ იღებდნენ ამ ვაჭრობაში? რატომ იყო ეკლესია მონასტრებთან ვაჭრობის გამართვის წინააღმდეგ?
- პასუხი — ამის შესახებ ჯერ ცნობები არა ჩანს. ეკლესია სახარების ცნობილი ადგილის მიხედვით იყო წინააღმდეგი იესოს ტაძრისგან ვაჭრების ვაჭრების შესახებ. მაგრამ ამით ეს მოკლენა არ ამოკეთილა. ამ წინააღმდეგობას თეოლოგიური ხასიათი ჰქონდა.
- კოხტა — რა იყო იმის უშთაგონი მიზეზი, რომ XII საუკუნეში ვერცხლის ფულის ადგილი სპილენძის ფულმა დაიკარა?
- პასუხი — საიტირებელია, რომ მანამდე ცნობილი ვერცხლის მალაროებში ვერცხლის გამოლევა უნდა ყოფილიყო, სანამ ახალი მალაროები აღმოჩნდებოდა.
- კოხტა — „ორტალი“-ს შესახებ იმაზე მეტი ცნობები, რაც „რკინის სიგელი“-შია მოცემული ან „ეპოქონომიურ ისტორიაში“² მოყვანილი, ხომ არ მოიპოვება?
- პასუხი — არა.
- კოხტა — „სარკინე ქალაქი“ სად იყო, ან რატომ ერქვა „სარკინე“.
- პასუხი — ქართლში, მდებარეობა გამოარკვეული არ არის³.
- კოხტა — რატომ ერქვა ქალაქს „მარილეა“?
- პასუხი — გამოურკვეველია. ამავე ძირისგან სხვა სავაგოგრაფიო სახელებიც არსებობს და მათი ეტიმოლოგია განსაკუთრებით უნდა იყოს განხილული.
- კოხტა — გლეხების მდგომარეობა XV საუკუნის მეორე ნახევარში. მუშაობის მიერ დადებული პირობები, რომ გლეხებს გადასახადებს არ გაუძღვებდნენ, გლეხების მოძრაობის, ამბოხების შედეგი ხომ არ არის?
- პასუხი — ამბოხების შესახებ ცნობები არა ვაქვს, ჯერჯერობით მაინც არა ჩანს, მაგრამ, უკველია, წინააღმდეგობის შედეგი კი უნდა ყოფილიყო.
- კოხტა — კონკრეტული ცნობები დავით ლაშას ძის და დავით რუსუდანიის ძის პარტიების შესახებ [თუ არსებობს]?
- პასუხი — ჯერ კიდევ ეს საკითხი მთლად შესწავლილი არა მაქვს. პარტიების არსებობა კი უდავოა, მხოლოდ ამ მდგომარეობის ნამდვილი საფუძველი ჯერ გამოსარკვევი მაქვს.
- კოხტა — ხომ არ ეთხოვია ჯელალედინს საქართველისათვის კავშირის შევრა მონღოლების წინააღმდეგ?
- პასუხი — ამაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ ის კავშირის შეკერას კი არა, მეფედ არჩევის, ე. ი. — საქართველოს დამორჩილებას თხოულობდა.
- კოხტა — პ. ინგოროყვის რუკა წინააზიისა და საქართველოსი, რომელსაც ამასთან გაახლებთ, სწორია თუ არა?
- პასუხი — მთლად სწორი არ არის, რათგან ზოგი ყმადნადიცი სასელეოები და ტრაპიზონის იმპერია საქართველოს საზღვრებშია მოქცეული.

¹ აქ ჩვენ მიერ დასმულ კოხტაზე სარწყავი არხების შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილს პასუხი გაცემული არა აქვს. — დ. უ.

² იგულისხმება აკად. ივ. ჯავახიშვილის 1907 წელს გამოცემული „საქართველოს ეპოქონომიური ისტორია“.

³ ამ კოხტაზე გაცემული პასუხი სრული არ არის.

ბიოგრაფიკული „კრიტიკული ეტიუდების“ შესახებ

„ხელოვნების ისტორია არის ხელოვნების თეორიის საფუძველი, შემდეგ კი ხელოვნების თეორია ემსახურება მისი ისტორიის უფრო სრულყოფილ, უფრო სრულ დამუშავებას, — ამბობდა ნ. გ. ზერნიშვესკი, — ისტორიის უკეთესი დამუშავება ხელს უწყობს თეორიის შემდგომ სრულყოფას და ასე შემდეგ, უსასრულოდ“. ამ დღე გრძელდება ეს ურთიერთქმედება, ისტორიისა და თეორიის ორმხრივი სარგებლობისათვის, ვიდრე აღამიანები არ შეისწავლიან ფაქტებს და იმათგან დასკვნებს არ გამოიტანენ, არ გადაიქცევიან რა აზროვნების მოთხოვნისა და გააზრების უნარს მოკლებულ მოარულ პრონოლოგიურ ტაბულადად და ბიბლიოგრაფიულ რეცეპტებად. საგნის ისტორიის გარეშე არ არსებობს საგნის თეორია, მაგრამ საგნის თეორიის გარეშე ფაქტიც არ არის მის ისტორიაზე, რადგან მაშინ არ არსებობს ცნებები საგნის, მისი მნიშვნელობისა და საზღვრების შესახებ¹.

ზერნიშვესკის ეს სიტყვები (მისავე რეცენზიიდან ორდინსკის შივრ არისტოტელეს „პოეტიკის“ თარგმნის გამო) ფრიალ საეულისსმია, რადგანაც ისინი დღესაც არ ჰქარგავენ თავიანთ სახელმძღვანელო მნიშვნელობას და მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ რთულა და საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს ესთეტიკისის, ლიტერატურის კრიტიკისისა და ისტორიკისის მოლაწეობა.

გორაკი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ მესამე ტომი მიაწოდა ზენეს მკითხველს სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამოცემლობა „ცოდნამ“. აღნიშნული წიგნი ცხადყოფს გ. ჯიბლაძის ერთდციას, ფართო განმარტადებელი დასკვნებისაყენ მისწრაფებას, ესთეტიკური და იდეური ანალიზის, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის ერთიან ასპექტში გააზრებისაყენ მისწრაფებას, რაც ამ კრიტიკოსს ახასიათებს. ამ ნიშნებით ხასიათდება ის შეიდი კრიტიკული ეტიუდ

(„გალაკტიონ ტაბიჭუ“, „შალვა დადიანი“, „იოსებ გრიშაშვილი“, „ლეო ქიანელი“, „პიხილ ჯავახიშვილი“, „პოეზიის მხატვრული სახეები“ და „ქართული მხატვრული პროზა“), რომლებიც შეადგენენ გ. ჯიბლაძის კრიტიკულ თხზულებათა მესამე ტომს.

„კრიტიკული ეტიუდების“ აღნიშნული ტომისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ავტორი მოკრძალებულად შეინიშნავს, რომ მისი „კრიტიკული ეტიუდების“ აღნიშნულებაა დახმარება ვაუწიოს ლტერატურით დაინტერესებულ მკითხველს და მოსწავლე ახალგაზრდობას“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გ. ჯიბლაძის „ეტიუდების“ მნიშვნელობა სცოდნება ამ ეიწორ, სასწავლო-პედაგოგიურ და პოეზიკურ ლიტერატურულ ფარგლებს თავისი პრობლემური და ლიტერატურულ-მეცნიერული მნიშვნელობის მეოხებით.

გ. ჯიბლაძის წერილები ენარობრივად როდია ეტიუდები, ამ სიტყვის მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობით. ეტიუდი ხომ მხოლოდ ჩანახატს ნიშნავს. ეს ჩანახატი მომავალში შეიძლება ჩანახატად დარჩეს ანდა დასრულებულ პეიზაჟად თუ პორტრეტად გადაიქცეს, მაგრამ ეს მხოლოდ პოტენციალია. განსახილველ ტომში კი საქმე გვაქვს არა იმპროვიზირებული მანერით შესრულებულ ეტიუდებთან, არამედ ლიტერატურული „კრიტიკისის პრობლემურ, კრიტიკულ-ესთეტიკურ წერილებთან. ამ წერილებიდან მხოლოდ შალვა დადიანისადმი მიძღვნილ ჩანახატს პირობითად შეიძლება ეწოდოს კრიტიკული ეტიუდი, სხვები კი გაიყვებით ფართო იდეურ-მხატვრული შინაარსისა და პრობლემატუკის მეოხე სტატეებს წარმოადგენენ, სადაც განსნილია მწერლის, პოეტის მხატვრულ-ინტელექტუალური საწყარო და მოცემულია ამა თუ იმ შემოქმედის ლიტერატურული პორტრეტი მისი დროის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ბრძოლებსა და ეპოქის ფართო ფონზე. ეს ითქმის, კერძოდ გ. ჯიბლაძის კრიტიკულ წერილზე გალაკტიონ ტაბიძის შესახებ.

შალვა დადიანისადმი მიძღვნილ ეტიუდს გ. ჯიბლაძემ წარუძღვარა ბელინსკის ცნობილი სიტყვები: „პოეტმა ისეთ წერილზე

¹ ნ. გ. ზერნიშვესკი, Полное собрание сочинений, Гослитиздат, 1949, ტ. 11, გვ. 264

უნდა დააყენოს მკითხველი, რომ ეს უკანასკნელი მთელ ქვეყანას ხედავდესო; უფრო მართებული იქნებოდა, ეს სიტყვები გალაკტიონ ტაბიძის შესახებ დაწერილი სტატიისათვის წარემდგარებინა ავტორის, რადგან ამ პოეტისადმი სიუყვარულით გამსწვალულ და თანაც ობიექტურ, მიუყვარებელ წერილში ისე ყოველმხრივადაა გაშუქებული „მე და დამის“, „მერის“, „რევოლუციური საქართველოსა“ და „ემოქის“ ავტორის შემოქმედება, რომ ძალადგებულად ვსურთ მოახდინოთ ბელანსის ზემოთმოყვანილი სიტყვების პარაფრაზი და თქვათ: „კრიტიკოსმა ისეთ წერტილზე უნდა აიყვანოს მკითხველი, რომ იგი პოეტის მთელ სამყაროს სწვდებოდესო“.

რისთვის ვამხებოლებთ ასეთ ყურადღებას გ. ჯიბლაძის კრიტიკულ წერილზე გალაკტიონ ტაბიძის შესახებ? იმიტომ, რომ, ჩვენი აზრით, ეს ერთი ყველაზე საუკეთესო წერილია XX საუკუნის ქართული პოეზიის ამ უბრალოდ აღეს კორიფეზე. ვფიქრობთ, ჩვენთან ერთად გალაკტიონის პოეზიის ყველა გულწრფელი თაყვანისმცემელი, ყველა პირუთენელი, მიუღვამელი ლიტერატორი ყოველთვის თანაგრძნობით გაიმეორებს გ. ჯიბლაძის შემდეგ სიტყვებს:

„მაგრამ თუ ვინმემ აგრძნობინა ვაჟას შემდეგ ჩვენს მკითხველს დიდი პოეტური ძალა, ქართული ლექსის სითამამე, სიღამაზე, მრავალფეროვნება, მისი შესაძლებლობის განუსაზღვრელი, ფართო ველი, სიღაფ და ფანტაზიის წრემეწერიელი ნაჲარდი — ეს გალაკტიონ ტაბიძე იყო, რომლის მძლავრ პოეტურ სიმფონიაში თავის სიწყისებს პოულობდნენ მე-20 საუკუნის ქართველ პოეტთა მთელი თაობები. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, თუ სწორედ მან დაუდო სათავე დღევანდელ ჩვენს პოეტურ მავისცემას, როგორც შეავიწყებელი ქართული ლექსის დიდმა ნოვატორმა და ხელოვანმა“ (გვ. 160) ან კიდევ, როცა კრიტიკოსი ლაპარაკობს მთაწმინდისადმი მიძღვნილ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის ლექსებზე, იგი სავსებით მართებულად შეინახავს, რომ „ეს კრიტიკებში სრულიად ახალი მხატვრული ფორმითა და სრულად ორიგინალური პოეტური მეტყველებით გააცოცლა გალაკტიონ ტაბიძემ საოცარ „მთაწმინდის მთვარეში“, რომელშიც მან თითქოს შეაერთა ბარათაშვილის ფილოსოფიური აზრისა და სიღამაზის იდეალი აკაკი წერეთლის ღრმა პატრიოტულ მაჯის-ქმისთან, და იდრევე დამიტოცა, რომ იგი კლასიკური ქართული პოეზიის არა მარტო ღრსეული შემკვიდრე და გამგრძელებელია, არამედ, ახალი პოეზიის დიდი ფრემედებელიც“ (გვ. 161 — 162).

გალაკტიონ ტაბიძის ისტორიული ადგილის ლიტერატურულ-მეცნიერულ განსაზღვრასთან

ერთად გ. ჯიბლაძის წერილში მხატვრულ-ისტორიული არგუმენტაციითა და მკვლევარული ისეთი საკითხები, როგორიცაა გულბეგილდამუკიდებულება ქართულ, რუსულ და ევროპულ პოეზიისადმი, პოეტი და დეკლანსი, პოეტი და რევოლუცია, სიყვარული და მერის სახე გალაკტიონის პოეზიაში, ხელოვნების განსაზღვრება, ანტიკური სახეები გ. ტაბიძის ლექსებში და ა. შ.

კრიტიკოსი ჯეროვანად ამხვილებს ყურადღებას გალაკტიონის პოეზიის თანამედროვე ხმოვანებაზე, მის მხატვრულ-პოლიტიკურ ნოვატორობაზე, „ჯონ რიდის“ ავტორის დიდ შემოქმედებით „მეზე“, რომლითაც ეს დიდი პოეტი, ეკრძოდ, შეასწინავე „საუბარში ლირიკის შესახებ“ სიმართლისათვის მებრძოდ ლირიკას უპირისპირებდა ყალბი სახეებისა და რითმების შემთხვევებს, „რომელიც პოეტის ირონიულ ლიმბისა პვერია“:

ლექსებში ხშირად ყველაფერი თავის რიგზეა, სახე და ფორმა, რატმაც თითქოს საქმარისია, მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი: ყოველი წესით თითქო ლექსია, მაგრამ მინც არ არის ლექსი...

ქართული საბჭოთა პოეზიის მეორე წარმომადგენელი, რომელსაც ასევე ეხება გ. ჯიბლაძე თავის „კრიტიკულ ვტიუდებში“, ეს იოსებ გრიშაშვილია. კრიტიკოსისათვის ი. გრიშაშვილი არის არა მხოლოდ „ლირიკული ლექსის ნოვატორი და წყობილსიტყვაობის ოსტატი“, არამედ პოეტურ-მოქალაქე და პატრიოტი, რომელმაც შესძლო გამოთხოვებოდა წარსულს და ემღერა განახლებული ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის, ხალხთა მეგობრობისათვის. გ. ჯიბლაძის წერილთან გაეცნობს შემდეგ თითქოს ზელახა წარმოვიდგებათ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი ვანეთარების რთული გზა, ნატურალისტურ-ესთეტიკური შოტივების დაძლევა პოეტის მიერ და ვასელა იმ დიდ გზაზე, სადაც უკვე უკან იხვევს პოეტური შემთხვევითობა. „გრიშაშვილმა იცის, რომ პოეტის ამოყანა მთელი მხატვრული ძალით უმღეროს ჩვენს დიდ ემოქას, სოციალისტური სამშობლოს ძლევაშილდე წინსულას, კომუნისმის გრანდიოზულ მშენებლობას, ასახის სბჭოთა ადამიანის მადალი შორად, პემანიზმი და გამირული შრომით დაგვირგვინებელი მსოფლიო ისტორიული საქმეები“ (გვ. 217).

უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ გ. ჯიბლაძის კრიტიკული აზროვნებისათვის ნიშანდობლივია ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის სინთეზისაკენ მისწრაფება. იგი გურბის ისეთ დეკლარაციულ განცხადებებს, რომელთაც არ მოეპოვებათ ფაქტების მტკიცე

საძირკველი და თავის დებულებებს, უმეტეს შემთხვევაში, ლიტერატურულ-ფაქტობრივი მასალის გარჩევით, ან მოუყენით ასახულებს.

ამ მხრივ საგულისხმოა კრიტიკული ნარკვევი „პოეზიის მხატვრული სახეები“. ავტორი აქ მიზნად არ ისახავს ცნებისა და სახის მსგავსება-განსხვავების გამოკვეთას, სახისა და იდეის, მხატვრული სახისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების ზოგად ასპექტში გარკვევას. გ. ჯიბლაძე, რა თქმა უნდა, გზადგება ჩერდება ამ საკითხებზე, მაგრამ მისი წერილის მიზანია საგანია მხატვრული ისტატობის საკითხები, რომელთაც, სამწუხაროდ, ხშირად სათანადო ყურადღების გარეშე ტოვებენ ჩვენი ლიტერატორები. კრიტიკოსი ჩერდება მხატვრული სახის გრძობად-კონკრეტული ბუნების საკითხზე, მიუთითებს რომ პოეზიაში მხატვრული სახე გამოირჩევა თავისი სპეციფიკით, რადგანაც ლექსში დიდი ფუნქცია ენიჭებათ მეტაფორასა და შედარებას. გ. ჯიბლაძე მართებულად უარყოფს პეველის მცდარ თვალსაზრისს, რომელიც ცდილობდა დაემდაბლებინა შედარების როლი პოეტურ შემოქმედებაში (იხ. პეველი „Эстетика“ ტ. XII, გ. 419), კრიტიკოსი შენიშნავს, რომ არა მარტო კლასიკურ, არამედ უახლეს, კრძოდ, ქართულ საბჭოთა პოეზიაში პოეტები ისეთივე ხალისით მიმართავენ შედარებას, როგორც სხვა მხატვრულ ხერხებს მეტაფორასა და ალეგორიას. გ. ჯიბლაძის წერილის პათოსი იმაშია, რომ ხელოვნების ნაწარმოებები არ იქმნება იოლი ვხით, არამედ დიდ შრომასა და კელტერას მოითხოვს. „ვერც ერთი მხატვრული სახე ვერ აღმოჩნდება ჰემმარიტი ხელოვნების სიმალეზე, თუ მხატვრულ სრულყოფილობას სირთულესთან ერთად საფუძვლად არ დაედო სისადადე“ (გვ. 371). ავტორი მიუთითებს, რომ მხატვრული ნაწარმოების მთლიანობა და სრულყოფილობა არ გულისხმობს მარტოდენ შინაარსს ან მარტოდენ ფორმას, ყოველთვის უნდა გამოვადიდებთ ფორმისა და შინაარსის ერთიანობის აუცილებლობაზე. ყოველივე ამს გ. ჯიბლაძე განიხილავს გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, გრ. აბაშიძის, ალ. აბაშელის, ი. გრიშაშვილის, გ. ჭიჭინაძის, გ. ლეონიძის, ირ. აბაშიძის, ს. შანთაშვილის, ი. მისაშვილის, რ. გვეტაძის, დ. ვანგილაძის, კ. კალაძის ლექსების კონკრეტული იდეურ-მხატვრული ანალიზის თვალსაზრისით. ამ შინაარსთან წერილში ავრეუთვე მთელი სიმკვეთრობა დაყენებული საკითხი პოეზიის განრობრივ-სტატური მრავალფეროვნებისა და პოეტურ შემოქმედებაში უნის ბუნებრივი მონაცემების გამოდრეების შესახებ. აქედან ორგანულად გამომდინარეობს კრიტიკოსის დასკვნა, რომ „გარკვეული იდეური საწყარო ვერკვეულ მხატვრულ სახეებს მოითხოვს და ნამდვილი ხელოვანი მას არა მარტო

განიცდის, არამედ შემოქმედებაშიც აღწევს“ (გვ. 398).

ანაწყლებ საყურადღებოა გ. ჯიბლაძის წერილები ქართული საბჭოთა პოეზიის ცალკეულ ისტატობის შემოქმედებაზე და მისი ზოგად-პრობლემური ნარკვევი „ქართული მხატვრული პოეზია“ (1946 — 1954 წ. წ.).

ღეო ქიაშელის შემოქმედებაში კრიტიკოსი მართებულად ხედავს ქართული მხატვრული პოეზიის იმ ტრადიციის გაგრძელებას, რომელსაც შეადგენდა თანამედროვე ცხოვრების მთელი მრავალფეროვნების, საზოგადოებრივი აღმართის ჩვენება მთელ მის ურთიერთობებში და ურთიერთაყვამირებში. ლ. ქიაშელის შემოქმედებითი მეთოდისათვის ნიშანდობლივად კრიტიკოსს მიანია „ფსიქოლოგიური სიღრმე მოქმედი გმირების დახატვაში, მისწრაფება კომპოზიციურად შეიკრას და დასრულდეს ფაბულა“. და ეს მაშინაც კი, როცა ლ. ქიაშელი რეალიზმისათვის უცხო გავლენათა კრავში იმყოფებოდა. მეთხველი ინტერესით გაეცნობა გ. ჯიბლაძის წიგნის იმ ფურცლებს, სადაც განხილულია ღეო ქიაშელის ცნობილი რეალისტური, რეალისტულად და საბჭოთაპრობლემის რომანები („ტარიელ გოლეა“, „სისხლი“, „ავადი მიგვა“ და „მთისკაცი“). კრიტიკოსი აქ აელენს ჯეროვან ლიტერატურულ ტაქტს, კრიტიკული განხილვის ისტატობას; ნაწარმოების იდეური შინაარსის გარჩევისას იგი ასევე ჩერდება ისეთ საკითხებზე, როგორც სიუჟეტი, კომპოზიცია, მწერლის შემოქმედებითი მეთოდის თვისებებზე. ლ. ქიაშელის ნაწარმოებთა განხილვას მიყავს „ეტიუდების“ ავტორი იმ სწორ დასკვნამდე, რომ „ტარიელ გოლეას“ და „სისხლის“ ავტორის სახით „ჩვენს წინაშე სდგას უდავოდ თბრობის ისტატატი, ფსიქოლოგიური გაწყობილების გამოხატველი მწერალი“ (გვ. 237), რომელსაც უმთავრესად აინტერესებს ხასიათები და განწყობილებები; „ორიგინალობა და ბუნებრივობა მისი მხატვრული პოეზიის ის დიდი ნიშანსვეტები, რომლებიც ჰემმარიტი ხელოვანს ყოველთვის ჰქონდა თავისი შემოქმედების რთულ ვახზე“ (გვ. 262).

მწერლის ლიტერატურულ-ისტორიული დახასიათების სიმკვეთრობით გამოირჩევა აგრეთვე გ. ჯიბლაძის წერილი მიხეილ ჯავახიშვილზე. ცნობილია, რომ ქართული პოეზიის ამ გამოჩენილმა ისტატმა თავისი შემოქმედებითი გზის 35 წლის მანძილზე გაიარა იდეურ-ესთეტიკური განვითარების სხვადასხვა საფეხური „შანწორადან“ — „ქალის ტვირთამდე“, 1903 წლიდან ვიდრე 1937 წლამდე. კრიტიკოსი საზარტლიანად მიუთითებს, რომ იოლი როლია, გაიარა რთული დრო და ეპოქა, 1905 წლის რევოლუციის, მსოფლიო ომის, სოციალისტურ-რევოლუციის, სამოქალაქო ომის, საქართვე-

ველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, წებისა და სოციალისტური მშენებლობის მსგავსი ისტორიული ეპოქები. გ. ჯიბლაძე იხილავს იმ მხატვრულ გავლენებს, რომელიც განიცადა მ. ჯავახიშვილმა (გვ. 269 — 274), ავტორი, ამასთანავე, მიუთითებს იმაზე, რაც აკავშირებდა ამ შესანიშნავ მწერალს ქართული ეროვნული პროზის ტრადიციებთან (გვ. 273). ლიტერატურულ-მეცნიერულ წინამძღვრებს ეყრდნობა გ. ჯიბლაძის მიერ მოცემული მ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი გზის სამ პერიოდად დაყოფა: პირველი პერიოდი — 1903-1908 წ. წ., მეორე პერიოდი — 1923-1932 წ. წ., მესამე პერიოდი — 1932-1937 წ. წ.

გ. ჯიბლაძის კრიტიკულ-ლიტერატურული ანალიზი მიხედვით ჯავახიშვილის შემოქმედებისა ცხადყოფს, რომ „მახვილ ჯავახიშვილის სახით მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ბელეტრისტიკას ჰყავდა არა მარტო ნიჭიერი შემოქმედი, უზამო მხატვარი და დამამაინის სულის მესაიდუმლო, არამედ, უაღრესად ფართო დიაპაზონის შთაგონებელი ხელოვანი, რომელმაც დიდად განავითარა მხატვრული პროზა, მისცა მას მეტა ბუნებრივობა, პოეტური ელერადობა და უშუალოდ გამობარო სილამაზე“ (გვ. 366 — 367).

„კრიტიკულ ეტიუდებს“ ავტორი ამთავრებს 1946 — 1954 წლების ქართული მხატვრული პროზის მიმოხილვით. უნდა ითქვას, რომ გ. ჯიბლაძე ამ თავის მიმოხილვაში მოგვცა გაბედული, თბილტური ლიტერატურული კრიტიკის კარგი ნიმუში. კრიტიკოსი ამ წერილში მიმოიხილავს და გარკვეულ შეფასებას აქლევს შ. დადიანის, კ. გამსახურდიას, ალ. ქუთათელის, ლ. ქიანელის, მ. მრველიშვილის, აკ. ბეღლიაშვილის, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, გ. ნატროშვილის, დ. შენგელიას, ლ. ავალიანის, რ. ჯავახიშვილის, თ. გოგოლაძის, რ. ბეჟანიშვილის, რ. ვვეტიას, თ. მხეიძის, გ. შატბერაშვილის, ივ. ურჯუღელაშვილის, ს. თავაძის, პ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებს. წერილის ამ მხარისა და ავტორის დამსახურების აღიარებასთან ერთად ჩვენს მანც უურადლებას გავამახვილებთ გ. ჯიბლაძის წერილის თვარიულ მხარეზე. რადგანაც იგი მეტად პრინციპული მნიშვნელობისაა.

გ. ჯიბლაძე მართებულად აღნიშნავს მხატვრული პროზის დიდ მნიშვნელობას სინამდვილის ფართო და თავისუფალი სტრატეგიის შექმ-

ნაში. მის მოქყავს სხვადასხვა რუსული და ევროპული ავტორიტეტის აზრები [დღე მხატვრობები ამ საკითხთან დაკავშირებულად] მხატვრული გაცლებით უფრო მნიშვნელოვანია კრიტიკოსის ის მოთხოვნები, რომლებსაც იგი უყენებს ქართულ მხატვრულ პროზას. კრიტიკოსი მოთხოვს ბრძოლას თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის მაღალი დონისათვის, მიუთითებს, რომ ამაოდ თვლიან ზოგიერთები ლიტერატურულ პროზის ადვილ საქმედ. მწერლობა, განსაკუთრებით პროზა მოითხოვს დიდ პროზას, მწერლის მაღალ კულტურას. ამ კრიტიკიუმით უნდა მივუღებთ „ახალგაზრდა“ თუ „ხანდაზრდა“ ავტორების შემოქმედებას...

დაეთანხმებით გ. ჯიბლაძეს მაშინაც, როცა იგი მწერლების უურადლებას ამხეილებს სიუჟეტური პროზის განვითარების აუცილებლობაზე. ასევე მართებელია კრიტიკოსის მოთხოვნა, რომ ლიტერატურულ ენაში უნდა გავაბატონოთ არა დღეატები და ეპიგონები, არამედ ერთიანი ეროვნული ენა.

უურადლებას იმსახურებს კრიტიკოსის მოთხოვნა-მსჯელობა ძირითადში თანამედროვე თემატიკაზე მწერლობის გადასვლის აუცილებლობისა და რადიკალიზაციისათვის მომენტების თანდაზრდობაზე მხატვრულ შემოქმედებაში. გ. ჯიბლაძე სამართლიანად ამბობს, რომ ზოგიერთი პროზაიკოსის ტრილოგიებით და ტეტრალოგიებით გატაცება ჯერ კიდევ როდია დიდი ლიტერატურის მანქნებელი, მთავარია არა რადიკალიზაციის მხარე, რადგანაც „რომანისტიკის წარმატებას წყვეტენ არა ტრილოგიები და ტეტრალოგიები, არამედ თვითუფლი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონე. ამიტომ უეღვიტი არ იქნება გამოვლენილდეთ, უფრო ღრმად გადახედვით ჩვენს მიერ შექმნილ მხატვრულ პროდუქციას და გამოვეტყანთ მიუდგომელი დასკვნები აუცილებელისა და მიუტყვევებლის მიმართ“ (გვ. 418).

როგორც ვხედავთ, კრიტიკოსი მიუთითებს თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების სოციოცხლ მოთხოვნებზე და მისი ეს მსჯელობა დაინტერესებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული ლიტერატურის ინტერესები.

გ. ჯიბლაძის წიგნს გასდევს მოწოდება, რომ ქართული პოეზია და პროზა დაეწიოს ცხოვრებას, მისცეს მას უკეთესი მხატვრული ასახვა, რაც უეწმარტად დიდი ხელოვნების დონეზე აიყვანს ჩვენს ლიტერატურას.



სოფლის სურათები

ოთარ ჩხეიძის პატარა წიგნში „ჩვენი სოფლის ერთუღებიდან“ შეტანილი მოთხრობებისათვის თავისუფლად შეგვეძლო გვეწოდებინა „ადამიანის სულის ერთუღები“, რადგან მწერალი არ ტყირთავს თავის მოთხრობებს ფაქტებით და მოვლენებით, გვიხატავს ადამიანის სულის მოძრაობას, გვიხსნის, გვიჩვენებს მისი სიხარულის თუ სევდის გამოწვევებზე შინაგან მიზეზებს.

წიგნი იხსნება მოთხრობით „ქაბუქი“. დამით, პატარა სადგურზე მატარებელიდან ჩამოდის ორი კაცი — ტატე და ილო. ირკვევა, რომ მათ ერთი გზა ჰქონიათ, ერთ სოფელში უნდა წაიღებინათ. ქაბუქში სამგზავროდ ილო უფრო მომზადებულია, ვიდრე ტატე, პირველ ტვირთიკ უფრო ნაკლები აქვს, მაგრამ გათენებამდე სოფელში წასვლა მაინც არა სურს, მხოლოდ თვემოუვარება და ამამი არ უნდა გამოტყდეს: დაე, თვითონ ტატემ შესთავაზოს, დაეცადოთ დილაამდრო, მაგრამ მოულოდნელად ტატე ამბობს, ვიარათო, და წინ გასწევს. ილო გაიფიქრებს: „ბიჭოს, აღარც ზემრობს, ძალიან კარგი, იარე, მოგდევ, შენზე ნაკლები მგლის ღუკმა იყოს“. მიდიან. წინ ტატე მიიჭლებს თოვლს, საკვალვებზე ილო მისდევს. ერთხელ ილომ წინ წასვლიც სცადა, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ ტატეს გაჟვდა უკან. მგზავრები თითქმის არ ელაპარაკებიან ერთმანეთს, ილოს ჯერ არა სურს ტოლი დაუგდოს ტატეს, მაგრამ ბოლოს მაინც გამოუტყდება თავის თავს, რომ ტატე ამკაბად სჯობის. ვერ აუხსნია კი — რატომ, ან აძლევს მას უჩვეულო ძალას? ამ საიდუმლოს ტატესთან ერთად ინახავს მწერალიც, რათა შემდეგ ერთბაშად გახსნას კვანძი: როცა სოფელში შევიდნენ და ტატეს თავისი დანიშნული — სოფლის თვარი თამრო გამოეგებება, ილო გაიციუნებს და თავის გულში ამბობს: „მჯობებდი, მაშ რა იქნებოდა?“

თავისი მოთხრობის პერსონაჟზე — ტატეზე — ოთარ ჩხეიძე მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ის წარდგენილია გმირობაზე. რისთვის, რა გააკეთა მან, ამას არ აღწერს, იმასაც კი არ გვეუბნება, თუ რა პროფესია აქვს. მწერალი გვაქონობს გმირის სხვა მხარეს — მის სიყვარულს დანიშნულისადმი, გვიხატავს ამ სიყვარულის ძალას. ვინა ეს საინტერესო არ არის? ვინა ამას მნიშვნელობა არა აქვს? მით უმეტეს, რომ, გმირის ზოგჯერ ისე ხატავენ, თითქმის მას მუშაობის მეთრ არც არაფერი ახსოვდეს და არც არაფერი აინტერესებდეს.

მეტად დამაფიქრებელია მოთხრობა „შემოწამობა“.

მოხუცი, მარტოხელა მასწავლებელი ქალის სახლს, რომელიც სოფლის განაპირას იდგა, მხოლოდ ქარი თუ ვაიაცხლებდა — ბოძებს

აპრილებდა, სახურავის ფიფარს ააფხრეფდა, ავიანზე ფოთლებს შეაყრიდა. მოხუცსაც საქმე გამოუჩნდებოდა, ცოცხს გამოიტანდა და აივანს გვიდა. ხანდახან რომელიმე ნაპოწაფართავანი თუ შოიგონებდა მას, ძღვეს მიაბრთვებდა, შეშას მიუტანდა, დაუბრიადა, ცეცხლს დაუნთებდა, მაგრამ ისინი ჩჭარა მიდიოდნენ და მოხუცის გულს სევდა არ სცოდებოდა.

ციოდა ზოგჯერ მოხუცი მასწავლებლის სახლში. უფრო ძლიერი სიცოცხე იდგა მის სულში.

„მუხარი ავაგუგუზეთ, — ამბობს მოთხრობის ერთ-ერთი გმირი, — ოთახში ჩამოთხა, სთბო იგრძო მოხუცის ძვლებმა, მაგრამ მის თვალებში იგივე სინაქლული, იგივე ცივი ვლფერი ერთოდა და მივხვდი, რომ რცხილის კუნძების ცეცხლი არ კმაროდა იმის გასათობად, მისი სულის ასაკი აღებოდა, სულისა, რამელიც ბებერ ძვლებზე უფრო სათუთი იყო“.

მაშ, რა იყო საჭირო ამისათვის? ის, რომ მოხუცი მასწავლებელს, მიეიწყებულს, პენსიონერს თავი კვლავ ეგრძნო ისეთ ადამიანად, რომელსაც სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის. ის, რომ მას თავი კვლავ ეგრძნო ისეთ ადამიანად, რომელიც ტყუილებურად იყო არ ისე იბობს ამ ქვეყანაზე, მისი სიცოცხლე უჭმი არ არის, უმინო არ არის, ზედმეტი არ არის.

და როცა სოფლის ახალგაზრდები მას მიმართავენ თხოვნით — სალამ-სალამობით თითო საათს თუ გაიმეტებთ ჩვენთვის და ფრანგულენას შეგვასწავლითო, — აღუღებელი მოხუცი უპასუხებს:

„— გაიმეტებთო, რა სათქმელია შეწუხებითო, როგორ გეკადრებთო! როცა გენებოთ, რამდენი ხანიცა ესტრდეთო! კარგია, გამახარეთ, გეთავება, მახარეთო! ამ წუთს, ახლავე დაიწყეთ“.

დაიწყო პირველი გაკვეთილი. მწერალი გვიხატავს, თუ როგორ გამოცოცხდა, როგორ გახალისდა, როგორ შთლად შეიკვალა მოხუცი მასწავლებელი. მას თითქმის ჯანი და ღონეც მოემატა. ის ისე იქცეოდა, თითქმის მართლაც თავის პირველ გაკვეთილს ატარებდა.

დასვენა ნათელია: მარტო მატერიალური უზრუნველყოფაც კი, მარტო ცეცხლიც კი, ამ მოთხრობაში გამოყენებული სახე რომ ვიხმართო, საკმარისი არ არის ადამიანისათვის, მისთვის აუცილებელია კმაყოფილი იყოს სულიერიდაც, ჰქონდეს რაღაც მისიანი, რაღაცა აზრი მის ცხოვრებას, მის არსებობას, თუ ეს არ არის, მისი სისიცოცხლო ძალა ღუნდება, სუსტდება, იფანება და სწრაფად იღვეა.

ჩვენი ლიტერატურა, ძველიც და ახალიც, მდიდარია ქართველი დედის სახეებო. იშვიათია მწერალი, რომელსაც დედის თემისათვის

ვერდი აეყლოს. მათ დახატეს დედის ბეჭი მიმზიდველი, შესანიშნავი, შთამაგონებელი სახე. ასეთი დედის სახე შექმნა ოთარ ჩხეიძემაც. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო მისი პატარა მოთხრობა „ღეღა“.

დედას შეიღები დაუზრდია, ისინი ქვეყნის ოთხივე კუთხეს წასულან, თვითონ ახლა მარტო დარჩენილა და ფიტრებს მისცემია. რა ფაქიზია, რა ანკარაა, რა წმიდათა-წმიდაა ეს ფიტრები!

აი, სოფელში დღე დამთავრდა, საღამოა, ყველა თავის კერას მიაშურა. დედა აივანზე ზის და გონების თვალთ წარმოიდგენს, რომ მისი შვილებიც მოდიან, ფიტრებით შიანც მოდიან, „ოჯახი ესაა, ბუდე ესაა, შორს არიან და აქეთ მოდიან, მოდიან და დედის გული გამძვინვანია ფიანდაზადა“. მაგრამ დედამ იცის, რომ მის ჰინყვარს არაფერია შეაღებს, კაცის სის ქვეშ მაგადებუ პურს არაფერია გასტეხს და გულზე ტკბილი დარდი აწვება.

აი, დიდებულების ქვეშ სოფლის ახალგაზრდობას ღზინი გაუშრატავს. დედის ესმის ტაში და ყოინა, „იღინებენ და ღზინიც მოთავდებია, მაგრამ დედას რაო, დედა აღარ ელის ღზინის დამთავრებას, მის აივანზე აღარაფერია ამაყუნდება, აღარაფერია გააოაფხიზლებს ოღუნე წათელემილს, აღარაფერია ეაშობრება მორიდებით, ბადიშის მოხდით“ და ტკბილი დარდი იპყრობს დედის გულს.

დედა შედის ოთახში, უცქერის შვილებს სურათებს, ვინ იცის შერამდენედ კთხილობს შვილების გამოგზავნილ ბარათებს. მათ ქვეყნის ოთხივე კუთხიდან მოუტანიათ შვილების საყვარული დედისადმი, ამ ბარათებით, ამ სურათებით შვილები ისევე თავს იყრიან დედასთან, დედის გულთან. ტუბება, ნეტარებს დედა, მაგრამ მისი ნატერა მიანც ისაა, რომ შვილები კალთაში უხსტუნენ, ხელში ახუაფდეს, სიყვარულეკონწიადებოდნენ, „კარი ატრიალონ და ატრიალონ, დაიგვიანონ, ძალიან დაიგვიანონ, როგორც მაშინ, როცა პირველი საყვარული იტრანეს, დაიგვიანონ და ფეხაყრფით ჩაუბარონ დედის საწოლს, ჩაუბარონ და გაიხარონ, არ ვაღლიძიაო, პო, ვგონოთ, ვგონოთ, დედას კი ღვიძავს, ღვიძავს და ტუბილობს ფეხის ნაბიჯით, რომ უხსტათო, ტუბილობს და უხსტოდ ლოცვილობს: „ახარე, ღმერთო ახარე!“

სოფელი უფრდება და დედაც წეება. მაგრამ ძილი არ ეკარება მის თვალებს. არც სურს მიეკაროს: ახლა ტუბილ ფიტრებშია და ვშინია, რომ შეიძლება სისმარში იგვეყი არ გაგრძელდეს. და დედა ჩურჩულებს: „ნეტავ მესრებებად დამეზარდენით, შვილებო, ნეტავ!“

ამ ჩურჩულში, ამ ნატერაში ჩანს ვაღმობდილი ქართველი დედის არა მარტო ტუბილი სეყდა, არამედ მისი სიამაყეც — შვილები დაზარდა შორს ფრენისათვის, უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისათვის ვიდრე ამ

სახლ-კარს, ვიდრე ამ პატარა სოფელს ესაჭიროებოდა.

მეცნიერება

მოთხრობა „აყვანი“ თითქმის დადგენილ გეგმად შედგება. გამოჩენილი მეცნიერი, უცვლელ ხანძარს ეყვება და ადგილობრივ თავს ცუდად გრძობს; ყველა წამალს გამოსცდის, მაგრამ უცუფრობის ვერ ატყობს; მაშინ სოფელს, თავის შრომიერ კერას მიამტრებს, ბავშვობის ვაჭრით, ნაცნობი სიო მართლაც კეთილშეოფელად მოქმედებს მასზე; მანქანიდან გადმოსვლისთანავე უჩრდილად გაივლის ეზოში, ბელის მოკიდებამაც კი იუყადრისებს, მაშინ, როცა თბილისში დაუბნარებლად ფეხზე ვერ დგებოდა; ჰყოფნის ძალა აიაროს სახლის კბეც, სხვენზე მიყუდებულ მაღალ კიბესაც მიადგება, მაგრამ ამას კი ვერ შესძლებს და დაღონებული შედის შინ, ოთახებში; გაივლის სასტუმროს, სასადილოს, მაშინ ოთახს, ბავშვების ოთახს და ბოლოს დედის ოთახის კარს შეაღებს, შეაღებს მოკრძალებით, მორიდებით, თითქმის იქ დედას ეძინოს და ფრთხილობდეს — არ გაუღვიძრო. ამ ოთახში, სადაც ყველაფერი ისე იყო შენახული, როგორც დედის სიციცხლეში, სადაც ისევე იდგა აყვანი და აყვანთან პატარა სკამი, — მოხუც მეცნიერს მოგონებანი, ფიტრები იპყრობს. შეიღი ვაჭრული გაუზრდია დედას, აყვანის კამარაზე შეიღი ქღეა, მეშვიდე ყველაზე უმცროსისაა, ავაღმეკოსისაა, მისია.

ტუბილ-შერაე ფიტრებს მოუყავს მოხუცი მეცნიერი, ვანა ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რაზე ფიტრობს იგი? აყვანის კამარის მეშვიდე ქღესაც მალე იგვივე ბელი მოიღის, რაც პირველ ექვსს. უსასობა? უიმედობა? მაგრამ თითქმის ამის პასუხად, თითქმის იმის დასადასტურებლად, რომ აყვანი მიანც აყვანია, რომ ის შექმნილია სიციცხლსა და მოშავლის დასარწვეად, — მეცნიერთან შედის სიყრმის მგვობარო, მიახარებს, რომ მის რძალს შეეძინა ტუბუი — ქალ-ვაჭი, აყვინსაყენ თვალს გააპარებს და ამბობს, თუ აქამდე ერთი აყვანი გვეყოფნდა ახლა მეორე გახდა საჭიროო. მეცნიერის უჭირს, ძალიან უჭირს თავის აყვანთან განშორება, ავაღმყოფრად ვანიცდის ამას, მაგრამ თავს მიანც სძლევს და მგვობარს სთხოვს ამ აყვანში ვაჭი ჩააწვიონს — ბიჭების აყვანია!

საინტერესოა, სწორ დაეკირეებებზეა აგებული მოთხრობა „ღიბირა“. ხილის მიმღებ პუნქტთან მანქანების რიგია. ბიჭებს ვადააქვთ და ვადააქვთ საესე ყუთები, ოფელში იწურებიან, რაც დრო ვადის ყუთები უფრო და უფრო სიმძიმე ხდება. რას ნატრობებს ბიჭები? ნართაულ მიტყვას, რომელსაც სიცილი მოჰყვებოდა, რადღაც, როგორც საესებით სამართლიანად ამბობს მწერალი, სიცილი ამსუბუქებს ყუთებს. ერთი კარგი, გულანი სიცილი და ვითომც ბიჭებს ყუთების ნაცვლად ბამბის ქულები სჭეროდნენ ხელში — და ბიჭები თვალს აცუცებენ, საკბილოს დაეძებენ, ყუთს რომ აიტაცებენ და წელის ჩაბ-

ქნევით, აქეთ-იქით იცქირებოან, არიქათ, ხელს თუ არაინ ამიჯრავთ, სიტყვა მიინც შემაწიეთო".
მწერალმა ამ ნაწარმოებში მოთხრობილი ძალიან უბრალო ამბითაც ნათლად და დამაჯერებლად გვიჩვენა სულიერი ფაქტორის, სულიერი განწყობილების როლი, მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, კონკრეტულად — შრომის პროცესში. მწერალმა გვიჩვენა, რომ ადამიანს სასიცოცხლო ენერჯია ემატება და ადვილად სძლევს სიმწიქეებს, როცა ის ხალისიან გუნებაზეა და, პირიქით, ენერჯია აკლდება და შრომა ძნელი ხდება, როცა მუშაობაში ხალისი არ არის.

ორი მეგობრის ნადირობის ცოცხალი სურათია დახატული მოთხრობაში „მწყერი“. საინტერესოა კოლმეურნეობის აგრარომაში და თავგამოდებული მონადირის — ნოდარის სახე. სადაც ყანები კარგად არის დამუშავებული, ბალახი არ არის და სიმინდები მალაია, მონადირეებს არავითარი წარმატება არა აქვთ, ეს მოსწონს ნოდარს, როგორც აგრარომაში, მაგრამ არ სიამოვნებს ნოდარს, როგორც მონადირე. მაგრამ, აი, მონადირენი ერთ ნაკვეთს მიაღებენ. აქ ყანა ცუდად დამუშავებინათ, ბალახს გადაეცლო, სიმინდი კი ნაკლები იყო. მწყერებიც ამ ნაკვეთში შეჭუნებულიყვნენ. სწორედ აქ გაჩაღდა ნამდვილი ნადირობა. ეს ნაკვეთი მოსწონს ნოდარს, როგორც მონადირეს, მაგრამ არ მოსწონს ნოდარს, როგორც აგრარომს, და საღამოს, ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ, ის შავ დღეს აურის ბრივადირს ყანის მოუღლელობისათვის.

სულიერი განწყობილების მნიშვნელობა კარგად არის ნაჩვენები ამ ნაწარმოებშიც: სანამ მონადირეებს წარმატება არა აქვთ, ფეხებსაც ძლივს დაათრევენ, მაგრამ საკმარისია ორიოდ მწყერი ჩამოაგდონ, რომ მუხლი გამოცოცხლდეს, დალილობა სადღაც გაქრეს.

ოთარ ჩხეიძის ყველა ეტრუდი როდია ერთნაირად ძლიერი, იდეურ-მხატვრულად მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. ჩვენი აზრით, სუსტია, მაგალითად, მოთხრობა „ეკვი“. კონფლიქტი ამ მოთხრობაში გამოგონებული და ნაკლებ სარწმუნოა. საკმარისია თენგიზმა, ყოფილმა ფრონტელმა, ნიქიერმა ახალგაზრდა დისერტანტმა, უური მოპყას თავის პროფესორის სიტ-

ყუებს „ააფერი გამოვო“, რომ თავის თავის მიმართ რწმენა დაკარგოს, ნაღველში და უსასობაში შეიპეროს, გაიფიქროს, რა სადისერტაციო ნაშრომი გაუცუდლან, „უკმადასწერი სიხარული“ დაეკარგა. თენგიზი რომ ასე უეცრად, ერთბაშად დაეჭედეს, ვთქვათ, ქალიშვილის — შრომანას სიყვარულში, ეს კიდევ შეიძლებოდა გავგო და აეხსნა კაცს, მაგრამ როცა ის უურიოკრული სიტყვების საფუძველზე რწმენას კარგავს თავისა რამდენიმე წლის მეცნიერული ძიების მიმართ და ტირილსაც კი იწყებს, — ეს უკვე სრულებით აღარ შეეფერება ომის ქარ-ცეცხლში გამოვლილ ახალგაზრდას. მწერალი უნდა დაგვეთანხმოს, რომ დისერტაციის საქმეში პროფესორის ქალშვილის, თენგიზის შევეარებულის ჩარევა ძალზე უხერხულია და უღამაზო. ასეთი რამ ბუნებრივია მხოლოდ მაშინ, როცა დისერტანტი ღირსი არ არის ფეხი შესდგას მეცნიერებაში, მაგრამ მაინც ცდილობს ამას სხვადასხვა არამეცნიერული გზით, მათ შორის ნაცნობ-ნათესაეების დახმარებითაც.

ძნელი ვასაგებია, თუ რა დანიშნულება აქვს მოთხრობა „მიწას“, რა უნდა სთქვას აქ მწერალმა. მიცვალებულის, ოთხმოცდაათი წლის მოხუცის კუბოს ოთხჯერ თუ ხუთჯერ ჩაუშვებენ სამარეში და ისევ უკან იღებენ, რადგან კუბო ბოლომდე არ ჩადის — სამარე პატარა გაუქრიათ; ოთხჯერ თუ ხუთჯერ იმუხლებენ კუბოსთან ტირისუფლები, სხვები კი სამარეს აფართოებენ, სიგრძეს უმატებენ, მაგრამ ვეღარ გაუფართოებიათ, ვეღარ დაუბრჭლებიათ, ნუთუ მთელი ამ მისტიკურ-ფანტასტიკური სურათის დახატვა იყო საჭირო იმისათვის, რომ დამტკიცებულიყო — მიცვალებულს სიცოცხლეში მიწა უყვარდა ყველაზე და ყველაფერზე მეტად, და ახლაც შუტ მიწას მოითხოვს? ან რა საჭირო იყო ამის მტკიცება?

კიდევ ერთი შენიშვნაც. ოთარ ჩხეიძე კუბოს გამოთქმებს ურავს ლიტერატურულ ენაში: „მისწვდა ბევრ რამესა“, „რასაც ვერა შორდებოდი“, „ზოგი ძალითა და ზოგი მორიგებითა“, „ის იქით მიდის, მე აქეთა, იმას იქით მიჰყვებენ, მე აქეთა“ „აიციანებდა დაღლარასა“ და სხვ. თუ გმირების საუბარში ასეთი კუბოსური გამოთქმანი კიდევ დასაშვებია, ავტორისეულ ტექსტში, ვფიქრობთ, არაფრით არ არის გამართლებელი.

მერველ ბაჰოვის რჩეული პროზა



გერცელ ბაჰოვი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სრულიად ახალი თემატიკის შემოტანის, რომელსაც მანამდე თითქმის არცერთი ქართველი მწერალი არ შეხებია. ეს არის ქართველი ებრაელების ყოფა-ცხოვრება, უმთავრესად — ღარიბი ფენებისა, ქალაქად და სოფლად. ამ განხრით მას თითქმის არ უკავდა წინამორბედი. გ. ბაჰოვი ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს იყენებდა ახალი თემატიკის მხატვრულად განხორციელებისას. ქართულმა კლასიკურმა პროზამ ჩაუნერგა გერცელს ყრმის ხელოვნებისადმი სიყვარული: 19 წლისამ მან ებრაელდან თარგმან სოლომონ მეფის დიდებული პოემა „ქებათა ქება“. ამის შემდეგ მან სცადა თავისი კალამი ორიგინალურ შემოქმედებაში.

გ. ბაჰოვი მუშაობდა ლიტერატურის სხვადასხვა განაჩეში. მის კალამს ეუფლებიან პიესები, რომანები, წიგნები თეატრისა და ლიტერატურის საკითხებზე. თუ მის პირველ პიესას „მუნჯები აღაპარაკდნენ“, რომელიც ეხებოდა მეტად აქტუალურ თემას. — ქართველ ებრაელების ღარიბი ფენების კლასობრივ გათვითცნობიერებას (პიესა დადგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა 1932 წ.), მხატვრულად გერცელს პრიმიტიულობის ელფერი დაკრავდა, სამაგიეროდ, მისი რევოლუციური პიესა „ოცა რეინაშვილი“ ერთ-ერთ საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს მწერლის დრამატულ შემოქმედებაში, თავის დროზე ეს პიესა დიდი პოპულარობით სარგებლობდა (დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში 1936 წ.).

გერცელ ბაჰოვის პროზაულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „ფეთხანი“. ამ რომანის წერა მან 1929 წელს დაიწყო. ამ დროისათვის მწერალს უამრავი მასალა ჰქონდა უკვე მოგროვილი ქართველ ებრაელთა ცხოვრებიდან, რომლის ასახვასაც ფიქრობდა. გერცელ ბაჰოვის „ფეთხანი“ გადმოცემული აქვს 1921-23 წლების ქართველ ებრაელთა ცხოვრება. უმთავრესად კი ის ძირითადი ძეგლები ქართველი ებრაელების შეგნებაში და ის სულიერი გარდატეხანი, რაც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მოახდინა. ქართველი ებრაელობა სრულიად მოუშვადებელი შეხვდა რევოლუციას. ფეთხანი — ებრაელებით დასახლებული უბანი თბილისისა, ისეთივე ცხოვრებას განაგრძობდა, როგორსაც რამდენიმე წლის წინათ, და ახლა როცა ცხოვრე-

ბა შეიცვალა, ძველი გზით სარჩული არა მარტო უვარჯისი, არამედ დამამიკრებელი და მომაკვინებელი შეიქმნა მათთვის. მაგრამ ამას სრულებით ვერ ჰგარანობდა ფეთხანი. ცხოვრების ახალმა სიომ გერცელს ვერ დახმარა ამ უბანში, საქართველოში გამოჩნდა ახალი გზისა.

რევოლუცია მოხდა. როგორი იქნება ახლა ქართველი ებრაელების ცხოვრება? წავა იგი ისევ იმევე, ძველი და საუკუნეობით ნაწილი გზით, თუ ახალი ცხოვრების ტალღებში აღმოვრებივართ? აი რა პრობლემა აქვს წამოყალიბებული გერცელ ბაჰოვის ამ რომანში; ე. ი. აქ ძირითადად დასმულია საქართველოს ებრაელობის მომავლის საკითხი. საქართველოს მოწინავე აღმსარებელი თავისი საქმიანობით სტიმულს აძლევდა სხვა ეროვნების ხალხს უკეთესი მერამისათვის ბრძოლის საქმეში. საქართველოს ებრაელობის ერთადერთი გზა იყო გვერდით ამოსდგომა და ხალხს და მათთან ერთად ებრძოლა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის.

რომანში გერცელ ბაჰოვმა გამოიყენა ებრაელი საზოგადოების ორი სხვადასხვა ფენა, ერთია ყურბი მთაშვილისა და ბენიამინ ბერიძის მეტად ვიწრო საზოგადოება, ხალხი მეორე — შულისა და ნათანისა, რომელთა მხარეზეა ცხოვრება, მოშავალი. მაგრამ მათი დაპირისპირება ავტორს უბრალო სქემატური კონფლიქტისათვის კი არა აქვს გამოყენებული, არამედ მასში გარდატეხება იმ დღეების დიდ შერყევებაში ამბავი, ამბავი ახლისა და ძველის ბრძოლისა და უკვლადერთი ეს ყარგად აქვს დახატული მწერალს.

ნათანი და შული ყურბასა და ბენიამინთან შედარებით სრულიად სხვა აღმსარებელი არიან, სხვანი არიან თავიანთი აზრითა და იდეებით, მისწრაფებითა და სურვილებით, ისინი სრულიად ახალი დროის შეილები არიან. მაგრამ მათ შორისაც არის სხვაობა. შული ის აღმსარება, რომელმაც ცხოვრების სიმწარითა და სიმკაცრით შეიგნა ბრძოლის აუცილებლობა, დაწმუნდა, რომ ახალგაზრდებმა ეკლანი გზა უნდა გაიარათ ახალი ცხოვრების ასაშენებლად. თითქმის ასეთივე იდეებისა ნათანიც, მაგრამ მისი გზა სულ სხვაა. იგი ინტელიგენტი კაცია და ზევიდან დასცერის შულის, ქართველი ებრაელობის მომავალს იგი განათლებასა და კულტურის მიღებაში ხედავს, შულის მოსწრებული თქმით ნათანის მსგავსი აღმსარებელი „ინტელიგენტი“ არიან, ღარიბ ხალხს ეუბნებიან: „მოიცა, ეირო, ვაზაფხულზე იონჯა მოვა და ვაძლებიო“. გერცელს ხალხს უნდა ისწავლონ და მერე აქამონ. მანამდე? ამაშია ნათა-

გერცელ ბაჰოვი. ფეთხანი. შუბარას უკანასკნელი სიტყვა. გამომც. „საბჭოთა საქართველო“. 1960 წ.

ნის სისუსტე, იგი მოგვიანებულ „განმანათლებლად“ გამოიყურება, მისი აზროვნება წერატორეუბაზეა, იგი ვერ ამალდა შეათა კლასის როლის გავებამდე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს მის მსოფლმხედველობაში მომხდარი ცვლილებაც, რაზედაც მიგვიანიშნებს ავტორი ნაწარმოების ბოლო თავებში.

შეული და ნათანი ერთიდაიგივე მიზნისაკენ მიიღტიონ, მაგრამ სხვადასხვა გზით. ნათანი ინტელიგენტი, ამიტომ ძნელია დაარღიო მისი აზრები, შეარყო ის, რაც მან თავის ორგანიზაციაში „ღვეითის ფარში“ ჩამოაყალიბა, მაგრამ რომანის ბოლო ეპიზოდებში ავტორი მიგვიანიშნებს მის შემეცნებაში მომხდარ ცვლილებებზე, რაც იმამე მდგომარეობს, რომ იგი მიუახლოვდა ცხოვრებას, მის სინამდვილეს.

ზენ დაწერილებით არ შევხებით „ფეთხანის“ პერსონაჟთა ბედსა და მათს ურთიერთდამოკიდებულებას, ამას საკმაოდ ვრცელად გეზა ბესარტონ ქლენტი თავის წერილში, რომელიც ამ წიგნს აქვს დართული.

„ფეთხანში“ ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდი — სცენა სალოცავში, სადაც იღუპება ნათანის მამა ისხაც ჯანაშვილი, რომელიც წვერის ახლად დაარსებული არტელისა „პირველი ნაბიჯი“. ისხაც ჯანაშვილი ახალი იდამიანი, „მონაღვის მხეარავთა“ ერთ-ერთი წარმომადგენელია. ავტორი გვიხატავს ებრაელებისათვის ტრადიციულ „სიონის ტირილს“, როდესაც ებრაელები ქვეყნიერების ყველა კუთხეში გლოვობენ იერუსალიმის დაცემას. მწერალმა ოსტატურად აღუვაწარა ორი ამხვეი ერთი შეორებს, პირველი — ებრაელობის საერთო მნიშვნელობის სატყვარი, ხოლო მეორე — ადგილობრივი, მაგრამ საზოგადოების ერთი ჯგუფისათვის მეტად მნიშვნელოვანი.

გერცელ ბაზოვის ეს რომანი ურადლებას იპყრობს სხვა მხრივაც. აქ არის მეტად ოსტატურად დახატული პერსონაჟები თავისი დამახასიათებელი გამოთქმებითა და ფრაზებით. მწერალი კარგად ხატავს გმირთა ხასიათს მოქმედებაში. მთელი რიგი პერსონაჟების მექამედის, ოსიპის, ნათანის, შეულის და ძია ბენოს სახეები მშვენიერადაა დანატული.

გერცელ ბაზოვი არ იმყოვებს ერთსა და იმავე საღებავს გმირის დასახატავად. მის „ფეთხანში“, რომელშიც საკმაოდ ბევრი მოქმედი პირია, ყველა გამოირჩევა თავისებურებით, საკმარისია ამისათვის შევადაროთ ერთმანეთს თუნდაც ავგუსტინა და ესთერი, ან კიდევ ნათანი და შეული.

„ფეთხანის“ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი ემოციური ზემოქმედების მომხდენია. გაიხსენოთ რომანის უკანასკნელი ეპიზოდი სალოცავში ან ნათანისა და ესთერის შეხვედრა, ორივე ეს (და ბევრი სხვაიც) ეპიზოდი, წერას მანერით თუ სიტუაციების შე-

პირისპირებით, დიდ დრამატიულობამდე აღის, და სრულიადაც არ გვეჩვენება რეალისტურულად, როდესაც ბესარტონ ქლენტი წერს: „ნათანი წარმოებში წარმოსახული მამატი კონფლიქტების გამოხატვისას მწერალი მთელ რიგ შემთხვევებში ღრმად დრამატიზირებულია და ზოგჯერ კი ტრაგიკულ ელერას აღწევს“.

ახალი ცხოვრების ახალი იდამიანის პრობლემას მიუძღვნა გერცელ ბაზოვმა თავისი საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა „შემარისს უკანასკნელი სიტყვა“.

ამ ნაწარმოებში ავტორი მოგვითხრობს საქართველოში კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის დღეებზე, ერთმოდ კი — ებრაელობით დასახლებული ვერსი დაბის დამოკიდებულების კოლექტივიზაციისადმი. ვერ ვიტყვი, რომ ამ მოთხრობის წერის დროს მწერალი ცხოვრების სინამდვილიდან გამოდლოდა და მისი შთამავანებული თვით ცხოვრების სინამდვილე იყო, ე. ო. რომ მასობრივი უფლიდიოთ ღარიბებრავთა გაერთიანება კოლექტიურ შეურენობებში, მაგრამ გერცელ ბაზოვი, როგორც მწერალი, მოუწოდებს ხალხს ახლსაკენ, იგი ხელოვანის ტრინუნიდან მიუთითებს ხალხს, რომ „ყველან კოლექტივი იმარჯეებს“ ეს არის აგრეთვე შემარისს უკანასკნელი სიტყვა და ამით მოთხრდება მოთხრობაც. „კოლექტივი იმარჯეებს!“ ამას ამოებს შემარისა. კარგად გვიხატავს მწერალი შემარისს განცდებს, როდესაც მიმდინარეობს სასამართლო. შემარის იყის, რომ მას მიუსჯიან სასჯელის უმადლეს ზომას, ეს ამინებს მას, მაგრამ ყველაზე ძლიერ განიცდის იმას, რომ „კოლექტივი იმარჯეებს“, რადგან ეს არის ყველაზე უფრო სასტიკი განაზენი შემარისს კლასისათვის.

ღარიბი ებრაელობა, რომელსაც სათავეში ჩადგებმა მიშველ თეთრუაშვილი, კოლმეურნობაში გაერთიანდება. გაიმართება ბრძოლა ქლავთა წარმომადგენლის შემარისსა და კოლმეურნობას შორის. ბრძოლა მიმდინარეობს დამბეულად და საბოლოოდ ახალი იმარჯეებს ძველზე. თითქმის ასეთი სიუჟეტი ქართული ლიტერატურისათვის არ უნდა იყოს უცნობი. მრავალი მოთხრობა და რომანი დაწერა კოლექტივიზაციის თემზე. ამ რომანში გ. ბაზოვი სიუჟეტურად იყენებს იმავე ხანძარს, დივერსიას, შანტაჟს, რაც ასე ცნობილია ჩვენთვის და თემზე დაწერილი სხვა ნაწარმოებებიდან, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ გერცელ ბაზოვის მიერ დახატული მოთხრობის გმირი მიშველ თეთრუაშვილი სრულიად ახალია მკითხველისათვის, მისი სახე დახატულია ნათლად და მკვეთრად.

გერცელ ბაზოვი, როგორც მწერალი სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მან ხელი მოკლდა ჩვენთვის სრულიად ახალ თემატიკას,



ქართველ ებრაელთა ღარიბი ფენების ყოფა; ცხოვრების დახატვას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მისი ნაწარმოებები მხოლოდ ამ ფენებისათვის იწერებოდა. მან შესწლო გვერდით ამოღგომოდა თავის თანამოკალმებს და

მისი თხზულებები ყველახათვის საინტერესონი გახდნენ. უდავოა, რომ გერცელ ბავშრებლ წიწქმთუბებში თავის ადგილს დაიკაუებუნ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

გ. ბათიაშვილი.

ივანტე ნინოშვილის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი

ამ ბოლო წლებში გამოსულ შრომებზე ვგანტე ნინოშვილის შესახებ შეეშტა ვ. კერძეუადის „ივანტე ნინოშვილის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი“. შრომის აეტორი იცავს და ასახუტებს იმ დებუტებას, რომ ვ. ნინოშვილი ბოლომდე თანმიმდევარი რევოლუტციონერი იყო. ფაქტობრივ მასალის საფუძველზე გვჩვენებს, რომ სოციალისტ ბოლო ხანებში მწერალი გლუბერი რევოლუტციის თეორიიდან ამაღლდა რევოლუტციურ მარქსიზმამდე, რომ პრაქტიკულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მას არავითარ რეფორმიზმ-რევიზიონიზმისათვის მხარი არ დაუჭერია და რევოლუტციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურად ცნობდა მუშათა კლასს. ვ. კერძეუაძე სამართლიანად მიიჩნევს ვ. ნინოშვილს პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად. ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ სულსმამდგმელად. მონოგრაფიაში ნახვევია, რომ ვ. ნინოშვილი ცდილობდა გადაეყვანა ქართული გამათავისუფლებელი მოძრაობა რევოლუტციურ სოციალ-დემოკრატიზმის საწყისებზე და ეწარმოებინა მარქსიზმის პროპაგანდა მშრომელ მასებში. მაგრამ ამ სწორი მოსაზრებებთან ერთად, მონოგრაფიის ავტორი, ჩვენი აზრით, აყენებს მთელ რიგ არამართებულ დებუტებებს ვ. ნინოშვილის სოციალ-პოლიტიკურ შეხედუტებათა გარჩევისას. ვ. კერძეუაძე იზიარებს იმ გავრცელებულ შეხედუტებას, რომლის მიხედვით ვ. ნინოშვილი ჯერ ხალხისანი იყო, ხოლო შემდეგ მარქსისტად გახდა.

ჯერ ერთი, ვინც ვ. ნინოშვილს მარქსისტად გადგომამდე ხალხისნებს მიაკუტუნებს, უნდა გვიპასუხოს: თუ ვ. ნინოშვილი ხალხისანი იყო, ხალხისნობის რომელ მიმდინარეობას ეკუტვნოდა იგი. დასაბაკი იმაზე, რომ ვ. ნინოშვილს რაიმე საერთო ჰქონდა ლიბერალ ხალხისნებთან, რომელნიც წერილ-ბუტრეუბიულ რეფორმისტებს წარმოადგენდნენ, ზედმეტია. უდავო ფაქტია, რომ ვ. ნინოშვილი თეთმშყრობელობიდან არ მოელოდა არავითარ დემოკრატიულ რეფორმებს, თეთმშყრობელობასთან არავითარი კავშირისა და თანამშრომლობის თეორია

მას არასოდეს არ წამოუყენებია, იგი არასოდეს არ უთფილა რეფორმების მომხრე. პირიქით, ამ დემოკრატ მწერალს სძულდა ცარიზმი, მისი შეფრთხელებელი მტერი იყო და კარგად იცოდა, რომ თეთმშყრობელობა ვაბატონებული კლასების დასაყრდენია. მას არასოდეს არ წამოუყენებია არავითარი ბურჟუაზიულ-რევოლუტციული მოთხოვნები, როგორც ამას ხადიოდნენ ლიბერალი ხალხისნები. წერილი კრედიტები, ტექნიკის გაუმჯობესება სოფლის მეურნეობაში, ბანკები, კოოპერაცია, გლეხურ მიწათმფლობელობათა ზღა, სახელმწიფო და საერთო გადასახადების შემცირება, ბურჟოკრატიული ჩავვრის შერბილება ვ. ნინოშვილს არასოდეს არ მიუჩნევიდა სამოღვაწეო პროგრამად.

ჩვენ არ ვეთანხმებით იმ მოსაზრებასაც. თითქოს ვ. ნინოშვილი მარქსიზმის პოპიკაებზე ვადასვლამდე რევოლუტციურ-ხალხისნურ იდეოლოგიურ საწყისებზე იდგა. მისი ადრინდელი მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწერების მეცნიერული ანალიზი არ იძლევა ამგვარი დასკვნის შესაძლებლობას. მის ადრინდელ მხატვრულ ნაწერებთან მართლაც მოხანს თითქოს გლეხური რევოლუტციის გზით შესაძლებელი იყო ხალხის ჩავვრისაგან განთავისუფლება. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ვ. ნინოშვილი რევოლუტციური ხალხისნობის რომელიმე ფრთის პოპიკაზე იდგა. გლეხური რევოლუტციის ყოველი თეორეტიკოსი და მომხრე როდი შეიძლება ჩაითვალოს რევოლუტციურ ხალხისნად. ვ. ნინოშვილი უდავოდ თავისუფალაა ბაკუნინის გავლენისაგან და არც „ნაროდოვოლუტერი“ იდეების კვალი ჩანს მის მოღვაწეობაში. ვ. ნინოშვილს არ წამოუყენებია ხალხისნური, სუბიექტური იდეალისტური თეორია, რომლის მიხედვით გამოიჩენილა პიროვნებანი აჩანს ისტორიული პროცესის შემოქმედნი და ამ ყალბ თეორიულ დებუტებაზე არ აყვია თავისი პირვანდელი რევოლუტციურ-პრაქტიკული მოღვაწეობა.

ვგანტეს ნაწერებს არ ახასიატებს აპოლიტიკიზმი, ის არსად არ იცავს პატრიარქალურ ურთიერთობებს, თემურ სოციალიზმს. ვ. ნინო-



შვილის ადრინდელ ნაწერებში ვერ ვხედავთ შიშ კაბიტალიზმის განვითარებისადმი, ვერც კაბიტალიზმის რეგრესულ მოვლენად ცნობის ფაქტს. ქართული ჩამორჩენილობის ამოღობის, მუერნობის ძველი ფორმების იდეალიზაციას, შიშის ისტორიული პროგრესისა და ცხოვრების ევროპული ფორმების წინაშე. მარქსიზმის პოზიციებზე გადასვლაზე ე. ნინოშვილის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა დამახასიათებელია რევოლუციური დემოკრატიზმი. შიშის ადრინდელი ნაწერები და მოღვაწეობა გავლენითლია მტრობით ბატონყმობისა და ბატონყმობის ნაშთებისადმი, ყველა მათი გამოვლინებისადმი სოციალ-დემოკრატიული ურთიერთობათა სფეროში. ე. ნინოშვილი მხურვალე დამკვიდრია განათლებისა, ეროვნული თავისუფლებისა და თვითმართვლობისა, ქვეყნის ევროპიზაციის, დემოკრატიული რესპუბლიკანიზმისა, თავდადებული დამკვიდრია შრომელთა ინტერესებისა. ე. ნინოშვილი სცნობს, რომ ისტორია არა ცალკეულ ბიოგრაფიათა კრებულთა, არა ცალკეული კრიტიკული პროცენტების, არამედ ხალხთა მასებთა ისტორიული პროცესის შემოქმედელი უნდა შევნიშნათ ისიც, რომ ე. ნინოშვილის სოციალ-პოლიტიკურ თეორიის ახსნათებს ინტერნაციონალიზტური პრინციპების დაცვა, ბძილა სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს გვაძლევს უფლებას დავსკვნათ, რომ ე. ნინოშვილი მარქსიზმის პოზიციებზე გადავიდა არა ხალხსნური იდეოლოგიიდან, არამედ რევოლუციური დემოკრატიზმიდან. ამიტომ ღრთა გამოვეთხოვით არასწორ დებულებას ე. ნინოშვილის ხალხსნობის შესახებ.

საკმათა, აგრეთვე, მონოგრაფიის ავტორის მთელი რიგი დებულებანი 80-90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა იდეური მიმართულებისა და ამ მიმართულებათა წარმომადგენლების შესახებ.

თავი რომ დაეანებოთ ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობათა კლასიფიკაციას, რაც ცალკე მსჯელობის საკითხია, ე. კერძოვამებს ზოგ შემიბეგვამი არა აქვს სწორად დახასიათებულ 80-90-იანი წლების თავდაზნაურული იდეოლოგია, ლიბერალური ხალხსნებისა და ბურჟუაზიული სოციალ-პოლიტიკური აზროვნება.

შიუღებლად მიგვიჩინა იმის დამება, რომ 80-90-იან წლებში თავდაზნაურული აზროვნება, შემამულური იდეოლოგია, თითქოს წარმოადგენს საზოგადოებრივი აზროვნების ერთ მონოლითურ, მიმდინარეობებად დაუშლელ მიმართულებას. საკითხის ასე წარმოდგენა არც მეთოდოლოგიურად და არც ფაქტობრივად სწორი არ არის. ამ პერიოდისათვის ქართული თავდაზნაურობა, მარათლია, წარმოადგენს შემამულთა ცალკე კლასს, მაგრამ ამ კლასში

ადგილი აქვს ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შეკრას, შემამულური მუერნობათა ბურჟუაზიულ ევოლუციას, სავაპრო-სესაქციონლური ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას, შემამულთა ნაწილის გადაქცევას აგრარულ ბურჟუაზიულ, მრეწველ საქმისრებად და სხვ. და როგორ შეიძლება შემამულთა კლასის ასეთი დაუენების დროს ჩვენ საქმე გვეკონდეს მხოლოდ ერთ, მიმდინარეობებად დაუშლელ, შემამულური, თავდაზნაურული იდეოლოგიასთან? მართლაც, აღნიშნულ პერიოდში ქართული თავდაზნაურული სოციალ-დემოკრატიული აზრი ერთი მონოლითური მიმართულება კი არ არის, არამედ მიმდინარეობებად დაშლილი მიმართულებათა. ამიტომ ყოვლად გაუმართლებელია ამ პერიოდის შემამულური-თავდაზნაურული აზროვნების, როგორც ამას მონოგრაფიის ავტორი ჩაღის, გაიგვება თავდაზნაურულ ლიბერალიზმთან. მე ვამუღლერი ლიბერალიზმი თავდაზნაურული აზროვნების, მართალია, ძირითადი მიმდინარეობათა, მაგრამ არა ერთადერთი.

ე. კერძოვამ აცხადებს, თითქოს „ივერია“ იყო თავდაზნაურული ლიბერალიზმის ორგანო, ხოლო „ივერიელები“ თავდაზნაურული ლიბერალები. თავი რომ შევკავოთ მეტად სერიოზული საკითხის გადაჭრისადგან, თუ ვის ორგანოს წარმოადგენდა „ივერია“ 1887—1902 წლებში, კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ კურიოზია იმის მტკიცება, თითქოს ყველა გამოჩენილი პუბლიცისტი თავდაზნაურული ლიბერალიზმის წარმომადგენელი იყო.

ავტორი თავისი შრომის რამდენიმე ადგილას აღნიშნავს, რომ შემამულური ლიბერალები, „თავდაზნაურული იდეოლოგები... უარყოფითად იყვნენ განწყობილნი კაბიტალიზმის განვითარების, კლასთა ბძილისა და რევოლუციის მიმართ“ (გვ. 27), რომ „ივერიელები ეწინააღმდეგებოდნენ კაბიტალიზმს და განსაკუთრებულ ფურადღებას აქცევდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას“ (გვ. 16).

განა შემამულური ლიბერალიზმისათვის დახასიათებელია ანტიკაბიტალიზტური ტენდენციების? პირიქით, ე. ნინოშვილის დროინდელი ქართული თავდაზნაურული აზროვნება სწორედ იმტომია ლიბერალური, რომ შიში არის, შიშია ძირითადი მოტივია შემამულური გზით კაბიტალიზმის განვითარების აუცილებლობის დასაბუთება, თავდაზნაურთათვის ამ გზით მისაწმენილობის დასაბუთება. სწორედ თავდაზნაურული ლიბერალიზმი ეძებს გზებს და საშუალებებს გადაიყვანოს თავდაზნაურობა, შემამულური მეურნეობანი კაბიტალიზტური განვითარების რელსებზე. შემამულური ლიბერალიზმი განუწყვეტლივ მოიბოზს, რომ თავდაზნაურობა გამოეშვიდობოს მატერიალური დღეღათის ანისტრუკატურ ფლანგვას და

ხელი მიჰყოს სამეურნეო საქმიანობას, აწარმოოს მეურნეობა ბურჟუაზიულად.

ორიოდე შენიშვნა ქართული ხალხსწინა შესახებ.

აზაფერი საერთო არა აქვს სიმატელთან იმ მტკიცებას, თითქოს ქართული წაროდნიყო-ბის ისტორიულ განვითარებაში ორი პერიოდი აღინიშნება, რევოლუციური და ლიბერალური და, რომ 80-იან წლების შემდეგ ხალხსწინაობა, წყრილი ბურჟუაზიის იდეოლოგია საბოლოოდ ჰქარავს რევოლუციურ ხასიათს (გვ. 18). მაგრამ განა მეოცე საუკუნის დისაფისში წარმოდგენილი ბარტევიმ რუსეთსა და ჩვენში არ აწარმოებდნენ რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ? სავსებით უმართებულოა ეტრნალ „იმედისა“ და ვახუტ „შრომაში“ მოღვაწე ხალხსწინები ერთიანად ლიბერალ ხალხსწინებად გამოაცხადოთ. უდავოა, რომ ორივე ორგანოს ჰქონდა ლიბერალური ტენდენციები, მაგრამ აქედან როდის შეიძლება დავასკვნათ, რომ „იმედისა“ და „შრომის“ მთავარი პუბლიცისტები ყველანი ერთიანად ლიბერალ-ხალხსწინები იყვნენ და „მეფესთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის გზით“ სურათს გულთან მდგომარეობის ვაჟმჯობესებდა, რომ „მათი მიზანი ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების მოსპობა კი არ იყო, არამედ ექსპლოატაციის შემსუბუქება არსებული წყობილების პირობებში“ (გვ. 24). საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ „იმედის“ ისეთი თანამშრომლები, როგორიც იყვნენ ა. ფურცელაძე, ს. მგალობლიშვილი, ს. კრემლივი, ვაჟა-ფშაველა, ი. დავითაშვილი, ზ. გულისაშვილი არა თუ ეტრნალ „იმედის“ თანამშრომლობის დროს, არამედ არსოდეს არ გაემოსულან ცარიზმის მოკავშირეებად და აყენებდნენ. ე. ბოსლველი ვახუტ „შრომის“ წამყვანი პუბლიცისტთაგანი, ლიბერალ-ხალხსწინი იყო, თუ, პირველ რიგში, პოლიტიკური რევოლუციის თეორეტიკოსი? ან ავიღოთ ა. ფურცელაძის, ამ გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის „იმედის“ (1882 წ. № 7-8) მოთავსებული წერილი „რამდენიმე სიტყვა“ რასაკერაველია, ა. ფურცელაძის ეს წერილი, როგორც მისი ამ პერიოდის წერილები, არა თუ ლიბერალურ-ხალხსწინურ შინაარსს ატარებს, პირიქით, რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსისაა. ეს სწორედ ერთი იმ წერილთაგანია ეტრნალ „იმედის“, რომლებიც მიმართულია ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ანტონ ფურცელაძე აცხადებს, რომ არა წარსულისაკენ დაბრუნება და წარსულის იდეალიზაცია უნდა იყოს ქართული ხალხის დროშა და პროგრამა, არამედ საფრანგეთის კომუნარტების დროშა, რომ ქართველი ხალხის გმირები უნდა იყვნენ ვარიალდის, დელკაუტის, ვერმორელის, დომბროვსკის მსგავსი გმირები. არა წარსულით, თვით-

მყოფობით შემოფარგვლა, შეინიშნავდა ფურცელაძე, არამედ მოწინავე ეტრნალ „იმედის“, მოწინავე ევროპული მეცნიერებები, მსგავსებები უნდა წარმოადგენდეს ჩვენს მიდრეკილებას, თუ გვინდა, ჩვენმა ხალხმა მართლაც მოიპოვოს თავისი უფლება და მატერიალური კეთილდღეობა.

ა. ფურცელაძე აღნიშნავდა, რომ არა ლიბერალური მოღვაწეობა, არამედ მშრომელთა ბუნებრივებისათვის პირობაში ქართველობისათვის მავალითები უნდა იყვნენ რუსული გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ბელადები, ჩვენს მიდრეკილ, დომბროვსკის, პისარევის დროშა უნდა იყოს ქართული გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი. იცავდა რა პისარევის ლიბერალების თავდასხმისაგან, ა. ფურცელაძე აღნიშნავდა, პისარევის ეს ვეებატონები ებრძვიან და ცილს სწამებენ იმიტომ, რომ პისარევი არ ჩაატრო ის ლამპარა, რომელიც ანთეს „სოცრემნიკის“ მოღვაწეებმა და ევროპის მოწინავე ადამიანებმა. პისარევის მტრები გვარწმუნებენ, შეინიშნავდა ა. ფურცელაძე, რომ რუსეთში პისარევი არ შეიძლება დროშა იყოს, რადგან ის გადაჯაბრებით უარყოფილია. მაგრამ, სწორედ იმიტომ, რომ პისარევი უარყოფელი იყო, უნდა იყოს ის ჩვენი გმირი და დროშა. თუ ჩვენ ცხოვრებას დავაკვირდებით, რა არის აქ ისეთი, კითხულობდა ა. ფურცელაძე, რაც უარსაყოფელი და მოსასპობი არ იყოს. საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობა, კანონები, ეკონომიური წყობა, პოლიტია, ზღაპრება, სამხედრო საქმე, განა ისინი უარსაყოფელი და საფრთხლიანად შესაცვლელი არ არის?

როგორ ფიქრობს მონოგრაფიის ავტორი: ლიბერალიზმი ეს თუ რევოლუციონერობა, სადა არის აქ, ამ წერილში მეფის ზელისუფლებასთან კავშირისა და თანამშრომლობის თეორია? საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ ეტრნალ „იმედის“ თანამშრომელთა ძირითადი ბირთვი ქართული არაღვგალური რევოლუციურ-ხალხსწინური „ნართდოვოლტური“ ორგანიზაციის აქტიური წევრები იყვნენ და კავშირი ჰქონდა „ნართდნა ვოლიას“ ცენტრთან და ზელმდვანებთან. თუ ეს ასეა, საიდან არიან მაშინ ისინი თვითმპყრობელობასთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის თეორეტიკოსები, ექსპლოატაციის არა მოსპობის, არამედ შერბილების „თეორეტიკოსები“?

ყალბია ავტორის ის მოსაზრებაც, თითქოს ეტრნალ „იმედის“ თანამშრომელთა ავტორული პროგრამა არა დემოკრატიული, არამედ ლიბერალური პროგრამა იყო და რომ ისინი არა მიწას, არამედ ავრონობას აქცევდნენ შთავარ ყურადღებას (გვ. 26). სინამდვილეში „იმედის“ რევოლუციურ-ხალხსწინათა ბირთვი მოითხოვდა მსხვილი მიწათმფლობელობის განადგურებას. არც იხა მართალი, თითქოს

ლიბერალი ხალხისგან „ცდილობდნენ გლეხთა და საერთოდ წერილ მწარმოებელთა ინტერესების დაცვას“ (გვ. 27). შრომის ავტორი წინააღმდეგობაშია: თუ ლიბერალი ხალხისგან ხელხმობდად სტოვებდნენ მსხვილ მემამულურ მიწათმფლობელობას, როგორც ავტორი აცხადებს თავისი შრომის 21-ე გვერდზე, როგორ იყვნენ მაშინ ისინი წერილ მწარმოებელ გლეხთა ინტერესების დამცველები? ცხადია, გლეხთა ინტერესების დაცვა ნიშნავდა ბრძოლას მსხვილი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, ვლუხებზე მიწის გადაცემის მოთხოვნას. თუ ლიბერალ ხალხისგან რადიკალური აგრარული პროგრამა არ გაიანდათ, ე. ი. თუ ისინი გვერდს უვლიდნენ გლეხთა ძირითადი მსახების უმთავრეს ეკონომიურ ინტერესს, როგორ წარმოიშადგენლობდნენ მაშინ წერილ მწარმოებელ ვლუხობას? ეს გავგებარია.

ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში ჯერ არავის გამოუცხადებია ლიბერალური აგრარული პროგრამები რადიკალურ-დემოკრატიულ აგრარულ პროგრამებთან. ლენინმა ცხადყო, ეკითხვობოთ ახლანდელ გამოსულ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში“, რომ „ლიბერალური ნაროდნიკობა ძირველად განსხვავდებოდა რევოლუციური ნაროდნიკობისაგან. ნაროდნიკობის გადაგვარება დაკავშირებული იყო ღრმა სოციალურ-ეკონომიურ პროცესებთან, რაც სოფლად მოხდა. 70-იანი წლების რევოლუციური ნაროდნიკები სოფლის ჯერ კიდევ სუსტი დიფერენციაციის ეთარებაში მოქმედებდნენ, აინი გლეხთა ფართო მასების განწყობილებას ასახავდნენ. 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკები გამოვიდნენ გლეხობის დაშლის პირობებში, რაც კაპიტალიზმის განვითარების გავლენით მოხდა; ისინი სინამდვილეში კულაკობის ინტერესთა გამომატველნი იყვნენ. მაშასადამე, ნაროდნიკები — ეს ხალხის ფაღლი მგებობები არიან“ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, გვ. 41—42).

რამდენიმე შენიშვნა 80-90-იანი წლების ბურჟუაზიული აზროვნების შესახებ: ე. კერძევაძე 80-90-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას „ბურჟუაზიულ მოძვრებას“ უწოდებს. ის წერს: „80-90-იანი წლების

მესამე იდეოლოგიურ მიმდინარეობას წარმოადგენდა „ბურჟუაზიული მოძვრება“ (გვ. 28); უკეთესია, რასაკვირველია, ბურჟუაზიული სოციალ-დემოკრატიული აზროვნება ბურჟუაზიულ ლიბერალიზმად იწოდოს. ეს სახელწოდება მიღებულია საბჭოთა მეცნიერებაში, ის ზუსტად გვიჩვენებს, რომ 80-90-იანი წლების ბურჟუაზიული აზროვნება არა რევოლუციური, არამედ ლიბერალური, რეფორმისტულია. ახასიათებს რა ბურჟუაზიულ აზროვნებას, ავტორი ფიქრობს, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები, „ივერიელებისაგან განსხვავებით, მიესალმებიან კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას“ (გვ. 28).

ჯერ ერთი, ყველა „ივერიელს“ როლი ჰქონდა ანტიკაპიტალისტური ტენდენციები; შეროვეც, ვისაც უნდა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ზუსტი დახასიათება, მან აქცენტი იმავე კი არ უნდა გააკეთოს, მოითხოვდა თუ არა ბურჟუაზიული აზროვნება კაპიტალიზმის განვითარებას, არამედ იმაზე, თუ კაპიტალიზმის განვითარების რომელ გზას ესწრაფოდა იგი, ე. წ. პრელუდს თუ აგრარულს. მხოლოდ ამის გამოკვეთის შემდეგ გახდება შესაძლებელი ვიღაცა რაიმე თუ რამდენად დემოკრატიული მოთხოვნების შემცველია ბურჟუაზიული ლიბერალიზმი.

ახასიათებს რა თავადანაურობის მდგომარეობას რეფორმის შემდეგ, ავტორი ისე წარმოადგენს ვითარებას, თითქოს თავადანაურობა, როგორც შემამულეთა კლასი, რომლის ხელში იყო მიწების ძირითადი მასივები, გაქრა, დაეცა და დაიშალა. დაშლის პროცესი რომ შეიჭრა რეფორმის შემდეგ თავადანაურობაში ეს კი არ არის მთავარი, არამედ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავადანაურობა მაინც რჩებოდა შემამულეთა კლასად, რომლის მსხვილი მიწათმფლობელობა საფუძველი იყო სოფლად კაპალურ ურთიერთობათა, გლეხის მძიმე მდგომარეობისა, საწარმოო ძალების განვითარების შეფერხებისა და სხვ. და სწორედ ამიტომ რევოლუციის ძირითად ამოცანად რჩებოდა მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის დაწვრთვა.

ასეთი ჩვენი შენიშვნები ე. კერძევაძის შრომის ვარშემო.

გ. მუხამაძის
გ. გომიანი

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ალმირი

„წამების აღვილი“

ფრანგი მწერლის ვლადიმირ პრინცის ახალი წიგნი „წამების აღვილი“ მიძღვნილია აღვირისადმი. როგორც პრინცის შრავალი სხვა ნაწარმოები, „წამების აღვილი“ გრძობა ნამდვილ ფაქტებს, მისი გვირგვინი არ არის მითითებული.

— მე მიხდოდა ამ წიგნისათვის დამტკიცება „აღვირული ჰრონიკა“, — ამბობს მწერალი. — დღეს, მაგალითად, ერთმა მოქმედმა პირმა მომწერა: წიგნის ხელმძღვანელს მიუღწევია რომელიმე (ქალაქი აღვირში) და ერთი ტალი, რომელიც გამოყვანილია წიგნში კითხვულთა მას წიგნი... ადრე კი გამოიწვედა მათი გამოწვევა გულანდლო ლაბარაჟე.

— მე ვიცი „წამების აღვილი“ აღვირულ ყველა ადამიანს და ახლაც ვუბნობ მათ ამას. ზოგ შემთხვევაში მხოლოდ მათი უმისრისადადების შედეგად მოქმედების დრო და ადვილი.

— ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, როდესაც დამწერ ალფონს იმზე, შერე უარსადად წიგლია სხვა რამეზე წერა.

ანდრე სტილის რომანი

ანდრე სტილის ახალ რომანზე — „ნიწის ქვეშ მადარის აღფრთხილება“ — პირე დეკსი ამბობს, იგი აგრძელებს „ზოლას, ანაბონის, როლანის, შარპოუსისა და როფე მარტენ დიუ გარანის ტრადიციებს, სიმბოლიზისა და სიმბოლიცის ტრადიციებს.

რომანში ნაჩვენებია ორი ძირითადი — მემორიული — ბერტრან და ალბერ დევირის ცხოვრება. როდესაც აღვირში იწვება ომი, ბერტრანი შიდად უარში. აღვირის განადგობის სამსახურს. ომში ძირითადი დაღუპვა ოფლად აუხვდეს ალბერს.

ა. სტილის რომანი ფრანგულმა ცენზურამ უარს აცხადებდა და შემდეგ ნება დართო. ავტორი ამ რომანით ამჟღავნებს, თუ რა შეიძლება დაეყვინებულა

აღვირში სიხლსლერა მშრომელი ადამიანის ხელთან.

მოქამედ დიბის კრებული

გალიმარის გამომცემლობაში გამოვიდა აღვირული პოეტის მოქამედ დიბის ლექსების კრებული, რომელსაც წინ უძღვის ლუი არაგონის წინასიტყვაობა. მოქამედ დიბის პოეზიები აფრიკის დიდი მზით არის განათებული, ამბობს არაგონი. პარიზისადმი სივარულსა და ტკივილს გამოხატავს პოეტის სიტყვები: „პარიზის აღვირისანი საღამო, რა რიგ მწარე ხარ ჩემთვის“.

„მოქამედ, შენსა და ჩემს შორის რატომ არის ეს დილა? — დასკვნის არაგონი. — რა არის ის, რაც ჩვენ ვერა ვგეოს? და იგი პირველად მილიმის და პალეს მესეს თავისი ყველაზე მოქამედ ლექსით: „მომავალი“...

ა მ მ რ ი ძ ი ს

შეერთებული შტატებში

კურუაჯის „მარტო-ხელა მთვარე“

ახლავარდა ამერიკელმა მწერალმა ჯეკ კურუაჯმა გამოთქვა წიგნი ხაითურით „მარტოხელი მთვარე“. როგორც კურუაჯის სხვა ნაწარმოებებში, აქ აღვირულია მწერლის მოგზაურობა შეერთებულ შტატებში და ევროპაში. ჯეკ კურუაჯს უწოდებენ ამერიკული „ბიტიკების“ მოციქულს. მისი წერის მანერა თავისებურ ნარეუს წარმოდგენა: ეს არის ნახვრად სინამდვილე, ნახვრად ფიქცია, ბელეტრისტიკული რეპორტაჟის ან ცხვის მავალი. მისი თავგასული, უმეტეს შემთხვევაში, ბანალურია, შერამ ეს ამერიკელ რეკლამისტებს ხელს არ უწლის ხაში გაუგებან მწერლის „სტილის ელდურ ენერჯია“.

ფილმი ჩესმენზე

ფრანგმა რეჟისორმა ანდრე კაიატმა მიიღო ამერიკული პრო-

დუკტების წინადადება გერალ ჩესმენზე ფილმის გადასაღებად. ჩესმენის პროექტმა რამდენიმე თვის წინ დიდი გამომსურება გამოიწვეა შეერთებულ შტატებში. ჩესმენმა რამდენიმე წელიწადი გაატარა ციხეში, სასამართლომ ორჯერ გაართია მისი საქმე და საბოლოოდ ვერ დაამტკიცა მისი დანაშაული. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მისი სასამართლომ გამოტანა ჩესმენს განაჩენი: სიკვდილი გაზის კამერაში.

ბულგარეთში

„ხელოვანი მოქალაქე“

ბულგარელმა რეჟისორმა იერი არსაულოვამ გადაიღო დოკუმენტური სურათი „ხელოვანი მოქალაქე“ ცნობილ მხატვარ კარიატურისტის ილია ბიეშკოვის შემოქმედებაზე. ბიეშკოვის ხელოვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის მისწრაფებებთან, მის პირთან და ლხინთან. მალული ირონიით, შიდაური პროტესტით ან გულუკითილი დიმილით ხატავს იგი თავის პერსონაჟებს — ომამდელი ბულგარეთის მთავრობის წარმომადგენლებს და უბრალო ადამიანებს.

ბელიზია

ჩესკური ფილმის წარმატება

ბოლივიის ეკრანებზე წარმატებით უჩვენებენ ჩესკურ ფილმს „პარიკის დუმილი“, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ბოლივიელი მსახიობი ბარბარა დრაჰისკი. ფილმი ნახა დახმარებით 25 ათასმა ადამიანმა. ეს ცხოვრი მით უფრო მიმწველავია, რომ ბოლივიამ სულ 40 კინოთეატრია.

ბარბანის ზედაპირული რესპუბლიკა

1200 მარკა ფალსიფიკაციისათვის

ვინ არის ვერნერ სტიინბერგი? ის დაიბადა 1913 წელს სილე-



ზამთი, ახალგაზრდობიდანვე დაიწყო ლიტერატურული შემოქმედება კონსტანტინის დროს, როგორც ახალგაზრდული არალეგალური ჟურნალის „დერ ბრატ ვუნს“ რედაქტორმა და გამომცემელმა ერთდროულად. ვესტბაომ დაამატებდა იგი და სამი წლით ჩაამწყვდია ციხეში. იმის შემდეგ სტეინშერგი ერთ დროს ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრობდა, სადაც რედაქტორობდა და სერედა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალს. აქ შექმნა მან ითხი რომანი, მათ შორის — „როდესაც გაიჭრდა დრო“. 1956 წელს დაემხრონი ვერნერ სტეინშერგი დიუსელდორფიდან ლამაცივში გადავიდა და ამ დროიდან ის არის ვერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე. სტეინშერგი ნაყოფიერად განაგრძობს შემართან მწერლობას.

კონ არის ვილ ბერტოლდი? იგი დასავლეთ გერმანიაში მარნაბლისტია. დასაწყისი წელი: 1924, დაბადების ადგილი: ღამბურგი. 1945 წელს იმდენ დაბრუნდა ობერფერბატონის წოდებით. იგი გააყვანილი მიხარზებით იქვეს ლიტერატურულ შემოქმედებას. სწორედ ეს შემოქმედება ზღის მის უაღრესად შექმნილ ადამიანად, უფრო მეტლერულად, ვიდრე კაბარის ბიოლი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ვერმანულ, ისე საზღვარგარეთელ მედიულურს შორის. ბერტოლდი ვერძღობდა დიდი „ფაქტობინტაგების“ სპეკილისტია. ბერტოლდის გაფიქრით ეს უბრალოდ მეტაფორიზებული რეპობტაგებია, უმეტეს შემთხვევაში — სამხედრო ოქსატაგაჟე. სანაწიერის ობექტება მდებარეობდა გაფორმებულ ილუსტრირებულ ჟურნალებში — „ნიუნსნერ ილუსტრირტერნიში“, „კუტასა“ და „რუკიუში“. რამდენიმე ხნის წინ ვილ ბერტოლდი დასახლდა იტალიაში. მაგრამ, რა ფქმა უქდა, ამ წლებში იგი კავშირით დასავლეთგერმანულ ჟურნალებთან.

ალბა რამდენიმე სიტყვა სტეინშერგის რომანზე — „როდესაც გაიჭრდა დრო“. წიგნიში ასახულია პატერნობის ვერაფობა ვროლიკაში იმის უკანასკნელ დღეებში. ვერნალმა „ნიიგი ილუსტრირტერნი“, რომელიც 800 ათასიანი ტირაჟით გაბოდიეს კიორდში, შესთავაზა ავტორს მისი რომანის გადამცემევა. სტეინშერგი დათანხმდა.

სწორედ მამაც დაიწყო რომანის ხაოკარი „გარდავილა“... კიორდის ვოლუკეირველი ვერნალის რედაქტორებს ამ აქმავოფილიდა წიგნის ტრენდენცია, ანტიკატორული მრჩობისა და სასტიკი განადგურების ასახვა.

ამიტომ რედაქტორებმა შესთავაზეს ბატონ ბერტოლდს რომანის ადამტაკია, რაც პრეტეტყულად ნიშნავდა მთლიან ფალსიფიკაციას. ასე, მაგალითად, ყველაფერი ის, რაც ავტორს გერმანულ ჯარზე აქვს ნათქვამი, გადმოტანილია საბჭოთა ჯარზე.

ამათ როდღ დაკმაყოფილდა ვილ ბერტოლდი და სტეინშერგის ტექსტს თავისი ხელით მიაწერა ექვთა ეპიზოდი, აღებული იმ დროიდან, როდესაც ვროსლავი ჯერ კიდევ გერმანელთა ხელში იყო.

თეთველი ასეთი ეპიზოდისათვის ვერნის დიდ ილუსტრირებულ ვერნალში ჩვეულებრივი პონორატი უდრის ათას მარკას, ანუ 250 დოლარს. მაგრამ ბატონმა ბერტოლდმა ეს დავალება ისეთი პოლიტიკური აღფრთოვანებით შეასრულა, რომ თითო ეპიზოდში მის დაუნისეს ორი ათასი მარკა.

ეს ფალსიფიკაცია წვეულებრივი ლიტერატურული სკანდალის ფარგლებშივე კი ვერ ეტევა. ბერტოლდი უსიჩქველიდევ ცვლის რომანის შინაგულ სურათს და თვით შთავარი მოქმედი პირის — იუტა მიუნისის — სახეცაც ანახავს.

ყოველივე ამან დასავლეთ გერმანიის პრესაც კი აღაშოკათა. დიუსელდორფის ვოლუკეირველი „შტამი“ დეს ფრიდენში“, ამასთან დაეკამერებინა. შემინაგდა: „ანტიბილიტარისტული წოდებთან წარმოიშვა მილიტარისტული წიგნი, ტანჯულ ადამიანადან, იუტა მიუნნიდან — ნაყისტი კელი. იმით დაქანცულ ჯარისკაცებშიაგან ბატონმა ბერტოლდმა შექმნა შერისიებით აღჭურვილი ანტიბილიტეირული ვიჩრება... კიდევ დაერთო უქმნა იუტა მიუნნი და ყველაფერ ამის უწოდებენ ფაქტობინტაგის“.

ფალსიფიკაციის ფინალური სცენა სასამართლოში გათამაშდა, მაგრამ „ნიიგი ილუსტრირტეს“ მიერ გადახდილი ზომიერი ჯარიანი ვერ აანახლურებს უზარმაზარი ტირაჟით გაჭრელებულ ტყუილს.

ვერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამის საპასუხოდ ასახვან გამოვიდა ვერნერ სტეინშერგის წიგნი „იუტა მიუნისის პოეტიკა“. როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იტყობინება, ბატონი ბერტოლდი ამხადებს ახალ „ფაქტობინტაგს“ გასული ომის ამბებზე. წიგნიში იქნება 30 თავი და, სელმეყრულებს თანახმად, ავტორი მიიღებს 45 ათას მარკას.

დასვობა

თანამედროვე გერმანული ლიტერატურის მწერლები

კომუნისტური 36 კილომეტრის დამორბობით, ფულწარმეტყველიან, 1958 წელს გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელსაც სახელად დაერქვა „ლუიზიანა“. ახლა იგი დაინახ დედაქალაქის ერთ-ერთი მიწოდველი დაწესებულებაა. ამის მიწინაშე ის ფაქტობ, რომ მუზეუმს — ღარიბებისგან დღემდე 35000-ზე მეტი მწახველი ყწია მიორლოის სადასხვა კვეყიდან. მუზეუმს, რომელიც იმავე დროს ხელოვნების კრეცე არის, მიზნად აქვს დასახული ჩვენება ამისა, თუ როგორ ასევეენ ერთიმეორეს: ვერნერ, ჭანდაკება, ანტიტექსტურა, ინტერირების დეკორაცია და, აგრეთვე ბალეტა, კინო, მუსიკა და ა. შ. მუზეუმიდან არსებობს „ლუიზიანის მუგობრების“ კლუბი, რომლის წევრებია მონაწილეობას იღებენ სადღესასწაულო საღამოებში, უწრებიან კონსერვაციას, ვესპერიზებული ფაქტალურ დადებებს, კონცერტებს და ჯახის საღამოებს.

კაჟუკას რომანის მიხედვით

ფრანკე კაჟუკას რომანის „კომქის“ მიხედვით ახალგაზრდა უბანელი რეჟისორი ფრანკო ფერარი იღებს ფილმს.

ფერადი „სიდი“

ამერიკელი კინემატოგრაფისტები ესპანეთში შედგენენ „სიდის“ გადაღებებს. მაგრამ ეს მიერ კონსერვაციის „სიდი“ როდი იქნება. ფრანკე კაჟუკას სერენო ვერნალმა X II საუკუნის ესპანურ საემიროების — „სიმილგა სიდზე“. აქ გამოვლანილია ესპანელი ხალხის ვიჩრია — სიდი გამკავდობით, რომელიც მატრებიასან იხსნის სამიშობობს. სურათის მხადების დროს რეჟისორი ანტონი მანი იტალიისა და ესპანეთის ბიბლიოფიკაში ორ წელიწადს აგრეთვე იმ ეპოქასთან დაეკამერებულ დოკუმენტურ მასალებს. სიცილიის მუზეუმში დაცული ორიგინალის საფუძველზე რომის სახეილიის ტებმა დაამსახდეს იარსობის, მიერ-ტობს ნიოგობისა და ტანსაცმელის დასალოებით 10.000 პრეჟექტი. ფილმის ფონად ფართოდ იქნება გამოყენებული ძველი ესპანური და მართა ანტიკატორების ძველები (ტინი ყველსეკი უფრო შემოინახნენ ახალ კასტილიაში). სიდის როლს შეასრულებს მარტინი პეტრონი, სიმინას — სოფია ლორჩი.

თარგმანი

საუბარი ნახშირის
ქიმიკოსთაგან

კარგად ვიცი, რომ ეს ნახშირის ქიმიკოსები მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მხარდობენ. რადგან, როგორც ვთქვამ, ეს ნახშირის ქიმიკოსები მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მხარდობენ, კერძოდ მან თქვა:

„როცა მისი წინააღმდეგობა, რადგან კომუნისტების მხარეა, რომელსაც სათაურად აქვს „ტარტარული“. ეს არის მსოფლიო დედატარის პერსონაჟის გათავისუფლების გზა. ჩემს ტექსტში მოქმედება გათავისუფლება მოლოდინსდამოკიდებული ეპოქაში. XVII-ს საუკუნეში გადატანილია ახალი პერსონაჟი — დღევანდელი ტარტარული, რომელიც დღევანდელი სურათი უნაგვიანებლად მოლოდინის პერსონაჟებთან. ამრიგად, ეს არის გარკვეული დანიშნულებისა და ახალი პერსონაჟის ხასიათისა, რომელიც დღევანდელ პერსონაჟს სხვადასხვა ინტერდალ ეპოქაში, სხვადასხვა საზოგადოებრივ პირობებში, მაგრამ რომელიც მანვე დაკავშირებული არის ერთ-ერთი ნიშნით, რომ ერთნაირად საზოგადოებრივ ადამიანთა გულგრილობით და მიმდინარეობით. ახლა ეპოქაში რომანსე, რომლის გმირია თუქანი წლების პირველყოფილი თურქი საზოგადოებრივი მოღვაწე, რომელიც ხელისუფლების მიერ ძალადმხობილია დინამოსის, მაგრამ რომანი უფრო ფსიქოლოგიურია, უფრო ეპიკურია საზოგადოებრივი ხასიათისა და იქ, უმთავრესად, ლაპარაკია იმ კონტრასტებზე, რომლებიც იქმნება არა-დღევანდურად მესობრებ გმირისა და მის დამამარცხებელ ადამიანებს შორის.“

შეიძლება, განაგრძობს თუ არა დღევანდელი წიგნი, ქიმიკოსთა უკმაყოფილება. „დაბნელება“ თუ არა წარმოიშობება ჩემი სამყაროთა პრაქტიკა უპირობოდ“. „გარდა ამისა, — დამოკიდებული განაგრძობს პოეტმა, — გუგუნი მანქანა რადიკალური რეორტაციის მავნერი იტალიაში ჩემს მოგზაურობაზე, მაგრამ ეს — მომავლის საქმეა.“

თურქულ ლიტერატურაზე ნახშირის ქიმიკოსთა თქვა:

„ამჟამად თურქული ლიტერატურა განიცდის საკმაოდ მწიფეობას და სანტიმენტო განვითარებას. წარმოიშობა რომანი, როგორც სრულიად ახალი მოვლენა თურქულ ნადავლებზე და როგორც ეს მსოფლიოზე ხდება ლიტერატურის ისტორიაში, რომანი უპირველეს ყოვლისა დამატარებულა საზოგადოებრივი თემატიკით, უფრო ვერძოლად — სოციალური კრიტიკით. ამ შედეგებს მივყავართ სახის სახელი, სამივე — ახალგაზრდა მწერლები არიან: ბაშარ ქე-

ნალი, ქველ ტაშირი და ბაშარ ქეშალი“.

ბაშარ ქეშალი

ცხოველები ფერწერაში

პარიზში გაიხსნა XVI—XIX საუკუნეების იაპონური ხასიათის ხელოვნების გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია შედგინა და აკვარელის ნახაზებზე, ნახატებში, ტვიტრები და ხელოვნების სხვა ნიმუშები.

იაპონელები, უნივერსალად, მთავრდება არიან, ხოლო იაპონელი გულრი, მთელი სიყვარულის მანძილზე ძალიან ახლად ხუნებასთან, ამით ახსნება ის ადგილი, რომელიც ცხოველებს ახასიათებს. იაპონურ ხელოვნებაში მხატვრებს, ბუნაში დაკვირვების შედეგად, კარგად შეესაფერეს ფრანგულს, თუქსებისა და გარკვეული ცხოველების ფრაგმენტები და გარკვეობა.

მონტანი იაკონიაში

იგი მონტანი და მისი პარტიზონი, ამერიკელი მახლობელი ქალი შირლი მაკლინი, იაპონიში ჩავიდნენ, სურათ „ჩემი გემის“ გადაღებებზე. ამ ფილმის რეჟისორს — სტივ პარკერს — განზრახული აქვს თავისი შემდეგი სურათი „მთელი დანახარული“ სიგებურის გადაღობა.

ინტელიგენცია

ინტელიგენცია და ტერორი

დამთავრდა დევიდ პერბერტ ლოუერენსის „ღელი ჩატერლის საფრანგული“ გამართული პიროვნება (ის. „საბათი“ № 1), მაგრამ უკანასკნელი სიტყვა მინი „პინგვინ-მუსის“ გამომცემლობამ დაიტოვა. მან ცალკე წიგნად გამოისყვა მთელი მახალბეი სათაურით „ღელი ჩატერლის საფრანგული“. ტექსტს ვრცელს ხ. ქ. როლფის მოკლე, მაგრამ მჭიდრებულ-ველი კომენტარები.

როგორც ამჩნობდ კეტლი წიგნი „ღელი ურკერი“, ეს არის „პიპატური და, სოფ შენამდევანი, უაღრესად კომიკური სოციალური დოკუმენტი“.

ბ. ვ. — ინტერენციონალი

ახეთი სახელწოდება აქვს ახალი ინტელისურ ფუნდამენტურ ფორმალს, რომელიც მიუძღვნება ყველა პიპანში ტელევიზიის განვითარების საკითხებს, ამრიგად, „მთელიმეტრე მუხა“ გზას იგადას.

წერილის ახალგაზრდა-დოქტორის

ამერიკელი უნივერსიტეტი „მარამაუნტის“ ლონდონის ფილიალი ამხადებს სურათს უინსტონ ჩერჩილის ახალგაზრდობაზე სურათის ადგენა ყოფილი პრემიერის ორ წიგნზე: „ჩემი ცხოვრების პირველი წლები“ და „მსოფლიო კრიზისი“. ორივე წიგნი ლაპარაკია პირველი მსოფლიო ომის წინა ამბებზე.

ფილმის გადაღება დახლოებით ამ საფეხელს უდგა დანიწინ, ვერ ლონდონში და შეიძლება იქმნენ, სხვადასხვა ჩანჩქელს გააპარა ახალგაზრდობა. ფილმი იქნება უფრო და დახლოებულია.

ნაპოლიონის ფილმი

ნარლი ნაპოლიონი აბიერებს სურათის გადაღებას, რომლის რეჟისორი და პროდუცენტია თეთონი იქნება. სურათს დამთავრებს, ალბათ, 1961 წლის დამდეგს. ფილმის მოქმედება ძირითადად ეთარდება აზიანი, მეტწილად გემზე, რომელზედაც შეკვარება ვრცელი რეჟისორია. სურათს ნაპოლიონი კომუნია უწოდა. ამბობენ, ქალის მთავარ როლს სთუფა ლორენს შეთავაზებდა.

ინტელიგენცია

დღეობის ფესტივალი

ინტელიგენციის მთავრობამ კინემატოგრაფიისტიკისათვის ერთად გადაწყვიტა 1961 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოწყობა საერთაშორისო კინოფესტივალი ახალი დღეში. ფესტივალის მიმზადება დაგეგმილია ინტერნაციონალის და რადიოს სამინისტროს.

ინტელიგენცია

წითელი ვარდები ჩემთვის

პარიზის ნაციონალურმა სხალსი თეატრმა თათბა ინტელიგენციის დიდი მწერლის შინ აკეთა ახალი წითელი ვარდები ინტელის. პიესა ურანგულად თარგმნა მიმელ აბარმა. ნაწარმის ლეიტმოტივა ინტელის ნაციონალურმა და სოციალურმა განათავსებულა.

სოფრებს საფუძვლად უდგან დონდონის პროდუქტორების გაფიცობა 1913 წელს.

პიესაში ნაქოცობია ბერძნულ ავტორის პირადი ცხოვრების მოტივები, კერძოდ — მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ამბები.

მ ბ ა ლ ი ა

ხადარის ეპიკტის კულტურის წყარო

იტალიელმა ეთნოლოგმა დოქტორ ფაბრიციო მორამ რომში ნატარბრუღ პრესკონფერენციაზე გამოთქვა ახალი პიროვნება ძველი ეპიკტის კულტურის წარმოშობაზე გამომყვებულ შემოარჩენილი ნახატებისა და სამარამი გათხრების დროს ნაპოვნი ნივთების საფუძველზე მორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამარამი მცხოვრებ ხალხს ზეგნის წყლთადრიცხვამდე 4 ათასი წელით ადრე უკვე რადალი და განვითარებული კულტურა გააჩნდა, რადგანაც სამარის კლასიკური შეიქცა და ეს ტერიტორია თანდათან უდაბნოდ იქცა, ხალხი გაქურდა აღმოსავლეთიანკენ და დამკვიდრდა ნილოსის შესართავში. თავისი კიბოთქმის დასადასტურებლად იტალიელმა მეცნიერმა მოიყვანა ოთხი წლის ბავშვის მუმიის შესწავლის შედეგები. ეს მუშია დამაბნებელია ეგვიპტის უკიდურეს შემოიხვევებულ ბუნებაში ადრე მუმიის ასაკი უძრავის დასაბუთებია 5400 წელიწადს. ესაა 250 წელი ეგვიპტის დინასტიების წარმოშობამდე დეკა მომდევნო კულტურებისა და დასტურებენ დოქტორ მორის თეორიას, ეგვიპტელების წინამედასმება სენსაციური პრობლემა: ეგვიპტის კულტურის წყარო ამ რაიონის პრაკულტურაში კი არ უნდა ვეძიოთ (რიგოვს ამას დღემდე აკეთებდნენ), არამედ გარდაცემული უცხო ხალხების გულენაში. შესაძლოა, რომ ეს ხალხები წარმოიშვნენ დღევანდელი იზრაილის ნახევარკუნძულზე დასახლებულ ტომებისგან.

ბ ლ ა ზ ე ტ ი ი დ ე ბ ს მ ი ი ს ე ვ ე ი ს ა ნ ს ა მ ბ ლ ს

იტალიელმა კანონმდებელმა ალესანდრო ბლანკეტომ ჩვენს კვლევანში გადმოიღო სურათის „მე მიყვარს, შენ გიყვარს“ მრავალი კადრი. მათ შორის — იღონ მიონსევის ანსაბლის შესრულებით — ოთხი ხალხური ცეკვა. ფილმის სახანავედ რომში ჩავიდიხენ იღონ მიონსევი და სამკითხველ კავშირის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი. მათ გულბობილად შეხედნენ ალესანდრო ბლანკეტო და ფილმის პრიდუსები დინო დე ლაურენტისმა.

იტალიელი გუნდალესტის შეკრებამდე, თუ როდის ეწვევა მიონსევის დისი იტალიას, მან უკანსება, შესაძლოა ეს ახლო მომავალში მოხდესო. ჯერ კიდევ 1953 წელს დისი განზრახული ჰქონდა იტალიაში გასტროლები მიწყოფა, მაგრამ აქ გასტროების მოაზრო-

ბამ სამკითხველ მიცემულ უარი უთხრა ეიოს გაცემას.

ი ე ბ ნ ს ლ ა მ ი ა

მ წ ე რ ა ლ თ ა კ ა ე მ ი რ ი ს ჰ ლ ე ნ ე მ ი

11 და 12 იანვარს ქალაქ ზაგრებში შედგა იუგოსლავიის მწერალთა კავშირის პლენუმი. მონაწილეებმა აღძრეს პირობების საკითხი და მოითხოვეს მათი გადგომა. მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ პირობები არ შეცვლილა, მაშინ რადგანაც წიგნების ფაილი ზოლოდ ადრე 100 პროცენტით გაიზარდა. პლენუმმა განიხილა უცხოეთთან კონტაქტის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რათა იუგოსლავიის მწერალთა კავშირი ოფიციალურად შეეცდეს ევროპის მწერალთა კავშირისგან. მაგრამ კავშირის ფილმა წევრს ნება აქვს იხილოდგულად გადაწყვეტის ამ ორგანიზაციაში შესვლის საკითხი. დასკვნის მიზანმიმართულმა გაკავშირებამ სხვადასხვა გამოცემების მუშაობა და სურვილი გამოთქვა, რომ გამოცემების მოთხოვნის და უფრო დიდი ფრანგებმა მიეცეს მათ კულტურულ მხარე.

ბ უ ბ ა

ლიტერატურული შერეული

კუბაში გამოსვლის იწყებს ლიტერატურული ფორალი, სადაც დაიწყო კუბელი პოეტებისა და პროზაიკების ნაწარმოებები და, აგრეთვე, კრიტიკული წერილები, ესეები და სხვ. ფრანკლის გამოცემის მონაწილეობის მიხედვით კუბელი მწერლები კლავა სოლისი, ანტონ არუფატი, პაბლო არმანდო ფრანკლინი, როსარიო ანტონია, მანუელ დის მარტინესი და სხვები.

პირველი სრულმეტრებიანი ფილიმი

გასული წლის 30 დეკემბერს კუბის რვა ქალაქში შედგა პირველი კუბური სრულმეტრებიანი ფილმის პრემიერა. ფილმი გაწოდდა „კუბის კინემატოგრაფიის ხელოვნების ინსტიტუტმა“. ფილმის სათარაოა „რეკლუკუის ამბები“. ფილმის ხანგრძლივობაა 20 წუთი და ნახევრად დოკუმენტარია. ფილმი ეტება რეკლუკური შეხების განვითარებას მსხვერპი, კუბელი ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას ბატონობის დიქტატურის წინააღმდეგ. ამ ფილმის შექმნაში ახალ-

გაზრდა კუბელი კინემატოგრაფისტებს დახმარება გაუწიეს რეკლუკურმა ხელოვნებამ და მისიველი რეჟისორმა ზანდრაიამ.

პოლონეთი

ლიტერატურული გამოცემების 1961 წელს

კრავიის ლიტერატურულ გამოცემების 1961 წლის მანძილზე გათვალისწინებული აქვს 86 სათარის წიგნის გამოცემა. კლასიკური ლიტერატურიდან დაინგდება სტანისლავ უპსკანის, კრამეცკის, ზონიციუს, ვიტკვეჩისა და სხვათა ნაწარმოებები.

თანამედროვე პოლონური ლიტერატურადან გამოვა იგივე პროცენტის მიხედვით ტომი, რომად კლიობის რომანი „კადალი“, იან კურჩახის „დუკატიის ნაამბობი“, იგივე მანიაკის „სევერული და სერიოზული საქმეები“, ოლვერდ ტრულციის „მელოზანი პორტოვლოანი“ და სხვ.

თანამედროვედ: რანერ მარია როლიკ „სონეტები ორფიუსს“, სამკითხველში ანთოლოგია — ლეკოლად ლეონის თარგმანით და ფრანკ კავასი „დღიურები“.

სხლოვნებას და სტორიის საკითხს მიეძღვნება კოლექტიური ნაწარმოები „პოლონური ხელოვნების ნარკვევი“ და ალბომი „პოლონური მონეტის ათასი წელი“.

ორი იუბილე

პოლონურ პოლონურ სატირულ ფორალს „მბილკის“ შეხებულა 25 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით პოლონეთის კულტურის სამინისტრომ მოაწყო სხვადასხვა კამოფენა, რომელსაც ნაწილები იქნა ფრანკლინი სხვადასხვა დროს მოთავსებული სატირული და იუმორისტული ნახატების 200 ფოტოსი. იანვრის დამდეგს გამოვიდა ფრანკლინი „მბილკის“ საიუბილეო ნომერი, რომელშიც მოთავსებულია პოლონური სატირის საუკეთესო ნიმუშები, დაწერილი სამი საუკუნის მანძილზე.

ფებრვალში კი თავისი აჩვენების 10 წელი აღნიშნა ლიტერატურულმა ყოფილიერებულმა გავიდა „ფრე ლიტერატურა“, რომელიც კრავიში გამოდის. 5 თებერვალს გამოვიდა „ფრე ლიტერატურა“ საიუბილეო ნომერი 20 ეფრელს შეიქცა. აქ წარმოიდგინეთ თანამედროვე პოლონური მონეტების, პროზაიკების, კრიტიკებისა, და მთარგმნელების ნაწარმოებთა მრავალი ნიმუში. პირველ ეფრელზე მოთავსებულია

პოლიციის კულტურისა და ხელოვნების მინისტრის ტადეოზ გოლინკის მილოცვა. თავიანთ პოლიციის კულტურის დეპარტამენტი გაეწესათ მისთვის და კვირის ლიტერატურულმა განყოფილებამ, უკრაინულმა ჟურნალმა „ესპანტმა“, ჩუქურტმა გაეწემა „კულტურის დეპარტამენტი“ და გერმანულმა „ნორტ-ბაიმა“.

რევიზია

ფრანგული ლიტერატურის რევიზია

როგორც რუმინეთის პრესის სააგენტო იტყობინება, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მუცხინოვანათა აკადემიამ თავისი ტვიფრების კანონმდებლობის შედინა მოელოა რიგი გრადუარა, მათ შორის XIX საუკუნის ფრანგი მხატვრების ეფენ კარაიერისა და ფანტან ლატურის ნაწარმოებები. ეს არის ეფენ კარაიერის მიერ შესრულებული პოეტი და შავანისა და ალფონს დოლენ ლიტერატურული პორტრეტები და ფანტან ლატურის ლიტერატურული, შოკინებული პოეტების მუხავით.

სამხარობო

მუხიკა - თვრთობილის ბრძოლისათვის

ბერძენი კომპოზიტორი მანოს ფილიდაქის ავტორია მუხიკის ფილიდაქისათვის „პირვის ზეილინი“. ასეა კომპოზიტორი წერს მუხიკის რეჟისორ რუდი შატს სურათისათვის „თერპიპილის ბრძოლა“.

სამხარობო

ფრანსუაზა სატანა

„ლუმინატს“ კორესპონდენტი ამის წინათ ტელეფონით დაუკავშირდა ფრანსუაზა სატანს. შეერა-ლი ქალი ნორმანდიანი წასახლეულად უწახდებოდა მოგვიანეს დიპლომის ნაწილი:

- თქვენ ასალ ბალეტს ამხადები?
- დიას, ვფიქრობ. მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკი ნადარევი...
- მამ რა ვიდრეთ საწერ მავიდას?
- უკვე გამოხული ნაწარმოებები... მათ შორის „კომედი შვეიცამი“ უკანასკნელია.
- ბიუსის წარმატება აქვს ატელიემი?
- დიას, ამ მხრივ ველოაფერი კარგად...
- ამბობენ, რომ ასალ ფიგნს ამხადები.
- ამხუ ჟერ არაფრის თქმა

არ შემოიღია. სამუშაოს მხოლოდ ფრანგული აკადემია, აკადემიკოსებს დღემდე ჟერ დუმიტაიერისათვის თავიანთი სინტეზური ნაწარმის ფრანგული ენის აკადემიურად რეცეპირის. ასლავ გრძელდება მსჯელობა ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის განსაზღვრის ირველივ.

- 9 თებერვალს აკადემიკოსები იხილავდნენ გამოთქმას „სანთლის ზღუმი დაჭერა“. მწერალმა მარსელ ამარამ კომდეგი განსაზღვრა შესთავაზა ეწოდებო:
- „სხვისი არწიფობის დროს მავრებურ არწიფობის დროს“.
- „დრამატურგი მარსელ პანიოლი აჯანყდა“.
- „უქმური მოწყობის წინააღმდეგ“.
- „მაგრამ თრმოყმა აკადემიკოსმა მარსელ ამარს მისვა თავისი ხმა.“

„ვროპის“ ნომერი სიმბურ ლიტერატურაზე

გამოვიდა ეურნალ „ეროპის“ სპეციალური ნომერი; ის მთლიანად მიძღვნილია სიმბურლი რიტერატურისადმი. აი რა განაცხადია ამის შესახებ ეურნალის რედკტორმა მიერ ამრამამა: „ოღდათებამეტი პოეტი და ათი პროზაიკოსი, რომელთა ტექსტები მოვათავსებ უცხოეთთან კულტურული კავშირისა და მგობრობის სიმბურლი საზოგადოების“ წყაროებით, წარმოადგენენ „სიმბურის განუწყვეტელ სიმღერას“, როგორც თქვა არაფრისმა.

ტელეტიკი, რომლებიც ჩვენ ერევნიდან მივიღეთ, თარგმნილი იყო ნაწილად ფრანგულ ენაზე. პიერ ვამარს, ფაკ ეომერისმა და ფრანსუა მონის სათანადოდ გააფორმეს მასალა.

ამ ანთოლოგიას წინ უძღვის შაკ მადოლის, მიერ მარსელის, ლიუსიერს სიმონარის, ფრედერიკ ფილის (აღმოსავლური ენათა ინსტიტუტის პროფესორი) და ს. დანობიანის წერილები. ჩვენ ვისვინივთ აგრეთვე სიმბურ ხელოვნებას, ფოლკლორს, თეატრსა და კინოს.

ჩვენდა სასიხარულოდ, პარიზში მცხოვრები სიმბური დიდი ერთუნიანობით მივებენ ეურნალს ამ ნომერს.

კონკრეტული კატორა

ისტორიას განთქმული ქალეპის“ ხერამი გამოვიდა პიერ დევისი წიგნი „კლეოპატრა“. ავტორი შევიდა ყველა არსებული წყაროების დამაბრებით აღდგინა პეტრის დედოფლის რაე შეიძლება უფრო სრული მილოცადია. გახეობა „ლეტრ ფრანსუაზა“ გამოაკვეთა „კლეოპატრას“ დრავმენტი. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ დევისის წიგნი კლეოპატრას ხახელის ირველივ შექმნილი მითი თუ აგებს, სამაჟეროდ იგებს ისტორიული კუშიმარტება.

აკადემიამი: ერთი
ერთი
მას აქვთ, რაე 1635 წელს კარდინალმა რიმელიემ დააარსა

ფრანგული აკადემია, აკადემიკოსებს დღემდე ჟერ დუმიტაიერისათვის თავიანთი სინტეზური ნაწარმის ფრანგული ენის აკადემიურად რეცეპირის. ასლავ გრძელდება მსჯელობა ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის განსაზღვრის ირველივ.

9 თებერვალს აკადემიკოსები იხილავდნენ გამოთქმას „სანთლის ზღუმი დაჭერა“. მწერალმა მარსელ ამარამ კომდეგი განსაზღვრა შესთავაზა ეწოდებო:

„სხვისი არწიფობის დროს მავრებურ არწიფობის დროს“.

„დრამატურგი მარსელ პანიოლი აჯანყდა“.

„უქმური მოწყობის წინააღმდეგ“.

„მაგრამ თრმოყმა აკადემიკოსმა მარსელ ამარს მისვა თავისი ხმა.“

10 აპრილს აიხდებდა ხალხთა თეატრის ფარდა

10 აპრილს სარა ბერნარის თეატრის სცენაზე დაიწყო მორიგი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელზედაც წარმოდგენები იქნება ოდესაუთი ქვეყნის ოდდათობსმეტი დრამატორი დასი, როგორც პრესა იტყობინება, სამი დიდი სახელმწიფო - ინგლისი, შვეიცარული მტატები და სამტოთა კავშირი - წინა ფესტივალზე უკეთ იქნებან წარმოდგენილი. ხალხთა თეატრის ხელმძღვანელი თვლიან-ნებან აღნიშნა, რომ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ნიგერია და მადაგასკარი. ფესტივალში შეიყვანს აგრეთვე ლირიულ პროგრამებს. მოწყობას აგრეთვე კონფერენციები და დებატები.

შენახვა

ტატინა სამოლოვა ითანამებს უნგრულ სურათში „ლუმა რევი“, რომლის გადაღებას შეუდგება რეჟისორი მიხეილ შემსინი. ფილმის სიუჟეტი აგებულია უკანასკნელი იმის ამბოზე.

ფიგნა

შოლოხოვი ფინურად ფინურ ენაზე კენეს თარგმანით გამოვიდა მიხეილ შოლოხოვის რომანის „გატეხილი ყამირას“ პირველი და მეორე ნაწილი. კენესა უკვე თარგმნა ფინურად

რად დისტორციები, გორკისა და სხვა რუსი და საბჭოთა მწერლის წიგნები.

ჩ ი ნ ვ ი თ ი

„ჩინეთის ნახტომი წინ“

— ინვლისურმა ტურნალმა „დისკოვერმა“ გამოაქვეყნა კანადელი ეკონომისტის დანი უილგრუსის წერილი „ჩინეთის ნახტომი წინ მეცნიერების დარგში“. ყიფრი: ჩინეთში ამჟამად 650

ავტორი აღნიშნავს, რომ თავის დროზე დასავლეთში სათანადო ყურადღებით არ ევლებოდნენ რუსეთიდან მიღებულ ცნობებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შესახებ. დასავლეთი გამოადგინა 1957 წელს საბჭოთა ხელოვნურმა თანამშრომელმა. დასავლეთით იგივე პოზიციას უკირავთ ახლა დასავლეთში ჩინეთის მიმართ, წერს ავტორი, და საილუბრაციოდ მოჰაავს რამოდენიმე

მილიონი ადამიანი, რაც კაცობრიობის ერთ მეოთხედს უდრის, ყოველწლიურად უზარალოდ იზრდება 17 მილიონით, ხოლო 1968 წელს მოსახლეობის რაოდენობა შეუახლოვდება ერთ მილიარდს. რაც დრო გაივლის, ჩინეთს სულ მეტი და მეტი მეცნიერები და ტექნიკოსები ეყოლება. ამიტომ თანამედროვე მეცნიერების გაფრცხვლებას ჩინეთში დიდი მნიშვნელობა აქვს.



ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბავთა მწერალი“

- ბანოვანი (დესპინე გელოვანი)** — შორეული ლანდები. რომანი. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 594, ფასი 1 მან. 89 კაპ.
- გივი განილაძე** — თარგმანები. რედ. თ. კობლაძე. გვ. 202, ფასი 42 კაპ.
- მორის ფოცხიშვილი** — გული დაეძებს გულს. რედ. ი. ნონეშვილი. გვ. 120, ფასი 20 კაპ.
- გიორგი ხუცაშვილი** — ლურჯი ფანჯრები. რედ. ბ. ჟღერტი. გვ. 52, ფასი 12 კაპ.
- არჩილ გურჯაძე** — ღირსია. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 104, ფასი 21 კაპ.
- ელადიმერ ჯიბუტი** — ცხოვრების მხარდაშლარ. რედ. გ. გვერდწითელი. გვ. 212, ფასი 63 კაპ.
- კ. ვოგიაშვილი** — ტელეფონით საუბარი. რედ. ალ. შენგელია. გვ. 56, ფასი 10 კაპ.
- ილი ბერაშვილი** — მოთხრობები. რედ. ვრ. ჩიჭოვანი. გვ. 194, ფასი 34 კაპ.

„ნაბადული“

- ჩენი საუნჯე** — ტომი 11. რედ. დ. ბენაშვილი. გვ. 656, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- მანუელა მრეველიშვილი** — ჭანჭიკელი. რედ. ვრ. აბაშიძე. გვ. 28, ფასი 30 კაპ.
- ჯანი როდარი** — ნიპოლინოს თავგადასავალი. თარგმ. ნათელა ჩირაძისა. რედ. ნ. ჩიჩავა. გვ. 248, ფასი 62 კაპ.
- იოსებ გაბაშვილი** — პატარებს. რედ. მ. ამაშუკელი. გვ. 32, ფასი 20 კაპ.
- რობერტ ლუის სტივენსონი** — განძის კუნძული; შავი ისარი. თარგმ. ალ. გამყარელიძისა. რედ. მ. ქარჩავა. გვ. 532, ფასი 1 მან. 70 კაპ.
- მერი დავითაშვილი** — ვიშნეოთ ერთად. რედ. ნ. გუდიაშვილი. გვ. 94, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- ვლადიმერ იაკაშვილი** — ბახტრიონელი მელექსე. რედ. რ. ჯაფარიძე. გვ. 152, ფასი 20 კაპ.
- ა. ეფრემოვი** — აღმასის მილი. თარგმ. კ. ჭანტრიაშვილისა. რედ. ე. ზედგინიძე. გვ. 180, ფასი 18 კაპ.
- ა. ჩხენკელი** — რომიკო. რედ. ლ. გეგელია. გვ. 32 ფასი 2 კაპ.
- ზმალზე უფრო ძლიერად სჭრის** (ქართული ხალხური მახვილსიტყვაობა) — შემდგენელი აპოლონ ცანავა. რედ. ლ. ცაგარეიშვილი. გვ. 104, ფასი 15 კაპ.
- რუსული ხალხური ზღაპრები** — თოელის გოგონა. თარგმ. თინათინ სულიაშვილისა. რედ. ჯ. ნადირაძე. გვ. 128, ფასი 25 კაპ.
- ვახილ ზემლიაიკი** — ქვიანი ფონი. თარგმ. გ. ნამსოკაძისა. რედ. თ. ჯანგულაშვილი. გვ. 164, ფასი 18 კაპ.

80 80 80

6/108



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО «САМОТА МЦЕРАДЫ»